ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა
და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი
სტეფანწმინდა

ვალერიან ითონიშვილი

მოხევეების ყოფა-ცხოვრება

ვალერიან ითონიშვილი, 2015. მოხევეების ყოფა-ცხოვრება. 282 გვ.
რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ღუდუშაური
კომპიუტერული უზრუნველყოფა: დავით გილიგაშვილი

© 2015, ვალერიან ითონიშვილი
ISBN: 978-9941-0-7650-3
ყველა უფლება დაცულია. ავტორის ნებართვის გარეშე არ შეიძლება ამ წიგნის არც ერთი ნაწილის გადაღება.

წიგნი გამოიცა ყაზბეგის ეროვნული პარკის და
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო"-ს ფინანსური თანადგომით. პროგრამა თანადაფინანსებულია KFW-ს მიერ გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში.

პროგრამის აღმასრულებელი სააგენტოა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, პროგრამის განმახორციელებელია დაცული ტერიტორიების სააგენტო, ხოლო პროგრამის შემსრულებელ ჯგუფს წარმოადგენს გფა კონსალტინგ გრუპის (GFA), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანასა და ფრინველთა კონსერვაციის საზოგადოების (BCG) კონსორციუმი.

პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი. შესაძლებელია, რომ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ემთხვეოდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გერმანიის განვითარების ბანკის ან პროგრამის შემსრულებელი ჯგუფის მოსაზრებებს.

იმის შემდეგ, რაც მოხევეების ყოფა-ცხოვრების მრავალი საკითხის შესწავლას ჩემი რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა, ამჯერად წარმოდგენილი ნაშრომი შემაჯამებელი ხასიათისაა. მის სფეროში შედის მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის პრობლემები. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე მოხევეთა ყოფა-ცხოვრების გაცნობით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ვალერიან ითონიშვილი

ჯევის არ წაჯდენამა - მოხევის ვედრება

საუკუნისათვის დასასრულს უახლოვდებოდა. ოსთა დემოგრაფიული ექსპანსიის შედეგად მათი სამოსახლო სივრცე გაფართოვდა. დროთა განმავლობაში ოსებმა დაიკავეს ტერიტორია კასრისკარის ქვემოთ და დამკვიდრდნენ ხევის ტერიტორიაზედაც, დაწყებული სოფელი მნიდან და დამთავრებული სოფელ კობითა და სოფელ უხათით. აღნიშნული ვითარების შედეგად დამკვიდრდა აზრი, თითქოს თრუსოს ხეობა მოიცავს ტეროტორიას სოფელ რესიდან სოფელ ადომდე. ისტორიულად კი ცნობილია, რომ კასრისკარი ერთიმეორისაგან მიჯნავს ხევსა და თრუსოს.

ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე განფენილი მატერიალური კულტურის ძეგლები - ციხე-სიმაგრეები, საკულტო ნაგებობანი თუ საცხოვრებელი სახლები ტიპოლოგიურად ხევის ძეგლების ანალოგიურია. ფაქტიურად ისინი დვალური (და ამდენად ქართული) მატერიალური კულტურის ძეგლებია, რაც აქ ჩამოსახლებულ ოსებს დახვდათ. ახალი და ფასეული ოსებს არაფერი შეუქმნიათ.

დროთა ვითარებაში მოსახლეობის მიგრაციის პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. ოსების უმრავლესობა ჩრდილო ოსეთში გადასახლდა და მათი სამოსახლო ტერიტორია ფაქტიურად გაუკაცრიელდა. დღევანდელ ვითარებაში ოსური მოსახლეობა მცირედი რაოდენობით ცხოვრობს სოფელ კობში, ხოლო ოსეთში დამკვიდრებული ზოგიერთი ოჯახი თრუსოდ წოდებულ ზონას ზაფხულობით თუ მიაკითხავს.

დროთა ვითარებაში ხევის ტერიტორიული სივრცე დავიწროვდა. დღევანდელი ლოკალიზაციით ხევი მოიცავს ტერიტორიას ჯვრის უღელტეხილიდან დარიალის კარიბჭემდე და სნოს ხეობას. თერგის ხეობაში განლაგებულია: ალმასიანი, კობი, ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, ტორნისა, სიონი, ტყარშეტი, გარბანი, არშა, თოთი, ფანშეტი, თარგმანი, სტეფანწმინდა, გერგეტი, ცდო, გველეთი. სნოს ხეობაში მდებარე სოფლებია: აჩხოტი, სნო, ახალციხე, ქოსელი, კარკუჩა, ჯუთა. ისტორიულად არსებული ზოგიერთი სოფელი ნასოფლარების სახითაა შემორჩენილი. ასეთებია თერგის ხეობაში: თოლგოთი, უხათი, ქედური და ქობი, ხოლო სნოს ხეობაში: მიგუდა, ართხმო და მთრეხი.

* * *

ხევისა და მოხევეების ყოფა-ცხოვრების შესწავლით სხვადასხვა ეპოქის არაერთი მკვლევარი და დამკვირვებელი დაინტერესდა. ამ მხრივ პირველობა ეკუთვნის XVIII საუკუნის დიდ მკვლევარს - ისტორიკოსს, გეოგრაფს, კარტოგრაფსა და ეთნოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს. მან კვალიფიციური დახასიათებით გაგვაცნო ხევის გეოგრაფიული მდებარეობა, საქართველოში შემავალი რეგიონები, მატერიალური კულტურის ძეგლები, სამეურნეო პირობები, მოხევეთა ზოგიერთი წეს-ჩვეულება, მოხევეთა თვისებები და იერსახე.

ვახუშტის შემდეგ საყურადღებო ცნობა გაჩნდა იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში". მან გვაუწყა, რომ მყინვარწვერზე პირველად ფეხი დადგა იოსებ მოხევემ, გვარად სუჯაშვილმა. მანვე იხილა ბეთლემის გამოქვაბული. იოანე

ბატონიშვილის ამ ცნობით საფუძველი დაედო ალპინიზმის შესწავლას საქართველოში, რისი აკვანიც ხევში დაირწა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხევეთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა დაკავშირებულია უდიდესი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის სახელთან. მისი ეთნოგრაფიული ნარკვევებით და ბელეტრისტული შედევრებით მკითხველი გაეცნო ხევის გეოგრაფიულ მდებარეობას, მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოხევეთა ტრადიციული ცხოვრების წესს და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს (დაწვრილებით იხ. ვალერიან ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები, თბილისი, 2006)

ალ. ყაზბეგის ინფორმაციის საფუძველზე მოხევეების შესახებ ერთ-ერთი სტატია გამოაქვეყნა ალექსანდრე ხახანაშვილმა (იხ. А. С. Хаханов, О мохевцах, "Сборник материалов по этнографии Дашковским этнографическим музеем" вып . III, М., 1888).

1934 წელს გამოქვეყნდა სერგი მაკალათიას სამხარეთმცოდნეო წიგნი - „ხევი", რომელშიაც ნაჩვენებია ხევის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, მეურნეობის დარგები, მოცემულია მოკლე ისტორიული მიმოხილვა, აღწერილია მოხევეთა ზნე-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები.

მონაცემები დიდი ოჯახის სტრუქტურისა და მოხევეთა ტრადიციული ყოფის თუ სამართალწარმოების შესახებ განხილულია რუსუდან ხარაძის რამდენიმე ნაშრომში.

მოხეური დიალექტების შესწავლას მიეძღვნა ოთარ ქაჯაიას საკანდიდატო დისერტაცია. მასში გამოყენებული ტექსტები გამოქვეყნდა სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომებში (ნაკვეთი VII, 1959), ხოლო შემდეგ ლექსიკონი სახელწოდებით - მასალები მოხეური ლექსიკონისათვის (ცხინვალი, 1967).

1985 წელს გამოქვეყნდა ივანე ქავთარაძის წიგნი-ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი).

მოხეური ფოლკლორის შესწავლას მიეძღვნა ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია. მანვე შეკრიბა და ერთ წიგნად გამოსცა მოგონებები ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ.

ყაზბეგების გვარის ცნობილ წარმომადგენელთა ღვაწლია გამომზეურებული ვანო შადურის წიგნში - მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის (ყაზბეგების საგვარეულოს მოღვაწენი), თბილისი, 1985.

ბადრი სუჯაშვილის საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „ყაზბეგის რაიონის მაღალმთის ტყეები და მათი სამეურნეო მნიშვნელობა" (1953).

ხევის ბუნებრივი პირობებისა და ტყის მასივების სიხშირის შესწავლას მიეძღვნა გიორგი (გიგო) გიგაურის ნაშრომი - „ხევის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების ზოგადი დახასიათება" (თბილისი, 2004).

სამეცნიერო კრებულში - „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი", რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა გიორგი (გოგი) ღუდუშაურმა, რომელთაგან ხევის შესწავლას უკავშირდება: 1) მწყემსობის ორგანიზაცია ხევის მეცხვარეობაში („ძიებანი", III, 2001); 2) მიწის დაპატრონების გავრცელების წესები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში („ძიებანი", IV, 2002); 3) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გზა-ბილიკების საკითხისათვის ((„ძიებანი",IV, 2002); 4) ხევის

მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში კამერალური აღწერის მონაცემების მიხედვით ((„ძიებანი“, V, 2003); 5) მინერალური წყლების მნიშვნელობა საქაფრთველოს ეკონომიკურ განვითარებაში („ძიებანი“, VI, 2004).

გიორგი ზაგაშვილის ნაშრომში - „ვისი გორისა ხარ“ (სტეფანწმინდა, 2007) მეტნაკლები სისრულითაა აღნუსხული მოხეური გვარები და დანაყოფები.

ხევისა და მოხევეებისადმი სიყვარულითაა შთაგონებული ცნობილი ექიმის გურამ ქერაშვილის წიგნი - „ხევი და მოხევეები“, რაც 2012 წელს გამოქვეყნდა. მასში განხილული ფაქტობრივი მონაცემები რამდენადმე ავსებს ჩვენს ცოდნას მოხეური გვარებისა და ტრადიციების შესახებ. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თხრობა ხევის ისტორიის შესახებ მრავალ შემთხვევაში ხარვეზებით ხასიათდება, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია საჭიროდ არ მივიჩნიე.

პირადად მე ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა დავიწყე სტუდენტობის წლებიდან. ამ დროიდან დღემდე გამოქვეყნებული 80 გამოკვლევიდან და სტატიიდან 21 მიეძღვნა ხევს. ამასთან ერთად ხევის შესახებ გამოვაქვეყნე 8 მონოგრაფია:

1. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1960, 337 გვერდი.

ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების, საისტორიო წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე ამ ნაშრომით მკითხველი ეცნობა მოხევეთა საქორწინო ტრადიციებს მისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტის მიხედვით.

2. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1963, 132 გვერდი.

ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში ილია ჭავჭავაძის ღვაწლის წარმოჩენასთან დაკავშირებით ნაშრომში გაანალიზებულია ილიას მიერ ხევში ფიქსირებული ხალხური გადმოცემები, რაც აისახა „მგზავრის წერილებში“ და პოემა „განდეგილში“. ამითი მან გარკვეული წვლილი შეიტანა მოხეური ზეპირსიტყვიერების შესწავლის სფეროში.

3. ხევი ძველად და ახლა (საცხოვრებელი ნაგებობანი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967, 82 გვერდი + 19 ტაბულა.

ხევში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებისა და არქიტექტურული ილუსტრაციების გამოყენებით ნაშრომი გვაცნობს უმთავრესად ძველი ეპოქის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს მათი ფუნქციების ჩვენებით. ამასთან ერთად ნაჩვენებია ახალი ეპოქის სახლები და სამეურნეო სათავსოები.

4. მოხევეების საოჯახო ყოფა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, 128 გვერდი.

საკითხის შესწავლას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ ხევში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები, საისტორიო წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის (უმთავრესად კი ალექსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიული ნარკვევებისა და მხატვრული ნაწარმოებების) მონაცემები. ნაშრომი გვაცნობს ტრადიციული მოხეური ოჯახის სტრუქტურას მისთვის დამახასიათებელი კომპონენტებით.

5. ხევის ტოპონიმიკა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1971, 178 გვერდი.

წიგნში აღნუსხულია ტოპონიმები ყველა სოფლის მიხედვით, ხოლო უმნიშვნელოვანესი სახელწოდებები განმარტებულია წერილობითი წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების გამოყენებით. წიგნს წყაროს მნიშვნელობა ენიჭება ხევის ისტორიის შესწავლისათვის.

6. ხევი (გზამკვლევი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1984, 32 გვერდი (ილუსტრაციებით).

ნაშრომის დანიშნულებაა მკითხველს, პირველ რიგში კი მოგზაურებს, გააცნოს ხევის გეოგრაფიული მდებარეობა, სოფლები, მატერიალური კულტურის ძეგლები და კუთხის წარსული.

7. მეგობრობის გზა, გამომცემლობა საზოგადოება „ცოდნა", თბილისი, 1983, 32 გვერდი.

საისტორიო წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაშრომი გვაცნობს საქართველოს სამხედრო გზის ისტორიას და მის მნიშვნელობას ერთი მხრივ საქართველო-ჩრდილო კავკასიის, ხოლო მეორე მხრივ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში.

8. ალექსანდრე ყაზბეგი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები), წიგნი გამოსცა ხევის აღორძინების საზოგადოებამ გოგი თოფაძის დაფინანსებით, თბილისი, 2006, 376 გვერდი.

ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს ალექსანდრე ყაზბეგის ღვაწლი ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიული წარსულის, ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და ზეპირსიტყვიერების წარმოჩენის სფეროში.

გამოქვეყნებული შრომების დასახელებით მკითხველს შევახსენე, რომ მოხევეთა ყოფა-ცხოვრებას წლების მანძილზე ვაკვირდებოდი და შესაბამისად გამოკვლევებსაც ვქმნიდი. ამის გათვალისწინებით ადრე შესწავლილი საკითხები წინამდებარე ნაშრომში აღარ განიხილება. იმას კი, თუ ეს ნაშრომი რა თემატიკას მოიცავს, მკითხველი ცალკეული თავების მიხედვით გაეცნობა.

აქვე მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ ხევის ისტორია ახლო მომავალში გამოქვეყნდება, რითაც დასრულდება ჩემი მუშაობა ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში.

ეკონომიკა და შრომა-საქმიანობა

საკმარისია ადამიანმა დაკვირვებით გადახედოს ხევის მარადთოვლიან მწვერვალებსა და საჯიხვე ჭიუხებს, მისი შიშველი მთების მწვანით შემოსილ კალთებსა და ხშირ შემთხვევაში ნიაღვრით ჩამორეცხილ ფერდობებს, აქა-იქ შემორჩენილ ტყის ნაშთებსა და სახნავი მიწის პატარ-პატარა ნაკვეთებს, რათა წარმოიდგინოს აქაური მკვიდრის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი ცხოვრების პირობები. ხევში მოხვედრისთანავე ადამიანი უსათუოდ დარწმუნდება, რომ აქ მცხოვრები კაცი ფიზიკურად ძლიერი, გაჭირვების ამტანი, მაგარი ნებისყოფის მქონე და გამრჯე მშრომელი უნდა იყოს. შემთხვევითი სრულებითაც არ არის ის გარემოება, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ჯერ იძლევა ხევის მოკლე სამეურნეო-ეკონომიკურ მიმოხილვას, ხოლო ამის შემდეგ მოხევეთა ამ თვისებების მეტად ლაკონიურ დახასიათებას: "კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, აჭოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა"[1]. ხევის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ადამიანი იმასაც ადვილად წარმოიდგენს, რომ მოხევის არსებობა ძირითადად მეცხოველეობაზე უნდა იყოს დამყარებული.

გარემო პირობებზე დაკვირვებით აღქმულ შთაბეჭდილებას არც არსებული წყაროები უპირისპირდებიან. სამწუხაროდ, ხევისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი მეურნეობის ორი ძირითადი დარგის — მესაქონლეობისა და მთური მინათმოქმედების, ისევე როგორც მოხევეების სხვა დამხმარე საქმიანობათა შესახებ, ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება. ეს ცნობებიც ძირითადად XIX საუკუნეს განეკუთვნებიან. ამათგან აღსანიშნავია სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილი ეკონომიკური მიმოხილვა და ზოგიერთ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოებებიც, რომლებიც ეპოქის მტკივნეულ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს აქტუალურად ეხმაურებიან, მაგრამ ამ ეპოქის ოჯახის ეკონომიკური საფუძვლების შესწავლის მთავარ წყაროდ მაინც ეთნოგრაფიული მასალა გვესახება. ამ უკანასკნელის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის დასმული საკითის განხილვის შესაძლებლობა ცალკეული ოჯახების კონკრეტული მონაცემების შუქზე.

XIX საუკუნეზე უფრო ადრინდელი წყაროებიდან რამდენადმე მნიშვნელოვანი ცნობების ამოკრება მოხევეთა საოჯახო მეურნეობის შესახებ თითქმის შეუძლებელია. ამ საკითხის ისტორია რომ ცოტათი მაინც გადავწიოთ, სხვა გზა არ დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ვახუშტის ნაშრომს მივმართოთ, ხოლო უფრო ძველი პერიოდის თუნდაც ნაწილობრივად გაცნობის მიზნით დღემდე მოღწეული გადმოცემები და ხევის არქეოლოგიური მასალა მოვიშველიოთ. ერთმანეთისაგან ასეთი დიდი დროით დაშორებულ და თანაც ფაქტობრივი მონაცემებით ძალზე ღარიბ წყაროებზე დაყრდნობით ყოვლად შეუძლებელია გავიგოთ რომელ ეპოქაში რა დონეზე იდგა მეუერნეობის ესა თუ ის დარგი და რა გზით ხდებოდა თითოეული მათგანის განვითარება. ეს განსაკუთრებით შეეხება არქეოლოგიურ მონაცემებსა და ისტორიული ხასიათის ხალხურ გადმოცემებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის სახეობათა დადგენა.

---

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 68.

გასული საუკუნის ხევში აღმოჩენილი არქეოლოგიური ინვენტარი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია "ყაზბეგის განძის" სახელწოდებით[2]. ამ განძში მრავალი სახისა და სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ნივთებთან ერთად გვხვდება ჯიხვის ქანდაკებები, ჯიხვისავე რქები მასზე შემდგარი ფალოსიანი მამაკაცებით, ყოჩის ქანდაკებები დაგრეხილი რქებით და სამკაულები, რომელთა ნაწილი წარმოადგენს ძროხებისა და ხარების ფიგურებს. მნიშვნელოვან კომპონენტად გვესახება აგრეთვე ცხენის მოსართავებიც. ყოველივე ეს იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ ხევის უძველესი მკვიდრი მისდევდა მეცხვარეობას, მსხვილფეხა მესაქონლეობას, იყენებდა ცხენს და ნადირობდა ჯიხვზე. ეს საეჭვოდ არ მიგვაჩნია განსაკუთრებით იმის გამო, რომ ხევი დღემდე მეცხოველეობის რაიონად რჩება და ამ დარგის არსებობა მისი გეოგრაფიულ-სამეურნეო პირობებისათვის ყოველთვის კანონზომიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარტო მეცხოველეობისა და მონადირეობის სფეროდან არქეოლოგიური ნივთების შემონახულობა სრულებითაც არ არის მაჩვენებელი მხოლოდ ამ დარგების არსებობისა. მართალია "ყაზბეგის განძში" არ მოგვეპოვება არც ერთი ისეთი ნივთი, რომელიც წარმოდგენას მოგვცემდა სამიწათმოქმედო ან სახელოსნო იარაღებზე, მაგრამ ამის მიხედვით ხევის უძველეს წარსულში მიწათმოქმედების თუ მასთან დაკავშირებული სახელოსნო საქმიანობის უგულებელყოფა მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. თვით ამ უნიკალური განძის შექმნაში თუ კი მოხევეთა წინაპრებმა რაიმე წვლილი შეიტანეს, ეს თავისთავად უკვე ხელოსნობის მაღალი კულტურის მანიშნებელია, ხოლო თუ ეს საეგებოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, ის მაინც არ უნდა იწვევდეს ეჭვს, რომ ხევის უძველეს წარსულში მეურნეობის უძველესი დარგები უნდა ყოფილიყო მეცხოველეობა და მიწათმოქმედება.

ხევის ისტორიულ წარსულში ამ დარგების არსებობის შესახებ ცნობებს ვხვდებით შორეული ეპოქიდან შემონახულ ხალხურ თქმულებებსა და გადმოცემებში. ბევრ სხვა გადმოცემაში გვხვდება ცნობები იმის შესახებ, თუ სად ბალახობდა საქონლის ჯოგი ან ცხვრის ფარა, სად ბიბინებდა ქერის ყანა და სვილის ჯეჯილი და ა.შ. ამ ცნობების, ისევე როგორც ტოპონიმიკური მონაცემებისა თუ ზემოთგანხილული არქეოლოგიური ინვენტარის მიხედვით შესაძლებელია ვილაპარაკოთ მეურნეობის არსებულ სახეობებზე და არა მათი განვითარების დონეზე. გადმოცემათა შინაარსში სამეურნეო ყოფა ქვემდებარე საკითხად წარმოგვიდგება. არც ერთი ხალხური ნაწარმოების მიზანს არ შეადგენდა იმის ჩვენება, რაც ჩვენ დღეს გვაინტერესებს. მეურნეობის შესახებ ცნობების ასახვა ხდებოდა რაიმე ამბის მოთხრობასთან დაკავშირებით[3].

ამგვარად, არქეოლოგიური მასალისა და ისტორიული ხასიათის ხალხური

---

2 ლ. წითლანაძე, ყაზბეგის განძის ზოგიერთი საკითხისათვის, "მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის", III, თბილისი, 1963 (იქვე იხ. ლიტერატურა ყაზბეგის განძის შესახებ); მისივე, Культура племен горной части Центрального Кавказа VI-I веках до н.э. по археологическим памятникам, Автореферат канд. дисс. Тбилиси, 1967. (გვ.12)

3 ამ გადმოცემებს სხვა დროს შევეხებით.

გადმოცემებით ვეცნობით ხევში არსებულ მეურნეობათა სახეობებს და არა მათი განვითარების დონეს, მაგრამ ვინაიდან ხევი ალპური საძოვრებითა და მცირედი სახნავებით ცნობილ მაღალმთიან კუთხეს წარმოადგენს, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაარსებობის პირობებში წამყვანი ადგილი უკანასკნელს უნდა სჭეროდა, ხოლო მესაქონლეობიდან განსაკუთრებით დაწინაურებული უნდა ყოფილიყო მეცხვარეობა, ისტორიული ხევის სამეურნეო ყოფას ამ თვალსაზრისით შეხედავს ადამიანი რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე, რამდენადაც ხევი XIX-XX საუკუნეებში მეცხვარეობის ტიპიურ რაიონს წარმოადგენდა, მაგრამ იმისათვის, რომ ისტორიულ წარსულში რეალური მდგომარეობა დავინახოთ, პირველყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ რა გარემო პირობებში უხდებოდა მეცხვარეობას არსებობა და განვითარება, ჰქონდა თუ არა ხევის მოსახლეობას ყოველთვის იმის შესაძლებლობა, რომ ბარის საზამთრო საძოვრები გამოეყენებინა ისე, როგორც ეს მოხევეს შეეძლო XIX-XX საუკუნეებში. აი ის ძირითადი ფაქტორი, ურომლისოდაც ცხვრის ფარების მოშენება ფუჭი ოცნება იქნებოდა.

რა შეიძლება ითქვას საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში? ჩვენ მიგვაჩნია, რომ წარსულში მოხევეების შესაძლებლობა ამ მხრივ ძალზე შეზღუდული იყო. საქართველოს საზამთრო საძოვრები ისეთი მასშტაბისა არაა, რომ იქ ცხვრის დიდი ფარები გამოეკვებათ. მოხევეებთან ერთად ამ საძოვრებს ხომ სხვა ქართველი მთიელებიც იყენებდნენ. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ბართან მთიელების მეურნეობრივ კონტაქტს რამდენამდე ანელებდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებეს ხდიდა მტრის შემოსევა თუ ფეოდალური შინააშლილობა. წარმოვიდგინოთ მომენტი, როდესაც ქართლ-კახეთის ველებზე დათარეშობენ მონღოლთა თუ ყიზილბაშთა ურდოები, რომლებიც ბაღ-ვენახებს თხრიან, ყანებს წვავენ, პირუტყვს ულეტენ, მოსახლეობას განუკითხავად არბევენ და ამ დროს მთიელი მწყემსი მხარზე გადებული ჯოხით ფარას იქითკენ გასძღოლოდა. განა მას და მის ცხვარს გამოზამთრება და სახლში მშვიდობით დაბრუნება ეღირსებოდა? რა თქმა უნდა, რომ არა. ხოლო ვინაიდან საქართველო ხშირად იმყოფებოდა ასეთ განსაცდელში და თვით მშვიდობიანობის დროსაც მისი საზამთრო საძოვრები დიდი მეცხვარეობისათვის საკმარის ბაზას არ წარმოადგენდა, ამიტომ უნდა დავეთანხმოთ მოხევე მთხრობლებს, რომლებიც დაჟინებით გვიმტკიცებენ, რომ ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების ათვისებამდე მეურნეობის ეს დარგი ხევში განვითარების დიდი მასშტაბით არ იყო წარმოდგენილი.

თანახმად ყველა მთხრობლის მითითებისა, მოხევის დოვლათს ამ მხრივ "ბაგის ცხორი" წარმოადგენდა. ეს გამოთქმა პირდაპირ იმ გარემოების მანიშნებელია, რომ ხევში ცხვრის რაოდენობა ადგილობრივი საკვები რესურსებით, ე.ი. ბაგური კვებით იყო ლიმიტირებული. ასეთ პირობებში ოჯახს შეეძლო სულ ბევრი ორიოდე ათეული სულის შენახვა, რამდენადაც ხევის გრძელ ზამთარში თივის თუ ჩალის უანგარიშოდ გახარჯვის შესაძლებლობას აქაური მოსახლეობა მოკლებული იყო. მატყლის დიდი საჭიროება რომ არა, ბაგური კვების პირობებში ცხვრის ყოლაზე ხევის მოსახლეობა ალბათ სულ უარს იტყოდა, მაგრამ რაკი რამდენიმე სულის გამოკვებას მაინც ახერხებდნენ, ცხვარს იყენებდ-

ნენ აგრეთვე სახორცედ, ზვარაკად, ვალში გასაღებად და გადასახადებში[4]. მინიმალური რაოდენობით ცხვრის ყოლის პირობებში მისი რძის პროდუქტების დამზადება უმნიშვნელო როლს ასრულებდა. ამიტომ მოხევეების ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მსხვილფეხა მესაქონლეობა, რომლის შენახვა საზამთრო საძოვრების არსებობით არ იყო განპირობებული და მისი გამოკვებვის წყაროს თივა, ჩალა და ბზე წარმოადგენდა.

* * *

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ახალი ადმინისტრაციული წესრიგის დამყარების შედეგად ხევში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, რამდენადმე შეიცვალა მცხოვრებთა ეკონომიკური პირობებიც. აღნიშნული ვითარება ასახვას პოულობდა ოფიციალური ხასიათის რუსულ წყაროებში, რომელთაგან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიგვაჩნია ნ. ჭილაშვილის მიმოხილვა. XIX საუკუნის ხევის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ამავე საუკუნეში სხვა უფრო ადრინდელი წყარო არ გვეგულება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველ მთიელთა 1804 წლის აჯანყების მიზეზების ამსახველ ფრიად საინტერესო დოკუმენტს[5], რომელიც გვაცნობს გლეხთა ეკონომიკური პირობების მხოლოდ ერთ მხარეს. ამ დოკუმენტის სათანადო მუხლებში აღწერილია მეფის რუსეთის ხელისუფლებისაგან უკიდურესობამდე შევიწროვებული მოხევეებისა და მთიულების მდგომარეობა, საქართველოს სამხედრო გზაზე მათი შრომის არაადამიანური ექსპლუატაციის გამო. დოკუმენტიდან აშკარად ჩანს თუ რა გავლენას ახდენდა ხალხისა და ტრანსპორტის უფასოდ მუშაობა და საკუთარი მეურნეობიდან ხანგრძლივად მოწყვეტა ისედაც გაჭირვებული მთიელების ეკონომიკურ ყოფაზე. ხსენებული საბუთი ამ თვალსაზრისით უსათუოდ ყურადღების ღირსია, მაგრამ მოხევეთა მეურნეობის დახასიათების წყაროდ არ გამოგვადგება. ამიტომ გასული საუკუნის წყაროთა მიმოხილვისას პირველ რიგში ნ. ჭილაშვილის აღწერილობას უნდა მივმართოთ.

თანახმად ამ აღწერილობისა, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი და ოსებით

---

4 1779 წ. სალეკო თეთრის ნუსხაში, რომელიც ხევის სოფლებს შეეხება, ძირითადად საგადასახადო ერთეულად და შეიძლება ითქვას ექვივალენტად, ცხვარი გვევლინება (იხ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, თბილისი, 1955, 65-66). ცხვარი როგორც ნატურალური გადასახადი ხევში გამოიყენებოდა XIX საუკუნის პირველ მეოთხედშიც (იხ. ლ.გვახარია, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი, 1960, 74). (გვ.15).

5 Акты собранные кавказской археографической комиссией, ქვემოთ ყველგან АКАК, თ. VII; ა. ფრონელი, მთიულეთი 1804 წელსა (ისტორიული ამბავი), ტფილისი, 1896, 103-105; ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), თბილისი, 1951, 76-77. (გვ.17)

დასახლებული თრუსოს ხეობა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შეადგენდა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელსაც ეწოდებოდა მთიელთა სამმართველო[6]. ამავე აღწერილობაში ნ. ჭილაშვილი იძლევა რა თითოეული კუთხის სამეურნეო-ეკონომიკურ მიმოხილვას, ცალკე გამოყოფს ხევს, რომლისთვისაც უცნობი იყო მებაღეობა-მებოსტნეობა. ნ. ჭილაშვილის ცნობით მოხევეები იმ დროს მიწას ხნავდნენ კავში შებმული უღელი ხარით, თესდნენ ქერს, ხოლო ზოგან მოყავდათ ხორბალიც. ნიადაგს არ ასვენებდნენ. პურს ყოველწლიურად ყიდულობდნენ საქართველოს სხვა რაიონებში და თვით ვლადიკავკაზს იქით - ნაზრანში. უტყეობის გამო საწვავად იყენებდნენ წივას. სამაგიეროდ სარგებლობდნენ საკმაოდ ვრცელი და კარგი სათიბ-საძოვრებით. მოსახლეობა მისდევდა მეცხვარეობას; მისი რძიდან ამზადებდნენ ყველს, მატყლისაგან აწარმოებდნენ მთის მაუდსა და ნაბადს, ხოლო ტყავებისაგან უბრალო ქურქებს.

ნ. ჭილაშვილის დაკვირვებით, მაშინდელ ხევში საყოველთაო სიღარიბე სუფევდა. სიღატაკეში მყოფი მოხევეების არსებობის ერთადერთ საშუალებას და შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა საქართველოს სამხედრო გზით მთებზე ამუნიციისა და სავაჭრო საქონლის გადაზიდვა. მათ ტვირთი გადაჰქონდათ საპალნით, ვინაიდან ამ მთებში ბორბლიანი ტრანსპორტის გამოყენება შეუძლებელი იყო. აქ ზაფხულშიც კი მშრალ მინაზე მარხილებს დაათრევდნენ[7]. როდესაც ნ. ჭილაშვილმა ასეთ სამეურნეო ვითარებას საკუთარი თვალით შეხედა და მოხევეებზე გაწერილ გადასახადებსაც გაეცნო, აშკარად შეუსაბამობა დაინახა რეალურად არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და საგადასახადო ნორმებს შორის. მან ხევსა და თრუსოს ხეობაში უფრო დიდი ყალანის (მიწის გადასახადი) არსებობა დაამოწმა, ვიდრე მეზობელ მთიულეთ-გუდამაყარში, მაშინ, როდესაც სამეურნეო პირობებით მთიულეთ-გუდამაყარი ხევსა და თრუსოსთან შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა[8]. ნ. ჭილაშვილი კიდევ უფრო დაუფიქრებია იმ გარემოებას, რომ ხევის ღარიბი მოსახლეობა ძველთაგანვე უფრო მძიმედ ყოფილა დაბეგრილი, ვიდრე მოხევეებზე შეძლებული ბარელები და უცდია ამ მოვლენის ახსნა. მოსახლეობის შევიწროვება რომ მეფის განზრახვით მომხდარიყო მათი აქედან სხვაგან გადასახლების მიზნით, ნ. ჭილაშვილის სამართლიანი შეხედულებით, ეს საქართველოს ისტორიული მდგომარეობისათვის გაუმართლებელი იქნებოდა. ნ. ჭილაშვილის ვარაუდით, ხევის მძიმედ დაბეგვრა შესაძლებელია გამოეწვია იმ გარემოებას, რომ ამ კუთხეს შედარებით ნაკლებად უწევდა მტრისაგან განადგურება, რის გამო მეფის ხელისუფლებაც მშვიდობიან პირობებში მყოფი მოსახლეობისაგან მეტს მოითხოვდა. ნ. ჭილაშვილი აქვე ამოწმებს ერთ ხალხურ გადმოცემას, თითქოს მოხევეები ოდესღაც მეფეს აუჯანყდნენ და მეფემ მათ სასჯელად მძიმე გადასახადები დაუწესაო[9].

ვინაიდან ნ. ჭილაშვილის ეს არგუმენტი ვარაუდს წარმოადგენს და კატეგორიულ მტკიცებას არ შეიცავს, ზედმეტად მიგვაჩნია მისი კრიტიკული განხილ-

6 AKAK, VII, 348. (გვ.18)
7 იქვე, 349. (გვ.18)
8 AKAK, VII, 349-350. (გვ.19)
9 AKAK, VII, 351. (გვ.19)

ვა. ამ შემთხვევაში შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმისი აღნიშვნით, რომ მოხევის გადასახადი არავითარ შემთხვევაში ბარელი მეურნის გადასახადზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ კახეთის სამეურნეო-ეკონომიკურ პირობებთან შეფარდებით შევხედავდით გადასახადების მოცულობას, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხევისათვის ერთი მანეთი უფრო მძიმე ბეგარა ყოფილიყო, ვიდრე, მაგალითად, კახელისათვის ხუთი მანეთი. ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში ნ. ჭილაშვილსაც, როდესაც მოხევეების გაჭირვებას გვაცნობდა, თორემ სხვაგვარად თეორიულადაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა სოციალური მდგომარეობით ბარელებზე თავისუფალი მთიელები უფრო მძიმედ დაბეგრილნი ყოფილიყვნენ.

მცდარია ნ. ჭილაშვილის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს მოხევეების შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა ქირით ტვირთის ზიდვა. აქ მხოლოდ ფულად შემოსავალს თუ ვიგულისხმებდით, ვინაიდან ფულის შოვნის სხვა საშუალება იმდროინდელ ხევში მართლაც არ არსებობდა. საერთო ეკონომიკური ვითარების გათვალისწინების შემთხვევაში კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ტვირთის ზიდვა და გზაზე მუშაობა ხევში დამხმარე საქმიანობას წარმოადგენდა მეურნეობის ძირითადი დარგების - მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების გვერდით. ნ. ჭილაშვილის ამ დებულებას ეწინააღმდეგება მის მიერვე ჩამოთვლილი ნატურალური ვალდებულებანი მთიელებისა რუსთა სამხედრო ნაწილებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წინაშე. 10 მუხლად გვაცნობს რა ამ ვალდებულებებს, ნ. ჭილაშვილი არ მალავს თუ იძულებით, ყოველგვარი ანაზრაურების გარეშე, რუსი მოხელეები სამხედრო გზაზე როგორ ამუშავებდნენ მოხევეებსა და მთიულებს, როგორ ასევე უფასოდ იყენებდნენ მათ ტრანსპორტს და ხშირ შემთხვევაში გადაუდებელი სეზონური სამუშაოებისაგან ძალდატანებით მოწყვეტის გამო რანაირ გასაჭირში ვარდებოდა ულუკმაპუროდ დარჩენილი მთიელის ოჯახი.

ნ. ჭილაშვილი თვითონ ყოფილა იმის მოწმე, როდესაც მომკილი თუ აუღებელი პური მინდვრად წვიმაში ლპებოდა, ვინაიდან მამაკაცები ბეგარაზე იმყოფებოდნენ, ხოლო ქალები ვეღარ აუდიოდნენ შემოდგომის შრომატევად საქმიანობას[10].

ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში ქირით ტვირთის ზიდვა ხევში შემოსავლის მთავარი წყარო ყოფილიყო. ზოგიერთი ასეთი გაუგებრობის მიუხედავად ნ. ჭილაშვილი მოხევეების საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას სწორად აფასებდა. მას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ რეალური ვითარების შეფასებაში, როდესაც ხევს ღარიბ კუთხედ გვიხატავს და აქაურთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საკითხს აყენებს.

ნ. ჭილაშვილის ცნობით, 1820-იანი წლების ხევში არსებობდა გლეხთა სამი კატეგორია: სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო. აქედან 89 კომლი ყოფილა საბატონო და საეკლესიო გლეხი, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა შედგებოდა სახელმწიფო გლეხებისაგან. ნ. ჭილაშვილი მოითხოვდა, რათა საბატონო და საეკლესიო გლეხის ოჯახისთვის დაეკისრებინათ მხოლოდ 1 მანეთი კომლობრივი გადასახადი, ხოლო სახაზინო გლეხის ოჯახის კომლობრივი გადასახადი

10 АКАК, VII, 350. (გვ.20).

შეემსუბუქებინათ 1-2 მანეთით[11]. ეს მაშინ, როდესაც კომლობრივი გადასახადი, რომლის გამოღება ძველად ნატურით ხდებოდა, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ უმთავრეს შემთხვევაში 3 მან. და 50 კაპ. ვერცხლს შეადგენდა[12]. გადასახადის ღირებულებაზე წარმოდგენის შესაქმნელად არ იქნება ინტერესს მოკლებული აქვე აღინიშნოს, რომ ნ. ჭილაშვილის ხევში მისვლამდე ცხვარი შეფასებული იყო 1 მანეთად, ხოლო ნ. ჭილაშვილის იქ ყოფნის დროს მისი ღირებულება უკვე 2 მანეთს შეადგენდა[13]. ყოველივე ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნ. ჭილაშვილი არც სახელმწიფო ინტერესებს ივიწყებს. ეს შეეხება სახელდობრ მიწის გადასახადის (ყალანის) მოწესრიგების საქმეს. როგორც იგი წერს, მოხევეს უფლება ჰქონდა თავისი ნაკვეთი გაეყიდა, ვალში მიეცა ანდა სისხლის საურავი გაეღო. ეს გარემოება იწვევდა სახელმწიფო შემოსავლის შემცირებას, ვინაიდან, ძველი ჩვეულების მიხედვით, გასხვისებულ მიწაზე გადასახადის გაწერა აღარ ხდებოდა[14]. ამიტომ სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით მან საჭიროდ დაინახა, რათა აკრძალულიყო სახაზინო მიწების გასხვისების ეს წესი, მომხდარიყო ნადელების გამოყოფა და ამის შესაბამისად განხორციელებულიყო ყალანის თანაბრად გაწერა[15]. ამგვარად, ნ. ჭილაშვილის ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მოხევეების საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა და საქართველოს სამხედრო გზაზე ტვირთის ზიდვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ მან არასწორად შეაფასა ტვირთზიდვის როლი მოხევეთა ეკონომიკაში. სამაგიეროდ, მისი სამართლიანი შეხედულებით, ამ ღარიბ კუთხეში განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა პურეულის ნაკლებობა, ხოლო შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა მესაქონლეობისათვის. ამ მონაცემების მიხედვით მხოლოდ ზოგადად ვეცნობით ხევის სამეურნეო ყოფას, რამდენადაც ნ. ჭილაშვილს არ მოუცია რომელიმე ცალკე აღებული ოჯახის ეკონომიკური საფუძვლების ჩვენების ცდა. ამ მხრივ ავტორი დაკმაყოფილდა მხოლოდ გადასახადების აღწერით და იმის აღნიშვნით, რომ სახაზინო მიწის ყველაზე დიდი საგადასახადო ნაკვეთი ანუ საკომლო ერთ დესეტინას არ აღემატებოდა. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო სახნავ-სათესი ადგილი, რამდენადაც ნ. ჭილაშვილი მიწის ამ ნაკვეთს თვლიდა რამდენიმე ოჯახის კუთვნილებად, ხოლო ოჯახად ის გულისხმობდა ერთ საქორწინო წყვილს. ერთ საკომლო ნაკვეთზე რამდენიმე ასეთი წყვილის ჯდომა და მათ მიერ ერთი საკომლო გადასახადის (ყალანის) გამოღება თავისთავად ერთ ჭერქვეშ მათი ცხოვრების მანიშნებელია.

11 AKAK, VII, 351. (გვ.21).
12 იქვე, 349. (გვ.21)
13 იქვე, 348. (გვ.21)
14 იქვე, 348. (გვ.21).
15 იქვე, 350. (გვ.21)

* * *

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხევის სამეურნეო ყოფის შესახებ თუ მარტო ნ, ჭილაშვილის აღწერილობა გაგვაჩნია, სამაგიეროდ მის მეორე ნახევარში ამ საკითხისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა. ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური პირობები ახლა უკვე შეისწავლებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირში. ამ თვალსაზრისით საკითხის დასმა და გაშუქება პირველყოვლისა ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული. დამახასიათებელია, რომ პირველი საპროგრამო სიტყვა ილიამ თავის გენიალურ "მგზავრის წერილებში" თქვა, ეს სიტყვა პირველ რიგში მოხევეების ცხოვრების პირობებს შეეხებოდა, ხოლო მწერლის კონცეფციის წყაროს მოხევისავე ნაამბობი წარმოადგენდა.

გარდა იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე "მგზავრის წერილებში" ხევის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ბევრ საყურადღებო მოვლენას აშუქებს[16], მთხრობლის ნაამბობზე დაყრდნობით ის ეხება მოხევეთა მეურნეობასა და საქმიანობასაც. ისევე როგორც სოციალური ურთიერთობის სფეროდან, მოხევეების ეკონომიკური ყოფიდანაც ილიას სააშკარაოზე გამოაქვს მხოლოდ ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები. სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა რატომ მხოლოდ მიწისა და ქირაზე სიარულის შესახებ წარიმართა ილიას მსჯელობა მოხევესთან და მათ შორის კრინტიც არ ყოფილა დაძრული მესაქონლეობის შესახებ. ილიას წინაშე ეს საკითხი იმიტომ არ დასმულა, რომ მესაქონლეობა მაშინდელ ხევში მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა და მისი განვითარების დონით ხევის მკვიდრიც რამდენადმე კმაყოფილი იყო. სამაგიეროდ მოხევე მწვავედ განიცდიდა სახნავი ნაკვეთების სიმცირით გამოწვეულ სიდუხჭირეს და მისი ჩივილიც ამიტომ ამ საკითხს შეეხებოდა: "თვითაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექნების, ვიწროდ ვარნ - ამ სიტყვებით ხატავდა მწერალი არსებულ ვითარებას. ასევე უკმაყოფილებას განიცდიდა მიხევე იმიტომაც, რომ ქირაზე ნაშოვნი გროშები "ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მახევე სვამეხის კერძია. ჭამადი-სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის[17]".

ამგვარად, ი.ჭავჭავაძემ მოხევე აალაპარაკა მაშინდელი ხევის მტკივნეულ ეკონომიკურ საკითხებზე. მწერალსა და მის მთხრობელს შორის ეს საკითხი არ დასმულა მესაქონლეობის შესახებ, რომელსაც შემოსავლის ხვედრითი წონით მხარს ვერ უსწორებდა მიწათმოქმედება[18].

ილია ჭავჭავაძის შემდეგ ხევის სამეურნეო ყოფას განსაკუთრებით ვრცლად შეეხო ალ. ყაზბეგი. მან, როგორც მოხევეთა ცხოვრების შეუდარებელმა მცოდნემ, ხევის ისტორიული წარსულისა და ყოფის მრავალ სხვა საინტერესო საკითხთან ერთად, თავის ეთნოგრაფიულ, პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოე-

---

16 1. ვ. ითონიშვილი, ეთნოგრაფიული მასალების გამოყენების შესახებ ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში, ილიას საიუბილეო კრებული, თბილისი 1957, 115-119; მისივე, ილია ჭავჭავაძე ხევში, გაზ. "ახალი ხევი", 1957, N 80-81, მისივე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963, 68-81.

17 ი. ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, თხზ., ტ. II, თბილისი, 1950, 24-25.

18 ვ.ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, 71-72.

ბებში სათანადო ადგილი დაუთმო სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ მასალებსაც და მათი სათანადო გაშუქებაც მოგვცა. ალ. ყაზბეგის შემოქმედების გაცნობის შემდეგ მკითხველს არ გაუჭირდება იმის დანახვა, რომ მეურნეობის ძირითად დარგებს აქ მესაქონლეობა და მიწათმოქმედება წარმოადგენდა, ხოლო დამხმარე საქმიანობათა წყებას განეკუთვნებოდა საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა, ქირით ტვირთის ზიდვა და მონადირეობა.

როგორც ალ.ყაზბეგი შენიშნავს, ხევის უტყეო და გახრეკილი მთები, წვიმებისაგან ჩამორეცხილი ფერდობები და კლდის ჩამონაშალით სავსე მინდვრები გამორიცხავდა ხვნა-თესვით აქაური მოსახლეობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას[19]. ერთ-ერთ ლექსშიც ალ. ყაზბეგი თავის ქვეყანას მაღალმთიანსა და ხრიოკს უწოდებს, რომლის "კიდეთა ბეჩავნი უღელის ხარით ხვნიანო"[20]. ნიადაგის სიმწირე მიაჩნდა მწერალს პირად საკუთრებაში სახნავი ადგილების მფლობელობის განმსაზღვრელ პირობადაც, როდესაც ის ალ. ხახანაშვილს ატყობინებდა: "საძოვარი, მთა თუ ბარი ეკუთვნოდა საერთოდ ერობას და ვისაც რამდენი საქონელი ეყოლებოდა, შეეძლო თავისუფლად ეძოვებინა (ეხლა ესეც შეიცვალა და ამგვარი საძოვრები დაუსაკუთრა ახალმა დებულებამ ან თვითეულს პირს, ან თვითეულს სოფელს და ან თვითეულს გვარს). საკუთრება უძრავ მამულში მხოლოდ სახნავები ჰქონდა, რადგანაც ქვიანის ადგილის მოკეთება და სახნავად გამოყენება დიდს შრომას და მოვლას ითხოვდა." [21] ასეთ ვითარებაში მოხევეთა დამხმარე საქმიანობად მწერალს მიაჩნდა ქირაზე სიარული ვლადიკავკაზსა და თბილისს შორის. "რასაკვირველია, ეს სამუშაო, წერს ალ. ყაზბეგი, როგორც ცხოვრებისათვის საშუალება, მოხეებისათვის დიდი ღვთის წყალობა არის; მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენი ხათაბალა მოსდევს ამ შრომას, გაშტერებული დარჩებოდით, თუ როგორღა დადიან მოხევეები ქირაზედ და ენერგია დაკარგულნი ყოველაფერს თავს არ ანებებენ და არ გადაიკარგებიან სადმე?" [22] ალ. ყაზბეგის დაკვირვებით, ქირაზე მავალი მოხევეების მდგომარეობას ართულებდა მათი შრომის ექსპლოატაცია და გაუთვალისწინებელი ხარჯები. მწერალი დაწვრილებით გვაცნობს მაშინდელ მოხელეთა მიერ ბარგის მზიდავი მოხევეების ძარცვის მრავალნაირ ფორმას, რითაც მწერალი ეხმაურება კაპიტალისტური ურთიერთობის გარემოში ჩავარდნილი მთიელის მძიმე მდგომარეობის შესახებ ილიას "მგზავრის წერილებში" დასმულ საკითხს.

გარდა ქირაზე სიარულისა მოხევეთა დამხმარე საარსებო საშუალებად ალ. ყაზბეგს მიაჩნდა საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობაც. სხვა სახის სამუშაო XIX საუკუნის ხევში მწერალს არ ეგულებოდა. მისი ეს შეხედულება ასახულია ერთ-ერთი ნაწარმოების გმირთა დიალოგში. ძაუგის (ვლადიკავკაზის) ბაზარში ბეჟია შეხვდება მოხევის დედაკაცს, რომელიც აქ საავადმყოფოში მრეცხავად დამდგარა. ბეჟიას შეკითხვაზე თუ რატომ გაბედა ამ სამუშაოში ჩაბმა დედაკაცმა, ეს უკანასკნელი პასუხობს: "აჰუ, ჩემო ყველავ!... რაღა საქმეს ვიშოვნიდი?... გზაზედ სამუშაოდ ვერ დავდგებოდი და ცხო საქმე კი ჩვენში არაა"... [23] აქედან

19 ალ. ყაზბეგი, მოხევეები და იმათი ცხოვრება, თბ., ტ.V, 7-8.
20 3. ალ. ყაზბეგი, ჩემო ქვეყანავ, თხზ., ტ.III, თბილისი, 1950, 29
21 ალ. ყაზბეგი, წერილი ალ. ხახანაშვილისადმი, თხზ., ტ.V, 224-225.
22 ალ. ყაზბეგი, მოხევეები და იმათი ცხოვრება, თხზ., ტ.V, 8.
23 ალ. ყაზბეგი, ციცია, თხზ., ტ.II, თბილისი, 1948, 153.

ნათელია, რომ ხევში ალ. ყაზბეგი გარესამუშაოებიდან შემოსავლის დამხმარე წყაროდ თვლიდა მექირავნეობასა და გზაზე მუშაობას, რომელთაგან ორივე მამაკაცის საქმედ იყო მიჩნეული.

ისედაც ცნობილია და ალ. ყაზბეგის ნაწარმოებიდანაც კარგად ჩანს, რომ ხევში მამაკაცთა ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე ისეთი უძველესი ტრადიციების მქონე დამხმარე საქმიანობა, როგორიცაა მონადირეობა.[24] ამ საქმიანობისადმი მოხევეების დიდი მიდრეკილების მაჩვენებელია თვით ის მრავალფეროვანი ჩვეულებები, რომლებსაც ალ. ყაზბეგი მისთვის ჩვეული ოსტატობით გვაცნობს თავის შემოქმედებაში. ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა ჯიხვის ხორცს, ტყავსა და რქას. როგორც ერთ-ერთი ნაწარმოებიდან ჩანს, შემოდგომაზე ჯიხვის ხორცით მომარაგება ხევში მიღებულ წესს წარმოადგენდა. ამიტომ ათქმევინა მწერალმა დედასთან საუბარში თავის ერთ-ერთ გმირს ციცკას: "მე მთაჩი ნადირობ წავალ და ამაღამ იქ დავრჩები, ხვალ დილით გზას შეუკრამ, ეგების რამდენიმე ნადირი მოვკლა... თორემ სთველი მოვიდა და ჩვენ კი დამარილებული ხორცი არა გვაქვს." [25]

ყოველივე ეს გარკვეულ როლს ასრულებდა მოხევეთა ეკონომიკაში, მაგრამ მათი ცხოვრების მთავარ წყაროს ალ. ყაზბეგი ხედავდა მესაქონლეობაში, რომელიც მას მეურნეობის წამყვან დარგად ესახებოდა. მწერალი განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებდა მაშინ უკვე მზარდსა და დიდი პერსპექტივების მქონე მეცხვარეობას. ალ. ყაზბეგი თავის მხატვრულ ნაწერებში დიდ ადგილს უთმობს მეცხვარეთა ცხოვრებისა და მეცხვარეობის აღწერას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი "ნამწყემსარის მოგონებანი", რომელშიაც ნამეცხვარალი ავტორი დაწვრილებით გვაცნობს მეცხვარეობის ორგანიზაციას, მისი მთაბარობის მარშრუტებს, ყველა არსებულ სიძნელეებსა და მეცხვარეობის სასაქონლო მნიშვნელობას. სომეხი ვაჭრების სიარული ხევში მატყლის შესაძენად და თვით უცხოელების ამ მიზნით აქ მოსვლა, რომლებსაც მწყემსად მყოფი მწერალი ფრანგულად გამოელაპარაკა, მანიშნებელია იმისა, რომ კაპიტალიზმის განვითარების პირობებში მეცხვარეობიდან მიღებულ ნედლეულზე მოთხოვნილება იზრდებოდა. მაშასადამე, მეცხვარეობის მნიშვნელობა თანდათანობით სცილდებოდა შინამოთხოვნილების ფარგლებს და ის სავაჭრო-სასაქონლო დარგად ყალიბდებოდა.

ალ. ყაზბეგის შეხედულება იმის შესახებ, რომ ხევში იმ დროს განვითარებად დარგს მეცხვარეობა წარმოადგენდა, რელიეფური სიცხადით გამოიკვეთა პეტრე უმიკაშვილთან კამათის ფონზე.

1882 წელს პეტრე უმიკაშვილმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ის შეეხო ბაქოს რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით მთიულებისა და მოხევეების მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ მდგომარეობას. ის შიშს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მთიელების ცხოვრების პირობები გაუარესდებოდა, ვინაიდან ამ-

---

24 ამ საკითხზე იხ. ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, I, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბილისი, 1941; ვ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბილისი, 1964.

25 ალ. ყაზბეგი, ციცკა, თხზ., ტ.I, თბილისი, 1948, 2.

იერიდან ტვირთის ზიდვა რკინიგზით იწარმოებდა, ხოლო მოხევეებსა და მთიულებს, რომლებიც ქირაზე სიარულით ირჩენდნენ თავს, შემოსავლის წყარო მოესპობოდათ. ვინაიდან პ. უმიკაშვილს მთაში ცხოვრების სხვა საშუალება არ ეგულებოდა, მან უმჯობესად მიიჩნია მოხევეები და მთიულები საცხოვრებლად გადასულიყვნენ ოსმალეთის მონობიდან განთავისუფლებულ აჭარაში ანდა დაუფლებოდნენ რაიმე ახალ ხელობას, სახელდობრ ქვის მთლელობას და კალატოზობას.[26]

პ. უმიკაშვილს საპასუხო წერილით გამოეხმაურა ალ. ყაზბეგი,[27] რომელიც არ იზიარებს პ. უმიკაშვილის მტკიცებას მთიელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ალ. ყაზბეგის შეხედულებით, რაც ემყარებოდა მთიელთა სამეურნეო ყოფის საფუძვლიან ცოდნას, მოხევეებისა და მთიულების ძირითად საარსებო წყაროს ქირაზე სიარული კი არ წარმოადგენდა, არამედ მესაქონლეობა, რომელსაც გააჩნდა ზრდისა და განვითარების პერსპექტივები.

მესაქონლეობის დაწინაურების საფუძვლად ალ. ყაზბეგს მიაჩნდა მთის საზაფხულო საძოვრები და იმ დროს უკვე ცხვრის გამოსაზამთრებლად გამოყენებული ჩაჩნეთის მინდვრები. ალ. ყაზბეგი იმასაც კარგად ხედავდა, რომ მთაში მესაქონლეობის არსებული დონის ერთიანად ამაღლების შესაძლებლობა არსებობდა, ხოლო ამის დამაბრკოლებელ მიზეზად მას ესახებოდა საძოვრების უთანაბრო განაწილება სოფლებს შორის და რიგ შემთხვევებში ცალკეული პირის მიერ მთების დასაკუთრება. პ. უმიკაშვილისადმი საპასუხო წერილში ალ. ყაზბეგი აღრმავებდა და ავითარებდა იმ შეხედულებას მთიელთა სამეურნეო-ეკონომიკური პირობების შესახებ, რომელიც მას დასაბუთებული ჰქონდა 3 წლით ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში ("მოხევეები და იმათი ცხოვრება") და ალ. ხახანაშვილთან მიმოწერაში. ამ საკითხს ალ. ყაზბეგი კიდევ ერთხელ შეეხო თავის ერთ-ერთ დაუმთავრებელ წერილში,[28] რომელშიც ისევე, როგორც ზემოთ განხილულ წერილებში, უკმაყოფილებას გამოთქვამდა მესაქონლეობის არსებული მდგომარეობით და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით მოითხოვდა მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი პირობების მაქსიმალურად გამოყენებას, მეურნეობის ამ დარგის შემდგომ დაწინაურებას.

პ. უმიკაშვილთან პაექრობაში ალ. ყაზბეგი მეურნეობის სხვა დარგს არ შეხებია. მან მიზნად დაისახა მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ პ. უმიკაშვილი ცდებოდა, როდესაც ის მთიელთა ცხოვრების ძირითად სახსარს ქირაზე სიარულში ხედავდა, ხოლო მთისთვის ოდითგანვე დამახასიათებელ მთავარ საქმიანობას ვერ ამჩნევდა. ამიტომ ალ. ყაზბეგს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მიუმართავს ციფრობრივი მონაცემებისთვისაც და როდესაც მან ერთიმეორის საპირისპიროდ განიხილა ქირაზე სიარულით თუ მეცხვარეობით მიღებული შემოსავალი და არსებული ხარჯები, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეცხვარეობა იყო რეალური შემოსავლის წყარო, ხოლო ქირაზე სიარული გლეხს ზარალის მეტს

---

26 პ. უმიკაშვილი, თერგის ხევი და მთიულეთი, გაზ. "დროება", 1882, №270.

27 ა. მოჩხუბარიძე, მოხევეებისა და მთიულების მდგომარეობა მომავალში, გაზ. "დროება", 1983, №№4, 7; შდრ. თხზ. ტ.V, 74-80.

28 ამ წერილის ნაწყვეტი მწერლის არქივიდან ამოიღო და გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა ალ. ყაზბეგის თხზულებათა მეხუთე ტომის შენიშვნებში (იხ. ტ.V, 511).

არაფერს აძლევდა. ალ. ყაზბეგის მტკიცებით, "ქირის ზიდვას, გარდა ომიანობის დროისა (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომი, 1877-1878 წ. — ვ.ი.), როდესაც ფუთი ქირა სამ მანეთამდის ასულა, თავის დღეში სარგებელი არ მოუტანია მთის ხალხისათვის და არც ოდესმე მოუტანს, თუ იმ პირობებს თავიდგან ვერ აიცილებენ, რომელშიაც ეხლა დგანან".[29] მწერალს მხედველობაში ჰქონდა სხვადასხვა ჯურის მოხელეთა მიერ მთიელთა შეუბრალებელი ყვლეფა და ხშირ შემთვევაში მათი ბეგარაზე გაყვანა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, რის შესახებაც წერდა ჯერ კიდევ ზემოხსენებულ ფელეტონებში.

როგორც ვხედავთ, ალ. ყაზბეგი ხევს წარმოგვიდგენს სახნავი მიწებით ღარიბ კუთხედ, სადაც ხალხის არსებობა ძირითადად დამოკიდებული იყო მესაქონლეობაზე, განსაკუთრებით მზარდ მეცხვარეობაზე. რაც შეეხება მთიელთა დამხმარე საქმიანობას, მწერალი ამათგან ვრცლად შეეხო ქირაზე სიარულს, რომლის სარგებლიანობა აქ გარკვეულ ვითარებაზე (სახელდობრ ომიანობაზე) ყოფილა დამოკიდებული.

პ. უმიკაშვილისა და ალ. ყაზბეგის პაექრობაში, რასაკვირველია, სიმართლე ალ. ყაზბეგის მხარეზე იყო. სავსებით სწორ დასკვნებს აკეთებს მწერალი აგრეთვე ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ წერილებში. მის შეხედულებებს მოხევეთა სამეურნეო-ეკომომიკური პირობების შესახებ მხარს უჭერენ სხვა იმდროინდელი მონაცემებიც, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით, მაგრამ ვიდრე ამ წყაროების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ქირაზე სიარულის საკითხი პრესაში შემთხვევით არ დასმულა. როგორც ჩანს, ეპიზოდურად ეს საქმიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთიელთა ცხოვრებაში. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ალ. ყაზბეგსაც, როდესაც ქირაზე მოსიარულეთა სარგებლიანობის საკითხს განსაკუთრებულ სიტუაციას (ომს) უკავშირებდა. როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან და პერიოდული პრესის მონაცემებიდან ჩანს, ომიანობა და ვაჭრობის განვითარება ასევე ზრდიდა ტრანსპორტის მნიშვნელობას შემდგომ პერიოდშიც, რომელსაც ალ. ყაზბეგი აღარ მოსწრებია.

ამგვარად, პრესაში გამოთქმული შეხედულებები შეეხება XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქირით ბარგის ზიდვის ეკონომიკურ მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია აღინიშნოს, რომ მისი ეს მნიშვნელობა მარტოოდენ ხსენებული ეპოქით არ განისაზღვრებოდა, რამდენადაც საქართველოს სამხედრო გზაზე ტვირთის გადატანის საქმეს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ საქმიანობის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია დარიალის კარიბჭეში გამავალსა და უძველესი დროიდანვე დიდი როლის მქონე სატრანზიტო მაგისტრალის არსებობასთან. ძნელი წარმოსადგენია, რომ ომიანობის თუ მშვიდობიანობის დროს ამ გზაზე მიმოსვლა ოდესმე ხევ-მთიულეთის მკვიდრთა აქტიური მონაწილეობის გარეშე მომხდარიყო. ამიტომაა, რომ სხვადასხვა ეპოქის წყაროების მიხედვით, მოხევეები გვევლინებიან არა მარტო დარიალის ხეობის საიმედო მცველებად, არამედ საუკეთესო მეგზურებადაც. მათი მონაწილეობის გარეშე არ ხდებოდა სამხედრო ნაწილების გადაადგილება, ვაჭართა ქარავნების

29 ალ. ყაზბეგი, მოხევეებისა და მთიულების მდგომარეობა მომავალში, თხზ., ტ.V, 75.

გავლა, დიპლომატიური მისიების დაცვა-გაცილება და ა.შ. მოხევეებისაგან შედგებოდა ქართველ მეფეთა ის საიმედო ამალა, რომლის მოქმედებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ჩრდილოეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან მოსულ მტრებთან თუ მოყვრებთან ურთიერთობა. მდ. თერგისაგან გზის წალეკვისა და ჯვრის უღელტეხილზე თოვლის ზვავების ჩამოწოლის დროს ხომ მოხევეების დახმარების გარეშე მგზავრს ამ ურთულესი ტრასის დაძლევაზე ოცნებაც კი არ შეეძლო.

განსაკუთრებით მძიმე იყო ბარგიანი მგზავრის მდგომარეობა, რომლის დახსნა გაჭირვებიდან შეეძლო მხოლოდ მთიელს თავისი საკუთარი მხრებით, საპალნით ან მარხილით. ასეთ ვითარებაში თავისთავად იქმნებოდა იმის პირობები, რომ მოხევეს გასამრჯელო მიეღო. მაშასადამე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეც დარიალის კარებში გამავალ გზაზე ტრანსპორტისა და საკუთარი შრომის გაქირავება ხევში ამ გზის მნიშვნელობით იყო განპირობებული.

საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლის დროს, როგორც ამის შესახებ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ხევ-მთიულეთში მეფის რუსეთის ჩინოვნიკებმა დანერგეს იძულებითი შრომის აუტანეული ნორმები, რასაც შედეგად მოყვა მთიელთა აჯანყება 1804 წელს.[30] აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. 1804 წლის 31 ოქტომბერს მთიანეთის მცხვორებლებისადმი გამოცემულ სპეციალურ ბრძანებაში პ. ციციანოვი დაპირებას იძლეოდა სახელმწიფო საქმის შემსრულებელ გლეხთათვის ფასების დაწესების შესახებ[31], მაგრამ იგივე პ. ციციანოვი უსასტიკეს ზომებსაც მაშინათვე მიმართავდა, თუ კი მთიელები დავალების შესრულებაზე უარს იტყოდნენ.[32] ამ დაპირების მიუხედავად ხალხის იძულებითი მუშაობა კვლავ გრძელდებოდა. როგორც ნ. ჭილაშვილის ნაშრომიდანაც დავინახეთ, ბეგარაზე უფასოდ გაყვანისა და სოფლის მეურნეობიდან მშრომელთა ხანგრძლივად მოწყვეტის შემთხვევები აჯანყებიდან ორი ათეული წლის შემდეგაც არ წარმოადგენდა იშვიათობას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცუდი გზების გამო ჯერ კიდევ რთულ პირობებში ხდებოდა ტვირთის გადატანა. გავიხსენოთ თუნდაც ა. პუშკინის მოგზაურობა და ის სიძნელეები, რაც მას შეხვდა განსაკუთრებით ჯვრის უღელტეხილზე გადასვლისას 1827 წელს.[33] ბორბლიანი ტრანსპორტით მაშინ შეუძლებელი იყო გზის ყველა მონაკვეთის დაფარვა. ამიტომ ბარგს კვლავ საპალნით ეზიდებოდნენ[34] , ხოლო თერგის ხეობაში-ს. სტეფანწმინდიდან ს. ჩიმამდე, მთელი 30 ვერსის სიგრძეზე ტვირთი მხრებით გადაჰქონდათ. სტეფანწმინდიდან დარიალამდე ამ საქმეში მონაწილეობდნენ ქართველები (კერძოდ მოხევეები-ე.ი.), ხოლო დარიალიდან ჩიმამდე-თაგაურელი ოსები.[35]

ბორბლიანი ტრანსპორტით შეუფერხებელი მოძრაობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზის გენერალური რეკონსტრუქციის შემ-

30 ა. ფრონელი, დასახ. ნაშრომი; ვ. ტოგონიძე, დასახ. ნაშრომი
31 АКАК, II, 334.
32 იქვე, 336-337
33 А. Пушкин, Путешествие в Арзруме во время похода 1829 года. Полное собрание сочинений, т. IV, Москва, 1949, 421-426.
34 АКАК, 349.
35 Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, 275-276.

დეგ, რაც განხორციელდა 1863 წელს. გზის შეკეთებაზე ზრუნვა კი რუსეთის ხელისუფლებამ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელისმოწერისთანავე დაიწყო. კავკასიაში ძალაუფლების განმტკიცების მიზნით 1784 წელს თერგის ხეობაში იწყებენ სამხედრო მნიშვნელობის ნაგებობათა კეთებას. 1799 წელს უკვე გაიხსნა მუდმივი მოძრაობა თბილისიდან ვლადიკავკაზამდე, მაგრამ გზა ჯერ კიდევ ტექნიკურად უიმედო მდგომარეობაში იყო, რის გამოც მგზავრს მრავალი დაბრკოლება ელობებოდა. 1803 წელს, როდესაც რუსულმა სამხედრო ხელისუფლებამ აქ ფეხი მოიკიდა და საჭირო შეიქმნა ბარგის გადატან-გადმოტანა, მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა შეადგინა პროექტი სამხედრო გზის გაყვანისა სნოსა და გუდამაყრის ხეობით. 1837 წელს დაიწყო ამ გეგმით გზის გაყვანა. მუშაობა გაგრძელდა 1847 წლამდე, მაგრამ მთავარმართებელმა ვორონცოვმა უარჰყო ეს პროექტი და გზა გაყვანილ იქნა ჯვრის უღელტეხილზე, კაიშაურის ხეობის გავლით. 1861 წელს გაჭრეს რა მლეთის აღმართის მუხლები, კაიშაურის აღმართმაც დაკარგა მნიშვნელობა. 1863 წელს მუშაობა დასრულდა და ტრანსპორტის მოძრაობამაც ცხოველმყოფელი ხასიათი მიიღო.[36]

განსაკუთრებით გაიზარდა ამ გზის მნიშვნელობა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად. თუ ადრე ეს ძირითადად რუსეთის არმიისათვის სტრატეგიულ მაგისტრალს წარმოადგენდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს გზა უმთავრესად სამოქალაქო ტრანსპორტის, ფოსტისა და სავაჭრო საქონლის გადაადგილების უმოკლეს არტერიად იქცა. მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდა ჯერ როსტოვ-მოსკოვის (1871 წ.), ხოლო შემდეგ ვლადიკავკაზ-მოსკოვის (1875 წ.) რკინიგზის გაყვანის შემდეგ. თბილისიდან კავკასიის უახლოეს სარკინიგზო სადგურებამდე ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრის გადაყვანის ყველაზე უფრო მოკლე სატრანზიტო ტრასას სწორედ ეს საუღელტეხილო გზა წარმოადგენდა. სამხრეთ რუსეთთან საქართველოს პროვინციების ერთადერთ დამაკავშირებელ საშუალებად კ. მარქსი მხოლოდ დარიალის ვიწროებში გაყვანილ საქართველოს სამხედრო გზას ასახელებდა.[37]

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში საქართველოს სამხედრო გზა ვაჭრების, მოიჯარადრეებისა და მეფუნდუკეების მომგებიან ობიექტად იქცა. ვაჭრობის გაფართოების კვალდაკვალ გაიზარდა მოთხოვნილება ტრანსპორტზედაც. ისინი სავაჭრო საქონელს ეზიდებოდნენ ვლადიკავკაზიდან თბილისამდე და უკან. მოხევეები ხალისით ჩაებნენ მათთვის სასარგებლო საქმიანობაში. თავდაპირველად გამწევ ძალად იყენებდნენ უღელ ხარს, ხოლო შემდეგ ხარი შეცვალა ცხენმა, რომელიც გზას შედარებით მოკლედ დროში ფარავდა (ხარებით მგზავრობა ვლადიკავკაზიდან თბილისამდე გრძელდებოდა 7-8 დღემდე, ხოლო ცხენით მხოლოდ 5 დღემდე), ორ ხართან

---

36 Н. Д. Дункель-Велинг. О постройке шоссейной дороги от Тифлиса до Владикавказа и стоимость ее. Газ. "Кавказ", 1858, #56, 1859, #28; მისივე, Военно-Грузинская дорога, "Кавказ", 1863, #72, 75-78; Е. Вейденбаум, დასახ. ნაშრომი, 265-300; В. Кривенко, Очерки Кавказа, С-П, 1893, 25; И. Арджеванидзе, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1954, 17-34; В. Долидзе, Р. Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, 7-8. ს. მაკალათია, ხევი. გვ. 58-59.

37 Маркс и Энгельс, Сочинения, т. IX, Москва, 1933, 533.

შედარებით ერთი ცხენი ხარჯსაც ნაკლებს თხოულობდა და უფრო ადვილი მოსავლელიც იყო. ყოველივე ამის გამო, ცხენით სიარული გლეხს მეტ სარგებელს აძლევდა.

იმ მთხრობელთა გადმოცემით, რომლებსაც თვითონ უვლიათ ქირაზე (ანდა ამ საქმეში ნაცადი მამების მონაყოლიდან იციან), ერთი ცხენის ურემზე დებდნენ 30 ფუთს. ამას ემატებოდა ცხენის საკვებიც, ხოლო როდესაც მეურმეც ზედ ჯდებოდა, ტვირთი 40 ფუთამდე ადიოდა. მეურმეები ღამით დგებოდნენ სასადილოებით, საწოლებით და ცხენის სადგომებით გამართულ ბინძურ ფუნდუკებში, რომლებიც მოწყობილი იყო ერთიმეორისაგან ოციოდე კილომეტრით დაშორებულ პუნქტებში: ვლადიკავკაზში, ლარსში, ყაზბეგში, კობში, მლეთაში, ფასანაურში, დუშეთში, ანანურში, მცხეთასა და თბილისში. ვინაიდან ამ გრძელი გზის დაფარვა მრავალ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ტვირთის გადასაზიდადაც ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ურემი იყო საჭირო, მეურმეები ქმნიდნენ აღალს, რომელსაც ხელმძღვანელობდა აღალბაში (აღალის თავი, აღალის უფროსი). მგზავრები აღალბაშად ირჩევდნენ გამოცდილ, სანდო და რუსული ენის მცოდნე კაცს, რომელსაც ევალებოდა საქონლის პატრონთან გარიგება და აღალის ხელმძღვანელობა.

ყოველგვარი ხარჯის შემდეგ ვლადიკავკაზიდან თბილისამდე ერთი ფუთის გადატანაში მეურმეს რჩებოდა 4 შაური, მაშინ როდესაც ცხვარი საშუალოდ 3 მანეთი ღირდა, ხოლო ბატკანი 6-7 აბაზად ფასობდა. ამის შესაბამისად გზის დაფარვაში მოხვევ ფუთზე 4 შაურის ანგარიშით 30 ფუთში ინაღდებდა 6 მანეთს, ე.ი. 2 ცხვრის ღირებულებას. თვეში მეურმეს შეეძლო საშუალოდ 5 ასეთი გავლა, რის შედეგად მისი თვიური შემოსავალი აღწევდა 10 ცხვარს ანუ 30 მანეთს. თუ ამ ფასებს ცხვრის საბჭოურ ღირებულებას (საშუალოდ 50 მანეთს) შეუფარდებთ, გამოვა, რომ საბჭოთა ფულის კურსის მიხედვით მეურმე თვეში აკეთებდა 500 მანეთს.

მგზავრობაში განაფვისა და ვაჭართა საქმიანობის გაცნობის შემდეგ მოხევეები ვაჭრობასაც ხარბად დაეწაფნენ. ვლადიკავკაზში ფქვილის ყიდვა, თბილისის ან დუშეთის ბაზარზე მოგებით გაყიდვის მიზნით ანდა საქართველოდან, ასევე მოგების გუმანით, ჩრდილო კავკასიაში ღვინის თუ სხვა სახის საქონლის გატანა, მოხევეების ერთ-ერთ შემოსავლიან საქმიანობად იქცა. თუ თავდაპირველად ქირაზე გასვლა მოხევეს მხოლოდ საზაფხულო სამუშაოების დამთავრების შემდეგ უხერხდებოდა, შემდეგში, როდესაც მათ მგზავრობას ანუ "საქალაქო ქირას" გემო გაუგეს, საოჯახო შრომის ორგანიზაცია გარკვეულ ცვლილებას განიცდის. როგორც მოხევეებმა მითხრეს, მშრომელ მამაკაცთა წრიდან გამოიყოფა ე.წ. მეურმე, რომლის მოვალეობას შეადგენდა საშოვარზე სიარული.

ასეთი ვითარება გვეხატება ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. ეს ცნობები შეეხება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 20-იან წლებს. მთხრობელთა გადმოცემით, ქირაზე სიარული მოხევეებს განსაკუთრებით დიდ შემოსავალს აძლევდა პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914-1917 წწ.), ვინაიდან ტრანსპორტზე მოთხოვნილება გაზრდილა სამხედრო საჭიროებათა გამო. შემთხვევითი როდი იყო, რომ ალ. ყაზბეგიც ტრანსპორტზე მოთხოვნილების მიზეზად ომიანობას ასახელებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ. ყაზბეგი იმაზედაც მიუთითებდა, რომ ასეთი სიტუაციის

გარეშე ქირაზე სიარულს ზარალი სდევდა. 1881 და 1883 წწ. ალ. ყაზბეგის ეს ნათქვამი მისგან დამოუკიდებლად დაადასტურა ნ. ნიკიფოროვმაც 1887 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში. ის გამაბრკოლებელ მიზეზად თვლიდა ერთის მხრივ ტრანსპორტისა და გამწევი ძალის ნაკლებობას, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო ბეგარას. ნ. ნიკიფოროვის მითითებით, გლეხის მდგომარეობას ართულებდა სეზონური სამუშაოებიდან მოწყვეტა და ის გარემოება, რომ სამხედრო უწყება მას ფასს უხდიდა ტვირთის გადატანაში, ხოლო უკან დაბრუნებისას გლეხს ცარიელი ურმით უხდებოდა გზის დაფარვა. ასეთ პირობებში ქირა მას ზარალის მეტს არაფერს აძლევდა.[38]

ალ. ყაზბეგისა და ნ. ნიკიფოროვის მიერ აღწერილ მდგომარეობასთან შედარებით შემდეგ ხანებში, რომელსაც ხევში შეკრებილი მასალებით ვეცნობით, ამ მხრივ მექირავნეთა პირობები გაუმჯობესებული ჩანს. ამის საფუძველზე მიმაჩნია აღებ-მიცემობის შემდგომი განვითარება და ტრანსპორტზე მოთხოვნილების გაზრდა, მაგრამ ამ მოგვიანო პერიოდშიც არ შეიძლება ყოველთვის მეურმისათვის სასარგებლო პირობები ყოფილიყო შენარჩუნებული. როგორც ყოველ სხვა საქმიანობას, ქირაზე სიარულსაც ჰქონდა თავისი აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები. ეს კარგად ჩანს პრესის მონაცემებიდანაც. მხედველობაში მაქვს ხევის სათემო ყრილობის განაჩენი 20 მუხლად, რომლის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ: "წარსული მარტის პირველს სოფ. სტეფანწმინდაში მთლად ხევის ყრილობა მოხდა. საგნად ქორწილებისა და ქელეხების ხარჯის შემცირება ჰქონდათ. ვინ იცის, კიდევ სადამდის გასტანდა ეს ხალხის ცუდ-უბრალოდ გამაღატაკებელი და დამღუპავი ჩვეულება, რომ საქართველოს სამხედრო გზაზედ მოხევეთათვის მუშაობა და ქირის ზიდვა არ მოსპობილიყო. დავინახეთ მოხევეებმა, რომ ამ ვიწრო ხევში მომწყვდეულთ გამორჩენა აღარსიდგანა გვაქვს და უშოვნელობა-უქონლობამ "რჯულთუმტკიცესი ჩვეულების" შეცვლა გვაფიქრებინა"...[39]

როგორც ვხედავთ, გარდა სტაბილური მეურნეობისა (მესაქონლეობა და მიწათმოქმედება), რომლის შესახებ ხევის ყრილობის განაჩენში არაფერი თქმულა[40], მოხევეების "გამორჩენის", ე.ი. ფულადი შემოსავლის წყაროს წარმოად-

38 Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда, Тифлисской губернии. Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, ч. II, Тифлис, 1887, стр. 64.

39 ს. შადური, წერილი ხევიდან, გაზ. "ივერია", 1901, N 134, 135.

40 სამაგიეროდ ამ წერილის ავტორი მოხევეთა ძირითად საქმიანობას მოკლედ გვაცნობს 11 წლით ადრე გამოქვეყნებულ ასეთივე სათაურის მქონე სხვა წერილში: "ხევი ძალიან ღარიბი ქვეყანაა მამულით. სათიბი მიწები ძლიერ ცოტა აქვს, არც სახნავია სათიბზედ მომეტებული; ძალიან იშვიათად იპოვება ისეთი კომლი, რომ თავის მინის მოსავალი მთელ წლამდის გასწვდეს. აქაურნი ნახევარ წლამდისინ თავის ქვეყნის მოსავლით იკვებებიან და შემდეგ კავკავიდან ყიდულობენ სიმინდს. მოხევეები მხოლოდ ქერსა და შვრიას სთესენ. ქერს თითონა სჭამენ, მხოლოდ შვრიას ცხენებს აჭმევენ. პურიც მოდის, მაგრამ ამ მცენარეს თესვას მაგრე რიგად არ მისდევენ, რადგანაც მცირედი გამოსავალი აქვს. ქერსა და შვრიას გარდა, ალაგ-ალაგ სვილს სთესენ. ხეხილი სრულებით არ იცის აქა... მთებში ჯიხვი და ფსიტი საკმაოდ იცის. ხალხი შინაურ ცხოვლთაგან ყველაზე უფრო ცხვრის მოშენებას მისდევს" (ს. შადური, წერილი ხევიდან, გაზ. "ივერია", 1890, N 97).

გენდა გზაზე მუშაობა და ქირით ბარგის ზიდვა. მოხევეთა ცხოვრებაში ამას იმდენად მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია, რომ ოდითგან არსებული "რჯულთუმტკიცესი ჩვეულებების" შეცვლისა და შესაბამისი ხარჯების შემცირების საკითხი უშუალოდ აღნიშნულ საქმიანობათა მოსპობის გამო დასმულა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა "მოსპობა" აქ უადგილოდ ნახმარი ჩანს, რამდენადაც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა და ტრანსპორტის მოძრაობა არასოდეს არ შეწყვეტილა. ზემოთ განხილული წერილობითი წყაროებიდან და ჩემ მიერ შეკრებილი მასალებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ გზაზე მომუშავე ან ქირაზე მოსიარულე კაცის შემოსავალი ყოველთვის ერთნაირი არ იყო, მაგრამ ერთია მდგომარეობის გაუარესება, ხოლო მეორეა ხსენებული საქმიანობის მოსპობა. ამიტომ ხევის ყრილობის გადაწყვეტილებაშიც "მოსპობის" ქვეშ უსათუოდ უნდა იგულისხმებოდეს ხსენებულ სამუშაოთა დაქვეითება და შემოსავლის შემცირება, რომლის ლოგიკურ შედეგსაც წარმოადგენდა ზემოხსენებული ღონისძიების შემუშავება. ხევის ყრილობის განაჩენი წარმოადგენს უაღრესად საინტერესო დოკუმენტს, რომელიც გვიჩვენებს აღნიშნულ საქმიანობათა მერყეულ მდგომარეობას, მის ცვალებადობას.

მაშასადამე, ალ. ყაზბეგი პ. უმიკაშვილთან პაექრობის დროს სწორ პოზიციაზე იდგა, როდესაც შემოსავლის ამ წყაროს ის მიიჩნევდა ეპიზოდურად სასარგებლო, მაგრამ რიგ შემთხვევაში უსარგებლო საქმედ, ხოლო მთიელთა ცხოვრების გაუმჯობესების რეალურ გზად სახავდა მესაქონლეობის შემდგომ განვითარებას.

ალ. ყაზბეგის შეხედულება მოხევეთა სამეურნეო ყოფის შესახებ თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ალ. ხახანაშვილმა [41]. ასეთი ზუსტი დამთხვევა იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ალ. ხახანაშვილმა თავისი ნაშრომის წყაროდ გამოიყენა მისივე თხოვნით ალ. ყაზბეგის მიერ მოსკოვში გაგზავნილი მასალები.

ალ. ყაზბეგის მოღვაწეობის პერიოდში კავკასიის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის სფერო საკმაოდ გაფართოვდა. იმდროინდელ სერიულ გამოცემებში სისტემატიურად იბეჭდებოდა შრომები, რომლებშიაც ცალკეული მაზრების მიხედვით შუქდებოდა სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფის საკითხები. დუშეთის მაზრის შესახებ, რომელშიაც ადმინისტრაციულად ხევიც შედიოდა, ასეთი ნაშრომი გამოაქვეყნა ნ. ნიკიფოროვმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხევეების ძირითად საარსებო საშუალებად ის მიიჩნევდა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. თანახმად მისი სწორი დაკვირვებისა, ხევის მწირი ნიადაგი, რომელზედაც უმთავრესად ქერი მოჰყავდათ, სისტემატურად საჭიროებდა ნაკელით განოყიერებას.[42] მისივე ცნობით,

41 А. Хаханов, О Мохевцах, СМЕ, вып. Москва, 1888, 75-76.

42 Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, 49. ნ. ნიკიფოროვის ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ი. მედვედევმა შეადგინა "Пояснительные примечания к спискам селений, казенных крестьян Закавказского края." ამ დოკუმენტში, რომელიც დანართის სახით გამოაქვეყნა ი. ანთელავამ და მისივე აზრით ის შედგენილია 1893-1895 წლებში, ხევის, თრუსოს ხეობისა და მთიულეთ-გუდამაყრის სოფლების ჩამოთვლისას მითითებულია, რომ დიდ სიმაღლეებზე მათი მდებარეობის გამო, აქ არ არსებობს მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები. მარცვ

დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ე.ი. ხევში, გარდა ყაზბეგებისა და კობიაშვილების[43] მიწებისა, სახნავი ნაკვეთები ეკუთვნოდა ხაზინას, რის გამოც სახელმწიფო გლეხთა კერძო საკუთრებაში მიწის მფლობელის შესაძლებლობა გამორიცხული იყო[44] . ნ. ნიკიფოროვის დაკვირვებით, ხსენებული ეპოქის ხევში სახნავ მიწაზე სათემო მფლობელობის წესი მხოლოდ გადმონაშთის სახით შემონახულიყო. სამაგიეროდ ეს წესი ჯერ კიდევ ვრცელდებოდა სათიბებსა და საძოვრებზე. მისი ღრმა რწმენით, მცდარია შეხედულება მიწათმფლობელობის ამ ფორმის მთაში უცვლელად არსებობის შესახებ. ნ. ნიკიფოროვის მართებული განმარტებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დუშეთის მაზრის მაღალმთიან ზოლში მიმდინარეობდა სათემო მფლობელობის რღვევისა და ინდივიდუალიზმის განვითარების პროცესი [45].

სავსებით სამართლიანად მიუთითა ნ. ნიკიფოროვმა მიწის სიმწირესთან ერთად სახნავი ნაკვეთების სიმცირის შესახებაც. ამაში ხედავდა იგი მთიელთა სიღარიბისა[46] და ნამატი მოსახლეობის ბარად დასახლების[47] მიზეზს. თუ ის დუშეთის მაზრის ბარისა და მთისძირა ზოლში მეურნეობის წამყვან დარგად მიიჩნევდა მიწათმოქმედებას, მთიელთა ცხოვრების ძირითად ეკონომიკურ საფუძვლად თვლიდა მესაქონლეობას, განსაკუთრებით მეცხვარეობას. აღნიშნული ვითარება მტკიცდება იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც ავტორს მოყავს სპეციალურად შედგენილ ცხრილში.[48]

ცხრილში ნაჩვენებია კომლთა რიცხვი და სულადობა, პირუტყვის რაოდენობა, ადგილ-მამულების მოცულობა და გადასახადების შემადგენლობა. ხევის ცალკეული სოფლების მიხედვით ასეთი სურათი გვეხატება: სოფ. სტეფანწმინდა, რომელიც მაშინ 126 კომლს ითვლიდა (835 სული), სულ ფლობდა 647 დესეტინა მიწის ფართობს. აქედან საკარმიდამო იყო 4,50, სახნავი-67,50, სათიბი-75, ხოლო საძოვარი და გამოუსადეგარი ადგილები-500. პირუტყვის სახით სოფლის დოვლათს შეადგენდა: მუშა და ბერწი საქონელი 278 სული, მეწველი ძროხა-89, ცხვარი და თხა-8040, ცხენი და ჯორი-76. მთელი სოფელი იხდიდა ორგვარი სახ-

ლეული კულტურებიდან მოყავდათ უმთავრესად ქერი, მაგრამ მკაცრი კლიმატური პირობების გამო, ზოგჯერ ისიც ვერ ასწრებდა დამწიფებას და საქონლის საკვებადღა გამოიყენებოდა И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, Тбилиси, 1962, 244-245.

43 ავტორს მხედველობაში ყავს სტეფანწმინდელი და დუშელი აზნაურები, რომლებიც ხევში თავიანთ პრივილეგიებს ინარჩუნებდნენ.

44 2. Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, 48. ამავე ეპოქის სხვა წყაროებიდანაც ნათლად ჩანს, რომ იმდროინდელი ხევის მოსახლეობა, მცირედი გამონაკლისის გარდა, სახელმწიფო მიწაზე იჯდა და სახელმწიფო გლეხებისაგან შედგებოდა (Свод статистических данных..., 140-145, И. Антелава, დასახ. ნაშრომი, 281). როგორც ზემოთ გვქონდა მითითებული, ხევში ასეთი მდგომარეობა იყო XIX საუკუნის პირველ მეოთხედშიც (შდრ. ნ. ჭილაშვილის დასახ. ნაშრომი, 351).

45 Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, 22-23.

46 იქვე, 71.

47 იქვე, 9-10.

48 Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда, Тифлисской губернии. Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, ч. II, Тифлис, 1887, стр. 64.

ის გადასახადს: საერობოს ანუ სასოფლოს (172 მან. და 50 კაპ.) და საზოგადოებრივს (189 მან.).

სოფ. გერგეტში ამ დროს ცხოვრობდა 51 კომლი (383 სული). სოფელს სულ ჰქონდა 237 დესეტინა: საკარმიდამო-3, სახნავი-39, სათიბი-45, საძოვარი და უვარგისი-150. გერგეტში ირიცხებოდა მაშინ მუშა და ბერწი საქონელი 78 სული, მეწველი ძროხა-33, ცხვარი და თხა-2965, ცხენი და ჯორი-28. სოფელს შეწერილი ჰქონდა 76 მან. და 50 კაპ. საერობო და ამდენივე საზოგადოებრივი გადასახადი.

სოფ. გორისციხეს, რომელიც შედგებოდა 43 კომლისაგან (350 სული), ეკუთვნოდა 281,75 დესეტინა: საკარმიდამო-2,50, სახნავი-40,50, სათიბი-38,75, ხოლო საძოვარი და უვარგისი-200. სოფელს სულ ჰყავდა მუშა და ბერწი საქონელი 108 სული, მეწველი ძროხა-39, ცხვარი და თხა-3420, ცხენი და ჯორი-29, ღორი-35. სოფლის გადასახადი შეადგენდა 76 მან. და 50 კაპ. საერობოს, ხოლო 43 მან. საზოგადოებრივს.

38-კომლიანი სოფ. სიონის (328 სული) მფლობელობაში იყო 1622 დესეტინა: საკარმიდამო-3, სახნავი-35, სათიბი-84, ხოლო საძოვარი და უვარგისი ადგილები-1500. სოფლის პირუტყვიდან ბერწი და მუშა საქონელი იყო 82 სული, მეწველი ძროხა-36, ცხვარი და თხა-7160, ხოლო ცხენი და ჯორი-39. სოფელი იხდიდა 57 მან. საერობოს და 38 მან. საზოგადოებრივს.

სოფ. კარკუჩის (კომლი 28, სული 188) 1161 დესეტინა საერთო ფართობიდან საკარმიდამო იყო 1 დესეტინა, სახნავი-23, სათიბი-137, საძოვარი და უვარგისი ადგილები-1000. სოფელს ჰყავდა 62 სული მუშა და ბერწი საქონელი, მეწველი ძროხა-32, ცხვარი და თხა-3985, ცხენი და ჯორი-19, ღორი-75. სოფელი იხდიდა 34 მან. და 50 კაპ. საერობოს და 28 მან. საზოგადოებრივ გადასახადს.

სოფ. სნო, რომელიც შედგებოდა 73 კომლისაგან (567 სული), ფლობდა სულ 2573 დესეტინას. აქედან საკარმიდამო იყო 5, სახნავი-96,50, სათიბი-272, საძოვარი და უვარგისი ადგილები-2200 დესეტინა. სოფლის პირუტყვიდან მუშა და ბერწი საქონელი იყო 228 სული, მეწველი ძროხა-82, ცხვარი და თხა-8435, ცხენი და ჯორი-85, ღორი-240. სოფელს შეწერილი ჰქონდა 115 მან. 50 კაპ. საერობო და 73 მან. საზოგადოებრივი გადასახადი.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ხევის სოფლებს შორის საგრძნობ განსხვავებას ჰქონდა ადგილი მათი სამეურნეო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. მაგალითად, სოფ. სტეფანწმინდა მოსახლეობით სოფ. სნოზე გაცილებით დიდი იყო, მაგრამ სახნავ-სათიბ-საძოვრებითა და პირუტყვის რაოდენობით სნო სტეფანწმინდაზე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა. კიდევ უფრო მკვეთრ განსხვავებას ვხედავთ სტეფანწმინდისა და კარკუჩის ამ თვალსაზრისით ურთიერთშედარების საფუძველზე. სხვა სოფლების მაგალითზედაც ამ მხრივ საკმაო განსხვავება შეიმჩნევა.

მეტნაკლები სიდიდისა იყო ხევის სოფლებზე გაწერილი გადასახადებიც. როგორც ცხრილიდან ჩანს, დუშეთის მაზრა მისი სამეურნეო პირობების მიხედვით იყოფოდა სამ ზოლად: ბარის, მთისძირა და მთის. აქედან ბარისა და გარდამავალი ზოლის მოსახლეობას ევალებოდა საკომლო და სასოფლო გამოსაღების გადახდა, ხოლო მთიელებს იმ დროს საკომლოს გამოღება არ ეკისრებოდათ. თვით სასოფლო გადასახადებიც (რომელშიც შედიოდა საერობო და საზოგა-

დოებრივი) მთაში უფრო მსუბუქი ყოფილა, ვიდრე დუშეთის მაზრის ბარსა და მთისძირა ზოლში. ხევში ამ დროს თითოეული კომლი ნელიწადში საშუალოდ იხდიდა ორიდან სამ მანეთამდე, ხოლო თითოეულ სულზე მოდიოდა 25-დან 46 კაპიკამდე. ეს მაშინ, როდესაც ხარი ღირდა 20-55 მან. ძროხა-15-30 მან. ცხვარი-3-6 მან. ცხენი 40-100 მან. 1 ფუთი გაურეცხავი მატყლი-6-8,50 მან. 1 ფუთი ყველი-4-8 მან. 1 ფუთი ერბო-9-10 მან. უხეშად ნაქსოვი ნყვილი წინდა-20-45 კაპ. და ა.შ.

აღნიშნული მონაცემების ფონზე ხევის მოსახლეობა მართლაც არ ჩანს მძიმედ დაბეგრილი, ვინაიდან ხევი დუშეთის მაზრის ღარიბ კუთხეს წარმოადგენდა. ეტყობა, რომ დუშეთის მაზრაში გადასახადების ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები, მაგრამ საკუთრივ ხევის სოფლებში გადასახადების განერას საფუძვლად უნდა დასდებოდა არა სოფლის ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ მოსახლეობის რიცხვი. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა რატომ იხდიდა გერგეტი კარკუჩაზე ორჯერ მეტს, მაშინ, როდესაც ადგილ-მამულითა და პირუტყვის რაოდენობით 28-კომლიანი სოფელი კარკუჩა გაცილებით შეძლებული იყო, ვიდრე 51 კომლისაგან შედგენილი სოფელი გერგეტი. ასევე გაუგებარი იქნებოდა რატომ სოფ. სტეფანწმინდის 126 კომლი იხდიდა სიონის 38 კომლზე თითქმის ოთხჯერ მეტს, ხოლო სნოს 73 კომლზედაც საკმაოდ დიდ გადასახადს, მაშინ, როდესაც სტეფანწმინდა, ზემოთ წარმოდგენილი ციფრობრივი მაჩვენებლების მიხედვით, სნოსა და სიონზე გაცილებით ნაკლებ მიწას ფლობდა და მოსახლეობის სიდიდით მკვეთრი განსხვავების მიუხედავად, საქონლის რაოდენობითაც სიონსა და სნოზე მაღლა არ მდგარა.

მაშასადამე, ეს ცხრილი პირველ რიგში გვიჩვენებს სოფლებს შორის განსხვავებულ სამეურნეო პირობებსა და ეკონომიკურ მდგომარეობას. რასაკვირველია, ეს მონაცემები სიზუსტის მხრივ უსათუოდ ნაკლულია, მაგრამ ის გარემოება, რომ ერთი სოფელი მეორეზე შეძლებული იყო და მესაქონლეობის განვითარებას სამეურნეო ბაზა აპირობებდა, ცხრილიდან ეს სრულიად აშკარად ჩანს.

ცხრილი მიგვითითებს იმის შესახებაც, რომ სამეურნეო ტერიტორიის უდიდესი ფართობი საძოვრებად იყო გამოყენებული, რაც ხელს უწყობდა მეცხვარეობის განვითარებას. მართლაც, აქ წარმოდგენილი ციფრობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მეცხოველეობის სფეროდან ხევში განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მეცხვარეობა. მაგალითად სოფ. ახალციხეში (38 კომლი, 220 სული) 63 სული მსხვილფეხი რქოსანის გვერდით ვხედავთ 1740 სულ ცხვარსა და თხას. სოფ. ყანობში (42 კომლი, 338 სული) ირიცხებოდა 93 სული მსხვილფეხა რქოსანი, 2100 სული ცხვარი და თხა და ა.შ.

ასეთი შეფარდება, რაც არსებითად დამახასიათებელია ხევის სხვა სოფლებისთვისაც, მსხვილფეხა მესაქონლეობასთან შედარებით მეცხვარეობის აღმავლობის მაჩვენებელია. ამის საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ერთი სული ძროხა შეფასებული იყო 6-7 ცხვრად, ხოლო ხარი 10-12 ცხვრად. ერთიერთმანეთზე რომ 1 სული მსხვილფეხა 10 ცხვრად ვიანგარიშოთ, სოფ. ახალციხის 63 სული მსხვილფეხი რქოსანი უნდა გაუთანაბროთ, სულ ბევრი, 630 ცხვარს. ეს მაშინ, როდესაც ახალციხეს ყავდა 1740 სული ცხვარი. მაშასადამე, მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეცხვარეობა რომ აქ ერთ დონეზე ყოფილიყო,

ახალციხელებს 63 სულის ნაცვლად უნდა ჰყოლოდათ სულ ცოტა 174 სული მსხვილფეხა საქონელი, ანდა, პირიქით, ნაცვლად 1740 სულისა აქ უნდა ყოფილიყო სულ დიდი 630 სული ცხვარი.

ასეთსავე ვითარებასთან გვექნებოდა საქმე სოფ. ყანობში, სადაც მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის თანაბარ დონეზე განვითარების შემთხვევაში 93 სული მსხვილფეხა რქოსანის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 210 სული მაინც, ანდა 2100 სულის ნაცვლად უნდა ჰყოლოდათ, სულ ბევრი, 930 ცხვარი.

კიდევ უფრო მკვეთრი სხვადასხვაობა იგრძნობა მეცხოველეობის ამ სახეობათა განვითარების სფეროში კარკუჩის, სიონის, სნოს, ხურთისისა და რიგი სხვა სოფლების მაგალითზე. სოფ. კარკუჩაში რომ მეცხვარეობა და მსხვილფეხა მესაქონლეობა ერთ დონეზე მდგარიყო, 94 სულის ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო 400-მდე სული ხარ-ძროხა, ხოლო, პირიქით შემთხვევაში, ნაცვლად 3985 სულისა კარკუჩელებს უნდა ჰყოლოდათ არაუმეტეს 940 წვრილფეხა. ასევე, მეცხვარეობისა და მსხვილფეხა მესაქონლეობის ერთ დონეზე ყოფნის შემთხვევაში სოფ. სნოში 118 სული მსხვილფეხის ნაცვლად უნდა ყოფილიყო არანაკლები 716 სული, ხოლო 7160 სული წვრილფეხის მაგივრად აქ უნდა ჰყოლოდათ ძალიან ბევრი 1180 სული.

სხვა სოფლების ციფრობრივ მონაცემებს აქ აღარ შევეხებით. ცხრილის მიხედვით სრულიად აშკარად ჩანს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეცხვარეობა ხევში მსხვილფეხა მესაქონლეობასთან შედარებით დაწინაურებული დარგი იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია უკეთესი საზაფხული საძოვრებით უზრუნველყოფილი სოფლები: ყანობი, სიონი, სნო, კარკუჩა, რომლებსაც ნ. ნიკიფოროვიც საგანგებოდ გამოყოფს საძოვრებით მდიდარ ისეთ სოფლებთან ერთად, როგორიცაა ჯუთა, კობი და აბანო[49].

თავისთავად ცხადია, რომ მეცხვარეობის დაწინაურება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა საზამთრო საძოვრების უქონლობის შემთხვევაში. ნ. ნიკიფოროვის ცნობით, ამ მხრივ დუშეთის მაზრა იმ დროს ჯერ კიდევ არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა და მესაქონლეობის განვითარების საქმეც ამის გამო რამდენადმე ფერხდებოდა[50], მაგრამ ეს წინააღმდეგობა ძირითადად უკვე გადალახული იყო. XIX საუკუნეს მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მოხევეები სისტემატურად მიერეკებიან ცხვრის ფარებს, რითაც მათ მყარი ნიადაგი შეუმზადეს მეცხვარეობის შემდგომ ზრდასა და განვითარებას.

საყურადღებოა ცხრილის ციფრობრივი მაჩვენებლები აგრეთვე საკუთრივ მსხვილფეხა მესაქონლეობის, მეცხენეობისა და მეღორეობის ხვედრითი წონის დასადგენად. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ღორები მაშინ ყავდა მხოლოდ 5 სოფელს: კარკუჩას-75 სული, ახალციხეს-100 სული, სნოს-240 სული, გორისციხეს-35 სული, ხოლო ფხელშეს-20 სული. ცხენებისა და ჯორების სიმრავლეს იმდროინდელ ხევში ვერ ვხედავთ. ყველა სხვა სოფელზე წინ ამ მხრივ სნო მდგარა, სადაც აღრიცხულ იქნა 85 ცხენი და ჯორი. მაგრამ თუ 73 კომლს ამდენი მაინც ყავდა, ხევის დანარჩენ სოფლებში ზოგან კომლზე მხოლოდ 1 სული

49 Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, 39.

50 იქვე, 71.

მოდიოდა, ხოლო ზოგან კიდევ უფრო ნაკლებიც. სამაგიეროდ ხევში გაცილებით მეტი იყო მსხვილფეხა რქოსანი, რომლის საერთო რაოდენობიდან მეწველს ბევრად ჭარბობდა მუშა და ბერწი საქონელი. ეს ნათლად ჩანს ზემოთ დასახელებული სოფლების (სტეფანწმინდა, გერგეტი, გორისციხე, სიონი, კარკუჩა, სნო) მაგალითზე. ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობა მოწმდება სხვა სოფლების მონაცემების მიხედვითაც.

6, ნიკიფოროვი არ გვაცნობს აღნიშნული ვითარების მიზეზს, მაგრამ ცხრილზე დაკვირვების შედეგად ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ხევში მუშა საქონელზე ასეთი დიდი მოთხოვნილება პირველყოვლისა განპირობებული იყო მიწათმოქმედებაში მისი გამოყენების საჭიროებით. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, XIX საუკუნის 80-იან წლებში მოხევეები მაქსიმალურად სარგებლობდნენ სახნავად ვარგისი ყოველი ნაკვეთით. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოფლის სახნავი ადგილები ზომით სათიბებს არ ჩამოუვარდებოდა. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ არშა, გარბანი, გორისციხე, ყანობი, თოთი, ცდო.

6. ნიკიფოროვის ეს ცნობები რიგ შემთხვევაში სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. როგორც ჩანს, სათიბების აღრიცხვის დროს მას მხედველობიდან გამორჩა ზოგი სოფლის მთებში საამისოდ გამოსადეგი ნაკვეთები. ეს მიზეზი რომ არა, გაუგებარი იქნებოდა, მაგალითად, ყანობში, რომელიც სათიბებით ერთ-ერთ მდიდარ სოფელს წარმოადგენს, სახნავი ადგილი ყოფილიყო 31,25 დესეტინა, ხოლო სათიბი 29,75 დესეტინა. ასეთივე ნაკლით უნდა ხასიათდებოდეს ზოგიერთი სხვა სოფლის მონაცემებიც, მაგრამ თუ ამ ნაკლს არ მივიღებთ მხედველობაში და მისგან დამოუკიდებლად ანგარიშს გავუწევთ სახნავი ადგილების აქ წარმოდგენილ ზომებს, დავრწმუნდებით, რომ მოხევეები ხნავდნენ ყველგან, სადაც კი გუთანი მიუდგებოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს კარგად ჩანს ეთნოგრაფიული მასალებიდანაც. ასეთ ვითარებაში მეურნის გამარჯვება გამწევი ძალის გარეშე განუხორციელებელ ოცნებად დარჩებოდა, ხოლო მთაში ასეთ გამწევ ძალას ხარი წარმოადგენდა. ხარს იყენებდნენ ასევე ტვირთის ზიდვასა და ლეწვაში. მისი ასეთი დიდი საჭიროებისა და მთაში ლიმიტირებული საკვები ბაზის პირობებში მოხევე იძულებული იყო თავი შეეკავებინა მეწველი ძროხების მომრავლებაზე და პირველ რიგში ეზრუნა გამწევი ძალის შენახვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხევეები სახნავად ვარგისი მიწის ყოველ მტკაველს ჯერ კიდევ მაქსიმალურად იყენებდნენ და თვით მესაქონლეობის განვითარებასაც კი რამდენადმე მიწათმოქმედების ინტერესებს უქვემდებარებდნენ, ხევში ყველაზე მტკივნეულ საკითხს მაინც პურის ნაკლებობა წარმოადგენდა. შორს რომ არ წავიდეთ, ეს კარგად ჩანს ამავე ცხრილის მიხედვითაც. ის გარემოება, რომ სოფ. არშაში მცხოვრები 12 კომლი (91 სული) სულ 9 დესეტინას ხნავდა, სოფ. გერგეტში 51 კომლი (383 სული) 39 დესეტინას, სოფ. გარბანში 18 კომლი (149 სული) 15,75 დესეტინას, სოფ. ცდოში 17 კომლი (139 სული) 10,50 დესეტინას და ა.შ. აშკარად სახნავი ადგილების სიმცირეზე მიგვითითებს. ხევში მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით თუ ჰქონდა ადგილი ამ დროს ისეთ შემთხვევას, როდესაც კომლი საშუალოდ 1 დესეტინა მიწას ხნავდა. კომლზე საშუალოდ ამაზე ნაკლები ფართობი მოდიოდა. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ საშუალო მაჩვენებლების მიხედვით მიწათმოქმედების დონეს ზოგად ხაზებში ვეცნობით. ცხრილში რომ ცალკეული

ოჯახების მდგომარეობა ყოფილიყო ასახული, მათ შორის აშკარა განსხვავება გამოჩნდებოდა — ერთ შემთხვევაში დავინახავდით 1 დესეტინაზე მეტის მფლობელ, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ დესეტინის ერთი მეოთხედის მქონე ოჯახს, მაგრამ როგორადაც არ უნდა ყოფილიყო ხევში არსებული სახნავი მიწის ფონდი განაწილებული, ამით საერთო მდგომარეობა არ იცვლებოდა; სახნავად ვარგისი ტერიტორია აქ მოსახლეობის პურეულით უზრუნველყოფის საკმარის წყაროს არ წარმოადგენდა.

ამგვარად, ნ. ნიკიფოროვის ამ ნაშრომის მიხედვით სრულიად აშკარად ჩანს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეურნეობის ორი ძირითადი დარგიდან ხევში წამყვანი მნიშვნელობისა იყო მესაქონლეობა, მეცხვარეობის უპირატესობით. ნ. ნიკიფოროვის დაკვირვებით, მოხევეები მისდევდნენ ისეთ დამხმარე საქმიანობასაც, როგორიც იყო მონადირეობა, მეთევზეობა (თერგში კალმახობა), სუსტად განვითარებული ხელოსნობა და რქის დამუშავება. ჯიხვის რქებისაგან სასმისების დამზადების ხელობით დუშეთის მაზრაში განსაკუთრებით განთქმული ყოფილა სოფ. ყაზბეგი, სადაც მაშინ წყვილი ასეთი ყანწი 2-4 მანეთად იყიდებოდა, ხოლო გადამყიდველების ხელში ის 3-6 მანეთად ფასობდა, აქვე მწყემსები და მოზრდილი ბავშვები აგროვებდნენ მთის ბროლის კრისტალებს, რომლებსაც მგზავრები ყიდულობდნენ (მოცულობის შესაბამისად 20 კაპიკიდან 3 მანეთამდე)[51]. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უფრო ადრეც ყოფილა ცნობილი ყაზბეგის (სტეფანწმინდის) ბროლი. მასზე დიდი მოთხოვნილების გამო ზოგიერთი ამ ბროლს მიიჩნევდა მომგებიან სავაჭრო საგნად[52].

მოხევეების შემოსავლის ერ-ერთ დამხმარე წყაროდ ნ. ნიკიფოროვი თვლიდა აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობას და ქირით ბარგის ზიდვას. თუ როგორ აფასებდა ის ტვირთზიდვის როლს მოხევეთა ეკონომიკაში, ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული. რაც შეეხება სამხედრო გზაზე მუშაობას (გზის რემონტი, ჯებირების შენება, ქვის მტვრევა გზაზე დასაყრელად, თოვლის ზვავებისა და მეწყერისაგან გზის წმენდა), ეს ნ. ნიკიფოროვის ცნობით, ძირითადად სწარმოებდა სეზონური სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

ამ საქმეში განსაკუთრებით ინტენსიურად მონაწილეობდნენ გზის პირად მცხოვრებნი. გზაზე მუშაობით დღეში მუშა ღებულობდა 60 კაპიკიდან 1 მანეთამდე, ხოლო 1 საჟენი ქვის დამტვრევა გზაზე დასაყრელად შეფასებული ყოფილა 8-დან 12 მანეთამდე[53]. პროდუქტებისა და პირუტყვის მაშინდელი ფასების შესაბამისად, რასაც ზემოთ უკვე გავეცანით, ასეთი ანაზღაურება მთიელისთვის

51 Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, 64.

52 1810 წლის 10 იანვარს ვინმე დავითი მანუჩარ თუმანიშვილს წერდა: ... ჩემი ვედრება ეს არის თქვენთან: ამ ძვირობის მიზეზით აღმოსავლეთის ბროლი დაძვირდა. კარგი დიდროანი კენჭები ქოლოთისა და სტეფანწმინდისა, ეგრეთვე დავით-გარეჯას ხომ დახვალთ, ზოსიმე ბერია, იმას ჰკითხეთ — საუცხოო ბროლებია იქ ყვითელ-შავი და სხვა ფერები და თეთრის. მანუჩარ, ნურას დაზოგავ, ასიოდე გადმომიგზავნე. იქნება მაგით, თუ აქ გამოდგა, კარგი სოვდა გავაკეთოთ... დიდროანები და ბრწყინვალები იყოს ის თვლები. 1810 წელი, იანვრის ი (მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბილისი, 1953, გვ. 311-312).

53 Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, 63.

ურიგო შემოსავალს არ წარმოადგენდა.

ალბათ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ნ. ნიკიფოროვის თანამედროვე ზოგიერთ დამკვირვებელსაც, როდესაც მოხევის ცხოვრების მთავარ წყაროდ ამ საქმიანობას თვლიდა. მაგალითად, ე. მარკოვი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მდინარე თერგის კლდოვანი და ცივი ხეობის მცხოვრებთა არსებობის სახსარს წარმოადგენდა გზის რემონტი და ზამთრობით თოვლის წმენდა. ე. მარკოვი იმასაც აღნიშნავს, რომ ხევი ჯიხვზე ნადირობის ცენტრალური კუთხე იყო კავკასიაში. მას მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ ყაზბეგში იყიდებოდა ჯიხვის რქები (სასმისები), სხვადასხვანაირი ქვები (განსაკუთრებით ბროლი) და მთამადნეულის ნიმუშები[54], მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ე. მარკოვმა ხევში ვერ შეამჩნია მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მესაქონლეობა. სრულიად აშკარაა, რომ მან ზერელედ გადაავლო თვალი ამ კუთხეს და მისი ეგზოტიკით გატაცებულმა მხოლოდ საჯიხვეები, ყაზბეგში ქვებით ვაჭრობა და სამხედრო გზაზე გლეხების მუშაობა დაინახა, ხოლო ხევში რომ მესაქონლეობისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა და მიწათმოქმედებაც მაღალკულტურული განვითარებით ხასიათდებოდა, ეს გზად გამვლელ კაცს მხედველობიდან გამოპარვია.

* * *

მოხევეების სამეურნეო ყოფის შესახებ სათანადო შეხედულებები გამოითქვა XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში.

იმის მთავარ მიზეზად, რომ მთიელები ბარში დასამკვიდრებლად მიილტვოდნენ, ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა კავკასიონის მკვიდრთა შეზღუდული ცხოვრების პირობები, გამოწვეული მთის სიმწირითა და სივიწროვით.[55] ვახუშტი ბაგრატიონისა და ნ. ჭილაშვილის მონაცემებზე დაყრდნობით დ. გვრიტიშვილი არაგვის საერისთავოს ბარის ზოლში მეურნეობის მთავარ დარგად მიიჩნევს მიწათმოქმედებას, ხოლო მთის ზოლის (რომელშიაც ხევიც შედიოდა) მცხოვრებთა ძირითად საქმიანობად თვლის მესაქონლეობას.[56]

ს. მაკალათიას დაკვირვებით, "მოხევეები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ, მაგრამ მათ ეკონომიკას უმთავრესად მეცხვარეობა ახასიათებს და ჩვენი ხევიც მეცხვარეობის რაიონად უნდა ჩაითვალოს."[57] ამის საფუძვლად ს. მაკალათიას მიაჩნია მიწათმოქმედებისათვის შეზღუდული, მაგრამ მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები. მოხევეთა ეკონომიკაში ს. მაკალათია გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ანდეზიტის წარმოებას, ჩრდილო კავკასიაში სამუშაოდ სიარულს (დურგლობა,

54 Е. Марков, Очерки Кавказа, С.-П. - Москва, 1887, 102-105.

55 საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., თბილისი, 1940, გვ.287.

56 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, 165.

57 ს. მაკალათია, ხევი, 63.

მჭედლობა, ხარაზობა); სამხედრო გზის შეკეთებაზე მუშაობას, ტვირთის გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას.[58]

როგორც გასული საუკუნისათვის, ისე დღეისათვის, თერგის ხეობაში გ. ჯალაბაძე მეურნეობის წამყვან დარგად თვლის მესაქონლეობას.[59]

რ. ხარაძის გამოკვლევით, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ხევში გადმონაშთური ფორმით შემორჩენილი საოჯახო თემის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მეცხვარეობა.[60] რ. ხარაძის დასაბუთებით, მეურნეობის ეს ფორმა წარმოადგენდა იმ ძირითად ნიშანს, რომლის მიხედვით მკვლევარმა ე.წ. მოხეური საოჯახო თემი განიხილა ქიზიყელების, თუშებისა და ფშავლების ე.წ. საოჯახო თემების გვერდით, რომელთა ეკონომიკური საფუძველი ხსენებულ ეპოქაში ასევე მეცხვარეობა იყო.

ადრე მეც რამდენიმეჯერ მქონდა შემთხვევა სხვადასხვა საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით მეთქვა, რომ ხევსა და თრუსოში მეურნეობა ორი ძირითადი დარგის - მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის სახით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან წამყვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას.[61]

* * *

XIX საუკუნის დამკვირვებელთა ცნობების პარალელურად უსათუოდ გასათვალისწინებელია თვით ტრადიციული ცხოვრების მომსწრე მოხევეთა მონათხრობი, რაც ფიქსირებულია ჩემ მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების სახით. ეთნოგრაფიულმა ძიებამ ცხადყო, რომ დროთა ვითარებაში იცვლებოდა ხევის ისტორიული რეალობა და ამის შესაბამისად ცვალებადობას განიცდიდა ცხოვრების წესიც, მათ შორის სამეურნეო საქმიანობა, მეურნეობის ფორმები, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალებიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხევში ფაქტიურად მოისპო და დავიწყებას მიეცა მინათმოქმედება. ერთადერთი, რაც მოხევეებმა ამ სფეროდან შეინარჩუნეს, არის მოგვიანო ეპოქაში შემოსული მეკარტოფილეობა, ნაწილობრივად მებოსტნეობა და იშვიათი გამონაკლისის სახით მეხილეობა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და განვითარებული მეცხვარეობის განადგურების შემდეგ ხევში მოაწყვეს სათბურებიც, მაგრამ ფაქტიურად ეს საქმიანობაც ჩაკვდა ბუნებრივი აირის მკვეთრი შემცირების პირობებში. ყოველივე ამის გათვალის-

58 იქვე, 67, 73, 85-89.

59 გ. ჯალაბაძე, მინათმოქმედება თერგის ხეობაში, სსმმ, XXII, თბილისი, 1961, 202.

60 Р. Харадзе, Грузинская семейная община, 128-144.

61 ვ. ითონიშვილი, ხვნა-თესვა ხევში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომები, VI, თბილისი, 1953; მისივე, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, 95 და შმდ; მისივე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, 71-74; მისივე, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბილისი, 1964, 113.

წინების საფუძველზე საჭიროდ მივიჩნიე ახლო წარსულამდე მოქმედი მეურნეობის ფორმების, როგორც ისტორიული რეალობის შესწავლა, რათა ახალ თაობას გავაცნოთ ადრინდელი მამაპაპური საქმიანობა.

როგორც კი გაზაფხულდებოდა, ბუნება გამოიღვიძებდა და მიწა გაშრებოდა, ხალხი საგაზაფხულო საველე მუშაობისათვის საჭირო იარაღების წესრიგში მოყვანისათვის სამზადისს შეუდგებოდა. პირველ ყოვლისა მოაწყობდნენ ურემს, შეაბამდნენ ხარებს (რაც შემდეგ ცხენმა შეცვალა) და იწყებდნენ ზამთრის პერიოდში დაგროვილი ნაკელის დაყრას "გამონაბეჩხრებულ" (გამოფიტულ) ყანებზე. თუ ასე 3 წელიწადში ერთხელ არ მოხდებოდა სახნავი ნაკვეთის განოყიერება, მიწა ნაყოფს აღარ იძლეოდა. ნიადაგის ჩამორეცხვა უმთავრესად ხდებოდა დახრილი მდებარეობის ნაკვეთზე, რის შედეგადაც "ბალყუმი" ნიადაგის (ნაყოფიერი მიწის) ნაცვლად რჩებოდა ე.წ. "სამყარო" (ყვითელი) მიწა.

ერთ ურემში ჩაყრილი ნაკელის რაოდენობას ეწოდებოდა "ძარი". ერთი დღიური სახნავი ნაკვეთისათვის საჭირო იყო 30-35 ძარი. ყანაში ძარებს განალაგებდნენ ერთიმეორისაგან თანაბრად დაცილებულ რიგებად, შენდეგ მათ გაშლიდნენ და იწყებდნენ ხვნას. ნაკელით მიწის განოყიერებასთან ერთად ხევში იცოდნენ აგრეთვე ნიადაგის დასვენება ანუ გაყამირება და თესლბრუნვა. ნაბეჩხარ (გამოფიტულ) მიწაზე ქერის ნაცვლად ითესებოდა შვრია, რაც სხვა მარცვლეულ კულტურასთან შედარებით უხვ მოსავალს იძლეოდა. შვრია განსაკუთრებით ეფექტურ საკვებად ითვლებოდა ცხენისთვის, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მთაბარული მეცხვარეობა განვითარდა, მთავარ გამწევ ძალად იქცა ხართან შედარებით.

სასვილედ განკუთვნილი ნაკვეთების ნაკელით განოყიერება შეუძლებელი იყო მათი დახრილობის გამო. მთის ფერდობებზე განლაგებული სასვილეების განოყიერების შემთხვევაში წვიმიანობის დროს მათი ჩამორეცხვა გარდუვალი იყო. ამიტომ სასვილეების მოხვნა ხანგამოშვებით ხდებოდა.

ხევში მიწის განოყიერების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა შემოღობილ საჩალეში ან საკარტოფილე ნაკვეთში ღამით ცხვრის დაყენება. მიწის განოყიერების ეს წესი თითქოს ადამიანის შრომას არ საჭიროებდა, მაგრამ იმის გამო, რომ ცხვრის ნადგომი ადგილი მაგრად იკეჟრებოდა (იტკეპნებოდა), მოხნული მიწის "გორახების" (ბელტების) გაფხვიერება საკმაოდ შრომატევადი იყო.

სახნავად გასვლა ხევში ჩვეულებისამებრ გაზაფხულის შუა რიცხვებიდან ხდებოდა, მაგრამ სოფლის მდებარეობის გათვალისწინებით. ქვემო ხევის სოფლებში (არშა, ფანშეტი, სტეფანწმინდა, გერგეტი...), აგრეთვე სნოს ხეობის სოფლებში (აჩხოტი, სნო, ახალციხე, ქოსელი) ხვნას იწყებდნენ 10 აპრილიდან, განსხვავებით ზემო ხევის სოფლებისგან (გორისციხე, ფხელშე, ტყარშეტი, ხურთისი, ყანობი), სადაც ხვნა 26-30 აპრილიდან იწყებოდა (ძვ. სტ.). ასეთი სხვაობის საფუძველი იყო ზღვის დონიდან განსახლების სიმაღლე. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ხალხური დაკვირვებებიც. როგორც სოფელ არშაში მითხრეს, "ჯნვას იქამდე არ დავიწყებდით, სანამ "მოჯნავას ჭიას ფეკებს არ გაუშინჯავდით. გავიდოდით საყანეჩი, ბარით გადმოვაბრუნებდით მიწას, რომელსაც უსათუოდ ამოჰყვებოდა მოლურჯო-თეთრი ექვსფეხიანი ჭია. ამ ჭიას ფეკები წყვილ-წყვილად აქვს: ორი წინ, ორი შუაჩი და ორიც უკენ. თუ წინაჲ

ფეკები ექნებოდა გრძელი, მაშინ ადრეულად ნაკნავი იძლეოდა ბარაქიან მოსავალს. თუ შუაჲ ფეკები აღმოჩნდებოდა გრძელი, მაშინ საშუალო დროს მოკნული ამჯობნიდა, ხოლო თუ უკენაჲ ფეკები ექნებოდა გრძელი, მაშინ გვიან მაკნული უფრო ბევრს ჭირნახულს დაჰყრიდა."

ნიადაგის ასეთი წინასწარი შემოწმების შემდეგ გუთნის დედა და მეხრე დილაადრიან გაიტანდნენ გუთანს და შეუდგებოდნენ მუშაობას. მეხრე ხარებს წინ მიუძღვებოდა. ამავე დროს უყუსაყრელით (რკინის ორკაპა იარაღი ხის ტარით) ამოყრიდა სარეველას ძირებს, რასაც ქალები და ბავშვები გოდრებით ყანისპირებში ყრიდნენ. გუთანს მოკიდებული გუთნის დედა მეხრეს ჰკარნახობდა: "ქომო", "ზემო", "კოლჩი", რათა კვალიდან გუთნის აცდენით რუყი (მოუხვნელი) ადგილი არ დარჩენილიყო. ბალყუმნიადაგიან ყანას ერთხელ რომ გადახნავდნენ, თესლს მიმოაპნევდნენ და დაფარცხავდნენ. გამონაბეჩხრებულ ყანაში კი მიწის ერთხელ გადაბრუნების შემდეგ გორახს თოხით ამტვრევდნენ და როგორც კი გაწვიმებით მიწა გალბებოდა, კიდევ ერთხელ გადახნავდნენ, თესლს მოაპნევდნენ და დაფარცხავდნენ.

მარცვლეული კულტურებიდან ხევში გავრცელებული იყო ქერი, სვილი (ჭვავი), ქერსვილა, შვრია, თავთუხი, გაზაფხულის საადრეო ხორბალი დიკა (ბორჩალოდან შემოტანილი) და კადური (ხადიდან შემოტანილი ცერცვი). როგორც მთხრობლებმა აღნიშნეს, ხორბლის მოსავალი ერთ დღიურზე 25-30 ფუთს შეადგენდა. სნოში ხორბლის მთესველებად მთხრობლებმა დაასახელეს გოდერძიშვილები და ვარძუკაშვილები. მათივე ცნობით, აჩხოტისა და არშის ტერიტორიაზე ხორბალი მოყავდათ ყაზბეგებს. მთხრობლებმა ისიც გაიხსენეს, რომ შემდეგში ლიზა ყაზბეგის ნაწილარი შეუსყიდიათ დათიკო მამუკას ძე ღუდუშაურს და ივანე სვიმონის ძე ვარძუკაშვილს. 8-9 დღიურ სახორბლე მამულში მათ გადაუხდიათ 120 თუ 140 თუმანი მაშინ, როდესაც წყვილი ცხვარი ღირდა 7 მანეთი. ბოლო დროისათვის არშის ტერიტორიაზე ხორბალი მოყავდა ნიკიფორე ბედოშვილს.

მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით მოყავდათ ქერი და ქერსვილა. ქერი ორნაირი სახისა იყო: 1. ბრტყელმარცვლოვანი ქერი ("ბრტყელქერაჲ"), რომლის თავთავი გრძელი იყო ორ წყებად განლაგებული მარცვლებით. 2. მრგვალმარცვლოვანი ქერი ("მგჯრგალი ქერი") თავთავზე 4-6 წყებად ასხმული მარცვლებით.

სახნავი მიწებიც ამ მარცვლეული კულტურების მიხედვით იყო დახარისხებული. ქერისა და ქერსვილისათვის გამოიყენებოდა "გულგულაჲ ყანები" მზიანი და ნაყოფიერი ნიადაგით. ხალხის დაკვირვებით, ჩირდილი (უმზეო) ადგილი უვარგისია იმიტომ, რომ ჯეჯილი ზრდას ვერ ისრულებს, პურიც და ჩალაც მოუმნიფებელი რჩება. ასეთ მოსავალს ხევში "ღუდუდი" ეწოდება. თავთუხისათვის გამოიყენებოდა საშუალო ჯანის ყანები, დიკასა და შვრიისათვის "ნაბეჩხარი" და "ნაყამირალი" ყანები. შვრია თუმცა ნოყიერ მიწაზე უკეთესი მოდის, ვიდრე "ნაბეჩხარზე", მაგრამ რაკი ყველა ადგილის განოყიერების შესაძლებლობა არ არსებობდა და ქერი კი გამოღალულ ნიადაგში არ ხარობდა, ამიტომ მოსახლეობა მიწის მაქსიმალურად გამოყენების ასეთ ხერხს მიმართავდა. მოხევეების დაკვირვებით, "შვრია ნიადაგს ანოყიერებს, მისი ფესვები და ნამჯავი ლპება და მი-

წას ჯანს ღმატებს". რაც შეეხება დიკას, ხალხის აზრით, არ შეიძლება "ბალყუმ" მიწაზე დაითესოს იმიტომ, რომ ზრდას ვერ დაისრულებს, ჩალა "წამაყვირდება", სიმაღლის გამო ტანს ვეღარ დაიჭერს, დაწვება, "ღუდუდი" დარჩება და "შოვად" იქცევა. დიკასათვის ხელსაყრელად მიიჩნევდნენ შლამიან-ქვიშიან ნიადაგს, რასაც "ქვიშრობი" ეწოდება და ხელსაყრელი იყო განსაკუთრებით წვიმიანობის შემთხვევაში. სვილი მთის ფერდობებზე ითესებოდა და შედარებით კარგად იტანდა უამინდობას — როგორც გამუდმებულ გვალვას, ისე გადაუღებელ წვიმებს. გვალვა იმიტომ ვერ აზიანებდა, რომ შემოდგომიდან ნიადაგში მოხვედრილი მარცვალი გაზაფხულის გარიჟრაჟზე იღვიძებდა და ქერის აღმოცენებამდე ის უკვე წამოზრდილ ჯეჯილად ბიბინებდა.

დაკვირვებიდან გამოჩნდა, რომ ხევში ნიადაგების კლასიფიკაცია დამოკიდებული იყო არა მხოლოდ მარცვლეულ კულტურებზე, არამედ მის ბუნებრივ თვისებებსა და ამინდზე. "ბალყუმი" მიწა სასიკეთოდ ითვლებოდა ნორმალურ ამინდში. გადამეტებული წვიმა იმ მხრივ იყო საზიანო, რომ ნაყოფიერი ნიადაგის ჩამორეცხვას იწვევდა. ამავე დროს მარცვლეულისა და კარტოფილის ფესვების ლპობა იყო მოსალოდნელი. ხანგრძლივი გვალვა იმიტომ იყო მავნებელი, რომ იწვევდა ნიადაგის "გაკატრებას" (გახმობას, გაშრობას) და მოსავალიც კნინდებოდა. ქვიშრობი ადგილი ხელსაყრელი იყო წვიმიანობის დროს კარტოფილისა და საგაზაფხულო (საადრეო) ხორბლის ზემოთ დასახელებული ჯიშის — დიკასათვის.

ხევში სახნავი მიწების სიდიდე დღიურების მიხედვით განისაზღვრებოდა. ერთი დღიური ეწოდებოდა მიწის იმ ნაკვეთს, რაც ერთი დღის განმავლობაში იხვნებოდა. ერთ დღიურზე ითესებოდა საშუალოდ ორი ფუთი მარცვლეული (ქერი. ქერსვილა, შვრია, სვილი), რომლის მოსავალი შეადგენდა 10-12 ფუთს. მოსავლიანობის რაოდენობა განისაზღვრებოდა აგრეთვე ე.წ. "მარხილის უბეების" მიხედვითაც (მარხილის უბე იგებოდა ზვინად 45 ძნით). ხარების ერთ დღიურზე მოდიოდა დაახლოებით 13-14 მარხილის უბე. ერთი მარხილის უბე იყრევინებდა 1-1,5 ფუთს. ამის მიხედვითაც ერთ დღიურზე მოდიოდა დაახლოებით 12-18 ფუთამდე. თავთუხი და დიკა ზემოხსენებულ მარცვლეულთან შედარებით ცოტა ნაკლებ ჭირნახულს იძლეოდა. მთხრობელთა ცნობით, ერთ ჰექტარზე თავთუხი და დიკა ითესებოდა 10 ფუთი და მოდიოდა 32 მარხილის უბე, ხოლო რაკი ერთი მარხილის უბე იყრევინებდა 1,5 ფუთს, ამის მიხედვით, ერთ ჰექტარზე მოდიოდა დაახლოებით 48 ფუთი, ე.ი. ერთ ფუთზე მოდიოდა 4-5 ფუთი.

ხევში მიწას ხნავდნენ ხის გუთნით, რაც შემდეგ რუსულმა რკინის გუთანმა შეცვალა. ხის გუთანი ორგვარი ტიპისა იყო. ერთი მათგანი იხმარებოდა "ბარად" (ვაკე) მდებარე ყანებში ქერის, შვრიის, ხორბლის და სხვა მარცვლეული კულტურებისათვის განკუთვნილი მიწების დასამუშავებლად, ხოლო მეორე ტიპის ე.წ. "ფშაური გუთანი" გამოიყენებოდა დაფერდებულ ადგილებში შეფენილი სასვილე ადგილების მოსახვნელად. ამის შესაბამისად პირველს ერქვა "საყანე გუთანი", ხოლო მეორეს "სასვილე გუთანი". ორივე ტიპის გუთანი თითქმის ერთნაირი კონსტრუქციისაა მცირედი განმასხვავებელი დეტალებით. "საყანე გუთნის" ნაწილებია: 1. საკნისი, 2. ფიცარი, 3. ქუსლი, 4. ერქონაჲ, 5. კელნაჲ, 6. მკარი, 7. სოლები, 8. წერწენაჲ, 9. საბეწური, 10. ღვედი. "სასვილე გუთნის"

შემადგენელი ნაწილებია: 1. საკნისი, 2. ქუსლი, 3. ფრთები, 4. ერქონაჲ, 5. კელნაჲ, 6. მკარი, 7. საკვეთელი, 8. საბეწური.

"საკნისების" გამოჭედვა ადგილობრივ ხდებოდა და ორივე ტიპის გუთნისათვის ერთნაირი კეთდებოდა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბლაგვიც იყო "საყანე გუთნის" სახნისი, რომელიც ბალყუმ და ქვიშრობ მიწაში მაინც მუშაობდა, ხოლო სვილების სახნავი გუთნის სახნისი უფრო გრძელი და მახვილწვერიანი კეთდებოდა.

განსხვავება არის გუთნის იმ ნაწილებშიც, რომლებზედაც სახნისი მაგრდება და "მკარი" და "ერქონაჲ" ჯდება. "საყანე გუთნის" ეს ნაწილი შედგება ქუსლისა და ფიცრისაგან, რომელიც "სასვილე გუთნის" ქუსლსა და ფრთებთან შედარებით უფრო ბრტყელი და განიერია, მაგრამ ნაკლებად გამძლეა. "სასვილე გუთნის" ქუსლი (ფრთებითურთ) გაუთლელი წიფლის ხისაგან კეთდება. იგი უფრო მეტად მკვრივი, გამძლე, ვიწრო და გრძელია, რომელიც ბელტოვან ნიადაგს ადვილად გლეჯს და ხვნას აადვილებს.

"ერქონაჲ" ორივე ტიპის გუთანს ერთნაირი აქვს, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ერქონაჲს შემადგენელი ნაწილი "კელნაჲ" "საყანე გუთანს" პატარა აქვს და ისიც მხოლოდ ერთი ხელის მოსაჭიდი. "სასვილე გუთანს" კი ორშტოიანი ერქონაჲ (ორკაპიანი კელნაჲ) უკეთდებოდა. ეს იმიტომ იყო გათვალისწინებული, რომ სასვილეების ხვნა შედარებით მძიმე იყო და გუთნის დედას მეტი გარჯა უწევდა. გუთნის დედას რომ მეტი დაწოლა მოეხდინა გუთანზე, საჭირო იყო ხელნაზე ორივე ხელის მოკიდებით გუთანი კვალში ღრმად ჩაესვა.

"მკარი" ორივე ტიპის გუთანს ჰქონდა, მაგრამ მათ შორის განმასხვავებელი ნიშნებიც არსებობდა. "საყანე გუთნის" მკარის ერთი ბოლო ჯდებოდა ქუსლის "ჭდეში" ერქონასთან ერთად, ხოლო მეორე ბოლო დაკავშირებული იყო წერწენთან. წერწენი ხის სოლებითა და მავთულით მიმაგრებულია მკარზე. მაშასადამე, "საყანე გუთნის" მთელი სიგრძე განისაზღვრებოდა ქუსლის, მხარისა და წერწენის მიხედვით. წერწენი კეთდებოდა იფნის, რცხილის ან არყისგან, ხოლო მკარი უმეტესად წიფლის ან ვაშლის ხისგან მზადდებოდა.

"სასვილე გუთნის" ნაწილების ჩამოთვლისას მოხევეები წერწენს არ ახსენებდნენ. ისინი განმარტავდნენ, რომ "საყანე გუთნის" ის ნაწილები, რომლებიც მკარისა და წერწენის სახელწოდებით იყო ცნობილი, "სასვილე გუთნისათვის" მხოლოდ მკარს წარმოადგენდა. ე.ი. "სასვილე გუთნის" წერწენიც მკართან იყო გაიგივებული. ამიტომ, მისი მთლიანი სიგრძე, განსხვავებით "საყანე გუთნისაგან", მხოლოდ ქუსლისა და მკარის მიხედვით განისაზღვრებოდა. ერთნაირი დანიშნულების მქონე ნაწილების სახელწოდებათა ასეთი სხვადასახვაობა იმით აიხსნება, რომ "საყანე გუთნის" მკარი და წერწენი მართლაც ორი ერთიმეორეზე მიბმული ნაწილები იყო. "სასვილე გუთნის" წერწენი და მკარი კი გაიგივებული იყო მკართან იმიტომ, რომ ის კეთდებოდა ბუნებრივად მოხრილი ხისგან და არა გადაბმით. ასეთ მკარს მეტი გამძლეობა ჰქონდა გამინდვრებულნიადაგიანი "სასვილე ყანების" მოსახნავად, ვინაიდან მისი ერთი ბოლო ქუსლში იყო ჩამჯდარი, ხოლო მეორე ბოლო სხვა რაიმე ნაწილთან დაკავშირებული. ამიტომ ის არც სოლებს საჭიროებდა და სახელწოდებაც ორის ნაცვლად ერთი ჰქონდა.

"საყანე" და "სასვილე" გუთნების მთავარი განმასხვავებელი დეტალი იყო "სასვილე გუთნის" მხარში გაყრილი საკვეთელი-ხანჯლისებური რკინა, რაც არ გააჩნდა "საყანე გუთანს". "სასვილე გუთნის" საკვეთელის დანიშნულება იყო გამინდვრებული მაგარი მიწის გაჭრა. მის კვალდაკვალ სახნისი ბელტებსაც ადვილად გლეჯდა და მუშაობასაც აადვილებდა.

"საბეწური" ერქვა საყანე გუთნის წერწნის ან სასვილე გუთნის მკარის ბოლოში გაკეთებულ ჭრილებს, რომლებშიაც გაუყრიდნენ ხის ჩხირებს და მასზე გამოაბამდნენ ჭაპანს (ყდედს). ჭაპანი გამობმული იყო უღელზე, რითაც ხარები ეწეოდნენ გუთანს. საბეწურებისა და მათში გაყრილი ყდედის მიხედვით ხდებოდა ხვნის რეგულირება. თუ ღრმად მოხვნას მოისურვებდნენ, მაშინ ყდედის გამოსაბმელ ჩხირს წინა საბეწურში გაუყრიდნენ. თუ საშუალო სიღრმით ხნავდნენ, ჩხირს შუა საბეწურში გაუყრიდნენ, ხოლო თუ ზეზეურად უნდოდათ მინის აჩეჩვა, ჩხირს გაუყრიდნენ ბოლო საბეწურში, რაც გუთანს მაღლა ასწევდა. ამას ერქვა დამოკლება, რაც დამოკიდებული იყო ნიადაგის თვისებებზე, მარცვლეულ კულტურებზე და ხარების ღონეზე.

"საყანე" ხის გუთანი თანდათანობით შეცვალა XX საუკუნის დასაწყისიდან შემოსულმა რკინის რუსულმა გუთანმა, ხოლო "სასვილე გუთანი" ხმარებაში დარჩა მანამდე, ვიდრე სასვილედ განკუთვნილ ადგილებს ხნავდნენ. ეს იმიტომ, რომ რუსული გუთნით სასვილეების მოხვნა შეუძლებელი იყო სხვადასახვა სიდიდის ბორბლების გამო.

"სასვილე გუთანი" ყველაზე დიდხანს სნოს ხეობაში შემორჩა იმის გამო, რომ ისედაც მცირე საყანე ადგილების დიდი ნაწილი სნოს წყალმა წალეკა. ქვიშითა და ქვა-ღორღით დაიფარა ართმოს ჭალაც. ამიტომ ძირითადი სახნავი სავარგულები იყო უმთავრესად მთის კალთები სასვილების სახით. "სასვილე გუთანიც" ამიტომ დაიტოვეს ხმარებაში. ასე გაგრძელდა კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე. შემდეგ კი სასვილეები საძოვრებად გადააქციეს.

მიუხედავად იმისა, რომ რკინის გუთანმა მიწის დამუშავება გააადვილა, მოხევეები მაინც ხის გუთანს ამჯობინებდნენ იმ მოტივით, რომ ის მიწას ღრმად აბრუნებს და რუყს (მოუხვნელ ადგილს) არ ტოვებს.

მოხნულზე დასათესი მარცვალი ჩაყრილი იყო მჭიდროდ მოწნულ პატარა გოდორში, რომელსაც ერქვა სათესელაჲ. მასზე მიბმული ყურით (სახელურით) მთესველი გოდორს მხარზე გადაიკიდებდა და მარჯვენა ხელით თესლს ხნულზე მიმოაპნევდა. შემდეგ ხდებოდა ხნულის დაფარცხვა. ფარცხს აკეთებდნენ ფიცრის ნაჭრებისა და წნელისაგან. ფარცხვის პროცესში მასზე დაადებდნენ ქვას ან ბავშვებს დასვამდნენ, რაც ფარცხის დამძიმებას საჭიროებდა. მოხნული სასვილეს დაფარცხვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ფერდობზე ფარცხი ყირავდებოდა. ამიტომ დათესვის შემდეგ სვილის ხნულის მოჭრილ ბელტებს ზემოდან დააშლიდნენ და თესლიც მიწით დაიფარებოდა, რომ ფრინველს არ აეკენკა.

თესლის მოპნევითა და ხნულის დაფარცხვით მთავრდებოდა ხვნა-თესვა, რასთან დაკავშირებითაც ზოგიერთი რწმენა თუ რიტუალი ფუნქციონირებდა. ეს ვლინდებოდა ჯერ კიდევ ხვნის დაწყებამდე, როდესაც მეურნის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენდა სახნისების გამოჭედვა. მოხევეების რწმენით, საამისოდ შერჩეული იყო დიდი ხუთშაბათი. როგორც მთხრობლებმა მითხრეს, მჭედელი ამ დღეს ჩაქუჩს პირველად დაარტყამდა ე.წ. "უმძრახ რკინაზე" (ე.ი.

რკინაზე, რომელსაც ნაჭეჭყი არ ექნებოდა). მჭედელი პირველ შეკვეთას ღებულობდა "კარგი გულის" გუთნის დედისაგან, რათა ყანაში ამ სახნისის გატანას ყველასთვის ბარაქიანი მოსავალი მოჰყოლოდა.

ბარაქიანობასთან დაკავშირებული იყო რიტუალი სამეზობლო ურთიერთობაშიც, მეზობელს რომ მეზობლისთვის ხარ-გუთანი ეთხოვებინა, პატრონი ჯერ თავისას მოხნავდა და შემდეგ მეზობელს გაიკვლევდა იმის შიშით, რომ ბარაქა სხვაზე არ გადასულიყო.

ოთხშაბათს სახნავად არ გავიდოდნენ, რადგანაც ეს დღე მთელი კვირის (7 დღის) შუალედად ითვლებოდა და ბარაქა შუაზე გადატყდებოდა, ე.ი. მოსავლის ნახევარი გაწყალდებოდა. მუშაობის დაწყებას ორშაბათსაც ერიდებოდნენ, ვინაიდან ორშაბათი ნავსიან დღედ ითვლებოდა.

ხვნის დაწყებამდე ხევის ყველა სოფელში სამხდო იმართებოდა. დიდ სოფელში ეს უბნობრივად ხდებოდა, მაგალითად, სოფელი სნო 4 უბანს შეადგენდა და ყოველ მათგანში საბალახეში აღებული თითო საკლავი იკვლებოდა. საკლავების დახოცვა და ხალხის დამწყალობნება დეკანოზის მოვალეობას შეადგენდა. დეკანოზი რომ საკლავს თავს მოაჭრიდა, გატყავება, აკაფვა და თავების გატრუსვა უმცროსებს ევალებოდათ. ტყავებს ქურქებისათვის ღარიბებს აძლევდნენ. საჭმელ-სასმელი კომლობრივ მიჰქონდათ, ზოგჯერ კი სასმელს შეგროვილი თანხით ყიდულობდნენ. რომელიმე სახლის ბანზე ფიცრებს გააწყობდნენ და დეკანოზის თამადობით სუფრას უფროს-უმცროსობით შემოუსხდებოდნენ ჩვეულებრივი მოხეური წესით. სუფრაზე მიჰქონდათ დიდ საკიდელზე მოხარშული ხორცი, ოჯახებიდან მიტანილი ქადა-ხაბიზგინა, ყველი და სასმელი. თავ-დუმას უფროსების წინ დებდნენ.

მეორე დღეს "საკვლელ პურს" ერბოს წაუსვამდნენ, ხარების უღელზე გადატეხდნენ და დაილოცებოდნენ. "დარჩი მაკნულო, დარჩიმც დაითესები, დარჩიმც გაილეწები, ძველად გახოლ (ბარაქა წლამდე), მშვიდობამჩიც დაიხარჯები". ამას სამჯერ იტყოდნენ, შემდეგ ხარების რქებზე სანთლებს დაანთებდნენ. ერთ სანთელს გუთნის დედა ხელში დაიჭერდა, დაილოცებოდა, თითო ყანწს გამოცლიდნენ და ყანაში "ჯორედინ კოლს" გაავლებდნენ. საკუთარ მამულში ერთი დღე იმუშავებდნენ, ქვრივ-ობლებს და ჭირის პატრონებს მიხედავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ თავის ყანებში გავიდოდნენ სამუშაოდ.

სექტემბრის პირველი რიცხვებიდან (ძვ. სტ.) იწყებოდა მოსავლის აღება. ქერისა და ქერ-სვილის მკა ნამგლით ქალებს ევალებოდათ, ხოლო სვილის აღება, როგორც მძიმე სამუშაო, მამაკაცთა ვალდებულებას შეადგენდა.

მკის დასასრულს სამ ხელეურს გამოიღებდა უფროსი დედაკაცი, რომელიც სხვებთან ერთად ყოველი ხელეურის მოჭრისას დაილოცებოდა: "დარჩი მაკნულო, დარჩი დათესილო, დარჩი მამკულო, დარჩიმც გაილეწები". ეს ლოცვა სამჯერ უნდა თქმულიყო. ბოლოს გააკეთებდნენ ე.წ. "ნამგლის კუდს" — თავთავებისგან გაკეთებულ ჯვარს მიიტანდნენ სახლში და დიასახლისს ჩააბარებდნენ, რომელიც მას ლეწვამდე საიმედო ადგილას შეინახავდა, რომ თაგვს არ დაეღრღნა. "ნამგლის კუდს" პირველსავე კალოზე გულთა ბოძთან (ცენტრალურ ადგილას იდგა ეს ბოძი, რომლის ირგვლივაც ხარები ტრიალებდნენ) ჩააგდებდნენ. მეორე ვერსიით კი "ნამგლის კუდს" ხაროში ჩაყრილ მარცვლეულს ჩააყოლებდნენ. ორივე შემთხვევაში ამ წესს ოჯახის უფროსი მამაკაცი ასრულებდა. ოჯახ-

ის უფროსი დიასახლისი კი ტაბლას გაშლიდა და სახლის ბარაქას შესთხოვდნენ სახლის ანგელოზს და მთელი ხევის სალოცავებს.

აღწერილი რიტუალი სრულდებოდა ლეწვის დამთავრების შემდეგ, მაგრამ მანამდე ხალხი სხვა საქმით იყო დაკავებული. მკა რომ დამთავრდებოდა და მოსავალს ძნებად შეკრავდნენ, იწყებოდა ძნის შემოტანა, რასაც "გზის გახსნა" ერქვა. ეს იმიტომ, რომ ძნის შემოსატანი გზები გადიოდა როგორც ღია ნაკვეთებზე, ისე შემოღობილ ადგილებზე. ეს კი საჭიროებდა ღობეების გახსნას, რისთვისაც ძნის შემოტანის პროცესს გზის გახსნა შეარქვეს.

შემოტანილ ძნას თავდაპირველად "კუთულებად" (ზვინებად) აგებდნენ, ხოლო კალოს მომზადების შემდეგ ძნას საქონლის ფეხით ლეწავდნენ. ხვავს ნიჩბებით გაანიავებდნენ, "ჩალის კბილებს" (ზვინებს) დადგამდნენ და განიავებულ ხვავს საპურე გოდრებში და ხაროებში ჩაყრიდნენ. ყოველივე ამის პარალერულად მაგრად დაწნული მოგრძო სათრით მთიდან სვილი ჩამოჰქონდათ. ის კონებად იყო შეკრული, რასაც სახლის სამეურნეო განყოფილებაში ბერტყავდნენ-ქვაზე ან ფიცარზე თითოეული კონის დარტყმით მარცვალს აყრევინებდნენ, ხოლო ჩალას (ლაბარს) საწვავად იყენებდნენ. ამითი მთავრდებოდა მინდვრის სამუშაოები, რასაც მოყვებოდა საკლავების დაკვლა და ქეიფი. როგორც წესი, ასეთ დროს ოჯახის უფროსი ახსენებდა ადგილის დედას და დანას მისცემდა უმცროსებს სიტყვებით: "ღმერთმა გაპატიოს მაგის ცოდვაო". ამ სიტყვების შემდეგ საკლავს უმცროსი კლავდა, ვინაიდან უფროსი ამ დროს სისხლში არ უნდა გარეულიყო.

როგორც კი პურეულსა და ჩალას "დააბუნაგებდნენ", ოჯახის დიასახლისი კვირა დღეს მოხარშავდა ახლად მოწეული ქერის ფაფას, დააცხობდნენ მისსავე პურებს და გასტეხლებს (ქადებს) თუნდაც რომ სახლში ხორბლის თეთრი ფქვილი ჰქონოდათ და ოჯახის ყველა წევრს ამის ჭამა ევალებოდათ. ეს მოსწონდათ თუ არა, ცოტ-ცოტა მაინც უნდა შეეჭამათ ოჯახის ბარაქიანობის მიზნით. თვით ოჯახის დალოცვა კი ამ შემთხვევაში ოჯახის უფროსის მოვალეობას შეადგენდა.

ხვნა-თესვით მიღებული მოსავალი მოსახლეობის უმრავლესობას არ ყოფნიდა. დანაკლისის შევსება ხდებოდა საქართველოს ბარის რაიონებიდან შემოტანილი პურეულით, მაგრამ ხალხს კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ჩრდილო კავკასიასთან დაკავშირებამ — ე.წ. პურობ სიარულმა. ამ ზონაში მოხევეები ცხენ-ურმით მუშაობდნენ და საზღაურად პურს, უმთავრესად კი სიმინდს ღებულობდნენ. ამის შედეგად მჭადი ხევში მთავარ პურეულად იქცა, ხოლო ხორბლის ფქვილი უმთავრესად ქერისა და ქერ-სვილის პურს ჩაენაცვლა სხვადასხვა სახის ნამცხვრის დამზადებაში. ჩრდილო კავკასიასთან ასეთი საქმიანი ეკონომიკური კავშირის საფუძველზე ხევში თანდათანობით მცირდებოდა პურეულის სათესი ფართობები, პირველ ყოვლისა სასვილეები. ადგილობრივი ნაკვეთების დამუშავებით გაწეული დიდი შრომა რამდენადმე შემსუბუქდა ჩრდილო კავკასიაში პურეულის შეძენის შესაძლებლობით. საბჭოთა პერიოდში კი, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ხევში პურეულის მოყვანის პრაქტიკა ფაქტიურად ამოვარდა შრომა-საქმიანობის ციკლიდან. ბოლო დროისათვის შენარჩუნებულ იქნა მეკარტოფილეობა, რაც საოჯახო ხარჯებსაც ხმარდებოდა და ბაზარზედაც გაჰქონდათ.

ყოველივე ამის პარალელურად კვლავაც სასიცოცხლო მნიშვნელობას ინარჩუნებდა თივის დამზადება, რაც მსხვილფეხა საქონლის შენახვის საჭიროებით იყო ნაკარნახევი. განსხვავებით სოფლის ახლოს მდებარე სათიბებისა, დიდ შრომას მოითხოვდა თიბვა სოფლიდან მოშორებით აღმართული მთების კალთებზე. დიდი გზის გავლით დაღლილობის ასაცილებლად და სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენების მიზნით მთიბელს ხშირად რამდენიმე გზის საგზალი თან მიჰქონდა ბაჭკოსთან ((უმთავრესად ნაბადთან) ერთად. როგორც მოხევეები ამბობენ, ღამედგომით მომუშავე მთიბელი "ახანებდა" (დროს მაქსიმალურად იყენებდა) და თიბვასაც ადრე დაასრულებდა.

მოთიბულის გაშრობის შემდეგ "სახვეტში" (მოფოცხვაში) კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ. ადგილ-ადგილ მოგროვილ თივას ("ხორამს") ზოგჯერ ჯერ ბიჟინებად (პატარა ზვინებად) ააგებდნენ და შემდეგ თივას მოწნულ სათარზე საგულდაგულოდ აგებდნენ და ვალდახებით (მშრალი ბალახის გრძელი ღეროებით დაგრეხილი თოკებით) ჯვარედინად კრავდნენ. ზოგიერთი მეურნე კი პირდაპირ თივებს აგებდა. სოფლის ახლოს მდებარე ადგილები ბარად იწოდებოდა და იქ აგებული დიდი თივაც (10-12 ფუთი) ბარის თივად იყო სახელდებული, განსხვავებით მთის მომცრო (6-7 ფუთი) თივისაგან. ეს იმიტომ, რომ მთის ფერდობებიდან თივის ჩამოთრევა ან პირიქითა მთებიდან მარხილით მათი გადმოზიდვა რთულსა და შრომატევად საქმიანობად ითვლებოდა. ჩვეულებისამებრ მთებიდან ჩამოტანილ თივის ზვინებს საგულებელზე დებდნენ, ხოლო იქიდან ან მთლიანად სახლთან ახლო მდებარე შემოღობილ საჩალეში გადაჰქონდათ ან თივას საგულებლიდან სახლში ნელ-ნელა ეზიდებოდნენ.

თივის დამზადებას ხევში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთაბარული მეცხვარეობის ინტენსიურ განვითარებამდე. ეს იმითი აიხსნება, რომ ხევში მეურნეობის მთავარი დარგი წამყვანი ეკონომიკური მნიშვნელობით მსხვილფეხა მესაქონლეობა იყო. ამის კვალობაზე თივა ჩალასთან და ბზესთან ერთად საქონლის მთავარ საკვებს წარმოადგენდა ხევის ცივი და ხანგრძლივი ზამთრის პერიოდში. ვითარება არსებითად შეიცვალა მთაბარული მეცხვარეობის განვითარების შედეგად. მეცხვარეობა უმთავრეს საარსებო საშუალებად იქცა და შესაბამისად მსხვილფეხა საქონლის რიცხვიც შემცირდა.

მესაქონლეობას ქვემოთ საგანგებოდ შევეხები, ხოლო ამჯერად მემინდვრეობისადმი მიძღვნილი მიმოხილვის დასასრულს მკითხველს გავაცნობ მეურნეობის ამ ტრადიციული, მაგრამ სადღეისოდ მივიწყებული დარგის ფუნქციონირების პერიოდში არსებულ რწმენა-წარმოდგენებს და რიტუალებს.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ყოველი რწმენა და რიტუალი შესაბამისობაში იყო მიწის გამოსავლიანობასთან და ამინდის რეგულირებასთან. რაკი მოხევეებს სწამდათ, რომ მოსავლის ბარაქიანობა ამინდზე იყო დამოკიდებული, "ღრუბელთ ბატონებად" მიჩნეულ წმინდანებს ელიას და ზაქარიას ევედრებოდნენ. ხალხური გადმოცემით, ელიაჲ და ზაქარიაჲ ღვთის ნათლული კაცის იობის შვილები ყოფილან. ღვთისმოყვარე იობს მფარველობდა კედენიშის წმინდა გივარგი. იობის ასეთი მდგომარეობა შეშურებია ეშმაკს, რომელიც სამტროდ გადაჰკიდებია და მოუწადინებია კედენიშის წმინდა გივარგის ამხედრება მის წინააღმდეგ. ხალხში მისი ავტორიტეტის დაცემის მიზნით ეშმაკი ერთხელ მისულა კედენიშის წმინდა გივარგისთან და მოუხსენებია: თუმცა იობი

შენი ერთგულია, მაგრამ შემიძლია შენზე ძვირი (ცუდი) ვათქმევინოო. უფალმა უთხრა ვერ შესძლებო. აბა, მაშ კარგი, თუ არ ვათქმევინოო, შეეპასუხა ეშმაკი და გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც იობის ცხვარ-მწყემსი იდგა. ეშმაკმა მინდორს ცეცხლი მოუკიდა და იობის ფარები მწყემსებიანად ფერფლად აქცია.

ეშმაკმა იობს მოციქული მიუგზავნა და ეს თავზარდამცემი ამბავი გააგებინა:

"იობს კაცი მიუვიდა, მოციქული ეშმაკისა,
მინდორს ცეცხლი მოუკიდა, შიგ დაიწვა ფარა ცხვრისა."

ამის მიუხედავად იობმა წირვა-ლოცვა არ შეაჩერა, მარტო ისა თქვა: "საღვთო გადაყრილა ღვთისაო.~

ეშმაკმა ახლა მეორე მხარეს მოუკიდა ცეცხლი მინდორს, რამაც დაწვა მთელი ჯოგები და ძენი მისნი — ელია და ზაქარია.

ეშმაკისაგან მეორედ გაგზავნილმა მოციქულმა იობს მოახსენა: "მინდორს მეორედ მოეკიდა ცეცხლი, შიგ ჩაიწვა ჯოგები და ძენიც შენნიო." იობმა ყურიც არ გაიბერტყა, მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკა:

"ძვირი არა სთქვათ რა ღვთისა,
საღვთო გადაყრილა მისიო."

ეშმაკისადმი ასეთი შეუპოვრობა და ღვთისადმი ერთგულობის გამო იობთან თვით უფალიც (კედენიშის წმინდა გივარგი) გამოცხადებულა და უთქვამს: "ეშმაკმა რაც ზარალი მოგაყენა, აგინაზღაურებო და ზიანს საკეთილოდ დაგიმთავრებო". იობს უპასუხნია: "კურთხეულო მამაო, ამ ზიანის დაბრუნება არ იქნებაო". მაგრამ უფალმა თავისი პირობა შეასრულა: იობის სახელის უკვდავსაყოფად და მისი შთამომავლობის დიდების ასამაღლებლად ელიას და ზაქარიას სულები ზეცაში გაუფრენია და ჭექა-ქუხილის მეუფეებად გაუმწესებია. ხალხის რწმენით, ელია და ზაქარია ცეცხლოვანი ეტლით ზეცაში დაქრიან, მეხს ისვრიან და ეშმაკის მოდგმას ანადგურებენ:

"ელიაჲ და ზაქარიაჲ, ძენი არიან იობისა,
ეშმაკებსა მეხს ესვრიან, მაგათ ჯავრი ჩვენცა გვჭირსო".

ასეთია ხალხის უძველესი რწმენა "ღრუბელთ ბატონების" შესახებ და ამიტომაც ამ ღვთაების სახელზე მართავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს, რომლებიც მოსავლიანობის ბარაქიანობასთან იყო დაკავშირებული.

დიდი ხატობა (ელიობა) კედენიშის წმინდა გივარგის სახელზე სოფელ სტეფანწმინდაში 20 მკათათვეს (ძვ. სტ.) იმართებოდა. მის შესახებ ხალხურ ზეპირსიტყვაობაში ასეთი გამოთქმაა შემორჩენილი:

"განჯას თუშნი ცხენებს ჭედენ, იძახიან გალობასა,
ბედნიერაჲ შაესწრობა კედენიშის დღეობასა"

ილიკო ქუშაშვილისა და ვანო ჩოფიკაშვილის თქმით ელიობა დღეს ამ კედენიშში "ღვინო წვიმდა და პური თოვდაო", მაგრამ ერთ უგუნურ დედაკაცს კედენიშის წმინდა ადგილი ბავშვისთვის წაუბილწინებია, ამაზე ხატი გაჯავრებულა და მიწაში ჩასულა. ხალხს იქაურობა გადაუთხრია, მაგრამ ხატისთვის ვერ მიუგნიათ, ბოლოს ხატს ქვესკნელიდან ამოუძახნია: ტყუილად ნუ იტანჯებით, რამდენჯერაც მიწას თოხს დაარტყამთ, იმდენად ღრმად ჩავიკარგებიო. აქ ახლა ბუნებრივად ამოღრმავებული ადგილია, რასაც "გორაჲს ტბას" უწოდებენ.

ამგვარი რწმენის საფუძველზე ხალხი ყოველ რელიგიურ დღეობაზე, რაც ხვნა-თესვის ბარაქიანობისთვის სრულდებოდა, ელიას და ზაქარიას შესთხო-

ვდნენ: "თქვენ გებარასთ ეს ჩვენი ნაწოვ-ნადაგი, ცორ-ნამი მიეცით, დაიფარეთ სეტყოსაგა და კოხისაგა, ბარაქიანი მოსავალი მაიყვანეთ და დაიხსენით ხიზანი შიმშილისაგან".

ელიას და ზაქარიას სოფელ თოთში ვაჩილობას უხდიდნენ. სოფლის ხარჯით ყიდულობდნენ თხას, აიყვანდნენ მთა ელიას წვერზე, დეკანოზი ელიას და ზაქარიას შეევედრებოდა: "ყანას ცორ-ნამი მიეცით, ზოვი და სეტყო აშორეთ". ლოცვის წარმოთქმის შემდეგ დეკანოზი თხას დაკლავდა და ელიას წვერიდან დააგორებდა. ამის შემდეგ სოფელში იმართებოდა ვაჩილობის სახელწოდებით ცნობილი სამხდო, რაც მოსავლის ბარაქიანობას ეძღვნებოდა.

მოსავლის ბარაქიანობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ფართოდ სრულდებიოდა ე.წ. მნათეობა, რასაც მიწათმფლობელობისადმი მიძღვნილ ნაწილში გავეცნობით. ამჯერად კი შემოვიფარგლებით იმის აღნიშვნით, რომ სათიბად გასვლამდე იმართებოდა დღეობა — ე.წ. თიბისთავი. ამ დღეობაზე მოიხმარებოდა გაქირავებული მთების საბალახეში აღებული საკლავები და საბალახეს საფასურითვე ნაყიდი სასმელი.

* * *

მოხევეთა ტრადიციულ ცხოვრებაში მიწათმოქმედებასთან ერთად ყოველი ოჯახის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მეცხოველეობა, რაც ადგილობრივი კლიმატური და სამეურნეო პირობების შესაბამისად ვითარდებოდა. შეზღუდული მიწათმოქმედების არსებობის პირობებში მეცხოველეობას გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდა და წამყვან როლსაც ასრულებდა ოჯახის ეკონომიკაში. საამისო საფუძველს ქმნიდა სათიბ-საძოვრების გამოყენების შესაძლებლობა, რაც ცალკეული სოფლების მიხედვით მეტ-ნაკლები მოცულობით არსებობდა. როგორც წესი, ხევის ყოველ სოფელში ერთმანეთისაგან იყო გამიჯნული სამეურნეო - სახნავ-სათესი ადგილები, საძოვრები და სათიბები. ყოველ სოფელში იცოდნენ მთის ფერდობებიდან რა ადგილები გამოეყენებინათ სასვილედ და მთის რომელი ზონები უნდა ყოფილიყო განკუთვნილი სათიბებად და საძოვრებად. ბუნებრივია, რომ სათიბად დაცული ადგილები უფრო გლუ და ბალახიანი უნდა ყოფილიყო.

ხევის ყოველ სოფელში განსაზღვრული იყო საძოვრებით სარგებლობის წესი. მეწველი საქონლის საძოვარზე გადენა და იქიდან სოფელში მორეკვა ყოველდღე ხდებოდა. ამის შესაბამისად ძროხას დღეში ორჯერ წველიდნენ — დილით, საძოვარზე საქონლის გარეკვამდე და საღამოს — საძოვრიდან სოფელში მორეკვისას.

აღნიშნული რეჟიმისაგან განსხვავებით, ბერწი საქონელი, ხარები და დეკეულები საჯოგედ განკუთვნილ მთაში იმყოფებოდნენ მეჯოგის მუდმივი მეთვალყურეობით. ზოგიერთი ოჯახი კი მეწველ საქონელსაც მთაში აბალახებდა. ამას ერქვა საწველში წასვლა, რაც გულისხმობდა ოჯახისთვის ქოხის აშენებას, საქონლისათვის ბაკის გაკეთებას და რძის პროდუქტების ადგილზე დამზადებას.

ყოველი ოჯახის მთავარი საზრუნავი იყო ზამთარში საქონლის გამოკვება, რაც თივის დამზადების შესაძლებლობით განისაზღვრებოდა. ამის შესაბამისად, ვისაც დიდი სათიბი ადგილები ჰქონდა, მეტ საქონელსაც ის ინახავდა. თივით კვებავდნენ უმთავრესად მეწველ ან მჩნევიარე (მაკე) საქონელს და მუშა ხარებს, ხოლო ჩალა-თივის ნარევს და ბზეს აჭმევდნენ ბერწ საქონელს. ის ოჯახი კი, რომელიც დიდ სათიბებს ფლობდა და თივით უხვად მარაგდებოდა, ყველა სახის საქონელს თივას აჭმევდა, ხოლო ჩალას და ბზეს ყიდდა ან გაჭირვებულ ოჯახს აძლევდა.

ამგვარ სამეურნეო პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქონლის საკვების რაციონალურად განაწილებას, რაც ოჯახში გამოცდილ მეურნეს ევალებოდა. საკვების რაოდენობის გათვალისწინებით ის ანგარიშობდა თუ თითოეულ მეწველ, ბერწ და მუშა საქონელზე რა რაოდენობით და რომელ სეზონში მიეცა თივა, ჩალა და მზე. ჩალას ან ჩალა-თივის ნარევს უმთავრესად ბერწობას აჭმევდნენ. განსაკუთრებით ზრუნავდნენ მოხნავ ხარებზე. გაზაფხულზე, მარტის პირველიდან ხვნის დაწყებამდე ხარებს აჭმევდნენ მწვანე თივას, რომელიც თიბვის პერიოდში ავდარს გადაურჩებოდა, ხარისხის შენარჩუნებით მოასწრებდნენ მის მოფოცხვას და სახლში მოტანას. ასეთივე ხარისხის თივა გამოიყენებოდა მეწველი და მჩნევიარე (მაკე) ძროხების საკვებადაც. რაც შეეხება ბზეს, მას ხმარობდნენ უმთავრესად შემოდგომიდან — საძოვარზე საქონლის გადენის შეწყვეტიდან დეკემბრის ბოლომდე. კვების ამგვარი რეჟიმი იმითი იყო გამართლებული, რომ ზაფხულის განმავლობაში მწვანე ბალახით ნაკვები საქონლის ღონიერი ორგანიზმი ადვილად იტანდა მჩატე ბზით კვებას.

მოხევეების სამეურნეო ყოფაში არსებითი ცვლილებები განხორციელდა მეცხვარეობის განვოთარებასთან დაკავშირებით. საამაისო საფუძველი იყო ჯერ ქართლ-კახეთის საზამთრო საძოვრებით სარგებლობა, ხოლო შემდგომში ჩრდილო კავკასიაში და ყიზლარში გამოზამთრების შესაძლებლობა. მეცხვარეობით დაინტერესებული მოხევეები ცხვარს უმთავრესად თუშეთში იძენდნენ ან ფულით, ან მწყემსად ყოფნით. რაკი მოხევე ამ გზით 100 სულს მაინც მოაგროვებდა, დამოუკიდებლად ებმებოდა მთაბარულ მეცხვარეობაში — თანაც 100-მდე სული ცხვრის პატრონი თითოეულ სოფელში თითო-ოროლა ოჯახი იყო, რომლებიც ცხვარს მიერეკებოდნენ ქართლ-კახეთის საძოვრებზე.

ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების გამოყენებამდე ხევში მეცხვარეობა ძალზე შეზღუდული, ხოლო მსხვილფეხა მესაქონლეობა შედარებით განვითარებული ყოფილა. მოხევეები კონტაქტში იმყოფებოდნენ ბარელ ქართველებთანაც და, როგორც გადმოცემიდან ჩანს, მათ საზამთრო საძოვრებსაც იყენებდნენ, მაგრამ ვინაიდან ეს კონტაქტი ყოველთვის ვერ ხერხდებოდა და თანაც საქართველოს საზამთრო საძოვრები მეცხვარეობის გაფართოვების შესაძლებლობას არ იძლეოდა, მეცხოველეობა ხევში ვითარდებოდა ადგილობრივი საკვები რესურსების ჩარჩოებში. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ხევის სამეურნეო ყოფის მოკლე დახასიათება:

"ხოლო ჴეობა ჴევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრივისა შთასავლით გველეთამდე. არა არს აქა ხილნი, თჳნიერ მთის ხილთა; არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხვანიცა ბალახთა ხილნი. არს ვარდი ჭალათა მრავალფურცხლოვანი და წითელი მრავალი, და სხვანიცა ყვავილნი

მთისანი მრავალნი, პირუტყვნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალნი. ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად და არჩვი. არს ფრინველი შურთხი, გლონი და ზაფხულს მწყერი ურიცხვნი. იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა. არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის ქვემოდან. ჰავით არს კეთილმშვენი."[62]

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ხევის სამეურნეო საზღვრებს აქცევს "შთასავლით" (ე.ი. ჯვრის უღელტეხილიდან) სოფ. გველეთამდე, ვინაიდან გველეთის ქვემოთ, დარიალის კლდოვან ხეობაში, მას აღარც მოსახლეობა ეგულებოდა და არც მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები.

სამაგიეროდ გველეთის ქვემოთ ვახუშტის შეუნიშნავი არ დარჩენია ტყე, რომლითაც იმ დროს მოხევეები სარგებლობდნენ. რაც შეეხება პირუტყვს, ცალ-ცალკე თითოეული სახეობის რიცხობრივი შემადგენლობისა და მთიელთა ეკონომიკაში მათი ხვედრითი წონის შესახებ ვახუშტი არაფერს ამბობს. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმისი აღნიშვნით, რომ ხევში პირუტყვი იმ დროს მომრავლებული იყო, ხოლო მეცხვარეობა აქ უდუმო ცხვრის მოშენებით ხასიათდებოდა. ვახუშტი სრულებით არ შეხებია მოხევეების მიერ საზამთრო საძოვრებით სარგებლობის საკითხს, მაშინ, როდესაც თუშეთის მეცხვარეობის დახასიათებისას წერდა: "კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თჳსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა მჯარსა შინა." [63]

ამ განმარტებიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ თუშები მისდევდნენ მთაბარულ მეცხვარეობას, ხოლო "ცხოვართა სიმრავლის" საფუძველს წარმოადგენდა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობის პირობები. ამ მხრივ სრულიად განსხვავებულ ვითარებას ხედავს ვახუშტი ხევში. მაშინ მოხევეებსაც რომ ისეთივე სამეურნეო ბაზა ჰქონოდათ საზამთრო საძოვრების სახით, როგორიც გააჩნდათ თუშებს, ვახუშტის ფხიზელ თვალს ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და არც მისი აღნიშვნა გაუჭირდებოდა. ამიტომ, როდესაც მეცნიერი გვაუწყებს, რომ ხევში მაშინ პირუტყვი მრავალი იყო და იქვე მიუთითებს "რაც ოდენ ეტევის"-ო, ეს მანიშნებელია სწორედ იმ გარემოებისა, რომ პირუტყვის რაოდენობას აქ აპირობებდა ადგილის, ე.ი. სამეურნეო-ეკომომიკური ბაზის ტევადობა, ადგილობრივი საკვები რესურსებით წელიწადის ყველა დროში მისი შენახვის შესაძლებლობა. რამდენადაც მთელი წლის განმავლობაში ხევში ცხვრის დიდი რაოდენობით შენახვის პირობები არ არსებობს, ვახუშტის განმარტებაში უნდა იგულისხმებოდეს მსხვილფეხა რქოსანის სიმრავლე.

იმის გამო, რომ ვახუშტი ხევში მთაბარული მეცხვარეობის არსებობას არ აღნიშნავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის მეცხვარეობა იმდროინდელ ხევში არ არსებობდა, ანდა საქართველოს საზამთრო საძოვრების გამოყენება თითო-ოროლა მეურნის ინიციატივით ხდებოდა. მთხრობელთა ცნობების მიხედვიტაც მოხევეთა უმრავლესობის ავლადიდებას ე.წ. ბაგის ცხორი შეადგენდა. ბევრი მთხრობელი თვითონ იყო მომსწრე იმისა, როდესაც მოხევეები ცხვარს სახლში ინახავდნენ და მსხვილფეხა საქონელთან ერთად ჩალა-თივით კვებავდნენ. ამასთან ერთად მაქსიმალურად იყენებდნენ გვიან დათოვლილსა და

62 ვახუშტი, აღწერა... , 68.
63 ვახუშტი, 105.

ნაადრევად ჩამომშრალ მზვარეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოში იმყოფებოდნენ ქვემო ხევის სოფლები (ყაზბეგი, გერგეტი, ცდო), რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ ზემო ხევსა და სნოს ხეობასთან შედარებით მშრალ ქედებსა და ფერდობებზე. მაგალითად, სოფ. გერგეტში უძილეთ დიდ ოჯახს, რომელიც 40 სულისაგან შესდგებოდა და 3 თაობას აერთიანებდა, ყოველთვის ჰყოლია 35-40 სული ცხვარი და მისი შენახვა არ გასჭირვებიათ, ვინაიდან მზიან დღეებში ცხვარს მშრალ ადგილებში აბალახებდნენ.

ცხვარს ღამით ამყოფებდნენ გამოქვაბულში — ე.წ. ქოხთ კარებში, რომელიც წინა მხრიდან ამოშენებული კედლით იყო დათბილებული. საქონლის მომვლელები ქოხებში ცხოვრობდნენ. აქვე ჰქონდათ დამზადებული თივა, რომლის გადატანა სოფელში შეუძლებელი იყო უგზოობის გამო. ამიტომ მსხვილფეხა საქონელსაც ადრე გაზაფხულზე იქ მიერეკებოდნენ და აჩერებდნენ მანამდე, სანამ თივა არ გაუთავდებოდათ. თივის დაკლების შემთხვევაში საქონლის საჭმელად იყენებდნენ ძველ ქუჩს, რომელიც თოვლის სუსხს უძლებდა. ცხვრის ძირითად საკვებს ზამთრის პერიოდში სწორედ მზვარეებში შემორჩენილი ეს გამხმარ-გამოფიტული ქუჩი წარმოადგენდა. ასეთი ღარიბი კვების შედეგად ცხვარი ურძეობის გამო ბატკანსაც ყოველთვის ვერ ზრდიდა და მატყლსა და პროდუქტსაც იმის ნახევარს იძლეოდა, რასაც იძლეოდა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ნამყოფი ცხვარი.

იმის გამო, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებამდე ხევში მეცხვარეობა ასეთი შეზღუდული მასშტაბით იყო წარმოდგენილი და ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრებს სრული დატვირთვით ვერ იყენებდა, მთებს აქირავებდნენ ბარელ მეცხვარეებზე. როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, ზაფხულის განმავლობაში ყოველი 100 სულის ძოვება შეფასებული ყოფილა 1 ჭედილად. საბალახეში აღებული ამ ჭედილების საფასურით სოფელი ისტუმრებდა სახელმწიფო გადასახადებს. რაც გადარჩებოდა იმას კლავდნენ სასოფლო დღეობებზე.

ხალხის მეხსიერებამ იმ პირთა სახელებიც შემოგვინახა, ვისაც ხევის ალპური საძოვრებით უსარგებლნიათ. მაგალითად, სოფ. ხურთისში ცხვრის ფარით უვლია ბაზალეთელ ქავთარს. ბაზალეთიდან აქ მომდინარან აგრეთვე ვინმე დიმიტრი და კისერა. ხურთისლებთან ისინი მორიგებული ყოფილან ზემოაღნიშნული პირობით.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ხურთისის მთებში მათმა სიარულმა თავისი კვალი დატოვა ტოპონიმიკაშიც. იმის გამო, რომ ქავთარი აქ შემოდიოდა, ერთ-ერთ მთას შეარქვეს ქავთარშამასვლობაჲ, მთას, რომლითაც დიმიტრი სარგებლობდა, ეწოდა დიმიტრაჲს მინდორი, ხოლო ადგილს, სადაც კისერაჲს ცხვარი იდგა, დაარქვეს კისერაჲს ნაბინავარი.[64]

ხევში მეცხვარეობის ნელი ტემპით განვითარების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საზამთრო საძოვრებით სარგებლობასთან დაკავშირებული სიძნელეები. კახეთის ველებზე მოხევეების მთავარ მეტოქეებად გვევლინებიან თუშები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთაბარობაში გაწაფული თუშების კახელებთან მეურნეობრივ კონტაქტზე ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ მიუთითებდა.

თუ კახეთში თუშების პრიორიტეტი იგრძნობოდა, ქართლის საზამთრო

64 ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბილისი, 1971, 16, 17, 67.

საძოვრებზე პირველყოვლისა ხელი მიუწვდებოდა მთისძირა ზოლის მოსახლეობას. ბართან ამ ზოლის მცხოვრებთა ასეთი ურთიერთობა გრძელდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც. ნ. ნიკიფოროვის ცნობით, როდესაც მთიულებსა და გუდამაყრელებს საძოვრები ჩრდილო კავკასიაში გამოუყვეს, აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა მცხოვრებნი ცხვარს მიერეკებოდნენ სამუხრანბატონო ველებზე.[65]

მოხევეებმა როდესაც ჩრდილო კავკასიასთან დაკავშირების პერსპექტივა დაინახეს, მათ მთიულებთან და გუდამაყრელებთან ერთად პირი იბრუნეს ჩაჩნეთისა და ყიზლარისაკენ. ისინი თავდაპირველად არც თუ ისე ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საძოვრების სიძვირის გამო, მაგრამ ასე იყო თუ ისე XIX საუკუნის 70-80-იან წლებიდან დიდი გამბედაობით შეუდგნენ იმ სიძნელეების გადალახვას, რის შესახებაც ოსტატურად მოგვითხრობს ალექსანდრე ყაზბეგი თუ ბევრი ჭირ-ვარამის მოწმე არაერთი მწყემსი.

მოხევეები თავდაპირველად ქირაობდნენ ჩაჩნეთის მინდვრებს, ხოლო შემდეგ უფრო ხელსაყრელად მიიჩნიეს ყიზლარის საძოვრებით სარგებლობა. სხვათა შორის, თითქმის ყველა მთხრობელმა მაცნობა, რომ ყიზლარისაკენ გზა გაიკვლიეს კარკუჩელმა ლევან ყამარაულმა, სტეფანწმინდელმა სვიმონა გიგაურმა და მასთან დამეგობრებულმა ალექსანდრე ყაზბეგმა. ხალხურ გადმოცემებთან ერთად აღნიშნულის დამადასტურებელია ალექსანდრე ყაზბეგის "ნამწყემსარის მოგონებანი" და მისივე პირადი წერილი სვიმონა ჩეკიაშვილისადმი (გიგაურისადმი). ისიც ცნობილია, რომ ყიზლარის ველებზე გასვლამდე სვიმონ გიგაური და ალექსანდრე ყაზბეგი ცხვარს აზამთრიანებდნენ ჩაჩნეთის საძოვრებზე. თავდაპირველად გიგაურების დიდ ოჯახს (დიდ ჩეკიეთ) ჰყოლია 1 000 სული ცხვარი. ალ. ყაზბეგს უფრო ნაკლები. რამდენი ჰყავდა ალ. ყაზბეგს ეს უცნობია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ დიდ ჩეკიეთ ცხვრის რაოდენობა 8 000 სულამდე გაზარდეს, რომელთან ერთად ბალახობდა მათი მწყემსების 1 000 სულიც.

ხევიდან ცხვარი დაიძრებოდა 15 ოქტომბრიდან. მეცხვარეებს და მწყემსებს გზას დაულოცავდნენ ბახტრის წმინდა გივარგის სახელით. დედა ცხვრის ფარაში ყოჩის გარევა ხდებოდა ხევიდან წასვლამდე 10-15 დღით ადრე. ამის შემდეგ გააცალკევებდნენ და ყოჩებს კარგად აბალახებდნენ, რომ ენერგია აღედგინათ.

ადგილზე ჩასულები ჩერდებოდნენ წინასწარი გარიგებით აღებულ ადგილებში. ცხვარი აქ ბალახობდა სამ ფარად: 1. დედა ცხვარი და შიშაქი, 2. ჭედილა და ყოჩი, 3. თოხლი. აშენებდნენ ლერწმით დახურულ ფარეხს, რასაც ცუდ ამინდში იყენებდნენ. ფარეხთან ერთად აკეთებდნენ ლერწმით შემოღობილ ბაკს. მწყემსის ბინა იყო ნახევრად მიწური ქოხი ლერწმის კედლებით და გადახურვით. ლერწამთან ერთად სახურავში ფენდნენ ბრტყელფოთლიან ბურიანს და კაჭაყს (ყარტს) ზედ დაყრილი მიწით. უფრო თბილი და სუფთა საბატკნე ცალკე ეწყობოდა, ხოლო ბატკნებს დედებთან უშვებდნენ მხოლოდ დილა-საღამოს.

ყიზლარში ნავალი მეცხვარეები და მწყემსები განსაკუთრებით უჩიოდნენ ჭის მწარე წყლის უხარისხობას. ამიტომ ცემენტით ამოლესილ ორმოებში წვიმის წყალს აგროვებდნენ ან თოვლს ყრიდნენ და მისი ნადნობით სარგებლობდნენ.

65 Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, 40.

მწყემსის სამოსი იყო ნაბადი, ქურქი, ჩოხა-ახალუხი, ტოლის და ტყავის შარვალი (ე.წ. სასითბო), ტოლის ან ტყავის პაჭიჭები, ძირახლები, კოხუჯები, ბანდულები, ბამბაზიის პერანგი, ბოხოხი, ნაბდის ქუდი. მწყემსს აუცილებლად უნდა ჰქონოდა დანა, ხანჯალი, თოფი და დამბაჩა. მისი მთავარი იარაღი კი იყო ჯოხი. მეცხვარეებისგან მსმენია, რომ ყოფილან მაგარი მეჯოხეები, რომელთაც შეიარაღებული კაცი მოუგერიებიათ.

მწყემსებს შორის დაწესებული მორიგეობით ხდებოდა ფარის მწყემსვა, ბატკნების მიშვება დედებთან, საჭმელ-სასმელით მომარაგება და ა.შ. ბინაზე იმყოფებოდა ე.წ. დიასახლისი — ხნიერი მწყემსი, რომელიც ხევიდან ყიზლარამდე კიბიტკიანი ურმით მგზავრობდა და ადგილზე საჭმელებს ამზადებდა. მის მოვალეობაში შედიოდა სურსათის და შეშის მომარაგება, ხორცის თუ ალტამების (სმინდის ფქვილის კვერების) მოხარშვა. მწყემსებს განსაკუთრებით დიდი ჯაფა უნევდათ დოლის პერიოდში, რაც თებერვალში იწყებოდა და 3-4 კვირა გრძელდებოდა.

ასეთი ხასიათის იყო მეცხვარეთა და მწყემსთა შრომა-საქმიანობა ერთი ფარის მოვლა-პატრონობის პროცესში, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ როგორი იყო გარიგების პირობები და შრომის ორგანიზაცია სხვადასხვა ფარის მეპატრონეთა შორის. ამაზე პასუხს გვაძლევს მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები.

იმის გამო, რომ მეცხვარეობა უმძიმეს სეზონურ შრომას მოითხოვდა და რამდენიმე ადამიანის ერთობლივ საქმიანობას საჭიროებდა, ხევში მეცხვარეობის განვითარებას დროთა ვითარებაში ორგანიზებული სახე მიეცა. ამგვარი ვითარება შეინიშნება მთაბარული მეცხვარეობის პირობებში. გარიგება და შრომის ორგანიზაცია ხორციელდებოდა სეზონების შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებაც, შემოსავალ-გასავალზე შეთანხმებაც და შრომის ანაზღაურებაც ზამთარ-ზაფხულის პირობებზე იყო დამოკიდებული. რამდენადაც მარტივი იყო ცხვრის მოვლა-პატრონობა და ძოვება საზაფხულოდ განკუთვნილ მთებში, იმდენადვე რთულსა და შრომატევად საქმიანობად მიიჩნევდნენ ცხვრის გამოზამთრებას მეტ-ნაკლებად დაშორებულ საძოვრებზე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ხორციელდებოდა გარიგება და შრომა-საქმიანობა მეცხვარეობაში. ეს ეხებოდა როგორც შეძლებული მეცხვარეების კავშირის სახეობებს, ისე დაქირავებული შრომის სისტემას. ამის შესაბამისად ხევში ერთიმეორეს ემიჯნებოდა ორი ტერმინი — მეცხორე და მწყემსი. მეცხვარე ეწოდებოდა ცხვრის პატრონს — მდიდარ მეურნეს, ხოლო მწყემსი ერქვა მის მიერ მოჯამაგირედ აყვანილ კაცს.

მეცხვარეობის განვითარებასთან დაკავშირებით ხევში ჩამოყალიბდა მეცხვარეთა დასაქმების, შრომის ორგანიზაციისა და საქმიანი გარიგების სისტემა. როგორც წესი, გარიგების ერთ-ერთ საშუალებად მიღებული იყო ცხვრის დაზიარების ორნაირი წესი. პირველი წესის მიხედვით, მეცხვარე მწყემსს ჩააბარებდა მაგალითად, 80 ცხვარს — დედა ცხვარს და თოხლს. ამ დედა ცხვრის გაზაფხულის ნაპარსი მატყლი მწყემსს ერგებოდა, ხოლო შემოდგომისა ცხვრის პატრონს. თუ გარიგება დაიდებოდა ოთხი წლის ვადით, ოთხი წლისთავზე მწყემსისთვის მიბარებული ცხვრის სრული რაოდენობა უკვდავად ცხვრის პატრონს უბრუნდებოდა. ეს ხდებოდა უპირობოდ, თუნდაც რომ ცხვარს ზარალი

განეცადა. მწყემსი ჯამაგირის სახით მიიღებდა ცხვრის ნამატს 4 წლის განმავლობაში. ნაწველი კი მხოლოდ ცხვრის პატრონისა იყო.

ცხვრის დაზიარების მეორე წესით ორი წელი იყო მეცხვარის და კიდევ ერთი წელი მწყემსისა. ასეთ შემთხვევაში ზარალ-სარგებელი შუაზე იყოფოდა მეცხვარესა და მწყემსს შორის. შუაზე იყოფოდა ყველა საჭირო ხარჯიც. ამგვარი ხელშეკრულება რომ 4 წლით გაფორმებულიყო, ურთიერთგაგების შემთხვევაში დაზიარება შემდეგ წლებშიც გაგრძელდებოდა.

დაზიარების მესამე ვარიანტის მიხედვით, მეცხვარესთან დაზიარების სურვილს განაცხადებდა მწყემსი. მეცხვარეს ის შესთავაზებდა 20 ცხვრის დაზიარებას. თუ მეცხვარე თანახმა იქნებოდა, ისიც 20 ცხვარს დააზიარებდა. ამ 40 ცხვარს მწყემსი თავის სერს დაადებდა. შეთანხმდებოდნენ 4 წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში მიღებული ნამრავლი მათ შორის შუაზე გაიყოფოდა. რაც ამ 4 წლის განმავლობაში დაიხოცებოდა, ის ანგარიშში არ შევიდოდა. ყოველგვარი ხარჯი მეცხვარეს ევალებოდა.

სხვათა შორის, დაზიარების წესი სრულდებოდა ცხვრის წველის პერიოდშიც. ჩვეულებისამებრ ამხანაგდებოდნენ მცირედი ცხვრის პატრონები, დააზიარებდნენ მეწველ ცხვრებს და მორიგეობით წველიდნენ. ეს იყო მოზრდილი ყველების დამზადების საშუალება. თუ დამზიარებელთა შორის ცხვარი ერთისა მეტი იყო და მეორისა ნაკლები, ასეთ შემთხვევაში ყველს ერთობლივად ამზადებდნენ, მაგრამ ბოლოს ცხვრების რაოდენობის შესაბამისად გაიყოფდნენ.

უმეტეს შემთხვევაში უცხვრო ან მცირედი ცხვრის პატრონი კაცი მოჯამაგირედ უდგებოდა შეძლებულ მეცხვარეს. მეცხვარესა და მწყემსს შორის 4 წლით შეთანხმების საფუძველზე, მეცხვარე მწყემსს აძლევდა 60-მდე მომგე (დედალი) ცხვარს. 4 წლისთავზე ამ ცხვრის თავნი (60 ცხვარი) და მისი ნამრავლი მწყემსისა იყო. მწყემსებისა იყო აგრეთვე ჯამაგირში აღებული ცხვრის შემოსავალი მატყლისა და უკდურის (ყველ-ერბოს) სახით. მაგრამ მწყემსის მიერ მიცემული 60 ცხვრის დაზარალების ანაზღაურება მეცხვარეს აღარ ევალებოდა. მიმდინარე ხარჯები კი 4 წლის განმავლობაში მეცხვარეს ევალებოდა.

გარიგება ისედაც ხდებოდა, როდესაც ზამთრის პერიოდში მეცხვარე მწყემსს უხდიდა ყოველ ოც სულზე ერთ დედალ ცხვარს და ერთ თოხლს. ზაფხულის პერიოდში კი სამწყემსო იყო ყოველ 15 სულზე 1 ბატკანი. ყოველგვარი ხარჯის გაწევა კი ასეთ შემთხვევაში მეცხვარეს ევალებოდა.

მეცხვარეს ხელს აძლევდა მცირედი რაოდენობის ცხვრის პატრონი მწყემსის აყვანა. მწყემსს რომ 20-30 სული ჰყოლოდა, მეცხვარე მას 200-სულიან ფარას ჩააბარებდა. ასეთი გარიგების შემთხვევაში როგორც მეცხვარის, ისე მწყემსის ხარჯს თვით მეცხვარე ივალდებულებდა. გარიგების მეორე ვარიანტით, მწყემსი თავისი ცხვრის ხარჯს თავად უძღვებოდა, ხოლო მწყემსის ბაჭკოს (სამოსს) და პურის ჭამას, მეცხვარე კისრულობდა.

მეცხვარეთა შრომა-საქმიანობის ორგანიზაციის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა ე.წ. ცხვრის გარევა. იმ შემთხვევაში, როდესაც მეცხვარეს იმდენი ცხვარი არ ჰყავდა, რომ საძოვრის ქირა გადაეხადა, მეორე მეცხვარის ცხვარს გაირევდა. ასეთნაირად გარიგებულ მეცხვარეებს მონარევები ერქვათ. ისინი საბალახეს და ყველა სხვა სახის ხარჯს იხდიდნენ თითოეული მათგანის ცხვრის რაოდენობის შესაბამისად. ჩვეულებისამებრ ადგილს დაიქირავებდა

სარქალი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო მდიდარი მეცხვარე ან მცირედი ცხვრის პატრონი, მაგრამ მოენე. რაკი ენის ცოდნას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ჩრდილო კავკასიის და ყიზლარის არაქართულ მოსახლეობასთან ურთიერთობაში, მოენეს-სახელდობრ მერუსულეს, სარქლობა ენიჭებოდა. ყველა ვითარებაში, სარქალი ბევრი ცხვრის პატრონი იყო თუ მცირედისა, ენის ცოდნით გაურიგდებოდა საძოვრის პატრონს, მისცემდა ბეის და როდესაც მონარევენი ადგილზე ჩავიდოდნენ, ანგარიშსაც იქ გაასწორებდნენ. ყველა სახეობის ხარჯი (საბალახე, ბინის მომზადება თუ ნავთი) იანგარიშებოდა ცხვრის რაოდენობის მიხედვით. სარქალის შეღავათი მხოლოდ ის იყო, რომ 50-მდე სულ ცხვარზე სამწყემსოს აღარ გადაახდევინებდნენ. მას იმის უფლებაც ეძლეოდა, რომ ფასის გადაუხდევინებლად ეძოვებინა 5-6 ცხენი. სარქალს რაც ხარჯი მოუვიდოდა, ისიც ცხვრის სულადობით იანგარიშებოდა. ჯერი მწყემსებისა იყო ცხვრის რაოდენობის მიხედვით. ის პიროვნებაც, რომელიც ცხვარს არ მიყვებოდა და მწყემსს მოურიგდებოდა, მწყემსი სამწყემსოს უხდიდა, ხოლო საბალახეს იხდიდა ცხვრის პატრონი ცხვრის სულადობის მიხედვით.

მეცხვარეობაში განსაკუთრებით დაფასებული იყო სარქალი, თავჩობანი (მთავარი წინმძღოლი მწყემსი) და მცნობი. სარქალი უნდა ყოფილიყო გულადი, კარგი მცნობი, გამოცდილი და რუსულის მცოდნე. ხევში ამ მხრივ დიდი სახელით სარგებლობდნენ სტეფანწმინდელი სვიმონა გიგაური, სნოველი გივარგი აქიაშვილი, სიონელები ლევან დავითაშვილი და ვანისე ფაჯიშვილი და ა.შ. მეცხვარეებსა და მწყემსებს შორის შრომა განაწილებული იყო ფარების (დედალი ცხვრის, შიშაქის, თოხლის, ჭედილის) მიხედვით. ყიზლარში ყოველ 1000-1200 სულიან ფარაზე მიმაგრებული ყოფილა 3-4 მწყემსი. განსაკუთრებით ბევრს უხდიდნენ კარგ მცნობს: მაგალითად, ხაშალა ელოშვილს დიდი ჩეკიენი უხდიდნენ 12 თუმანს, როდესაც ერთი ცხვარი 3 მანეთი ღირდა.

მთხრობლებმა ხაშალასთან ერთად გაიხსენეს გივარგი ხუციშვილი, რომელიც დაუსერავ ბატკნებს სცნობდა. ასევე კარგ მცნობებად ითვლებოდნენ ალექსი ხუციშვილი, გაგა საბაური, ტურია ხართიშვილი, ლევან გიგაური (ჩეკიეთი) და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახს კარგი მცნობი არ ჰყავდა, სხვას აიყვანდნენ და გაურიგდებოდნენ. მცნობი განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა დოლიანობის პერიოდში, როდესაც ბატკნები ჯერ კიდევ დაუსერავი იყო. მის მთავარ ამოცანას შეადგენდა ბატკნების მიჩვევა იმ დედებთან, რომლებიც ბატკნებს თავიდანვე არ შეითვისებდნენ. კარგი მცნობი ბატკნებს დედებთან შეუცდომლად მიამაგრებდა. რომელიმე მწყემსს რომ ბატკანი შეცდომით სხვა დედისთვის მიეგდო, ეს შეცდომა მცნობს არ გამოეპარებოდა. ის ერთი შეხედვით შეიტყობდა რომელი ბატკანი რომელი დედისა იყო.

მთხრობლებმა გაიხსენეს მცნობის ცნობიერების ერთი მაგალითი. ყიზლარში სვიმონა გიგაურის ორი ფარა ერთმანეთში დარეულა. ერთ ფარაში იმყოფებოდა 800 დედა ცხვარი, ხოლო მეორეში 800 დაუსერავი ბატკანი. დაუსერავი იყო იმიტომ, რომ ბატკნების დასერვა დოლის დამთავრების შემდეგ ხდებოდა. შეწუხებულა სვიმონი, მაგრამ მის მწყემსებს — ალექსი ხუციშვილს და ხაშალა ელოშვილს ყველა ბატკანი დედასთან მიუყვანია. თუ დოლის გამომყვანი მცნობი ბატკნიანობას წარმატებით ჩაატარებდა, 500 ბატკნის გაზრდისთვის მეცხ-

ვარე მას უხდიდა 4-5 ცხვარს. ეს უფრო მაშინ ხდებოდა, როდესაც მეცხვარე გამოცდილ მწყემსს დოლიანობის პერიოდში აიყვანდა.

ზამთრის საძოვრებზე ყოფნის პერიოდში დიდ როლს ასრულებდა მეცხვარეთა ამხანაგობა, რასაც ნამგალობა ერქვა. ერთიმეორის ნამგალანი გვერდიგვერდ ქირაობდნენ საძოვრებს, მეზობლობდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ ყველა სახის საქმიანობაში. მორიგების შესაბამისად, დაქირავებულ საძოვარს ან შუაზე გაიყოფდნენ და ცალ-ცალკე აბალახებდნენ თავიანთ ფარებს, ანდა ერთობლივად, საზიაროდ ხმარობდნენ. ასეთი მეზობლობა მათ ავალდებულებდა ერთმანეთისადმი ხელის გამართვას, ურთიერთ დახმარებას, თივის ან სურსათის მისესხებას. საჭირო შემთხვევაში ნამგალანი ერთიმეორეს ეხმარებოდნენ სხვასთან დავაში, ყაჩაღების მოგერიებაში და ა.შ.

ვინაიდან ნამგალობა თანასწორ ურთიერთვალდებულებას ემყარებოდა, მხარეთა შორის ცალმხრივი უპირატესობის საფუძველი არ არსებობდა. ნამგალობისაგან განსხვავებით, რაც მეცხვარეთა ცხოვრებას შესამჩნევად აადვილებდა, ხევში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გაჭირვებული მეცხვარისადმი მატერიალურ შემწეობას. მისი სახელწოდება იყო ცხვრის ოჩხარი, რომლის პარალერულად ფუნქციონირებდა აგრეთვე პურის თუ თივის ოჩხარი. როგორც წესი, ყველა სახეობის ოჩხარი იმართებოდა ოჯახის დაზარალების შემთხვევაში. ოჯახი რითაც დაზარალდებოდა, იმის შესაბამისად ეწყობოდა ცხვრის, პურის თუ თივის ოჩხარიც. განსაკუთრებით ხშირად იმართებოდა ცხვრის ოჩხარი, რაც ცხვრის დაზარალებით იყო ნაკარნახევი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც სტიქიური უბედურების მიზეზით ან ყაჩაღების თავდასხმის შედეგად მეცხვარე უცხვროდ რჩებოდა. ასეთ ვითარებაში რომელიმე მეცხვარის ინიციატივით გაღარიბებული ოჯახი სუფრას გააწყობდა და ხალხს დაიწვევდა. ინიციატორი ყველას გასაგონად გამოაცხადებდა, რომ დაზარალებული ოჯახი ოჩხარს აწყობდა. როგორც წესი, ასეთ ოჯახს ყველა მეცხვარე თავისი სურვილით შეაწევდა რამდენიმე ცხვარს, რის შედეგადაც ოჯახი კვლავ ცხვრის პატრონი ხდებოდა. ოჩხარს აწყობდნენ როგორც ხევში, ისე საზამთრო საძოვარზედაც. ოჩხარში მონაწილეთა შორის ზოგიერთი სარქალი თავს გამოიჩენდა ოჯახისადმი განსაკუთრებული დახმარებით. სხვათა შორის, ამ ტრადიციასთან დაკავშირებით შემონახულია ასეთი გადმოცემა: რომელიღაცა ოჯახის ოჩხარს გზად გამვლელი მეცხვარე შესწრებია. ის ჩიბლახად (ღარიბულად) ჩაცმული ყოფილა. თავში მსხდარან კარგად გამოწყობილი მეცხვარეები. სტუმარი კი სუფრის ბოლოში დაუსვამთ. ყანწები რომ ჩამოურიგებიათ, ყველა ამ ოჯახს ადღეგრძელებდა და შესაწევარი ცხვრების რაოდენობასაც ასახელებდა. ყანწი სტუმარსაც მიაწოდეს. არავინ არ იცოდა, რომ ის მდიდარი მეცხვარე იყო. მან იგრძნო, რომ ღარიბ კაცად სცნეს და წაულექსა:

ეს მამაძაღლის ტიალი, ჩიბლახა კაცი რა არის,
სამოცი ჭაკი ცხენი მყავს, იმათ კვიცები ცხო არის.
ორმოცი ბინის გოშია, იმათ ლეკვები ცხო არის.
ათიათასი ცხორი მყავ, იმათ ნაშენი ცხო არის.
ასი მეც შემიწევია, ერთი და ორი რა არის.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ სტუმარი სუფრის თავში დასვეს.

მეცხვარეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ცხვრის ძოვების რეჟიმს როგორც საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე, ისე ფარების სეზონური გადაადგილების პროცესში. მეცხვარეები ცდილობდნენ, რომ პირველს გაევლო ცხვრის გადარეკვის მარშრუტი როგორც ხევთან ყიზლარის მიმართულებით, ისე ხევში დაბრუნებისას. ეს იმიტომ, რომ წინმავალი ფარა უკეთესად ბალახობდა. მომდევნო ფარებს ფაქტიურად გადაძოვილ ადგილას გავლა უწევდათ. ასეთი ვითარების გამო მეცხვარეებს შორის ერთგვარი კონკურენცია არსებობდა, რაც ზოგჯერ ჩხუბითაც კი მთავრდებოდა.

დადგენილი რეჟიმის მიხედვით ჩაჩნეთში და ყიზლარში ცხვარს აბალახებდნენ 7 თვემდე — ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე. მაგრამ იმის გამო, რომ ხევის მაღალი მთები დაგვიანებით მწვანდება, ცხვარს 1 თვით სოფელ ლარსის მთებში მოატრიალებდნენ. მაგალითად, დიდი ჩეკიენი (გიგაურები) ლარსის მთებს ქირაობდნენ ალდარი (აზნაური) დუდაროვებისაგან. იქვე წველიდნენ ადრე შობილი ბიჭა-ბატკნების დედებსაც. 1 თვის შემდეგ კი ფარები ხევის მთებს შეეფინებოდნენ და იწყებოდა საგაზაფხულო პარსვა. შემდეგ დედა ცხვარს და ბატკანს ერთიმეორისაგან განაცალკევებდნენ და შეუდგებოდნენ ცხვრის წველას. მხოლოდ მოგვიანებით გაჩენილ ბატკნებს დედებსვე უტოვებდნენ, ვინაიდან უნდილა ბატკნებს რძე ესაჭიროებოდათ. ე.წ. კიდოებს — ბატკანმკვდარ ცხვრებს წველის სეზონამდე მწყემსები სისტემატურად წველიდნენ ან დაობლებულ ბატკნებს შეაჩვევდნენ, რომ ცხვრებს რძე არ გაშრობოდათ.

როგორც დედაცხვარს, ისე ყოჩსა და ჭედილას წელიწადში ორჯერ პარსავდნენ. ხარისხობრივი უპირატესობა ენიჭებოდა გაზაფხულის მატყლს, ვინაიდან მისი ბეწვი უფრო გრძელია. ზოგჯერ კი, თუ ცხვარმა ზამთრის საძოვარზე ბირკა (სარეველა) აიკრა, ეს მატყლის ნაკლად ითვლებოდა. ამ მხრივ უფრო სუფთაა შემოდგომის მატყლი, მაგრამ შედარებით მოკლე ბეწვით. როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის სეზონში მატყლის ხარისხი დამოკიდებულია ცხვრის კვებაზე. რაც უფრო მსუქანია ცხვარი, მით უფრო მაღალია მატყლის ხარისხი. საშემოდგომო პარსვა ხდებოდა საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გადარეკვამდე ერთი თვით ადრე (სექტემბრის მეორე ნახევარი-ოქტომბრის პირველი ნახევარი), რათა ცხვარი ახალი მატყლით შეიმოსოს და სიცივემ შიშველს არ მოუსწროს. ბატკნის პარსვა ხდებოდა წელიწადში ერთხელ — 5-10 აგვისტოს. სეზონის შესაბამისად გაზაფხულის ერთი ნაპარსი დედაცხვრისა საშუალოდ შეადგენდა 1,5 კგ-ს, ხოლო ყოჩისა 2 კგ-ს. შემოდგომაზე კი ცხვარი საშუალოდ იპარსავს ერთ კგ-ს. ბატკნის ნაპარსი (კრაველი) იწონის 800-1000 გრამს.

მატყლი ფართოდ გამოიყენებოდა შინამრეწველობის სფეროში. მისი გარეცხვა-გაშრობის შემდეგ დამზადებული ტოლით (ქსოვილით) იკერავდნენ როგორც კაცის, ისე ქალის და ბავშვის ტანსაცმელს. მოქსოვილი ტოლისაგან კერავდნენ ჩოხას და ყაბალახს. მატყლის შეთელვით მზადდებოდა როგორც ლოგინად მოსახმარი ან კედელზე გასაკრავი თექა, ისე სამამაკაცო მხრებიანი და ბარჭოიანი (ბეწვიანი) ნაბადი. ცხვრის ტყავისაგან მზადდებოდა გრძელი ქურქი, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ცივი ზამთრის გადატანა და მით უმეტეს სადმე გამგზავრება. ბატკნის ტყავი გამოიყენებოდა ე.წ. პირიანი ქუდის ან გალიბანდის თუ ბოხოხის შესაკერად. საამისოდ განსაკუთრებით ფასობდა ბატკნის ტყავი შავი

მატყლით. შავი მატყლი ასევე მიღებული იყო საჩოხედ, საშარვლოდ, საწინდედ და ა.შ.

მეცხვარეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სერს, რაც ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლებოდა და სხვას მისი გამოყენება არ შეეძლო. სერი ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო როგორც სოფლის მეზობლობაში, ისე მთელ თემში. თუმცა არც ის ითვლებოდა დანაშაულად, რომ სხვადასხვა სოფლის მცხოვრებთ ერთნაირი სერი ჰქონოდათ. თუ ვინიცობაა ამ ორი სოფლის ერთნაირი სერის ცხვარი დაირეოდა, მათ განცალკევებას მცნობი შესძლებდა. მწყემსს რომ ცხვარი დაჰკარგვოდა და სხვის ცხვრებში მოხვედრილიყო, ვისთანაც მოხვდა ეს ოჯახი გამოაცხადებდა. თუ პატრონი მალედვე არ გამოუჩნდებოდა, ამანათ ცხვარს უვლიდნენ და იმის ნაშიერსაც დედისავე სერით ნიშნავდნენ. თუ პატრონი დაკარგულ ცხვარს მიაგნებდა, მას ნაშენითურთ იბრუნებდა. შემნახავი კი შენახვის ხარჯს იანგარიშებდა და ამის საფასურად მხოლოდ მატყლს მოიხმარებდა.

მოხევეთა ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი იყო რწმენა-წარმოდგენების ფუნქციონირება თითქმის ყველა სახის მეურნეობაში თუ შრომის ორგანიზაციაში. ზემოთ ეს დავინახეთ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით. ანალოგიური ვითარება დამოწმდა მესაქონლეობის სფეროშიც.

როგორც მსხვილფეხა საქონლის, ისე ცხვრის უსაფრთხოების მიზნით სრულდებოდა ე.წ. მგლის უქმი. დადგენილი წესით, როგორც კი დიდმარხვის ორი კვირა ჩამოივლიდა, ყველა ოჯახში გამოაცხობდნენ სამ პურს, დააყენებდნენ ნიშნად და ბავშვებს მშვილდ-ისარს ასროლინებდნენ., თითქოს მგლებს ხოცავდნენ. ზოგიერთ სოფელში კი მგლის უქმთან ერთად იხდიდნენ ე.წ. ზოვის (ზვავის) სამხდოს მოსალოდნელი სტიქიის თავიდან აცილების მიზნით. მთხრობლებმა ერთ-ერთ ასეთ ზვავსაშიშ სოფლად დაასახელეს ქოსელი, სადაც მგლის უქმი და ზოვის სამხდო ერთდროულად სრულდებოდა.

მეცხვარეობაში ერთ-ერთ ასეთ მუდმივმოქმედ ჩვეულებას წარმოადგენდა საზამთრო საძოვრებისაკენ დაძრული ცხვარ-მეცხვარის დალოცვა. როგორც მთხრობლები გვაუწყებენ, ცხვრის ფარების გასტუმრებისას შეიკრიბებოდნენ სარქლები, დაკლავდნენ ჭედილებს, ერთიმეორეს გადაიპატიჟებდნენ და ბახტრის წმინდა გივარგის, როგორც მგზავრების მფარველ ღვთაებას, მშვიდობიან მგზავრობას შესთხოვდნენ. მეცხვარეთა ცხოვრების წესი იყო აგრეთვე დოლში დაბადებული მამალი ბატკნის — ე.წ. ბიჭა ბატკნის დასულდგმულება — ყურის გახვრეტა და სანთლით შუბლის შეტრუსვა. ამ წესის შესრულებით ბიჭა ბატკანს რომელიმე ხატის სახელზე საკლავად შეუთქვამდნენ. სულდგმულს ანუ დოლისთავს ყველა მწყემსი ეფერებოდა და მისი გაყიდვა უღმერთობად იყო მიჩნეული. ხატისადმი მისი შეწირვა ხდებოდა დასულდგმულების დროს დათქმული დროისათვის.

რწმენის სფეროს განეკუთვნებოდა პარასკევ დღეს ე.წ. ბეწვის წყვეტის ტაბუ, ე.ი. ბეწვეულის დამუშავება (მატყლის ჩეჩვა და ა.შ.). ეს იმითი იყო ნაკარნახევი, რომ ბეწვის წყვეტა ბეწვიანი საქონლის ზარალს გამოიწვევდა — მგელი გამოერეოდა.

ხევში დღევანდლამდეა შემორჩენილი ბეჭზე მკითხაობა. სუფრასთან მსხდომნი დანით კარგად გაასუფთავებდნენ მოხარშული საკლავის ბეჭს. რაკი მას

ხორცს მოაცილებდნენ, ბეჭზე გამოჩნდებოდა ხაზები. ხალხის რწმენით, ეს ხაზები თუ მკვეთრად და ბლომადაა გამოსახული, ეს ცხვრის მოსალოდნელი ზარალის გამომწვევი იქნებოდა. საწინააღმდეგო მაჩვენებლით კი, თუ ხაზები ბუნდოვნად და ჯგუფურად გამოჩნდებოდა, ცხვრის გამოზამთრება და გამრავლება გარანტირებული იყო. იმ შემთხვევაში თუ ბეჭის მინდორი (ბრტყელი ნაწილი) შავი წერტილებითაა მოფენილი, რასაც ყოვი და ყეჭალაჲ ეწოდება (მთხრობელთა განმარტებით, "ყოვი და ყეჭალაჲ მინდორშია" - ე.ი. ზამთრის საძოვრებზე მაშინ ცხვრის დახოცვაა მოსალოდნელი. თუ ბეჭის მინდორს სისხლის ლაქები აჩნია, იმ წელს მოსალოდნელია ომი და სისხლის ღვრა. თუ ბეჭის ერთ ხაზთან, რომელიც ოჯახის უფროსს აღნიშნავს, ახლოს არის კერაჲს აღმნიშვნელი პატარა ნაჩხვლეტი, მაშინ იმ წელს მოსალოდნელია ოჯახის უფროსის სიკვდილი.

რაკი მოხევეებმა მაგრად ჩადგეს ფეხი ჩრდილო კავკასიაში და ცხვრის მატების დროს ფართო პერსპექტივა დაისახა, დღის წესრიგში დადგა საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის გადასინჯვის საკითხიც. თუ ადრე მოხევეები მთებს სხვებზე აქირავებდნენ, ახლა უკვე ეს მთები ზოგიერთი სოფლისთვის ვიწრო აღმოჩნდა. ასეთი ვითარების გამო საქართველოს სხვა რაიონებიდან მეცხვარეებმა ხევში სიარული შეწყვიტეს, ხოლო ხევის მდიდარმა მეცხვარეებმა თავიანთ სოფლებთან შეთანხმების საფუძველზე, საბალახეს გადახდის პირობით, ამ მთებით სარგებლობის უფლება მოიპოვეს. მაგალითად, სოფ. სტეფანწმინდაში გიგაურები (ჩეკიენი), ხეთაგურები, ქუშაშვილები თუ ქავთარაშვილები სოფელს ფულად უსწორდებოდნენ საძოვარი მთის ქირას. მაშინ როდესაც ცხვარი 3 მანეთად ფასობდა, საძოვარი მთა ხრეკი ერთი ზაფხულის ვადით ქირავდებოდა 15-20 მანეთად, წვერნი 12 მანეთად და კდე 25 მანეთად. ამ თანხით სტეფანწმინდელები ისტუმრებდნენ სახელმწიფო გადასახადებს და რომელიმე დღეობისათვის ხარსაც ყიდულობდნენ. მცირე ცხვრის პატრონებს საბალახის გადახდა არ ევალებოდათ.

ცხვრის უკეთესად გამოკვების მიზნით ზოგიერთი ოჯახი სათიბ ადგილსაც ასაძოვრებდა. ასეთ გზას დაადგნენ, მაგალითად, დიდი ხულელნი, რომელთაც ცხვრის მომრავლების შემდეგ საძოვრად აქციეს 40 თივის ხრიოკი სათიბი. ანალოგიურ ხერხს მიმართეს დიდი ოდიანთ ოჯახის უფროსებმაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამას მათ მიაღწიეს გვართან შეთანხმების შემდეგ. საქმე იმაშია, რომ ოდიშვილებს სახნავ-სათიბი ადგილები საკომლო საკუთრებაში ჰქონდათ, ხოლო მთელი ამ გვარის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა სათიბი მთა სახიზნარი. ამ მთას ისინი ყოველ წელს კომლთა რაოდენობის შესაბამისად თანაბრად ანაწილებდნენ ცელის ტარით (ე.ი. ცელის ტარით ზომავდნენ). მეცხვარე ოდიშვილების ოჯახს აქ თავისი ინტერესები გაუჩნდა და თავიანთ ბიძაშვილებთან მოლაპარაკება გამართეს სახიზნარის გასაძოვრების შესახებ. შეთანხმების საფუძველზე დიდი ოდიანნი იქ ცხვარს აძოვებდნენ, ხოლო ოდიშვილების ყოველ ოჯახს წელიწადში 1 ჭედილას აძლევდნენ ხატობაზე (ღვთიშობლობაზე) დასაკლავად. ზემოხსენებულ მთას ამავე პირობით იყენებდნენ შემდეგში დიდი ოდიანთ განაყარი ოჯახებიც. ეს წესი მოიშალა მხოლოდ კოლექტივიზაციის შედეგად. მანამდე, რასაკვირველია, დანარჩენმა ოდიშვილებმაც მოიშენეს ცხვარი, მაგრამ ვინაიდან მთა სახიზნარი ცხვრის განსაზღვრულ რაოდენობას (არაუმეტეს 1500 სულისა) კვებავდა, მათ ძველი პირობის დარ-

ღვევაზე აღარ უფიქრიათ და კვლავინდებურად კომლზე თითო საკლავის მიღებას ჯერდებოდნენ.

მეცხვარეობის შემდგომი განვითარების გამო შეძლებული ოჯახების წინაშე კვლავ დაისვა ახალი საძოვრების გამონახვის საკითხი. რაკი მოსახლეობამ მასობრივად მოკიდა ხელი ამ მზარდ მეურნეობას, ზოგიერთი სოფლის სამეურნეო ბაზა ვიწრო აღმოჩნდა. ის საკმარისი იყო მხოლოდ ღარიბი და საშუალო შეძლების ოჯახებისათვის. ამიტომ მდიდარი მეცხვარეები იძულებული გახდნენ თავიანთი სოფლის ფარგლებს გასცილებოდნენ და შეთანხმებოდნენ აზნაურებს მათი კუთვნილი საძოვრებით სარგებლობის შესახებ. ყაზბეგებისაგან თოთის მთას ქირაობდნენ ხულელიძეები (დიდი ხულელნი) და ავსაჯანაშვილები (დათურეთ დიდი ოჯახი), უხათის მთას ჩქარეულები, ხოლო დუშელი აზნაურების — კობიაშვილების კუთვნილ მთებში (ტარაგაჲ, წითელძირი, ქუდოსძირი, ვეშათწყარო) საბალახეს გადახდის პირობით თავიანთ ფარებს მიერეკებოდნენ გიგაურები, დავითაშვილები და სხვა მდიდარი მეცხვარეები. ღუნჭიანაჲ ეუკუთვნოდათ გაბაშვილებს.

ამგვარი შეთანხმების შედეგად ორივე მხარე მოგებული რჩებოდა. კობიაშვილები ღებულობდნენ საბალახეს, ხოლო მეცხვარეები საუკეთესოდ კვებავდნენ ცხვარს, რაც პროდუქციის სიუხვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ზოგიერთი მეცხვარე სხვა ხერხსაც მიმართავდა: ქირაობდა საჭიროზე მეტ საძოვარს და შემდეგ უფრო ძვირად სხვაზე აქირავებდა. მაგალითად, დიდი ჩეკიენი კობიაშვილებისაგან აღებულ მთა ტარაგას აძლევდნენ სოფ. ფანშეტს, რომელიც საძოვრების ნაკლებობას განიცდიდა ყაზბეგების მიერ მათი კუთვნილი ადგილების ძალით დასაკუთრების შემდეგ. ფანშეტისაგან მიღებული საბალახეთი გიგაურები თითქმის მთლიანად ფარავდნენ მათ მიერ გამოყენებული მთების ქირას. მეცხვარეები ასევე ეფექტურად იყენებდნენ სამარშრუტო ტერიტორიას როგორც ხევიდან გამგზავრებისას, ისე ხევში შემოსვლისას.

სოფელს თუ საჯოგე მთა არ ჰქონდა, სხვაგან ქირაობდა. მაგალითად, სტეფანწმინდელებს ბერწი საქონელი და ცხენები მიუდიოდათ ტარაგას ან სხვა რომელიმე სოფლის მთებში. ისინი ასევე საბალახოს გადახდის პირობით სარგებლობდნენ როგორც ხევის ადგილებით (კდე, არეშისთავი, გველეთის მთა ხრეკი), ისე შორეული ადგილებითაც (თრუსო, მაღრან-დვალეთი, წკერე).

სტეფანწმინდელები ადრე ვეძას ველითაც სარგებლობდნენ, მაგრამ ეს ადგილები ყაზბეგებმა მიითვისეს. ხელმწიფის ჩამოგდების შემდეგ სტეფანწმინდელებს საჯოგედ მიაკუთვნეს საგუდამაყრო და ვეშაწყარო, ხოლო არშაველებს ტარაგაჲ. რაც შეეხება ვეძას ველს, ის შუაზე გაუყვეს სტეფანწმინდას და ფანშეტს.

მეცხვარეები განსაკუთრებული გულმოდგინებით იშენებდნენ ღონით, სიფხიზლით და მტაცებელ ცხოველებთან თუ ყაჩაღებთან ბრძოლის თვისებებით აღჭურვილ ძაღლებს. როგორც სოფელ გერგეტში 1961 წლის 30 ივლისს თედო გახუტას ძე სუჯაშვილმა მაცნობა, საუკეთესო სამეცხვარო ძაღლს პირველ ყოვლისა ჩაპირვა უნდა სცოდნოდა. ღონიერიც რომ ყოფილიყო ძაღლი მგელს ვერ მოერეოდა, თუ ჩაპირვა არ იცოდა. თანაც უსათუოდ ყელში უნდა სწვდომოდა. მთხრობელმა როდესაც ეს მითხრა, გაიხსენა ერთი ეპიზოდი: ცხვარი

ყიზლარისაკენ დაიძრა, მაგრამ ჩამპირავი ძაღლი რატომღაც შინ დატოვეს. სოფელ ჩიმში რომ ჩავიდნენ, მწყემსებმა შეცდომა იგრძნეს. ერთ-ერთი მათგანი მობრუნდა და ეს ძაღლი გერგეტიდან ნაიყვანა. ყიზლარში ჩასვლისთანავე ღამით მგელი ფარაში შეუვარდა. ეს ძაღლი მომენტალურად ეცა, ყელში სწვდა და ზემოდან მოექცა. მგელი უკანა ფეხებით ძაღლს მუცელ უფატრავდა. ამასობაში მწყემსებმა მგელს ხანჯლით ფეხებზე ძარღვები გადაუჭრეს და მხეცი ასე მოკლეს.

მწყემსები განსაკუთრებული მონდომებით აჩვევენ ძაღლს ერთგულ სამსახურს. მათი თქმით, არ შეიძლებოდა ლეკვის გამსუნაგება. ცხვარი რომ საძოვარზე გაეშურებოდა, ლეკვს ბინაზე ტოვებდნენ საყარაულოდ. თითქმის ყველა მწყემსმა აღნიშნა, რომ კარგად განვრთნილი სანაქებო ძაღლი 3-4 ცხვრად მაინც ფასობდა. ყოფილა ასეთი შემთხვევა, როდესაც მწყემსებს ჩასძინებიათ, ცხვრის ფარა გაშლილა, მაგრამ ძაღლს ფარისთვის ირგვლივ შემოურბენია და მოუქუჩებია. განსაკუთრებით დიდი იყო ძაღლის როლი დამფრთხალი ცხვრის მიგნებასა და გადარჩენის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით მახსენდება სნოველი ვარდა გოდერძიშვილის ნაამბობი: როდესაც ცხვარს არტანსა და ყარსში აზამთრიანებდნენ, ფარას პატრონობდნენ ძმები: თედო, ალექსი, სვიმაჲ და ლალაჲ გოდერძიშვილები. ერთხელ მათ ქეიფის შემდეგ ღრმად ჩასძინებიათ. ღამით ატეხილ ქარბუქს ცხვრის ფარა გაუშლია და დამფრთხალი ცხვარი ქარს ქროლვის მიმართულებით გაურეკია. ძმებმა რომ გაიღვიძეს და ფარა ადგილზე აღარ დახვედრიათ, ოთხი ძმა ოთხი სხვადასხვა მიმართულებით გამართულა ცხვრების მოსაძებნად. ისინი ერთიმეორეს თურმე ეხმიანებოდნენ, მაგრამ ფარას ვერ პოულობდნენ. ამასობაში თედოს ფეხებში ჰბუცებია ძუ ძაღლი. კუდის ქნევითა და ყეფით ძაღლი წინ წასულა და მწყემსი დაიმედებულა, რომ დამფრთხალ ცხვარს მიაგნებდა. თედოს თავისი ძმებისთვის დაუკივლებია, რომ ცხვარი ვიპოვეთო. ძმები ძაღლს გაჰყოლიან და ფარას მისდგომიან. სიბნელეში ახლა უკვე ბინაში დაბრუნების პრობლემა შექმნიათ. ასეთ ვითარებაშიც ძაღლი გასძღოლია. ფარის წინ მწყემსებს ვაცი დაუყენებიათ, როგორც მქეჩავი (მეგზური) და ასე მიუგნიათ თავიანთი ადგილ-სამყოფელისათვის. ხევში ამიტომ სცოდნიათ თქმა: "თუ ბინაზე ბერი კაცი და ძუვი ძაღლი არ არისო, იმ ცხორჩი სითხილეც არ არისო". მოხევეები ამით იმას ამბობენ, რომ მწყემსებს შორის უფრო ფხიზელი ძილი აქვს ხანდაზმულ კაცს, ხოლო ძუ ძაღლი ხვადთან შედარებით უფრო ფრთხილია. ისიც აშკარაა, რომ ფარას ყოველთვის წინ ვაცი მიუძღვის.

მეცხვარეებმა ისიც მითხრეს, რომ მეცხვარის ძაღლი მწვალელ ცხვარს ზემოდან არ გადაახტება ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფარაში მგელი შემოვარდება. მწვალელ ცხვარს ძაღლი ირგვლივ შემოუვლის და შემდეგ მტაცებელს შეუტევს. მწყემსები იმასაც დაჰკვირვებიან, რომ ლეკვების დედა ზოგჯერ ძუძუზე მიიჩვევდა უდედოდ დარჩენილ ბატკნებს. აბრამ ქუშაშვილმა ერთი ასეთი ფაქტი მაცნობა. სტეფანწმინდის კოლმეურნეობაში ჰყოლიათ ძუ ძაღლი სახელად ქალიაჲ. მას თავის 6 ლეკვთან ერთად ძუძუზე მიუჩვევია ორი ბიჭა ბატკანი და მათ თურმე ისე ლოკავდა, როგორც თავის ლეკვებს.

ყოველივე ამასთან ერთად ცხვარში ნავალი მთხრობლების მონაყოლით განსაკუთრებით ჭირდა გაშლილ მინდორზე გადაადგილება ნისლიან ამინდში და

ღამის სიბნელეში. რაიმე საქმეზე ბინიდან გასული მწყემსები უნდა დაჰკვირვებოდნენ ვარსკვლავებს და ნიავის მოძრაობის მიმართულებას. ვინც ამგვარი ორიენტაციით ვერ იმოქმედებდა, შეიძლებოდა თავისი ბინის გვერდზე ჩაევლო და სხვის ბინაში მოხვედრილიყო. ცეცხლი ხომ ყველა ბინაში ენთო და მარტოოდენ ამ ნიშნით ბინას როგორ მიაგნებდნენ. ამიტომ საზრისიანობა იყო მთავარი ორიენტირი. ამ მხრივ ძაღლთან ერთად ფრიად საიმედო ყოფილა ცხენი. კაცს შეეძლო ცხენი თავისუფლად მიეშვა და იმავე გზით ზუსტად მობრუნდებოდა, რა გზაც გავლილი ჰქონდა.

ფიქსირებული მონაცემები იმ სიძნელეების მაჩვენებელია, რაც მეცხვარეთა ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი. ყოველივე ამას ემატებოდა ხიფათი ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში. მხედველობაში მაქვს ყაჩაღური თავდასხმები და ჩუმ-ჩუმი ქურდბაცაცობა, რაც ხშირად ხდებოდა როგორც საზაფხულო საძოვრებზე, ისე ცხვრის ფარების გადაადგილების პროცესში ხევიდან საზამთრო საძოვრებზე და უკან.

ქართველი ხალხის მიერ ქისტებად წოდებული ჩაჩნებისა და ინგუშების, ისევე როგორც ოსებისა და ლეკების ავაზაკობის ამსახველი ფაქტობრივი მონაცემები თავმოყრილი მაქვს გამოსაცემად მომზადებულ ნაშრომში - "მოხეური საგმირო-სასტორიო სიტყვიერება". ამიტომ მას აქ აღარ გავიმეორებ და მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ არსებობდა მეცხვარეების ძარცვის ორი სახეობა — მალული ქურდობა და შეიარაღებულ პირთა ყაჩაღური თავდასხმები. მალული ქურდობის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენდა სამოსახლო ტერიტორიაზე ფარის გავლისას რომელიმე სახლის ეზოში ცხვრის შეგდება. იყენებდნენ მეორე ხერხსაც. ტრასაზე ორმოებს თხრიდნენ და ზემოდან წვრილი ტოტებითა და ბალახით ფარავდნენ. ფარა გაივლიდა და ორმოებში ჩავარდნილ ცხვრებს ქურდები ამოიყვანდნენ. ამასთან შედარებით უფრო მასშტაბური ხასიათისა იყო თავდასხმები ცხვრის ფარაზე ან ცხენებისა და ხარების ჯოგზე. უმეტეს შემთხვევაში შეტაკება ყაჩაღებსა და მწყემსებს შორის მსხვერპლით თავდებოდა, ხოლო არაიშვიათად ყაჩაღები ბლომად ცხვარს თუ მსხვილფეხა საქონელსაც მიერეკებოდნენ. ყოველივე ეს უმძიმეს მდგომარეობას უქმნიდა მოხევეებს, რისი გაცნობაც მკითხველს შეუძლია ზემოხსენებულ საგმირო-საისტორიო სიტყვიერებაში.

გარდა იმისა, რომ ცხენებზე მოთხოვნილების ზრდის შედეგად ხევში ხარების რიცხვი შემცირდა, მეცხვარეობით დაინტერესება იწვევდა აგრეთვე მსხვილფეხა მესაქონლეობის რამდენადმე შეზღუდვას. აღნიშნულ პროცესს აპირობებდა სათიბების შემცირების ხარჯზე საძოვრების ზრდა და მუშახელის დიდი ნაწილის მეცხვარეობაში ჩაბმა. მხოლოდ ზოგიერთი ოჯახი არ ღალატობდა ძველ ტრადიციას და ამ მხრივ სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ზოგიერთი შეძლებული ოჯახი კი მეცხვარეობის ზრდასთან ერთად მსხვილფეხა საქონელსაც ამრავლებდა, ხოლო ვინაიდან საქონლის შენახვის შესაძლებლობას განსაზღვრავდა სახნავ-სათიბიდან აღებული ჩალა-თივის მარაგი, ოჯახი ამის შესაბამისად აფართოვებდა სამეურნეო ბაზის საზღვრებსაც. ეს ხდებოდა მამულების შეძენის გზით, რაშიაც მათ მეტოქეობას ვერ უწევდნენ ღარიბი და საშუალო შეძლების ოჯახები. თუ რამდენად ადვილი იყო მამულების ხელში ჩაგდება მდიდარი მეცხვარეებისთვის, ხოლო მცირე ცხვრის პატრონებისთვის ამდენადვე ძნელი, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სოფ. ტყარშეტიდან სოფ. არ-

შაში ჩასახლებულმა ავსაჯანიშვილებმა (დათურეთ დიდმა ოჯახმა) საკარმიდ-ამო ფართობში, ერთი უღლის 10 დღიურის სახნავსა და 35-40 თივის სათიბში ყაზბეგებს გადაუხადეს 400 სული ცხვარი. ასევე ცხვრის საფასურით შეძლეს გიგაურებმა ყაზბეგიანთ მამულების ხელში ჩაგდება სოფ. სტეფანწმინდაში, ბადაშვილებმა კობიაშვილების (დუშელი აზნაურების) მამულების შეძენა სოფ. ხურთისში და ა.შ. ამ გზით ღრმავდებოდა სახნავ-სათიბ ადგილებზე უთანაბრო მფლობელობის პროცესი.

ამგვარად, მეცხვარეობის განვითარების საფუძველზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ზოგიერთი ოჯახი ეკონომიკური ბრძოლის ფრონტზე გამარჯვებული გამოდიოდა და მეურნეობის ყველა სფეროში უპირატესობას აღწევდა. ამგვარი ოჯახების სახით ხევში ჩამოყალიბდა ეკონომიკურად აღზევებული ფენა, რომელიც მოსახლეობის ერთ ნაწილს ექსპლოატაციას უწევდა და სოციალურადაც ემიჯნებოდა. ოჯახში მყოფი მუშახელი ვეღარ უძღვებოდა რა ყოველმხრივ გაფართოებულ მეურნეობას, ამიტომ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. ზოგიერთ ოჯახს რამდენიმე ათეული დაქირავებული მწყემსი და მწველავი ემსახურებოდა. სოციალ-ეკონომიკური დიფერენციაცია პირველ ყოვლისა დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის იგრძნობოდა. ეს განსაკუთრებით ნათელ გამოხატულებას პოულობდა საქორწინო ურთიერთობაში, როდესაც სარქალი თავის მწყემსთან ქორწინებასა და მოყვრობას გაურბოდა.[66]

სარქალთან მოჯამაგირედ მყოფი კაცი ყოველივე ამას მშვენივრად ხედავდა, მაგრამ ცხვრის მოშენებით დაინტერესებულ პირთათვის იმ დროს ამაზე უფრო ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. თუ ადრე მოხვევ ამ მიზნით თუშეთში მიდიოდა რამდენიმე წლით, ახლა უკვე ეს საქმიანობა გარეთ საძებარი აღარ იყო. ღარიბი კაცისთვის მოხვევ სარქალთან მიკედლება და თავის კუთხესა და ოჯახთან მუდმივი კონტაქტი გაცილებით ხელსაყრელი იყო, ვიდრე დიდი ხნით სხვაგან გადახვეწა. რამდენიმე წლის საწყემსოს (ჯამაგირში კუთვნილი ცხვრის) აღების შემდეგ მწყემსი თითონ ხდებოდა ცხვრის პატრონი და მოჯამაგირეობასაც თავს ანებებდა. ამ გზით ხევში დღითიდღე მატულობდა ცხვრის მყოლი ოჯახების რიცხვი, ხოლო ზოგიერთი პირი სარქლობასაც კი აღწევდა. მეცხვარეობის როლი თანდათანობით იზრდებოდა, ხოლო მეურნეობის სხვა სახეობათა მნიშვნელობა იჩრდილებოდა, მაგრამ ხევის ეკონომიკური განვითარება მარტო ამ გზით არ ხდებოდა. მოსახლეობის შედარებით მცირე პროცენტს სხვა საარსებო საშუალებანი გამოენახა. რიგი ოჯახებისა მეცხვარეობისადმი მიდრეკილებას სრულებით არ იჩენდა და მსხვილფეხა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასაც უკვე გულგრილად ეკიდებოდა. ის ოჯახი, რომელიც ქალაქს მჭიდროდ დაუკავშირდა, ხევში მხოლოდ ერთი ფეხითღა იდგა. ასეთმა ოჯახებმა თავიანთ ძირითად საქმიანობად გაიხადეს ის, რაც მესაქონლე და მიწათმოქმედი ოჯახებისათვის შემოსავლის დამხმარე წყაროდ ითვლებოდა. ასეთ საქმიანობად გვესახება ხელოსნობა, ვაჭრობა, ტრანსპორტზე მუშაობა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ხევის ფარგლებში ხელოსნობა არც ერთი ოჯახისთვის არ წარმოადგენდა მის ეკონომიკურ საფუძველს. სასოფ-

---

66 ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან, 96.

ლო-სამეურნეო იარაღების, ავეჯის თუ ტანსაცმლის დამზადება ხევში არ გასცილებია შინამრეწველობის ფარგლებს. შინამოთხოვნილებაზე ჭარბი ქსოვილისა (ტოლი) და ჩოხების დამზადება ბაზარზე გატანის მიზნით უშუალოდ ემთხვევა ხევში მეცხვარეობის აღმავლობის პერიოდს. როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, ეს ე.წ. ტოლ-ჩოკობა დაიწყო მათი ყრმობის დროს, ე.ი. არაუადრეს XIX საუკუნის 80-იანი წლებისა.

შეიძლება ითქვას, რომ შინამრეწველობის პროდუქციიდან მოხევეებს გაჰქონდათ მხოლოდ ტოლი და ჩოხა. სასოფლო-სამეურნეო იარაღსა და ავეჯს აქ მარტო იმდენს აკეთებდნენ, რამდენიც ადგილობრივი მოთხოვნილებისათვის იყო საჭირო. ხელოსანი მის დამზადებაში იღებდა გასამრჯელოს ნატურის ან ფულის სახით. ის ამ საქმეს ხელს კიდებდა მხოლოდ სეზონური სამუშაოებისაგან განთავისუფლების შემდეგ. თუ მას შემკვეთი თავს დაადგებოდა მინდვრად მუშაობის პერიოდში, ხელოსანი შეკვეთას შეასრულებდა მხოლოდ შრომაში შენაცვლების პირობით, ეი. ხელოსნის ნაცვლად მის ნაკვეთში იმუშავებდა შემკვეთი. ასეთი წესი არ ვრცელდებოდა სახლის მშენებლობის დროს. მშენებლის შრომის ანაზღაურება ხდებოდა ნატურით ან ფულით. მშენებლობაში განაფუ-ლი მოხევეები სამუშაოდ ხევის მეზობელ კუთხეებშიც მიდიოდნენ,[67] მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ხევში არც ეს ხელობა წარმოადგენდა რომელიმე ოჯახის ერთადერთ საარსებო საშუალებას. სამაგიეროდ ამ მხრივ მდგომარეობა იცვლება იმ ოჯახების ცხოვრებაში, რომლებმაც პირი იბრუნეს ქალაქისაკენ.

განსაკუთრებით დიდი იყო მოხევეთა ლტოლვა ჩრდილოეთისაკენ. თავდაპირველად წარმოებასა და ვაჭრობაში ოჯახის ზოგიერთი წევრის ჩაბმის, ხოლო შემდეგ ასეთი ოჯახის მთლიანად ქალაქში ან საქართველოს სამხედრო გზის სატრანზიტო პუნქტებში დასახლების შედეგად მისი ეკონომიკური საფუძვლებიც იცვლებოდა. მაგალითად, სოფ. ლარსში დასახლებულმა შიოლაშვილებმა (გოტოლენი) და ღუდუშაურებმა (ყარაჯენი) მოაწყვეს რა დუქნები და ფუნდუკები, მგზავრებზე ფუნდუკების გაქირავებითა და ვაჭრობით მიღებული შემოსავალი იქცა მათ საარსებო წყაროდ.

ქ. ვლადიკავკაზში დასახლებული ოჯახები (სუჯაშვილების, ხუციშვილების, ჩოფიკაშვილების, ღუდუშაურების, გუჯარიძეების, ზაგაშვილების და ა.შ.) სხვადასხვა საქმიანობას კიდებენ ხელს. ამ მხრივ აღსანიშნავია ეტლით მგზავრების გადაყვანა ვლადიკავკაზიდან თბილისამდე, ამავე მარშრუტით ფოსტის ზიდვა, გზაზე მენარდედ მუშაობა, ყარაულად ყოფნა, ქუჩებში ქვაფენილის დაგება, ქვისა და შეშის დამზადება და ა.შ. შემოსავლიან საქმედ ითვლებოდა ე.წ. საჟნების დადგმა , ე.ი. ქარხნების საწვავად შეშის დამზადება. განსაკუთრებით კარგად მოწყობილა იმ ოჯახების საქმე, რომელთაც ხელი მოკიდეს მექუდეობას, მეჩექმეობას, მეუნაგირეობას და ვაჭრობას. ძალზე გაზრდილა მეუნაგირეთა პრიორიტეტი პირველი მსოფლიო ომის წლებში, როდესაც ოსტატებს შეკვეთები მოსდიოდათ სამხედრო უწყებიდან. ზოგიერთი მოხევე მაშინ ისე გამდიდრებულა, რომ კუპეცის სახელი მოუხვეჭიათ. ასეთებად ასახელებენ კოტე წიკლაურს, კოლა ზაგაშვილსა და სხვ. ყოველივე ამასთან ერთად

67 ვ. ითონიშვილი, სახლის მშენებლობის ხალხური წესები ხევში, ჟ. "მაცნე", 1965, N 6, 180.

აქ დასახელებული თითოეული ოჯახი ინახავდა 2-3 ძროხას, ღორებს, ქათმებს. ყველა მათგანს ჰქონდა საკუთარი სახლი თავისი ეზოთი და სამეურნეო სათავსოებით, ხოლო, როგორც რ. ხარაძემ დაადგინა, ზოგიერთი მათგანი დაენაფა მებაღეობასა და მებოსტნეობასაც.[68]

ამგვარი ხასიათის სამუშაოებში გაწაფვა წარმოადგენდა სოფლიდან მოწყვეტისა და ქალაქად ან ბარის სამეურნეო რაიონებში დასახლების და, მაშასადამე, საოჯახო ყოფაში არსებითი ცვლილებების განხორციელების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ეს ცვლილებები პირველ რიგში გამოხატულებას პოულობდა შემონახული დიდი ოჯახების და ეკონომიკური საფუძვლების მოშლის პროცესში, რაც თავის მხრივ ნიადაგს აცლიდა ასეთი ოჯახის არსებობას. საშოვარზე ოჯახის წევრთა დაქსაქსულობა იწვევდა დიდი ოჯახის შემადგენელ ნაწილებად დაშლას, ე.ი. ინდივიდუალურ ოჯახებად მის სეგმენტაციას.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად ხევში დაშლის საფეხურზე მყოფი დიდი ოჯახის შიგნით იზრდებოდა კერძომესაკუთრული ტენდენცია. მეცხვარეობა აღმავლობას განიცდიდა, მისი სასაქონლო მნიშვნელობა თანდათანობით აშკარად მატულობდა, ბაზართან კავშირი ფართოვდებოდა, მიწათმოქმედება უკან იხევდა. ყოფილი სახნავები სათიბებად აქციეს, ხოლო მაღალ ფერდობებზე მდებარე სათიბები გაასაძოვრეს. დიდი ოჯახების სეგმენტაციასთან ერთად ქუცმაცდებოდა სამეურნეო ნაკვეთებიც. დიდი ოჯახების დაშლის პროცესი XX საუკუნის კარიბჭესთან არსებითად უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ადგილ-მამულებზე საოჯახო, საგვარო, სასოფლო და სათემო მფლობელობის წესი ხევში კოლექტივიზაციამდე გრძელდებოდა. ამ დღიდან კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

წესდების მიხედვით კოლმეურნე გლეხს პირად სარგებლობაში დაუტოვეს 0,25 ჰ. მიწა, ნება დართეს ჰყოლოდა 40 დედა ცხვარი თავისი ნამატით და 5 სულამდე მსხვილფეხი. ამის შედეგად ხევში ოჯახების დაქუცმაცების პროცესი მანამდე არნახულ ფაზაში შევიდა. პირად სარგებლობაში ზედმეტი ნაკვეთის ხელში ჩაგდებისა და საქონლის შენარჩუნების მიზნით უმრავლესობა დაადგა ფიქტიური გაყრის გზას. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა 1938 წლიდან, როდესაც კოლექტივიზაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. მიწის ნაკვეთების ხელში ჩაგდებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მოსახლეობა ომის პერიოდში პურის დიდი სიძვირისა და უშოვნელობის გამო. გაჭირვებული მოსახლეობა იძულებული გახდა გაყამირებული სახნავები ხელახლა გაეტეხა და ქერისა და ქერ-სვილის ყანები აებიბინებინა. ამასთან ერთად უფრო ინტენსიურად მოეკიდნენ კარტოფილის მოყვანის საქმეს. გარდა იმისა, რომ პურით ნაკლებობის დროს ის მნიშვნელოვან საკვებს წარმოადგენდა, ჩრდილო კავკასიის სამიწათმოქმედო რაიონებში მას პურზედაც ცვლიდნენ.

კოლმეურნეობების დაარსება აქ დაიწყო 1930-იანი წლებიდან, მაგრამ მათი არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მათი დაშლა გამოწვეული იყო ორი მიზეზით: 1. ანდეზიტის წარმოების გაფართოვებით, რის შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი მოწყდა სოფლის მეურნეობას და ჩაება ამ წარმოებაში. 2. ყვე-

68 Р. Харадзе, Грузинская семейная община, I, I40.

ლა სოფელში ცხოვრობდნენ შეძლებული მეცხვარეები, რომლებიც საძოვრების დაკავებითა და მწყემსს-მწველავთა დაქირავებით ხელს უშლიდნენ საზოგადოებრივ საქმეს. ვინაიდან ანდეზიტის წარმოებაში ჩაბმისა და მდიდარ მეცხვარეებთან მოჯამაგირედ მიკედლების გამო მწარმოებელი ძალა დაიქსაქსა, კოლექტიურმა მეურნეობამ ერთხანს კრახი განიცადა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ხევში მალე დაიწყო ასეთი ოჯახების განკულაკება და მათი ცხვარ-ძროხის კოლმეურნეობებში გაერთიანება. გაიარა ნეპის პერიოდმაც და ვაჭრობაში გართული ოჯახებიც სოფელს დაუბრუნდნენ. ასეთი სოციალური ძვრების შედეგად მოხევეების საოჯახო მეურნეობა ახალ ფაზაში შევიდა.

საკოლმეურნეო ცხოვრების ჩამოყალიბების შედეგად თუ ეკონომიკურად ძლიერი ოჯახების უფლებები შეიკვეცა, სამაგიეროდ საგრძნობლად გაუმჯობესდა ღარიბ მწყემსთა მდგომარეობა. ამ დღიდან ისინი მწყემსავდნენ არა მდიდარი მეცხვარეების, არამედ კოლმეურნეობის ცხვარს. საწყემსო შეიცვალა კოლმეურნეობიდან მიღებული საზღაურით, ხოლო კოლმეურნეობის ცხვართან ერთად მწყემსი უვლიდა საკუთარსაც, რაც მას არავითარ ხარჯს არ აძლევდა. იმასთან ერთად, რომ კოლმეურნე ოჯახის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა კოლმეურნეობიდან მიღებული პროდუქტები, ფული და პირად სარგებლობაში არსებული ნაკვეთი თუ საქონელი, ოჯახის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამსახურიდან მიღებული ხელფასიც. ხევში ერთი ოჯახი მაინც ღებულობდა ხელფასს.

მესაქონლეობიდან მიღებული შემოსავალი თანამედროვე ხევში გაცილებით გაიზარდა 1953 წლიდან. საქმე იმაშია, რომ კოლმეურნე გლეხი გაანთავისუფლეს 1953 წლამდე არსებული საკმაოდ მძიმე გადასახადებისაგან. ამასთან ერთად, დამზადების პუნქტებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ხორცისა და მატყლის შესყიდვის პირობები. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასების მიხედვით დამზადების პუნქტი გლეხს 1 კგ. მატყლში უნაღდებდა 6-8 მანეთს, ხოლო 1 კგ. ხორცში (ცოცხალ წონაში), მისი ხარისხის შესაბამისად, 2 მანეთამდე. ამაზე უფრო დიდ სარგებელს გლეხი ვერც ერთ თანამედროვე ბაზარზე ვერ ჰპოვებდა. ამიტომ პროდუქციის სხვაგან გატანაზე ის აღარ იწუხებდა თავს. მოხევეთა ეკონომიკაში საგრძნობლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცეცხლგამძლე ქვის საბადოებში მუშაობამ.

ხევში ანდეზიტის აღმოჩენა და მისი დამუშავების წამოწყება დაკავშირებულია ყაზბეგელი გლეხის ივანე ომას ძე ფიცხელაურის სახელთან. დღეში ერთი მანეთის გადახდის პირობით მასთან ნარდად უმუშავნია 5-6 კაცს. 1910 წლიდან აქ ასევე ნარდი ანაზღაურების პრინციპებზე შეიქმნა არტელი, ხოლო 1930 წლიდან გაიხსნა დიდი წარმოება.

თავდაპირველად სამუშაო ობიექტს წარმოადგენდა ანდეზიტის საბადო, რომელსაც ეწოდება საკეცეთი. არტელში ჩაბმული იყო 150-200 მუშა. ისინი ჭრიდნენ და ამუშავებდნენ ზემოდან დაყრილ ლოდებს. სოფ. ცდოს ძირას გამოქვაბეს კლდე - ე.წ. სამჭედლო ქოხი იარაღის შესანახად, რომელიც დღემდეა შემონახული წინ ამოშენებული ქვიტკირის კედლით. 1913 წლიდან აქ დაიწყეს კლდის აფეთქებაც, ხოლო 1914 წლიდან მუშაობა გაშალეს ხევის მეორე უფრო დიდ საბადოში — არშაში. ადრე თუ ვლადიკავკაზში იგზავნებოდა დაუმუშავებელი ნატეხები, 1914 წლიდან დაიწყეს ქვის ადგილზევე გათლა. არშის წარმოების

გახსნის შედეგად მუშების რიცხვი 1000 კაცამდე გაზრდილა. ამასთან ერთად მოუმატნია მენარდეების რიცხვსაც.

ანდეზიტის ქვაზე დიდი მოთხოვნილების გამო ხევში გაჩნდა წარმოების კიდევ ერთი კერა — სამტვერე (სოფ. ყანობის პირდაპირ). კიდევ უფრო მეტად იმატა მუშახელმა და მენარდეების ურთიერთქიშპმა. საბადოებთან სოფლების მდებარეობის მიხედვით ხევში შეიქმნა ერთგვარი საწარმოო ზონები. საბადო საკეცეთში ძირითადად მუშაობდნენ ამ საბადოს ახლო მდებარე სოფლების — ცდოს, გერგეტისა და ყაზბეგის მკვიდრნი. ანდეზიტის წარმოების მთავარ ცენტრს — არშის საბადოს მიაწყდნენ შუახევის სოფლების (არშა, სიონი, გარბანი, გაიბოტენი, ტყარშეტი) მცხოვრებნი, ხოლო სამტვერეს საბადოში უმთავრესად მუშაობდნენ ხურთისელები და ყანობლები.

საბადო საკეცეთში, რომელიც საქართველოს სამხედრო გზიდან საკმაოდ დიდ სიმაღლეზე მდებარეობს, გაყვანილი იყო რკინიგზა, რომელზე მოძრავი ვაგონეტებით ხდებოდა ქვის ჩამოტანა საქართველოს სამხედრო გზაზე. აქედან ვლადიკავკაზში ქვა გადაჰქონდათ ურმებითა და დროგებით. დროგით ქვის გადატანა შეფასებული ყოფილა 1 მან. 50 კაპ, ხოლო ურმით — 1 მან. ასეთ მუშაობაში ცხენის პატრონები ხალისით ჩაებნენ. გარდა ამისა, იმ სოფლის ყველა მეკომურს, რომლის ტერიტორიაზედაც ქვის დამუშავება სწარმოებდა, ყოველ ერთ დროგ ქვაში სახელმწიფო უნაღდებდა 1 მან. და 50 კაპ., ხოლო ურემზე 1 მანეთს. აღნიშნული შემოსავლით სოფელი ისტუმრებდა როგორც სახელმწიფო გადასახადებს, ისე დღეობებისათვის საჭირო ხარჯებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ანდეზიტის წარმოება დაიხურა. იქ მუშაობა განახლდა მხოლოდ 1925 წლიდან. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ქვის გადატანა კვლავ დროგებითა და ურმებით სწარმოებდა. მაშინ, როდესაც ცხვარი ორნახევარ მანეთად იყიდებოდა, ვლადიკავკაზამდე 1 დროგი ქვის გადატანა შეფასებული ყოფილა 3 მანეთად, ხოლო 1 ურემი ქვისა 2 მანეთად. ასეთი ფასებით დაინტერესებული მოხევეები დიდი ხალისით დაეწაფნენ ნარდ სამუშაოს. როგორც ამ საქმიანობაში მონაწილეები გადმოგვცემენ, საქალაქო ქირაზე სიარული შემოსავლის ამ წყაროსთან შედარებით მონაგონი იყო. 1 ცხენისა და 200 ცხვრის შემოსავალი, ხალხის გაგებით, იმ დროისათვის თანაბარი ყოფილა. ამიტომ, ვისაც ცხენი არ ყავდა, ყველა მის შეძენაზე ოცნებობდა.

საკმაოდ დიდი ხელფასი ჰქონიათ ქვის დამამზადებლებსაც. მუშის საშუალო თვიური შემოსავალი 10-15 თუმნის ფარგლებში მერყეობდა. სამუშაოს შესაბამისად კი აქ არსებობდა ანაზღაურების მეტ-ნაკლებად განსხვავებული ნორმები: მიწიდან ქვის ამოთხრა და დასაჭრელად მისი გამზადება მუშას თვეში აძლევდა 10-11 თუმანს, ქვის დამჭრელ-დამთლელი გამოდიოდა 15 თუმანზე, ამფეთქებელი ღებულობდა 25-30 თუმანს, ხოლო სამხედრო გზამდე ქვის ჩამომტანი მუშის თვიური ხელფასი შეადგენდა 10-11 თუმანს.

1930 წლიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. არშის საბადოს პირდაპირ, საქართველოს სამხედრო გზის პირად, შეიქმნა მუშათა ახალშენი. ბინა და სპეცტანსაცმელი მუშისათვის უფასო იყო. ძალიან იაფი ღირებულა კვება მუშათა სასადილოში. ანდეზიტის წარმოებაში ჩაბმის მსურველ მოხევეთა რიცხვი მატულობდა. იმ დროს ბევრ ღარიბ ოჯახს იმდენი ფული დაუგროვებია, რომ ცხვარიც შეუძენია და სახ-

ლიც აუშენებია თავის სოფელში ან ქ. ვლადიკავკაზში.

1930-იან წლებიდან ანდეზიტის წარმოებაში ჩაბმული ყოფილა 3000-მდე მუშა. მოხევეებთან ერთად აქ უმუშავნიათ საქართველოს სხვა რაიონებიდან იმერლებს, ხოლო ჩრდილო კავკასიიდან ბერძნებსა და უკრაინელებს. მუშათა ასეთი დიდი ნაკადის საცხოვრებლად გამოყენებულ იქნა სახელდახელოდ გაკეთებული ბარაკები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კარვებიც კი. ანდეზიტის წარმოების ასეთი გაფართოვების დროს აშენდა საავადმყოფო, სკოლა, კლუბი, ტურბაზა, ელექტროსადგური და ა.შ.

ანდეზიტის წარმოების პარალელურად მოხევეების ნაწილს შემოსავლის კიდევ ერთი წყარო გაუჩნდა. ეს დაკავშირებული იყო ხევში წიაღისეულის დამუშავების პერსპექტივასთან, რისი დამადასტურებელიცაა ჩვენამდე მოღწეული გარიგებანი. მადნეულის მოპოვებასა და წარმოებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება წერილობით ფორმდებოდა ორ მხარეს შორის. ერთ შემთხვევაში მწარმოებლად გვევლინება ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც გარიგების დოკუმენტს აფორმებს თავისი სოფლის მოსახლეობასთან. მეორე შემთხვევაში კი ხელშეკრულება ფორმდება სამთამადნო ტერიტორიის მფლობელ ოჯახსა და უცხოელ მწარმოებელს შორის. პირველი ასეთი დოკუმენტი, შედგენილი 1905 წელს, რომელიც სოფელ სნოში იორამ პაპიაშვილმა გადმომცა, გვაცნობს ხელშეკრულების შინაარსს სოფელ სნოს მოსახლეობასა და მის ერთ-ერთ მკვიდრს შორის. დოკუმენტი გვაუწყებს:

Приговоръ

Іюля 13 дня 1905 года мы жители селенія Сно Тифлисской губерніи Душетского уѣзда въ числѣ 90 домохозяевъ съ общаго и непринужденного согласія, на общественномъ сходѣ постановили настоящій приговоръ въ слѣдующемъ:

Мы Жители селенія Сно отдаемъ на изысканіе полезныхъ ископаемыхъ и рудь и эксплоатацію таковыхъ на наших общественныхъ земляхъ жителю того-же селенія Сно Пидо онъ-же Спиридону Григорьевичу Гудушаури на слѣдующихъ основаніяхъ:

1) Онъ Спиридонъ Гудушаури имѣетъ исключительное право развѣдать въ теченіи 2-хъ лѣтъ и за это время никто кромѣ него, или тѣхъ лицъ которымъ онъ передастъ свое право не можетъ производитъ поисковъ на нашихъ земляхъ.

2) В случаѣ, если развѣдки окажутся успѣшными общество наше обязуется по требованію Гудушаури или его правопреемниковъ выдатъ имъ на указанных им мѣстъ отводъ для эксплоатации рудь мѣрою отводъ до 35 десятинъ за слѣдующее вознагражденіе:

Если отводъ находится на каменистомъ пастбищномъ участкѣ г. Гудушаури или его правопреемники платятъ нашему обществу ежегодно по 1200 рублей и за все время добычи платитъ за свинцовыя, цинковыя, сурмянныя, ртутныя и иныя руды по 5 коп. съ пуда обогащенной ручнымъ способомъ руды. Если

руда будеть находится на покосныхъ или пахотныхъ участках къ означенной платъ въ пользу владъльца прибавляется стоимостъ земли по оцъенкъ общества.

3) Срокъ пользованія отводами 30 лътній, съ правомъ владъльца отводовъ возобновлятъ по окончаніи на такой же срокъ.

4) Г. Гудушаури или его правопреемникъ имъетъ право на отведенныхъ ему мъстъ возводитъ нужныя ему постройки и сооруженія. Всъ означенныя постройки по окончаніи срока аренды и окончаніи эксплоатаціи остаются въ пользу общества Сно.

5) Во время добычи руды и развъдокъ г. Гудушаури или его правопреемники обязуются брать рабочихъ преимущественно изъ нашего селенія, а также и нанимаютъ лошадей и арбъ у насъ же по существующимъ цънам, а именно: от сел. Сно до гор. Владикавказъ за каждый пудъ 15 к.

6) Г. Гудушаури или его правоприемники имеютъ для своей нужды право проводить дороги, как шоссейныя такъ и железныя при чемъ жителямъ нашего селенія предоставляется право пользованія грунтовыми дорогами для своихъ надобностей.

7) При постройкъ этихъ дорогъ, рабочіе, кроме спеціалистовъ должны быть изъ нашего селенія по существующимъ ценамъ.

Дорога этого руди должно быть на нашем селеніи Сно, дорога пройдетъ похотной или покосной земли, владелец получает по оценки общества.

8) Все свои права равно и обязанности г. Гудушаури имеетъ право передать кому ему будетъ угодно.

9) Обществу селенія Сно предоставляется право пастьбы и покосы на места отводов не занятыхъ постройками, усадьбами, фактическими выйработками и отвалами.

10) Предприниматель обязуется не портить отвалами соседних съ отводами земель, въ случае же таковой платить по оценке выборныхъ крестьянъ.

11) Расчет предпринимателя съ селеніемъ производится такимъ образомъ: 1-го января вносится платья за отводъ, а плата за вывезенную руду уплачивается по третямъ при чемъ право контроля по книгам принадлежитъ обществу.

12) По утвержденіи сего приговора мы жители селенія Сно обязуемся заключить съ г. Гудушаури или его правоприемниками нотаріальный договоръ на условіяхъ сего приговора для чего и избираемъ трехъ доверенныхъ жителей нашего селенія. Георгий Егорьевич Гудушаури, Георгий Зурабович Гудушаури и Иванъ Семеонович Гудушаури.

13) Каждому указавшему новое месторожденіе новой руды, на который будетъ взятъ отводъ г. Гудушаури или его правопреемникъ обязаны уплатить по 250 рублей.

14) Добытая во время разведомъ руда поступаетъ въ распоряженіе г. Гудушаури или его правопреемниковъ по цене 5 коп. за пудъ и можетъ быть вывезена куда имъ будетъ угодно.

Навчетъ подписуемся жит. селенія Сно 1) Бидзер Гудушаури, 2) Леьонъ Гудушаури, 3) Семеонъ Вардзукашвили, 4) Семеонъ Годердзишвили, 5) Семеонъ Джанукошвили, 6) Иванъ Шиолашвили, 7) Иванъ Чачиковь, 8) Андрия Папашвили, 9) Нико Папашвили, 10) Николозъ Чачиковъ, 11) Николозъ Вардзукашвили, 12) Иванъ Джабанашвили, 13) Георгий Шиолашвили, 14) ?

მეორე დოკუმენტი, შედგენილი 1906 წელს, გვაცნობს ურთიერთშეთანხმების პირობებს სოფელ სიონის ერთ-ერთ მკვიდრსა და უცხოელ მეწარმეს შორის:

Село. Сиони. Тысяча девяносто шестого года, октября двадцать второго дня. Я нижеподписавшийся горнопромышленник Татевос Ростомович Камалов даю сие обязательства жителю сел. Сиони, Душетского уезда, Тифлисской губернии, Ивану Шиоевичу Кобаидзе, в том что если он мне укажет новое месторождение сурьмянской руды на местности "Саджоге цвери", и окажется руда, то я обязываюсь приступить пробным работам и если жила будет продолжаться, то чрез неделю со дня начатия работы я должен заплатить ему, Кобаидзе, двадцать пять рублей, если же месторождение эта окажется настолько благонадежным, что постоянно оттуда буду добывать руду, то в том случае я обязуюсь заплатить ему Кобаидзе, одну тысячу рублей по получении отвода на эту местность, как единовременное вознаграждение за указание этого месторождения.

Горнопромышленник Татевос Ростомович Камалов

Свидетелем был учитель Сионской школы Александр Квачадзе. Глеб Иванович.

დოკუმენტი გადმომცა იორამ პაპიაშვილმა.

წიაღისეულით სარგებლობის პირობების მაუწყებელია 1911 წლის 6 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებაც (გადმომცა რაფიელ ფიცხელაურმა):

Договор N10

1911 года, августа. 6 дня, мы нижеподписавшиеся крестьяне селения Степанцминда (Казбек), имейющие право голоса на сходе, собравшись сего числа в законном числе в присутствии Нижнехевского старшины Ивана Авсаджанова с одной и Никифора Григорьевича Полонского (იქვე ამ პიროვნების გვარ-სახელი გადახაზულია და მიწერილია: Купечески (?) город Гжатска Смоленской губ. Дорамедонта Яковлевича Лесникова)[69] с другой стороны заключили между собою настоящий договор в ниже следующем:

1) Никифор Григорьевич Полонский обязывается в продолжении девяти

69 ეს ჩასწორება რაღაც გაუგებარია!

месяцев со дня составления и утверждения приговора, взять от горного управления право для разведок.

В противном случае как приговор, так и настоящий договор уничтожаются и общество имеет право распоряжаться означенным уч. *Багуми~ по своему усмотрению.

2) Н. Г. Полонский имеет право с разрешения Горного управления производить разведочные работы по всем пространстве уч. *Багуми~ по своему усмотрению.

3) По утверждении приговора и получения от Горного управления разрешения на разведки сочи. п. 1м сею договора Н. Г. Полонский обязан в течении шести месяцев приступить к разведкам, уплатив обществу из упомянутому в приговоре зап двух тысяча (2000 р.) руб., первый взнос пятьсот руб. (500 р.).

4) На разведки дается один год со дня начатия разведок и если Н. Г. Полонский пожелает продолжать разведки дальше, то уплачивает остальныя одну тысячу пятьсот руб. (1500 р.). По уплате двух тысяч рублей (2000 р.) через два года Н. Г. Полонский обязан в исходе каждого года, невзирая когда он получить от Горного управления отвод, уплачивает обществу крестьян селения Степанцминда по две тысячи (2000 р.) в год для общественных нужд. Или те отказатся если же Н. Г. Полонский не заявит об отказе, то договор вступает в силу.

5) Общество крестьян сел. Степанцминда (Казбек) не имеет права выдавать по мимо его Полонского приговоры ни на участок *Багуми~, ни на другия участки своих земель в пределах, которых откроется медный руды и других ископаемых, причем, если откроется медная руда, то общество крестьян сел. Степанцминда (Казбек) обязано передать Н. Г. Полонскому если он захочет на тех же условиях, на каких передается ему уч. *Багуми~. Если откроются др. ископаемия, как то, золото или серебро, то Полонский имеет преимущество перед другими конкурентами.

6) Если виданны обществом сел. приговор за # окажется неправильно составленным, то общество обязано изменить составить новый приговор в том смысле, в каком будет указано тем правительственным учреждениям, от которого зависит утверждение приговора. Этот случай не изменяет сроков обозначенных в Н. | и 4. (იგულისხმება I და IV პუნქტი).

7) Н. Г. Полонский имеет право за все время договорного срока пользоваться всеми существующими дорогами, речною и питьевою водою. В пределах разрабатываемых участков Н. Г. Полонский имеет право проводить дороги, устраивать спуски, строить помещения, завести мосты и прочь. сооружения по своему усмотрению безпрепятственно. Что же касается до земель-пахотных и поукосных, то при надобности Н. Г. Полонский входит в особое соглашение с хозяевами сказанных земель. Если соглашения не состоится, то плату за земель устанавливает третейский суд, состоящий из шести избранных сторонами в равном числе посредников и одного общаго по избранного последных.

8) Общество сел. сел. Степанцминда (Казбек) в праве пользоваться безвозмездно для сельскохозяйственных нужд поверхности всех тех свободных мест в сказанном участке, которыя не будут заняты для горнопромышленных надобностей, но без право крестьян возводить там какия бы то не было постройки или сооружения.

9) Подсобных рабочих нанимает по своему усмотрению по определенной им цене, кроме жить. сел. Степанцминда, которым обязан платить летом с 1-го мая по 1-ое ноября по 1 р. 20 к., а зимою с 1-го ноября по 1-го мая по одному рублю (1 р.) в день.

10) При переходе настоящего договора к другим лицам права по всем пунктам переходят и к правопреемникам.

11) В случае мощность руды окажется неудовлитворительна, то Н. Г. Полонский имеет право прекратить работы и договор сей уничтожается.

12) Все расходы как по утверждению настоящего договора, так и при эксплоатации и разведках Н. Г. Полонский принимает на себя.

13) Договор сей должен хранит свято и не нарушимо.

14) Настоящий договор оплачивается гербовым сбором в 1 р. 25 к. признается предворительный до санкционирования мирского приговора за # и должен считаться окончательным после того, как Полонский получить отвод. Пропорциональный гербовый сбор за активную бумагу тогда же должен быть внесен Полонский в подлежащее казначейство под квитанцию, которая имеет быть приобщена к настоящему договору.

15) Уплаты рабочим производится еженедельно.

16) За несвоевременные арендные платежи Полонский платить неустойку десять тысяч руб. (10000 р.). В случаях же нарушения обществом сел. Степанцминда какого либо из пунктов сего договора то общество платит Полонскому неустойку пять тысяч руб. (5000 р.) и договор остается в силе.

17) В случае правительством не будет почему либо утверждение приговора за # то и договор сей

Никифор Григорьевич Полонский.

В чем подписываемся: ერთნაირი ხელით, შავი მელნით ჩამოწერილია ხელშეკრულების დასტურის მიმცემი 122 ოჯახის მეთაურის გვარი და სახელი.

მონაცემები ანდეზიტის წარმოების შესახებ და წიაღისეულით სარგებლობის დოკუმენტები იმის მაჩვენებელია, რომ მოხევეები ტრადიციული მეურნეობის პარალელურად შემოსავლის დამატებითი წყაროებითაც სარგებლობდნენ. მოხევეებისა და მეწარმეების ხელშეკრულებით გათვალისწინებული წარმოება ხევში რა დონეზე განვითარდა, მონაცემები ამის შესახებ არ გაგვაჩნია. როგორც ჩანს, მთამადნეულით სარგებლობას რეალური შედეგი არ მოჰყოლია ანდეზიტის წარმოებასთან შედარებით, მაგრამ დროთა ვითარებაში თვით ანდეზიტის წარმოებაც შესუსტდა და შესაბამისად მუშახელის რაოდენობაც შემცირდა. საბჭოთა პერიოდში

მოხევეები უმთავრესად დაეწაფნენ მეცხვარეობას იმ დროიდან, როდესაც გაუქმდა ცხვრის რაოდენობის ლიმიტი. ამის შედეგად მოსახლეობის ცხოვრების დონე საგრძნობლად ამაღლდა 1953 წლის შემდგომ პერიოდში. ამის მატერიალურ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ საუკეთესო სახლების მასობრივი მშენებლობა. სამწუხაროდ, ცხოვრების დონე თანამედროვე ხევში ძალზე დაქვეითებულია, რაც განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების გამოუყენებლობამ.

* * *

მოხევეთა ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა გამწევ ძალას, რომლის გამოყენება არსებული სამეურნეო პირობებისა და სამიმოსვლო გზების გამოყენების შესაძლებლობით განისაზღვრებოდა.

იმ პერიოდში, როდესაც მოხევეები ძირითადად საკუთარი სამეურნეო საკარგულებით სარგებლობდნენ და მათ უმთავრეს საარსებო საშუალებას მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა, გამწევ ძალად ხარი გამოიყენებოდა. ტვირთის გადასატანად უღელ ხარს ხის კონსტრუქციით გაკეთებულ ქართულ ურემში აბამდნენ. ამგვარი ურმით მოხევეები ეზიდებოდნენ ძნას ყანებიდან და თივას ახლო-მახლო სათიბებიდან, სადამდისაც კი ურმის გავლა იყო შესაძლებელი. იქ კი, სადაც საურმე გზა არ არსებობდა, ტვირთი შემოჰქონდათ მარხილით ან ნალოთი. თივა უმთავრესად თრევით ჩამოჰქონდათ ურმით მიუდგომელი სათიბებიდან. დაზამთრებამდე შეშის მოტამაც ჩრდილო ოსეთიდან და მთიულეთიდან ხარ-ურმით ხდებოდა. მანძილის შესაბამისად ზემო ხევის სოფლები (ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, ტყარშეტი) შეშას ეზიდებოდნენ მთიულეთიდან, ხოლო ქვემო ხევის სოფლები (სიონი, გარბანი, ფანშეტი, სნოს ხეობის სოფლები, სტეფანწმინდა, გერგეტი, ცდო, გველეთი) ჩრდილო ოსეთის ტყეში მოჭრილი ან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამზადებული ნაყიდი შეშით სარგებლობდნენ.

ასეთი ვითარება ჩანს XIX-XX სს მაჩვენებლებით, თუმცა არსებობს გადმოცემა, თითქოს ტყის მასივები ოდესღაც ხევშიაც არსებობდა. როგორც მოხევეებმა წინაპართა მონათხრობით იციან, ტყე იკაფებოდა სამასალედ თუ საწვავად, მაგრამ მუდმივი ჭრით ტყე რომ გაიკაფა, ტყის კორომები მხოლოდ ხევის რამდენიმე სოფელმა შეინარჩუნა. მათ შორის წარმოგვიდგება სოფელი სიონი, სოფელი გერგეტი, სოფელ სტეფანწმინდის კუთვნილი მთა არეშისთავი და სნოს ხეობის ფერდობები. ტერიტორიითა და სილამაზით გამოირჩევა სიონის ტყე. ტყით ასევე იყო შემოსილი გერგეტის მთის ფერდობები, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ხევში საბჭოთა დივიზია იდგა, სამხედროებმა გერგეტის ტყე საგრძნობლად შეათხელეს. ომის შემდგომ პერიოდში კი გერგეტის ტყე ბუნებრივად აღორძინდა. დასახელებულ სოფლებში ტყის შენარჩუნებაში დიდი

როლი შეასრულა რწმენამ, რომ ტყე ხატს ეკუთვნოდა და მისი მოჭრა ოჯახისთვის უბედურების მომასწავებელი იყო. ყოველივე ამის გამო სამშენებლო მასალით და შეშით მომარაგება მეზობელი კუთხეებიდან ხდებოდა. საამისოდ კი ზაფხულობით გამოიყენებოდა ხარ-ურემი, ხოლო ნაადრევად დათოვლილ გზაზე კი ხარ-მარხილი.

მოხევეების გადმოცემით, საქართველოს სამხედრო გზის გაყვანის დროიდან, როდესაც ხევში ქირით ტვირთის ზიდვა შემოსავლის დამხმარე საშუალებად იქცა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხარ-ურემი გამოიყენებოდა, რაც ვლადიკავკაზიდან თბილისამდე დიდ დროს საჭიროებდა. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა იმის შემდეგ, რაც ქირით ტვირთის ზიდვაში ცხენ-ურემი იქნა გამოყენებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის პირველ ნახევარში კი, ვიდრე ავტომობილი შემოვიდოდა, ცხენით ქირაზე სიარული ხევში ინტენსიურ საქმიანობად იქცა.

საყურადღებოა, რომ ცვლილებები ტრანსპორტით სარგებლობაში მეცხვარეობის განვითარების პროცესშიც გამოჩნდა. რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე და დარიალის ხეობაში საურმე გზის გაყვანამდე, როდესაც მოხევეების მცირედი ნაწილი ცხვარს ზამთარში საქართველოს ბარში აბალახებდა, გადაადგილების საშუალებად ხარ-ურემი გამოიყენებოდა. გზის გაყვანისა და ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებზე გასვლის შესაბამისად ხარი ცხენმა შეცვალა და ცხენ-ურემი მეცხვარეთა გადაადგილების ეფექტურ საშუალებად იქცა.

ეს იმიტომ, რომ შორეული მარშრუტით ცხვრის ფარების გადაადგილების პროცესში შეუძლებელი იყო ხარებით სარგებლობა. ამის გამო ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა ცხენის, ჯორის და ვირის გამოყენება. ამ მუშა ცხოველების გარეშე შეუძლებელი იყო ბარგის გადატან-გადმოტანა, დაკოჭლებული ცხვრებისა და უნდილა ბატკნების გადაყვანა, სხვადასხვა საქმეზე მეცხვარეთა და მწყემსთა მიმოსვლა. მდგომარეობას ისიც ამარტივებდა, რომ ცხენი, ჯორი და ვირი უმთავრესად ზამთრის საძოვარზე ბალახობდა და მხოლოდ თოვლიანების შემთხვევაში საჭიროებდა ბაგურ კვებას. აღნიშნული ვითარებისგან განსხვავებით ცხენი, თუნდაც დროებით, ბაგურ კვებას აღარ საჭიროებდა ზაფხულში, ვინაიდან ხევის სოფლების უმრავლესობას ცხენისა და ბერნი საქონლის (ხარი, მოზვერი, დეკეული) ჯოგი თავიანთ საჯოგე მთებში მიუდიოდათ. რომელი სოფელიც საჯოგე მთის უკმარისობას განიცდიდა (მაგალითად სოფელი ფანშეტი), ცხენებს ან სხვა რომელიმე სოფლის ჯოგს გაურევდა, ან დაქირავებულ საჯოგე მთაში ამყოფებდა. ერთ-ერთი ასეთი მთა იყო ტარაგაი, რაც ე.წ. ქალაქელ ბატონს ეკუთვნოდა და მდიდარ მეცხვარეებზე აქირავებდა. მისი ერთ-ერთი დამქირავებელი ყოფილა გუდამაყრელი გოგია ჩოხელი. მის გარდა ტარაგაი, წითელძირი და ღენჭიანაი ეჭირათ სტეფანწმინდელ დიდ ჩეკიეთ (გიგაური), ხოლო ქუდოსძირი — სიონელ დავითაშვილებს. სხვათა შორის, ჩეკიენი ტარაგას იაფად ქირაობდნენ და უფრო ძვირად აქირავებდნენ ფანშეტელ საბაურებზე. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ფანშეტელებს მისცეს მთა საგუდამაყროში ჯოგის (მათ შორის ცხენების) შერეკვის უფლება. ფანშეტელები საჯოგედ ვეძის ველსაც იყენებდნენ, ვიდრე ამ ადგილს ყაზბეგები მიითვისებდნენ. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ადგილი ვეძა შუაზე

გაიყო ყაზბეგებსა და ფანშეტელებს შორის. ხალხის დაკვირვებით ამ ადგილის ბალახი ცხენს იმდენად ჰყვარებია, რომ მით დახარბებული ცხენები მთიდან ვეძის ველზე ჩამოდიოდნენ. ცხენები ჯოგში იმყოფებოდნენ მაისიდან ღვინობისთვემდე.

რაკი ცხვართან ერთად მთაბარობის გამო ცხენი დიდ ხარჯს აღარ თხოულობდა, მასზე მოთხოვნილებაც თანდათანობით იზრდებოდა. თუ ადრე ის მხოლოდ მხედრის სატარებლად გამოიყენებოდა, ხოლო გამწევ ძალას ხარი წარმოადგენდა, შემდეგ უკვე ხარის ადგილიც ცხენმა დაიკავა. მოხევეებთან ერთად მთის ცხენებს ბევრი მყიდველი ჰყავდა ჩრდილოკავკასიელი მთიელების სახითაც. კავკასიონის რთულ რელიეფურ პირობებში გამოყენების მიზნით მთის ცხენებს ყიდულობდა აგრეთვე სამხედრო უწყება. ყოველივე ამის გამო მეცხვარეებმა დიდი მუყაითობით მოკიდეს ხელი ცხენების მოშენების საქმეს, უპირატესად სანაშენედ ჭაკი ცხენების მომრავლებას. მოხევეების ცნობით, ზოგიერთ მეცხვარეს 10-12, ან მეტი ცხენი ყავდა, რომ აღარაფერი ითქვას მდიდარ მეცხვარეებზე, რომელთა ჯოგში 40 ან მეტი ცხენი ირიცხებოდა. საოჯახო მეურნეობისათვის ადგილზე იტოვებდნენ უფრო ღონიერ თითო ულაყ ცხენს, რასაც ზამთარში საცხენეში აბამდნენ, რათა ის დაცული ყოფილიყო მტაცებელი ცხოველებისაგან და ყაჩაღებისაგან. უსაფრთხოების მიზნით ზამთრის საძოვარზეც ცხენებს ღამის სადგომში აყენებდნენ.

როგორც ხვნა-თესვის აღწერასთან დაკავშირებით ზემოთ უკვე ითქვას, ცხენმა ხარი შეცვალა გუთანში, ხნულის დაფარცხვაში და ძნის ლეწვაში. სამეურნეო საქმიანობაში ცხენის ჩართვაშიც კი მოხევეები მას იყენებდნენ როგორც მშვიდობიან ცხოვრებაში, ისე ომში და ყაჩაღების დევნაში. მაყარში უცხენოდ მონაწილეობაც ხომ წარმოუდგენელი იყო ისევე როგორც ცხენოსნობის უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენდა დოღი. მოხევეები ცხენით მიდიოდნენ მტრის წინააღმდეგ სალაშქროდაც იქ, სადაც სამშობლო მოუხმობდა. ამისგან განსხვავებით საკუთრივ ხევში თავდაცვითი ბრძოლისათვის ცხენი ნაკლებად გამოიყენებოდა. დარიალის ხეობას უმთავრესად ფეხოსანი მეომრები იცავდნენ, ვინაიდან ამ ვიწრო კლდე-კარში ცხენით მოძრაობა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. უკეთეს შემთხვევაში მოხევე ცხენით მდევარში მიდიოდა, რათა უცხოტომელი ყაჩაღებისაგან დაეხსნა მოტაცებული ადამიანები, ცხოველები და დოვლათი.

სხვადასხვა დანიშნულებით ცხენის გამოყენებასთან დაკავშირებით საჭიროა გავეცნოთ ცხენის მოვლა-პატრონობის წესს, კვების რეჟიმს. მოხევეების დაკვირვებით, საძოვარზე გაშვებულ ცხენს განსაკუთრებით ჰყვარებია ხვირიანი (უფოთლო) ბალახი — ქუჩი და თავსვილაი. ეს გამოჩნდა თუნდაც ერთი სოფლის — ფანშეტის მაგალითზე. როგორც იქაურებმა მითხრეს, მათ მთებში ერბო-კვერცხივით ბალახია, მაგრამ ცხენი გამორჩევით ეტანება საძოვრების — შავი კლდისა და დიდუბის ხვირიან ბალახს. თუ ბალახის შერჩევა თვით ცხენის გემოვნებაზე იყო დამოკიდებული, დამატებით საკვებს თვით ხალხი ახარისხებდა. მათი დაკვირვებით, მარცვლეულიდან ყველაზე მსუბუქი, შემრგე და ადვილად მოსანელებელია შვრია. უფრო ყუვათიანია ქერი და უპირატესად სიმინდი, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ქერისა და სიმინდის ჭარბად ჭმევა ცხენს აზნევდა (სწყენდა). ცხენის ჯანმრთელობისათვის გულმოდგინედ ასუფთავებდ-

ნენ ქერს წვრილი კენჭებისაგან. მკაცრად იყო დაცული გახურებული ცხენისათვის საკვების მიცემისა და წყლის სმის რეჟიმი. მოხევეებმა იცოდნენ, რომ გახურებული ცხენი დაიხუთებოდა ქერის ჭმევით. გახურებულ ცხენს არც წყალზე მიუშვებდნენ, რომ არ გაციებულიყო ან ჭაკი ცხენი არ გაბერწებულიყო. ამიტომ გახურებულ ცხენს ოფლის შეშრობით ჯერ გაატარ-გამოატარებდნენ, ხოლო შემდეგ საკვებითა და წყლით დააკმაყოფილებდნენ.

ცხენის მოვლის აუცილებელ პირობად ითვლებოდა ყოველ დილით მისი დავარცხნა საურმელით (რკინისკბილებიანი სავარცხელით) და ზაფხულობით კვირაში ერთხელ გაბანვა, მაგრამ იმის შიშით, რომ ცხენი არ გაციებულიყო და არ დახუთულიყო, ცივ წყალში მას არ შეაგდებდნენ. ასეთ შემთხვევაში მას სასუნთქი ორგანოებიც დაუზიანდებოდა — ე.წ. ქოთაო შეეყრებოდა. ხალხის რწმენით, ქოთაოთი დაავადებულ ცხენს ბალახი არჩენდა. დამხმარე საშუალებად მიჩნეული იყო აგრეთვე მაღლობზე აყვანა-ჩამოყვანა, რის შედეგადაც ცხენს პირიდან თეთრი ქაფი გადმოედინებოდა და განიკურნებოდა. ასევე სასარგებლოდ ითვლებოდა 1 ლიტრა კიტრის წნილის წვენის ჩაყლაპება.

იმის გამო, რომ ცხენს დიდი ძალა ფეხებზე ადგებოდა, მოხევეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოხრილი დანით ქაჩებზე ზედმეტი წამონაზარდების აჭრას და ნალებით დაჭედვას. ძველად ქართული ნალი გამოიყენებოდა, მაგრამ შემდეგ უპირატესობა მიენიჭა რუსულ წვეტკაპიან ნალს, რაც უზრუნველყოფდა მოყინულ გზაზე უსაფრთხო სიარულს.

ცხენით სარგებლობაში გათვალისწინებული იყო მისი ასაკი. ცხენის სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაბამისად (25 წელი) კვიცობის პერიოდად ითვლებოდა 2-3 წელი. 5-6 წლისა უკვე დამდგარ ცხენად იწოდებოდა და მისი გახედნვაც ამ დროიდან ხდებოდა. ცხენს ურემში ამუშავებდნენ 15 წლამდე, იშვიათად 20 წლამდეც, მაგრამ ამას სასურველად არ მიიჩნევდნენ იმ მოტივით, რომ 15 წლის ზევით ის მძიმდება. ასევე მძიმდება საუნაგირე ცხენი 12 წლიდან, ხოლო ვარგისად ითვლებოდა 8-9 წლის ასაკში.

განსაზღვრული იყო ცხენის ღირებულებაც. მოხევეების ცნობით, ჯაგლაგი (უვარგისი) ცხენი შეფასებული იყო 4-5 ცხვრად, კარგი საურმე ცხენის ფასი იყო 20-25 ცხვარი, ხოლო საუნაგირე (სადოღე) ცხენი ღირდა 25-35 ცხვარი.

მოხევეები ცხენებს განასხვავებდნენ ჯიშის მიხედვით, რაც რამდენადმე იყო დამოკიდებული ულაყის შერჩევაზე. ხევში განსაკუთრებით ფასობდა ცხენის ორი ჯიში — ჩერქეზული და კირკიზული. ჩერქეზულისათვის დამახასიათებელი ნიშნებია გრძელი ყურები, გრძელი კისერი და თავ-შუბლი, შედარებით თხელი ფაფარი. ტანით ის უფრო დიდია კირკიზულზე. კირკიზული უფრო ფაფრიანია, აქვს მოკლე ყურები, თავ-შუბლიც მოკლე და განიერი აქვს. ჩერქეზული ცხენი კარგად მჭამელი და სწრაფად მავალი იყო, რისთვისაც ის უმთავრესად საუნაგირედ და სადოღედ გამოიყენებოდა. ღონით კირკიზული მეტობდა და უმთავრესად საურმედ გამოიყენებოდა. ჩერქეზულთან შედარებით ის ცოტას ჭამდა, რისთვისაც მისი შენახვა ნაკლებ ხარჯს საჭიროებდა.

როგორც საურმე, ისე საუნაგირე ცხენის საუკეთესო ნიშნებად ითვლებოდა ღონე და ამტანობა. საამისო მახასიათებლებია მსხვილბეჭიანობა, ფართო მკერდი, პატარა თავი, წვრილი ყურები და გამოწურული მუცელი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სადოღე ცხენის შერჩევას, რაც სხ-

ვადასხვა ნიშნით ხდებოდა. პირველ ასეთ ნიშნად ითვლებოდა სულისსაქცევი შუშუტები (სასუნთქი ორგანო). იშვიათად გამოდიოდა და ძვირადაც ფასობდა ცხენი ორი სულისსაქცევით. როგორც მოხევეები ამბობენ, ასეთი თვისების ცხენს ვერ გაუგებ საიდან სუნთქავს, როგორადაც დიდი მანძილი გაირბინოს, არ ფეთქავს და არ ქშენს. მეორე ნიშანია ორ ყურს შუადან გამომდინარე კისრის ბრტყელი ძარღვი. მესამე ნიშნად სახელდებულია წვრილი ფერდი. მეოთხე ნიშნის მიხედვით ცხენს თუ კოჭების სადრეკი რაც უფრო მოკლე ჰქონდა, ის მით უფრო კარგი გამქცევი იყო. მეხუთე ნიშანი იყო კისერზე გამოსახული ორი-სამი შავი ხალი. მეექვსე ნიშნის მიხედვით, როგორც საურმე, ისე სადოღე ცხენის ფასს ამაღლებდა ქუცუცაში რქასავით თუ მამლის კლანჭივით გამონაზარდი.

მეცხენეობის გასაცნობად საჭიროდ მივიჩნიე გუთანში და ფარცხში ან ურემში შებმული ცხენის მოწყობილობის აღწერა, რისთვისაც დამახასიათებელია ქართულთან ერთად რუსული სახელწოდებების გამოყენება. ორთვლიანი ურმის დეტალები იყო: ბორბლები, რასაც ხევში ურმები ეწოდება, ღერძი, ურმის ხარიხები, ჭალები, მარგვები, ცხენის შესაბმელი ჯელები, ჯელებზე მიმაგრებული დათვები, ქუცუცები, ობიდები (ხის თვალზე შემოკრული რკინის თალები, ე.წ. შინები), ცხენის ძუისაგან დაწნული საბლები. თვით ურემში შებმული ცხენის მორთულობაში შედიოდა: ხამუთი, სედოლკაი, წელთასაკრავი, ხამუთის საკლები, ხამუთის კლეშები, კლეშების შესაკრავი ღვედი, ხამუთის არტები, სედოლკაზე მიმაგრებული საბუე, ძირგამოსაკრავი ღვედი და ვოუები.

გუთანში და ფარცხში ცხენის შესაბმელად გამოიყენებოდა ხამუთი, გუთანზე ან ფარცხზე გამობმული ვალოკი, ვალოკზე გამობმული პასტრონკები, შლეები იმისათვის, რომ ვოუების გამოძრობის შემთხვევაში ცხენმა ვოუებში ფეხი არ ჩადგას.

მხედრის მატარებელი ცხენის აკაზმულობაში შედიოდა: უნაგირი, უნაგირის მოსართავები — ერთიმეორის პარალელურად მუცელზე ამოსაკრავი სამი ღვედი, უნაგირის კეხზე ღვედებით ჩამაგრებული უზანგები, კეხის ორივე მხარეზე მიკრული ტყავის ფარები. ფარები ფარავენ აბზინდებსაც, რომლებიც მოსართავებსაც იმაგრებენ. ფარებს შუაა ოთხად გაკერილი უნაგირის ბალიში, ხოლო ნაკერებს შორის მოქცეულ ნაწილებს ეწოდება ბალიშის კანჭები.

უნაგირის კომპლექსში შედის სამკერდულიც, რაც კეხზე ორი ღვედითაა მიმაგრებული. გვერდზე ამოდებული ორი ღვედი ერთდება რკინის სამკერდულთან, რაც ცხენს მკერდზე ბრტყლად ეკვრის. აქედანვეა გამობმული მესამე ღვედი, რაც მკერდიდან ცხენის წინა ფეხების შუაა გატარებული და მიმაგრებულია მუცელზე ამოკრულ წინა მოსართავზე. საძუე ორი ღვედითაა გამობმული კეხზე. ორივე ღვედი ერთად იყრება ცხენის გავაზე, შემდეგ ისევ ორად იტოტება და ამოკრულია კუდის ძირში, რათა უნაგირი წინ არ გამოცურდეს. ღილებს, რომლებითაც მორთულია სამკერდული, საძუე და აღვირი, ეწოდება მენტლები ანუ ნაბორები. აღვირი მორთულია მენტლებით (ღილებით). ავშარა ცხენს თავ-შუბლზე უკეთდება დასაბმელად. როგორც მოხევეები ამბობენ, უსეეტლო (ჭირვეულ) ცხენს ავშარა მუდმივად ზედა აქვს, რათა საჭიროებისამებრ საძოვარზე ადვილად დაიჭირონ. მოხევეებმა ისიც აღნიშნეს, რომ უნაგირები ადგილობრივადაც მზადდებოდა და ვლადიკავკაზში ან თბილისშიც ყიდულობდნენ. მოხევე მეუნაგირეები საუნაგირე ტყავსაც ადგილზე ამუშავებდნენ და მათი

მორთვა-მოჭროლვაც იცოდნენ. ისინი მხოლოდ ღილებს (მენტლებს) ყიდულობდნენ თბილისში ან ვლადიკავკაზში. უნაგირი ძვირად ფასობდა, კარგი უნაგირი 2-3 ძროხა ღირდა.

საპალნე ცხენს მხოლოდ კეხს ადგამდნენ, რაც ცხენის ზურგზე იმავე წესით და ხერხით მაგრდებოდა, როგორც უნაგირი.

იმისათვის, რომ ცხენს პატრონისათვის ნამდვილი ცხენობა გაეწია, ამის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა შესაბამისი ასაკიდან ცხენის გახედნვა. ცხენის წვრთნაში მონაწილეობდნენ ცხენოსნობაში განაფული ახალგაზრდა მხედრები.

4-5 წლის ცხენის მოთვინიერების აუცილებელ პირობას შეადგენდა 2-3 დღით მისი დამშევა და ტვირთისათვის ზურგის შეჩვევა. მოქანცვის მიზნით ცხენს შიშველ ზურგზე მიწით სავსე ხურჯინს კიდებდნენ. სამი დღის შემდეგ ამ ტვირთს მოხსნიდნენ. ტვირთისაგან განთავისუფლებულ ცხენს მეორე დღეს მხედარი ზურგზე ხელს გადაუსვამდა და შიშველ ცხენზე გადაჯდებოდა. ცხვირის დაჟეჟვით რომ ის ადვილად მოეჩორიჩებინათ (დაემორჩილებინათ), ცხენს მავთულის აღვირს უკეთებდნენ.

მხედრების ცნობით, განსაკუთრებული სიფრთხილე იყო საჭირო ერთი წლის განმავლობაში. წვრთნის პერიოდში მიუღებელი ყოფილა მათრახის ხმარება, რომ ცხენს ცუდი ზნე (კუდის ქნევა, წიხლი, ფრთხოლა) არ დასჩემებოდა. გაწვრთნილ ცხენზე მჯდომ მხედარსაც მოეთხოვებოდა ცხენისადმი ფრთხილი მოქმედება. მხედარს ყოველთვის შთააგონებდნენ, რომ ცხენს აფრთხობდა ფეხებში მათრახის მორტყმა. განსაკუთრებით საშიში ყოფილა სათესლე ჯირკვლებზე მათრახის მორტყმა. მხედრების განმარტებით, დაჟეჟილობა იწვევდა სიმსივნეს, ე.წ. იამანის გაჩენას. სიმსივნე გულსაც უწევდა და სისხლის ჩაქცევის შედეგად ცხენი ორ დღეში კვდებოდა. ცხენის გასამხნევებლად საკმარისად ითვლებოდა უნაგირის შუა მოსართავზე მათრახის ფარჩუმის გადარტყმა, რაც არავითარ ზიანს არ გამოიწვევდა და ცხენს მხოლოდ ტყლაშუნის ხმით აშინებდა.

პირველ ხანებში გასაწვრთნელ ცხენს წინ ორი კაცი უძღვებოდა, ხოლო მესამე შეჯდებოდა. ორი წინმძღოლის მოვალეობას შეადგენდა ცხენის დაოკება, რომ მხედარი არ გაეტაცნა. წვრთნის დასაწყისში ცხენის გაქცევა იკრძალებოდა. ცხენს როდესაც კარგად მოღლიდნენ და ზურგით ტვირთის ზიდვას შეაჩვევდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ იყო ნებადართული გაქცევა. საამისოდ კი უნაგირის დადგმაც შესაძლებლად ითვლებოდა.

შედარებით ადვილი მოსათვინიერებელი იყო სახლში გაზრდილი კვიცი, განსხვავებით ჯოგში გაშვებული კვიცისაგან, რომელსაც ინჩვლით (თოკის ან ღვედის არყანი) თუ დაიჭერდნენ.

ურემში შესაბმელ ცხენსაც საუნაგირე ცხენის წვრთნის პერიოდი უნდა გაევლო ტვირთისათვის ზურგის შეჩვევის მიზნით. 4-5 წლის ცხენს ურემში რომ შეაბამდნენ, 10-15 ფუთი სიმძიმის ტვირთს დაუდებდნენ. ერთი წლის განმავლობაში ფრთხილობდნენ და მას 20 ფუთზე მეტს არ აზიდვინებდნენ, რათა თანდათან ზომიერად გამოჰქნოდა მხარი, წელი და მკერდი. მთის ცხენი საშუალოდ 30 ფუთს ზიდავდა, ზოგი კი 40-45 ფუთსაც, მაგრამ ასეთი სიმძიმის ტარება ცხენს აფუჭებდა.

როგორც ტრადიციულად, ისე თანამედროვე ცხოვრებაში მოხევეები დიდი

გულმოდგინებით ეკიდებოდნენ დოღის სხვადასხვა დანიშნულებით გამართვას. დოღი არა მარტო სპორტული ცხენოსნობა იყო, არამედ სადღეობო და სამგლოვიარო რიტუალის შემადგენელი ნაწილიც. დოღის მოწყობით არა მარტო მხედარი იხვეჭდა სახელს, არამედ ის ოჯახიც, რომელიც დოღს ან სახატო დღესასწაულზე აწყობდა, ან მიცვალებულის სახელზე მართავდა.

რაკი გამარჯვების სურვილი ყოველ მხედარს ამოქმედებდა, ის პირველ ყოვლისა ცხენის სადოღედ მომზადების თადარიგს იჭერდა. როგორც წესი, ცხენის სადოღედ მომზადება იწყებოდა დოღის გამართვამდე 10-14 დღით ადრე. მზადება ნიშნავდა ცხენის დაწურვას, რეჟიმში ჩაყენებას. ამ ხნის განმავლობაში მხედარს ცხენი გადაყავდა საგანგებო კვებაზე. არ გაუშვებდნენ ბალახზე, აჭმევდნენ მხოლოდ თივას და ქერს. უკეთესად ითვლებოდა ოდნავ დახალული ქერი. მაგრად დახალულს სუნი აქვს და ცხენი არ ჭამს. სუნი რომ არ შეიგრძნო, მსუბუქად დახალულ ქერსა და შვრიასაც ერთმანეთში ურევენ. ზოგი ქერის ნაცვლად შვრიას აჭმევდა, მაგრამ ქერი უფრო ყუვათიანია. დახალული ქერის შერევა იმიტომაც ყოფილა სასარგებლო, რომ ცხენი მისი მიღების შემდეგ ცოტა წყალს სვამდა. მსუბუქად ნაკვები ცხენი უფრო ნაყრმსუბუქად და ღონივრად გრძნობდა თავს. უსარგებლოდ იყო მიჩნეული ბევრის ჭმევა, ვინაიდან წყალიც ჭარბად უნდებოდა.

სადოღედ დაწურვისათვის საკვების შერჩევასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცხენის ბანვას. საამისოდ განსაკუთრებით სასარგებლოდ ითვლებოდა ვეძა. ამიტომ ყანობლები დღეში ორჯერ, დილით და საღამოთი, ცხენებს კობის ვეძაში აბანავებდნენ. ამ მანძილის იორღით გავლაც სადოღედ მზადების ვარჯიში იყო. ასევე იყენებდნენ ფანშეტის ვეძას მის ახლოს მცხოვრებნი.

მოხევეებმა ყოველივე ეს იმის დასამტკიცებლად მითხრეს, რომ დაუწურავი ცხენი დოღში წინ ვერ წავიდოდა, უფრო მეტიც, სირბილის პროცესში მას გახეთქვაც ემუქრებოდა.

ხევში გათვალისწინებული იყო სადოღე მანძილიც. საამისოდ ივარაუდებოდა 10-15 კმ. აქედან ნახევარი მანძილი ძუნძულით სიარულს გულისხმობდა, ხოლო დარჩენილ მანძილზე ჭენება იყო დაშვებული.

ვისაც სიმაღლეზე ცხენის გადახტომა ჰქონდა განზრახული, მას ცხენი უნდა ეჭენებინა 4-5 კილომეტრზე და მხოლოდ მისი გახურების შემდეგ იყო მიზანშეწონილი სიმაღლეზე ცხენის გადახტომა.

ცხენის მოვლა-პატრონობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მის ჯანმრთელობას. ძველად სწამდათ, რომ კარგ ცხენს შეიძლება ავი თვალი მოხვედროდა. თუ ცხენი ავად გახდებოდა, გრილი ოფლი შესქდებოდა, ცრემლი მოედინებოდა და ააკანკალებდა, დაასკვნიდნენ, რომ მას ავი თვალი ეცა. განკურნების მიზნით მას შეულოცავდა კაცი ან დედაკაცი. ყელზე შეაბამდნენ ქარვის მძივებს და დათვის ბრჭყალს, შუბლზე შეატეხდნენ უმ კვერცხს.

ცხენით ჯირითის ერთ-ერთ სახეობას ერქვა კარაჩხაის გათამაშება. ტკბილეულით მორთულ კარაჩხას (ნაძვის ხის მსგავს ხის ნაკეთობას) რომ ქალის მაყრები ეზოში გამოიტანდნენ და ნეფე-დედოფლის წინ დადგამდნენ, კარაჩხას მომტანს ისინი ხანჯალმომარჯვებით იცავდნენ. როდესაც მისი მოტაცება-გაძარცვის მომენტი დადგებოდა, ვაჟის მაყრებიც კარაჩხას გათამაშებაში მონაწილეობისათვის მოემზადებოდნენ. კარაჩხას ვინც მოიტაცებდა, მას ჯი-

რითით მიყვებოდნენ დანარჩენი მხედრებიც. ვინც მომტაცებელს წამოეწეოდა, კარაჩხაც მის ხელში გადავიდოდა. ცხენების გაჭენებამდე დაინიშნებოდა სარბენი მანძილი და დათქვამდნენ, ცხენოსნებს რამდენჯერ უნდა დაეფარათ ეს მანძილი. თუ შეთანხმების თანახმად მანძილის დაფარვა ოთხჯერ უნდა მომხდარიყო, მეოთხე გაზომვაზე ვინც პირველი მოვიდოდა, კარაჩხაც მის ხელში გადავიდოდა. კარაჩხას გაძარცვავდნენ, ნაწილს თვით მაყრები შეჭამდნენ, ნაწილს ქალებს მიართმევდნენ, ხოლო ჯირითში გატეხილ კარაჩხას გადააგდებდნენ. ამის შემდეგ მექორწილე ოჯახი გამარჯვებულს, სხვა მაყრებთან ერთად ცალკე სუფრას გაუშლიდა და გაუმასპინძლდებოდა ერთი ვედრო არაყით, ერთი ვედრო ღვინით, მოხარშული ქათმებით და საქორწილოდ მომზადებული პურ-მარილით.

მოხევეები ჯირითს მართავდნენ ხატობა-დღეობებშიც. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ღალანგურობა სოფელ კარკუჩის ღალანგურის წმინდა გიორგის მოზრდილ ველზე. ხატობის დროს აქ ცხენების ჭენებაც იმართებოდა. თავდაღმა რბოლაში გამოირჩეოდნენ დღეობაში მონაწილე ხევსურები. ასეთ თავგანწირულ რბოლაში მათ ვერავინ გაუმკლავდებოდა და მოხევეებიც ერიდებოდნენ ამგვარ დოღს. კარკუჩელი სერგო ყამარაულის ცნობით თავდაღმა ჭენებას ბედავდნენ მხოლოდ ძმები — ბერო და ვანო ყამარაულები. ისინი ხევსურებთან ერთად ყაის წვერიდან დაეშვებოდნენ და ღალანგურის ტბამდე ჩამოდიოდნენ.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხევში დღევანდლამდე სრულდება დოღი განსაკუთრებით ყაზბეგობაზე — მოახევეთა სახალხო დღესასწაულზე, გამარჯვებული მხედრების დაჯილდოვებით. დოღი ასევე სრულდება მიცვალებულის ხსოვნისადმი, მაგრამ მისი შესრულების წესს ქვემოთ გავეცნობით მიცვალებულის გლოვის ტრადიციასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხევში ოჯახის ძირითად ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება პირველის საგრძნობი უპირატესობით. ამასთან ერთად მოხევის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დამხმარე ხასიათის საქმიანობანი, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით დაწინაურდა მეცხვარეობა. მეცხვარეობა დიდი პრიორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა წყობილების დანგრევამდე. იმის შემდეგ კი, რაც მოხევეები მოწყდნენ ყიზლარის სარგებლობით შესაძლებლობას, მათი ეკონომიკა უკიდურესად დაქვეითდა. აღნიშნული ვითარების შედეგად თანდათანობით შემცირდა ხევის მოსახლეობა. თუ დროულდა არ გამოსწორდა მდგომარეობა, ხევს სრული გაპარტახება ემუქრება.

საადგილმამულო ურთიერთობა

მოხევეების ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საადგილ-მამულო ურთიერთობას. ძიების შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ ხევში ფუნ-ქციონირებდა როგორც ადგილ-მამულებით სარგებლობის ტრადიციული ნორმები, ისე სახელმწიფო კანონები. ფიქსირებული მასალების მიხედვით სახ-ნავ-სათიბი სავარგულები ძირითადად საოჯახო საკუთრებას შეადგენდა. ისიც გაირკვა, რომ სათიბების ერთი ნაწილი და ხატის მიწები საგვარო ან სასოფლო მფლობელობაში შედიოდა. დადგენილ იქნა საბატონოდ განკუთვნილი ადგ-ილ-მამულებით სარგებლობის წესი. გამოვლინდა ურთიერთდაპირისპირების ფაქტები და დავის ხასიათი ოჯახებს, გვარებსა და სოფლებს შორის. გარკვეუ-ლი ადგილი დაეთმო ტყით სარგებლობის წესის ჩვენებას და სავარგულების დაცვის ხალხური ტრადიციების აღწერას.

ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი საბუთების მიხედვით თვალ-ნათლივ გამოჩნდა, რომ ყიდვა-გაყიდვის ობიექტი იყო მხოლოდ საოჯახო საკუთრებაში არსებული მიწა. ამის შესაბამისად აღვნიშნავ, რომ კერძო სა-კუთრებაში არსებული სახნავ-სათიბის ყიდვა-გაყიდვის დამადასტურებელია შემორჩენილი წერილობითი საბუთები, რომელსაც ქვემოთ ვიმოწმებთ.

1869 წლის 6 ივნისს შედგენილი ხელწერილის მიხედვით (სოფელ სნოში გად-მომცა იორამ პაპიაშვილმა) ნათლად ჩანდა, რომ მამული პირველ რიგში იყიდე-ბოდა ერთი გვარის ფარგლებში. ამ ხელწერილის თანახმად გამყიდველიც პაპი-აშვილია და მყიდველიც. ხელწერილი ძალაში შედიოდა მოწმეების ხელმოწერით:

"მე ამის ქვემორე ხელის მომწერელმან სოფელს სნოს მცხოვრებელმან სია პაპაშვილმან მოგეცით ესე ხელწერილი თქვენ ხუცურას და სვიმონას პაპაშ-ვილებსავე მასზედა, რომელ მოგყიდეთ მე ჩემი კუთვნილი მამული ტყე და სათ-იბე ფხეკსა (მგლუვთა), რომელზედაც სრული და დაუკლებელი ფასი მივიღეთ თქვენგან ოცდაექუსი მანეთი თეთრი ფული, რომელისაც დავა ვერავინ ვერ შეიძლოს, რომელზედაც ხელს ვაწერ მე სია პაპაშვილი რადგანაც სიამ წერა არ იცოდა ამის თხოვნით ხელს ვაწერ მე პ. ღუდუშაური.

ამის მოწამეები ვართ ჩვენ ზაალ შიოლაშვილი და შიო გოდერძიშვილი

ამათ მაგიერ რადგანაც წერა არ იცოდეს ამათ თხოვნითა ხელს ვაწერ მე პ. ღუდუშაური."

მამულების ყიდვა-გაყიდვა რომ ერთი გვარის ან მისი დანაყოფების ფარგლებ-ში ხორციელდებოდა, ეს ჩანს 1872 წლის 5 მარტს შედგენილი საბუთებიდანაც (გადმომცა იორამ პაპიაშვილმა). ამ საბუთებში ხსენებული გვარები: პაპაშვილი (ზუსტად რომ ვიცოდეთ პაპიაშვილი) და ყარაჯაშვილი ძირად ღუდუშაურები არ-იან. განსხვავება იმაშია, რომ პაპაშვილები დღემდე ინარჩუნებენ პაპიაშვილო-ბას, ხოლო გვარის სახელწოდება ყარაჯაშვილი მომდინარეობს ღუდუშაურე-ბის გვარის იმ ნაწილიდან, რომლის სახელწოდებაა ყარაჯენი. ყარაჯენი სოფელ სნოდან სოფელ სიონში გადმოსახლდნენ და დღემდე ღუდუშაურებად იწერები-ან. რაც შეეხება მოწმეებად სახელდებულ ვარძუკაშვილს და აქიაშვილს, ისინიც ღუდუშაურის შტოგვარები არიან: ამ მოხევეებთან ერთად ფიგურირებს ხევსუ-რი ოჩიაურიც:

"მოგყიდე ჩემი ხვედრი საჩალე ჩემი ნაწილი შენ გიგოლა და ხუცურას პაპ-

აშვილებსა, მე ამის ქვემორე ხელის მომწერელმა მოსე გიორგასძემ ყარაჯაშვილმა და ჩავიბარე ფასი მის საჩალის ჩემის ნაწილისა. ჩავიბარე სრულებით, რაც რომა ღირდა ოცდახუთი მანეთი იმისა და ამ პირობითა, რომელ მოდავე არავინ არ იყოს. უკეთუ მოდავე ვინმე აღმოსჩნდეს პასუხის მგებელი მე ვიყო, რომელსაზედაცა ხელს ვაწერ და ჩემი ნამდვილი ნაწილი არის, რომელსაზედაცა გაძლევთ ამ ხელწერილს. ამისი დამსწრე და მოწამენი ვართ სოფელს სნოს მცხოვრებელნი სვიმონა ვარძუკაშვილი და ბაბუა აქიასშვილი

რადგანაცა ამ ზემოხსენებულთა პირთა წერვა არ იცოდეს, ამათის პირდაპირ თხოვნითა და ხელჩამორთმევითა ხელს ვაწერ მე ივანე ოჩიაური."

ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მეთემე ხევის ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადასახლდებოდა, მის უფლებამოსილებას შეადგენდა მამაპაპისეული ადგილის გაყიდვა. ასეთ ვითარებაშიც მყიდველად მოიაზრებოდა პირველ რიგში მისივე მოგვარე. ასეთი გარიგება გაფორმდა სნოში და სიონში მცხოვრებ ღუდუშაურებს შორის. შეძენილ მამულთან მყიდველი ისაკუთრებდა მასთან მისასვლელ გზასაც. შექმნილი ვითარების დამადასტურებელია 1880 წლის 11 ოქტომბერს შედგენილი საბუთი, რაც სნოში გადმომცა იორამ პაპიაშვილმა:

"ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელმან დუშეთის უეზდის ხევის უჩასტკის სნოს საზოგადოების სოფელს სიონს მცხოვრებელმან გიგოლ აბას ძემ ღუდუშაურმა მოგყიდეთ ჩემი საწილო საჩალე თქვენ სნოს მცხოვრებელს ხუცურა და გრიგოლა ღუდუშაურს და ფასი მივიღე თქვენგან ესე იგი ოცდახუთი მანათი ფული და მოგცესთ ღმერთმა და გიბედნიეროს თქვენ და თქვენს შვილს და მამავალს. არც ჩვენ გედეოთ და არც ჩვენი შვილი და მამავალი. არის ამისი მოწამე გლახა შიოლაშვილი და შავხალ შიოლაშვილი. დამიწერია ამ გრიგოლ ღუდუშაურის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით დამიწერია მე პრიჩეტნიკს ტიმოთე ობოლაძეს და მოწამეცა ვარ. ამის გზაც მიმიყიდნია თავისის გასავლითა ჩემი წილი მე გრიგოლს რომელიც გზა მაქ მოსეს საწილოზედ გასავალი."

ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც სასოფლო მამული სოფლისავე საჭიროებისათვის იყიდებოდა. ასეთ შემთხვევაში სოფლის მოსახლეობასთან შეთანხმებით იწერებოდა ხელწერილი სოფლის მიერ ამორჩეული კაცების მიერ. 1885 წლის თიბათვის 20-ში შედგენილ ამგვარ ხელწერილს ხელს აწერს 12 კაცი, რითაც ისინი მამულს უკანონებენ მის მყიდველს. იმის გასაცნობად კი, თუ რა სახით ფორმდებოდა ეს ხელწერილი, რამდენად გარანტირებული იყო მყიდველი და რისთვის იყო გათვალისწინებული გაყიდული სასოფლო მამულის თანხა, ხელწერილში (გადმომცა იორამ პაპიაშვილმა) აღნიშნულია:

"გაძლევთ ამ ხელწერილსა ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი სოფელს სნოს მცხოვრებელნი სოფლისაგან აღმორჩეულნი ქვემორე ხსენებულნი თორმეტი კაცი სრულით სოფლის თანხმობით. სახელი და გვარი თორმეტის კაცისა: 1. ჩაჩაურა გელაშვილი, 2. მამუკა გელაშვილი, 3. ბაჩო ფირანისშვილი, 4. შიო ჯაბანაშვილი, 5. გლახა ვარძუკასშვილი, 6. სიმონა გოდერძისშვილი, 7. ლევანა ღუდუშაური, 8. სვიმონა ჯაყისშვილი, 9. ლემანა ლომნიასშვილი, 10. კაცა შიოლაშვილი, 11. სვიმანა პაპაშვილი, 12. ჯღუნა ჯანუყოსშვილი შენ სოფელს სნოს მცხოვრებელსა ხუცურა პაპასშვილსა მას ზედა, რომელიცა მოგყიდევით ჩვენი სასოფლო მამული სახნავი მიწები ადგილობრივ აჩხოტს იქითა გედელთა

ორი ყანა და ფასიც მივიღეთ შენ ხუცურა პაპასშვილისგანა ხუთი თუმანი და ხუთი მანეთი დღეის შემდეგ უნდა დარჩეს შენსა და ძეთა შენთა ფლობელობაში. ღმერთმან მოგახმაროს და თუ ვინმე ამ ჩვენგან მოყიდულის ზემორე ხსენებულის მამულისა მოდავე გამოგიჩნდა მაშინ ჩვენ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი ხელის მომწერელნი და სრულათ სოფელი. ესე შენგან მოცემული მამულის ფასი ხუთი თუმანი და ხუთი მანეთი საეკლესიოთ დაგვჭირდა და ეკლესიისა აღსაშენებლათ და ეკლესიას გავახმარეთ, რაზედაც ხელს ვაწერთ ზემორე ხსენებულნი თორმეტი კაცი.

რადგანაცა ამათ წერვა არ იცოდნენ ამათ პირდაპირ თხოვნითა და ხელის ჩამორთმევითა ხელს ვაწერ სნოს საზოგადოებისა პისერი სვიმონ ღუდუშაური.

ვამოწმებ ხელის მოწერითა ჩემითა დასმითა სახელმწიფოს გერბისათა სნოს საზოგადოებისა

მამასახლისი დიმიტრი გოდერძიშვილი.

აზის ბეჭედი"

მამულების ყიდვა-გაყიდვაში იმდენად დიდი იყო გვარის პრიორიტეტი, რომ გამყიდველი იმაზე ნაკლებ ღირებულებას ჯერდებოდა, ვიდრე სხვა გვარის კაცი სთავაზობდა. ასე იმიტომ ხდებოდა, რომ სხვა გვარის კაცზე მამულის გაყიდვა სამარცხვინოც იყო და ტრადიციითაც იკრძალებოდა. სხვა გვარის კაცზე მამულის გაყიდვა დასაშვებად ითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის გვარიდან მამულის ყიდვის მსურველი არ აღმოჩნდებოდა. სოფ. სნოში მაცნობეს გარიგების ტრადიციული შემთხვევა. გოდერძიშვილს შიოლაშვილისთვის ყანის ფასი შეუძლევია 3 თუმნის რაოდენობით. 25 მანეთი შეუძლევია გუგუა შიოლაშვილს. შიოლაშვილმა ყანა მიჰყიდა გუგუა შიოლაშვილს.

მამულების ყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა ნაყიდი მამულების ჩანაცვლება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გარიგება ავსაჯანიშვილებსა და მაისურაძეებს შორის. ავსაჯანიშვილების ერთი ოჯახი (დათურენი) სოფელ ტყარშეტიდან სოფელ არშაში დასახლდნენ. მათ ორი დღიურის ყანა (ფაფისთოლაჲ) დაუტოვეს ტყარშეტში მცხოვრებ ვანა მაისურაძეს. სამაგიეროდ ვანამ დათურეთ უყიდა ერთი დღიურის ყანა თანამედროვე არშის ტერიტორიაზე, ხოლო ერთი დღიურის ყანა სოფელ გაიბოტენში. ამგვარი ჩანაცვლებით ავსაჯანიშვილებმა (დათურეთ) ტყარშეტში დატოვებული ორი დღიურის სანაცვლოდ მიიღეს ორი დღიურის ყანები არშაში და გაიბოტენში.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც მამულზე დავა სოფლის კაცების ჩარევით ვერ განხორციელდებოდა, მომრიგებლის როლში გამოდიოდა ხელისუფლების წარმომადგენელი — ე.წ. "ნაჩალიკი." მასთან ერთად საქმის გარჩევაში მოწმეებად მონაწილეობდნენ მოდავეთა გვარის წარმომადგენლები. მოდავეებად ფიგურირებენ ყარაჯენი (ღუდუშაურების ერთ-ერთი ნაწილი), ღუდუშაურების განაყოფი თათარენი, რაც საბუთში თათარაშვილად იხსენიება და შიოლაშვილი (ძირად ღუდუშაური). 1864 წლის 3 აგვისტოს შედგენილი განჩინება (გადმომცა იორამ პაპიაშვილმა) გვაუწყებს:

"რომელიც რომ გქონდა დავა მამულზე ყარაჯანთ და პაპანთ, ნაჩალიკის ბძანებითა გავსწორებულვართ. რაც რომ უბძანებია ნაჩალიკსა და მოუსწავლებია მამის ძმებზედა და რაც რომ უთქვამთ მამის ძმებსა ორივ მხარე ყაბულს

გავმხდარვართ. პირველი ბეგზეით საჩალე, რომელიც არის გასამნული. მეორე ყარაჯანთ რგებია მარღაჯის წილი, აგრეთვე საჭაკრია კიდევ ყოყოჩისთავის ტყე, ნახევარი ღალამაკი ყოდნის ტყე საკუთრათა. ამ ზემოხსენებულს საქმეზე მარიგებულვართ დღეიშემდეგ ჩვენ ერთმანეთთან დავა აღარა გვაქსრა ერთმანეთის სიყვარულის და ნათესაობის მეტი. ამ საქმეში იყო ნაცვალი სვიმონა ქოსელი. ნაჩალიკის ბძანებითა ეს საქმე მორიგებულა მამისძმების სიტყვითა და მოწამე არის პაპა თათარაშვილი გლახა შიოლაშვილი.

რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნით და ხელჩამორთმევით ხელს ვაწერ სნოს მღვდელი პორფირი ლომიძე."

როგორც წესი, ვალის ამღები ვალდებული იყო დათქმული დროისათვის ის პატრონისათვის დაებრუნებინა. ვადის დარღვევის შემთხვევაში მსესხებელს ევალებოდა სხვა სახის ქონების გადახდა. მორიგების შემთხვევაში ხელწერილი ფორმდებოდა თამასუქის გარანტიით. დოკუმენტი, რომელიც იორამ პაპიაშვილმა გადმომცა, ამგვარი გარიგების შესახებ გვაუწყებს:

"1891 წელსა, აპრილის 28 დღესა, გაძლევ ამა ხელწერილსა, მე, სტეფანწმინდის საზოგადოების, სოფელს აჩხოტში მცხოვრებელი აფაყო თასოსძე ბედოევი თქვენ კახელა ქუცურას ძე ღუდუშაურს, მასზედა, რომელიცა თქვენგან ავიღე ვალათ ხუთი თუმანი და ნახევარი თეთრი ფული და უნდა ჩაგაბარო ვადამდინ, ე.ი. ერთ წლამდინ. და უკეთუ გადააცილა დანიშნულ ვადას, მაშინ უნდა მოგცე სახნავი მამული, ე.ი. ყანა, ჩოფიკეთეული და თათარიანთეული ყანა. და უკეთუ ამ დანიშნულ ვადამდინ ჩააბაროს რამდვენიმე ფული, მაშინ აღარ აქვს ღუდუშაურს მიიღოს გირაოში ყანა, რომელზედაც ხელს ვაწერ და ჩემი ვალია უნდა ჩაგაბარო აყო თასოსძე ბედოევმა თქვენ კახელა ხუცურას ძეს, სნოში მცხოვრებელს, უნდა ჩაგაბარო პირველ მოთხოვნაზედ.

რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნითა და ხელჩამორთმევით ხელს ვაწერ მიხაილ ალიბეგოვი.

ვამოწმებ ამა ხელწერილსა სტეფანწმინდის საზოგადოების მამასახლისი სახელმწიფო ბეჭდის დასმით სოლომონ ფიცხელაური."

მხარეთა შორის ხელშეკრულება ფორმდებოდა მიწის დაგირავების შემთხვევაშიც. ასეთი შეთანხმების საბუთად ვიმოწმებ გარიგებას ანდრია და სოლომონ ფიცხელაურებს შორის სახელწოდებით "გირაოს ხელწერილი", რაც სოფელ სნოში გადმომცა იორამ პაპიაშვილმა. საბუთი გვაუწყებს:

"1890 წლის მაისის 16 დღესა გაძლევ ამ ხელწერილსა მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელი სოფ. სნოს მცხოვრებელი დავითა ომას ძე ჯანუყოსშვილი შენ გლახა ხუცურას ძე პაპაშვილსა მას ზედა რომელიცა მოგეცი ჩემი ნამდვილი მამული სათიბე სახელდობრ მდებარე ყარამაყა რაც ჯღუნასთან ნახევარი ნაწილი შემხვდება და ტყე ყოდანთა რაც ნაწილი მაქვს ადამეთეულში და ამ გირაოს ფული მივიღე შენგან თხუთმეტი მანეთი ფული და როდესაც ესე შენი ფული ჩაგაბარო მაშინ ჩემი ზემორე ხსენებული მამული დამიგდო. ესე არის ჩვენი სრული პირობა. ამაზედ ჩემის ყაბულით ხელს ვაწერ დავითა ომას ძე ჯანუყოშვილი. ამისა მოწამე ვარ მოსე შიოლასშვილი.

რადგანაც ამ ზემოხსენებულს პირთა წერვა არ იცოდნენ ამათის პირდაპირ მეტის თხოვნით ხელს ვაწერ ს. ღუდუშაური."

დამოწმებული საბუთის იდენტურია გარიგება მცირე ზომის ადგილით

სარგებლობის შესახებაც - "გირავნობის წერილი", რასაც 1961 წლის 16 ივლისს გავეცანი სტეფანწმინდელი რაფიელ ფიცხელაურის ოჯახში:

"1886 წელსა, მარტის 16-სა დღესა, მე ქვემორე ხელის მომწერელმა სტეფანწმინდის საზოგადოებაში ს. სტეფანწმინდას მცხოვრებელმა ანდრია ნინიას ძე ფიცხელაურმა დაუგირავე ჩემს მეზობელს და ნათესავს სოლომონ დიმიტრის ძეს ფიცხელაურს ჩემი საკუთვნო სასუქის დასაყრელი ადგილი მდებარე ჩემის სახლის წინ და სოლომონის სახლის უკან რვა თუმან თეთრ ფულად იმ პირობით რომ სოლომონ ფიცხელაურს არ შაეძლოს ამ ფულის მოთხოვნა ვიდრე მე ანდრია ფიცხელაური ხსენებულს ფულს არ მიუტან და ჩემს დაგირავებულს ალაგს არ მოვთხოვ. ვინიცობაა სოლომონ ფიცხელაურმა ფული მოითხოვა მე ანდრია ფიცხელაურს სოლომონ ფიცხელაურისგან მოცემული ფული ისე დამრჩეს და არვისგან გამომერთვას. ვინიცობაა სოლომონ ფიცხელაურთან დაგირავებული მინა ისე მოვლილ იქნა რომ დაფასდეს მეტათ მაშინ მე ანდრია ფიცხელაურმა ხსენებულს რვა თუმანს გარდა განაკეთების ფასი როგორათაც დაღირდება უნდა ჩავაბარო სოლომონ ფიცხელაურს. ვუგირავებ მხოლოდ ჩემს მხვედრსა რომელიც შემხვდა განს. იასე ფიცხელაურის ნაწილიდან."

თანხმობით ხელს ვაწერთ (ხელის მოწერა არ არის — ვ.ი.)

ხევში დავაფიქსირე ავსაჯანიშვილების მიერ ყაზბეგიანთ მამულის შეძენის ორი შემთხვევა. ერთი ფაქტის მიხედვით ავსაჯანიშვილების ერთ-ერთი ოჯახი — დათურენი სოფელ ტყარშეტიდან სოფელ არშაში გადასახლდა. დათურენი მიიზიდა ამ სოფლის სიმყუდროვემ და წყალ-წისქვილის სიახლოვემ. ყაზბეგებმა მამულის ღირებულება ცხვრებით გაინაღდეს. ყაზბეგმა ცხვარი რომ მიიღო, იხუმრა — დათურაის შვილო, ეგ ნაბადიც რომ გამოგეყვალა, კარგი იქნებოდაო. დავით ავსაჯანიშვილმა ბრჭოიანი ნაბადი რომ მიართვა, იმასაც უხუმრია — აჰა, ეს კომბალიც აიღე, თუ მოიხმარებო. დავითი სანაქებო მწყემსი ყოფილა და ყაზბეგიანთ მწყემსად აუყვანიათ და სასახლე ადგილი სამწყემსოში მიუციათ.

არშაში დასახლების შემდეგ დათურენი კვლავაც სარგებლობდნენ სოფელ ტყარშეტის საძოვრებით. იქ საწველში დადიოდნენ და ქოხიც ჰქონიათ. დათურენი არშაველებთან ერთად თოთის მთასაც ქირაობდნენ, რომლის ნაწილი ყაზბეგიანთ სჭერებიათ.

მეორე ფაქტის მიხედვით, სოფელ ტორნისის ტერიტორიაზე მამულები ჰქონიათ ყაზბეგებს და სიონელ კვირჭიშვილებს. აქ პირველი დასახლებულა გორისციხელი სოსიკა ავსაჯანიშვილი. იქიდან დღემდე ხუთი თაობა გადავიდა. სოსიკამ შეიძინა ყაზბეგებისა და კვირჭიშვილების კუთვნილი მამულები, რის შედეგადაც შემოგვრჩა ტოპონიმები — ყაზბეგიანთეული და კვირჭიეთეული.

აღნიშნული გარიგების დამადასტურებელი ხელწერილი არ არსებობს. მხარეები მორიგდნენ ხელწერილის გარეშე. ანალოგიური ვითარება დადასტურდა სოფელ ხურთისშიც. ხურთისში დასახლებულმა ბადაშვილებმა კობიაშვილების ადგილი — ალბაინიში იყიდეს სხვა ადგილებთან ერთად. ხურთისელები ბადაშვილებს ედავებოდნენ განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მთა "ივაის ციხეში" მადანი აღმოჩნდა. მადანს ამუშავებდა გერმანელი ინჟინერი დომბე. ხურთისელები ამ ადგილის მოწილედ ბადაშვილებს არ ცნობდნენ. 1914 წელს რუსეთ-გერმანიის ომი რომ დაიწყო, დომბე გერმანიაში დაბრუნდა. წასვლისას-

მას ხურთისელებისათვის 6 თუმანი უჩუქებია სამხდოს გასამართავად.

მამულები გაღმებში ასე იყო დანაწილებული: ალბაინიში, როგორც ნაყიდი, ბადაშვილების საკუთრება გახდა. ამ ადგილის ნაწილი ჩოჩოშვილებსაც ეკუთვნოდა. ტუჩაშვილებისა იყო დიდმინდორი. წიკლაურებსა და გოგიშვილებს ჰკუთვნებია სამხედრო გზისთავი. აქვე ჰქონიათ წილი ქემაშვილებს. ჩქარეულებისა იყო გვერდოი (სახილე). ბადაშვილების მიერ ნაყიდი ალბაინიშის გარდა, ყველა სხვა ადგილი სახელმწიფოდ ითვლებოდა, რაშიაც სოფელი ყალანს იხდიდა. ამიტომ მას საყალნო ეწოდა.

საოჯახო საკუთრებაში კუთვნილი მამული მითვისებას არ ექვემდებარებოდა. მცირედი ზომის ადგილის შეცდომით დასაკუთრების ან განზრახ მითვისების მცდელობაც კი ხევში მიუღებელი იყო. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მეზობლებს შორის დავა მათი ნებით არ შეწყდებოდა, საქმეში ერეოდნენ სოფლის მსაჯულები. ნათქვამის დამადასტურებელია მსაჯულთა მიერ მიღებული ერთ-ერთი განაჩენი, რაც 1961 წლის 28 ივლისს გადმომცა რაფიელ ფიცხელაურმა:

"№19 1902 წელსა ღვინობის თვეს 15-სა დღესა შემოიტანა საჩივარი ქვემო ხევის საზოგადოების სასამართლოში სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრებმა სოლომონ ფიცხელაურმა და განაცხადა, რომ მეზობელი ქოთიაი თოლიკაშვილი თავის საჩალის კედელს ჩემის მამულისკენ ეწევაო. ჩვენ ქვემო ხევის მოსამართლენი ადგილობრივ მივედით და აღმოჩნდა რომ მართლა ეწეოდა ქოთიაი თოლიკაშვილი თავის საჩალის კედელს სოლომონ ფიცხელაურის მამულისკენ. ჩვენ ქვემო ხევის მოსამართლეთ თავად... შემდეგი ასე: არ შეუძლია ქოთიას და არც მის ჩამომავლობას, რომ სოლომონ ფიცხელაურის მამულისკენ გადასწიოს კედელს. ქოთიაიმ კედელი ისევ ძველის კედლის ნადგომზედ დადგას და არა დროს არ შეუძლიან ძველი ნაკედლარიდგან დაძვრა. უკეთუ წინააღმდეგობა გასწივა ქოთიამ, იმ შემთხვევაში ქოთია ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა ათი მანეთი და კედელი უნდა დადგას ისევ ნაკედლარზე.

მსაჯულნი: ივანე მარსაგოვი, გაბრიელ ალიბეგოვი და გრიგოლ ავსაჯანოვი
აზის სამი ბეჭედი."

ამგვარ გამონაკლისებს სოფლის კაცები არეგულირებდნენ: უმთავრეს შემთხვევაში კი საადგილმამულო ურთიერთობა ტრადიციით წესრიგდებოდა. ეს კარგად ჩანს როგორც საოჯახო საკუთრებაში არსებული მამულების ხელშეუხებლობის მონაცემებიდან, ისე სასოფლო და საგვარო ადგილებით სარგებლობის პრაქტიკიდან.

საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ სოფელ ახალციხეში ფიქსირებული ვითარება. ადგილზე გამოკითხვით გამოჩნდა, რომ კერძო საკუთრებაში იყო მხოლოდ სოფლის ახლოს მდებარე საბლით მიზომილი სახნავი ადგილები (საქერეები), რომელთა ყიდვა-გაყიდვა არ იკრძალებოდა. მთის ფერდობებზე განლაგებული სასვილეები კი სასოფლოდ ითვლებოდა. სასოფლო მიწები სამ წელიწადში ერთხელ კომლობრივ ნაწილდებოდა. რაკი განაწილება წილისყრით ხდებოდა, ოჯახებს სხვადასხვა ადგილის მოხვნა უწევდათ. კომლთა რიცხვი რომ მოიმატებდა, ყოველი ახალი ოჯახიც მიწების გადანაწილების პროცესში წილდებულად ჩაითვლებოდა. სასოფლო მიწის გაყიდვა ან გაქირავება აკრძალული იყო.

ახალციხის ყველაზე უფრო ძველ გვარად ითვლებიან ფადიაურები, რომლებსაც ცალკე ჰქონიათ სახნავ-სათიბი, საძოვარი და ტყე (ვერხოვანი). ფადიაურების ყანა-სათიბს ერქვა ნარიანი. საძოვარი ჰქონიათ ღალანგურის წმინდა გიორგის ნიშის ახლოს. მათ ადგილ-მამულს ქირაობდნენ ყამარაულები, უმეტესად კი მარსაგიშვილები იმ სიახლოვის გამო, რომ მარსაგიშვილების ქალი ფადიაურების რძალი ყოფილა. კარკუჩელ მეცხვარეებზე აქირავებდნენ საძოვრებსაც (გრხოანი, სისხლივაკე): სოფლის ნახირში საქონლის გარევა ფადიაურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ სოფლის ნახირს თავიანთ საძოვარშიც გაუშვებდნენ. ამ ადგილით სარგებლობის ვადა განისაზღვრებოდა ფადიაურების საქონლის რაოდენობის შესაბამისად. ამგვარი შეთანხმების გარეშე ფადიაურების საქონელს სოფლის ნახირში არ გაირევდნენ.

ახალციხის დანარჩენი ადგილები იყო სათიბი მთა ყარამაყაჲ და საძოვარი მთა ჩაქარა (იკვებებოდა 600-700 სული ცხვარი). ამ მთებით სარგებლობდნენ ბუჩუკურები, რომელთა დანაყოფებია ქერაშვილები, ბუნელიშვილები და ხაფანაშვილები. ბუჩუკურების ერთ ძმაზე მოდიან ქერაშვილები, ხოლო მეორე ძმაზე ბუნელიშვილები და ხაფანაშვილები. ამის შესაბამისად ქერაშვილები ითვლებოდნენ ერთ მოწილედ, ხოლო მეორე მოწილედ ბუნელიშვილები და ხაფანაშვილები ერთად. ე.ი. ქერაშვილები იყვნენ ბუნელიშვილ-ხაფანაშვილების მონახევრენი, ხოლო თავის მხრივ ხაფანაშვილები იყვნენ ბუნელიშვილების მონახევრენი. ამის გათვალისწინებით, ყარამაყას ნახევარი ეკუთვნოდათ ქერაშვილებს, ხოლო მისი მეორე ნახევარი ბუნელიშვილ-ხაფანაშვილებს. ამ მეორე ნახევარს თავის მხრივ ბუნელიშვილები და ხაფანაშვილები შუაზე იყოფდნენ, ხოლო ბუნელიშვილები თავის წილს სამად ყოფდნენ ძველი მამების (მოწილეების) მიხედვით. ხაფანაშვილი მხოლოდ ერთი კომლი იყო და მათ სხვა მოწილე არ ჰყოლიათ.

ამგვარი ვითარება იმის მაჩვენებელია, რომ ადგილის დანაწილება ძველი მამების (ძველი მოწილეების) მიხედვით ხდებოდა, ხოლო თითოეული დანაყოფი მამულს კომლობრივ ანაწილებდა. გადანაწილება ხდებოდა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. სამი წლის განმავლობაში რომ ახალი კომლი წარმოქმნილიყო, ის მხოლოდ ახალი დანაწილების მონაწილე გახდებოდა. თუ კომლი გადაშენდებოდა და მისი კუთვნილი წილი უპატრონოდ დარჩებოდა, მისი მოხმარება შეეძლო ნებისმიერ თანასოფლელს იმ პირობით, თუ ის უმემკვიდრეოდ გარდაცვლილ კაცს ერთწლიანი გლოვის წესს შეუსრულებდა.

თუ ვინმე ყამირს გატეხდა ან სათიბს ქვისაგან გაწმენდდა, 10 წლით მისი გამოყენება შეეძლო. 10 წლის შემდეგ კი სახნავ-სათიბი კვლავ სოფელს უბრუნდებოდა და სამწლიან გადანაწილებაში ექცეოდა.

გვარების მიხედვით განისაზღვრებოდა საძოვარი მთის ჩაქარას გამოყენებაც. ის ქირავდებოდა 10 თუმნად. აქედან საბალახეში აღებული 5 თუმანი ქერაშვილებისა იყო, ხოლო 5 თუმანი ბუნელიშვილ-ხაფანაშვილებისა. ესენი შემდეგ ამ ფულს ძველი მამების (მოწილეების) მიხედვით იყოფდნენ. ქერაშვილების, ბუნელიშვილების ან ხაფანაშვილების გვართაგან რომ ერთი მათგანი ცხვრის პატრონი ყოფილიყო და ამ საძოვრებში თავისი ცხვარი გაეშვათ, ისიც ვალდებული იყო დადგენილი საბალახე ფასი — 10 თუმანი გადაეხადა. მაგრამ როდესაც ეს ფული ზემოაღნიშნული პრინციპით ჯერ მოწილე გვარებზე გა-

ნაწილდებოდა და შემდეგ კი გვარის შიგნით მოწილე ძველ მამებზე, საბალახის წილს არგუნებდნენ მთის დამქირავებელ მეცხვარესაც კი, ე.ი. საბალახეში გაღებული ფულის ნაწილი მას უკანვე უბრუნდებოდა, როგორც ამ საძოვარზე მოწილის უფლების მქონე პირს.

ყორის პატრონად ითვლებოდნენ ქერაშვილები, ბუნელიშვილები, ხაფანაშვილები და მიგუდიდან მოგვიანებით ჩამოსახლებული ჩაბაიძეები. მათ კუთვნილებას შეადგენდა ყორის ტყეც. გალებად დაჭრილ შეშას და ფიჩხს ერთობლივი შრომით ამზადებდნენ და კომლობრივ ინაწილებდნენ ისე, რომ ქვრივ-ობლებსაც თანაბრად უნილადებდნენ.

საადგილმამულო ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ანდერძს. ეს ჩანს შემდეგი ფაქტიდან. ახალციხიდან სხვაგან გადასახლებულა რომელიღაც ბუნელიშვილი. წასვლის წინ მას ეკლესიასთან ქუდი მოუხდია და ხალხისთვის უთქვამს: მე არც ადგილ-მამული გამიყიდია და არც წისქვილი. დიდი ხნის შემდეგ, რომ აქ ჩემი რომელიმე შთამომავალი მობრუნდეს, იმას წილი ისევ მიეცითო. სოფელმა პირობა მისცა, რომ მისი სამემკვიდრეო უფლება დაცული იქნებოდა. იმისი წილი მამული არ გაყიდეს და ბებრები მას ყოველთვის შენდობით იხსენიებდნენ.

ზოგიერთ შემთხვევაში დგებოდა უპატრონოდ დარჩენილი ბეითალმანი მამულის კუთვნილების საკითხიც. მოხეური ტრადიციით ბეითალმანის დასაკუთრების უფლებით სარგებლობდნენ ამოწყვეტილი ოჯახის განაყრები, მაგრამ დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც მიწის დაჩემების უფლებით სარგებლობდა რომელიმე გავლენიანი პიროვნება ფეოდალთა წრიდან. ნათქვამის დამადასტურებელია შემდეგი დოკუმენტი: "ქ. არაგვისა მოურავი ქაიხოსრო გიბძანებ იასე ჩქარეულო, ხევისა ნაცვალო, მერმე მანდა ზურაბაშვილისა ბეითალმანი მამული ჩვენთანვე მოგვიხმარებია და მახნავდე ჩვენთვინა" (საბუთი ინახება ყაზბეგის მუზეუმში).

სოფელ კარკუჩაში ჩაწერილი მასალების მიხედვით, საადგილმამულო ურთიერთობა რეგულირდებოდა სოფლის ორ გვარს შორის. ძირძველი გვარია ყამარაული, რომლის ადრინდელი სამოსახლო იყო ყანანაზი. მარსაგიშვილების წინაპარი გადმოსახლებულა ჯარიახის ხეობიდან იმ დროს, როდესაც აქაური ქისტები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ. ქისტეთიდან მათ მოუტანიათ ხის ჯვრიანი ბეჭედი, რითაც ყველიერში, დიდ ხუთშაბათს ხაბიზგინებს აჭრელებდნენ. მას მხოლოდ ისინი ჭამდნენ ისე, რომ არც სხვა გვარის კაცს გაირევდნენ და არც დისწულს. შესრულებულ რიტუალს ერქვა ბოჯლოგინობა.

კარკუჩაში არსებობდა მამულების ფლობის ორი სახეობა — მამის მამული (მამაპაპეული) და კომის წილი. მამის მამული ითვლებოდა გვარისა და მასში შემავალი ოჯახების საკუთრებად. ერთი ოჯახიდან გაყრილი ორი ძმიდან ერთს რომ ერთი მემკვიდრე ჰყოლოდა, ხოლო მეორე ძმას ხუთი, მამული მაინც თანაბრად გაიყოფოდა — რაც ერთ მოწილეს ერგებოდა საკუთრად, იმდენივე მიეკუთვნებოდა მეორე მოწილეს ხუთი ძმის შემადგენლობით. გაყოფის ასეთი წესი ვრცელდებოდა სახნავ-სათიბებზე. ეს ჩანს თუნდაც ყამარაულების ერთი ნაწილის ბეკურეთ მაგალითზე. ბეკურეთ ვანე მონახევრე იყო ბიძაშვილებისა — ექვსი ძმისა (გირგოლი, ლევანი, გაგაჲ, ციცილაჲ, კობაჲ, ბაწაჲ). რაც ვანეს ყაის წილი ეკუთვნოდა, იმდენსავე ფლობდა მისი ექვსი ბიძაშვილი ერთად.

ყამარაულების მამის მამული იყო ყაი — ე.წ. საკარე, კიბე და ყანანაზი. მილოს სათიბი ნაწილი ითვლებოდა როგორც ყამარაულების, ისე მარსაგიშვილების საკუთრებად და მას სასოფლო ერქვა. მარსაგიშვილებმა მოწილის უფლება მოიპოვეს ყამარაულებისაგან ადგილის შესყიდვის საფუძველზე. ეს სასოფლო სათიბი განსხვავდებოდა იმ სასოფლო მიწებისაგან, რომლებიც კომლებზე პერიოდულად ნაწილდებოდა.

კომის წილი (კომის მიწა) იყო სასოფლო. კომის წილით კოველი ყარკუჩელი თანაბარი უფლებით სარგებლობდა. მოწილედ ითვლებოდა ოჯახი სულადობის გაუთვალისწინებლად. სასოფლო მიწები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ნაწილდებოდა. ორი წლის გასვლამდე ახლად გამოყოფილი ოჯახი წილს ვერ მიიღებდა. სამაგიეროდ მას შეეძლო ახალ გადანაწილებამდე არ მოეცადა და სასოფლო მიწის მინდორი (ყამირი) გაეტეხა. ველის გამტეხი ამ ადგილს მიწების ახალ გადანაწილებამდე ხმარობდა.

სოფელ კარკუჩაში მთა ყაი იტევდა 3000-მდე სულ ცხვარს. ეს მთა ეკუთვნოდა ყამარაულების ხუთ მამიშვილობას (ბეკურენი, ეფხენი, გოგოლენი, გოიენი, მანგიენი). ამიტომ ყაი წარმოადგენდა ხუთ სამამო წილს. საბალახე გადასახადი ერთ სულ ცხვარზე ორი-სამი შაური იყო. ცხვრის მომრავლებამდე საძოვარს აქირავებდნენ ბარელ მეცხვარეებზე. ცხვრის მომრავლების შემდეგ ყამარაულებმა ბარელ მეცხვარეებს უარი უთხრეს, მაგრამ საბალახეს თავად იხდიდნენ ცხვრის რაოდენობის შესაბამისად. შემდეგ, როდესაც ბეკურეთ 3000 სული ცხვარი მოიშენეს და საძოვრების დიდი ნაწილი მათ დაიკავეს, საბალახეს სულ თვითონ იხდიდნენ. მცირედი ცხვრის პატრონი მამიშვილობანი მათ ამ გადასახადისაგან გაანთავისუფლეს. როდესაც ბეკურეთ ცხვრის რაოდენობა 5000-ზე ავიდა და ყაი აღარ ყოფნიდათ, ჯუთის მთები დაიქირავეს. ასეთ ვითარებაში ყაის საბალახე სხვა მამიშვილობებსაც დაეკისრათ. ანალოგიური წესით სარგებლობდნენ მარსაგიშვილები მილოთი. ამასთან ერთად ყამარაულებმა ქვენამთის მონახევრეებად გაიხადეს მარსაგიშვილები. გამოღმი მილოც (სათიბი, სახნავი) სანახევროდ მოიხმარებოდა ყამარაულებსა და მარსაგიშვილებს შორის. ყამარაულები ყაის ვერ შეელივნენ, რაშიაც წილის ჩადებას ცდილან მარსაგიშვილები. ეს ცდა უშედეგოდ სამთავრდა და ყაი კვლავ ყამარაულებმა შეინარჩუნეს.

მილო მარსაგიშვილების მამიშვილობებს შორის იყო განაწილებული. ერთი ნაწილი ეკუთვნოდათ ტროპეთ, როგორც ერთი მამის მოდგმას, ხოლო მეორე ნაწილით სარგებლობდნენ მეორე მამის შთამომავალი ქიჩენი, გორგენი და ახალენი. ტროპენი ამ სამი მამიშვილობის მონახევრენი იყვნენ. ერთ წელიწადს რომ ამ მთას ტროპენი ხმარობდნენ, მეორე წელს მით სარგებლობდნენ ერთ წილზე მყოფი მამიშვილობები (ქიჩენი, გორგენი, ახალენი). მილოთი სარგებლობის მორიგეობის გამოტოვებულ წელს მეცხვარეები ქირაობდნენ ხევსურეთის, ჯუთის, და ართხმოს მთებს. მარსაგიშვილების გვარის ნაწილია თუშური წარმომავლობის დუდულენიც, რომელთაც 300-400 სული ცხვრის საძოვარი მთა ჰქონიათ. ამის გამო მას დუდულეთ მთას უწოდებენ.

საადგილმამულო ურთიერთობა სოფელ ყანობში რეგულირებული იყო სამეურნეო პირობების შესაბამისად. ამ სოფლის მკვიდრნი მაქსიმალურად იყენებდნენ სახნავ-სათეს ადგილებს, ხოლო ხალხის მომრავლების კვალობაზე

მის მოცულობას ზრდიდნენ. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ საქონლის საძოვრად გამოყენებული არბუხელას ქვედა ნაწილისა და გაღმების თუ გაღმა გზისპირების — საქართველოს სამხედრო გზის ქვედა მხარის სამეურნეო გარდაქმნა. არბუხელას ეს ნაწილი კომლობრივ დაინაწილეს და სასვილეებად გატეხეს, ხოლო ე.წ. გაღმები ასევე კომლობრივ დაყვეს და საქერეებად თუ საკარტოფილეებად შემოღობეს.

სახნავ-სათიბი კომლობრივ საკუთრებაში იყო, ხოლო საძოვრები სასოფლოდ ითვლებოდა. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა ცხვრის მომრავლების შედეგად. მოსახლეობის გადაწყვეტილებით არბუხელას სასვილეები კვლავ სასოფლო საკუთრებაში გადავიდა და მსხვილფეხა საქონლის საძოვრად იქნა გამოყენებული. მთების შუა ზონა სათიბებად დარჩა, ხოლო მაღლა მდებარე ადგილები — ე.წ. წვერები ცხვრის საძოვრად აქციეს. ცხვარს აბალახებდნენ საბალახის გადახდის პირობით.

როგორც ყანობლებმა მითხრეს, მათ ახსოვთ, როდესაც მათ საბალახეში 20 ჭედილა იკრიფებოდა. აქედან ნაწილი საკლავად გამოიყენებოდა სასოფლო დღეობებში, ხოლო ნაწილის ფულადი ღირებულებით სახელმწიფო გადასახადები იფარებოდა. ცხვრის მომრავლებისა და საძოვრების უკმარისობის პირობებში მეცხვარეები ყანობის საძოვრებს მორიგეობით ხმარობდნენ ან თრუსოს მთებს ქირაობდნენ. როგორც წესი, ცხვრის მწყემსები და მენახირეები სოფლის ერობაში დაწესებულ ჯამაგირს ღებულობდნენ. გარიგებით ხდებოდა მეჯოგის აყვანაც, რომელიც ჯოგს (ცხენებს, ხარებს, მოზვრებს, ბერწ საქონელს) აბალახებდა საჯოგეში, რომლის სახელწოდებაა ცუთი. მეჯოგეც იქვე გაკეთებულ ქოხში ცხოვრობდა. ეს საუკეთესო ზეგანი ადგილი არა მარტო ყუვათიანი ბალახით არის ცნობილი, არამედ ნაკადულითაც, რითაც მოზრდილი ტბა იკვებება.

სოფელ სიონში საადგილმამულო ურთიერთობა ადგილობრივ და მოსულ გვარებს შორის იყო რეგულირებული. მოსულებად ითვლებიან სოფელ სნოდან გადმოსული ღუდუშაურების ერთ-ერთი განაყრობა — ყარაჯენი. ისინი დაუმეზობლდნენ აქ მცხოვრებ ოდიშვილებს, სეთურიძეებს, დავითაშვილებს, წამალაიძეებს, კობაიძეებს. 1962 წელს ჩაწერილი მასალების მიხედვით, როდესაც ჩემი მთხრობელი შაქრო ღუდუშაური 80 წლისა იყო, მისი ბალღობის პერიოდში საკუთრების დასადგენად მთავრობის კომისია მოსულა. ასეთ ვითარებაში ხბოს ტყავზე დაწერილი სიგელი, რაც ბუცა ღუდუშაურს ჰქონია მიბარებული, დაკარგული აღმოჩნდა. ამიტომ სიონში დასახლებულმა ღუდუშაურებმა ვეღარ შეინარჩუნეს მამულების ფლობის პრიორიტეტი და მამულები ყველაზე თანაბრად განაწილდა. მანამდე კი სხვა ვითარება იყო. გარემთის წვერების ქვემო ნაწილში მდებარე სათიბები ეკუთვნოდათ სეთურიძეებს, დავითაშვილებს და წამალაიძეებს. ნაროვანი, კამარაჲ, ღორთვაკე და წითლონი. იყო სასოფლო საძოვარი. შემდეგ, როდესაც ყარაჯენი სიონში დასახლდნენ, ისინიც სოფლის მოწილენი გახდნენ. როდესაც მათი სათიბები ხუთ ძმაზე (ბაჲ, ნიკოლოზაჲ, გივარგაჲ, შიო, სურხავი) გაიყო, შიო და გმირად ცნობილი სურხავის შთამომავალი სურხავი, უმემკვიდრეოდ გარდაცვლილან. ამიტომ ყარაჯეთ სათიბები სამ ძმაზე განაწილდა. საძოვარი მთებიც (ჭაჭიანაჲ და გოროვანის წვერები) ყარაჯეთ საკუთრებას შეადგენდა. შემდეგში, რაკი ყველა საძოვარი სასოფლო იყო, ყარაჯეთ კუთვნილი საძოვარიც სასოფლოს შეუერთეს, ხოლო სამაგიეროდ

ყარაჯეთ მიაკუთვნეს სათიბი ადგილი — რიყის თავი.

სასოფლო საძოვრების საბალახე გადასახადი შეადგენდა 40 თუმანს, რაც ცხვრის რაოდენობის მიხედვით ყველა გვარზე ნაწილდებოდა. ცხვრის მომრავლების შემდეგ მთის ქვედა ზონა-სათიბებიც გაასაძოვრეს. მიღებულ საბალახეს სოფელი იყენებდა სახელმწიფო გადასახადის — ყალანის დასაფარავად. რაც ყალანს გადაურჩებოდა, სოფელი მას დღეობებსა და მიცვალებულის ხარჯებს ახმარდა.

* * *

საადგილმამულო ურთიერთობაში ზოგჯერ თავს იჩენდა ურთიერთდაპირისპირება თემებს, სოფლებს, გვარებსა და ოჯახებს შორის. ყველა ვითარება განიხილებოდა და გადაწყვეტილება მიიღებოდა ან რჩეული მეთემეების მონაწილეობით, ან სახელმწიფო მოხელეების ჩარევით.

თემებს შორის საადგილმამულო დავის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქვენამთის დანებებისათვის ბრძოლა გუდამაყარსა და სნოს ხეობას შორის. დავის წარმოქმნამდე ამ მთის ერთი ნაწილი — საგუდამაყრო ქვენამთა ეკუთვნოდა გუდამაყარს, ხოლო მეორე ნაწილი — საკარკუჩო ქვენამთა კარკუჩელ ყამარაულებს. შემდეგ, როდესაც მარსაგიშვილები ქისტეთიდან აქ გადმოსახლდნენ, ყაისა და ყანანაზში მცხოვრებმა ყამარაულებმა მამულში ისინიც მოწილედ ჩაიზიარეს.

გარკვეული დროის შემდეგ გუდამაყრელებს ქვენამთის მთლიანად დასაკუთრების პრეტენზია გაუჩნდათ. გუდამაყრის მთელი თემი ხევის ერთ სოფელს — კარკუჩას შემოედავა. კარკუჩელებმა რაკი დაინახეს, რომ საკუთარი ძალებით გუდამაყრელებს ვერ გაუმკლავდებოდნენ, დასახმარებლად მოიხმეს სნოს ხეობის სოფლები ჯუთის, ართხმოს და მიგუდის გამოკლებით. კარკუჩელებმა ამ სოფლებს მონაწილეობის უფლება აღუთქვეს. როდესაც მხარეთა დავის პროცესი მიმდინარეობდა, ახალციხელი გრიშა დავითის ძე ბუჩუკური, დაბადებული 1890 წელს, 20 წლისა ყოფილა. დაპირისპირებული მხარეების ძალთა გაწონასწორების შემდეგ მშვიდობიანი მოლაპარაკება გაიმართა. მიღებული გადაწყვეტილებით ქვენამთა შუაზე გაიყო. საზღვარი გამიჯნეს წყალგამყოფი ქედის მიხედვით, რომელსაც ეწოდება სადავო გორი. მისი მეორე სახელწოდებაა ჩობოლაურთ ნაბინავარი, ვინაიდან ერთხანს გუდამაყრელი ჩობოლაურნი იქ ცხვარს აბალახებდნენ. გამმიჯნავი ქედის ერთი მხარე, საითკენაც წყალი მიედინება, ერგოთ გუდამაყრელებს, ხოლო მეორე მხარე, საიდანაც წყალი სნოს ხეობისაკენ მიედინება, დაინება სნოს ხეობამ. ამის შესაბამისად, ქვენამთით სარგებლობაში წილდებულები გახდნენ სნოს ხეობის მოხევეებითꣳ დასახლებული სოფლები: კარკუჩა, ახალციხე, ქორელი და სნო. ამ სოფლების მკვიდრნი ქვენამთაში აბალახებდნენ ჯოგს (ხარებს, ბერწ საქონელს, ცხენებს) და ცხვარს, ხოლო ზოგჯერ კი მდიდარ მეცხვარეებზე აქირავებდნენ. საბალახეში აღებულ თანხას

ყოველი სოფელი ღებულობდა და სასოფლო საჭიროებისათვის იყენებდა.

ასეთი ვითარება სუფევდა გარკვეულ დრომდე, მაგრამ სნოს ხეობის სოფლებს განკერძოების პრეტენზია გაუჩნდათ და მოინდომეს სათემო ადგილის დანაწილება სოფლებზე. 1884 წელს დაბადებული სერგო ყამარაული 30 წლისა ყოფილა, როდესაც თბილისიდან ჩამოსულა მინათმომწყობი სვეშკოვი და სოფლებზე მას დაუყვია ქვენამთა. გუდამაყრელები კვლავ ძველ საზღვარზე დატოვა, ხოლო საკარკუჩო ქვენამთა გაყო სოფლებზე — კარკუჩაზე, ახალციხეზე, ქორელზე და სნოზე. ტუსამზორე მიაკუთვნა სნოს, ხოლო სხვა ადგილები სამ სოფელს გაუნაწილა.

საადგილმამულო ურთიერთობის მონესრიგება უმთავრესად ტრადიციის გამოყენებით ხორციელდებოდა არა მარტო სხვადასხვა თემებს შორის, არამედ სოფლების უფლებამოსილებაც სოფლის ყრილობის დადგენილებით განისაზღვრებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც ეხება ნორმალიზაციის საჭიროებას სტეფანწმინდასა და გველეთს შორის. ცნობილია, რომ XIX საუკუნეში სოფელ გველეთში ქისტები შემოსახლდნენ. ბუნებრივია, რომ ისინი ამ სოფლის სავარგულებით სარგებლობდნენ, მაგრამ არსებითად შეიცვალა ვითარება იმის შემდეგ, რაც ყაჩაღობაში მხილებული ქისტები აქედან გადაასახლეს, გარდა ბეზურთანოვების ერთი ოჯახისა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მთამსვლელობაში და მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა. შექმნილი ვითარების შესაბამისად შეადგინეს სოფლის ყრილობის განაჩენი, რაც განსაზღვრავდა ადგილებით სარგებლობის უფლებამოსილებას სტეფანწმინდის მოსახლეობასა და გველეთში დარჩენილ ბეზურთანოვებს შორის. სოფლის ყრილობის განაჩენი, რომელსაც 1961 წლის 16 ივლისს გავეცანი რაფიელ ფიცხელაურის ოჯახში, გვაუწყებს:

"1899 წელსა მაისის 24-სა დღესა ჩვენ ამაზედ ქვემორე ხელის მომწერელთ დუშეთის მაზრის, სოფელ სტეფანწმინდას მცხოვრებელთ რიცხვით 134 კომლთა დავადგინეთ ჩვენი საერთო სურვილით ეს განაჩენი მასზედ, რომ გველეთს მდებარე ადგილი, რომელიც მთავრობამ დაგვაკუთვნა სახმარებლად ჩვენ და ერთს კომლს გველეთს მცხივრებ ბეზურთანოვს უნდა გავანაწილოთ 12 წლის ვადით კომლზედ ანუ სულზედ თანასწორ ნაწილად სახნავი და სათიბი მიწები, ხოლო საძოვარი დარჩება ისევ საერთო სახმარებელი. გადასახადნი ხარჯი გველეთის მამულისა ისევე ისე თანასწორად უნდა გადვიხადოთ ყველამ, როგორც გავანაწილეთ მამულები. რაზედაც ხელს ვაწერთ:"

(ხელის მოწერა არ არის)

ორ სოფელს შორის მამულის დანებებისათვის ბრძოლის სურათია ნაჩვენები ტყარშეტისა და გორისციხის დაპირისპირების მაგალითზე. დავის საგანი იყო ორი მთა — საგუბარაჲ და ბოყოვინაჲ. საგუბარაზე დავა შეწყდა იმის შემდეგ, რაც გორისციხელებმა სათავისო სამანი აღმოაჩინეს მის საძირკველში ჩაყოლებული ნახშირით. ბრძოლა გაგრძელდა ბოყოვინასთვის. ტყარშეტელები დუშეთში ძღვენით ეახლნენ თავიანთი სოფლის ბატონს ყარანგოზიშვილს და მისი დახმარებით დაინებეს ბოყოვინაჲ.

საადგილმამულო ურთიერთობამ მწვავე ხასიათი მიიღო სიონსა და ფხელშე-გორისციხეს შორის, რომელთა დაშოშმინებაში აქტიური მონაწილეობა

მიიღო ალექსანდრე ყაზბეგმა. აღნიშნული მოვლენის შესახებ საყურადღებოა ანდრია კობაიძის მოგონება - "ალექსანდრე ყაზბეგი და ორი სოფლის დავა ერთ სოფელთან" (გაზ. "ივერია", 1893წ., №131).

როგორც მოგონებაშია მოთხრობილი, ხევის სოფლებს შორის საადგილ-მამულო დავა წარმოქმნილა. ერთ მხარეზე მდგარან ორი სოფლის — ფხელში-სა და გორისციხის მცხოვრებნი, ხოლო მეორეზე — სოფელ სიონის მკვიდრნი. საძოვრებით სარგებლობის ზონა ფხელშე-გორისციხის მოსახლეობას დაურ-ღვევია, რის გამო სიონელები საბრძოლველად დარაზმულან. მათ შორის რომ გარდუვალი შეტაკების საფრთხე დაუნახავთ სოფელ ტყარშეტის მკვიდრთ, მათ დეკანოზებს მამაწმინდის ხატი გამოუბრძანებიათ და სადაო ზონის მიჯნაზე ჩამდგარან იმის ღრმა რწმენით, რომ დაპირისპირებული მხარეები ხატის წი-ნაშე დაშოშმინდებოდნენ. სოფლებს შორის რომ საადგილმამულო დავა არსე-ბობდა, ალ. ყაზბეგს ეს ადრეც სცოდნია და როგორც კი შეუტყვია შექმნილი ვი-თარება, დაუყოვნებლივ დაუქირავებია ორი თუ სამი საფოსტო ეტლი, ჩაუსვამს რამდენიმე საპატიო მოხევე და სადაო ადგილზე მისულა. მოგონებიდან განსა-კუთრებით საყურადღებოა იმის ჩვენება, თუ რა შედეგი გამოიღო სანდროს და დეკანოზების იქ მისვლამ:

"ხატის ხვეწნამა და სანდროს ლაპარაკმა ხალხის გულში თანდათანობით ალაგი დაიჭირა, ხალხმა შეისმინა გონიერის კაცების ხვეწნა-მუდარა, გული მოულბა, ამასთან ჩვეულებისამებრ, ხატს ორივე მხარემ პატივი სცა და წყ-ნარად მოისმინეს დეკანოზების ხვეწნა-მუდარა. გორისციხელებმა თავისი ნახირი, სიონელების ხელგაუნძრევლად საზღვრიდან უკანვე გააბრუნეს და სიონელებიც საზღვარს მოშორდნენ. როდესაც ახლა ალექსანდრემ ხალხის უხ-იფათოდ გადარჩენა დაინახა, ძალიან ესიამოვნა. ჩამოჯდა ქვაზედ და სთქვა: დღეს ათენგენობა არის, მე იქ უნდა ვხარობდე და ეხლა კი უფრო მოხარული ვარ, რომ აქ მშვიდობით გადარჩითო. თან დასძინა: ღმერთმა ნუ აპატიოს, ვინც თქვენს შორის ასეთი განხეთქილება ჩამოაგდოს!"

ა. კობაიძე იქვე აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა ერთმანეთისად-მი დაპირისპირებულ ხალხს დაშოშმინება და შერიგება ურჩია და ტყარშეტელ დეკანოზებს უმადლიარა: "ხატი რომ არ გამოესვენებინათ, იქნებ ჩემს ცდასაც ამაოდ ჩაევლო." მორიგების შემდეგ კი "სიონელებმა სანდროს და დეკანოზებს სამადლობელი სადილი გაუმართეს სამების ტყეში, სადაც ესვენა ხატიც სამე-ბის ნიშთან და სულ იმ წმინდა ანგელოზებს ადიდებდნენ, რომლებმაც დღეს უხ-იფათოდ გადაგვარჩინესო."

მამულის დანებებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა სნოსა და სტეფანწ-მინდას შორის. მოდავე მხარე იყო სოფელი სნო, რომელმაც განიზრახა დაპა-ტრონებოდა სტეფანწმინდის საკუთრებაში მყოფ ეკალს. მოლაპარაკებით რომ განზრახვა ვერ აღისრულეს, სნოველებმა ეკალი ძალით დაიჭირეს. სტეფანწმინ-დელებმა სნოველებთან შეჯახებას თავი აარიდეს და გასაჩივრება ამჯობინეს. მათ მეფე ერეკლესთან შესახვედრად თბილისში გააგზავნეს გუგუ ქუშაშვილი, სვიმანა ჩოფიკაშვილი და ერთიც ეფხოშვილი. თბილისში ფეხით ჩავიდნენ. მეფ-ესთან შეხვედრის დრო რომ გაეგოთ, სამეფო კარზე გაუგზავნიათ ყველაზე უმ-ცროსი სვიმანა ჩოფიკაშვილი. კარისკაცმა მეფეს აცნობა მოხევის ხლება. თანაც მეფისთვის უთქვამს — ისეთი მოხევე მოვიდა, რომ კამეჩს გადაყლაპავსო. ამ

დროს მეფეს სტუმრებია ვიღაც ფაშა თავისი მოჭიდავით. ამ მოჭიდავეს ყველა ქართველი ფალავანი წაუქცევია. ერეკლემ როდესაც სვიმონი მიიღო, მამულის დაბრუნებაში დახმარება აღუთქვა, ოღონდ იმ პირობით, თუ მოხევე თათარ მოჭიდავეს წააქცევდა. სვიმონმა მეფეს უთხრა — უფროსებს დავეკითხები და პასუხს მოგახსენებთო. სვიმონი უფროსებს დაეთათბირა. ქუშაშვილ გუგუს ასეთი რჩევა მიუცია — ერეკლეს მოახსენე, მხოლოდ იმ პირობით ვიჭიდავებ, რომ გამარჯვებულმა დამარცხებული მტკვარში გადააგდოსო. სამეფო კარიდან სვიმონი გამობრუნდა და დაიძინა. მეორე დღეს მივიდა სამეფო კარზე, მაგრამ თათარი გაქცეულა, რაკი სვიმონი გამარჯვების რწმენით ხვდებოდა მას. სვიმონი კი ყასიდად სულ თითებს თურმე იჭამდა, თითქოს დანანებული იყო, რომ თათარი გაექცა და მასთან ვერ იჭიდავა. სვიმონს გამარჯვება მიულოცა მეფემ, აზნაურობაც უბოძა და ეკალიც კვლავ სტეფანწმინდას დაუბრუნა.

ეს გადმოცემა გვაცნობს როგორც საადგილმამულო დავის ერთ-ერთ ეპიზოდს, ისე ჩოფიკაშვილის გვარის კაცის გააზნაურების ფაქტსაც. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ერეკლემ აზნაურობა უბოძა ქვემო ხევის მოურავს ყაზიბეგ ჩოფიკაშვილს, შესაძლებელია მის პროტოტიპად ფიგურირებდეს ხალხის მიერ შეცდომით სახელდებული სვიმონი.

ზემოხსენებულ სოფლებს შორის ბრძოლამ თავი იჩინა საჯოგე ადგილის დასაკუთრებისთვისაც. შემოღობილი საჯოგე ადგილით სნოველები სარგებლობდნენ. მენშევიკების დროს მათ სტეფანწმინდელები შესდავებიან, მაგრამ შეიარაღებული სნოველები დაპირისპირებიან და სტეფანწმინდელებსაც უკან დაუხევიათ.

საადგილმამულო დავა მწვავე ხასიათს ღებულობდა მოხევეებსა და უხათელ ოსებს შორის. უხათის ტერიტორია ყაზბეგიანთ საკუთრებად ითვლებოდა, სადაც მათ ოსები დაასახლეს ყალანის გადახდის პირობით. ოსებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მოხევეებს საუკეთესო საძოვრებით ცნობილი მთა ნაროვანის დასაკუთრებისათვის. ეს მთა სამ ნაწილად იყოფოდა: 1. ძველი ნაროვანი — სოფელ უხათის მომიჯნავე; 2. ახალი ნაროვანი; 3. საგორისციხელო ნაროვანი. საგორისციხელო ნაროვანი ჰკუთვნებია მხოლოდ ჩქარეულების გვარის ერთ-ერთ ნაწილს — ლალიტეთ. იმის შემდეგ კი, რაც ადია ჩქარეულს ოსი შემოჰკვდომია, ჩქარეულებმა თავისი კუთვნილი ადგილი სისხლში გაიღეს. სიონლების ჩარევით ჩქარეულები და ოსები შერიგებულან, მაგრამ თვით სიონლებსა და ოსებს შორის დავა გრძელდებოდა. სიონი სახელმწიფო ადგილზე იდგა, ხოლო უხათი საბატონოზე. სიონელებმა თავი აარიდეს ოსებთან შებრძოლებას, გაასაჩივრეს და დაამტკიცეს, რომ აქ მათი 18 000 სული ცხვარი ბალახობდა, ხოლო ოსების მხოლოდ 1000. სიონელთა მსხვილფეხა საქონელი იყო 400 სული, ხოლო ოსებისა მხოლოდ 20. ამგვარი მონაცემების საფუძველზე ხელისუფლებამ ნაროვანი სიონს მიაკუთვნა.

საადგილმამულო ურთიერთობა ზოგჯერ მწვავდებოდა სოფელსა და ერთ რომელიმე გვარს შორისაც. ასეთი შემთხვევა მაუწყა სნოველმა ვარდა გოდერძიშვილმა. სოფელს მიუჩნევია, თითქოს 80 ძირი თივის სათიბი და 80 მარხილისუბის სახნავ-სათესი ადგილი ადრე სასოფლო იყო, მაგრამ შემდეგ გოდერძიშვილებმა დაისაკუთრეს. ამ მოტივით სოფელმა სახნავ-სათიბის კომლობრივად დანაწილება გადაწყვიტა. მიზომილი ადგილები ოჯახებმა დაყორღნეს, მაგრამ

ვარდა სოფლის გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა. იმის საბუთად, რომ აღნიშნული ადგილები თავიდანვე გოდერძიშვილებისა იყო, მან დაიმოწმა ლილა გოდერძიშვილის (უცოცხლია 130 წლამდე) სიტყვიერი ანდერძი. ლილამ ასეთივე განმარტება მისცა სოფლის მოსახლეობას. მოხუცის ნათქვამს წინ ვეღარ აღუდგნენ და ამის საფუძველზე ვარდა გოდერძიშვილმა ყველა ოჯახის ყუნი ამოაგდო. ამგვარი დავის დროს სოფელს გადაუწყვეტია ნახევარი კილომეტრი სიგრძის ჯებირის გაკეთება მდინარისაგან მამულის დაცვის მიზნით. იმ პირობით, თუ გოდერძიშვილები სადავო ადგილებს დაინებებდნენ, სოფლის მოსახლეობამ მათ დააკისრა საკუთარი სახსრებით ჯებირის გაკეთება. გოდერძიშვილებმა ეს შეუძლებლად მიიჩნიეს და სადავო მამული კვლავ სასოფლოდ ცნეს.

ხევში ისეთი ვითარებაც დასტურდება, როდესაც ერთი რომელიმე პიროვნება სოფელს დაუპირისპირდებოდა და მამულს ძალმომრეობით მიისაკუთრებდა. ამასთან დაკავშირებით ხალხის მეხსიერებამ შემოინახა ერთი ასეთი გადმოცემა: ფხელშელი იოსებ მიხეილის ძე ელოშვილის ცნობით, ვაჟკაცობით სახელი მოუხვეჭიათ ძმებს — იოსება და როსება ელოშვილებს. ერთი ეპიზოდის მიხედვით, როსება გზად გადაჰყრია ერთ-ერთ შეუპოვარ ქოსლელს. ცხენდაცხენ შერკინების დროს ქოსლელს როსება ბარძაყში ისრით დაუჭრია და თან მიუძახებია: ეხლა შენს სანაქებო ძმას მიახარე, რომ დაგჭერიო. იოსებას სოფლიდან დაუნახია, რომ მისი ძმა როსებაი ცხენზე მთვრალივით იჯდა. სასწრფოდ მიშველებია, ისარი ჭრილობიდან ამოუძვრია, ჭრილობა ყაბალახით შეუხვევია, დაჭრილი ძმა ადგილზე დაუტოვებია და ქოსლელს ცხენით დასდევნებია. სოფელ აჩხოტთან წამოსწევია, იქიდან ასდევნებია და როცა ქოსლელი სახლში შედიოდა, იოსებას ისარი ბეჭებში გაურჭვია. იოსებამ ქოსლელთ უხმო — გამოდით, მიხედეთ, ჯარი წაიქცაო. ქოსლელნი გამოჰკიდებიან და აჩხოტთან რომ მივიდნენ, იქ ერთმანეთს შებრძოლებიან. აჩხოტის კლდესთან იოსებას კიდევ ერთი ქოსლელი დაუჭრია და გაქცეულა. მომხდარის შემდეგ ქოსლელნი ელოშვილებს გზას უკეტავდნენ, ხევსურეთში დედისძმებთან აღარ უშვებდნენ. ძმები ელოშვილები იძულებული შეიქნენ, რომ ქოსლელთ შერიგებოდნენ. შერიგებაში მათ მიუციათ 4 დღიურის მამული. ქოსლელებმა შემდეგ ეს მამული ავსაჯანიშვილებს მიჰყიდეს, რის შემდეგაც მას ქოსლელთეული უწოდეს.

ეს გადმოცემა არა მარტო იოსებას და როსებას შეუპოვრობას გვაცნობს, რის გამო მათ მოდგმას ვაჟკაცენი შეარქვეს, არამედ შერიგებაში მამულის გაცემის წესსაც.

აღნიშნული გადმოცემა იმიტომ დავიმოწმე, რომ ამგვარი წესით ცხოვრების ლოგიკური შედეგი იყო სოფლისადმი ძალმომრეობით დაპირისპირება, როგორც ტრადიციული ცხოვრებისათვის უჩვეულო მოვლენა. ის ფაქტი, რომ იოსებამ ძალით მიისაკუთრა გორისციხის ადგილები (ქოსლელთეული, ჭურობი, ფშანგვერდი, დურკეხი, ჩასავალაჲ), სოფელ სიონში ცლოვანაჲ (100 ძირი თივის სათიბი), გაღმაჲ (ადგილი ტორნისაში), ყირვანწყარო, ტრადიციის ხელყოფის მაჩვენებელია.

ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით ცნობილია, რომ ზოგიერთ სოფელს მამული სხვა სოფელშიც ჰქონდა. ეს ხდებოდა ან მამულის ყიდვით ან ხატისადმი მინის შეწირვით. დადასტურდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი სოფლის მამული მეორე სოფელს გადაეცა საქორწინო გარიგების საფუძველზე. ასეთ

შემთხვევაში გარიგებას განაპირობებდა ურვადად მამულის გამოყოფა, რისი მაგალითიც ჩანს ტყარშეტელი და გორისციხელი ოჯახების ურთიერთობაში. მომხდარის საილუსტრაციოდ 1863 წელს დაბადებულმა ვანა მაისურაძემ დაასახელა ტყარშეტელი დების — სეფია და მალია მაისურაძეების ქორწინება გორისციხელ ბიძაშვილებზე — თომა და სება ავსაჯანიშვილებზე. ვანა მაისურაძე მაშინ 8 წლისა ყოფილა, როდესაც ავსაჯანიშვილებმა მაისურაძეებს ურვადის სახით გადასცეს 2 დღიურის ყანა — საქცეურაჲ. ამის შესაბამისად თითოეული ქალის ოჯახს წილად ხვდა თითო დღიური ყანა. ამგვარი გარიგების შედეგად გორისციხელთა მამული ტყარშეტელთა საკუთრებაში მოექცა.

ურვადად მამულის მიცემა მომხდარა გარბანლებისა და სნოვლების საქორწინო გარიგებაშიც. რამდენიმე გარბანელს ყანა ურვადად გადაუხდია ღუდუშაურებისათვის. ამიტომაც ნელადხნობამდე ბევრი სნოველი გარბანელთა კარწინებს ხნავდა.

ერთი სოფელი მეორე სოფელში კუთვნილ მამულს უმტკივნეულოდ იყენებდა და ეს უფლებამოსილება მხოლოდ საბუთების მოსპობით თუ მოხდებოდა. ღალატმა თავი იჩინა ხურთის-ყანობის საადგილმამულო ურთიერთობაში, რაც თვით ხურთისელმა ნიკოლოზ ტუჩაშვილმა (დაბადებული 1880 წ.) მამცნო. როგორც მან მაუწყა, ყანობლებს ჰკუთვნებიათ ხურთისის მთა-ბარის მესამედი. ამ დროისათვის ყანობში ცხოვრობდა ერთი თავდღიანი კაცი შიო ნუგზარისშვილი, რომელსაც ხურთისის ტერიტორიაზე ყანობელთა საკუთრების საბუთები ჰქონია ჩაბარებული. დაქვრივების შემდეგ შიოს მოსწონებია ტუჩაშვილების ლამაზი ქვრივი ნინო. ქალის ოჯახს შიოსთვის უარი უთქვამს. ამიტომ, განზრახულის აღსრულების მიზნით შიო ხურთისელ უფროსებს დაჰპირებია, რომ არსებულ საბუთებს მათ თვალწინ დაწვავდა, თუ ნინოს მომათხოვებთო. სოფლის უფროსი კაცები ქალის მამასთან მისულან და შიოს სურვილი გაუმხელიათ. თანაც პირობა მიუციათ, რომ შიოზე ნინოს დაქორწინების შემთხვევაში ნინოს ოჯახს წმინდა გიორგის საბრძანისში სამწყალობნო სამანსაც ჩაგისვამთო. პირობა ორივე მხარემ აღასრულა და ყანობელთა მამულები ხურთისელთა საკუთრებად იქცა.

ხევში ისეთი ვითარებაც დადასტურდა, როდესაც ორი სოფელი მამულებით მშვიდობიანად სარგებლობდა. ამის მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ ფხელშე-გორისციხის საადგილმამულო ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. სათიბი ადგილი ლიჯე იყო გორისციხელი ავსაჯანიშვილებისა და ფხელშელი ელოშვილებისა. ეს სათიბი მოიცავდა 50-მდე საწილოს (საკომლოს). თითოეული გვარი ხუთ წელიწადში ერთხელ სათიბს მოწილეებზე ყოფდა სათიბი ადგილის ვარგისიანობის შესაბამისად. სატვირთე ადგილი შედარებით მოუსავლიანი იყო და არ ნაწილდებოდა. ვინც დაასწრებდა, ის გათიბავდა, რისთვისაც მას საფოროქო უწოდეს. როდესაც ახალი კომლი გამოიყოფოდა, მას საფონდოდან მისცემდნენ. მანამდე ის ხელშეუხებელი იყო. ავსაჯანიშვილებს სათიბები ჰქონიათ პირად საკუთრებაშიც (მაგალითად სარწყავები წითლოვანში).

* * *

საადგილმამულო ურთიერთობაში საკუთრების უფლებებთან ერთად ადათობრივი და სახელმწიფო სამართლით უზრუნველყოფილი იყო სახნავ-სათესი სავარგულების, სათიბებისა და საძოვრების დაცვა. საძოვრების დაცვაში იგულისხმებოდა მისი ექსპლოატაციის რეჟიმი საქონლის სახეობათა მიხედვით. ამის შესაბამისად ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო საძოვარი მეწველი საქონლისათვის, საჯოგე ხარების, ბერნი საქონლისა და ცხენებისათვის, საღორე ღორის კოლტისათვის, ახლო მდებარე ცხვრის საძოვარი მისი წველის ხანმოკლე პერიოდში და მშრალი დედალი ცხვრის, ჭედილების თუ შიშაქისა და ბატკნის საძოვარი უმთავრესად სათიბების ზემოთ მდებარე მაღალმთიან ზონაში.

ხევის ყოველ სოფელში ხალხის მიერ დაკანონებული იყო სათიბების დაცვა. სათიბებში, ისევე როგორც სახნავ-სათესში საქონლის ძოვება იკრძალებოდა გაზაფხულიდან, ვიდრე ძნისა და თივის შემოტანამდე, რასაც ქირმანი (საშემოდგომო ძოვება) ერქვა. სათხარზე ღორების გაშვება კი დასაშვები იყო სახნავ-სათეს ტერიტორიაზე მოსავლის აღების შემდეგ. რაც შეეხება სათიბებს, იქ ღორების გაშვება საერთოდ იკრძალებოდა იმის გათვალისწინებით, რომ სათიბი ადგილის გადათხრა სათიბს დიდ ზიანს აყენებდა. ნათქვამის გამომხატველია 1873 წლის 24 თიბათვეს კობის საზოგადოების სასამართლოში გორისციხელების მიერ შეტანილი საჩივარი დამნაშავე ხურთისელების წინააღმდეგ. საჩივარი გვაუწყებს:

"1873 ნელსა, თიბათვის 24-სა დღესა შემოიტანეს კობის საზოგადოების სუდში საჩივარი სიონის საზოგადოების სოფელს გორისციხეში მცხოვრებელმა ივანე ჩქარეულმა, ლევანა და იობა ავსაჯანაშვილებმა, კობის საზოგადოების სოფელს ხურთისში მცხოვრებელთზედა, ქვემო სოფელზედა (იგულისხმება ქვემო ხურთისი, ძველი დასახლება — ვ.ი.), რომელი იმ სოფლის ღორებისგა დაუთხრიათ ჩქარეულის და ავსაჯანიშვილების სარწყავი სათიბი, დამთხობელიცა ჰყავს ჩქარეულსა და ავსაჯანიშვილებსა, რომელ უნახავს ხურთისლებისა ღორები, თხრის დროსა იმ სარწყავ სათიბეში, ხურთისში მცხოვრებელსა, ალექსი გოგიშვილსა. ჩვენ კობის საზოგადოების სუდში გამოაცხადა, სადაც თვით ხურთიელებიც იქ იყვნენ ქვემო სოფელი.

1873-სა ნელსა, თიბათვის 24-სა დღესა, განვიხილეთ საჩივარი ივანე ჩქარიულისა, ლევანა და იობა ამსაჯანიშვილებისა, ჩვენ კობის საზოგადოების სუდმა, რადგანაც გადაუთხრია სარწყავი სათიბი ს. ხურთისელების ღორებსა, დამნახავი მთხრობელიც გამოუჩნდა ალექსი გოგიშვილი. ამისთვინ ამ წლის ზარალისათვის მისცენ ხურთისელებმა ქვემო სოფელმა ორი თუმანი 20 руб. ჩქარიულსა და ამსაჯანიშვილებსა და შემდეგ გამთხილდენ ხურთისელები და აღარ გადაათხრევინონ ის სათიბები ღორებსა. უკეთუ კიდევ გადაათხრევინეს, მაშინ გადაიხადონ ოცდახუთი მანეთი შტრაფი. ზარალი და წანახდენი გადაიხადონ დამნაშავეთა. აგრეთვე ნება აქუს ჩვენ სუდისაგან ჩქარიულსა და ამსაჯანიშვილებსა იმ თავის სარწყავს სათიბში თუ მაასწრონ ხურთისულს ღორებსა, მოკლან. თვინიერ სხვა საქონლისა, ღორების მეტზედ ნება არა აქუსთ მოკლვისა. განაჩენი დავსდევით კობის საზოგადოების სუდიათა: 1. სუდია მოსე ქოქოევი, 2. სია გარდამოვი, 3. გიორგი თავაევი" აზის 20 კაპიკიანი ზომის ბეჭედი.

საბუთი ინახება ყაზბეგის მუზეუმში.

* * *

საადგილმამულო ურთიერთობის სფეროდან საყურადღებოა ტყით სარგებლობის წესი. ტყის მასივებით ღარიბ ხევში ტყე შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ სოფელში. მათ შორის, სოფელ ყანობის ტერიტორიაზე XX საუკუნემდე შემორჩენილი იყო თარანგელოზის ტყე მთავარანგელოზის სახელზე, რისთვისაც ის ხატის ტყედ იწოდებოდა და ერთი ხის მოჭრასაც კი ერიდებოდნენ ხატისაგან დამიზეზების შიშით. ეს ტყე გაშენებული იყო სოფელ ყანობის პირდაპირ, მწვერვალ ქამარჯინას ფასადის ორ ფერდობზე, რასაც თავისი მდებარეობის გამო "ძუძუები" ეწოდება. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც მთიულეთიდან და ლარსიდან შეშის მოტანის შესაძებლობა საგრძნობლად შეიზღუდა, თარანგელოზის ტყე ყანობლებმა გაკაფეს. ჭრას გადაურჩა მხოლოდ ნორჩი ბუჩქები, რამაც დროთა ვითარებაში იმატა და ნაწილობრივად გაჩნდა ამ ადგილის გატყეევების პერსპექტივა. ყანობისავე საკუთრებას შეადგენდა მთის ერთ ფერდობზე — ე.წ. ცალგვერდზე არსებული ტყის მცირედი მასივი, რაც ფაქტიურად მთლიანად გაჩანაგდა.

ხალხური გადმოცემით, სოფელ ყანობისა და სოფელ ხურთისის პირდაპირ, მდინარე თერგის მარჯვენა მხარეზე მდებარე ადგილები — ე.წ. გაღმები და სამტვერე, წარსულში ტყით დაფარული ყოფილა. ამ ადგილს სამტვერე იმიტომ დარქმევია, რომ გზის მოასფალტებამდე მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ტრანსპორტი მტვერს აყენებდა. დამახასიათებელია, რომ აღნიშნული ტერიტორიის სახელწოდება იყო ფიჭვდაღმები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს ადგილი ფიჭვით დაფარული ყოფილა.

ხალხური გადმოცემით, ამ გაუვალ ტყეს ყარაულიც ჰყოლია. მისი სახლი მდგარა მწვერვალ ქამარჯინას ქვემოთ კლდის კუნწუხზე, ივანე ნათლისმცემლის ნიშის ახლოს. ტყეს სამი მხრიდან კედელი ჰქონია შემოვლებული. უკედლო ყოფილა მხოლოდ მდ. თერგის გადამყურე ნაწილი.

როგორც ჩანს, ამგვარი შინაარსის გადმოცემა უნდა სცოდნოდა ალექსანდრე ყაზბეგს, როდესაც მან შვილის მკვლელობის შემდეგ გონებაშერყეულ ხევისბერ გოჩას ადგილად მიუჩინა მის მიერვე სახელდებული სამტვერეს ტყე.

ხალხურივე გადმოცემით, ტყე გაუკაფიათ რუსებს იმის გამო, რომ მოხევეები ტყეში აფარებდნენ თავს და რუსის ჯარს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ეს გადმოცემა ერთგვარი გამოძახილია 1804 წლის აჯანყებისა, რაც მთიულეთში დაიწყო და ხევშიც განვითარდა.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ტერიტორიის მარჯვენა მხარეზე, სოფელ ტორნისის სიახლოვეს — ე.წ. ვეძათა, წყალდიდობის დროს მდ. თერგს სანაპირო რომ ჩამოუშლია, გამოჩენილა ხალხის მიერ ნაძვებად სახელდებული იმდენად დიდი ძირები (ფესვები), რომ თითოეული ხის გათრევა ცხენსაც კი გაუჭირდებოდა. ამგვარი "ნაძვები" გაღმებში ყანობლებსაც აღმოუჩენიათ. მოხევეების აზრით, ეს "ნაძვები" ოდესღაც არსებული ტყის ნაშთებია.

მცირედი მოცულობის ტერიტორიაზე დღემდეა დაცული ტყე ძველი ხურთისის გაღმა, მდ. ქესიას მარცხენა მხარეს. ის გაკაფვას იმიტომ გადაურჩა, რომ ხატის ტყედაა სახელდებული.

ტყე ასევეა დაცული პატარა ტერიტორიაზე სოფელ გორისციხესა და სოფელ ტყარშეტს შორის.

თანამედროვე ხევში ყველაზე უფრო ნაირფეროვანი ჯიშის მსხვილტანიანი ხეებით და ადგილის სილამაზით გამოირჩევა სოფელ სიონის ტყე. წარსულში ის მცირედ ტერიტორიას მოიცავდა და ხატის ტყედ იწოდებოდა, მაგრამ XX საუკუნეში ტყის მასივი ახალი ნერგებით გააფართოვეს. ტყის დაცვას უზრუნველყოფდა ყარაული, რომლის მეთვალყურეობით შესაძლებელი იყო მხოლოდ ნედლი ტოტებით სარგებლობა სათარის, გოდორის ან ფიჩხის ცოცხის დასამზადებლად. სიონის ტყის პირად დასასვენებელი კორპუსები აშენდა და სოფელმა კურორტის სტატუსი შეიძინა.

სტეფანწმინდაში სოფლის საკუთრებას შეადგენდა ყუროს ეკალი, გაშენებული ყუროს ჭალაში. წარსულში იქ იმდენად მსხვილი ეკალი მდგარა, რომ სახლის მშენებლობაშიც კი გამოიყენებოდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ღუდუშაურების (ყაზიეთ) ერთ-ერთი სახლის ბანი ყუროს ეკლის ხეებით ყოფილა გადახურებული. 1900 წელს დაბადებული ნინო იოსების ასული ღუდუშაურის ცნობით, დაძველებული ხეები კვლავ ყუროს ეკლის ხეებით შეუცვლია ონოფრე ღუდუშაურს — მთხრობლის პაპის გივარქაჲს მამას. ონოფრე 100 წელს მიღწეული გარდაცვლილა მაშინ, როდესაც მისი შვილი გივარქაჲ შუახნისა იყო. ყუროში რომ მსხვილი ეკალი მდგარა, ამის შესახებ ნინოსთვის უთქვამს მის ბებია თინათინსაც. ნინოს მისგან სმენია, რომ ონოფრემ ახალი ხეებიც ყუროს ჭალაში მოჭრა და სახლი ხელახლა იმითი გადახურა. დამოწმებული ფაქტობრივი მონაცემები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყუროს ჭალა ეკლის მსხვილი ხეებით იყო დაფარული, მაგრამ დროთა ვითარებაში ისიც გაჩანაგდა. მოხევეები ამის მიზეზად ასახელებენ ერთ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ეკლის ხეების რეგულარულ ჭრას, ხოლო მეორე მხრივ რუსის ჯარის მიერ მის გაკაფვას.

ყუროს ეკლისაგან განსხვავებით განადგურებას გადაურჩა სტეფანწმინდის კუთვნილი არეშისთავის ტყე, რაც ფერდობზეა შეფენილი. ეს ტყე მსხვილი ხეებით არ გამოირჩევა, მაგრამ გამოყენებულია სათარის, გოდორის თუ ფიჩხის ცოცხის დასამზადებლად.

საბჭოურ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, როგორც ტყის დაცვას, ისე მის ხელოვნურ განაშენიანებას. ყაზბეგის რაიკომის მდივნების — ჯერ ალექსი ბექაურის, ხოლო შემდეგ არჩილ შადურის თაოსნობით სტეფანწმინდის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიფარა ნაძვით, ფიჭვით და ფოთლოვანი ხეებით, რაც დღემდეა დაცული ადამიანის ხელყოფისაგან. ხეებით ასევეა დამშვენებული სტეფანწმინდის ქუჩები და პარკი მდინარე თერგის სანაპიროზე.

ტყით არის დაფარული სნოს ხეობის ფერდობების ნაწილიც. საკუთრივ სოფელ სნოს ტერიტორიაზე საგრძნობლად გაიზარდა ტყის მასივები, რაც განხორციელდა უმთავრესად იორამ ღუდუშაურის თაოსნობით.

სოფელ ახალციხეში ტყიანი იყო ყორა. სოფლის მიერ ტყის ჭრა აქ კანონზომიერად ხდებოდა. წელიწადში ერთხელ შეშის დამამზადებელი მამაკაცები მოჭრილ გაროკილ ხეებს და ტოტებს ცალ-ცალკე კომლობრივად დაალაგებდნენ. ყველა კომლი წილს თანაბრად ღებულობდა ოჯახის სულადობის მიუხედავად. ქვრივობლებს ტყის ჭრაში არ ამუშავებდნენ, მაგრამ წილს კი სრულად აძლევდნენ.

კარკუჩაში კვირეს ხატის სახელზე დაცული იყო "კვირეს ტყე" - სულ 5 დიდი ხე. ხუთ ხეს იმიტომ ერქვა ტყე, რომ მოხეევეები ყოველ ხეს ტყეს უწოდებენ. ეს ადგილი იყო კვირეს ხატის საბრძანისი. აქედან ერთი ტოტის გამოტანაც კი იკრძალებოდა. ხმელი ტოტების დაწვა შეეძლოთ მხოლოდ ხატში გასულ მხვეწარს. პირველი კარკუჩელი, რომელმაც სოფლის პირი გატეხა და პირველმა მოჭრა ხე ხატის ტყიდან, იყო კომუნისტი კორი ყამარაული. იმის შემდეგ ერთი ხე მოჭრა ილიკო ყამარაულმა. ერთი დაჭრილი ხისგან ერთი საჟენი შეშა გამოსულა. შემდეგ დარჩენილი ხეებიც მოჭრეს. ახალი ამონაყარი თხებმა შეჭამეს და ტყეც ამოიძირკვა.

ხატის ტყის გარდა კარკუჩას ჰქონია აგრეთვე სასოფლო ტყე, რაც ჯერ გვარების მიხედვით ყამარაულებსა და მარსაგიშვილებს დაუყვიათ, ხოლო შემდეგ უბნების მიხედვით გაუნაწილებიათ.

სხვათა შორის, ფხელშელ ელოშვილებს სოფელ კარკუჩაში უყიდიათ სასათრე ტყე. ეს მომხდარა კარკუჩაში გათხოვილი ელოშვილების ქალის ინიციატივით. გარიგების დღიდან ეს ტყე ელოშვილების გვარის საკუთრებად იქცა.

სოფელ ცდოში ტყე გვარების მიხედვით იყო დაყოფილი ნიკლაურებსა და ზაგაშვილებს შორის. იმის შემდეგ კი, რაც გვარები მამიშვილობების მიხედვით დაიყო, ტყე საუბნო ტყეებად დაიყო.

ტყით სარგებლობის რეჟიმი კარგად იყო ორგანიზებული სოფელ გერგეტში. სოფლის მფლობელობაში შედიოდა წმინდა სამების ტაძრის მიმდებარე ვაკე ადგილი და მთის ფერდობი. სუჯაშვილების საგვარო საკუთრებაში იყო ჩხატის ტყე ძაიანთ მამიშვილობის საკუთრებად, ხოლო პატარალიძე უძილეთ მამიშვილობის საკუთრებად. ეს მამიშვილობანი თავიანთ ტყეს იყენებდნენ შეშის დასამზადებლად, ხოლო სასათრეს ჭრიდნენ სასოფლო ტყეში ისეთივე უფლებამოსილებით, როგორითაც დანარჩენი მეზობლები სარგებლობდნენ. მოჭრილი შეშა და სასათრე გამოჰქონდათ ზურგით, რაშიაც მამაკაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ.

ტყეს ყარაული ყავდა, რომელსაც ყოველი კომლი უხდიდა ერთ პინა ქერს (პინა=2 კგ-ს). მასვე აძლევდნენ ერთ საჟენ შეშას, განსხვავებით დანარჩენი კომლებისა, რომელთათვისაც განკუთვნილი იყო კომლზე 0,5 საჟენი შეშა. თითოეული კომლისათვის განკუთვნილი იყო აგრეთვე სასათრე 50 სათრის დასამზადებლად. 50 სასათრე შეადგენდა 10 კონას. კონაში შედიოდა 30 გალი. ამაზე მეტს ყარაული არავის გამოატანდა. ვისაც მეტი სათარი ესაჭიროებოდა, ის ძველ სათრებსაც იყენებდა, რაც რამდენიმე სეზონზე ვარგისად ითვლებოდა. უტყეო სოფლის მკვიდრნიც ტყიანი სოფლების დახმარებით სარგებლობდნენ. ისინი ნათესავებსა და მოკეთეებს აკითხავდნენ და თითო-ოროლა ძველ სათარს უგროვებდნენ. როგორც წესი, ფერისცვალებისათვის ისეთ კაცებსაც უმართავდნენ ხელს, რომელთაც სოფელში ნათესავ-მოკეთეები არ ყავდათ. ასეთი შემწეობით საშოვარზე მისული კაცი სათრებით ურემს გაავსებდა და ცოცხისა და გოდორის დასამზადებელ წნელსაც საჩუქრად ღებულობდა.

ტყის გაჭრის პროცესში სავალდებულო იყო ნორჩი ყლორტების დაცვა, რაც ტყის გამრავლების პერსპექტივას ქმნიდა.

ტყის გაჭრა ხდებოდა მთელი სოფლის მამაკაცების მონაწილეობით ძაიანთ და უძილეთ მამიშვილობების გამოკლებით, ვინაიდან ისინი საკუთარ ტყეს

ფლობდნენ. მუშაობაში მონაწილეობდნენ ობოლ-ქვრივი დედაკაცებიც, მაგრამ მათ ცულით მუშაობას არ ავალდებულებდნენ. ისინი მამაკაცებს უზიდავდნენ წყაროს წყალს და ეხმარებოდნენ მოჭრილი ხეების შეგროვებაში. ყოველი კომლისათვის განკუთვნილი 0,5 საჟნების დადგმა სოფლიდან ამორჩეულ კაცებს ევალებოდათ.

შეშის საჟნებად აგება ხდებოდა ტოტებიანად, გაუსხვერტავად. მიღებულ შეშას თვით პატრონი გასხვერტდა. კომლობრივ დადგმული ჩაღდები ნილის ყრით ნაწილდებოდა. ქვრივ-ობლებსაც წილს მამაკაცის თანაბრად აძლევდნენ.

შეშისა და სასათრის მოჭრის სეზონად ითვლებოდა ივნისის შუა რიცხვები. ამავე დროს იცოდნენ შეშის გალების გაქერქვა ბრტყელპირა დანით ან პირგაშლილი ნამგლით შეშის გახმობის მიზნით. ქერქს იყენებდნენ გასკიდლად — ღუმელში შეყრილი შეშის გასაღვივებლად. ქერქი იმავე დღეს სახლში მიჰქონდათ, ხოლო გამოშრობა-გახმობის მიზნით შეშის ჩაღდებს ადგილზე ტოვებდნენ. თუ თოვლის მოსვლამდე შეშას სახლში ვერ ჩამოიტანდნენ, ზამთარში თოვლზე თრევით მოიტანდნენ.

შეშის, სასათრის, საგოდრის და საცოცხის დამზადების შემდეგ სოფელი კლავდა ორ ჭედილას, ხოლო ყოველი ოჯახი მიიტანდა ქადა-ხაბიზგინებს. სასმელი ამ დროს აკრძალული იყო. სადილის დამთავრების შემდეგ ტყის ირგვლივ შემოატარებდნენ წმინდა სამების ტაძრიდან გამოტანილ ბოროყს (ხატს, დროშისთავს). დეკანოზი ხალხს დაამწყალობნებდა. იქვე იტყოდა: "ვინც ამ ტყეს უნებართვოდ გასჩეხს და წესიერად არ შეინახავს, კრულიმცა იყოს და რისხავდეს წმინდა სამება". ამის შემდეგ ბოროყს ჩადგამდნენ ტყის პირად ქვემოთ ამოშენებულ ნიშში. ამას ერქვა ტყის დაკეტვა, ე.ი. მეორე სეზონამდე ხელუხლებლად დაცვა, ბოროყი ნიშში იქნებოდა ერთი-ორი კვირა, შემდეგ ისევ სამების ტაძარში შეაბრძანებდნენ.

ყოველწლიური სარგებლობის გარდა გერგეტელებს დაწესებული ჰქონდათ ყოველ კვირა დღეს ტყეში ხმელი ფიჩხის მოგროვება.

* * *

ხევის ზოგიერთი სოფელი, ცხვრის სახალახო მთები და სახნავ-სათიბები საბატონო მფლობელობაში შედიოდა. გადმოცემით დღემდე შემოინახა ცნობები როგორც სხვაგნელი, ისე ადგილობრივი მებატონეების უფლებამოსილების შესახებ. გარედან მოსულ მებატონეებად ასახელებენ კობიაშვილს, გაბაშვილს, ჩრდილელს, ყარანგოზიშვილს, ქუმსიშვილს და ვინმე ბოქოულს.

დუშელი კობიაშვილის საბატონოდ ითვლებოდა ხევსურებით დასახლებული სოფელი ართხმო და ხევსურებითა და მოხევეებით დასახლებული სოფელი მიგუდა (დღეს ორივე მათგანი ნასოფლარია). მოხევეებმა დღემდე შემოინახეს ცნობა იმის შესახებ, რომ ამ სოფლებში კობიაშვილების მოურავი იყო ხევსური გეჯია არაბული. ხსენებული სოფლების საძოვარ მთებსაც კობიაშვილები ფლობდნენ. მათ კუთვნილებად ითვლებოდა მთები სოფელ ახალციხიდან სოფელ ართხმომდე და ართხმოს გაგრძელებით სოფელ სიონის მთა ნაროვანა-

მდე. ამ მთების სახელებია ტარაგაი, პირდაპირაი, საძელე, მილივანაი, წითელთ-ძირი. კობიაშვილების საბატონოს შეადგენდა აგრეთვე საგუდამაყრო გუდამაყ-რის ხეობაში. ამ მთების დიდ ნაწილს ქირაობდნენ დიდი ჩეკიენი (გიგაურები), რომლებიც ცხვრის ფარებს მიერეკებოდნენ სოფელ ახალციხისა და ართხმოს ხევის გავლით.

გაბაშვილების საბატონოდ ითვლებოდა ღუნჭიანაი და ქუდოსძირი. ამ მთებს ქირაობდნენ სიონელი დავითაშვილები, რომელთაც ხელს აძლევდა ცხვრის გადარეკვის მარშრუტი სოფელ სიონიდან ნაროვანის გავლით.

ართხმოსა და მიგუდის გარდა დუშელი კობიაშვილები ხევის სხვა სოფლებ-შიც გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ. სოფელ ყანობში მათ ეხმარებოდ-ნენ იქ მცხოვრები გლეხი კობიაშვილები. სოფელ ხურთისში მათ ეჭირათ ერთი საყალნო. აქ საყალნო ერქვა ერთი გვარის კუთვნილ მამულს. აღნიშნული ტერ-მინი გვარის საკუთრების გამომხატველი იყო იმის გათვალისწინებით, რომ ყალ-ანი მიწის სახელმწიფო გადასახადს წარმოადგენდა. ამის შესაბამისად სოფლის მამული იყოფოდა შვიდ საყალნოდ აქ მცხოვრებ შვიდ გვარზე (გოგიშვილი, ტუ-ჩაშვილი, ჩოჩოშვილი, ჩქარეული, წიკლაური, ქემაშვილი, ელიაძე). ერთ-ერთი საყალნო დუშელი კობიაშვილების საკუთრებას შეადგენდა. მათი საყალნოს მი-წის ნაკვეთები იყო: 1. ზაით მაწრევი (3 დღიური), 2. ქოით მაწრევი (3 დღიური), 3. სამტრედიაი (2 დღიური), 4. საბზიკარაი (1 დღიური), 5. რუვის პირები (1 დღი-ური), 6. კოლატაი, 7. კისერნი. ბატონის სახლი მდგარა კისერნის ტერიტორიაზე, სადაც მაშინ ცხოვრობდა, როდესაც ყალანის ასაღებად გადმოდიოდა.

აზნაური კობიაშვილის საყალნო სოფლის სხვა საყალნოებისაგან გამიჯნუ-ლი იყო. მიჯნის ნიშანს წარმოადგენდა ყუნი — მიწაში ჩადგმული გრძელი ქვა. მის გვერდით მიწაშივე იყო ჩასმული ორი მომცრო ქვაც — ე.წ. მოწმეები. ყუნსა და მოწმეებთან ერთად გლეხების საყალნოს კუთვნილების ნიშნად ყუნთან მი-წაში ფლავდნენ შეშის ნახშირით სავსე შუშის ან თიხის ჭურჭელს. მამულების ამ წესით გამიჯვნას ერქვა დაყორღვნა. იმ შემთხვევაში, თუ მამულების მიჯნები სადავო გახდებოდა, მიჯნიდან ამოიღებდნენ ნახშირით სავსე ჭურჭელს და საზ-ღვარსაც მისი მეშვეობით დააზუსტებდნენ.

აზნაური კობიაშვილის საკუთრებას შეადგენდა აგრეთვე სოფელ ყანობის მთის ერთი ნაწილიც — ველტეხილი (40 ძირი თივის სათიბი). როგორც ეს სათი-ბი, ისე სახნავ-სათესი საყალნო, ხურთისელმა ბადაშვილებმა აზნაური კობიაშ-ვილებისაგან ფულით იყიდეს. ნაყიდობის წერილობითი საბუთი შენახული ჰქო-ნია ფიდო ბადაშვილს, რაც მე ვერ ვნახე.

ხევში არსებული საბატონო ადგილებისა და ყმების მფლობელთა შორის ფიგ-ურირებს აზნაური ქუმსიშვილი. მის ერთ-ერთ ყმად სახელდებულია გარბანელი რუხია ქუქიშვილი, რაც ჩანს ვახტანგ ერეკლეს ძე უფლისწულის სახელზე დან-ერილი მისი საჩივრიდან: "ქ. ღმერთმან ჩვენის კემწიფის ძის ვახტანგის ჭირი მისცეს ტეტია ქუმსისშვილის ყმას ქუქისშვილს რუხიას: ჩემი მკვიდრი მამული ხულელიძეს ბერსა და ნანას უჭირავსთ და არ მანებებენ. ერთი ოქმი მიბოძ-ეთ იესე ნაცვალზედ სამართლიანის საქმით. ჩემი მამული დამანებას, ღმერთი გაგიმარჯვებსთ."

განცხადებას აძევს ვახტანგის რეზოლუცია. "ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბ-ძანებ იესე ნაცვალო (იგულისხმება იესე ჩქარეული — ვ.ი.). მერე ამ არზის პა-

ტრონს რომ ასე მოუხსენიებია, ვისაც უსამართლოთ ამის მამული უჭირამს და მძლავრობით არ ანებებს, ახლა ასე სამართლიანის საქმით გამოართვი და ამას მიეც თუ სიტყვა ჰქონდეს."

საბუთს აზის ბეჭედი. ინახება ყაზბეგის მუზეუმში.

ქუმსიშვილის ყმები ყოფილან სოფელ ახალციხეში მცხოვრები ქერაშვილები. მათივე საბატონო იყო ადგილი ყორა. შემდეგ ეს მამული უყიდია პაპა და მარტია ღუდუშაურებს, რისი დამადასტურებელიცაა დღემდე შემონახული წერილობითი საბუთი: "მე ქუმსიშვილი გლახა ხელს ვაწერ. ამ წერილის ყაბული მაქვს. ღმერთმან მაგახმარას. ამიღია ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდათ... მაგყიდე მე ქუმსიშვილმა გლახამ და შვილმან...ჩემმან იასემ სახლისა ჩემისა მამავალთ, შენ ღუდუშაურს პაპას და მარტიას შვილებს და შვილისშვილებს და სახლისა თქვენის მამავალთ ჩემი სამკვიდრო მამული და ყმა კევს ახალციხეს თომას შვილები ჯირჩლაი, გლახა... რომ მჩაილი და მდავი არავინ გყვანდესთ, ღმერთმან მშვიდობაში მაგახმარასთ. მაგეცით მთით და ბარით, სახლით და კარით, წყლით და წისქვილით, შესავალით და გასავალით, ტყით და სათიბით, სახნავით. დებულება სავარიალო (?) მსახური და გაახლე თავისი ყალანი. არის ამისი მოწამე თვით ღმერთი. თავსდები კობიაშვილი რევაზ და მოწამე მელიაისძე სოლომონ.

და მე შიო დეკანოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა აპრილსა წელსა ჩყი უპიბ."

საბუთი ინახება გიგია ქერაშვილის ოჯახში. იქვე ინახება ივანე ქერაშვილის გააზატების საბუთიც:

"ქ. ჩუენ მეფის ძემ ალექსანდრე ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ ქერაშვილს ივანეს, ასე რომ რადგანაც ჩვენი დიდად ერთგული ხარ, საშვილისშვილოდ გაგვიაზატებიხარ, რომ ლაშქარ-ნადირობის მეტი არა გეთხოებოდესრა და თუ კიდევ კარგს სამსახურს დაგვანახვებ, სხვას წყალობასაც გიზამთ. გქონდეს და ღმერთმან ჩუენს ერთგულებაში მოგახმაროს." მაისს... აზის ბეჭედი — ალექსანდრე ხვეულად.

გარედან შემოსულ აზნაურებს შორის მოხევეების ხსოვნამ შემოინახა ჩრდილელის სახელი. მის საბატონოს შეადგენდა სოფელი გაიბოტენი და სოფელ გარბანში მცხოვრები გუჯარაიძეები. როგორც სოგელ გარბანში 1962 წლის 17 სექტემბერს სერგო ალექსის ძე გუჯარაიძემ მაცნობა, მისი გვარი ძირად ხევსური ხორნაულია. გარბანში გუჯარაიძეების ადგილ-მამული იყო: საქორე, ტატისეული, მაკატი, შარაისძირი, ქოსტანები, გასავალაჲ, ხატისთავი, ტყისთავი, მგლუნი, ორტყეშუაჲ, ვაკემკივანაჲ.

მამულების ფლობით გუჯარაიძეები ამაყობდნენ, რისი დამადასტურებელიცაა შემდეგი გადმოცემა: ერთ-ერთი გუჯარაიძე მთიულეთში ქორწილს შესწრებია. იკრიფებოდა საქორწილო შესაწევარი. ამ დროს მას წამოუძახებია:

"ერთი მეც გაგედარებით, გუჯარაიძე კევითა,
შვიდიოდ მთიულს ვიყიდი, გასავალაის ქერითა."

გასავალაი განსაკუთრებით მოსავლიანი ადგილი ყოფილა. მისი ნათქვამი მთიულებს აღუსრულებიათ. მკის დროს მთიულეთიდან გადმოსულან და ჯორე-

ბით წაულიათ გუჯარაიძის მიერ დანაპირები შესაწევარი. ეს რომ ჩრდილელს გაუგია, გუჯარაიძეები დაუბეგრია. საბატონო ყალანი შეადგენდა ერთ დღიურზე წელინადში ორ ან ორნახევარ მანეთს. მთხრობელს ახსოვდა რაჟდენ და ალექსანდრე ჩრდილელები, რომლებმაც რევოლუციის მოახლოვებისას მამულები გაყიდეს. უყიდიათ გუჯარაიძეებს. გადაუხდიათ 40-მდე მსხვილფეხი საქონელი, აგრეთვე დამატებით რამდენიმე ცხვარი და ფულადი თანხა. მთხრობელს ისიც გაახსენდა, რომ ჩრდილელს ჭიდაობა ჰყვარებია, მაგრამ მათ ყოველ ფალავანს გაგა გუჯარაიძე ამარცხებდა. ჩრდილელებს თან მოყავდათ ჭიდაობაში გაწაფული ერთი მომცრო ტანის კაცი. ერთხელ ის ალექსანდრესკენ გაქანებულა. ალექსანდრე გაჰქცევია და თავად კი შეცდომით გაგა გუჯარაიძეს შესჯახებია. გაგას კი ის მოუტყორცნია. მთხრობელმა ისიც მაცნობა, რომ ყალანის აკრეფის პერიოდში გაგას სახლში ჩერდებოდნენ და მათ საჭმელებს უმზადებდა მეუღლე ანიკო. გუჯარაიძეების მიერ ნაყიდი მამული 15 დღიურისა ყოფილა და ამ გვარის 11-12 კომლს ეკუთვნოდა.

* * *

სხვაგნელი მებატონეების გარდა თვით მოხევეების ერთი ნაწილიც ბატონკაცობდა. იმ პერიოდში, როდესაც ხევი არაგვის საერისთავოს შემადგენელი ნაწილი იყო, გარკვეული პრეროგატივით სარგებლობდა ღუდუშაურების ხალხმრავალი და ძლიერი გვარი. ამ ნიშნით ისინი ქალის გათხოვების შემთხვევაში ე.წ. საგორმეტოსაც ღებულობდნენ ზედმეტი ურვადის სახით (დაწვრილებით იხ. ვალერიან ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960 წ.). გვარითმეტობის პარალელურად ღუდუშაურების ძალმომრეობამაც იჩინა თავი, რაც განხორციელდა არაგვის ერისთავების მხარდაჭერით. ხევში აშკარად გამოიკვეთა არაგვის ერისთავების მოურავის შიოლა ღუდუშაურის (XVII ს.) უფლებამოსილება, რაც რელიეფური სიცხადით აისახა ხალხურ პოეზიაში და გადმოცემებში. შიოლას რეზიდენცია იყო სოფელი აჩხოტი, როგორც მისი საბატონო სოფელი. არაგვის საერისთავოს გაუქმებისა და საუფლისწულოდ გამოცხადების შემდეგ (1743 წ.) ღუდუშაურების გვარიდან მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელეს შარამბალ და სურხავ ღუდუშაურებმა, რაც ასევე ცნობილია დღემდე შემონახული ზეპირსიტყვიერებით. როგორც ჩანს, ღუდუშაურთა სიძლიერემ და ხსენებულ პირთა გავლენამ განაპირობა აჩხოტთან ერთად სოფელ თოთის ტერიტორიის მითვისებაც.

ხალხური გადმოცემის მიხედვით, ღუდუშაურებმა თოთში დაასახლეს ჩრდილო ოსეთიდან გადმოხვეწილი კაცნავლავი სალბიევები. მოგვიანებით აქვე დასახლდნენ ოსი მირაქოვებიც. სალბიევებმა რომ აქ ფეხი მოიკიდეს, ღუდუშაურებს დაუპირისპირდნენ, რომ თავი დაეღწიათ ყმური მდგომარეობისათვის და მოეპოვებინათ მკვიდრი მოსახლის სტატუსი. დავა ეხებოდა ადგილ-მამულს, რაზედაც თავდაპირველად სალბიევები ღუდუშაურებს ყალანს უხდიდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. თავისი პრიორიტეტის შენარჩუ-

ნების მიზნით ღუდუშაურების ერთი ნაწილი — ჯაბანენი, თოთში დასახლდნენ. ბოლოს ეს ბრძოლა იმითი დამთავრდა, რომ სალბიევები აქ დასახლებული ჯაბანეთ მონახევრენი გახდნენ.

ასე იმიტომ მოხდა, რომ ღუდუშაურებს ამ ბრძოლაში თემი მხარს არ უჭერდა. მოხევეები ღუდუშაურებს დაუპირისპირდნენ იმ მოტივით, რომ თოთის მთა თემმა მიაკუთვნა ნადირა ხულელიძეს დარიალის ციხეში დაბანაკებული ლეკების დამარცხებისათვის. ღუდუშაურებისთვის თოთის მიცემა მომხდარა არაგვის ერისთავების მხარდაჭერით. მოხევეები კი ერისთავების მოწინააღმდეგენი იყვნენ. ასეთი გარემოების გამო, თემის მხარდაჭერით, თოთის მთის ნაწილის შენარჩუნება ხულელიძეებმა შეძლეს. როგორც ხალხური გადმოცემა გვაუწყებს, ნადირას შთამომავალი იყო ღინჯა ხულელიძე. ამიტომ ეს მთა მემკვიდრეობის წესით ღინჯას და მის გვარს ეკუთვნოდა. გასათვალისწინებელია მეორე ფაქტორიც. ღინჯა ყაზბეგიანთ სიძე გამხდარა. ამგვარი ვითარების შედეგად ღინჯა ყაზბეგებს დაეხმარა თოთის მთის დასაკუთრებისათვის ბრძოლაში. ყაზბეგებმა რაკი თოთის მთა დაისაკუთრეს, თოთის მოსახლეობა საბალახეს ყაზბეგიანთ უხდიდა. ეს ვალდებულება დაეკისრათ არა მარტო თოთში დასახლებულ ოსებს და ჯაბანეთ, არამედ ხულელიძეებსაც, იმის მიუხედავად, რომ ყაზბეგებმა მთის მისაკუთრება ხულელიძეებთან დამოყვრების საშუალებით შესძლეს. ხალხისთვის ცნობილი იყო, რომ ხულელიძეები ყაზბეგებს ყოველწლიურად უხდიდნენ 40 თუმანს და 5 ფუთ მატყლს.

საადგილმამულო დავა სწარმოებდა სნოველებსა და ყაზბეგიანთ შორისაც. ჩემი ჩანაწერების მიხედვით, ტერიტორია ყორაშატისა და ამღისაის ქედისა წყალათ ხიდამდე სნოველებისა იყო. ყაზბეგები ძალმომრეობით შეეცადნენ მის მითვისებას. ერთ დღეს, როდესაც სნოველმა ჯოჯიკა გოდერძიშვილმა მკა დაამთავრა, ძნის წასაღებად ყაზბეგიანთ ბიჭები მოსულან. ჯოჯიკას მათთვის უთქვამს — უფროსებს შევეკითხები და მოვალო. სახლიდან მას გამოუტანია თოფი და ხმალი. ყაზბეგიანთ ბიჭებისათვის რჩევა მიუცია — თქვენს ცოდვას ნუ მომახვევთ, მიხეილს მოახსენეთ, რომ მის ნაწლავებს მისსავე მწევრებს შევაჭმევ და გოდერძიანთ საუფროსო ყანას კი ცოცხალი თავით არ დავანებებთო. ასეთმა მუქარამ მიხეილი დააფიქრა და ბიჭებს ურჩია — ჯოჯიკას შარს ნუ გადამყრითო. ამის შემდეგ ეს ადგილი სნომ შეინარჩუნა.

ყაზბეგები ცდილან ნაროვანის დასაკუთრებასაც. რუსულად დაწერილი ერთ-ერთი საჩივრის მიხედვით, ნაროვანი, რომელიც 1841 წლამდე სადავოდ არავის გაუხდია და სოფელ სიონის საკუთრებად ითვლებოდა, ერთი წლის ვადით აუღია შტაბსკაპიტან მიხეილ ყაზბეგს. ერთი წლის შემდეგ მიხეილს მისი დასაკუთრება მოუწადინებია. 1849 წელს სიონელებმა საჩივრით მიმართეს რუსეთის სამხედრო მინისტრს გენერალ ალექსანდრე ჩერნიშოვს. საჩივარს ხელი მოაწერეს სოფელ სიონის მკვიდრთ ნაროვანის უკან დაბრუნების მიზნით. მიხეილ ყაზბეგმა სიონელებს წერილით აღუთქვა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. (წერილი ინახება ყაზბეგის მუზეუმში).

ღუდუშაურების შემდეგ ყაზბეგებმა დაისაკუთრეს სოფელი აჩხოტი და ტერიტორია აჩხოტიდან სოფელ გარბნის მისადგომებამდე — გედელამდე. ყაზბეგები ამ ადგილებს გარბანლებს აძლევდნენ მოსავლის შუაზე გაყოფის პირობით.

ასეთ გარიგებას არეგულირებდა ყაზბეგიანთ მოურავი ტეტიკა მარსაგიშვილი, რომელიც გენერალ გიორგი ყაზბეგის ჯარში მსახურობდა და ხევში ჯვარ-მედლებით დაჯილდოვებული დაბრუნდა.

ყაზბეგების საკუთრებად ითვლებოდა სოფელი ტყარშეტიც, რაც ყარანგოზიშვილების საბატონოდ იქცა იმის შემდეგ, რაც ყარანგოზიშვილების დისწული ადამი ყაზბეგიანთ ქალზე დაქორწინდა. ყაზბეგებმა ქალს ტყარშეტი მზითვად მისცეს. ტყარშეტელები ცდილობდნენ, რომ მამული დაეხსნათ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. ბოლოს ივანე მაისურაძემ იყიდა ეს მამული 168 თუმნად შემდეგი პირობით: მყიდველს ეკუთვნოდა მხოლოდ მამულის ზედაპირი, ნიადაგი ერთი არშინის სიღრმით. ნიადაგის ქვემოთი კი ყარანგოზიშვილებმა შეინარჩუნეს ნიაღისეულის აღმოჩენის გუმანით. მათი ვარაუდი გამართლდა და მადნეულსაც თხრიდნენ. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კი მიწა კომლობრივად დაანაწილეს ერთ კომლზე 5 მანეთის გადახდის პირობით. ყაზბეგები სოფელ სტეფანწმინდას უმტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ მათ მიაკუთვნა სოფლის მამულების დიდი ნაწილი. გასაჩივრების შემდეგ ყაზბეგები გამტყუნდნენ. სოფელმა, როდესაც დუშეთის სასამართლოში გამარჯვებას მიაღწია, ეს საკითხი ერობის ყრილობაზე გაიტანეს და ყაზბეგები მოიკვეთეს. ამის ნიშნად მათ სამრისხველო სამანიც ჩაუყუდეს. სამანის ჩასმას და დარისხებას მთელი სოფლის მოსახლეობა დაესწრო. სამანს მეთვალყურეც დაუყენეს. ვინც ისე გაივლიდა, რომ სამანს ხელს არ დაადებდა, ის ყაზბეგიანთ მომხრედ ჩაითვლებოდა და ერობანი იმასაც გადაიშორებდნენ, ე.ი. ცხოვრების პირობებს შეუზღუდავდნენ. ამიტომ ყველა გამვლელი სამანს ხელს დაადებდა და იტყოდა - "რისხავდესთ კევის ანგელოზების მადლი".

ყაზბეგები რაკი ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, სოფელს პატიება სთხოვეს. შაქრო ყაზბეგმა (პალიკოს მამამ) დაკლა 3 ნლის მოზვერი, გააწყო სუფრა და სოფლის მამაკაცები მიიწვია. ყაზბეგებმა სოფელთან შერიგება შესძლეს გერგეტელი მოხუცების შუამდგომლობით. ამის შემდეგ ყაზბეგები ერობამ შეიწყალა და მათი ცხვარ-ძროხაც სოფლის ნახირში გაირიეს.

იმის შემდეგ, რაც ქისტების ყაჩაღობით თავმობეზრებულმა ქისტაურებმა და ხორნაულებმა ჯდის ხეობა მიატოვეს, იმასაც ყაზბეგები დაეპატრონნენ. ყაზბეგებს პატარ-პატარა ადგილები ჰქონიათ სხვა სოფლებშიც (გაიბოტენში კვირეს კარი, ნაკვეთი ტორნისაში), რასაც აქირავებდნენ ან ყიდდნენ.

კვების რესურსები და კულინარია

•

როგორც ყველგან, ხევშიც კვების პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობა და კულინარიის ნაირსახეობის საფუძველი იყო ორი ფაქტორი — ადგილობრივი ბუნებრივი პირობები და სხვა რეგიონებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობა. ადგილობრივ რესურსებს რამდენადმე ავსებდა აღმოსავლეთ საქართველოდან და რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კი ჩრდილო კავკასიიდან იმ პროდუქტების შემოტანის შესაძლებლობა, რაც ხევისათვის უცნობი იყო. ამგვარ რესურსებად გვესახება ქართლის ბარიდან პურეული და ბოსტნეული, მეზობელი მთიულეთიდან თვით მთიულების მიერ შემოტანილი ხილი ქერზე, მატყლზე, ერბო-ყველზე და მოგვიანებით კარტოფილზე გაცვლის პირობით, ხოლო ჩრდილო კავკასიიდან კი უმთავრესად სიმინდი და ხორბალი. ქართლის ბართან და ჩრდილო კავკასიასთან ამგვარი ურთიერთობა რეგულირდებოდა ფულით, პროდუქტების გაცვლით და გაქირავებული შრომით.

პროდუქტების ამგვარი რესურსებით განისაზღვრებოდა კულინარიის სისტემა, საჭმელებისა და სასმელების დამზადების ტრადიცია, ყოველდღიური საოჯახო მოხმარების რეჟიმი და ლხინის და ჭირის დროს სტუმრიანობისთვის განკუთვნილი სამზადისი.

უმთავრესად მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების, ბუნებრივი ფხალეულობის, კენკროვანების თუ გარედან შემოტანილი რესურსების გამოყენების შესაძლებლობით მოხევეების ტრადიციული კულინარია საკმაოდ ნაირფეროვანი იყო.

როგორც ყველგან, ხევშიც კულინარიის უპირველეს კომპონენტს წარმოადგენდა პური მისი ყველა ნაირსახეობით. მოხევეები ტრადიციულად აცხობდნენ ქერისა და ქერ-სვილის პურს. უპირატესობას ანიჭებდნენ მრგვალი ქერის ფქვილს, მარტოოდენ სვილის პურს ერიდებოდნენ იმ მოტივით, რომ ის მძიმე მოსანელებელი იყო და კუჭს ბერავდა. ამჯობინებდნენ რბილად დაფქულს, ვინაიდან მხვიმედ დაფქული გამოცხობის პროცესში იშლებოდა. იმ შემთხვევაში თუ ცომი მშრალად მოიზილებოდა, ცოტა წყალს საჭიროებდა. უპირატესობას ანიჭებდნენ მახუხით (დამჟავებული სითხით) მოზელვას. მახუხის დამზადების მიზნით კი ხის ხელადაში ჩაყრიდნენ რბილად დაფქულ ფქვილს და ზედ დაასხამდნენ ადუღებულ ნელ_თბილ წყალს. ეს სითხე მეორე დილამდე აფუვდებოდა. დამჟავება-აფუებას უფრო აჩქარებდა მახუხის ძირი (დედა), თუ ის დიასახლისს შენახული ჰქონდა. აფუებულ ცომს დილით რბილად მოზელდნენ, ვინაიდან მახუხიან პურს მაგრა მოზელვა არ უხდებოდა. გარდა მახუხისა, პურის ცხობის პრაქტიკაში გამოიყენებოდა ხურხაი (დამჟავებული შრატი), დო ან ვეძა. მხოლოდ მახუხით და სხვა შემცვლელი მჟავე სითხით უსათუოდ უნდა მოეზილათ ქერ-სვილის ცომიც, რათა აფუებით განეიტრალებულიყო სვილის გამბერავი თვისება. მახუხით მოზელილ პურს ხევში ერქვა ჯმიადი, ხოლო წყალში მოზელილს - პური.

ყველანაირ პურეულს კერის კეცზე ან ღუმელში აცხობდნენ. კერის კეცზე დადებული პური რომ შეფიცხდებოდა, ზემოდან ნაღვერდალს მოაყრიდნენ. კერის თავზე ჯაჭვით დაკიდებულ ქვაბში წვნიანი საჭმელიც იხარშებოდა.

ზემოხსენებულ პურებთან ერთად მოხევეები აცხობდნენ მახუხიანი ცომით

ან წყლით მოზელილ "პეპლებს" (თხელ ლავაშებს), რისი აკანებაც ხდებოდა სამი მავთულით კერისთავ დაკიდებულ კაიდარანაზე (მრგვალი ფორმის ჟესტზე) და კერის ცეცხლით ხურდებოდა. რუსული ფეჩის შემოტანის შემდეგ კი პეპლებს მის ზედაპირზე აკანებდნენ (აცხობდნენ).

მარცვლეულის ერთ-ერთ სახეობას ერქვა თათუხი, რაც ხევში ცოტა მოჰყავდათ. ის უმთავრესად მოჰქონებიათ ჩრდილო კავკასიიდან, სადაც მოხევეები ხვნა-თესვის სეზონში სამუშაოდ მიდიოდნენ და ჯამაგირად თათუხს ღებულოდბენ. თათუხი წყლით არ იზილებოდა მისი სიმშრალის მიზეზით. მისი ცომი უსათუოდ მახუხით უნდა მოეზილათ, მაგრამ მახუხით გამომცხვარი თათუხი მაინც მშრალი გამოდიოდა და საღამოსთვის მჭადივით იშლებოდა.

პურის ფორმა დიასახლისზე იყო დამოკიდებული. როდესაც ცომი მოიზილებოდა, ვარცლში ჩადებულ ცომს მოფუების მიზნით დიასახლისი ტილოს დააფარებდა. შემდეგ ის დააგუნდავებდა და სათითაოდ გააბრტყელებდა. დამხმარე რძლები პურებს ხის ხონჩაზე დააწყობდნენ და ხისავე ნიჩბით ღუმელში შეასხდენდნენ. გახურებულ ღუმელში რომ პურებს ცეცხლი ზემოდან გადავლებოდა, ლაბარს ან ჩალასაც გაანთებდნენ.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე და შეერთების შემდეგაც ხორბლის ფქვილი, რომელსაც იფქლი ერქვა, ყველა სხვა სახის პურთან შედარებით ღვედიანობით და გემოთი გამოირჩეოდა. ხორბალს მხოლოდ შეძლებული ოჯახი ყიდულობდა ჯერ საქართველოს ბარში, ხოლო რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩრდილო კავკასიაში. მცირედი რაოდენობით შეძენილი იფქლი მხოლოდ ნამცხვრის დასამზადებლად გამოიყენებოდა საქორწილოდ, მიცვალებულის სუფრისთვის და დღეობებისათვის. იფქლის ცომი მხოლოდ მახუხით იზილებოდა.

ჩრდილო კავკასიასთან დაკავშირების შემდეგ მოხევეებს შემოჰქონდათ ფულით, ნატურალური გაცვლით ან შრომაში მიღებული საზღაურით შეძენილი სიმინდიც. უფრო იაფი ღირებულა ყვითელი სიმინდი, ვინაიდან ხარისხით თეთრი სიმინდი ჭარბობდა. თეთრი სიმინდის ფქვილს იფქლშიც ურევდნენ და ნამცხვარში ხმარობდნენ. აკეთებდნენ როგორც მრგვალი ფორმის მაღალ მჭადს, ისე ბრტყელ მჭადსაც. რბილად დაფქული იზილება ცივ წყალში, ხოლო მხვიმედ დაფქულის მოსაზელად ცხელი წყალი გამოიყენებოდა, ცომის წებოვანობის მიზნით. მჭადს კერაზე არ აცხობდნენ, ვინაიდან ის დაიღრიჯებოდა. მჭადს აცხობდნენ მხოლოდ ღუმელში ან რუსული ფეჩის დუხოვკაში.

ზაფხულობით უმთავრესად გამოიყენებოდა მეზობლების მიერ საზიაროდ გაკეთებული საუბნო ღომელი. მის გასახურებლად ყველას თავისი შეშა მიჰქონდა. შეშის ნაკლებობის გამო ღომლის გახურება მორიგეობით ხდებოდა. საუბნო ღომელში მჭადს ან სხვა სახის პურს კეცზე აცხობდნენ. ცხობის პროცედურა უბნის დედაკაცების სჯა-ბაასის საშუალებაც იყო. ადგილს, სადაც საუბნო ღომელი იყო, ერქვა ღომელთ-კარი. ზამთრის პერიოდში კი საცხობად გამოიყენებოდა უმთავრესად სახლის კარსუკენაში აშენებული ღომელი.

სუფრასთან ჯდომის დროს პურის მიტანის გარკვეული წესიც არსებობდა. საოჯახო სუფრაზე ან სტუმრიანობის დროს შედარებით მცირედი რაოდენობით დადებდნენ დაჭრილ პურს. ამასთან ერთად დებდნენ მთელ პურსაც. ეს წესი დაცული იყო განსაკუთრებით სტუმრიონობის დროს. მარტოოდენ დაჭრილი პურის დადების შემთხვევაში, თუ მასთან ერთად სუფრაზე არ იდებოდა

მთელი პური, სტუმრები პურის ნაკლებობას ან მასპინძლის მომჭირნეობას იფიქრებდნენ. იმ შემთხვევაში თუ დაჭრილი პური საკმარისი იქნებოდა, მასპინძელი მთელი პურის ნაპირს მაინც წაატეხდა და შეჭამდა იმის შიშით, რომ ქალი გაუთხოვარი არ დარჩენოდათ. როგორც წესი, სუფრაზე პურის მიტანისას და სუფრის ალაგებისას დიასახლისი ილოცებოდა: "ღმერთო დოგეჯმარე პურისა და მარილის მადლო".

გარდა მჭადისა, სიმინდის რბილად დაფქული ფქვილით მზადდებოდა ალტამებიც ანუ ხამპალებიც. ალტამა წარმოადგენდა ბრტყელი მოყვანილობის პატარა კვერს. რამოდენიმე ასეთ კვერს მდუღარეში ჩაყრიდნენ და მოხარშულს ერბოსთან და ყველთან ერთად ჭამდნენ. იცოდნენ ქადისგულიანი ალტამების მოხარშვაც, რაც სატანს აღარ საჭიროებდა.

პურის ნაკლებობის შემთხვევაში ალტამებს მწყემსებიც ამზადებდნენ, მაგრამ არა ქადისგულებიანს. ერთი კაცისთვის საკმარის ნორმად ითვლებოდა ორი-სამი ალტამა ყველ-ერბოსთან და ხორცთან ერთად. სიმინდის ფქვილს მწყემსები ყიდულობდნენ ჩრდილო კავკასიაში, უმთავრესად კი ვლადიკავკაზში, აფქვევინებდნენ და ასე მიჰქონდათ ზამთრის საძოვრებზე. მწყემსები ალტამებს ზოგჯერ ხორცთან ერთად ხარშავდნენ და უფრო გემრიელიც გამოდიოდა. გარდა ალტამებისა, მწყემსები ხორბლის ან ქერის ცომით ხარშავდნენ ე.წ. გალუშკებსაც. მოხევეების მიერ ის შეთვისებულია ჩრდილო კავკასიაში, რაც მისი რუსული სახელწოდებიდანაც ჩანს. მწყემსების ცხოვრებაში ალტამამ თუ გალუშკამ მნიშვნელობა დაკარგა იმის შემდეგ, რაც გამომცხვარი პურის მაღაზიებში შეძენის შესაძლებლობა შეიქმნა.

მწყემსებისა და მგზავრებისათვის სხვა გამძლე პროდუქტებთან ერთად ხევში საგზლად გამოიყენებოდა ე.წ. ერბო-ჯალის კუნჭი. ეს სახელდახელო საჭმელი შემდეგნაირად მზადდებოდა: დიასახლისი ქვაბში ჩაყრიდა რბილად დაფქული სიმინდის ფქვილს. მას რომ მოხალავდა, ერბოში ან ზეთში აზელდა, მარილით შეაზავებდა და ბურთებივით დაამრგვალებდა. ამას ერქვა ჯალის კუნჭი.

პურს ზოგჯერ ცვლიდა მოხარშული სიმინდის ტარო მარილით.

როგორც მგზავრისა და მწყემსის საგზლად, ისე შინ საჭმელად გამოიყენებოდა აგრეთვე ჭიმური. მის დასამზადებლად ხელით გაზელდნენ მრგვალი ფორმის მჭადის გულს. თუ ის სახსნილოდ იყო განკუთვნილი, შეაზავებდნენ ერბო-ყველით, ხოლო თუ სამარხოდ გამოაცხობდნენ, ზეთს შეურევდნენ.

* * *

პურის ფქვილი, სიმინდის ფქვილის გამოკლებით, ფართოდ მოიხმარებოდა სხვადასხვა ნამცხვრის დასამზადებლადაც. ერთ-ერთი ასეთი სახელდახელო საჭმელი იყო ხაბიზგინაი, რომლის რამდენიმე სახეობა არსებობს. იმ ეპოქაში, როდესაც ოჯახი ხორბლას მცირედი რაოდენობით იძენდა, ხაბიზგინის ქერქად გამოიყენებოდა მრგვალი ქერის ან ქერ-სვილის ფქვილის ცომი. ცომი იზილებოდა წყალში ან მახუხიან წყალში. ყველაზე ხარისხიანი და გემრიელი ხაბიზგინა კეთდებოდა და დღესაც კეთდება იმ შემთხვევაში, როდესაც იფქლის ქერქში ჩაიდება ამოჭყლეტილი ან გახეხილი ახალი ყველი. თანამედროვე ხევში ხაბი-

ზგინას მასალად გამოიყენება მხოლოდ ხორბლის თეთრი ფქვილი და ახალი მცირემარილიანი ყველი.

ხაბიზგინას ძველად აცხობდნენ კერის ან ღუმელის კეცზე. შემდეგ შემოიღეს კაიდარანაი (ტაფა), რომელსაც ჰქონია ორი ყუნწი. ამ ყუნწებში გაყრილი მავთულით კაიდარანას კერის საკიდელზე ჩამოკიდებდნენ. რუსული ფეჩის შემოტანის შემდეგ ხაბიზგინას აცხობდნენ ფეჩზე ზემოდან დადებულ ხისტარიან სპილენძის ტაფაში. არსებითად შეიცვალა მდგომარეობა გაზიფიკაციის შემდეგ. თანამედროვე ხევში ხაბიზგინას აცხობენ ან გაზქურის ღუმელში, ან ელექტროღუმელში. როგორც წარსულში, ისე თანამედროვე ხევში გამომცხვარი ხაბიზგინა მდნარი ერბოთი იჭმევა, რის გამო ამ ნამცხვარს ჩაწებულიც ჰქვია. იმის შემდეგ, რაც რუსული ფეჩი შემოვიდა, ხოლო მოგვიანებით ის გაზქურამ შეცვალა, შემოიღეს ხაბიზგინის ერბოში შეწვა ტაფით, რაც ერბოში მის ჩაწებას აღარ საჭიროებს. შემწვარი ხაბიზგინა გამომცხვარ ხაბიზგინასთან შედარებით უფრო მცირე ზომისა და თხელი არის. როგორც მოხევეებმა მითხრეს, უფროს კაცებს უკმაყოფილების ნიშნად უთქვამთ: "მაში გოგიწყრა ღმერთი, როცა ისეთი ხაბიზგინები შამაიღეს, რომ სინათლე გაზდისო". ისიც ნიშანდობლივია, რომ მოხევეებმა ხაბიზგინას სასწრაფო დახმარება შეარქვეს, ვინაიდან მისი დამზადება დიდ დროს არ საჭიროებს და მალე იდება მაგიდაზე. მოხევეებს რაკი მოსწონდათ ხაბიზგინა, წესად იყო მიღებული მისი პატივად მიტანა ლხინში თუ ჭირში.

ხაბიზგინას ნაირსახეობად ითვლებოდა რამდენიმე სახის შამაკრულაი. ხაბიზგინაი იმიტომ ერქვა, რომ კარტოფილთან ყველიც იყო შერეული. ყველ-კარტოფილის ხაბიზგინაი ანუ შამაკრულაი ან ცხვებოდა და მას ერბოში აწებდნენ, ანდა ერბოში წვავდნენ, რაც ერბოს მიტანებას აღარ საჭიროებდა.

თუ ქერქში მხოლოდ აზელილ კარტოფილს ჩადებენ, მას მხოლოდ შამაკრულაი ჰქვია. მარტოოდენ კარტოფილიან ნამცხვარს ხაბიზგინაი არ ერქვა. შამაკრულას ან აცხობდნენ და ერბოში ამოწებით ჭამდნენ, ანდა ერბოში წვავდნენ და ერბოში აღარ იწებდნენ.

მოხეური კულინარიის რიგს განეკუთვნება ქონ-ყველის ხაბიზგინაც. კარგად გაფშვნილ ყველს ზემოდან დააჭრიან ძროხის მუცლის ქონს. ასევე შეიძლება ღორის, ცხვრის ან თხის ქონის გამოყენებაც, ან დუმის ჩაჭრა. უპირატესობას ანიჭებენ ძროხის მუცლის ქონს. ასე შემზადებული გული ჩაიდება ცომის ქერქში და გამოცხვება ან შეიწვება.

ყველილსგულიან ხაბიზგინასთან და ყველ-კარტოფილიან თუ მხოლოდ კარტოფილიან შამაკრულასთან ერთად მოხევეები დღემდე ამზადებენ აგრეთვე კომბოსტოსგულიან ნამცხვარს, რასაც ეწოდება კაპუსტაის შამაკრულაი. გამოცხობამდე წვრილად დაჭრიან კომბოსტოს ან მის წნილს, მოთუთქავენ, გააციებენ და გაწურავენ. ზოგიერთი დიასახლისი დაფშვნილ ყველსაც გაურევს და ცხიმად იხმარს ერბოს, ქონს ან ზეთს. ასე შეზავებულ გულს ჩადებენ სახაბიზგინე ქერქში და გამოაცხობენ ან ერბოთი შესწვავენ. უფრო გემრიელად ითვლება კომბოსტოს წნილის შამაკრულაი. სხვათა შორის, დაჭრილსა და ერბოში ან ზეთში მოთუთქულ წნილს პურის მიტანებითაც ჭამენ.

ხევში იცოდნენ აგრეთვე ბოლოკის შამაკრულაი. ძველად, როდესაც სახეხელა ხმარებაში არ იყო, ბოლოკს დანით წვრილად ჭრიდნენ, მაგრამ შემდეგ

სახეხელა იქნა გამოყენებული. წვრილად დაჭრილ ან გახეხილ ბოლოკს შეურევდნენ ერბოს, ქონს ან ზეთს, მარილით შეაზავებდნენ, ჩადებდნენ სახაბიზგინე ქვაბში და აცხობდნენ. შეწვა არ ხდებოდა.

სამარხოდ გამოიყენებოდა და დღემდე გამოიყენება ე.წ. ლებიოს შამაკრულაი (ლობიანი). ჩვეულებისამებრ მოხარშულ ლობიოს ამოზელენ, შეაზავებენ მარილით, მოთუთქული ხახვით, ზეთით და გამოკრავენ ქერქში. მომცრო ლობიანს ეწოდება ლებიოს კუტაპი. ორივე სახის ლობიანს აცხობენ ან ტაფაში ზეთით წვავენ.

ხევში ცომეული ნამცხვარის ერთ-ერთ სახეობად ითვლება ე.წ. ჯიმლოვანაის შამაკრულაი. ყველგარეულ ან მარილმოყრილ უმ ჯიმლას ქერქში გამოაკრავენ და აცხობენ ან ტაფაში წვავენ. მის სახელწოდებასთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ მოხევეები ერთმანეთისაგან განასხვავებენ ჯიმლას და სოკოს. მათი განმარტებით, სოკოს თავი ქუდივით მრგვალია და სქელი, განსხვავებით ჯიმლასაგან, რაც თხელი და გაშლილია. უპირატესობას ანიჭებენ ჯიმლას. გარდა შამაკრულასი, მისგან შეჭამადსაც ამზადებენ. ჯიმლას მდუღარეში ჩაყრიან, მარილითა და ერბოთი შეაზავებენ, კვერცხს მოასხამდნენ და პურთან შეექცეოდნენ. იციან მისი შეწვაც, ამ მიზნით გარეცხილ ჯიმლას ხელის მოჭერით გაწურავენ, შეურევენ ერბოს, ქონს ან ზეთს, ზემოდან ყველს დააფხვნიან, კვერცხს მოასხამენ, ათქვეფენ და ტაფაში შეწვავენ.

მოხევეები ერთმანეთისაგან განასხვავებენ არა მარტო ხაბიზგინებს და შამაკრულებს, არამედ უფრო მკაფიოდ განასხვავებენ ყველისგულიან ხაბიზგინას და ხაჭოპურს. ხაბიზგინისადმი ხაჭოპურის (ხაჭაპურის) წოდება ხევში მიუღებელია. მოხევეების განმარტებით და კულინარიიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ ხაჭოპური დიდი მოცულობის სქელ ნამცხვარს ეწოდება. წარსულში მის ქერქად გამოიყენებოდა თეთრი ქერის, ქერ-სვილის ან იშვიათად (უქონლობის მიზეზით) იფქლის ცომი. თანამედროვე ხევში ხაჭაპურის ქერქისთვის გამოიყენება მხოლოდ რბილად დაფქული იფქლის ცომი. მას ზელენ აუდუღარი წყლით, მაგრამ ნამცხვრის ხარისხისათვის უმჯობესად ითვლება ცომის მოზელვა რძით, დოთი ან ღალით (არაჟანით). მოზელილ ქერქში დებენ ერბოში ამოჭყლეტილ ახალ ყველს. შემდეგ ცოტა ფქვილს მოაყრიან და დაგუნდავებულ გულებს ქერქს შემოაკრავენ. თანამედროვე ხევში კარგად მომზადებული ხაჭაპური პრესტიჟული ნამცხვარია ქორწილ-ნათლობაში მისალოცად, საოჯახო დღეობებში და სტუმრისათვის. წარსულში ხაჭაპურის პატივად მიტანა ქორწილ-ნათლობაში არ ხდებოდა. ასეთ ვითარებაში უფრო მიღებული ყოფილა ხაბიზგინებისა და ქადის მიტანა. თანამედროვე ხევში მისალოცად გამოყენებულია როგორც ქადა და ხაჭაპური, ისე უმეტესწილად ხაბიზგინა. არჩევანი თვით ოჯახზეა დამოკიდებული.

* * *

მრავალნაირ ნამცხვართა შორის ხევში ფართოდ გამოიყენება მხლოვანი. როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, მხლოვნის ქერქში დებენ დანით წვრილად დაჭრილ და ერთმანეთში შერეულ რამდენიმე სახის მხალს. მათ შორის აღსანიშნავია: ჭინჭარი, ჭეკარი, ქვიშამხალაი (სიბერეში ისხამს თეთრ ყვავილს, ახალი კი ფოთლიანია და ქვიშაზეა განრთხმული), ხბოშუბლაი, ჭინჭრის დედა, ბაყაყის ფეკაი, წვრილმხალაი, ხვევრაი (კარტოფილის კვლებშია გაჯღარდლული), თიკნის ყურაი (თიკნის ყურის მსგავსი წვრილი ფოთლებით), თათამაი (რბილია, ფოთლოვანი), ერბოანაი (ბრტყელფოთლოვანია, დაბერებული კარტოფილის კვლებში ეკალივით იჯღარდლება), მჭივანაი (ახლად აღმოცენებული იკრიფება, დაბერებული კი სატყეშლებს — პატარ-პატარა ბურთულებს ისხამს და მით ბავშვები ერთობიან), ღორის ნაწლევი (ღერო ბრტყელ ფოთლებს და ყვითელ ყვავილს ისხამს), ჭაიანი ჭინჭარი (ღობის გვერდებზე წვრილადაა ასხმული პატარა ზომის ბურთულებით).

მხლოვნისთვის პირველ ადგილს აკუთვნებენ ჭინჭარს, მეორე ადგილს — ქვიშამხალას, ხოლო სხვებს გემოვნებით უმატებენ. ჭინჭარი ჭეკართან ერთად საზამთროდაც ინახება. როგორც ერთს, ისე მეორეს ჯერ მზეზე გაახმობენ და შემდეგ წნავენ. ზამთარში ასე შემონახულ ჭინჭარს და ჭეკარს ცხელ წყალში გარეცხენ, დაჭრიან, მარილით და ერბოთი შეაზავებენ და ქერქში დებენ. ბოლო ხანებში სამხლოვნედ ზამთრისთვის ჭარხლის ფოთოლსაც აშრობენ. როგორც ახალი მხალის, ისე საზამთროდ შენახული მხალისაგან დამზადებულ მხლოვანს ყველსაც ურევენ. ყველი უფრო ჭარხლის მხლოვანს უხდება. ზოგიერთი დიასახლისი მხლოვანის გულს ერბოში მოშუშულ ხახვსაც ურევს. მხლოვანს წარსულში აცხობდნენ ღომლის კეცზე, რაც შეცვალა რუსულმა ფეჩმა. მოხეური წესით, სუფრაზე მიტანილ მხლოვანთან ერთად დგამდნენ დამდნარ ერბოს, იმის მიუხედავად ნამცხვარი იყო თუ არა ერბოთი შეზავებული.

* * *

ცომეული ნამცხვრის ერთ-ერთი სახეობა იყო ფორის ტკბილაი. მას ამზადებენ ქერის, ქერ-სვილის ან ხორბლის დამტკბარი ფორით. აუდუღარი წყლით მოზელდნენ ცომს და მასში ჩადებდნენ ფორს. მას უმთავრესად სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. ყველა ოჯახში მას ახალ წელზე ერბოში ამონებულს ჭამდნენ. ისეთ ვითარებაშიც, როდესაც პატარძალი ქმრის სახლში შემოყავდათ, დედამთილი კარებში შეხვდებოდა და ზოგჯერ შაქრის ნაცვლად ფორის ტკბილას შეაჭმევდა. პატარძლის წყალზე გაყვანის დროსაც ქალები მას ფორის

ტკბილას აჭმევდნენ. ყველა ვითარებაში შესრულებული რიტუალის მიხედვით ფორის ტკბილაი ადამიანის ტკბილად ცხოვრების სიმბოლოდ გამოიყენებოდა.

ფაქტიურად მოტკბო ნამცხვარის კატეგორიას განეკუთვნებოდა მოხარშული ფხოლის (ხვნის დროს მიწიდან ამოყრილი მიწის ვაშლისნაირი ნაყოფი) შამაკრულაიც, მაგრამ მას არ ჰქონია სარიტუალო დანიშნულება.

* * *

ხევში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა შესაბამისი კალენდარული დღეობისათვის განკუთვნილი სარიტუალო ნამცხვარის მომზადებას, რაც წინასაახალწლო პერიოდიდანვე იწყებოდა. შობის წინა ღამეს ცხვებოდა ყორბოული, რასაც მეორენაირად ერქვა ქრისტეს პური. გამოიყენებოდა ყველა სახის ფქვილი, გარდა სიმინდის ფქვილისა. ცომი იზილებოდა მახუხით. ჩაბრძანებისას მზის წვერი კიდევ ჩანდა, მოიზილებოდა ყორბოულის ცომი. მოზელილი პურის ფორმას ღებულობდა. დიასახლისი ჩაის ჭიქით "დაკრუგლავდა" სამ ნაწილად. ყორბოულის ყოველ წრეზე დანით გამოსახავდნენ სამ ჯვარს. ეს ჯვრებიანი ყორბოული მხოლოდ უფროს კაცს უნდა შეეჭამა. ისე უნდა დაეტეხა, რომ ჯვრიანი ნაწილები არ დამტვრეულიყო. დედაკაცებს ყორბოული არ ეჭმეოდათ. რაც არ უნდა დიდი ჯალაბი ყოფილიყო, მხოლოდ ერთი ყორბოული ცხვებოდა.

ყორბოულის გამოცხობის შემდეგ ცხვებოდა ბედის კვერები. ცხვებოდა იმდენი, რამდენიც ქალ-ბალღი იყო ოჯახში. თითოეული ბავშვისთვის განკუთვნილი იყო თითო ბედის კვერი. მისთვისაც, ისევე როგორც ყორბოულისათვის, გამოიყენებოდა მახუხით მოზელილი ცომი. ყორბოულთან შედარებით ბედის კვერი მცირედი მოცულობისა იყო. წესის მიხედვით პირველ ბედის კვერში ერთ ნატეხ შაქარს ჩადებდნენ, მეორეში ორს, მესამეში სამს და ა.შ. ყველა ბავშვმა იცოდა რომელი იყო მისი ბედის კვერი. ვისი ბედის კვერიც მაღლა აიწევდა, ის ითვლებოდა ბედნიერად. ბავშვებს შორის ბედის კვერების განაწილებას ერქვა დასულვა, ე.ი. განაწილება სულადობის მიხედვით.

საბავშვო ბედის კვერებთან ერთად რელიგიურ დღესასწაულებზე აცხობდნენ აგრეთვე ოჯახის წევრთთათვის განკუთვნილ ბედისკვერებს, ანუ საბედო კვერებს. სხვათა შორის, წესად იყო მიღებული, რომ დანიშნული ვაჟის სასიდედრო აცხობდა და უგზავნიდა ამ კვერებს სასიძოს, ხოლო სადედამთილო — სარძლოს.

საახალწლოდ ყველა ოჯახში ცხვებოდა საკვლევი ქადა ან მახუხიანი პური. ორივე მათგანის ზედაპირზე გამოსახავდნენ ჯვარს, თუ საკვლევ ქადას გამოაცხობდნენ, ზემოდან ერბოს ნაუსვამდნენ. თუ საკვლევ პურს გამოაცხობდნენ, ჯვარის გამოსახულებაზე დააკრავდნენ გაყინულ ერბოს იმ მიზნით, რომ ერბო

და ბარაქიანობა ოჯახს მუდმივად ჰქონოდა. ახალწელზე ოჯახის უფროსი სახლიდან დილით გავიდოდა, შემობრუნდებოდა და როგორც კი შინ შემოვიდოდა, საკვლელს შემოაგორებდა. შემოაგორებდა სამჯერ და ოჯახს დალოცავდა: "შემოვდგი ფეკი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეკი ჩემი, კოლი ანგელოზისა". თუ საკვლევის დაცემისას ჯვარი ზემოდან მოექცეოდა, სასიკეთოდ ითვლებოდა. საკვლევის პირქვე დაცემა ცუდის მომასწავებელი იყო.

აცხობდნენ აგრეთვე თესლის კვერებს და ინახავდნენ საგაზაფხულო თესვამდე. ხვნის დაწყებამდე გუთნის დედა თესლის კვერს შუაზე გადატეხდა. ნაწილს თავად შეჭამდა, ნაწილს კი კვალში ჩააგდებდა კარგი მოსავლის მიღების მიზნით.

კუტაპს ერბოიანი გულით აცხობდა აგრეთვე მიცვალებულის პატრონი ოჯახი და ახალწელზე სოფელ გერგეტში დეკანოზს მიართმევდა.

* * *

ხევში ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და საპატიო ნამცხვარი იყო ქადა. ქადის მიტანით გამოხატავდნენ ოჯახისადმი პატივისცემას განსაკუთრებით ქორწილ-ნათლობაში. ქადა მოსაკითხი ძღვენის ერთ-ერთი ნაწილი იყო დამოყვრებული ოჯახების ურთიერთობაში. ქადა ამშვენებდა სასტუმროდ განკუთვნილ სუფრას. ის ნოყიერ საგზლად ითვლებოდა მგზავრისთვის, მწყემსისთვის თუ მთიბელისთვის. ყველა სხვა ნამცხვართან შედარებით ქადას ჰქონდა სარიტუალო დატვირთვაც. დღეობაზე ხატში მისვლისას ქადა მხვეწარის მიერ მიტანილი ძღვენის აუცილებელი ატრიბუტი იყო. ყოველივე ამის გამო, ქალებს მცირე ასაკიდანვე ასწავლიდნენ მისი დამზადების ტექნოლოგიას.

წარსულში ქადის ქერქად გამოიყენებოდა რბილად დაფქული ქერის, ქერ-სვილის, თათუხის ან ხორბლის ცომი. ცხადია ამ შემთხვევაშიც უპირატესობა ენიჭებოდა იფქლის ცომს, რაც უმთავრესად დღეობებში და ქორწილ-ნათლობაში გამოიყენებოდა. XX საუკუნეში, როდესაც ხორბლის ან მისი ფქვილის შეძენა გაადვილდა, ქადისთვის უმეტესად იფქლი მოიხმარებოდა. ცომს ზელდნენ ცივ წყალში, მაგრამ უმჯობესად თვლიდნენ მოზელვას რძეში, დოში ან არაჟანში. ქადის გულში დებდნენ და დღესაც დებენ დამდნარ ერბოსთან შერეულ შედარებით უმარილო ყველს. ყველ-ერბოს ნარევს მოაყრიან ცოტა ფქვილს და აზელენ. ქერქში გულის ჩადების შედეგად მომზადებულ ქადას ადრე აცხობდნენ კერის ან ღომელის კეცზე, შემდეგ რუსული ფეჩის დუხოვკაში, ხოლო გაზიფიკაციის შემდეგ გაზქურით სარგებლობენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ქადის გულში ყველის მაგივრად შაქრის ფხვნილს

ურევენ და ტკბილ ქადას აცხობენ.

ფაქტიურად ქადის სახესხვაობას წარმოადგენს ე.წ. ნამზადიც. ის ქადისაგან ფორმით განსხვავდება. ქადა ჩვეულებისამებრ მრგვალი ფორმისაა, ხოლო ნამზადი სამკუთხედის სახით ცხვება. ნამზადი კეთდება როგორც ერბო-ყველნარევი გულით, ისე ტკბილიც. ზემოდან შემოწიპწვისას ჯვარს გამოსახავენ და განკუთვნილია ბავშვებისათვის.

როგორც სტუმრიანობის დროს, ისე დღეობებში, ქორწილ-ნათლობაში და განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის დამზადებული ერთ-ერთი ნამცხვრის სახელწოდებაა ნაზუქი. მისი გამოცხობის მიზნით რბილად დაფქულის ცომი მოიზილება არაჟნით. თუ ტკბილი ნაზუქი უნდათ, ცომს შეურევენ შაქრის ფხვნილს. ცომი დაიჭრება რომბებად და ასე ცხვება ღუმელში ან ტაფაში. გამომცხვარს ზემოდან გადაუსვამენ კვერცხის გულს. ზომა საჭიროებით განისაზღვრება.

ნამცხვარის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა ე.წ. ზელილი. რბილად დაფქული სიმინდის ფქვილს მოზელდნენ ღორის ხორცის ნახარშში და შეურევდნენ ღორის ქონს. თუ ზელილს ერბოთი შეაზავებდნენ, მაშინ ზელილის ცომი წყალში მოიხარშებოდა და არა ღორის ხორცის ნახარშში. ძველად აცხობდნენ ღუმელში, მოგვიანებით რუსულ ფეჩში.

ჩიტა-ფაფობაზე მზადდებოდა 3 ცალი კუტაპი — ყველისგულიანი მცირე ზომის ნამცხვარი. ოჯახში ერთი ბავშვი იყო თუ მეტი, ამის მიუხედავად უსათუოდ 3 კუტაპი ცხვებოდა. ფიქრობდნენ, რომ ნათლისმცემელი ბავშვებს შეიწყალებდა — წითელა ან ყვავილი უმნიშვნელო დოზით შეხვდებოდათ. დედა ბავშვებს სახლის დერეფანში გაიყვანდა. თან მიჰქონდა ეს 3 კუტაპი, ხაბიზგინა და რძე. ბავშვებს შეაჭმევდა ხაბიზგინას და დააყოლებინებდა აუდულარ რძეს. რძის შესმისას დედა ბავშვებს ხელის ტერფზე დააწვეთებდა რძის სამ-სამ წვეთს. შინ არ შემოაბრუნებდნენ არც რძეს და არც კუტაპებს. გარეთ რომ ეს წესი შესრულდებოდა, ბავშვები სახლის კარიდან შეუძრახავდნენ: დედავ, დედავ რას ადულებ? დედა შიგნიდან უპასუხებდა — ჩიტა-ფაფასაო. ახლა ერთ-ერთი ბალღი შეუკივლებდა: ჩემი წილი ბაკანი (ჯამი) საითკეაო? დედა გამოსძახებდა — ზემო თაროსაო. შემდეგ ბალღი კიდევ შეუკივლებდა: თაგვნი ვის ყანას მკიანო? დედა უპასუხებდა: მიგუდელთასაო, გველეთელთასაო და ა.შ. შემდეგ მოუსხდებოდნენ სუფრას და ხაბიზგინას შეექცეოდნენ.

რაკი ბავშვებზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე უნდა ითქვას, რომ მოხევე ბავშვები მოკლებულნი იყვნენ ტკბილეულით და ხილით სიამოვნებას. უხილო ხევში მხოლოდ კენკროვანების (მოცვის, ქუბის) მინდვრად მოკრეფა თუ შეეძლოთ, ასევე ზოგიერთის ეზოში მდგარ ხეზე წოროს ან ეკალში ზუთუს მოკრეფა. მაღაზიაში შესაძენი ტკბილეული იშვიათი გამონაკლისი იყო მხოლოდ ზოგიერთი შეძლებული ოჯახის ცხოვრებაში. უმთავრესად მიღებული ყოფილა მგზავრის მიერ საკმელის (ფიჭვის) კევის მოტანა ქალებისათვის. მოტანილ კევს დაურიგებდნენ არა მარტო ოჯახის წევრ ქალებს, არამედ ნათესავებსა და მეზობლებსაც. მოხუ-

ცი დედაკაცებისათვის განკუთვნილი იყო ბურნუთი. იმის შემდეგ კი, რაც მეცხვარეები ყიზლარს დაუკავშირდნენ, ბავშვებისათვის მათ მოჰქონდათ ძირტკბილა (ბუნებაში მოპოვებული ტკბილი ფესვები), რასაც რეცხავდნენ, ღეჭავდნენ და წვენს ყლაპავდნენ. ეს წესი გრძელდებოდა ყიზლარის მიტოვებამდე.

სარიტუალო ნამცხვართა შორის მოცულობით და დანიშნულებით გამოირჩეოდა ე.წ. ქობობი (ქადა), რაც ერთ ფუთს იწონდა და ერთ ლიტრა (4 კგ.) ერბოს საჭიროებდა. შედარებით მცირე ზომის ქადასაც, რაც ხატისთვის იყო განკუთვნილი, ქობობი (ქობობაი) რქმევია. ქობობი რქმევია აგრეთვე ერთფუთიან პურსაც. მას აცხობდნენ ან კერის კეცზე ან ღუმელში. ალის ზემოდან გადავლების მიზნით ანთებდნენ ლაბარს ან ჩალას. შებოლილ ზედაპირს საფანელით გადაწმენდნენ. გამობრუნება ხდებოდა ირგვლივ შემოვლებული ყდედით (უღლის ღვედით). ქობობს (ქადას) აცხობდნენ ან რომელიმე დღეობაზე ან სანახაობაში, როდესაც ქალის ოჯახს ვაჟიანნი ესტუმრებოდნენ. გამომცხობელი იყო ვაჟიანთ გვარის უფროსი დედაკაცი. ქალიანთ ოჯახში მიტანილ ქობობს ჩააბარებდნენ ქალის გვარის უხუცესს დედაკაცს. ისვე დაჭრიდა ისე, რომ ქალის გვარის ყველა წევრს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, თითო ნაჭერი შეხვედროდათ. გარდა საქორწინო ურთიერთობაში არსებული წესისა, რომელიმე დღეობაში ქობობს ამზადებდა ყოველი გვარი ან უბანი, რის გამო მას საუბნო ქადაც ერქვა. მოგვიანებით დაწესდა ასე: საუბნო ქობობს (ქადას) აცხობდნენ ერთუბნელები და ნაჭრებს ანაწილებდნენ უბნელ ოჯახებს შორის. იმ შემთხვევაში თუ სანახაობას აწყობდნენ ქალის ოჯახში, ქობობს ანაწილებდნენ არა გვარის კუთვნილების მიხედვით, არამედ ერთ უბანში მცხოვრები სხვადასხვა გვარის წევრებს შორის. ქობობს ჩვეულებისამებრ ჭრიდა ან ქალის უფროსი დედაკაცი, ან უბნის უხუცესი დედაკაცი სხვა გვარისა.

ხორცეული

როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მოხეურ კულინარიაში საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და არის ხორცეული. საკვებად ხორცეულის მოხმარებამდე სათანადო მნიშვნელობა ენიჭებოდა ხორცის პირველადს დამუშავებას და შენახვას, როგორც მისი ჰიგიენური პირობებისა და ხარისხის შენარჩუნების უცილობელ პირობას.

ხორცის დამუშავება და საჭმელად მისი შენახვა იწყებოდა საკლავის დაკლვის დღიდან. საკლავს რომ ყელს გამოჭრიდნენ, კისრიდან აჭრიდნენ პატარა ნაჭერს — ე.წ. სამგლეს და გადააგდებდნენ. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. მგელი რომ დაუნდობელი მტაცებელია, ალბათ მისი მოთვინიერების საშუალებად იყო მიღებული სამგლე ნაწილის აჭრის რიტუალი. ხევში მგლის უქმიც ამგვარ რწმენასთან ჩანს დაკავშირებული.

საკლავისათვის თავის მოჭრის შემდგომ პროცესს წარმოადგენდა მისი გატყავება. გატყავებას მოყვებოდა გამოშიგნვა, შიგნეულის დასუფთავება და გულის დაკლვა — გულის ჯვარედინად გაჭრა და ე.წ. ყურების აჭრა.

ზაფხულში მიღებული იყო ქონის და დუმის ჯერ დამარილება და კომლში გამოყვანა, ხოლო შემდეგ კარსუკენაში (სამყოფო ნაწილში შესასვლელი) ქანდარაზე ჩამოკიდება. ასეთივე წესით ინახავდნენ ცხვრის, ძროხის, ღორის და ჯიხვის ხორცს. ზოგი ქონს ადნობდა და ქილაში ინახავდა. ხორცის უქონლობის დროს წვენს ქონით აზავებდნენ, მაგრამ მას თუ მეორე წლამდე შეინახავდნენ, მძახდებოდა და ბავშვები ვერ ჭამდნენ. ღორის ხორცს ქონს არ აყრიდნენ, ხორცს ქონიანად დაჭრიდნენ და ასე მოხარშულს ნივრის მარილწყლით ჭამდნენ.

თანამედროვე მოხეური კულინარია ისევეა გამრავალფეროვნებული, როგორც ეს არის ქალაქებში. საქართველოს სხვა რაიონების ანალოგიურად ხევშიც მოხდა კვების სიტემის უნიფიკაცია, რაც კუთხეებსა და ქალაქებს შორის ურთიერთობის გამარტივებამ განაპირობა. ამასთან ერთად მოხეველებმა შეინარჩუნეს მამა-პაპური საჭმელ-სასმელებიც, რასაც ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით გავეცანი. ადგილზე გამოკითხვით გაირკვა, რომ ხორცით სხვადასხვა სახის საჭმელი მზადდებოდა.

სადილად მიღებული იყო წვენ-ხორცი. ამ სახელწოდებით აღინიშნებოდა ხორცის წვნიანი კერძი, განსხვავებით შეჭამადისაგან, რითაც იწოდებოდა რძიანი თუ მცენარეული წვნიანი. წვენ-ხორცს შეანელებდნენ ხახვით, წიწაკით, მკვლიავით, ქონდრით, მარილით. მეტწილად იყენებდნენ ქონდარს. ზოგიერთი დიასახლისი ცხვრის წვენ-ხორცს ჩაურევდა ბრინჯს, ლაფშას, ქაშს, კომბოსტოს ან მის წნილს. ყველა ცხოველის ხორცის შენვა ხდებოდა ტაფაზე. ღორის ხორცის შენვის შემთხვევაში მის ქონში კარტოფილის შენვაც მიღებული იყო. მწვადად უმთავრესად გამოიყენებოდა ღორის, ჯიხვის ან ცხვრის ხორცი, მაგრამ არც ძროხისა და თხის ხორცს ერიდებოდნენ. მწვადის შენვა ხდებოდა ნაკვერცხალზე გართული შამფურებით. ყაურმა მხოლოდ ცხვრის ხორცისა იყო. იცოდნენ მთელი ცხვრის ჩაყაურმებაც. მიღებული იყო ჯიგრის (ფილტვ-ღვი-

ძლის) ყაურმაც. ძროხის, ცხვრის ან ღორის თავ-ფეხით მზადდებოდა ნიორწყლით შეზავებული ხალადეცი. მოხარშულ ცხვრის დუმას ჭამდნენ მოხარშულ ღვიძლთან ერთად. ერთიმეორეზე დაადებდნენ ღვიძლისა და დუმის თხელ ნაჭრებს. დუმის გადნობის შემდეგ დარჩენილი ნახშიორაც საჭმელად იყო გამოყენებული.

ღორის ხორცს ზამთარში გარეთ კიდებდნენ და ყინავდნენ. ზოგჯერ კი დაკლულს დაამარილებდნენ. დამარილებულს ან თავისივე ტყავით შეახვევდნენ ან ვარცლში ჩადებდნენ. ერთი კვირის შემდეგ ხორცს ლორებად ჩამოკიდებდნენ სენაში (საკუჭნაოში), კარსუკენ ან დერეფანში. მოხარშვამდე წყალში ჩადებდნენ ზედმეტი მარილის მოცილების მიზნით. ხარშვის პროცესში ზოგი დიასახლისი კარტოფილსაც ჩააჭრიდა. ჭამდნენ პურთან ან ალტამსთან ერთად.

* * *

საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე უფრო დიდ მოწონებას იმსახურებს მოხეური ხინკალი. მისი გარეგნული ფორმა და გემო დამოკიდებულია გამკეთებლის ოსტატობაზე, რაშიაც პირველ ყოვლისა ქალები არიან დახელოვნებულნი, ხოლო ნაწილობრივად მამაკაცებიც. მამაკაცები განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდნენ სახინკლე ცომის მოზელვაში, ვინაიდან ზელვის პროცესი დიდხანს გრძელდება და საკმაოდ დიდ ენერგიასაც საჭიროებს. სიდიდის მიხედვით ერთმანეთისაგან არის განსხვავებული საშინაო მომცრო ზომის ხინკალი და დიდი ზომის ე.წ. მეცხორული ხინკალი. მეცხვარეები იმიტომ ხარშავენ დიდ ხინკლებს, რომ თავიანთი შრომითი რეჟიმის პირობებში დრო არა აქვთ მცირედი ზომის ხინკლების კეთებისათვის.

სახინკლე ცომი მზადდებოდა ხორბლის ფქვილისაგან. საამისოდ და ნამცხვრისთვის კი ხორბალი მცირედი რაოდენობით შემოჰქონდათ საქართველოს ბარიდან ან ჩრდილო კავკასიიდან. სახინკლე ფქვილი შეიძლებოდა ყოფილიყო თეთრი ან თალხი. ზოგი უპირატესობას ანიჭებდა თალხ ფქვილს. ცომი რაკი მოიზილებოდა, მას გააბრტყელებდნენ და ჩაის ჭიქის დაჭერით მრგვალ ნაჭრებად დაანაწევრებდნენ. თითოეულ მათგანში ჩაიდებოდა ხინკლის გული და ხდებოდა მისი შემოწიპწვა. მეხინკლის საქმედ ითვლებოდა მრავალნაოჭიანი ხინკლის მომზადება. ნაკლად იყო მიჩნეული სქელქერქა ხინკლის დამზადება და შემოწიპწვის შემდეგ დიდი კუჭის დატოვება.

ცომის ხარისხთან ერთად ხინკლის გემო დამოკიდებული იყო ხორცის ხარისხზე. სახინკლედ გამოიყენებოდა ცხვრის, ძროხის ან ჯიხვის ხორცი. უმჯობესად ითვლებოდა ცოტა რაოდენობის ღორის ხორცის შერევაც. სახინკლე ხორცს კეპავდნენ ცულით, ხოლო შემდეგ ხმარებაში შემოვიდა ხორცის საკეპი მანქანა. მოხევეების მტკიცებით, ცულით დაკეპილი ხორცი უფრო მეტ

წვენს იყენებს, რაც ხინკლის ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელთაგანია. სანელად გამოიყენება მარილი, შავი პილპილი, ნიორი, ხახვი და მკვლიავი (ძირა). ეს უკანასკნელი ძალიან არომატულია და მოხევეების გავლენით სხვა კუთხეებშიც გავრცელდა. შემოწიპწულ ხინკლებს ყრიან მდუღარეში. ცოტაოდენი დუღილის შემდეგ მოურევენ ე.წ. ჯირტალათი — ნიჩბის ფორმის ხის კოვზით. ჯირტალას იყენებდნენ სხვა რამის მოხარშვის დროსაც, როდესაც ხინკლები მდუღარეში წამოტივტივდებოდნენ, ხარშვაც მთავრდებოდა. ქვაბიდან ამოღებული ხინკლები სუფრაზე ხის ხონჩით მიჰქონდათ.

შეიძლება ითქვას, რომ ხინკალი ხევში დღემდე ყველაზე უფრო საპატიო საჭმელად ითვლება. ამიტომ მოხეური ხინკლით გამასპინძლება მასპინძელის პრესტიჟის მაჩვენებელიცაა და სტუმრის სიამოვნებაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ხინკლობის დროს სასმელებიდან უპირატესობა ენიჭება არაყს და ლუდს.

სხვათა შორის, ხევში ხინკლის მოხარშვასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ჩვეულებაც არსებობდა. ერთ-ერთ ასეთ ჩვეულებას წარმოადგენდა ხინკლობადღე ქორწილში. ამ დროს გასათხოვარი ქალები ხინკლებში ჩააყოლებდნენ მცირედი ზომის წიწკებს (წკირებს). ვისაც ეს წიწკი ამოყვებოდა, ის იმ ხინკლის გამკეთებელი ქალის საქმაროდ მიიჩნეოდა. მაგრამ ეს საიმედოდ ითვლებოდა იმ შემთხვევისთვის, თუ წიწკი იმას ამოყვებოდა, ვის სახელსაც ქალი გულისხმობდა. თუ წიწკი სხვას შეხვდებოდა, ქალი იმედს კარგავდა. ბოლო პერიოდში შემოიღეს ხინკალში წარწერიანი ქაღალდის ჩაყოლება. თუ ვაჟს ასეთი ხინკალი ამოუყვებოდა, რომელში ჩადებულ ქაღალდშიც მისი სახელი ეწერა, იმართებოდა შაირსიტყვაობა. საქორწილო ხინკლობის დროს ვაჟებს ეკისრებოდათ ხინკლების "შესყიდვა". თუ ვაჟები ხინკალს შეჭამდნენ და ქალებს ფულით ან ტკბილეულით არ დაასაჩუქრებდნენ, ქალები თავის ნათესავ-მოკეთე ვაჟებს ქუდებს მოსტაცებდნენ და მხოლოდ წადილის აღსრულების შემდეგ დაუბრუნებდნენ.

* * *

გარდა ხორცისა, მოხევეებმა იციან შიგნეულის (დაკეპილი ფაშვი, ნაწლავები, თირკმელი, ღვიძლი, გული) ხინკლის დამზადებაც. მიუღებელია ფილტვის გარევა იმის გამო, რომ ხარშვის დროს ფილტვი იბერება და ხინკალი სკდება. ასე დამზადებულ ხინკალს ჩვეულებრივი სახინკლე ცომი ესაჭიროებოდა და გულსაც ისევე ანელებდნენ, როგორც ხორცის ხინკლის გულს.

მოხევეები ამზადებენ კუპატსაც, რასაც ეწოდება შიგანური. მის შემადგენლობაში შედის ყველა სახის შიგნეული ფილტვის გამოკლებით იმავე მიზეზით, როგორც მას ერიდებიან შიგნეულის ხინკლის ხარშვის დროს. ანელებენ და აზელენ ისე როგორც დაკეპილ სახინკლეს და ჩადებენ დაკლული ცხოველის

მოუხარშავ ნაწლავებში. დატენილ ნაწლავებს ცოტა ხნით ამოავლებენ მდუღარეში და გაცივებულს კიდებენ ცეცხლთან ახლოს. შებოლილს 10-14 დღის შემდეგ ისევ მდუღარეში ჩადებენ და შემდეგ ჭამენ.

* * *

ხორცისა და შიგნეულის გარდა მოხევეები ამზადებენ ხინკალს სხვა მასალითაც. ერთ-ერთია ნივრის ხინკალი. მისთვის იყენებენ ჩვეულებრივ სახინკლე ცომს. ნიორს დანაყავენ, მოაყრიან მარილს, დაუკიდებენ ფქვილს, დაასხამენ წყალს, გათქვეფენ კოვზით და ქერქში შემოწიპწავენ (შემოახვევენ). ასეთივე მასალით აცხობენ ნივრის კუტაპსაც. ერბოთი შეზავებული კუტაპი იყო სახსნილო, ხოლო ზეთით შეზავებული სამარხო.

გემოთი და დიეტურობით გამოირჩევა ახალი ყველის ხინკალი. გაფშვნილ-გახეხილი ყველს დებენ ჩვეულებრივ სახინკლე ქერქში და ყრიან მდუღარეში. როგორც კი ნამოტივტივდება, ხარშვა მთავრდება. თუ ოჯახს ახალი ყველი არა აქვს, ერთმანეთს შეურევენ ძველ ყველსა და მოხარშულ კარტოფილს. კარტოფილი ყველის მარილიანობას ანეიტრალებს. მზადდება მარტოოდენ კარტოფილის ხინკალიც. ახალი ყველის, ყველ-კარტოფილის ან კარტოფილის ხინკალი ნახევარმთვარის ფორმისა კეთდება და შემოწიპწულია ნახევარწრის მხრიდან. ყველა მათგანი იჭმევა დამდნარ ერბოსთან ერთად.

* * *

ხინკალთან ერთად ხევში გემრიელ და სტუმრისთვისაც საპატიო ნამცხვრად ითვლება ხორცოვანი. მისი დამზადების ტექნოლოგია დღემდე შეუცვლელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტორს, რომ ხორცოვანის ქერქად დღეს მიღებულია მხოლოდ ხორბლის თეთრი ფქვილის ცომი, ხოლო ძველად, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, გამოიყენებოდა ყველა სახის პურეულის ფქვილი, გარდა სიმინდის ფქვილისა. ნებისმიერი რბილად დაფქული ფქვილი იზილება აუდუღარ ცივ წყალში. ქერქში იდება ფაქტიურად ხინკლის გული. ცხვება ისე როგორც ხაბიზგინა. წარსულში საცხობად გამოიყენებოდა კერის ფილა, ღომელი ან რუსული ფეჩი. ამჟამად ხმარებაშია გაზქურა. ცხობის პროცესში ზედაპირზე საორთქლე ხვრელს ტოვებენ, რომ ხორცოვანი არ ამოიბეროს ან არ გასკდეს.

ხორცოვანის გარდა აცხობენ ცხვარ-ძროხის შიგნეულის ან ჯიგრის კუტაპებსაც.

* * *

მოხეურ კულინარიაში გარკვეული ადგილი უჭირავს ნანადირევსაც. ჯიხვზე ნადირობა უფრო მეტად მიღებულია შემოდგომაზე, როდესაც ის მსუქანია. მის ხორცსაც უმთავრესად წელიწადის ამ სეზონში და ჩამარილებულს ზამთრისთვისაც იყენებენ. ხაფანგით იჭერდნენ ან თოფით ხოცავდნენ ფრინველებსაც (მწყერი, კაკაბი, შურთხი...). როდესაც ხევში ყანები ითესებოდა, მოსავლის აღების პერიოდისათვის განსაკუთრებით იყო მომრავლებული მწყერი. ისინი ძნების ზვინებში ბუდობდნენ და მათი ცოცხლად დაჭერაც შესაძლებელი იყო. ზოგიერთი მდ. თერგსა და სნოს წყალში კალმახსაც იჭერდა. საკალმახოდ იყენებდნენ მდინარეში ჩადგმულ კალათს, ბადეს ან ნემსკავს. მდინარის პირთან კალმახის მოზიდვის მიზნით ძველად იცოდნენ ლაბარის (სვილის ჩალის) დანთება. ცეცხლის შუქზე ნაპირთან მოსულ კალმახს ხელითაც იჭერდნენ და ხანჯლითაც ხოცავდნენ. ჯიხვის მწვადი, შემწვარი ფრინველი თუ კალმახი ნებისმიერი ოჯახის სუფრას ამშვენებდა განსაკუთრებით სტუმრიანობის დროს. ამასთან ერთად მოხევეები იყენებდნენ უმთავრესად ვლადიკავკაზში შეძენილ თევზეულს, რაც მოიხმარებოდა როგორც სამარხოდ, ისე მიცვალებულის სუფრაზე. ნაყიდი თევზი თუ უმარილო იყო, მას წყალში ხარშავდნენ ან ტაფაში წვავდნენ. შეწვა ხდებოდა სახსნილად ერბოში, ხოლო სამარხოდ ზეთში.

მოხევეები საჭმელად კვერცხსაც იყენებენ (ან ხარშავენ, ან ერბო-კვერცხს აკეთებენ). ძველად მას საგზლადაც იყენებდნენ: მოხარშულ კვერცხს ქერქის პატარა ნაწილს მოატეხდნენ და ორი-სამი დღით მარილწყალში ჩადებდნენ. კვერცხი ასე დიდხანს ინახებოდა. იცოდნენ აგრეთვე ე.წ. წყალკვერცხაი. მდუღარეში ჩაასხამდნენ მარილით შეზავებულ ათქვეფილ კვერცხს და ჩაურევდნენ ერბოს.

შეჭამადები

ხევში შეჭამადი ერქვა სხვადასხვა მასალით დამზადებულ საჭმელებს. მისთვის გამოიყენებოდა როგორც რძე, ისე ფხალეული. ერთ-ერთ რძიან შეჭამადს ერქვა რძეჭრელაი. მას ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ ადუღებული რძე მასში ჩადებული ერბოს თვლებით ჭრელდებოდა.

ორნაირი ფუშრუკიდან ერთი იყო წყლისა, მასში ჩაყრილი ცომის პატარა ნაწილებით, ხოლო მეორე იყო რძის ფუშრუკი — რძეში მოხარშული ცომის ნაწილები. ფუშრუკს სცვლიდა ატრიაი — გაბრტყელებული ცომის ოთხკუთხად დაჭრილი ნაწილები. ატრიას მეორე სახეობას ერქვა მახუხის წვენის ატრიაი. მახუხის წვენით გამჟავებულ წყალში ჩაყრიდნენ ატრიას, ჩაყრიდნენ მარილს და შეაზავებდნენ ერბოთი ან ზეთით.

ერთ-ერთი რძიანი შეჭამადია ქაშდონაი — წყალში მოხარშული სიმინდის ღერღილი — შეზავებული რძითა და ჩაჭრილი კარტოფილით. ასევე რძიანი შეჭამადია ჩაჭრილაი — წყალ-რძეში ჩაჭრილი კარტოფილი.

რძიანი კერძის ერთ-ერთი სახეობა იყო რძის ლაფშაი. დიასახლისი მაგრად მოზელილ ცომს (ქერის, ხორბლის) თხლად გააბრტყელებდა, მაკარონივით გრძლად დაჭრიდა და მდუღარეში ჩაყრილს მარილით და ერბოთი შეაზავებდა.

შეჭამადი ერქვა აგრეთვე წვნიანს, როდესაც წყალ-რძის ნარევ მდუღარეში დაუკიდებდნენ სიმინდის ფქვილს და ჩააჭრიდნენ კარტოფილს.

წვნიან კერძებს განეკუთვნებოდა ფხალეულის შეჭამადიც. ერთ-ერთი მათგანის სახელწოდება იყო მხლის შაჭამადი. ამ შემთხვევაში მხალის სახეობად იგულისხმება ღოლოს ფოთოლი, რასაც კრეფდნენ წვიმისაგან მისი გადარეცხვისა და მზის სხივებით შეშრობის შემდეგ. მოკრეფილ ღოლოს სათითაოდ ბერტყავდნენ, რომ მას მწერი ან ლოკოკინა არ შეჰყოლოდა. სახლში მიტანილს ორი დღით გროვად დაყრიდნენ სუფთა ტილოზე ან დიდ ვარცლში იმ ვარაუდით, რომ დამჭკნარიყო. დამჭკნარს ქალის თმასავით წნავდნენ, მაგრამ ღეროებს არ ჩააწნავენ. ამის შემდეგ ღეროებს მაკრატლით აჭრიდნენ. 5-10 მეტრი სიგრძის ნაწნავებს გასაშრობად ჩრდილში კიდებდნენ. ასეთ პირობებში ფოთოლი სიმწვანეს ინარჩუნებდა. შემდეგ ამ მშრალ ფოთოლს სუფთა ტომარაში ჩადებდნენ და კვლავ ნიავზე კიდებდნენ, რათა ფოთოლი არ დანესტიანებულიყო და არ დაობებულიყო. მისგან დიდ მარხვაში და ოთხშაბათ-პარასკეობით ამზადებდნენ ზეთით და მარილით შეზავებულ შეჭამადს, რასაც ყველა ჭამდა, გარდა ძუძუთა და ჩვილი ბავშვებისა. შეჭამადის მომზადებისას ტომრიდან ამოიღებდნენ დაწნული ღოლოს ფოთლებს, დუქარდით თხელ ფენებად დაჭრიდნენ და მდუღარეში ჩაყრიდნენ. სხვათა შორის, ღოლოს ნახარში ბავშვებისთვისაც გამოიყენებიდა ხველების წამლად.

მომჟავო გემოს ღოლოსგან განსხვავდებოდა ასევე ბრტყელფოთლიანი ჭეკარი, რითაც ჭეკრის შეჭამადი მზადდებოდა. ამ მიზნით ჭეკარი გამოიყენე-

ბოდა როგორც ზაფხულში, ისე ზამთრისთვისაც ინახავდნენ ისეთივე წესით, როგორც ღოლოს. შეჭამადის მომზადების მიზნით ჭეკარს დუქარდით დაჭრიდნენ და ჩაყრიდნენ მდუღარეში. ერთ მჯიღ საფანელთან ერთად ერბოში მოშუშავდნენ ხახვს, ქვაბში კვერცხსაც ჩაასხამდნენ, ხოლო შესქელების მიზნით წყალში წინასწარ გახსნილი თეთრი ფქვილითაც შეაზავებდნენ.

მოხევეები ამზადებდნენ ჭინჭრის შეჭამადსაც. გარეცხვის შემდეგ მას დანით წვრილად დაჭრიდნენ და წყლის ადუღების შემდეგ შეაზავებდნენ მარილით, კვერცხით, ხახვით და ერბოთი. ჭინჭრის შეჭამადი სახსნილო საჭმელი იყო. ზამთრისთვის ჭინჭარი ისეთივე წესით მზადდებოდა და ინახებოდა, როგორც ღოლო და ჭეკარი.

ზემოხსენებული ფხალეულისაგან განსხვავებით მჟაველა საზამთროდ არ ინახებოდა. ზაფხულობით ახალი მჟაველას შეჭამადი მზადდებოდა. დანით დაჭრილ მის ღეროს წყალში ხარშვისას შეურევდნენ კვერცხს, ღალას (ნაღებს) და მარილს.

რძის პროდუქტები

მეცხოველეობაში კარგად გაწაფული მოხევეები კვების სიტემაში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ რძის პროდუქტებით სარგებლობას. საამისოდ მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიას, ისე მათი შენახვისა და სეზონური გამოყენების პრაქტიკას.

რძის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო ერბო და ყველი, რომელთა დამზადებაც ხალხური წესით ხდებოდა. როგორც წესი, ძროხას დღეში ორჯერ წველიდნენ — დილით საძოვარზე გაშვების წინ და საღამოთი საძოვრიდან მოსვლის შემდეგ. დღეში ასევე ორჯერ წველიდნენ ბაგური კვების დროსაც. დილის მონაწველ რძეს გობებში დააყენებდნენ და საღამოხანს ღალას (ნაღებს) მოხდიდნენ. საღამოზე მონაწველს ნაღებს აღარ მოხდიდნენ, რომ ყველისთვის ცხიმი შეენარჩუნებინათ. ქილას რომ არაჟანით აავსებდნენ, შემდეგ მას სადღობელში ჩაასხამდნენ და დღვებდნენ მანამდე, ვიდრე კარაქი დოსაგან განცალკევდებოდა. სადღობელიდან ამოღებულ კარაქს გუნდა-გუნდა ცივ წყალში ამოავლებდნენ, შემდეგ ქვაბში ჩაყრიდნენ და ნელი ცეცხლით კარაქს ერბოდ გადაადნობდნენ. დულილის შედეგად ერბო ზემოდან მოექცეოდა. დამდნარი ერბოს ძირში რჩებოდა თეთრი მასა, რასაც ნაძირალაი ეწოდება. მას ფქვილს მოუკიდებდნენ და ფაფასავით ჭამდნენ.

დამდნარ ერბოს ასხამდნენ მოჭიქულ ქილაში და გრილ ადგილას დგამდნენ. ქილას ზემოდან ჭაჭს (ფიქალს) დაახურავდნენ იმის გათვალისწინებით, რომ უჰაეროდ არ დაეხშოთ. ერბო უმეტესად ზაფხულის პერიოდში გროვდებოდა და ხარისხითაც უკეთესი იყო. ზაფხულის ერბოს სიკეთე ბევრად იყო დამოკიდებული ბალახზე, რასაც საქონელი სძოვდა. მოხევეების დაკვირვებით, ყვითელი და ხორხოშელა (კორკოტა) ერბო მზვრის ყუვათიანმა ბალახმა იცოდა.

ერბოს საჭიროების გამო ხევში მთლად მოუხდელი რძისგან ყველის დამზადება არ ხდებოდა. მაგრამ იმისათვის, რომ უცხიმო ყველი არ მიეღოთ, საღამოხანს მოწველილ ძროხის რძეს მოუხდელად ყველში უშვებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევში ცხვრის რძეს ნაღებს არ ხდიდნენ. ალბათ იმიტომაც, რომ ცხვრის ერბო გემოთი და სურნელებით ძროხის ერბოს ჩამოუვარდებოდა. ყველის ხარისხისთვის კი ოპტიმალური იყო საღამოხანს მოუხდელი ძროხის რძისა და საერთოდ მოუხდელი ცხვრის რძის შერევა. რძის ამგვარ შერევას უმთავრესად მიმართავდნენ მცირედი ცხვრის პატრონები. ის ოჯახი კი, რომელსაც ბევრი ცხვარი ყავდა, ცხვრის ყველს ცალკე ამზადებდა.

ხევში მარტივი იყო ყველის შეწურვის ტექნოლოგია. რძეს რომ გაათბობდნენ, ხსენს გაურევდნენ, რძე თეთრ მასად შედედდებოდა და ამოწურავდნენ უმთავრესად პარკში, ხოლო ზოგჯერ ჯამშიც. მოაყრიდნენ მარილს და როგორც კი გამაგრდებოდა, ჩაყრიდნენ მარილწყალში. საყველე კასრის სარქველად გამოიყენებოდა ბრტყელი ჭაჭი (ფიქალი).

ყველის ამოწურვის შემდეგ დარჩენილ სველს (შრატს) წამოადუღებდნენ. სითხის ზემოდან მოტივტივდებოდა თეთრი მასა — ე.წ. ნადუღალი. დიასახლისი მას ქაფქირით ამოიღებდა და საწურში ან თხელ პარკში გაწურავდა. მარილით ამოზელილი ნადუღალით სავსე პარკს ყველის მარილწყალში დებდნენ და ზამთრისთვისაც ინახავდნენ. ნადუღალს აზავებდნენ ერბოთი, რასაც ერბო-ნადუღალი ერქვა. ნადუღლის მარილწყალსაც — რძეში ან წყალში გახსნილს, პურთან ან მჭადთან ერთად ჭამდნენ. მას მოხარშული კარტოფილიც უხდება. ასევე აკეთებდნენ ხაბიზგინას (შამაკრულას) კუტაპს ან ხინკალს. გემრიელ საჭმელად ითვლებოდა აგრეთვე აჯიჯიქაი — ტაფაში ერბოთი მოდუღებული ნადუღალი ან ახალი ყველი.

მდუღარეში ნადუღალი ზემოდან რომ მოიყრებოდა, ქვაბში დარჩენილ სველს (შრატს) გადაწურავდნენ და ძირში დარჩებოდა ნირღი — რძის ნაბოლარა პროდუქტი. ჭამდნენ პურთან, მჭადთან ან კარტოფილთან ერთად. ზოგი მარილწყალსაც აკეთებდა. გარდა ამისა, იცოდნენ აგრეთვე ყველის, ღალის (არაჟანის), რძის, ნადუღლის, ხაჭოს, ნივრის მარილწყალიც.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამჟავებული რძე აიჭრიდა, მას გააცხელებდნენ, სველი (შრატი) დაიწკლეტდა, ხოლო ზემოდან მოექცეოდა ხაჭო. მას ამარილებდნენ და ჭამდნენ ერბოსთან და პურთან ერთად. მისგანვე ამზადებდნენ შამაკრულას, კუტაპს ან ხინკალს და ერბოში ამოწებულს ჭამდნენ. ხაჭოს ამზადებენ დოსგანაც. დოს გააცხელებენ, ისე რომ არ ადუღდეს, სველი დაიწკრეტს, ხოლო ხაჭოს პარკში გაწურავენ.

ფაფეულობა

მოხევეები ყოველდღიურ ცხოვრებაში, რელიგიურ დღესასწაულებზე თუ სამგლოვიარო დღეებში ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ფაფეულობას. საოჯახოდ ხარშავდნენ ქერის ან სიმინდის ფქვილის ფაფას. ხევში სიმინდის შემოტანის დღიდან ფაფის მოსახარშად მხოლოდ სიმინდის ფქვილი გამოიყენებოდა. მისი დამზადების მიზნით მდუღარეში ნელ-ნელა ყრიან ფქვილს და თანაც კოვზით ურევენ, რომ არ დათლიკვდეს (ცომის ბურთულები არ შეიკრას). ხარშვის პროცედურის დრო დიასახლისის ალღოზეა დამოკიდებული. ჩვეულებისამებრ მიღებულია ფაფის ერბოთი შეზავება, მაგრამ ბოლო ხანებში დასაყოლებლად რძეც შემოიღეს, რაც განსაკუთრებით ბავშვებს მოსწონთ. ასევე ერბოთი და რძით ჭამენ სიმინდის ღერღილის ფაფას, რაც ასევე მდუღარეში იხარშება და რუსულის გავლენით მას ქაში ეწოდება.

წვნიან-ფაფეულის ერთ-ერთ სახეობას, რაც წყალში ან რძეში იხარშება, ეწოდება ქაშდონაი. ის ასე მზადდება: მდუღარეში ჩაყრიან სიმინდის ღერღილს იმ ზომით, რომ კერძი წვნიანად მოიხარშოს. მასში კარტოფილსაც ჩააჭრიან. თუ წყალში იხარშება, ხახვითაც შეაზავებენ. ოჯახის ყველა წევრისთვის განკუთვნილ ჯამში ერბოს დებდნენ. რძეში მოხარშულს კი უერბოდ ჭამდნენ. თვით წყალში მოხარშული კერძის სახელწოდება რუსულ-ოსური ჩანს, ვინაიდან ქაში რუსული სიტყვაა, ხოლო დონ (წყალი) ოსური.

სამარხოდ გამოიყენებოდა მახუხი, როგორც ცხიმიანი ფაფეულის შემცვლელი. მახუხი ასე მზადდებოდა: ნელ-თბილ წყალში ჩაყრიდნენ სიმინდის ფქვილს და თბილად დაქოლავდნენ. ორ-სამ დღეში მოფუვდებოდა, წამოადუღებდნენ და ჩაურევდნენ ზეთს.

ხევში ვისაც გოგრა ჰქონდა ნაყიდი, მის ფაფასაც ამზადებდნენ. წვრილად დაჭრილს რომ მოხარშავდნენ და ჩააფაფებდნენ, ცოტა რაოდენობით დაუკიდებდნენ სიმინდის ფქვილს. სხვა ფქვილი მიუღებელი იყო. თუ ის სახსნილო იყო, ერბოს შეურევდნენ, ხოლო სამარხოს ზეთით შეაზავებდნენ. გემოვნების შესაბამისად იჭმეოდა პურთანაც და უპუროდაც.

ფაფეულობაში შედის აგრეთვე ბრინჯის ფლავი - პილპილით ან შაქრის ფხვნილით შეზავებული. როგორც წარსულში, ისე თანამედროვე ცხოვრებაში სავალდებულოდ ითვლებოდა შილაფლავის მომზადება მიცვალებულის სუფრისთვის. ჩვეულებისამებრ წვრილად დაჭრილი ცხვრის ხორცისა და ბრინჯის ნახარში შეზავებულია შავი პილპილით და მარილით. ცხადია, მასთან ერთად სუფრაზე მიდიოდა კოლიოც — წყალში მოხარშული, გაწურული და შაქრის ფხვნილით ან თაფლით დატკბილებული ხორბალი.

ფაფეულის ერთ-ერთი სახეობა იყო ე.წ. დოს ფაფა, ანუ დოს შაჭამადი. ის ასე მზადდებოდა: დოს აადუღებდნენ, დაუკიდებდნენ სიმინდის ან ქერის ფქვილს (უმჯობესია სიმინდი), მოადუღებდნენ ფაფად და ჭამდნენ ერბოთი.

ფაფეულობ̇ის კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. ფოფხიც, რამდენადაც მას ჯერ ფაფად ამზადებდნენ, ხოლო შემდეგ ტაფაში წვავდნენ. წყალში გათქვეფდნენ ქერის, ხორბლის ან სიმინდის ფქვილს, მოაყრიდნენ მარილს, დიდი კოვზით დაასხამდნენ ტაფაში, ხსნილში ერბოთი, ხოლო მარხვაში ზეთით შეწვავდნენ "ბლინასავით".

მოხევეები ამზადებდნენ ცერცვის ფაფასაც. მთხრობლების ცნობით, ცერცვი ბლომად მოყავდათ სოფელ ცდოში. ზოგიერთის მოსწრებით ცერცვით გოდრები ივსებოდა. ცერცვს რაც უფრო მსხვილი ყიპჭო ჰქონდა, ის მით უფრო უკეთესად ითვლებოდა. სოფელ ცდოს თავისთვის საკმარისი პურიც მოყავდათ. როგორც მითხრეს, "ძაუგის გზა მათ არ იცოდნენ". ცდოში თესდნენ აგრეთვე კანაფს, ხახვს და ნიორს.

მოხარშულ ცერცვს ამოჭყლეტდნენ და ერბოთი შეაზავებდნენ. დიდმარხვაში წვნიან ცერცვს ქერის ან ხორბლის ფქვილის საფანელით და ზეთით შეზავებულს ამზადებდნენ. ცერცვს უმადაც ჭამდნენ. ვინაიდან ცდოში ცერცვი ბლომად მოდიოდა, ამიტომ ხევში ცნობილი იყო ე.წ. ცდოური ცერცვი.

ცდოურ ცერცვთან ერთად გამოიყენებოდა აგრეთვე ე.წ. კადური — კადიდან (მთიულეთის სათავეებიდან) შემოტანილი ცერცვი.

მცენარეულ შეჭამადთან ერთად მოხეურ კულინარიაში ფართოდ მოიხმარებოდა ადგილობრივი თუ შემოტანილი ფხალეულ-ბოსტნეული, რაც ან ნატურალური სახით იჭმეოდა ან წნილად იდებოდა. ერთ-ერთი მათგანის სახელწოდება იყო სირსოლაი. იგი წარმოადგენდა სიმინდის, ხორბლის ან თათუხის ნახარშს, ერბოთი შეზავებულს, რასაც ან წვნიანად ჭამდნენ ან გაწურულს.

ნაყიდ სიმინდთან ერთად გამოიყენებოდა ასევე ნაყიდი ლობიო. გარეცხილ ლობიოს წყალში დაალბობდნენ, მოხარშავდნენ, ხსნილში შეაზავებდნენ ხახვით, წიწაკით და მარილით. სამარხოდ განკუთვნილ ლობიოს ზეთს ურევდნენ, ხოლო სახსნილოს — ერბოს. ლობიოს ამოჭყლეტა არ ხდებოდა. მას ბარძიმად ჩაურევდნენ ხორბალსაც იმის რწმენით, რომ ლობიო ბარძიმით უფრო ეამებოდათ მიცვალებულებს.

ადგილობრივი და შემოტანილი მასალით ხევში რამდენიმე სახის წნილი მზადდებოდა. ადგილობრივი მცენარეებიდან წნილად დებდნენ სასხეპიას, დიყს, მჟაველას, მდოგს და ბაშოს.

სასხეპიაი ყანებში იზრდებოდა, ღეროზე ფოთლებს იკიდებდა, თავზე თეთრ კურკოვან ყვავილს ისხამდა. ყანაში ბავშვები კრეფდნენ და ღეროს ჭამდნენ. ოჯახი კი მას წნილად მოკრეფდა. ღეროს წვრილად დაჭრიდნენ ქილაში ან კასრში ჩაამარილებდნენ. შეაზავებდნენ წიწაკით და მკვლიავით, დაასხამდნენ წყაროს წყალს. წნილდებოდა 4-5 დღეში.

დიყი მაღალღეროიანი და ბრტყელფოთლიანი მცენარეა, რაც სათიბებში იზრდება. ფოთოლს რომ მოაცილებდნენ და ღეროს გაფცქვნიდნენ, დანით დაჭრილს და მარილმოყრილს ფენა-ფენა ჩადებდნენ ქილაში და ზემოდან დააჭრიდნენ მჟაველას ფოთლებს. დაასხამდნენ წყალს და შეანელებდნენ მკვლიავით. წნილს ზემოდან დაადებდნენ ჭაჭს (ფიქალს), რომ წნილმა ზემოთ არ აიწიოს და წყალი ქვემოთ არ დარჩეს, 3-4 დღის განმავლობაში დიყი წნილდება.

მჟაველას წნილი. მიწაზე გაჯღლარდული მჟაველას შერევა ხდებოდა არა მარტო დიყის წნილში, არამედ თვით მჟაველას წნილიც მზადდებოდა. გარეცხილ-გასუფთავებულ მჟაველას ქილაში მჭიდროდ ჩადებდნენ და დაასხამდნენ მარილიან წყალს. წნილდებოდა ორ-სამ დღეში. საჭმელად ვარგისი იყო მხოლოდ ერთ კვირამდე. ამის შემდეგ გალარდღოვდებოდა და აღარ იჭმეოდა.

მდოგის წნილიც გაკეთებისთანავე იჭმეოდა, საზამთროდ არ ინახებოდა. ღანძილ მდოგს დამარილებულ აუდუღარ წყალში ჩაყრიდნენ და მკვლიავით შეაზავებდნენ. წნილდებოდა სამ დღეში.

ბაშოს წნილი. ბაშო ღეროზე ასხმული ფოთლებით იზრდება ტყიან ადგილებში — უმთავრესად კი სტეფანწმინდის მთაში, რასაც არეშისთავი ეწოდება. მოხევეები აქედან ბაშოს ტომრებით ეზიდებოდნენ. ღანძილს დანით ჭრიდნენ და მჭიდროდ დებდნენ ქილაში ან კასრში, რათა წვენი გამოეშვა. ცოტა წყალსაც უმატებდნენ. შეურევდნენ მარილს და ნიორს. წნილდებოდა ერთ კვირაში და ინახებოდა წლამდე. იჭმევა დაუწნილებელიც, მაგრამ მომწარო გემო აქვს. დაწნილებული ბაშო სიმწარეს კარგავს, მჟავდება, მაგრამ რამდენადმე უსიამოვნო სუნს კი ინარჩუნებს.

XIX საუკუნიდან ხევში უპირატესობა მიენიჭა შეძენილი ბოსტნეულის

წნილეულს. მითუმეტეს თანამედროვე ხევში თითქმის ყველა ოჯახი აწნილებს კომბოსტოს, კიტრს, წითელ ჭარხალს, თეთრ ბოლოკს და ზმარტლს. ზოგიერთი ოჯახი კეთებას თავს არიდებდა და გამზადებული წნილეული ვლადიკავკაზიდან მოჰქონდათ. ოჯახების უმეტესობა წნილეულს თავისი გემოვნებით თავადვე ამზადებდა. ყველაზე დიდი რაოდენობით აწნილებდნენ ვლადიკავკაზიდან მოტანილ კომბოსტოს. დანით წვრილად დაჭრილ კომბოსტოს შეურევდნენ ასევე წვრილად დაჭრილ სტაფილოს, წიწაკას და მკვლიავს. ერთმანეთში არეულს მჭიდროდ ჩადებდნენ კასრში, რომ წვენმა თავზე წამოუაროს. წყალს არ ასხამდნენ. წნილს ზემოდან დაადებდნენ ფიქალს — ე.წ. სასხერპს, რითაც წნილი ისხერპება ე.ი. იჭეჭყება. დაწნილების დაწყებისას ჯერ კომბოსტოს წვენი აფუვდება, შემდეგ ფუილი შეწყდება, 4-5 დღეში ფუილი დაიწევს და დაწნილებაც მთავრდება.

კომბოსტოსთან ერთად ჭარხალიც ვლადიკავკაზიდან მოჰქონდათ. ბოსტნეულის ადგილზე მოყვანა ჭირდა სარწყავი სისტემის უქონლობის გამო. მორწყვის გარეშე კი ბოსტნეული ვერ ხეირობდა. ბოლო ხანებში რომელ სოფელშიც წყალი გაიყვანეს, მორწყვაც შესაძლებელი გახდა და გემრიელი ბოსტნეულიც მოყავთ. საწნილე ჭარხალს რომ მოხარშავენ, ქერქი გადასძვრება და დაჭრილს წყაროს წყალში ჩაყრიან. სანელად იყენებენ მარილს, ნიორს და წიწაკას. მკვლიავს არ ურევენ. წნილდება 12-15 დღეში.

კიტრის წნილიც იმის შემდეგ შემოვიდა ხმარებაში, რაც ვლადიკავკაზიდან მისი მოტანის შესაძლებლობა შეიქმნა. საწნილედ შერჩეულ მცირე ზომის კიტრებს სათითაოდ წააჭრიან თავ-ბოლოს, ჩაყრიან აუდუღარ წყალში, ჩაურევენ შუა-შუა გაჭრილ ხახვის თავებს, წიწაკას, ნიორს და მკვლიავს. კიტრი 4-5 დღეში წნილდება.

ხევში ამზადებენ თეთრი ბოლოკის წნილსაც. ნაყიდ ან სახლში მოწეულ ბოლოკს კარგად გარეცხავენ, გაფხეკენ, ლუკმა-ლუკმის ზომაზე დაჭრიან და წყაროს წყალში ჩაყრიან. მასთან ერთად წნილდებოდა ნიორიც.

მოხევეები ამზადებდნენ ზმარტლის წნილსაც. მას ყიდულობდნენ ან გაცვლით იძენდნენ მთიულებისაგან. ჩასაწნილებელ ზმარტლს წააჭრიდნენ თავ-ბოლოს — ე.წ. ბაჯუჯებს, ჩაყრიან უმარილო წყალში და ერთ კვირაში მჟავდება. პახმელიაზე მყოფთ წვენიც მოსწონთ.

* * *

ფხალეულის დიდი ნაწილი დაუწნილებლადაც იჭმევა. ასეთებია: დუცი (იჭმევა მისი გაფცქვნილი ღერო, ჰგავს დიყს, მაგრამ ოდნავ მწარეა); ჭერთხალაი (იჭმევა მისი მომჟავო ღერო); მთის ღოლო (იჭმევა მჟავე გემოს გაფცქვნილი ღერო); მკვლიავი (იჭმევა მისი წვრილი, მარცვალი, ხოლო დაბერებული სანელადაც გამოიყენება); ენძელაი; ფამფარაი (იჭმევა ღერო, რომელიც რძის წვეთებს გამოყოფს); ფამფარაის მსგავსია რძეონაი; კურმუხაი (ნარიანი ბალახის ფესვია, ხნულში კრეფენ); კურმუხას მსგავსია ნარაი და კაწაი; ხატოტი (მომწარო გემოს ღერო აქვს); ფხოლი (იკრიფება ხნულში, იჭმევა უმადაც და მოხარშულიც.

წატკბო გემო აქვს. მისგან შამაკრულასაც აკეთებენ, რაც გოგრის ნამცხვარს წააგავს. იჭმეოდა ფხოლის ჭიმაიც); წიწმატაი (მინდვრის წიწმატი); კლდის დუმაი (კლდეზეა გაჯიჯღული ბალახის ფერით. იჭმევა უმად); ხორხოშელაი (კლდის ხავსია კლდის დუმასავით); სურო (იჭმევა გაფცქვნილი ღერო); დეკა (იჭმევა მისი ყვავილი); კიტრი-კომბალაი (იჭმევა ღეროზე მოსხმული კიტრის მსგავსი პატარ-პატარა ნაყოფი); ჩუგუკიტრაი (ღეროზე მოსხმული კიტრის მსგავსი მცირედი ზომის ნაყოფი); ესკალაი (იგივე ასკილი, ისხამს ეკალი), გულს გამოაყრევინებენ და ქერქს ჭამენ, მოტკბო გემო აქვს. ხმარობენ ჩაიდაც, ოღონდ გამხმარს რომ არ გაფუჭდეს. მისი ნაყენი შველის თირკმელებს და კუჭის აშლილობას. ჩაიდ იწოდება ცხრაძარღუაც. ჩაიდ იწოდება ორი სხვადასხვა ყვავილიც. ერთი მათგანი დაბალია, ქუბის მსგავსი თავით, ყავისფერი. მათი სახელები უცნობია. ასევე ჩაიდ იწოდება ია, მაგრამ ის უმეტესად სამბოს სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ჩაიდ იწოდებოდა აგრეთვე ჭეკრის კურკო. ჩაიდ გამოყენებული ყოფილა ყვითელი ფერის გაჯიჯღული ყვავილი, რომლის სახელი უცნობია. ჩაიდ გამოიყენებოდა ფოთლებიანად მოკრეფილი ქუბი (ველური მარწყვი). იზრდება ქვიან-ჯაგნარიან ადგილებში. ზაფხულობით ჭამდნენ, ხოლო ზამთრისათვის ჩაიდ ახმობდნენ. ყველაზე მეტად მოიხმარებოდა მინდვრის ქონდარი და პიტნა. ქონდარი მხოლოდ ჩაიდ გამოიყენებოდა, პიტნა კი წამალიც იყო კუჭის აშლილობის წინააღმდეგ. ქონდარი სანელებლადაც იხმარებოდა თითქმის ყველა ურძეო საჭმელში.

ხევის ყველა სოფელში მინდვრად კრეფდნენ მოცვს, რასაც შავი ხელი ეწოდება. კრეფდნენ უმთავრესად ბავშვები და ქალები. ჭამდნენ დიდი სიამოვნებით. ზოგი მურაბასაც აკეთებდა, ზოგიც ახმობდა და კუჭის აშლილობის წინააღმდეგ იყენებდა. მისგან განსხვავებით მოკრეფილს პირდაპირ ჭამდნენ ე.წ. წითელ ხილს, საწურავას და ხახამას. მოცვის ანალოგიური კენკროვანებია როგორც აქ ხსენებული წითელი ხილი, საწურავაი და ხახამაი, ისე ეკალხუნწაი, ხუნწი, კოწახური, ველური მარწყვი. ეკალხუნწაი მსხვილი მარცვალია — ეკლის თითოეულ ღერზე თითო ცალი. დამწიფებისას ეკლის ტოტი იზნიქება. მისგან განსხვავებით ხუნწი წვრილია, ხე ბლომად ისხამს. კოწახური რომ მოიკრიფებოდა, მოხარშავდნენ და ზამთარში ხორცის სანელად იყენებდნენ. კოწახური ნათლიმცემლის მიდამოებშია. მას ყაზბეგლების ვენახს ეძახიან. მოხარშულ კოწახურს ინახავდნენ ქილაში. როგორც მოხევეებმა მითხრეს, მას კრეფდნენ ფერისცვალებაზე. ისიც აღნიშნეს, რომ ამ დღეს მოკრეფილი ყველაფერი წამალიაო.

ეკლის ყვითელი და მუავე კენკროვანია ზუთუ, რასაც კრეფდნენ უმეტესად სტეფანწმინდისა და ჩიმის ეკალში. გოდრებით მოტანილს ტილოს გადააფარებდნენ და დასამწიფებლად ჩალის ზვინში ინახავდნენ. მოკრეფისას ზუთუ მკვახეა, წითელი ფერით. დამწიფებული თეთრ ფერს ღებულობდა. თუ მოკრეფის პერიოდში თრთვილმა ან თოვლმა მოუსწრო, უფრო ადრე მწიფდება. უფრო მეტი იკრიფებოდა ჩიმის ეკალში. აჩხოტის ეკალი ზოგი ხალხმა გაჯაგა, ზოგიც წყალმა წალეკა.

ხევის თითქმის ყველა სოფლის (უმეტესად ქვემო ხევის) ეზოში დგას ნოროთი დახუნძლული ხე. ნორო მუავეა. ამიტომ უფრო შაქრით კისელს ხარშავენ. ზამთრისთვის ფოთლებიანად კრეფენ და დირეზე კუნჭ-კუნჭად კიდებენ გასახმობად, რათა ბავშვებს კისელი მოუხარშონ კუჭის აშლილობის დროს.

სასმელეების დამზადებისა და გამოყენების წესი

სტუმართან შეხვედრისას, სახალხო დღეობებზე, ქორწილ-ნათლობაში თუ სამგლოვიარო სუფრაზე მოხვეეები სასმელად იყენებენ არაყს, ლუდს, კაპარს და ღვინოს. ნაყიდ ღვინოს უმთავრესად შეძლებული ოჯახები იყენებდნენ. ღვინო მოიხმარებოდა აგრეთვე გერგეტის წმინდა სამებაში გამართული მარიამობის დროს, როდესაც დეკანოზები გახსნიდნენ ე.წ. ჭავჭავაძიანთ ქვევრებს — ჭავჭავაძეების მიერ სამებისთვის შეწირულსა და ქვევრებში დაყენებულ ღვინოს. უმთავრესად კი სასმელად გამოიყენებოდა არაყი სადღესასწაულო სუფრაზე, კაპარი (ადგილობრივი ბურახი) სამგლოვიარო სუფრაზე, ხოლო ლუდი მხოლოდ სოფელ სიონში, სადაც დაწესებული იყო ლუდის გამოხდა მნათეობაში რიგით მონაწილე გვარების მიერ.

ყველა სახის სასმელი ხალხური ტექნოლოგიით მზადდებოდა.

დავიწყოთ იმითი, რომ არაყის გამოხდის პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საარაყე ფორის მომზადება. საამისოდ გამოიყენებიდა ქერის, ქერ-სვილის ან სიმინდის ფქვილი. მთხრობელთა განმარტებით, მათ შორის ყველაზე კარგია სიმინდის ფქვილი, თუმცა ყუვათიანობით უპირატესობა ენიჭებოდა ქერ-სვილის ფორს. ფაქტიურად ფორის დამზადების ტექნოლოგიაში გამორიცხული იყო ხორბლის ფქვილის გამოყენება, ვინაიდან ის მარცვლეულის დეფიციტს შეადგენდა და უმეტესად ნამცხვრისთვის მოიხმარებოდა.

პირველ ყოვლისა საჭიროა გავეცნოთ საარაყე ფორის დამზადების ტექნოლოგიას. დამამზადებლის დაანგარიშებით, რომელი ქვაბიდანაც 6 "ჩეთვერთი" (18 ლიტრა) არაყი უნდა დამდგარიყო, საამისოდ საჭირო იყო 1 საცერი ფქვილი — ერთ ფუთზე ცოტათი ნაკლები. ეს საფორე მარცვლეული ჩაიყრებოდა ტომარაში. შემდეგ მას ჩადებდნენ მდინარე წყალში, ვინაიდან დამდგარ წყალში მას სუნი დაეედებოდა. დამდგარ წყალში თუ ჩაყრიდნენ, მაშინ წყალს უცვლიდნენ მანამდე, ვიდრე ღივი გაიხსნებოდა. წყალში იდებოდა 5-7 დღე, მაგრამ თბილ ამინდში 5 დღეც საკმარისად ითვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში დალბებოდა და ცოტათი გამოღივდებოდა. თუ ხმელი მარცვალი იქნებოდა, უფრო გვიან დალბებოდა. გარკვეული დროის შემდეგ წყლიდან ამოიღებდნენ, გარეცხავდნენ და ხახალში ან საცერში გაწურავდნენ, რომ წყალი არ შეჰყოლოდა. შემდეგ მოიტანდნენ სახლში და საფენზე გაშლიდნენ, რომ მიწა და კენჭი არ შეჰყოლოდა. თუ სახლს ფიცრის იატაკი ჰქონდა, მაშინ პირდაპირ იატაკზე ყრიდნენ და თბილად ხურავდნენ. ასე 3 დღე ხურდებოდა. შემდეგ ყოველდღიურად ახდიდნენ, ნაპირებსა და შუაგულს ერთურთში აურევდნენ, რათა თანაბრად შეხურებულიყო და გაღივებულიყო. შუაში საჰაერო ადგილს დაუტოვებდნენ, რომ ონჩარს (ორთქლს) ევლო და არ გადამწვარიყო. როცა სულ გამოღივდებოდა, დატკბებოდა და დაჯიგრდებოდა (ყავისფერს მიიღებდა), გამოიტანდნენ სახლიდან და მზიან დღეს გარეთ საფენზე გაფენდნენ. მერე ისევ ტომარაში ჩაყრიდნენ და მეორე დღემდე დადგამდნენ, რომ მეტად დამტკბარიყო. სიტკბოს მზე აძლევდა. შემდეგ გახმობამდე ყოველდღე ფენდნენ, გამხმარს კი წისქვილზე რბილად ფქვავდნენ.

საარაყის დასამზადებლად აიღებდნენ თავმოდგმით ორ საცერ სიმინდის ფქვილს და დაასხამდნენ თბილ წყალს, რომ ფაფა ძალიან არ გახშირებული-

ყო, წამოდუღებისას არ მიმწვარიყო. ხის კასრში დატოვებდნენ ერთ კვირამდე, ვიდრე ცოტათი დამჟავდებოდა. შემდეგ მას აადუღებდნენ საარაყე ქვაბში. მასში ჩადებდნენ ცეცხლმოდებული შეშის ნაჭერს და როცა მას საარაყე აღარ მოეცხებოდა, დუღილიც დამთავრდებოდა. შემდეგ დაასხამდნენ ნელთბილ წყალს, რომ გათხელებულიყო. ამ ხსნარს დააყრიდნენ ერთ თავმოგებული საცერის ფორს. გამოიყენებოდა ქერის, ქერსვილის ან სიმინდის ფორი, ხოლო ფაფა სიმინდისა უნდა ყოფილიყო. დანარჩენი მარცვლეული ფქვილის ფაფა არ მზადდებოდა. ფაფა ასე იდუღებდა ერთ კვირამდე. დუღილის დამთავრების შემდეგ ფაფის სისქე ძირს დაიწევდა, ხოლო სითხე (წვენი) ზემოთ წამოვიდოდა. ზემოდან ფუილი (ჩუხჩუხი) რომ შეწყდებოდა, ამას ერქვა დაბრუნება. დაბრუნებულ საარაყეს სამ-ოთხ დღემდე აჩერებდნენ და პირში გამოვლებით ამოწმებდნენ მის სიძლიერეს. შემდეგ საარაყეს ქვაბში ჩაასხამდნენ. ადუღებამდე ქვაბი ღია იყო და გამოხდის წინ ნიჩბით მოურევდნენ. ამის შემდეგ გამართავდნენ საქობეს (საქვაბეს). ქვაბს შემოდგამდნენ ზედადგარზე ან ორი მხრიდან დადებულ ქვებზე. ქვაბთან მოადგამდნენ გეჯს ისე, რომ გეჯის ლულა შეერთებულიყო ქვაბის სახურავის ლულასთან. ქვაბისა და გეჯის ასეთნაირად გაწყობის შემდეგ ქვაბს მოხდიდნენ, ქვაბში ჩაასხამდნენ საარაყეს და შეუკეთებდნენ ძლიერ ცეცხლს. როგორც კი ქვაბი გაცხელდებოდა, გამუდმებით ურევდნენ ნიჩაბს, რომ ფაფა არ მიმწვარიყო და ნაკუშლიანი არაყი არ გამოსულიყო. ფაფის ადუღების შემდეგ ცეცხლს ანელებდნენ, რომ საარაყე ქვაბიდან არ გადმოდენილიყო.

ვისაც შეძლება ჰქონდა ხორბლის არაყს აყენებდა, რაც უპირატესობით გამოირჩეოდა. კიდევ უფრო ხარისხიანი არაყი გამოდიოდა ხორბლისა და სიმინდის შერევის შედეგად. ეს იმიტომ, რომ მარტოოდენ ხორბლის ფქვილი იგლისება და არაყი ნაკუშლიანდება. სასურველად ითვლებოდა აგრეთვე მშრალი მრგვალი ქერის ფქვილის შერევა. ხალხის დაკვირვებით ასევე აიგლისებოდა ბრტყელი ქერისა და ქერ-სვილის ფქვილის ფაფა. ამიტომაც ქერის ან ქერ-სვილის ფქვილს ფაფისათვის კი არ იყენებდნენ, არამედ მათგან საარაყე პურებს აცხობდნენ. მოხევეების განმარტებით, სიმინდის არაყი ბევრი არ დგებოდა, რძესავით ფერს ღებულობდა. როდესაც მას სხვა რამეს გაურევდნენ, ბევრი არაყიც დგებოდა. ხალხის დაკვირვებით, ძლიერი არაყი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებული იყო სიმინდის ფორი და ფაფად სიმინდისა და ხორბლის ნარევი.

იმის გამო, რომ ქერისა, ქერ-სვილისა და ხორბლის არაყი ფაფით არ მზადდებოდა, აცხობდნენ საარაყე პურებს. ასეთ შემთხვევაში ფორი კი ჩვეულებრივად მზადდებოდა, როგორც ამის შესახებ ზემოთ ითქვა. ჩვეულებრივად რბილად ან მხვიმედ დაფქული ალათუთოდ (რბილად) მოიზილებოდა და კასრში ჩაიყრებოდა და ერთ კვირამდე სითბოში აჩერებდნენ, რომ მოფუვებულიყო. ამის შემდეგ ცომს ამოიღებდნენ და პურივით გააბრტყელებდნენ. თუ ცომი ცოტათი თხელი იქნებოდა, საფანელსაც მოაყრიდნენ და მოხეურ ღუმელში ან რუსულ ფეჩში გამოაცხობდნენ. კარგად გამომცხვარს დაამტვრევდნენ და ცივ წყალში ამოჭყლეტდნენ. შემდეგ ამ მასას ჩაასხამდნენ ვედროებში და ტაშტებში, დააყრიდნენ ერთ საცერ ფორს, აურევდნენ და დააფარებდნენ, რომ აფუებულიყო, მობრუნებულიყო და დანკლეტილიყო, როგორც ეს ზემოთ აღიწერა ფაფით კეთების აღწერილობაში.

ორი საცერი საარაყე და ერთი საცერი ფორი აყენებდა 15-18 ლიტრა არაყს. უხარისხო არაყი სცოდნია ცუდ ფორს, რომელსაც სიტკბო აკლდებოდა. არაყს ხარისხი აკლდებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალიან ცხელს მოაბრუნებდნენ და დიდ ცეცხლს შეუკეთებდნენ. ხშირი ცომიც არ ივარგებდა. ამგვარი მიზეზები იწვევდა არაყის ნაკუშლიანობას.

ზაფხულის პერიოდში საქობეს მდინარე წყალზე აწყობდნენ. გეჯის ლულას აცივებდა გეჯში ჩამდინარე წყალი, რაც გეჯში შეყავდათ არხით ან მილით. ცივი წყალი ლულას აცივებდა და ქვაბიდან გამოსული ორთქლი წვეთებად იქცეოდა, რაც გეჯის მილიდან წვეთავდა იქვე მიდგმულ ჭურჭელში. თუ არაყს სახლის სამეურნეო ნაგებობაში ხდიდნენ ზამთარში, წყლის მაგივრად მაცივრის როლს გეჯში ჩაყრილი თოვლი ასრულებდა.

ხალხს თავისი შეხედულება ჰქონდა გამოხდილი არყის ხარისხზე. მათი განმარტებით, სპირტივით მაგარი იყო არაყის პირველი ნაკადი, რასაც თავთავაჲ (წინწინაქარი) ერქვა. სიმაგრის მიზეზით მას არც სვამდნენ. ნორმალურად ითვლებოდა მისი შერევა მომდევნო ნაკადთან. ნაბოლარა არაყს კი, რომელიც მცირედ ალკოჰოლს შეიცავდა, ხევში ეწოდება კვენკვენაჲ.

არაყის გამოხდის დროს ხევში ზოგიერთი ჩვეულებაც სრულდებოდა. როდესაც საარაყეს ჩააგებდნენ და ფორს ჩადებდნენ, თუ ეს ბედნიერი დღისთვის (ქორწილი, ნათლობა) იყო განკუთვნილი, უფროსი კაცები დაილოცებოდნენ: ღმერთო, კეთილად მოგვიკდინე და საწაღმართოს მააკმარე.

როგორც კი არაყი გეჯის ლულიდან გამოიმართებოდა, პირველ ნაკადს ყანწში ჩაასხამდნენ და დაილოცებოდნენ: ღმერთმა შაიწყალას, ვისი სულიც შანდობას გველის. ხალხის რწმენით, ამ დალოცვის შემდეგ არაყი ისე გამოიმართებოდა, როგორც წყარო.

არაყის გამოხდის დროს ხევის ყოველ სოფელში ჯვარ-სალოცავებს ადიდებდნენ. ზოგიერთ სოფელში რომელიმე დღეობაზე სოფელს არაყით ერთი გვარი მასპინძლობდა. მაგალითად, სოფელ ყანობში რომ სოფელ ხურთისიდან მოაბრუნებდნენ ოქროს წმინდა გივარგის, აიდარაშვილები როგორც კვირეს ხატის დეკანოზები, ხურთისელებს არაყს დაახვედრებდნენ. ამ წესის შესრულება აიდარაშვილებს შეთქმული ჰქონიათ.

მთხრობელების რწმენით, ზოგჯერ ცოცხალის სულიც შემოგველოდა და თუ იქ ახლოს ვინმე იტრიალებდა, არაყი უნდა შეესმიათ.

არაყი რომ გამოვიდოდა, ერთი სპილენძის ორლიტრიანი თუნგით ოჯახს ერობაში უნდა გაეტანა ხაბიზგინებთან ერთად. დარისხებული ყოფილა ის, ვინც ამ წესს არ შეასრულებდა.

თუ არაყი მკვდრის მოსახსენებლად იყო გამოხდილი, მისი გარეთ გატანა არ შეიძლებოდა. ეს არაყი მხოლოდ მიცვალებულის სუფრაზე უნდა დახარჯულიყო. ბედნიერი დღისთვის მას არ იყენებდნენ. ასევე, სალხინოდ განკუთვნილ არაყს მიცვალებულის მოსახსენებელ სუფრაზე არ მიიტანდნენ.

ლუდის დულება

ლუდის დულება ხევში ისე ინტენსიურად არ ხდებოდა, როგორც თუნდაც ფშავ-ხევსურეთში, მაგრამ ეს ტრადიცია მეტ-ნაკლებად ხევშიაც არსებობდა. მოხევეები ლუდს უმთავრესად იყენებდნენ დღეობებში, ხოლო მისი საგანგებო მოხმარებით გამოირჩეოდა სოფელ სიონის მოსახლეობა. ლუდის დულებისა და მოხმარების წესი სიონში თითქმის დღემდეა შემონახული, რისი გათვალისწინებითაც საჭიროდ მივიჩნიე ამ სოფელში ჩაწერილი მასალების გამომზეურება.

როგორც ამ საქმიანობაში გაწაფული მთხრობლებისაგან მოვისმინე, ლუდის დასამზადებლად გამოიყენებოდა ქერი, სვილი, ქერ-სვილი და ხორბალი. მაგრამ იმის გამო, რომ ხორბალი ძვირად ფასობდა და მის შესაძენად მოსახლეობას ხელი ნაკლებად მიუწვდებოდა, გამოიყენებოდა ადგილობრივი მოსავალი, უპირატესად კი ქერი.

ლუდის დამზადება იმითი იწყებოდა, რომ ცივი წყლით სავსე ქვაბში ჩაყრილ ქერს სამი დღით ალბობდნენ. შემდეგ ამოიღებდნენ და საცერით დაწურავდნენ. გამოღივების მიზნით ქერს მდუღარე წყალში გაავლებდნენ, დაყრიდნენ მისთვის განკუთვნილ ადგილზე და თბილად დაჩულავდნენ. გამოღივებამდე ფორს უძრავად ინახავდნენ. გამოღივებისთანავე მას დილა-საღამოთი სამი დღის განმავლობაში გადააბრუნებდნენ, რომ შეხურებულიყო. შემდეგ მზეზე გაფენდნენ და გააშრობდნენ. გამხმარ ფორს წისქვილზე მხვიმედ დაფქვავდნენ. ამ პროცესს დედაკაცები ასრულებდნენ, ხოლო ცივი წყლით სავსე ქვაბში ფორის ფქვილის ჩაყრა, ქვაბის ცეცხლზე შემოდგმა, მამაკაცებს ევალებოდა. თხელ ფაფას ლუდის მდუღები მამაკაცი ხის ნიჩბით მუდმივად ურევდა, რომ ფაფა არ მიმწვარიყო. დადუღების შემდეგ ცეცხლს გაუნელებდნენ. გაცივების შემდეგ სითხე ფაფას დაბლა დაიწვენდა. მეორე დღეს გოდორში ჩალას ჩაუფენდნენ, გოდორს მეორე ქვაბში ჩადგამდნენ და ნახარშს ვედროებით მასში გადაასხამდნენ. თხლე გოდრის ძირში რჩებოდა, ხოლო გაწურული ლუდი ქვაბში რჩებოდა. ამის შემდეგ გაწურულ ლუდს ისევ სადუღარ ქვაბში გადაასხამდნენ, მასში სვეს ჩაყრიდნენ და კიდევ ერთხელ წამოადუღებდნენ.

სვე მოყვითალო ფერის წვრილფოთლოვანი მცენარეა. ის ხევში არ მოიპოვებოდა. ამიტომ ეკლიანში გაჯიჯღულ სვეს მოხევეები კრეფდნენ ჯარიახის ხეობაში (ინგუშეთში) ან ოსეთის სოფელ ბალთაში. ზოგი კი სვეს ყიდულობდა ვლადიკავკაზის ბაზარში. ხალხის დაკვირვებით, სვე ხელს უწყობდა ლუდის აფუვებას და დუღილს.

სალუდე ქერის ფქვილს მნათეს წევრები თანაბრად აგროვებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ მნათეში 12 კომლი ირიცხებოდა, კომლზე თითო ფუთის შეგროვების შემთხვევაში ლუდს 12 ფუთი ფქვილი ხმარდებოდა. მისი შეზავებისათვის გამოიყენებოდა 2-3 კგ სვე და 80 ვედრო წყალი. ამაზე მეტი სვე

ლუდს მწარე გემოს აძლევდა. ასეთი დოზით სოფლისთვის 50 ვედრო ლუდი მზადდებოდა, რაც 10 მნათეზე იყოფოდა ისე, რომ ყოველ მნათეს 5 ვედრო ლუდი შეხვედროდა. მანამდე კი სვიანი ლუდი უკეთესად აფუვდებოდა, დაიწკლიტებოდა და გრადუსსაც მოიმატებდა.

სოფელი სიონი ვიდრე IX-X ს.ს. ეკლესიისა და გვიანფეოდალური კოშკის მიდამოებში მჭიდროდ განსახლებული იყო, ლუდს ადუღებდნენ ეკლესიასთან მოწყობილ გადახურულ საქვაბეში. მაგრამ აქ მომხდარა ერთი უბედური შემთხვევა. ჩამოვარდნილი თავხე (მთავარი ხე) ბანზე ასულ ბავშვს დასცემია და მოუკლავს. ამის შემდეგ იქ ლუდის დუღება მოუშლიათ. ამ დღიდან ლუდს ადუღებდნენ სოფლის რომელიმე უბანში, მათ შორის სიონის ახალ დასახლებაშიც.

ლუდის დუღებაში მონაწილეობდნენ ყველა მნათის მამაკაცები და დედაკაცები. ქალ-რძალის მოვალეობას შეადგენდა წყლის მოტანა. საწვავად იყენებდნენ ყაზბეგიანთ ეკალში ფასით მოჭრილ ეკალს. მნათეებმა იცოდნენ შეშის შეგროვებაც. ერთი ნაქცეული ხე კი სიონის ხატის ტყიდანაც უნდა მოეტანათ, მაგრამ თუ ნაქცეულ ხეს ვერ ნახავდნენ, ერთი ხის მოჭრაც შესაძლებელი ყოფილა ნიშნად იმისა, რომ ხალხს ხატის ტყის მადლი მოჰფენოდა.

ასეთი იყო ლუდის დამზადების ტექნოლოგია და მისი მოხმარების წესი, რასაც სოფელ სიონის მაგალითზე გავეცანით. რაც შეეხება საკუთრივ ამ სოფლის მნათეობის წესს და მის ორგანიზაციას, გავეცნობით სოფელ სიონის დღეობებისა და მნათეობის ტრადიციის აღწერილობასთან დაკავშირებით.

კაპარი

კაპარი უალკოჰოლო სასმელი იყო, რასაც შემდეგნაირად ამზადებდნენ. ჩააგებდნენ სიმინდის ფქვილის მახუხს. საღამოზე ჩაგებულს დილით აადუღებდნენ. რომ გაცივდებოდა, კარგად ამოჭყლეტდნენ და მასზე დაასხამდნენ ნელ-თბილ წყალს, რომ მახუხივით გათხელებულიყო. შემდეგ სიმინდის, ქერის ან ქერ-სვილის ფქვილს ცოტა რაოდენობით დაუკიდებდნენ. ქოთნით ან ხელადით თბილად დახურულს დააფუებდნენ. დილით დამდგარი საღამოსთვის აფუვდებოდა. შემდეგ საცრით გაწურავდნენ, რაც დასალევად მომზადებული იყო. კაპარი მომჟავო გემოსია. ის ფაქტიურად მოხეური ბურახია. გაწურვის შემდეგ რაც საცერში დარჩებოდა, იმას ერქვა კაპრის ნაწური და საქონელს აჭმევდნენ.

საკაპროსა და საარაყის ჩაგებისას ხატს ან მიცვალებულის სულს შეევედრებოდნენ, რომ ხარისხიანი გამოსულიყო. ძველად კაპარს მკვდრის სუფრაზე იყენებდნენ. ასეთ დროს არაყი მიუღებელი იყო. კაპარი იმიტომ იყო მიღებული და არაყი მიუღებელი, რომ ხალხი არ დამთვრალიყო. ჭირის სუფრაზე დათრობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. მთხრობლებმა სინანულით აღნიშნეს, რომ ჭირის სუფრაზე ეხლა არაყიც შემოიღეს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ისე ხდება, რომ ველარ გააგებინებ ვისი დედ-მამის შვილია. კაპარს მარხვაშიც სვამდნენ.

კაპარის დამზადების პროცესის აღწერილობასთან ერთად მთხრობლებმა ისიც გვაუწყეს, რომ მზადდებოდა აგრეთვე ჯალ-კაპარი, რასაც ერქვა გულამუყაჲ. ის წარმოადგენდა კაპარისა და ჯალის ნაზავს, რასაც შეხშირების შემდეგ თქვეფდნენ და სამარხო საჭმელად იყენებდნენ.

თემი და თემობრიობა

ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვადასხვა დროისა და სახეობის თემის სტრუქტურას. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული ნომინაციით ცნობილია სამი კატეგორიის თემი — გვაროვნული, საოჯახო და ტერიტორიული. პირველი მათგანი, რომლის არსებობის საფუძველი იყო სისხლით ნათესაობა, ფუნქციონირებდა გვაროვნულ წყობილებაში, რის გამო მისი პირვანდელი ფორმის შესწავლისათვის არც წერილობითი წყაროების მონაცემები არსებობს და არც შესაბამისი ეთნოგრაფიული მასალა. უკეთეს შემთხვევაში სამეცნიერო კვლევა-ძიებას ექვემდებარება მხოლოდ ყოფაში შემორჩენილი გადმონაშთური ტრადიციები. ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით ასევე შეუძლებელია საოჯახო თემის რეკონსტრუქცია. ამიტომ, კვლევის ობიექტად გვესახება მრავალთაობიანი დიდი ოჯახი, როგორც საოჯახო თემის ტრანსფორმირებული სახეობა. აღნიშნული უძველესი სოციალური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით ხელშესახები წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე შეისწავლება ტერიტორიული ანუ სამეზობლო თემი, რომლის არსებობა დასტურდება ფეოდალიზმის პერიოდში და XIX საუკუნეში.

საქართველოში მრავალწლიანი კვლევის შედეგად თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ძველი ყოფითი კულტურის, მათ შორის სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთური მოვლენები უპირატესად მთიანეთის მოსახლეობამ შეინარჩუნა. აღნიშნული ვითარების საფუძველი იყო ბარში კლასობრივი ურთიერთობის ბევრად ადრე და ინტენსიურად განვითარება მთიანეთთან შედარებით. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა მთიანეთისათვის არ იყო დამახასიათებელი, დავას არ იწვევს. ერთიანი სახელმწიფოებრიობის ფარგლებში მთიანეთი სამეფო ხელისუფლებას ემორჩილებოდა სახელმწიფო ფეოდალიზმის დონეზე. ასეთ პირობებში თემობრიობის ტრადიციები ქმნიდა მთიანეთის მოსახლეობის ცხოვრების პროფილს, რომლის დამადასტურებელია ტერიტორიული თემის არსებობა ცალკეული კუთხეების ლოკალური მახასიათებლებით.

ჩემი ნაშრომი — ტერიტორიული თემი საქართველოში გამოქვეყნდა სამეცნიერო კრებულში — "ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი" (ტ. IV, 2002 წ.). ამ ნაშრომში საკითხი შესწავლილია სვანეთის, ფხოვის (მერმინდელი ფშავ-ხევსურეთის), თუშეთის, გუდამაყრის, მთიულეთის (ისტორიული ჯადა-ცხაოტის), ხანდოს და ჭართლის ტერიტორიული თემების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. აღნიშნულ ნაშრომში განხილული არ არის ხევის ტერიტორიული თემის მაჩვენებლები. ამის გათვალისწინებით ამჟამად მიმოქცევაში შემომაქვს საკუთრივ ხევის მონაცემები. ამითი შესრულდება როგორც ხევის ტერიტორიული თემის ლოკალური კვლევა, ისე არსებითად შეივსება ადრე წარმოებული კვლევის შედეგებიც.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თერგის ხეობის ტერიტორიას მდინარის სათავიდან ჩრდილო ოსეთის მისადგომებამდე ერქვა წანარეთი, ხოლო მის მკვიდრთ — წანარები. ჩრდილოეთის მიმართულებით სადამდე ვრცელდებოდა

წანარეთის ტერიტორია, წერილობითი წყაროების თუ ხალხური გადმოცემების მიხედვით ეს ცნობილი არ არის. სამაგიეროდ ის კი ვიცით, რომ წანარეთის ტერიტორიას ჩაენაცვლა ტოპონიმი ხევი. ცნობილია, რომ ეთნონიმი მოხევე კი პირველად იხსენიება XII საუკუნის ცნობილი პოეტისა და მოგზაურის გრიგოლ ჩახრუხაძის მიერ, როდესაც ის თავს გვაცნობს მოხევედ. აგრეთვე თამარ მეფის ისტორიკოსის ნაშრომში - "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". მემატიანის ცნობით, მთიანეთში მეამბოხეთა წინააღმდეგ თამარმა მოუწოდა "ყოველთა მთეულთა: ცხრაზმელთა, მოკევეთა, კადელთა" (ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ.111). აქვე უნდა განიმარტოს, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხევეთა და სხვა ქართველ მთიელთა აღსანიშნავად ფიქსირებულია ტერმინი მთეულნი, რასაც შემკრებლობითი მნიშვნელობა ენიჭება მთიელთა ეთნონიმიკაში.

ამასთან ერთად ცნობილია, რომ დროდადრო იცვლებოდა ყოფილი წანარეთის თუ მერმინდელი ხევის სივრცე და საზღვრები. პირველ ყოვლისა მხედველობაშია მისაღები ცვლილებები ხევის ჩრდილოეთ ზონაში. როგორც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობიდან და ივანე ჯავახიშვილის რედაქციით შედგენილი რუკიდან ჩანს, ერთხანს საქართველო-ოსეთის სასაზღვრო პუნქტად ითვლებოდა ქ. ვლადიკავკაზიდან მე-12 კილომეტრზე მდებარე სოფელი ბალთა, რომელსაც ხეთაძე ერქვა. განსხვავებული ვითარება დასტურდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი ძეგლით — "საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა". ჩვენამდე მოღწეული მისი ორი რედაქცია შეაჯერა და 1936 წელს კომენტარებით გამოაქვეყნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. ამ ძეგლის პირველი რედაქციის ჩვენებით "ამ გზაზედ (იგულისხმება არაგვის გზა-ვ.ი.) ჩიმი არის, რომელიც საზღვარი არის" (გვ.28). ამ ცნობის თანახმად, საქართველო-ოსეთის სასაზღვრო პუნქტად ითვლებოდა ქ. ვლადიკავკაზიდან 22-ე კილომეტრზე მდებარე სოფელი ჩიმი, რომელიც დღემდე ამ სახელწოდებით არსებობს და ჩრდილო ოსეთში მდებარეობს. დამოწმებული მონაცემები იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს ტერიტორია რამდენადმე შეიკვეცა და ამის შემდეგ მყარ და შეუცვლელ საზღვრად იქცა დარიალის კლდეკარის ბოლო მონაკვეთი სოფელ ზემო ლარსთან, რაც ახალი დასახელების სახით XX საუკუნეში შეიქმნა და სადღეისოდ რუსების საგუშაგო პოსტს წარმოადგენს.

შუა საუკუნეებში წანარეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ ისტორიული დვალეთიდან (თანამედროვე ნარას ტაფობიდან) ჩამოსახლებული დვალები.

შუა საუკუნეებში, იმის შემდეგ, რაც ისტორიული დვალეთის ანუ ბუდე დვალეთის ტერიტორიაზე მოსახლე დვალები ოსებმა დაარბიეს და მათი დიდი ნაწილის ასიმილაცია მოახდინეს, ე.ი. გააოსეს, დვალების დიდი ნაწილი ლტოლვილების სტატუსით გადმოსახლდნენ საქართველოს კუთხეებში (რაჭა, დიდი და პატარა ლიახვის სათავეები, ქსნის ხეობის სათავეები, თერგის ხეობის ზემო მხარე). თერგის ხეობის ზემო წელზე დვალების დასახლების შედეგად უნდა მომხდარიყო დამხვდური წანარებისა და მოსული დვალების ეთნიკური შერწყმა. ამგვარი პროცესის შედეგი იყო მოსახლეობის დვალებად აღიარება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თრუსოში ყოფნის დროს ოსები მაუწყებდნენ, თითქოს მათ ჩამოსახლებამდე აქ "კაბარდინცები" (ყაბარდიელები) ცხოვრობდნენ. ცხადია, ოსთა მიერ ხსენებულ "კაბარდინცებად" არაოსური ეთნიკური ელ-

ემენტი იგულისხმება, რომლის სახელწოდება არასწორადაა ინტერპრირებული, მაგრამ ამ სახელწოდებაში რომ დვალები იგულისხმებიან, ეს საეჭვო არ უნდა იყოს.

აღნიშნულ ზონაში არსებითი ეთნიკური ცვლილება განხორციელდა XVII საუკუნიდან, როდესაც მდინარე თერგის სათავეებში ოსური ახალშენები შეიქმნა. აქ დამკვიდრებულ ოსთა სამოსახლო სივრცე მოიცავდა ტერიტორიას კასარადან ანუ კასრისკარიდან (ვიწრო კლდეკარიდან) ზემოთ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონმა იხილა 8 ოსური სოფელი, რომელთა სახელწოდებებს მეცნიერი არ აღნიშნავს. ვახუშტის ცნობის შემდგომ პერიოდში ოსური სოფლების რაოდენობამ იმატა. სამხედრო-საისტორიო რუკაზე ფიქსირებულია 12 ოსური სოფელი: რესი, ტეფი, გუსალთა, ჯიმარა, ბურმასიგი, წოწოლთა, ყარათყაუ, სუათისი, დესი, ზაქაგორი, აბანო, ქეთრისი.

ამგვარ დემოგრაფიულ სიტუაციაში ქართველური მოდგმის დვალთა სამოსახლო სივრცე იწყებოდა სოფელ მნიდან და გრძელდებოდა სოფელ ადომდე. ოსები არ დაჯერდნენ ტერიტორიას კასრისკარის ზემოთ და იწყეს გადმონაცვლება მდინარე თერგის დინების მიმართულებით. შექმნილი ვითარების შესაბამისად ხდებოდა დვალთა შევიწროვება და გაოსება. ამის გამო ზოგიერთი დვალური გვარი (კობიაშვილი, ითონიშვილი, ბადაშვილი, ჩოჩოშვილი, არჯინაშვილი, ბაბაშვილი, ფაჯიშვილი, კვირჭიშვილი) ამ პროცესს იმის წყალობით გადაურჩა, რომ ხევის სოფლებში (ყანობში, ხურთისში, სიონში) გამოიხიზნა.

დემოგრაფიულ ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა სოფლების და ადგილების სახელწოდებანიც. ოსები დიდი გულმოდგინებით ამკვიდრებდნენ ოსურ ტოპონიმებს, მაგრამ სოფელ რესიდან სოფელ ადომდე ოსების დასახლების მიუხედავად თერგის ხეობის ამ ტერიტორიაზე დღემდე შემოინახა ზოგიერთი სოფლის ქართულ-დვალური სახელწოდება. ასეთებად შეიძლება დავასახელოთ აბანო, მნა, ოქროყანა, შევარდენი, ადო. ხსენებული სოფლებიდან ოსებმა მხოლოდ ადოს შეუცვალეს სახელი და მას ნოგყაუ (ახალი სოფელი) უწოდეს. სხვათა შორის, თვით ოსური სახელწოდების შერქმევა იმის დამადასტურებელია, რომ ეს სამოსახლო ოსებისათვის მართლაც ახალი იყო და ის მანამდე ოსების სამოსახლოს არ წარმოადგენდა.

აღწერილი დემოგრაფიული პროცესების შედეგად ოსების სამოსახლო სივრცედ იქცა მდინარე თერგის ხეობის ზედა წელი სოფელ რესიდან სოფელ ადომდე. უფრო მეტიც, ოსები ასევე დასახლდნენ ხევის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ კობში. ჯერ ღუდუშაურებმა, ხოლო შემდეგ ყაზბეგებმა ოსები ყმობის პირობით აგრეთვე დაასახლეს ხევის სხვა სოფლებშიც (უხათი, აჩხოტი, თოთი, ქობი).

მომხდარ ცვლილებათა მიუხედავად ისტორიული წანარეთის ტერიტორია დვალების ჩამოსახლების დროისათვის კასრისკარით ორ ნაწილად იყოფოდა. კასრისკარის ზემო მხარეს ერქვა თრუსო, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ოსებმა ქვემოთკენ ჩამოინაცვლეს, ტერიტორიას რესიდან ადომდე უწოდეს თრუსო ანუ თრუსოს ხეობა. ფაქტობრივად ისტორიული თრუსო იყო კასრისკარის ზემოთ, ხოლო იმავე კასრისკართან თრუსოს ემიჯნებოდა ხევი, რაც სოფელ მნიდან იწყებოდა და თავდებოდა დარიალის ხეობის ბოლომდე (ზემო ლარსამდე) მაინც

(თუ მხედველობაში არ მივიღებთ დროდადრო შექმნილ სასაზღვრო პუნქტებს ბალთის ან ჩიმის სახით).

ისტორიულ თრუსოში ოსთა დასახლების შედეგად შეიქმნა ოსური ტერიტორიული თემი, მაგრამ მოახალშენე ოსებს აქ ახალი და ფასეული არაფერი შეუქმნიათ. ისტორიული თრუსოს ტერიტორიაზე განფენილი მატერიალური კულტურის ძეგლები — ციხე-სიმაგრეები, საკულტო ნაგებობანი თუ საცხოვრებელი სახლები ტიპოლოგიურად ხევის ძეგლების ანალოგიურია. ფაქტობრივად ისინი წანარულ-დვალური (და ამდენად ქართული) მატერიალური კულტურის ძეგლებია, რომლებიც აქ ჩამოსახლებულ ოსებს დახვდათ.

დროთა ვითარებაში ამ კუთხიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. ოსები ჩრდილო ოსეთში გადასახლდნენ და ეს ხეობა ფაქტიურად გაუკაცრიელდა. დღევანდელ ვითარებაში ოსები მცირედი რაოდენობით ცხოვრობენ ხევის სოფელ კობში, ხოლო ოსეთში დაფუძნებული ზოგიერთი ოჯახი თრუსოს ზაფხულობით სააგარაკოდ თუ მიაკითხავს.

* * *

დროთა ვითარებაში ყოფილი წანარეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ტერიტორიული თემი მნიდან დარიალის კარიბჭემდე, ხოლო დროდადრო ბალთამდე ან ჩიმამდე. წანარეთისავე ტერიტორიაზე, მდ. თერგის სათავეებში დასახლებული ოსების საცხოვრებელი სივრცეც მათი ტერიტორიული თემის სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

ხალხური გადმოცემების მიხედვით ტერიტორიული თემის ცენტრს ყოველ ეპოქაში ეკლესია წარმოადგენდა. პირველ ასეთ ცენტრად იგულისხმება სოფელი სათარგმნო (რაც ნიაღვარმა წალეკა) ე.წ. წითელი ეკლესიით. შემდგომ ეტაპზე ტერიტორიული თემის ცენტრად იქცა სოფელი გარბანი IX-X ს.ს. ტაძრით. მომდევნო ეტაპზე თემის ცენტრმა გადაინაცვლა სოფელ სიონში, სადაც აღმართულია IX-X ს.ს. ტაძარი თავისი სამრეკლოთი, თლილი ქვის გალავნით და სამრეკლოს შესასვლელში განლაგებული თლილი ქვებით გამოკვეთილი ზურგიანი სკამებით, რაც სათემო ბჭობის დროს თემის ბჭეებისათვის იყო განკუთვნილი (იხ. ვალერიან ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი, 1963).

თემის ცენტრის ამგვარი მონაცვლეობა შეიძლება ყველასთვის ცნობილი არ იყოს, მაგრამ ის კი საყოველთაოდაა ცნობილი, რომ წმინდა სამების აშენების შემდეგ ხევის ცენტრად გერგეტი ფუნქციონირებდა. ამავე დროიდან გაგვაჩნია ხელშესახები წერილობითი წყაროები და ხალხში შემონახული გადმოცემები გერგეტელთა უფლებამოსილების, თემის სტრუქტურის, მისი მმართველობის სისტემისა და გერგეტელებისადმი სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ.

შემთხვევითი არ არის, რომ ხევის წინა სამი სათემო ცენტრიდან განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ეკლესიების არსებობა. გერგეტის ტერიტორიაზე უმ-

ნიშვნელოვანესი საისტორიო ძეგლების განლაგების გამო ამ სოფელმაც ფაქტიურად თემის ცენტრის სტატუსი დაიმკვიდრა. ერთდროულად სასოფლო და სათემო დანიშნულებისა იყო ბეთლემი, ყინვრის წმინდა გივარგი და წმინდა სამება. ყოველ მათგანში საწირით სალოცავად მისვლა გერგეტელებთან ერთად ხევის ყველა სოფლის მკვიდრს შეეძლო. უძველესი საკულტო ძეგლი ბეთლემი თავისი შემოგარენით წმინდა ადგილად ითვლებოდა. მოხევეებმა კარგად იცოდნენ, რომ ისტორიული ბეთლემი ქრისტეს დაბადების ადგილი იყო და ეს სახელწოდება ხევშიც გამოქვაბულს ქრისტესადმი თაყვანისცემის ნიშნად შეერქვა. ამ წმინდა ადგილთან პირდაპირ მისვლას ვერ ბედავდნენ და სალოცავად მხოლოდ მის ნიშებთან მიდიოდნენ. ხალხმა ისიც იცის, რომ ბეთლემის გამოქვაბული, რომელშიაც განდეგილი მდგარა, წმინდა სამების აშენებამდე სამეფო და საეკლესიო განძსაცავსაც წარმოადგენდა. ბერები კი ცხოვრობდნენ ბეთლემის ქვემოთ — ლიჯეში, რასაც ნაბერალი ეწოდება. ნაბერალის ქოხებში ბერებს თურმე აჰქონდათ შეშა და დეკა. ისიც ცნობილია, რომ ბეთლემის შორს მდებარეობა და ძნელადსავალი გზა დიდ დაბრკოლებას უქმნიდა მცხეთის საგანძურის იქ გადატანას. ამის გათვალისწინებით, როგორც ეს ხალხური გადმოცემის ვერსიებიდან ჩანს, განძის სახიზრად ხელსაყრელი პირობები შექმნილა წმინდა სამების აშენების შემდეგ (XIII-XIV ს.ს.). ნათქვამის დამადასტურებელია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: სტეფანწმინდის "დასავლით არს გერგეთი, არაგუს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესუენა ნინოს ჯუარი, შუენიერ-ნაშენი, შუენიერს ადგილს" (ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, "ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973, გვ. 357).

ვახუშტის ცნობასთან ერთად ხალხშიც არის შემონახული იმის ცოდნა, რომ მცხეთის "პირსაცავი" (განძსაცავი) იყო ჯერ ბეთლემი, ხოლო შემდეგ წმინდა სამების ეკლესია. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ქართველმა მეფეებმა სამება საყარაულოდ ჩააბარეს ოთხ გერგეტელ დეკანოზს. ტაძარს ისინი მორიგეობით დარაჯობდნენ. მცხეთის სხვა საგანძურთან ერთად აქვე ყოფილა დაცული წმინდა ნინოს ჯვარიც. დარაჯი იჯდა სამრეკლოში და მტრის გამოჩენის შემთხვევაში განგაშს ქმნიდა ზარების რეკვით. დარაჯს სცოდნია ზარების რეკვა სამშვიდობო ტონშიც. ის ამ ტონში ერთ ზარს რეკდა დილით და საღამოს, რითაც ხალხს მშვიდობას აუწყებდა. მოხევეების განმარტებით დაცემები მოსალოდნელი ყოფილა უმთავრესად ლეკების, ქისტებისა და ოსების მხრიდან. სამრეკლო შიგნიდან იკეტებოდა. შიგნიდანვე ჰქონია კიბე, რაც სამრეკლოში ინახებოდა და საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ. ეკლესიას ჰქონდა რკინის კარები, რომლის სახელურ რგოლებს ვერტიკალურად აყენებდნენ და როგორც კი კარებს ვინმე ხელს დააკარებდა, რგოლები კარებზე ვარდებოდნენ და გახმაურებას იწვევდნენ.

* * *

ზემოთ აღინიშნა და განმეორებით შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიული თემის საზღვრებისა და ფუნქციონირების შესახებ მკაფიოდ გამოიკვეთა როგორც ხალხური გადმოცემების შინაარსი, ისე წერილობითი წყაროების მაჩვენებლები. დოკუმენტურობით და შინაარსით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საფუძვლიანი სამეცნიერო კომენტარებით გამოქვეყნებულ საისტორიო საბუთებს (იხ. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVIII საუკუნეებში, "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ტ. 30. თბილისი, 1954 წ.).

აღნიშნულ პუბლიკაციაში დამოუკიდებელი ხელნაწერის სახით შევიდა გერგეტის სამების "მატიანე მოსაკსენებელი სულთაჲ" (XV-XVIII ს.ს.), რაც გერგეტის სამების ტაძარში ინახებოდა. ჩანაწერები იქმნებოდა ალექსანდრე დიდის დროიდან (1412-1442) ერეკლე მეორის ეპოქამდე. ხევის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მატიანის დაბოლოება, რომელიც გვაუწყებს: "ძმანო და მამანო! აღვიდეთ პირველსავე მიმართ სიტყჳსა. ვთჳქთ ყოველთა: მეფე ჩვენი: სახელით. მრავალ ჟამიერ ყავნ უფალო ღმერთო, ამინ! საყდრისა ამის მოსავთა, მადიდებელთა, მატიანესა შინა აღწერილთა და გარეშემო დასაფლავებულთა ყოველთა შ-ნ ღ-ნ. რომელთა საყდართა ამას შემოწირეს ქუჴყნად, სოფლად, გლეხად, ვენაკად, მიწად, ყოველთა შ-ნ ღმერთმან. რომელთა საყდარსა ამას შემოწირეს წიგნად, ხატად, ჭურჭლად, სანთლად, საკუმევლად, ოქროდ, ვეცხლად, მხჳმედ, ზედაშედ, ყოველთა შ-ნ ღ-ან. რომელნი საყდრისა ამის ერთგულად მოსამსახურენი იყვნენ სიტყჳთ და საქმით — ყოველთა შ-ნ ღ-ნ. რომელნი საყდრისა ჩუმნისა დაკლებისა, მოხუმჭისა, მოტაცებისა და დამცრობისა მდგომელნი, ურჩნი, წინააღმდგომნი და მაცილობელნი — იყუნენ კრულ, წყეულ და შეჩუმნებულ, უკუნისამდე ამინ" (პუბლიკაციის გვ. 266-267).

დამოწმებული ტექსტიდან საყურადღებოა რამდენიმე მომენტი. შესავალი ნაწილის შემდეგ, სადაც იხსენიება მეფე და ლოცვა ეხება ტაძრის უშფოთველად დაცვას, შენდობა ეთქმის საყდრის მოსავთ, მადიდებელთ და მის გარშემო დასაფლავებულთ. ამასთან დაკავშირებით ქ. შარაშიძემ განმარტა: "თავისთავად ცხადია, რომ გერგეტის ტაძარს XV საუკუნეზე ადრე ეყოლებოდა თავისი "მოსავნი" და "მადიდებელნი", რომლებიც, ჩანს, საპატიოდ ყოფილან დასაფლავებული "საყდრის ამის გარეშემო". ეს პირები, რომელთაც ზოგადად იხსენიებს XV საუკუნის დასაწყისის პირველ ათეულ წლებში შედგენილი მატიანის ტექსტი, როგორც ამ ტექსტიდან ირკვევა, "მატიანის შინა აღწერილნი" ყოფილან.

ვფიქრობთ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ძველი მატიანე (XV საუკუნეზე ადრინდელი), რომელშიაც ადრინდელ შემომწირავთა სახელები იქნებოდა შეტანილი" (ქ. შარაშიძე, გვ. 227).

ეს განმარტება დასაბუთებულია იმის გათვალისწინებით, რომ ტაძრისადმი ამგვარი დამოკიდებულება უნდა გაჩენილიყო მისი აშენების დროიდანვე.

მატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ "საყდრის გარშემო" იყვნენ დასაფლავებულნი საყდრის მოსავნი, ამ ადგილს პანთეონის მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ტრადიცია რომ უწყვეტლად გრძელდებოდა, ამას მთხრობლებიც გვიდასტურე-

ბენ. მე შევხვდი ისეთ პირებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეს ადგილი სამების სამსახურში მყოფთა განსასვენებელი იყო თვით XIX საუკუნეშიც კი. ამის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ ხალხური გადმოცემის შინაარსი მატიანის ცნობების ადეკვატურია და ამ ცნობების დამადასტურებელია.

მატიანის ტექსტები საყდრისადმი შემოწირულობის სახეობათა მაჩვენებელიცაა. სადიდებელი ეხება იმ პირთ, ვინც სამებას შესწირეს გლეხები და სხვადასხვა სახის ფასეულობანი, მათ შორის ვენახიც. ქ. შარაშიძის ვარაუდით, ვენახის შეწირვის წესი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ანალოგია გვაქვს ფშაველთა ქმედებასთან, რომელთაც ვენახი შეწირული ჰქონდათ ლაშარის ჯვრისადმი. ასეთივე უნდა ყოფილიყო მოხევეთა დამოკიდებულება სამების ტაძრისადმი. მაგრამ თუ ამას გამოვრიცხავთ, ხევში ის ხომ დავადასტურეთ, რომ ტაძრის ტერიტორიაზე ჩაფლული იყო ჭავჭავაძიანთ ქვევრები, რომლებსაც ჭავჭავაძეები ყოველწლიურად ავსებდნენ (ეს ნაჩვენები მაქვს გერგეტელთა დღეობების აღწერილობაში).

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში ერთი მხრივ დალოცვილია საყდრის ერთგულად მომსახურე პერსონალი, მაგრამ იქვეა საყდრის დამამცირებელთა და მძარცველთა წყევლა-კრულვა.

ყოველივე ეს გვიანობამდე გრძელდებოდა. სამაგალითოდ შეიძლება მოვიხმოთ მინაწერი მატიანის აშიაზე: "ყოვლად სამღუდელოისა წილკნელ მიტროპოლიტისა ამბროსისსა შეუნდვნეს ღმერთმან, რომელმან ერთგულად იწყემსა სამწყსოსა თვისსა", 1728 წ. (გვ. 267).

სამების ტაძარს რომ სახელმწიფოებრივი დანიშნულება ჰქონდა, ამის დამადასტურებელია სამების პერსონალისადმი მიმართვები, ჩანაწერები და სხვადასხვა ეპოქის პირთა შემოწირულობანი. ცხადია, მიმართვა პირველ ყოვლისა კათოლიკოსის კომპეტენციას შეადგენდა. კათოლიკოსის მიმართვა გვაუწყებს:

"ჩვენ ქრისტეს და ღმთის მიერ კურთხეულმან კათოლიკოსმან ბატონმან ... ნ ესე სჯული და მცნებაჲ დაგიგდე თქვენ, გერგეტელთა საყდრისშვილთა: ხუცესნი და დეკანოზნი ამა თემისანი ქრ...რაჲცა სამას და ათურამეტთა მამათა სჯული გააჩინეს, მარხვაჲ და უქმი ორმოცი დღე; ქრისტეს შობის მარხვაჲ, ორშაბათ-პარასკევნი, მოციქულთ მარხვა, ყოვლად წმიდის მარხვაჲ იდ დღე. ესე ასრე შეინახეთ თქვენ და თქვენის სიტყვისა არჩეულმან კაცმან. რომენმანცა კაცმან შაბათისა ცხრა ჟამითგან ვიდრე ორშაბათისა განთენებამდის ვინცა რაჲ ქნას, ანუ თუ საუფლოთა დღესასწაულთა უქმი გატეხოს, რასაცა ავსა უზამს, უბრალოდ ვიყუნეთ. თ-ქნ, საყდრის შვილნ შემცოდე იყუნეთ წმიდისა სამებისა და ყოვლად წმიდისა ღთის მშობლისა და ოთხი ათასი თანგა ქრთამი დაიუროს. იყუენით საყდრისა შვილნი ერთსულობით. უფროსნი უფროჲსად და უმცროჲსნი. მღდელნი — მღდელთა წესითა და ერისგანნი — ერისგანთა წესითა. რომენმანცა ხუცესმა აბჯარი აიღოს, ვინცა ნახოს, ნაართოჲს და ჯურუმცა აზღვევინოს ქყ-ნ ესე ასრე გაგათაოთ გერგეტელთა" (გვ. 285-286).

დამოწმებულ დოკუმენტთან დაკავშირებით შეიძლება განიმარტოს: პოლიგრაფიული ნიშნების მიხედვით ქ. შარაშიძეს მიაჩნია, რომ უცნობი კათოლიკოსის საბუთი დაწერილი უნდა იყოს XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე.

გერგეტელ საყდისშვილთადმი კათოლიკოსის მიმართვა იმ მიზნით, რომ მათ

დაუდგინეს "სჯული და მცნებაჲ", ე.ი. ქრისტიანთათვის სავალდებულო რეჟიმი, აშკარად გვიჩვენებს თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობა კათოლიკოსის სახით რაოდენ გულმოდგინედ ირჯებოდა სახელმწიფოებრივი ინტერესების სრულყოფისათვის. კათოლიკოსის მიმართვის თანახმად:

1. ის სჯული და მცნება, "რაჲცა სამას და ათურამეტთა მამათა გააჩინეს", უნდა განეხორციელებინათ გერგეტელ საყდრისშვილთა ხუცესებისა და დეკანოზების მესვეურობით.

2. სჯულისა და მცნების სფეროს განეკუთვნებოდა ქრისტიანული ეკლესიის წესები: ა) "მარხვაჲ და უქმი ორმოცი დღე", ბ) "ქრისტეს შობის მარხვაჲ", გ) "ოთხშაბათ-პარასკევნი" (მარხვა), დ) "მოციქულთა მარხვა", ე) "ყოვლად წმიდის მარხვაჲ იდ დღე" (14 დღე).

3. კათოლიკოსს მიაჩნდა, რომ გერგეტელ საყდრისშვილთ ევალებოდათ ამ წესების დაცვა. იგი შეცოდებად თვლიდა საეკლესიო წესების დარღვევას და დამრღვევთა მიმართ ჯარიმას (საურავს) აწესებდა. მისი შეხედულებით, ის კაცი, რომელიც შაბათ 9 ჟამითგან (საათიდან) ორშაბათის გათენებამდის, ე.ი. შაბათ-კვირას არ იუქმებდა, ანდა ის კაცი, რომელიც "საუფლოთა დღესასწაულთა უქმეს" გატეხდა, ეს იმდენად მიუღებელ მოვლენად მიაჩნდა, რომ თვით საყდრისშვილები შემცოდედ ჩაითვლებოდნენ წმინდა სამებისა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის წინაშე. ამასთან ერთად კათოლიკოსი სანქციას აძლევდა გერგეტელ საყდისშვილთ, რომ უქმის გამტეხი და საეკლესიო წესების დამრღვევი დაჯარიმებულიყო 4000 თანგა საურავით. როგორც ჩანს, ასეთი რაოდენობის საურავი ხუცეს-დეკანოზების მიერ მოეთხოვებოდა წესის დამრღვევ ყოველ მორწმუნეს.

4. საეკლესიო წესების ურყევად შესრულების აუცილებელ პირობად კათოლიკოსი მიიჩნევდა ერთსულოვნებას საყდისშვილთა შორის, რისთვისაც საჭიროებდა უფროს-უმცროსობის შესაბამისად უფლებრივი მდგომარეობის დამყარებას ეკლესიის მომსახურე პერსონალის შემადგენლობაში. კათოლიკოსის შეხედულებით, უფროსი თუ უმცროსი თავის ადგილს უნდა დასჯერებოდა ისევე, როგორც მღვდელნი ან ერისგანნი თავისი მდგომარეობის შესაფერისად უნდა მოქცეულიყვნენ. კათოლიკოსი დანაშაულად თვლიდა მღვდლის (ხუცესის) მიერ აბჯრის ხმარებას და აწესებდა, რომ მათ ჩამორთმეოდა იარაღი და დაჯარიმებულიყვნენ. ეს ფაქტიც იმის მაჩვენებელია, რომ კათოლიკოსი ეწინააღმდეგებოდა საყდრისშვილთა "ენის აღრევას".

5. კათოლიკოსის მიმართვიდან აშკარად ჩანს, რომ გერგეტელ საყდისშვილთა შორის იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები — ერთი მხრივ სასულიერო პირები (მღვდელნი, ხუცესნი), ხოლო მეორე მხრივ ერისგანნი (მეთემეები). კათოლიკოსი ამიტომ მოითხოვდა მათგან სათანადო წესების დაცვას თავიანთი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად.

6. "საყურადღებოა, რომ კათოლიკოსის ამ საბუთის დაწერის ხანს გერგეტელ საყდრისშვილებში ერთსულობა და უფროს-უმცროსობის წესები მერყევ მდგომარეობაში ყოფილა. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ე.წ. სასულიერო და საერო წოდების წარმომადგენელთა ფუნქციების განცალკევება — დარღვეული ყოფილა" (ქ. შარაშიძე, გვ.253). ქ. შარაშიძეს ამის საბუთად მიაჩნია ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ აბჯროსნობა ხუცესისათვის მიუღებელი

იყო და აბჯროსანი ხუცესი ჯარიმდებოდა. "აქედან ნათლად ჩანს, რომ ხევში ამ ხანებში ხუცესები ივიწყებდნენ თავიანთ მღვდლურ პატივს, აბჯარს იღებდნენ და, საერთოდ, იქცეოდნენ როგორც ერისკაცები"(ქ. შარაშიძე, გვ.253).

ქ. შარაშიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ასეთი ღონისძიებანი, კათოლიკოსის ასეთი აქტიური ჩარევა, გამოინვია XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართული ფეოდალური სახელმწიფოს კრიზისმა. ქართული საეკლესიო წესების დაცვისათვის ზრუნვის ანალოგიურ მაგალითს ქ. შარაშიძე იმოწმებს იმავე პერიოდის სხვა ძეგლების მიხედვითაც, საიდანაც ჩანს, რომ "განაპირა კუთხეებში ქრისტიანული წესების ამ გარეგნული მხარის მოშლა კიდევ უფრო მეტი სიცხადით მჟღავნდება" (გვ.252).

შეხედულება, რომ კათოლიკოსის მიმართვა გამიზნული იყო საქართველოს ცენტრალური ძალაუფლებისა და ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისათვის, დავას არ იწვევს. ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განაპირა კუთხეებში, მათ შორის ხევში, სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის პრობლემად რჩებოდა წარმართული რწმენა-ნარმოდგენების ფუნქციონირება. ეს ფაქტორი გარკვეულწილად წინააღმდეგობრივ სიტუაციას ქმნიდა და ყოველთვის არ ესადაგებოდა ქრისტიანულ მოძღვრებას. ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ ქრისტიანული სარწმუნოების შერყევამდე რამდენად სტაბილური იყო ქრისტიანობა ხევში, რამდენად ნორმალურად სრულდებოდა საეკლესიო ნორმები და ეს ნორმები რამდენად იყო დაცული ეკლესიის მესვეურთა მოღვაწეობაში.

* * *

ხევში რომ ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან შედარებით უფრო ადრე გავრცელდა და საეკლესიო ცხოვრებაც თანდათან ვითარდებოდა, ამის მაჩვენებელია ერთი მხრივ ეკლესიების სიმრავლე, ხოლო მეორე მხრივ 1669 წ. წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის სიგელის ცნობა: "ხევი ნინოს მოქცეულია, მასუკან ისე წილკნელი ყოფილა. ძველს გუჯარში ხევისთვინ საეპისკოპოზო სათხოვარი არა სახუცო, არა დრამა, არ ეწერა და არც ჩვენ დავდევით" (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, XIII-XIX ს.ს. წიგნი II, თბილისი, 1974, გვ.36). ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ხელისუფლების საზრუნავი იყო ქრისტიანობის განმტკიცება და ეკლესიის როლის ამაღლება. ნათქვამის დამადასტურებელია ყველა ის საბუთი, რომელიც სამების მესვეურთა ინიციატივით შეიქმნა.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ კათოლიკოსის მიმართვის შინაარსთან კავშირშია იმავე ეპოქის მეორე საბუთიც — "კრებულის განაჩენი". ამ საბუთის მიხედვითაც აშკარად ჩანს, თუ რაოდენ გულმოდგინედ ირჯებოდნენ ტაძრის მესვეურნი, რომ საეკლესიო ნორმები განემტკიცებინათ და თემთან მიმართებაში პრიორიტეტი მოეპოვებინათ. ეს კი არც თუ ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა, ვინაიდან საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ თემობრიობას

მოხევეები ადვილად ვერ შეელეოდნენ. თემი, სათემო საბჭო და ხევისბერი განასახიერებდნენ მათდამი ერთგულებას და შეუბღალავ სამსახურს. ამისი გამომხატველი იყო ორი ფრაზა: "ჯმა ღთისა და ჯმა ერისა" (სარწმუნოებისა და ერის გამაერთიანებელი ფორმულირება), 2) "ჯევის არ წააჯდენამა". მოხევის გაგებით თემობრიობის მოშლა ან თუნდაც შერყევა, ხევის წახდენის ტოლფასი იყო. რასაკვირველია, ეს შეგნებული ჰქონდათ ტაძრის პერსონალს და ამიტომ თემისა და თემობრიობისადმი დამოკიდებულებაში მათ შემრიგებლური პოზიცია აირჩიეს. თანაც ეკლესიას ესაჭიროებოდა არა მარტო გერგეტელ საყდრისშვილთა ერთგული სამსახური, არამედ ხევის ყველა მეთემის თანადგომაც. ყოველივე ეს თვალნათლივ ჩანს "კრებულის განაჩენში", რომელსაც აქვე ვაციტირებ: "სახელითა ღთისითა და მეოხებითა წმიდისაჲ სამებისითა შევიყარენით ჩვენ კრებულნ ერთსულად. დავდევით საჩივარი და კრებულობაი, საყდრ წინაშე გავიკითხენით. სოფელს არა ვკრებულოთ. საყდარს არ შევიკრიბნეთ, მეკჰრე ოთქმელიჲ. საყდრს სოფელს ურთიერთ და ორთავე რჩევითა. სოფელს თუ იქმნას ჭირი თუ რა მეკარენი კნნულბით და... დაიცვან...ოს (?) საღრმთო არის. რომენმანცა უღალატოს ერთმანერთსა დიდი ანუ ცოტა... ერის კაცმან და ანუ დიასახლისმან, ანუ მნათემან და ანუ მყნორ კრულ წყეულ და შეჩვენებულმცა არს ამიერ და უკუნისამდინ. ამინ. ამაჩიგან რომენი სიმართლითა იყუნეს. დიასახლისი ანუ მამასახლისი ანუ ხუცესი შ ჰნღ ნა ჰ ნ" (გვ.271).

პოლიგრაფიულად ნაკლული "კრებულის განაჩენი" წარმოადგენდა ტაძრის მესვეურთა სამოქმედო პროგრამას. ღვთის სახელითა და წმინდა სამების მეოხებით კრებულის შეყრა იმისათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული, რომ მათი ინიციატივით მოეწვიათ სათემო კრება. ტაძრის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ეკლესიისაგან დამოუკიდებლად ხევში ხალხის შეკრება საჭიროებისამებრ ხდებოდა ერთ შემთხვევაში ერთ სოფელში, მეორე შემთხვევაში ორ სოფელს შორის, მესამე შემთხვევაში ზემო, შუა ან ქვემო ხევის სოფლებში, ან ასევე სნოს ხეობაში. მთელი ხევის ერთობლივი სათემო მნიშვნელობის საკითხები კი განისჯებოდა სათემო ყრილობაზე ხევისბერის მეთაურობით, დეკანოზებისა და თემის რჩეული კაცების, ანუ რჯულის კაცების უშუალო მონაწილეობით. საეკლესიო კრების მიზანს შეადგენდა დადგენა იმისა, რომ სათემო შეკრების ინიციატორი და ორგანიზატორი ყოფილიყო არა სათემო საბჭო, არამედ ეკლესია. რასაკვირველია, ეკლესია იმედოვნებდა საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების მხარდაჭერასაც, ვინაიდან ამგვარი მხარდაჭერის მიზანს შეადგენდა თემური მმართველობის შეზღუდვა და ტაძრის პრიორიტეტის ამაღლება, რაც თავისთავად სახელმწიფო ორგანიზაციების გამარჯვების ინტერესებთან იყო დაკავშირებული. თემისადმი ეკლესიის დამოკიდებულება არ წარმოადგენდა უმტკივნეულო პროცესს. ტაძრის მესვეურთ რაც არ უნდა შენიღბულად ემოქმედათ, ხევისბერმა და რჯულის კაცებმა ამაში დაინახეს პრიორიტეტისათვის ბრძოლა. ბრძოლის დათმობას კი თემი არ აპირებდა.

თემისადმი ეკლესიის დამოკიდებულებას ქ. შარაშიძე ასეთ შეფასებას აძლევს: "საბუთი სოფლისა და საყდრის ურთიერთკავშირის უთანხმოების ამსახველია; ამავე დროს იგი საყდრის შებღალული გავლენის და მოქმედების სფეროს კვლავინდებურად დაცვისათვის მიმართულ აქტს წარმოადგენს" (გვ.255).

ციტირებული დებულებისგან განსხვავებით მე მიმაჩნია, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს არა ეკლესიის შერყეული მდგომარეობის აღდგენის ცდასთან, არამედ პრიორიტეტისათვის ბრძოლასთან. თემსა და თემურ მმართველობასთან შედარებით სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის როლი ხევში შედარებით სუსტი იყო და ეკლესიაში საკრებულოს გადატანით ცდილობდნენ თემის პრიორიტეტის დაქვეითებას. ეკლესიის მესვეურებმა იცოდნენ, რომ ხელის ერთი დაკვრით ვერ შესძლებდნენ თემის როლის უგულებელყოფას და ეკლესიის უპირატესობის მოპოვებას. ამიტომ "კრებულის განაჩენში" ითქვა, რომ კრების მოწვევის საკითხი გადაწყვეტილიყო საყდრისა და თემის "ურთიერთ და ორთავე რჩევითა". "კრებულის განაჩენში" ისიც აღინიშნა, რომ საყდართან შეკრება საყდრის მეკარეებთან შეუთანხმებლად არ უნდა მომხდარიყო: "საყდარს არ შევიკრიბნეთ მეკარეთ უთქმელი". ამგვარი დამოკიდებულებით ეკლესია აწესრიგებდა თემთან ურთიერთობას. თანაც აღნიშნულ პირობათა მომხრეებს ლოცავდა, ხოლო მოღალატეებს წყევლიდა.

* * *

ხევის ტერიტორიული თემის საზღვრების, სტრუქტურის, მისი სოფლების, გვარების და გერგეტელი საყდრისშვილებისადმი მათი ვალდებულების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა "გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთი" (1439 წ.). ისტორიული რეალობის დანახვისათვის საჭიროდ მიმაჩნია ჯერ უცვლელი სახით მისი დამოწმება, ხოლო შემდეგ შეფასება. საბუთი გვაუწყებს:

"დიდებაჲ წმიდჲსა სამებასა, ერთარსებასა და ერთ-ღთეებისა. შევიყარენით ქევი ქეობით — კობით და გუᲩლეთამდი. მძევლები მოგეცით თქვენ, გერგეტელთა საყდრისშვილთა, გუᲩლეთით ანი და ხარსილაჲ, ცდოჲთ-გიშელი და ბარზანდელი, სტეფანწმინდით-ხეთაგი... და ქადორაჲ ადის ძე ნავროზი. არჯიმაგიშვილი გოგოლაჲ (პაპრ)...(შვილი) (და პარდარის ძე და არსლანის შვილი). ქობით-შამბათაჲს ძე ივანე, სოლემანის ძე აჩაჲ. ფანშტით-ელგუჯაჲს ძე და სუბაუ... თით...დ...ნ...-ღარს...კიშვილი გ...ცით...თოთია. ნადირაული აფია, გაჲბოტნით-ეკალაური, ...გარბნით-განგლიშვილი ხუგაზ, ონიასშვილი გონგლია; სიონით-სასნაშვილი და ბაადინიშვილი და ცოფა (ურა?); ტყარშეტით — ჯაუნარიშვილი და ხარსილაჲ; ქედურით — ბულნია; გორისციხითა—შალიმანის შვილი ივანე და ხარაგაული საერაჲ და წამალისშვილი პაპონაჲ, ფხვმლიშვილი (ფხოვლიშვილი?) ჯისშვილი დარჩია, ღაღნიაჲშვილი და ბ... და მნაველთაჲცა მათ მოიკიდესა კურთა (შვილი) ჩიტურა და ბაჩხისძე და აბიაური და სედუვათძე, ყანობით ყალარდოჲშვილი და რაჲსძე. თრუსოველთაჲცა — კურთიელ (ყან) ობელთა მოიკიდეს. მნით ბადაჲსძე და ადოჲთ — ცისკარიშვილი. საღრმთოჲთა — ს(ა)რო და ბაღაჲშვილი და ანდრია. ჯრაჲს ძალთაჲთ — ღუდუშაური შალვა;

ახალციხით — დათვური შალვა და ჩ,,ქაშ,, ართხმოით — შალიკაის შვილი და ქიშვარ; ყანანაზით — აბაშურ და ლაშქარაული; მთრეხით — ვარსილის ძე და საერაის შვილი. ამისნი მოწმენი არიან: სტეფანწმიდით — ანდირა შვილი და... და...იშვილი; ფანშტით-შაშარ; ჯევით — ყარაბუღა შვილი დარჩია; ტყარშეტით — ბეკოიშვილი იოვანე, ჯურთისით — ცოციკის ძე და სნოით — ბარსაგის შვილი. ესე მზევლები ამათ საყდრის შვილობისათის მივეცით, რომე მეფეს შეინწყალნეს და ებრძანა ჩ-ნ თანა და რომენიცა მძევალი გაუტყეთეს, რისხვსმცა წმიდაი სამებაი ერთარსებაი; კრულმცა არის სული მისი და ნესტორს და ოროგინეს თანამცა დაისაჯების სული მისი. ვინცა მაგრად და მართლად დაუდგეს, სული მისი ღირსთა და მართალთა თანამცა იხარებს. ამინ. დაინერა ქრონიკონსა ასოცდა შვიდსა, ფებერვალსა ოცსა" (გვ.272).

დამოწმებული საბუთის მიხედვით ხევის ტერიტორიული სივრცე ლოკალიზებულია სოფელ კობიდან სოფელ გველეთამდე, 1439 წლისათვის თერგის ხეობის ზემო წელი სოფელ რესიდან სოფელ კობამდე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, წანარულ-დვალური მოსახლეობის საცხოვრებელ არედ ითვლებოდა. სწორედ ასეთ ვითარებაში უნდა გაჩენილიყო ეთნონიმი თრუსოელნი, რაშიაც წანარულ-დვალური სიმბიოზი იგულისხმება. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ამ პერიოდისათვის გამორიცხული იყო ოსების იქ ცხოვრება იმის გათვალისწინებით, რომ თერგის ხეობის ოსური ახალშენი XVII საუკუნის შემდეგ შეიქმნა ვახუშტის მიერ აღრიცხული 8 სოფლით. ოსების აქ დასახლებით ოსური თემის შექმნის დროიდან ხევის საზღვრები შემოიფარგლა სოფელ მნიდან დარიალის კარიბჭემდე, მაგრამ ეს ივარაუდება XV საუკუნემდე. 1439 წლის საბუთის მიხედვით კი ხევის ფარგლები დავიწროვდა. დასახლებული პუნქტების მიხედვით კობიდან გველეთამდე, ხოლო ტერიტორიით ჯვართაყელიდან დარიალის ხეობის ბოლომდე.

აღნიშნულ ტერიტორიულ სივრცეში ხევის ყოველი სოფლის ვალდებულებას შეადგენდა მძევლების გამოყოფა გერგეტელი საყდრისშვილებისათვის, რათა სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევით განმტკიცებულიყო გერგეტელ საყდრისშვილთა ოდითგანვე არსებული უფლებამოსილება და სამების ტაძრისადმი მეთემეთა სავალდებულო სამსახური. ბუნებრივია, რომ ასეთი გადაწყვეტილებით აღკვეთილი უნდა ყოფილიყო მეთემეთა მოსალოდნელი დაპირისპირება.

იმის გამო, რომ ხევი ისტორიულად მოიცავდა თერგის ხეობის ზემო ნაწილსაც მნიდან ადომდე, აქ მოსახლე თრუსელთაც გარკვეული ვალდებულება დაეკისრათ საყდრისშვილების წინაშე. ვალდებულების ეს ფორმა საბუთში ფიქსირებულია "მოკიდებულის" სტატუსით. მოკიდებულთა შორის იხსენიებიან მნიდან "ჯურთაშვილი ჩიტურა და ბაჩხისძე და აბიაური და სედუვათძე". ასევე "თრუსოველთაიცა ჯურთიელ-ყანობელთა მოიკიდეს. მნით ბადაისძე და ადოით ცისკარიშვილი" (ქ. შარაშიძის პუბლიკაცია გვ.272). როგორც ჩანს, ეს "მოკიდება" შედარებით მსუბუქი ვალდებულების კატეგორიას განეკუთვნებოდა. ადგილობრივი "მოკიდების" იდენტურობა ნ. ბერძენიშვილის მიერ დადგენილ მოკიდებასთან (იხ. ნ. ბერძენიშვილი, მოკიდებულისათვის, კრ. "მიმომხილველი", I, 1949 წ.), როგორც ეს ქ. შარაშიძემ მიიჩნია, გამორიცხულია. ხურთიელ-ყანო-

ბელთ რომ თრუსოელ-მნაველნი მოიკიდეს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მნაველ-თრუსოელნი ხურთიელ-ყანობელთა მიმართ ფეოდალურ ვალდებულებას კისრულობდნენ. თრუსოელ-მნაველთა ჩართვა მოკიდებით სავალდებულო ფორმაში იმითი ჩანს მოტივირებული, რომ თერგის ხეობის ზემო ნაწილი მნიდან ადომდე ისტორიულად ხევის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი იყო. ხურთიელ-ყანობელთ კი იმიტომ დაეკისრათ თრუსოელ-მნაველთა მოკიდება, რომ ეს სოფლები ახლო მდებარეობენ თერგის ხეობის ზემო ნაწილთან.

გაუგებრობაა ქ. შარაშიძის შემდეგ განმარტებაში: "მოკიდებული" მნაველ-ყანობელნი და "თრუსოელ-ჯურთიელნი" საყდრისშვილების მიმართ ხევის სოფლებთან შედარებით უფრო იოლს, მაგრამ მაინც გარკვეულ ვალდებულებას კისრულობენ" (გვ.247).

ამგვარი განმარტებით ხევის სოფლებად მიჩნეული არ არის ხურთისი და ყანობი. სინამდვილეში მოკიდებულნი იყვნენ მნაველ-თრუსოელნი, ხოლო სამების მესვეურთა დავალებით მომკიდებელნი იყვნენ ხურთიელ-ყანობელნი.

გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთის მიხედვით შეუძლებელია მძევლებად დასახელებულთა ვინაობის დადგენა. მათ აღსანიშნავად დასახელებულია სახელი და მამიშვილობა. გამონაკლისის სახით გვარისსახელად გვხვდება ღუდუშაური. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ გადმოცემა წმინდა სახმების საძირკველის გაჭრასთან დაკავშირებით. გადმოცემის მიხედვით თემმა გადაწყვიტა გადარბენის მოწყობა ჯვართაყელიდან სამების ასაშენებელ ადგილამდე. მასში მონაწილეობა მიუღია კოჭლ ხურთისელ ბაჩხისძესაც. მას მთებზე გამავალი ბილიკებით ურბენია და პირველი მისულა დანიშნულ ადგილზე. ამის გამო მისთვის წილად ურგენიათ საძირკველის გაჭრაში პირველი თოხის (წერაქვის) დარტყმა. გამორიცხული არ არის, რომ ამ კოჭლი ბაჩხისძის შთამომავალი ყოფილიყო საბუთში ხსენებული ხურთისელი ბაჩხისძე. დამაფიქრებელი ჩანს ჯურთიშვილის ხსენებაც სოფელ ხურთისში. არ არის გამორიცხული, რომ ჯურთიშვილი დაკავშირებული იყოს გადმოცემასთან ▯ურთიშვილების ძლიერი გვარის წევრების შესახებ, რომლებიც თითქოს წოწეხთ ცხოვრობდნენ და იმ ტერიტორიას ფლობდნენ. ისიც შესაძლებელია, რომ მნის მკვიდრად ხსენებული ბადაისძე ხურთისელი ბადაშვილების წინაპარი ყოფილიყო.

თანამედროვეობასთან შედარებით განსხვავებული სურათი ჩანს სოფელთა ჩამონათვალშიც. საყდრისშვილთა საბუთში აღნუსხული სოფლებიდან დღევანდლამდე სახეზეა: გველეთი (მაშინ აქ მოხევეები ცხოვრობდნენ, ქისტები კი XIX საუკუნეში დასახლდნენ). ცდო, სტეფანწმინდა, გერგეტი, ფანშეტი, გაიბოტენი, გარბანი, სიონი, ტყარშეტი, გორისციხე, ხურთისი, ყანობი, კობი, ახალციხე, სნო. ნასოფლარებად იქცნენ: ქობი, ქედური, საღმრთოჲ, კვრაჲს ძალთაჲ, ყანანაზი (მის ბაზაზე შემდეგ დაარსდა სოფელი კარკუჩა), მთრეხი (სოფელ ჯუთის დაარსებამდე), ართხმო. ამ სოფლებთან ერთად ფაქტობრივად ნამოსახლარად იქცა თრუსოს ხეობა სოფელ რესიდან სოფელ ადომდე. საბუთში არ იხსენიებიან: უხათი, ფხელშე, თოთი, აჩხოტი, ქოსელი, მიგუდა, კარკუჩა, ჯუთა. საბუთში ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებად ფიგურირებს ხევი, მაგრამ სად მდებარეობდა ეს სოფელი გაუგებარია.

საყდრისშვილობა რომ პრეროგატივა იყო ცხადია, მაგრამ კონკრეტულად რა სახისა იყო ეს პრივილეგია და თემს რა ევალებოდა საყდრისშვილთა წინაშე, ეს

საბუთიდან არ ჩანს. ქ. შარაშიძის აზრით ეს იმით აიხსნება, რომ "საბუთის დაწერის დროს იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ ამის საბუთში შეტანა ზედმეტად ჩაუთვლიათ. საკმარისად უცვნიათ მთელი ხევის ყრილობის მიერ მძევლების გაცემით, მოწმეების დასახელებითა და საამისო საბუთის დაწერით გერგეტელების საყდრისშვილობის განმტკიცება" (ქ. შარაშიძე, გვ.246).

ის გარემოება, რომ საბუთის შედგენის დროისათვის გერგეტელ საყდრისშვილთა და თემის ურთიერთვალდებულება იმდენად ცნობილი იყო, რომ მისი აღნიშვნის საჭიროება აღარ უცვნიათ. ეს ნათლად ჩანს ადრინდელი საბუთიდანაც. მხედველობაში მაქვს ბაგრატ V-ის (1360-1393) მიერ გერგეტელთათვის განკუთვნილი წყალობის სიგელი. ხბოს ტყავზე დაწერილი ეს განახლებული (განმეორებით შედგენილი) სიგელი იმის დამადასტურებელია, რომ გერგეტელებისთვის მძევლების გამოყოფის ტრადიცია წმინდა სამების აშენება-ამოქმედებისთანავე დამკვიდრებულა. ამის უტყუარი მაჩვენებელია სამების აშენებისა და ბაგრატის სიგელის ქრონოლოგიური იდენტურობა. სიგელი გვაუწყებს: "ჩუენ ღვთივ გურგუნოსამან მეფეთა მეფემან ბაგრატ ესე მტკიცე და უქცეველი ბრძანება და სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ თქუენ გერგეტელთა საყდრისშვილთა წმინდისა სამებისა მოსამსახურეთა, საყდრისშვილობა ასრე და ამა პირსა ზედან, რომე თუ ვისმე თქუენი განი კაცი შემოაკუდეს სამ სისხლად აზულვევინეთ ამისთუის, რომე ძუელი სიგელიცა გქონდათ და ჩუენთა გუართაცა დაემტკიცნეს. ვნახენით სიგელი და გავსინჯეთ და დიდი სისხლი ეწერა თქუენი, ჩუენცა ახლად დაგიმტკიცეთ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ვინცა თქუენის ადგილისა გერგეტელი კაცი მოკლას რა გუარი"... (ინახება ყაზბეგის მუზეუმში).

ბაგრატ მეფის სიგელთან ერთად წმინდა სამებისა და გერგეტელ საყდრისშვილთა პრიორიტეტს აღიარებდნენ მომდევნო ეპოქის მეფეები, ფეოდალური, საეკლესიო პირები და რიგითი მოსახლეობის წარმომადგენლებიც. აღნიშნული ვითარების დამადასტურებელია სამებისადმი მიძღვნილი ჩანაწერები და ტაძრისადმი შეწირულ ფასეულობათა მაჩვენებლებიც. ერთ-ერთი მათგანია ვახტანგ VI-ის ჩანაწერი (1693 წ.) "€ე, ყოვლად ძლიერო ღმერთო, რომელმან ერთისა ბრძანებითა შექმნ ცანი და ქვეყანა, ზღვა და ყოველი რა არის მას შინა და ჩვენ გვქმენ ხატად შენდა და ჩვენის ცხოვრებისათვინ ხორცი შეისხ და ჯვარსა დაემსჭვალე და გამოგვიხსენ ჩვენ თაყვანისმცემელი თქვენი. და ბრძანებითა შენით ჰქმენ ქვეყნად მეფენი და მთავარი და აწ ქართლის მთავრად ჰქმენ გიორგი, ბრძანებითა შენითა. სძლიეს სპარსთა და გარდავარდა; დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი; სთხოვა სპარსთა და არ მოსცა და მე, ვახტანგ, გამაგზავნა ლექში, და მე, ბრძანებითა მისითა, შემოვიარე აქ და მოვდიოდი, რათა შეგვეწიონ სპარსთა ზედა ძალი ამა სამებისა წმიდანი. და აწ, გევედრები, რათა წარმიმართო სავალნი ჩემი. შემინდევ და ორსავე შინა ცხოვრებისად ღირს მყავ" (გვ.287)

მაშინ როდესაც ლეკეთში წასვლისას ვახტანგს გზად სამების ტაძარში სალოცავად შეუვლია, ის მხოლოდ 18 წლისა ყოფილა და სამეფო ტახტზე ჯერ კიდევ არ მჯდარა. ხევთან ვახტანგის ამგვარი კავშირი განმეორდა მისი მეფობის ჟამსაც, რისი მაჩვენებელიცაა 1712 წლის ვედრების ტექსტი: "წმინდავ ნინო მოციქულო! შეინწყალე მეფე ქართლისა ვახტანგს (!) და მეუღლესა რუსუდანსა და ძეთა მისთა ბაქარს და ასულს თამარს და ანუკასა და თუთას" (გვ.288).

საგულისხმოა, რომ ხევთან კავშირი სამეფო ოჯახის რუსეთში გადახვეწის შემდეგაც გრძელდებოდა. ვახტანგ VI და მისი შვილი ბაქარი აღმოსავლეთ საქართველოსთან კავშირს მოხევეების მეშვეობით ინარჩუნებდნენ, რასაც მოწმობს იესე და პაპა თექთურმანიძეებისადმი მათ მიერ ბოძებული ორი სიგელი (ამის შესახებ ითქვა გერგეტელთა დღეობების აღწერილობაში).

სამებისადმი დამოკიდებულება სახიერდებოდა შეწირულობის სახითაც. შეწირულობის ერთ-ერთ სახეობად წარმოგვიდგება სოფლის შეწირვა. სხვადასხვა ეპოქის ორ დოკუმენტში ამგვარ სოფლად იხსენიება სოფელი ქუაბი (ქობი). იმის შესახებ, თუ სამებას ქობი ვინ შესწირა, როდის, რა მოტივით და რანაირი გარანტიით, მეფეთა მოსახსენებელის ახალ ფენაში (XIV-XV II) ვკითხულობთ:

"აქა ძე გიორგისაჲ მეფეთ მეფისაჲ ვახტანგ მეფედ იქმნა, შეწევნითა წი'სა სამებისაჲთა. ქრონიკონი იყო: რ'ჲი ბ: - დღეგრძელობით და კურთხეულ ამყოფე, წმიდაო სამებაო, ამიერ და უკუნისამდე, ამინ: ' სოფელი შემოგწირა ქუაბი. ვინცა გამოგწიროს, ანუ მეფემან ანუ სხუამან მებატონემან, რისხვამცა წმიდაჲ სამებაჲ, ერთარსებაჲ" (გვ.266).

როგორც ქ. შარაშიძემ აღნიშნა, ქართლის უცნობი მეფე ვახტანგ გიორგის ძე, ტახტზე ასულა 1484 წელს (გვ.232).

ამ ფაქტის გათვალისწინებით სოფელი ქობი თუ უფრო ადრე არა, XV საუკუნეში მაინც არსებობდა და სამების სახელზე შეწირვის შემდეგ ტაძრის კუთვნილებად იქცა, როგორც საეკლესიო ქონება-მამულების შემადგენელი ნაწილი. ეს დოკუმენტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ ხევი იყო სახასო (სამეფო) მხარე და მის მიმართ სამეფო კარის უფლებები ვრცელდებოდა.

ტაძრისადმი სოფელ ქობის კუთვნილება 1484 წლის შემდეგ 1765 წელს განამტკიცა ერეკლე მეორემ, რასაც გვაუწყებს "გერგეტის მატიანეში" ჩართული საბუთი:

"ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, მეორე ირაკლი, მეფე საქართველოსი და დედოფალი დარეჯან ვამტკიცებთ გუჯარსა ამას. რა გვარათაც სოფელი ქვაბი ძველთაგან გერგეტის წმინდის სამების შეწირული ყოფილა, ჩვენცა აგრევ შეგვინირავს და მიგვირთმევია სოფელი ქვაბი, ყოვლის კაცის უცილებლათ. აღიწერა სეკდემბერს და, ქ'კს უნგ" (გვ.286).

ერეკლეს მიერ დაწერილ გუჯარს ამტკიცებენ კათოლიკოზი ანტონი და ბატონიშვილი გიორგი: "ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქი ანტონი მეფეთაგან დამტკიცებულსა გუჯარსა ამას ვამტკიცებთ. სეკდემბერს კბ. წელსა ჩღჲე. კათოლიკოზი ქ. ჩვენ, ბატონისშვილი გიორგი ამას ვამტკიცებთ~ (გვ.287).

შეწირულობანი და ვედრებანი რომ ტაძრისადმი თაყვანისცემის გამოხატულებაც იყო და მისგან მფარველობის გარანტიაც, ამას გვიჩვენებს ამბროსი ნილკნელ-ნეკრესელის ვედრება: "ქ. სამებაო ყოვლად წმიდაო! ადიდე მრჩობლითა ცხოვრებითა, სიცოცხლითა, დღეგრძელობითა და ყოვლის განსაცდელისაგან დაფარვითა ბატონის შვილი ვახტანგ, მპყრობელი სრულიად არაგვთა, რომელი ფრიადითა კეთილ განგებითა განაგებს ყოველთავე საეროთა და საეკლესიოთა. უფალმან კეთილად წარმართონ ბატონობა ამისი. ამინ. 1782 წელს, ივლისსა: იდ: ქკს უო" (გვ.271).

ეს ცნობა საყურადღებოა იმ პერიოდისათვის, როდესაც არაგვის საერის-

თავო საუფლისწულოდ იყო გარდაქმნილი და მას ბატონიშვილები მართავდნენ.

მოსახსენებელის მიზნით შეწირულების ერთ-ერთ უთარიღო საბუთს წარმოადგენს ნაცვლის ინდო ზაქაძის მოსახსენებელი და შეწირულების წიგნი, რომელიც გვაუწყებს:

"ქ. სულსა ნაცულის ზაქაძისა ინდოსსა და მეუღლისა მისისა გულქანისსა შეუნდნეს ღმერთმან და სული მათი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე. შვილნი მისნი დღეგრძელობით და მშუიდობით დალოცნეს ღმერთმან. ამინ... მე, ზაქაძემ ინდომან შევსწირე წმიდას სამებას ფანშეტს ჭიელისეული დღენახევრის ყანა. უბნის ჯუარითა რთ, მეფეთა სიგლით ნაბოძვარი. ასრე რომე ფერისცვალებასა დღესა ერთობილნი სტეფანწმინდელნი და გერგეტელნ ჩუენთუის და ძეთა ჩუენთათუის ლოცვა-კურთხევასა და შენდობასა ბრძანებდნენ. პაპრუაშვილის შიბლიასა, მიქოსძეს ლომიასა, ჯადელასძე ზალია, ბეგნის შვილი გებუასა, ალუთხარისა შვილი ირემასა. ამათის თავდებობითა და ესე ლოცვა-კურთხევა ნიადაგ ჩემთუის ითქმოდეს და არა ოდეს მოიშალოს. ვინცა ესე მოშალოს, წყეულმცა არს ჴსენება მათი. დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. ინდოსა და მის მეუღლეს გულქანს შეუნდეს ღმერთმან და შვილნი მათნი მშუიდობით დაიცვნეს ღმერთმან და ნათესავნი მისნი. ამინ. კირიელესუ." (273-274).

ნაცვალი რომ მოხელე იყო, საბუთიდან ეს ნათლად ჩანს. არ არის გამორიცხული, რომ ზაქაძე იგივე ზაქაიძე ყოფილიყო. მთიულეთის სათავეებში, ჯადის თემში მდებარე სოფელი ზაქათკარი ხომ ზაქაიძეებითაა დასახლებული.

ინდო ზაქაძისათვის მეფის მიერ სიგელით ნაბოძვარი ყანის შეწირვა იმის დამადასტურებელია, რომ წმინდა სამების მამულები არ იფარგლებოდა მხოლოდ გერგეტისა და ქობის ტერიტორიებით. ყანასთან ერთად მასვე შეუწირავს უბნის ჯვარი, მაგრამ ძნელია ჯვარის სახეობის გარკვევა — რა იგულისხმება ამ ჯვარში — ჯვარი როგორც ნივთი თუ ჯვარი როგორც საუბნო ხატი. იმის გათვალისწინებით, რომ ინდო ზაქაძე ლოცვა-კურთხევას და შენდობას შესთხოვს ერთობილ სტეფანწმინდელ-გერგეტელებს, ქ. შარაშიძემ სტეფანწმინდელებიც საყდრისშვილებად მიიჩნია. ამის საბუთად ის არ გამოდგება, რომ "ლოცვა-კურთხევის წარმომთქმელნი არიან არა სამების, სასულიერო წოდების ადამიანები, არამედ "ერთობილნი სტეფანწმინდელნი და გერგეტელნ" (გვ. 255-256).

ქ. შარაშიძის შეხედულებით სტეფანწმინდელებსა და გერგეტელებს ერთხანს ზიარი საყდრისშვილობა ჰქონდათ. მისი აზრით, ამის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს ამ სოფელში მცხოვრები ხეთაგურებისა და საერთოდ სტეფანწმინდელების მონაწილეობა გერგეტელ დეკანოზთა საახალწლო ცერემონიალში~ (გვ. 256). სინამდვილეში საყდრისშვილობის უფლებით სტეფანწმინდელები არასოდეს არ სარგებლობდნენ. როგორც სტეფანწმინდა-გერგეტის ხალხურ დღეობათა აღწერილობაში აღვნიშნეთ, ხეთაგურების განსაკუთრებული მდგომარეობა საახალწლო რიტუალში დაკავშირებული იყო არა ხეთაგურების საყდრისშვილობასთან, არამედ მათი წინაპარი თექთურმანიძეების დამსახურებასთან. გერგეტელი საყდრისშვილები რომ სტეფანწმინდელ ხეთაგურებს ახალწელიწადს ულოცავდნენ, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა ხეთაგურების საყდრისშვილობას. ამდენად, ინდო ზაქაძის ვედრება, რომ ერთობილ სტეფანწმინდელ-გერგეტელთ აღასრულონ მათი დალოცვა, ფერისცვალება დღეს, არ ნიშნავს სტეფანწმინდ-

ელთა საყდრისშვილობას. ფერისცვალება დღეს თითქმის ყველა მოხევე გერგეტში მიდიოდა სალოცავად, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა ყველა იქ მონანილე მლოცველის საყდრისშვილობას.

სამების სულთა მატიანეში ფართოდაა წარმოდგენილი ერისთავთა მოსახსენებელიც (გვ. 267-270). მათი უმრავლესობა ცნობილია და მოსახსენებელიც იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ხევი არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა მათ გვერდით ისეთი ერისთავებიც იხსენიებიან, რომლებიც საერისთავოში ხევის მოქცევამდე ფიგურირებდნენ. მათი ამგვარი დამოკიდებულება შეესაბამებოდა არა საერისთავოს შემადგენლობაში ხევის ყოფნას, არამედ სამების ტაძრისადმი თაყვანისცემას. გერგეტის მატიანეში ათაბაგთა და სხვათა მოსახსენებელში გვხვდებიან ბურდულთა გვარის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა სახელებიც (გვ. 285). ზევდგინისძე-ამილახორთა მოსახსენებელში ჩანან გვარები მთიულეთიდან: დუდაური ვირშელი, კავკასიძე ზაქარია, ზაქასძე (ზაქაიძე - ?) გორგასალი, მისი მეუღლე ნანრი, კიდევ მეუღლე (ალბათ მეორე — ვ.ი.) საჰზბრი, მათი შვილი გიორგი, გიორგის მეუღლე შუენიერი (გვ. 277).

ზევდგინიძე-ამილახორისა და სხვათა მოსახსენებლში იხსენიებიან აგრეთვე შალვა ჩრდილელი, ხოლო ხევიდან დასახელებულია ორი მოძღვარი მეუღლეებთან ერთად: "სულსა მოძღურისა ღუდუშაურისა ჯერასიმესა შ ს ღ ნ ა ნ. მეუღლესა მისსა რუსუდანს შ ნ ღ ნ ა ნ. ვინცა ბრძანოთ, თქვენცა შ ნ ღ ნ" (გვ. 276); "სულსა ღუდუშაურსა მოძღრისა გიორგისა შნღ. მისსა მეუღლესა ანნას შნღ. მათსა შვილსა დ... შნღ" (გვ. 278).

ამ ცნობებს ხევის ისტორიისათვის სათანადო მნიშვნელობა ენიჭება: 1) ჩრდილელები ხევში ზოგიერთი სოფლისადმი ბატონობის უფლებით სარგებლობდნენ; 2) ღუდუშაურებიდან ორი მოძღვარია დასახელებული, რაც სასულიერო სფეროშიც ამ გვარის გამოჩენის მაჩვენებელია.

მიმოხილული მონაცემების საფუძველზე სრული სიცხადით გამოჩნდა, რომ წმინდა სამებისადმი მრავალმხრივი დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლების ინიციატივით სახიერდებოდა. სამების ტაძრის აღმართვით გაგრძელდა იდეოლოგიური ცენტრის ფუნქციონირება საქართველოს განაპირა კუთხეში, რითაც გამიზნული იყო ქრისტიანობის განმტკიცება არა მარტო ხევში, არამედ იმ ტრადიციის გაგრძელებაც, რაც გამოხატულებას პოულობდა ამ რელიგიის შემდგომ გავრცელებას ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში. როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანიზაციის პროცესი სამების აშენებამდე ბევრად ადრე დაიწყო და განსაკუთრებით ეფექტურად განვითარდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში. ჩრდილო კავკასიის ყმადნაფიც ქვეყნებში მართლმადიდებლობის გავრცელება პოლიტიკური გავლენის ამოცანებთან იყო დაკავშირებული, ხოლო ამ ამოცანის განხორციელებისათვის ხევი უმნიშვნელოვანეს პლაცდარმს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ სამების ტაძრის აშენებამდე ხევში ეკლესიების მომრავლება სახელმწიფოებრივ ინტერესებთან იყო დაკავშირებული. საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ასეთივე პოლიტიკური გეზის განხორციელება ჰქონდა გამიზნული სამების ტაძრის აშენებით.

ის გარემოება, რომ სამების ტაძრის აღმართვა სახელმწიფო ინიციატივით განხორციელდა, განხილულ საისტორიო მონაცემებთან ერთად თვალნათლოვ

ჩანს ხალხური გადმოცემებიდანაც. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ისტორიული რეალობის შევსება ჩვენამდე მოღწეული ხალხური მასალებითაც.

როგორც მოხევეები მოგვითხრობენ, სამების აშენებამდე მცხეთის სვეტიცხოველის "პირსაცავის" (განძის და ნმინდა ნინოს ჯვარის) შესანახი იყო ბეთლემის გამოქვაბული და მის ბოლოში მდებარე საზაფხულო სადგომი ბერებისათვის. ზამთარში კი აქ არ გაიძლომებოდა და ბერები, განდეგილთან ერთად, სოფელ არშის ახლოს მდებარე გამოქვაბულებში ბინადრობდნენ. მშვიდობიანობის დამყარებისას ეს განძი და ნინოს ჯვარი ვაზისა, კვლავ მცხეთას უბრუნდებოდა.

გადმოცემის მიხედვით, საქართველოს რომელიღაც მეფემ ხევში ახალი ტაძრის აშენება გადაწყვიტა. მანამდე კი ხევში არსებობდა გარბნის, სიონის, ახალციხისა და გველეთის ეკლესიები. სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ყველაზე დიდი ტაძარი თვალსაჩინო ადგილზე უნდა აგებულიყო. ადგილის შერჩევისათვის მეფეს დარბაზის კრება მოუწვევია. თათბირის შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ მცხეთაში ნიშა ხარი დაეკლათ და მისი ბეჭი ველად დაეგდოთ იმ გუმანით, რომ ლოცვა-ვედრების შემდეგ აქ მოფრინდებოდა შავი ყორანი. ყორანი ბეჭს რომ წაიღებდა, სადაც შეისვენებდა და ბეჭს დაკორტნიდა, იქ ნიში უნდა აეშენებინათ. რამოდენიმე ადგილას ასეთი შესვენების შემდეგ ყორანი სადაც საბოლოოდ შეჩერდებოდა და ბეჭს ბოლომდე გამოხრავდა, ტაძარი იქ უნდა აშენებულიყო. ყორანის შესასვენებელი ადგილები და საბოლოო ადგილი რომ სცოდნოდათ, ამისი შემოწმება დაუვალებიათ ჩქაროსანი მეთვალყურე ცხენოსნებისათვის.

ცხენოსნებმა დააფიქსირეს ყორანის შესასვენებელი ადგილები: ანანური, კლდის ნიში მერმინდელი ფასანაურის ახლოს, ჯვრის უღელტეხილი. ყორანმა აქედან იფრინა და დაჯდა სოფელ გერგეტის ბოლოში — ელოგეშთ. ბეჭი იქაც დაკორტნა, მაგრამ ბოლომდე არა. იქვე მიუსწრეს მდევარმა ცხენოსნებმა. მათ შენიშნეს, რომ ყორანმა აქ ფრენით იტრიალა, ხოლო საბოლოოდ გეზი აიღო ელოვანთ ქედის მიმართულებით, დაფრინდა ქედის სათავეში და ბეჭი ბოლომდე იქ გამოხრა.

ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ტაძარი სწორედ იმ ადგილზე უნდა აგებულიყო. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა. სამეფო ხელისუფლებამ ხურონი მოიწვია. სამშენებლო პროექტის შედგენა დაევალათ ხუროთმოძღვრებს. სამშენებლო ქვის მოტანამდე და კირის დამზადებამდე ამოცანად დაისახეს საძირკვლის გაჭრა. ვის ხვდებოდა წილად პირველი თოხის (წერაქვის) დარტყმა, ეს ხევის ყოველი სოფლისათვის სანუკვარი ოცნება იყო. სოფლებს შორის რომ დავა არ წარმოქმნილიყო, თემის საბჭომ სამშვიდობო გადაწყვეტილება მიიღო. თემის ბჭეებმა სოფლები წყვილ-წყვილად დააჯგუფეს. ასე დაწყვილდნენ გერგეტ-სტეფანწმინდა, სიონ-გარბანი, ფხელშე-გორისციხე, ხურთის-ყანობი, სნოს ხეობის სოფლები. ასე დაწყვილებული სოფლები ვერაფრით ვერ მორიგდნენ ვის ხვდებოდა წილად საძირკვლის გაჭრა. ბოლოს თემის საბჭოს გადაუწყვეტია: სოფლების ყოველი წყვილიდან თითო მუხლმაგარი ჯეელი შეერჩიათ და მათ შორის შეჯიბრი მოეწყოთ გადარბენაში "ჯორთვაკიდან" (ჯვრის უღელტეხილიდან) ელოვანთ ქედამდე. დანიშნულ ადგილას ვინც პირველი მივიდოდა, გამარჯვებულის ორ სოფელს მიენიჭებოდა საძირკვლის გათხრის უფლება.

როგორც ზემოთაც ითქვა, ხურთის-ყანობის სახელით გადარბენაში მონაწილეობდა ხურთისელი კოჭლი ბაჩხისძე. მას მთა-მთა ურბენია, ამითი გზა შეუმოკლებია და პირველი მისულა სატაძრედ განკუთვნილ ადგილზე. მან, როგორც გამარჯვებულმა, მოიპოვა თოხის პირველი დარტყმის ნება, ხოლო ხურთისელ-ყანობელთ მიენიჭათ საძირკვლის გაჭრის უფლება. ამ საპატიო მისიის შესრულების შემდეგ თემის საბჭოს სამწყალობნო დაუდგენია: "სამების ეკლესიის საძირკველი ხურთიელ-ყანობელთ გათხრილია, სულთ იმათას შაუნდნეს და დამრჩომს სწყალობდეს."

საძირკვლის გაჭრასთან ერთად დაიწყო სამშენებლო მასალის დამზადება. სათალი ქვა უზიდიათ ღეჭიადან, რომელიც ორი კილომეტრით აშორებს სატაძრედ განკუთვნილ ადგილს. ხარ-მარხილის გზა გაუყვანიათ მთის ფერდობებზე. მოხევეების ცნობით, ღეჭიაში დღემდე არის შემორჩენილი ქვის მჭრელთა ნასახლარები და დამუშავებული ქვის ნარჩენები. ქვის საზიდ მარხილში შებმული ჰყოლიათ ორი ხარ-კამეჩი, რომელთაც დევ-ნიქარანი შეარქვეს. როგორც გერგეტელმა სანდრო სუჯაშვილმა მითხრა, მისი მახსოვრობით ამ ხარ-კამეჩის გაქონილი ყდედი (ჭაპანი) სამებაში ინახებოდა. როგორც ხალხშია ნათქვამი, სამშენებლო ხსნარის დასამზადებლად ზაფხულობით 30 ფურ-კამეჩს წველიდნენ, ხოლო კვერცხი საქართველოს ბარიდან გადმოჰქონდათ. ფურ-კამეჩები ზამთრობით კვლავ ბარად მიყავდათ.

ტაძარი რომ აშენდა, დადგა მისი მოვლა-პატრონობის საკითხი. მეფის ბრძანებით ეს უფლება მიენიჭათ გერგეტელებს და მათვე ებოძათ საყდრისშვილობა, რასაც ზემოთ გავეცანით.

ნიშანდობლივია, რომ თემობრიობა და მისთვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემა მჭიდროდ უკავშირდებოდა ეკლესიის პრიორიტეტს. ეს ჩანს როგორც სამების ტაძრის აშენებამდე არსებული ეკლესიების, ისე განსაკუთრებით სამების მაგალითზე. ხალხური ტრადიციული ბჭობის სისტემა რომ ეკლესიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ამის მატერიალური მტკიცებულების საფუძველია ბჭეთათვის განკუთვნილი ქვის ზურგიანი სკამები სოფელ სიონის სამრეკლოსთან და სამების ეკლესიის ერთ მხარეზე მიშენებული თემის საბჭეო გერგეტში. შემთხვევითი არ არის, რომ სამების კედელთან მიშენებულ სენაკს თემის საბჭეო ეწოდება. ამ სენაკში ხევისბერის მეთაურობით თემის რჩეული კაცები — ე.წ. რჯულის კაცები ბჭობდნენ. არაგვის საერისთავოში ხევის გაერთიანებამდე ხევისბერი ფაქტიურად ხევის მმართველი იყო. მისი უფლებამოსილების სფეროში შედიოდა ტრადიციული ხალხური მმართველობა, სამხედრო საქმე და სასულიერო სფერო. ეს ნათლად გამოჩნდა ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც შესანიშნავადაა წარმოჩენილი ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიულ რომანში - "ხევისბერი გოჩა" (ამის შესახებ იხ. ვალერიან ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი — ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები, თბილისი, 2006 წ.). ისიც ცნობილია, რომ მაშინდელი ხევისბერი რეალური პიროვნება იყო. მოხევეები დღესაც სრული დამაჯერებლობით გვაუწყებენ, რომ გოჩა იყო გვარად ფიცხელაური, სახელდობრ ეპონიმი ამ გვარის იმ განშტოებისა, რომელსაც დღეს გოჩიანნი ეწოდება. ვახტანგ ითონიშვილის შეხედულებით გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ვახტანგ VI-ის ეპოქაში ხევის-

ბერი ან გამგებელი ყოფილიყო სამეფო ხელისუფლების წინაშე დამსახურებული რომელიმე თექთურმანიძე (იხ. ვახტანგ ითონიშვილი, ნარკვევები არაგველთა ისტორიიდან, თბილისი, 2006 წ., გვ. 103).

სამებამდელი საეკლესიო ცენტრების დამოკიდებულება ხევის თემისადმი ჩვენთვის უცნობია. გადმოცემით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ხევის ცენტრი ყველა ვითარებაში ეკლესიათან იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ XV-XVIII საუკუნეების დოკუმენტების მიხედვით თვალნათლივ გამოჩნდა თემისადმი ტაძრის პერსონალის დამოკიდებულება, რასაც ზემოთ გავეცანით. აშკარაა, რომ ტაძრის მიზანს შეადგენდა ხევში სრული პრიორიტეტის მოპოვება. ფაქტობრივად გაჩნდა სატაძრო თემის დაფუძნების ცდები, რამაც თავი იჩინა ჯერ კიდევ ადრინდელი ეკლესიების თემის ცენტრად მიჩნევის მცდელობაში. ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებული სიცხადით გამოიკვეთა სამების ტაძრის ყველა ღონისძიებაში და პრიორიტეტის რეალიზაციისადმი მისწრაფებაში. მაგრამ იმის გამო, რომ გერგეტელ საყდრისშვილთა პრეროგატივის პირობებში იმავე თემის საბჭეოში ხევისბერის მეთაურობით რჯულის კაცები ანუ თემის რჩეული კაცები ბჭობდნენ და მათი ბჭობის სენაკს თემის საბჭეო ერქვა, ამის იგნორირება წმინდა სამების პერსონალს არ შეეძლო. ეს რეალობა დაინახეს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე სამღვდელოების წარმომაგენლებმა და თემისადმი დაპირისპირებას მოერიდნენ. მათ ამჯობინეს კომპრომისი თემსა და ეკლესიას შორის.

ის გარემოება, რომ ხევის ტერიტორიული თემის არსებობის პირობებში ეკლესიის ავტორიტეტიც დიდი იყო და ამის გამო თავი იჩინა სატაძრო თემის ფორმირების ნიშნებმა, ხევში სატაძრო თემი მაინც არ ჩამოყალიბებულა. აქ კვლავაც თემი და თემობრიობა ფუნქციონირებდა. ასეთი ვითარება სუფევდა კუთხეში, სადაც სამეფო ხელისუფლების მიერ აშენებული ტაძრები არსებობდა. ამის ფონზე ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ სატაძრო თემი არსებულიყო ხევსურეთში, სადაც არც ერთი ეკლესია არ არსებობდა. ასეთი წარმოდგენის საფუძველი იყო მხოლოდ ვ. ბარდაველიძის ილუზია, რომლის მიხედვითაც ტაძრად წარმოჩენილი იყო ხევსურული ჯვარი — ქვის მშრალი წყობით აშენებული სალოცავი (ხატი) ან პატარა ზომის ნიში (იხ. ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, "საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XIII, N 8, თბ., 1952; მისივე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, "საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XIII, N 10, თბ. 1952; ჩემი რეაგირება იხ. ვალერიან ითონიშვილი, ტერიტორიული თემი საქართველოში, კრ. "ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი", ტ. IV, თბილისი, 2002 წ., გვ. 84-144).

თემობრიობა ხევში რამდენადმე შესუსტდა არაგვის საერისთავოში ხევის გაერთიანების შედეგად. არაგვის ერისთავების ბატონობის პირობებში ხევში ერისთავის უშუალო წარმომადგენელი იყო მოურავი, როგორც ერისთავის გადაწყვეტილებათა შემსრულებელი და გადასახადების ამკრეფი. ზურაბ ერისთავის დროისათვის ამ ფუნქციის აღმასრულებელი ყოფილა შიოლა ღუდუშაური, რაც ნათლად ჩანს ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან (ამის შესახებ იხ. ვალერიან ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი — ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები, თბილისი, 2006 წ.).

არაგვის საერისთავოს გაუქმებისა და საუფლისწულოდ მისი გარდაქმნის

დროიდან (1743 წ.) საუფლისწულოს ერეკლე მეორის შვილები — ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები მართავდნენ. მათივე დამსახურებაა ლოკალური დანიშნულების სამართლის წიგნის შედგენა სახელწოდებით - "განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა" ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ. IV, თბილისი, 1965. მის შესახებ იხ. ი. ფუტკარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1964 წ.). "განჩინების" შესაბამისი მუხლებით იყო განსაზღვრული ბარის და მთის მოსახლეობის უფლებამოსილების ნორმები: აღნიშნულ ეპოქაში ხევის თემი მოიცავდა ოთხ სამოურაოს და თითოეულ მათგანს გამგებელი განაგებდა. სნოს ხეობაც ერთიანი თემის შემადგენელი ნაწილი იყო და არა დამოუკიდებელი თემი, როგორც ეს ალ. ყაზბეგს ჰქონდა აღნიშნული. 1774 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებითაც ხევი ერთიანი თემი იყო სოფელ მნიდან სოფელ გველეთამდე (იხ. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, 1907 წელს გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა).

საუფლისწულოდ აღდგენილ ხევში შეინიშნებოდა სამეფო ხელისუფლების კანონებისა და მოხეური ტრადიციების თანაარსებობა. ხალხი კვლავაც დიდი გულმოდგინებით იცავდა სათემო ტრადიციებს, რაც სამების დეკანოზების თაოსნობით ხორციელდებოდა. რეგულარულად სრულდებოდა როგორც სათემო საახალწლო დღესასწაული, სახელდობრ სამების დეკანოზების მიერ ხეთაგურების დამწყალობნების ტრადიცია (ამის შესახებ ითქვა გერგეტის დღეობათა აღწერილობაში), ისე სათემო მარიამობა. ამასთან დაკავშირებით სამების დეკანოზების ინიციატივით ყოფილი წანარეთის სივრცეში, მთელი თერგის ხეობაში სათავიდან სოფელ გველეთამდე, ყოველ კომლს ევალებოდა თითო მათარა (20 კგ.) ქერი სასმელების დასამზადებლად და თითო შიშაქი ცხვარი. ამასთან ერთად იკრიბებოდა ფულიც მამაკაცთა რაოდენობის გათვალისწინებით. როგორც ხალხს ახსოვს, ახლო წარსულში ამ ფულით ქ. ვლადიკავკაზში ლავაშს ყიდულობდნენ და თემის მეკოდე მას ყველა ოჯახს უწილადებდა. თემში შეგროვებულ ქერს სამების დეკანოზები უნაწილებდნენ გერგეტის ოთხ მნათეს, რომელთა მოვალეობას შეადგენდა სასმელების დამზადება. მოჭარბებულ ქერს სცვლიდნენ დღეობისათვის განკუთვნილ საკლავებზე.

ხალხს ისიც კარგად ახსოვს, რომ სამარიამო ხარჯის შეგროვებაში მონაწილე დეკანოზებს ყოველ სოფელში მასპინძელი ჰყავდა. საფიქრებელია, რომ ხალხის მიერ სახელდებული მასპინძელი თავისი ფუნქციით ყოფილიყო "გერგეტის სულთა მატიანეში" ხსენებული მძევალის პროტოტიპი. როგორც ჩანს, ისტორიულ წარსულში მძევალი იმავე როლს ასრულებდა, რასაც მერმინდელი მასპინძელი. საბუთიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ხალხის მიერ მასპინძლებად სახელდებული მძევლების შერჩევა ხდებოდა თითქმის ყოველ სოფელში. თუმცა ისიც შეინიშნება, რომ საბუთში ზოგიერთი სოფელი არ იხსენიება. ეს იმითი უნდა აიხსნებოდეს, რომ ზოგიერთი მერმინდელი სოფელი მაშინ არ არსებობდა, ხოლო შემდგომ პერიოდში სოფლების ერთი ნაწილი ნასოფლარებად იქცნენ. ხარვეზები შეინიშნება მძევლების დასახელებაშიც. ზოგი მათგანი იხსენიება გვარით, ზოგი მამიშვილობით და ზოგიც პირადი სახელით. მხოლოდ მცირედი გამონაკლისის სახით გვხვდება ზოგიერთი ისეთი გვარის სახელწოდება, რომელიც დღეისათვის ცნობილია (ღუდუშაური, ბადაისძე — როგორც ჩანს ხურთისელი ბადაშვილი).

არსებული მონაცემების მიმოხილვის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ტაძრის პერსონალისა და თემობრიობის თანაარსებობის პირობებში თემის არსებობა სახიერდებოდა თემის ბჭეთა ფუნქციონირებაში. თემის საბჭეოს არსებობა აღნიშნულის მატერიალური დადასტურებაა. ამის გათვალისწინებით თემის საბჭეო და თემობრიობა მოხევისათვის განუყოფელი ცნებები იყო. ხალხს დავიწყებული არ ჰქონია ის რეალობა, რომ თემის ბჭეებად არჩეული ხანდაზმული ადამიანები თავიანთი გონიერებით, გამჭრიახობით, სამართლიანობით, გვარ-მოდგმის ღირსებით ხალხის ნდობას იმსახურებდნენ. ვიდრე თემის საბჭეო ფუნქციონირებდა, თემის კაცებიც იქ ბჭობდნენ. მათი შეკრება ხდებოდა სათემო მნიშვნელობის საკითხების რეგულირების მიზნით. მათი განსჯის საგანი იყო თემში მომხდარი რაიმე მძიმე დანაშაული, მეზობელ კუთხეებთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, ხევის სოფლებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობა, საადგილმამულო დავა, მოსისხლეთა შერიგება, დარღვეული საყოფაცხოვრებო ურთიერთობის მოგვარება და ა.შ. ამგვარი უფლებამოსილებით სარგებლობდნენ რჯულის კაცები იმის შემდეგაც, რაც ხევისბერობა მოიშალა და თემის საბჭეოში შეკრება აღარ ხდებოდა. ასეთ ვითარებაში თემის ბჭეები შეკრების ადგილს თავად ირჩევდნენ. თემის კაცების შემადგენლობა წარმომადგენლობითი იყო სოფლების მიხედვით. მოხევეების ცნობით, ახლო წარსულამდე ბჭეთა რაოდენობა 12-ს აღწევდა. მთხრობლების ხსოვნით, მერჯულეობაში პრიორიტეტით გამოირჩეოდნენ: გერგეტიდან აწკვეთ ვანიაჲ(ხუციშვილი), სიონიდან ყარაჯეთ მარტიაჲ (ღუდუშაური), სტეფანწმინდიდან თოლიკეთ ვანიაჲ (ფიცხელაური), ლევანეთ ვანო (ჩოფიკაშვილი) და ა.შ. მოხევეებმა ისიც მითხრეს, რომ რჯულის 12 კაცი ყველა საქმის განხილვისას ერთდროულად არ მონაწილეობდა. ბჭობაში მონაწილეთა შერჩევა განისაზღვრებოდა ერთი მხრივ განსასჯელი საქმის სახეობით, ხოლო მეორე მხრივ საქმის განხილვაში თითოეული მათგანის შესაძლებლობით.

სათემო მნიშვნელობის საქმეები თუ სათემო საბჭოს მიერ განიხილებოდა, ყოველი სოფლის სათათბიროს წარმოადგენდა ე.წ. ერობაჲ. მის ფუნქციაზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, შეიძლება გავეცნოთ ხევის ყველაზე დიდი სოფლის — სტეფანწმინდის ერობას. როგორც ივანე ეფხოშვილმა მაცნობა, ამ სოფელში იყო სამი საერობო: 1) ზემო უბანო — ე.წ. ისმელეთ (ფიცხელაური) უბანი, 2) გომიეთ (გომიაშვილების) უბანი სოფლის ბოლოში და 3) შუა უბანი — გოდეთ (შადურების) უბანი, მთავარი უბანი, რომელსაც ერქვა სოფლის ყრილობა. ზემო და ქვემო უბანი მამაკაცთა სასაუბრო იყო. იქვე იდგა საღენჭელი, რითაც ტყავის გამოქნა ხდებოდა ერობაში მყოფთა მონაწილეობით. ორივე ერობაში სასაუბრო თემა იყო სოფელში ან სხვაგან მომხდარი ამბები, საგმირო თუ სამარცხვინო ამბების თხრობა. სასოფლო საქმეები კი განიხილებოდა დიდ ერობაში ანუ სოფლის ყრილობაზე. აქ შეკრებისათვის ხალხს ატყობინებდნენ გუგუეთ (ჩოფიკაშვილების) გრძელი ბანიდან დაკივლებით: "ხვალ, კვირას სოფლის ყრილობაა და მაქუჩდითო". სასოფლო საქმეებს განიხილავდა სამი ამორჩეული კაცი — ე.წ. "პოვერნიები".

დიდ ერობაში ხდებოდა მენახირის, მეკაროვნის, მეკბის, მეცხორის, მეველის ამორჩევა. თუ რომელიმე დამნაშავე სოფლიდან მოსაშორებელი იყო, ესეც

სახალხოდ განიხილებოდა. მის ძროხასაც კი სოფლის ნახირში აღარ გაირევდნენ. "მოშორება" ისეთ კაცს ეხებოდა, რომელიც სოფლის გადაწყვეტილებას არ ემორჩილებოდა, სამწყემსოს ან სამეველიოს არ იხდიდა, ვინც მედუქნეს ნისიას არ გადაუხდიდა. თუ მედუქნე ერობაში იჩივლებდა, ურჩი გადამხდელი სოფელს პატიებას სთხოვდა და ერობაში მყოფნი მხოლოდ იმ პირობით აპატიებდნენ, თუ მსგავს დანაშაულს აღარ ჩაიდენდა. ის თუ კვლავაც გაჯიუტდებოდა, სოფლის საქმიდან ჩამოიცილებდნენ.

ერობაში განსაკუთრებული სიმკაცრით განიხილებოდა მამულის უსამართლოდ მითვისების მცდელობა. მთხრობლებმა ამის მაგალითად დამისახელეს ყაზბეგიანთ თვითნებობა. როგორც მათ მაცნობეს, ყაზბეგები სტეფანწმინდელებს სოფლის მამულის ნახევარს ედავებოდნენ. ყაზბეგები თურმე იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, თითქოს სოფლის ყანების ნახევარი მათ ხელმწიფემ მიაკუთვნა. მოსახლეობის ჩივილის შედეგად დუშეთის სასამართლომ ყაზბეგები გაამტყუნა. ამის შემდეგ ეს საკითხი საერობოზე გაიტანეს და ყაზბეგიანნი მოიკვეთეს. ერობაში ისინი დაარისხეს და სარისხეული სამანიც ჩაუყუდეს. სამანის ჩასმას მთელი სოფელი დაესწრო. სამანს მეთვალყურე მიუჩინეს. ვინც ისე გაივლიდა, რომ სამანს ხელს არ დაადებდა, ის ყაზბეგიანთ მომხრედ ჩაითვლებოდა. მეთვალყურე რომ ასეთ პირს შენიშნავდა და ერობას აცნობებდა, ერობა იმასაც ცხოვრების პირობებს შეუზღუდავდა. ამიტომ ყოველი გამვლელი სამანს ხელს დაადებდა და იტყოდა - "რისხავდეს კევის ანგელოზების მადლი". მომხდარი დარისხების შემდეგ ყაზბეგებმა სოფელს პატიება სთხოვეს. შაქრო ყაზბეგმა სამი წლის მოზვერი დაკლა, სუფრა გააწყო და სოფლის მამაკაცები მიიწვია. შაქრომ ეს შესძლო გერგეტელი თემის კაცების შუამდგომლობით. ერობამ ყაზბეგებს დანაშაული აპატია და მათი ცხვარ-ძროხაც კვლავ გაირიეს სოფლის საქონელში.

ამგვარი სახით წარმოგვიდგება ეკლესიისა და თემის ურთიერთობა, თემობრიობა, მისი მმართველობის სისტემა და დროთა ვითარებაში მომხდარი ცვლილებები ტრადიციების სფეროში. ტრადიციების სფეროს განეკუთვნება ხალხური სამართალწარმოებაც, რასაც ნაშრომის მომდევნო ნაწილში გავეცნობით.

ტრადიციული სამართალწარმოება

თემის მმართველობასთან ერთად ხევში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხალხურ სამართალწარმოებას. ხალხური რჯულით წესრიგდებოდა ოჯახის წევრების, მოგვარეების და მეთემეების ურთიერთობა. განსჯა ეხებოდა როგორც მშვიდობიან ურთიერთობას და მამა-პაპური ცხოვრებისეული ნორმების უზრუნველყოფას, ისე ყველა მეთემის შეცდომის ან დანაშაულის შეფასებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ცხოვრებაში დაკანონებული წესების დარღვევას. მისი აღკვეთისათვის უფლებამოსილებით სარგებლობდნენ ოჯახების უფროსები, გვარების უფროსები და სოფლის თუ თემის კაცები. თუ ოჯახის უფროსის მოვალეობას შეადგენდა წესრიგის დამყარება უფროს-უმცროსობის გათვალისწინებით, გვარის უფროსის კომპეტენციას შეადგენდა გვარის დანაყოფებისა და მათში შემავალი ოჯახების ურთიერთობის ნორმალიზაცია შექმნილი ვითარების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების ნებისმიერ უჯრედში უფროსები ვერ შესძლებდნენ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას, საქმეში ერეოდნენ სოფლის ან თემის რჩეული კაცები. ვითარების განსჯაში ისინი ხელმძღვანელობდნენ ადათობრივი სამართლის ნორმებით. მათ მოვალეობას შეადგენდა ყველა სახის დანაშაულის განსჯა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უფლებით. იმის შესახებ კი, თუ რა ითვლებოდა დანაშაულად, როგორ ხდებოდა მისი შეფასება და განსჯა რითი მთავრდებოდა, ეს კარგად ჩანს ხევში ფიქსირებული კონკრეტული მონაცემებიდან.

ქურდობას თუ მამაკაცი ჩაიდენდა, სოფელი ან თემი მას ნაქურდალზე შვიდჯერ მეტს ახდევინებდა დაზარალებულის სასარგებლოდ. ქურდობის განმეორების შემთხვევაში კი ის უფრო მკაცრად ისჯებოდა. მას ერობაში ჩააყენებდნენ, სახალხოდ გაასამართლებდნენ, სამანს ჩაუყუდებდნენ და მოიკვეთდნენ. ამის შემდეგ მეზობლები მასთან კონტაქტს წყვეტდნენ, რის გამო მოკვეთილი იძულებული ხდებოდა სხვაგან გადახვეწილიყო.

ქურდობას თუ ქალი ჩაიდენდა, ნაქურდალს ჩამოართმევდნენ, ხოლო ქმარი მას სახლიდან გააგდებდა, ან გაკიცხვას და უკანასკნელ გაფრთხილებას ჯერდებოდა.

რჯულის კაცები ქალს განსაკუთრებული სისასტიკით გაასამართლებდნენ. თუ ცილისწამება საეჭვო იყო, ქალი დაიჭერდა კატას, სცემდა და თან იძახდა - "ეს იყოს იმის მკვდრისა და ცოცხლისთვის, ვინც მე უნამუსობა დამაბრალა". საეჭვო ცილისწამების შემთხვევაში ქალს ქომაგებიც გამოუჩნდებოდნენ, მაგრამ თუ ბრალდების საფუძველი არსებობდა, როგორც გასათხოვარი, ისე გათხოვილი ქალი სასჯელს ვერ ასცდებოდა. შერცხვენილი გასათხოვარი ქალი ვერ გათხოვდებოდა, ხოლო გათხოვილ ქალს თუ ღალატი დაუმტკიცდებოდა, ქმარი მას სახლიდან გააძევებდა. უფრო მეტიც, ქალი თუ თავს შეირცხვენდა, თვით მისი გვარიც მოიშორებდა და "გადაკაფრავდა", ე.ი. სხვა სოფელში ან მხარეში უკრავდა თავს.

შერცხვენის უკიდურესი ზომის გამოყენება ემუქრებოდა ქალის შემაცდენელ მამაკაცსაც. ერთ-ერთი ფაქტის მიხედვით, ქალის ბიძაშვილებმა ძაუგიდან მომდინარე დამნაშავეს ჯერ მაგრად სცემეს, ხოლო შემდეგ შარვალი გახადეს,

ყელზე შემოახვიეს და სოფელ ლარსზე ასე გამოატარეს.

არსებობდა უფრო მკაცრი სასჯელიც — სამრისხველო სამანის ჩაყუდება და დამნაშავის თემიდან გაძევება. სამანი და გაძევება სასჯელის უმაღლესი ნორმა იყო და მისი რეალობაც ფაქტობრივი მონაცემებით დასტურდება. ამ მხრივ განსხვავებული ვითარება შეინიშნება ჩაქოლვის წესად არსებობასთან დაკავშირებით. მოხევეები კი განმარტავდნენ, რომ წესად იყო მიღებული ქურდის, მეძავის, ნათესავთან შემცოდის და მით უმეტეს თემის მოღალატის ჩაქოლვა, მაგრამ ფაქტობრივი კონკრეტული მონაცემები არ დამოწმდა არც ჩაქოლვის და არც საქოლავის შესახებ.

ღალატი ცოლის მხრიდან იმდენად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რომ მისი მოკვლის შემთხვევაში ცოლეურები სიძეზე შურს არ იძიებდნენ და დარცხვენილები სიჩუმეს არჩევდნენ. უფრო მეტიც, შერცხვენილი ქალის საგვარეულოც შერცხვენილად ითვლებოდა და სამხდოს გადახდით თემს ებოდიშებოდა. იმ შემთხვევაში კი, თუ ქმარი უდანაშაულო ცოლს მოკლავდა, ცოლეურებს შეეძლოთ მკვლელი სიძის მოკვლა. ასეთ ვითარებაში რომ შურისძიება არ მომხდარიყო, თემის კაცები მათი შერიგებისათვის ირჯებოდნენ. თემის ბჭეების ჩარევა ხდებოდა ქმრის მიერ უდანაშაულო ცოლის დაჭრის შემთხვევაშიც. როგორც წესი, ქალი უმთავრესად მამის სახლს უბრუნდებოდა, ხოლო ქალის სასარგებლოდ ქმარს გადაახდევინებდნენ სათემო რჯულით განსაზღვრულ საურავს.

სამანი წარმოადგენდა ორმოში ჩაყუდებულ გრძელ ქვას — ჭაჭს (ფიქალი) ან ბასრს. სასამნე ორმოში ჩააყოლებდნენ ნახშირს შემდეგი სიტყვებით: "ეგრე დაიწოს სამანჩაყრილის საბოლო (მემკვიდრეობა)". ზოგიერთ შემთხვევაში სამანთან ცხვარსაც კლავდნენ. გადმოცემის თანახმად, ძველად სცოდნიათ შავი ფერის ცხვრის დაკვლა და სამანთან ერთად ორმოში ჩაფლვა. შემდეგ ეს წესი შეუცვლიათ: სასამნე ორმოსთან დაკლული ცხვრის სისხლს ორმოში ჩაღვრიდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუყუდებდნენ სამრისხველო სამანს. გადაწყვეტილებას სამანის ჩასმის შესახებ ღებულობდნენ თემის ბჭეები, ხოლო ცხვრის დაკვლის რიტუალი მალვით სრულდებოდა. ასევე დაფარულად სრულდებოდა დარისხება დამნაშავისა ისე, რომ თვით დამნაშავეს ეს ვერ გაეგო.

სამრისხველო სამანის ჩასმით თემიდან გაძევება უწევდა ნათესავზე მექორწინე პირსაც.

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე თემს პატიებას და სამანის ამოღებას შესთხოვდა, ის ივალდებულებდა ხარის დაკვლას და სათემო სამხდოს. შევედრების რიტუალი ხატში სრულდებოდა.

სამრისხველო სამანის პარალერულად არსებობდა სამწყალობნო სამანიც, რასაც ძეგლის მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელოვანი ადამიანის სამახსოვროდ. მოხევეების განმარტებით, ერთ-ერთი ასეთი სამწყალობნო სამანი დგას სოფელ არშის მინდორში, მარიამობის ხატის გვერდით, რომელიც ეკუთვნის ფიდო სულიაურს არშის ციხეში ლეკების წინააღმდეგ გმირული ბრძოლის გამო.

უზნეობაში შემჩნეული ქალის სახალხოდ დასჯის უსასტიკეს ნორმად ითვლებოდა ვირზე უკუღმა შესმა და სოფელ-სოფელ ჩამოტარება. ხევში ფიქსირებული მაქვს ფაქტობრივი მონაცემები დასჯის ამ სახეობის შესახებ, ისევე როგორც აღწერილი მაქვს სხვა სახის დანაშაულობანი და შესაბამისი გად-

აწყვეტილებებიც, მაგრამ კონკრეტული მაგალითების დამოწმებას შეგნებულად ავარიდე თავი, რომ არ შელახულიყო ოჯახებისა და გვარების თავმოყვარეობა.

გარდა აღწერილისა, რჯულის კაცების მოვალეობას შეადგენდა ცხოვრებისეული ურთიერთობის მოწესრიგებაც. განსჯის საგანი იყო ქვრივზე უფლებამოსილების აღკვეთა, ქალის მოტაცება, ერთი გვარის განაყოფების ურთიერთვალდებულება და ა.შ.

არსებული ჩვეულების მიხედვით, რასაც ხევში "ქრუვის დაძახება" ერქვა (დაწვრილებით იხ. ვალერიან ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960). გარდაცვლილი მამაკაცის დასაფლავებამდე ნებისმიერ პრეტენდენტს შეეძლო ქვრივის დათავისება. როგორც წესი, ის ავიდოდა მიცვალებულის სახლის ბანზე, დაიკივლებდა, რომ ქვრივი იმ დღიდან მის მიერ იყო დათავისებული და საბუთად კარზე ჯოხს მიაყუდებდა. ერთწლიანი გლოვის მოთავების შემდეგ ქვრივს გათხოვება შეეძლო. ამის შესაბამისად მისი შერთვის პრეტენდენტიც შუაკაცებს აგზავნიდა. ქვრივი თუ უარს იტყოდა, მისი ძალით წაყვანა მოხეური ადათით იკრძალებოდა. თუ ასეთ შემთხვევაში მას ვინმე მოიტაცებდა, ეს დანაშაულად ითვლებოდა. ძალადობის ერთ-ერთი მაგალითის მიხედვით, რომელიღაც ტყარშეტელის მიერ "დაძახებული" ყანობელი ქვრივი დღიასნლების (სამგლოვიარო სუფრების) ჩატარებამდე წამოიყვანა ერთ-ერთმა სტეფანწმინდელმა. ტყარშეტლებმა ეს რომ შეიტყვეს, ისინი სოფელ არშის ახლოს ჩაუსაფრდნენ სტეფანწმინდელებს, გზა გადაუჭრეს და ბრძოლა გაუმართეს. ამ შეტაკების დროს მოკლეს ნეფე და დაჭრეს "ქრუვის დამძახებელი". ბოლოს საქმეში ჩაერევნენ რჯულის კაცები, ქვრივი მათ მის დამძახებელს დააკუთვნეს, სასისხლო გადაახდევინეს ტყარშეტელს, როგორც სტეფანწმინდელის მკვლელს და ორივე სოფელი ერთმანეთთან შეარიგეს.

ქვრივის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული იყო ხევში მოქმედი მეორე ჩვეულებაც. კაცი რომ ვისმე მოეკლა, მისი ქვრივი მკვლელის სოფელში ვერ გათხოვდებოდა. ქვრივს თითქოს იმავე სოფელში გათხოვება შეეძლო, სადაც ის ქმრის გარდაცვალებამდე ცხოვრობდა, მაგრამ ამგვარი შემთხვევა ვერ დავადასტურეთ, ვინაიდან ფაქტიურად ასეთი რამ არ ხდებოდა იმ მოტივით, რომ ქვრივი ხათრით და შიშით ერიდებოდა გარდაცვლილი ქმრის ნათესავებს. ქვრივის ცხოვრებაში არსებობდა მეორე შემაკავებელი ფაქტორიც. ქალს თუ ქმარს მოუკლავდნენ, სასისხლო საურავის ნაწილი ქალსაც ერგებოდა შვილების ყოფნის შემთხვევაში. ქვრივი თუ გათხოვდებოდა, ეს ღირებულება რჩებოდათ მამის სახლში დარჩენილ მის შვილებს. უშვილო ქვრივსაც რაღაცა ნაწილი ეძლეოდა მოკლული ქმრის სასისხლო საურავიდან. მაგრამ თუ გათხოვებას მოისურვებდა, ვალდებული იყო ეს ღირებულება მაზლებისთვის დაეტოვებინა.

მეორედ გათხოვების შემაკავებელი ფაქტორი იყო საიქიო ცხოვრების შიშიც. ხალხური რწმენის მიხედვით, ქვრივის გათხოვების გამო მისი გარდაცვლილი ქმარი საიქიოში იტანჯებოდა, მას "სანთელი უქრებოდა". ხალხს სჯეროდა, რომ ამ ქალის პირველი ქმარი საიქიოში უფალს მიანდობდა განსასჯელად.

თემიდან მოკვეთის საშიშროება ემუქრებოდა პიროვნებას იმ შემთხვევაშიც, თუ ის გვარის წევრზე დაქორწინდებოდა შვიდი თაობის ფარგლებში. სირცხვილში ვარდებოდა მისი გვარიც, რისთვისაც გვარს თემის წინაშე მართებდა

მობოდიშება სამხდოს გადახდით წმინდა სამებაში ან ნათლისმცემელში. ეს საჭიროებდა 3-4 ქორა ხარის დაკვლას.

დამნაშავე პიროვნების გვარიდან მოშორება თვით გვარს შეეძლო, მაგრამ თემის კაცებთან შეუთანხმებლად და სათემო საბჭოსგან გადაწყვეტილების მიღებამდე დამნაშავე პიროვნება კვლავაც სარგებლობდა თემში ცხოვრების უფლებით. გვარიდან მოშორებული პიროვნებისათვის გამოსავალი იყო სხვა გვართან შეკედლება. იმ შემთხვევაში კი, თუ მძიმე დანაშაულის მიზეზით თემის საბჭო მას ვერ შეიწყნარებდა, დამნაშავე იძულებული ხდებოდა სხვა რომელიმე კუთხეში გადახვეწილიყო.

ჩვეულების დარღვევად ითვლებოდა ქალის მოტაცებაც, რაც ზოგჯერ მხარეთა შორის ურთიერთობას უკიდურესად ამწვავებდა. ქალის მოტაცებაზე რეაგირებდა არა მარტო ქალის გვარი, არამედ მთელი სოფელიც. საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ ორი ასეთი შემთხვევა:

1) მთა ბოყოვანაში მწყემსებთან ერთად ცხვრის წველის სეზონში არშაველი სულიაურთ ქალებიც იმყოფებოდნენ. ერთ დღეს გორისციხელმა ავსაჯანიშვილებმა ქალი მოიტაცეს. შეიარაღებულ ავსაჯანიშვილებს სოფელ გორისციხის ბოლოში წამოეწივნენ ასევე შეიარაღებული სულიაურები. ბრძოლას შეეწირა ქალის ძმა და ორივე მხრიდან 9 კაცი. ქალმა მამის დამბაჩით თავი მოიკლა.

ვინაიდან დაპირისპირება ხდებოდა არა მარტო ოჯახებსა და გვარებს შორის, არამედ ორ სოფელს შორისაც, შემდგომი გართულების აღსაკვეთად მომრიგებლის როლში მონაწილეობდნენ რჯულის კაცები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა მხარეთა შერიგება დამნაშავის მხრიდან საურავის გადახდის პირობით.

2) როგორც ხურთისელმა არტემ ანდრიას ძე ტუჩაშვილმა მაცნობა, 1924 წელს ახალციხელმა ვასილ ხუტის ძე ჩაბაიძემ მოიტაცა ხურთისელი მარო სვიმონის ასული გოგიშვილი. მომტაცებელთა რიცხოვნობა შეადგენდა 20 შეიარაღებულ ცხენოსანს. მათ ღამით დაკეტეს ძველი ხურთისის ყველა სახლის კარები. მათ დაეხმარნენ ზემო ხურთისელები იმ მოტივით, რომ ქალი დანიშნული იყო და მისმა მამამ ახალციხელებს უარი შეუთვალა, რაც გაუმართლებელი იყო. მხარეთა შორის მტრობა რომ არ ჩამოვარდნილიყო, ვაჟის მხარემ ქალის ოჯახს შუაკაცები გაუგზავნა. შუაკაცთა შორის მონაწილეობდა ვაჟის საგვარეულოს წევრიც. მთავარი მომრიგებლის ფუნქციით სარგებლობდა სხვა გვარის უფროსი, ვინაიდან ამ უფლებამოსილებით ვერ ისარგებლებდა ვაჟის გვარის უფროსი.

შუაკაცები ხურთისში რომ მივიდნენ, რომელიღაც მოკეთესთან დაადგნენ იმისათვის, რომ ამ მოკეთეს ეშუამდგომლა ქალის მამასთან. ქალის მამა თავის მხრივ დაეკითხა მთელ გვარს.

შუაკაცებმა მიიტანეს მხოლოდ სასმელი, ვინაიდან შეთანხმებამდე საკლავის მიყვანა მიუღებელი იყო. შეთანხმების მიღწევის შემდეგ, რაც ზოგჯერ ძალიან ჭიანურდებოდა და შუაკაცებს მრავალჯერ უწევდა მოსალაპარაკებლად მისვლა, ვაჟის მხარეც პატივისცემას მოამზადებდა. ვინაიდან ქალი დანიშნული იყო, შერიგება არ გაჭიანურებულა. მხარეთა შეხვედრა მშვიდობიანად წარიმართა. ვაჟის შუაკაცებს ქალის სახლის ეზოს გარეთ შეხვდა ქალის გვარის უფროსი. ვაჟის შუაკაცები ამ დროს დაჩოქილები იყვნენ. ქალის გვარის უფროსმა მათი უფროსი ფეხზე წამოაყენა, ხელი ჩამოართვა და უთხრა — გვიპატიებიაო. ამის შემდეგ სხვებმაც წამოიზეზიეს და ქალის მხარეს ქედმოხდილები მიესალმნენ.

სახლისკენ წინ გაუძღვა ქალის გვარის უფროსი. მათ მიყვნენ მამაკაცები უფროს-უმცროსობის რიგით და ბოლოს დედაკაცებიც. ვაჟის შუაკაცების მიღების შემდეგ დაიკლა ვაჟის მხრიდან მოყვანილი ჭედილა და გაიმართა სუფრა ჩვეულებრივი მოხეური წესით. სუფრის თავში დაჯდა ქალის გვარის უფროსი. მის გვერდით დასვეს ვაჟის გვარის უფროსი. აქ რომ ლხინი მოთავდა, შემდეგ ქეიფმა გადაინაცვლა ვაჟის ოჯახში, სადაც ქალის გვარის წევრებიც მონაწილეობდნენ.

შერიგებას აადვილებდა ის გარემოება, როდესაც ქალის მოტაცების დროს სისხლი არ დაიღვრებოდა. შერიგების ინიციატორი იყო ქალის მომტაცებელი. ის შეარჩევდა შუაკაცებს და მიუგზავნიდა ქალის ოჯახსა და გვარს. ქალის მხარე ჯიუტობდა. ასეთ შემთხვევაში თემის კაცები ცდილობდნენ ქალისთვის ეთქმევინა, რომ ის ქმართან ყოფნით კმაყოფილია. ქალის დაყაბულების შემდეგ შერიგება გარანტირებული იყო.

ქალის მოტაცებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო სხვა ფაქტორებიც. მდევარს რომ მომტაცებელი შემოჰკვდომოდა, მკვლელი ვალდებული იყო შერიგება ეთხოვა, ვინაიდან სისხლის პატიება შეუძლებელი იყო. მდგომარეობას ართულებდა სისხლის აღების წესი, რაც შეიძლებოდა გამოეყენებინა მოკლულის მხარეს. მოტაცების შემთხვევას ართულებდა განსაკუთრებით მომტაცებლის მიერ მდევარის მოკვლა. ამასთან დაკავშირებით შერიგება ძნელდებოდა იმ მოტივით, რომ მკვლელობის ჩამდენი მომტაცებელი ორმაგად იყო დამნაშავე. ერთი მხრივ იმიტომ, რომ მოტაცებაში იყო მონაწილე და მეორეც იმიტომ, რომ ის იყო მდევარის მკვლელი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯერ მომტაცებელი მოკლავდა მდევარს, ხოლო შემდეგ მდევართა მხრიდან შურს იძიებდნენ და სისხლს აიღებდნენ, ამითი მოხდებოდა სისხლის "დათავსწორება". შერიგებისათვის ზრუნვა კი პირველყოვლისა მომტაცებელ მხარეს ევალებოდა, ვინაიდან დანაშაული მაინც მათი მხრიდან მოდიოდა. როდესაც მსხვერპლი ორივე მხრიდან გათანაბრდებოდა, ე.ი. "თავი თავს გაიტანდა", შერიგებაც იოლდებოდა. ეს საერთოდ მიღებული იყო არა მარტო მოტაცებასთან დაკავშირებული კონფლიქტის წარმოქმნის დროს, არამედ საერთოდ მესისხლეობაში.

"დათავსწორების" მიუხედავად რაკი დამნაშავედ მომტაცებელი ითვლებოდა, სისხლის საზღაური მას აღარ ეკისრებოდა, მაგრამ ევალებოდა შერიგებისათვის საჭირო ხარჯების გადახდა თემის კაცებისა და ხალხისათვის.

ქალის მომტაცებლის მკვლელი ფაქტიურად დამნაშავედ არც ითვლებოდა, ვინაიდან ქალის მოტაცება ადათის საწინააღმდეგო მოვლენა იყო. მომტაცებლის მკვლელი რაკი უდანაშაულოდ ითვლებოდა, ის შერიგებაზედაც არ იწუხებდა თავს. მისი გვარიც მოკლულის გვართან შერიგების ინიციატორი არ იყო. თვით მომტაცებლის გვარიც ერიდებოდა მდგომარეობის გამწვავებას, ვინაიდან ადათის საწინააღმდეგო ქმედება, ე.ი. ქალის მოტაცება, დანაშაულად ითვლებოდა. ამიტომ ზოგჯერ შერიგება თემის კაცების ჩარევით არ ხდებოდა და მდგომარეობის განმუხტვა მოთმინებით ხორციელდებოდა.

სათემო რჯული შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა გვარის, სოფლის და თემის მოღალატეს. ღალატის ერთ-ერთ სახეობად მიჩნეული იყო მაბეზღრობა, რის შესაბამისადაც მაბეზღარს ერქვა "ორენი და სოფლის გამტეხი". კაცს თუ

მაბეზღრობას შეამჩნევდნენ და ის თავის მართლებას შეეცდებოდა, თემის კაცები მოსთხოვდნენ ხატში ან სახარებაზე დაფიცვას. ტყუილად დაფიცვას კი ასე იოლად ვერ ბედავდნენ ხატის დამიზეზების შიშით. შემჩნეული პირი თუ ფიცის რიტუალს არ შეასრულებდა, ეს თავისთავად თვითგამხელის მომასწავებელი იყო. ამის შემდეგ მას სამრისხველო სამანს ჩაუყუდებდნენ. ის თუ მოინანიებდა და პატიებას ითხოვდა, სოფელს ხარს დაუკლავდა და სამხდოს გაუმართავდა. მაბეზღრობის განმეორების შემთხვევაში კი მოიკვეთდნენ და იმ ოჯახსაც მკაცრად მოექცეოდნენ, ვინც მაბეზღარს შეიფარებდა.

ხევში მიღებული წესით ასევე მკაცრად ისჯებოდა სოფლისადმი დაპირისპირებული კაცი. დაპირისპირების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა სასოფლო მამულის ძალმომრეობით დაჭერის მცდელობა და შემოღობვა. სოფლისადმი დაპირისპირებად ითვლებოდა აგრეთვე საბალახეში აღებული სასოფლო ფულის მითვისება. ამგვარი შემთხვევა მომხდარა სოფელ გერგეტში (დამნაშავის გვარს არ ვასახელებ). პიროვნების მხრიდან ჩადენილი ამგვარი დანაშაულის შემდეგ შეიყარა სოფლის მოსახლეობა, დაკლეს ჭედილა და სამხდო გამართეს. ქეიფის დროს ერთი გრძელი ჯოხი გათალეს და ყველა იქ დამსწრეს დაევალა მასზე ჭდის ამოგდება სიტყვიერი ფორმულირებით: "ამასწყდეს გორ-ჯალაბობითა, ვინც მაგას მეზობლობა გაუწიას". ამის შემდეგ დამნაშავეს სოფლის გარეთ ჩაუყუდეს სამანი და დაარისხეს. სამანი დღემდე ჰყუდია, ხოლო ჭდიანი ჯოხი ხატში ინახება. დარისხების შემდეგ დამნაშავე სხვაგან არ გადახვეწილა, საცხოვრებლად სოფელშივე დარჩა, მაგრამ არ უხეირია - "დამრჩო არ დარჩენია, გარდა ერთი გადაკელთილი შვილიშვილისა".

რჯულის კაცები ზოგჯერ საადგილმამულო დავაშიც მონაწილეობდნენ. მათ "განასაჯობას" განაპირობებდა ნადელების კომლობრივი დანაწილების სისტემა. ნადელებით დაინტერესება დიდ ოჯახს გაყრისაკენ უბიძგებდა. დიდი ოჯახი ან რეალურად იყოფოდა, ან ფიქტიურად. ამის საპირისპიროდ არსებობდა გაყრის შემაკავებელი ფაქტორიც — სახელდობრ საგადასახადო სისტემა. რაკი გადასახადიც კომლობრივი იყო, ნაკლები გადასახადით დაინტერესებული ოჯახი არ იყრებოდა. უფრო მეტიც, გაყრილი ოჯახები ზოგჯერ ხელოვნურად ერთიანდებოდნენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეყრამდე ნადელების შენარჩუნების გარანტია ექნებოდათ.

რჯულის კაცებს განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ მესისხლეობით დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებაში. ამის გათვალისწინებით გართულებული ურთიერთობის განსჯა მინდობილი ჰქონდათ გონიერებით და სამართლიანობით ცნობილ თემის კაცებს ანუ რჯულის კაცებს. მათი შერჩევის ინიციატორი იყო მკვლელის ოჯახი და გვარი. შერჩევა კი ადვილად ხდებოდა, ვინაიდან სამართალწარმოებით ცნობილი ადამიანების სახელები ყველა მოხევისათვის იყო ცნობილი.

იმის შესახებ, თუ ხევისბერის მეთაურობით როგორ ბჭობდნენ რჯულის კაცები, რანაირი უფლებებით სარგებლობდნენ ისინი და მოსახლეობა მათ მიმართ რაოდენ დიდი ნდობით იყო შთაგონებული, ამის დამადასტურებელია პირველ ყოვლისა ალექსანდრე ყაზბეგის მდიდარი მემკვიდრეობა. მისი ეთნოგრაფიული ნარკვევებიდან და მხატვრული შედევრებიდან მკითხველისთვის ცნობილია, რომ რჯულის კაცები ხევისბერის მეთაურობით სათემოდ ცნობილ საკითხებს

განიხილავდნენ წმინდა სამების ტაძრის კედელთან მიშენებულ თემის საბჭეოში. მცირე ზომის ეს ნაგებობა თაღოვანი გადახურვით ფუნქციონირებდა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, არამედ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომ პერიოდშიც. ისიც ცნობილია, რომ თვით საბჭოთა წყობილების პერიოდში რჯულის კაცების მოღვაწეობა არ შეწყვეტილა. ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში თემის საბჭოში მათი სხდომა ფაქტობრივად აღარ ხდებოდა, მაგრამ თემის ბჭეების შეკრება დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებით მაინც ხორციელდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ხალხს დღემდე არ დავიწყებია იმ რჯულის კაცების სახელები, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში მოხევეების ნდობით სარგებლობდნენ და სასიკეთო საქმისთვის ირჯებოდნენ. ესენი იყვნენ სოფელ გერგეტიდან: ვანია ხუციშვილი, გიორგი თამასხანოვი, მიჩხია სუჯაშვილი, სანდრო სუჯაშვილი; სოფელ სტეფანწმინდიდან: ღუგა ფიცხელაური, ნინია ფიცხელაური, ნიკალა ხეთაგური, ვანია შადური, გიორგი ალიბეგაშვილი, ვანო ჩოფიკაშვილი; სოფელ ყანობიდან შუშანა კურკუბული; სოფელ სიონიდან: მიხეილ დავითაშვილი, მარტია ღუდუშაური; სოფელ სნოდან: ბიჭა გოდერძიშვილი, ლაზო ღუდუშაური, სოლომონ ღუდუშაური; სოფელ გაიბოტენიდან ვანე ხულელიძე; სოფელ ტყარშეტიდან ვანა მაისურაძე; სოფელ კარკუჩიდან გლახა ყამარაული; სოფელ ფხელშიდან მიხეილ ელოშვილი; სოფელ გორისციხიდან გრიშა ჩქარეული.

გადმოცემით ისიც ცნობილია, რომ ღუგა ფიცხელაურს, სვიმონა ხუციშვილს და შუშანა კურკუბულს ცხრაჯერ შეურიგებია მოსისხლე მტრები.

რჯულის კაცების უპირველეს მოვალეობას შეადგენდა გვარის გვართან შერიგება, რათა თავიდანვე აღკვეთილიყო მოსალოდნელი შურისძიება. გვარების შერიგება უმთავრესად მოკლულის დასაფლავებამდე ხდებოდა. გამონაკლის შემთხვევაში კი გვარების შერიგება შეიძლება მომხდარიყო მოკლულის დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგაც. ორივე შემთხვევაში მკვლელის ახლობლები მოკლულის ოჯახისადმი პატივისცემის ნიშნად მოამზადებდნენ ჭედილებს და საჭმელ-სასმელს. ყველაფერი ეს უნდა ჩაელაგებინათ მკვლელის ურემში, მაგრამ იმ პირობით, რომ ურემში შებმულიყო არა მკვლელის, არამედ მისი რომელიმე მეზობლის ცხენი. მოკლულის სახლთან მკვლელის ცხენით მისვლა აკრძალული იყო. ეს წესი რომ შესრულდებოდა, მოკლულის სახლის ეზოს მიუახლოვდებოდა მკვლელის გვარის ყველა სრულწლოვანი წევრი დედაკაცების ჩათვლით. ეზოს კარებთან მისული ხალხის წინა რიგში დგებოდნენ ხნიერი კაცები, მეორე რიგში განლაგდებოდნენ ხნიერი დედაკაცები, მათ შემდეგ მკვლელის გვარის ახალგაზრდები, ხოლო ბოლოში მკვლელის გვარის ქალ-დისწულები და დისწულიშვილები.

ეზოს გარეთ მათ ასეთივე რიგით შეხვდებოდნენ მოკლულის ახლობლები. წინ დგებოდა მოკლულის დედა. თუ ის ცოცხალი არ იქნებოდა, მის მოვალეობას შეასრულებდა მოკლულის ოჯახის უხუცესი დედაკაცი. მის უკან დგებოდნენ მოკლულის ბიძა, ძმები და დები, ხოლო ბოლოში მოკლულის გვარის მთელი შემადგენლობა უფროს-უმცროსობის რიგით.

ტრადიციის მიხედვით მკვლელის მთელი შემადგენლობა იჩოქებდა. მოკლულის გვარის უფროსი რომ ეტყოდა — გვიპატიებიაო, ყველანი ფეხზე ადგებოდნენ. მოკლულის გვარის უფროსის წინამღძოლობით კაცები მიცვალებულის

სახლში შევიდოდნენ. დედაკაცები კი სამგლოვიარო რიტუალს შეასრულებდნენ. ისინი თავიანთი სახლებიდანვე თმაგაშლილები უნდა მისულიყვნენ. მხოლოდ მანდილები უნდა ხურებოდათ. მოკლულის ოჯახის უფროსი დედაკაცები რომ დაჩოქილ მანდილოსნებს წამოაყენებდნენ, ეს უკანასკნელნი მიცვალებულის სახლში შესვლისთანავე მანდილებს მოიხდიდნენ და მოთქმით ტირილს დაიწ-ყებდნენ. მოსთქვამდა რომელიმე ცნობილი ხმით მოტირალი, ხოლო სხვები ბანს მისძახოდნენ. მოთქმით ტირილი სრულდებოდა მიცვალებულის საქებრად და ჭირისუფალთა სანუგეშოდ.

როდესაც სახლში მოთქმით ტირილი გრძელდებოდა, მკვლელის მხრიდან მისული მამაკაცები მისამძიმრების შემდეგ გარეთ გამოდიოდნენ და ეზოში დუმილით დგებოდნენ. მათ მხოლოდ თემის კაცები თუ გამოელაპარაკებოდნენ. ეზოში კაცების დუმილით დგომა მიცვალებულის დამარხვამდე გრძელდებო-და. როგორც წესი, გლოვის რიტუალი სამ დღემდე გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში მკვლელის მხარე პასუხს ელოდებოდა. რჯულის კაცები დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ გვარების შერიგებაზე თანხმობის მიღწევას, რაც ხშირ შემთხვევაში მოკლული მხარის წინააღმდეგობით რთულდებოდა. მოლაპარაკების ინიციატორი იყო რჯულის კაცებს შორის ყველაზე უფროსი და გავლენიანი პიროვნება. ის იწყებდა ლაპარაკს, ეხმიანებოდნენ დანარჩენი რჯულის კაცები და ერთობლივად შეახსენებდნენ ჭირისუფალს, თუ წარსულში მომხდარი მაგალითები როგორ ანელებდა დაძაბულობას და დათმობა რაოდენ სასარგებლო იყო გვართა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისათვის. რჯულის კაცები მორიგებაზე თანხმობით მიმართავდნენ გვარის უფროს მამაკაცს და უხუცეს დედაკაცს. მაგრამ კონკრეტული მაგალითებიდან ჩემთვის ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში თანხმობა ჭიანურდებოდა იმ მოტივით, რომ მიცვალე-ბული ჯერ კიდევ დასაფლავებულიც კი არ იყო. მაგრამ ამგვარი წინააღმდე-გობის მიუხედავად რჯულის კაცები ცდილობდნენ გვარის გვართან შერიგება მიცვალებულის დაკრძალვამდე მომხდარიყო. მათი მტკიცებით, ამგვარი თანხ-მობის შედეგად მკვდარსაც პატივი დაედებოდა და ცოცხალსაც. რჯულის კაცე-ბის მტკიცებით, გვართა წევრების შერიგება დუქანსა და ფოლორცაში კი არ უნდა მომხდარიყო, არამედ სახალხოდ, გვარების ერთად შეყრის დროს. ეს მით უფრო საჭიროდ მიიჩნეოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობა ერთ სოფელ-ში მეზობლებს შორის მოხდებოდა. თემის ბჭეების აზრით, ამგვარ ვითარებაში მოსალოდნელი იქნებოდა პირისპირ შეხვედრები და უსიამოვნო შემთხვევები, ანდა მორიდებით სიარული, რაც ხელს უშლიდა მშვიდობიან ცხოვრებას.

როდესაც თემის კაცების დიდი გარჯით გვართა შერიგებას მიაღწევდნენ, ზემოთქმულის თანახმად მკვლელის ურემში შებმული მეზობლის ცხენით ჭირ-ისუფლის სახლთან მკვლელის გვარი პატივისცემით მივიდოდა. მკვლელის ოჯახიდან საკლავების მიყვანა და საჭმელ-სასმელის მიტანა მიღებული იყო. რჯულის კაცების უფროსი მინატანს ჩააბარებდა მოკლულის გვარის უხუცეს დედაკაცს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ჭირისუფალს ზედმეტად მი-უჩნევია სამი ჭედილის მიყვანა იმ მოტივით, რომ ერთიც იკმარებდა. მკვლელის გვარის უფროსი განუმარტავდა, რომ საკლავების უკან დაბრუნება მოხეური

წესით მიუღებელი იყო. რჯულის კაცებიც თავის მხრივ დაადასტურებდნენ, რომ ასეთი რამ ჩვენს თემობაში არ მომხდარა და არც ახლა უნდა მოხდესო. ერთ-ერთი შერიგების დროს მიყვანილი სამი საკლავიდან მკვლელის დის მიერ მიყვანილი საკლავი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად დაკლეს, ხოლო ორი საკლავი მოკლულს ოჯახში დაუტოვეს.

თანხმობის მიღწევის შემდეგ ჭირის სუფრა რომ გაიშლებოდა, თემის კაცებს სუფრის თავში დასვამდნენ. ისინი ხალხის საყურადღებოდ იხსენებდნენ ძველად მომხდარი მტრობისა და შერიგების შემთხვევებს. მათი მოგონებანი ეხებოდა როგორც საკუთრივ ხევში მომხდარ ამბებს, ისე მათთვის ცნობილ მესისხლეობას ოსეთში დუდაროვებსა და ხიბლიანთ შორის. რჯულის კაცებმა იცოდნენ, რომ დუდაროვები ალდარები (აზნაურები) იყვნენ, ხოლო ხიბლიანნი — გლეხები. მათ შორის მტრობა ოთხ თაობამდე გაგრძელებულა, მაგრამ ბოლოს შერიგებულან. საყურადღებოა, რომ მათ შერიგებაში თემის კაცებად მონაწილეობდნენ არა მარტო ოსები, არამედ ინგუშებიც, ხოლო მოხევეების მხრიდან: ყანობელი შუშანა კურკუმული, გერგეტელი სვიმანა ხუციშვილი, ცდოველი იაგორა ზაგაშვილი და სტეფანწმინდიდან კაცა ფიცხელაური (გოჩიანთი). თემის კაცების ასეთი შემადგენლობა შემთხვევითი არ იყო. ქართველ, ინგუშ და ოს მთიელებს ერთიმეორესთან აკავშირებდა მსგავსი ტრადიციები, სახელდობრ შერიგების ადათი.

როდესაც რჯულის კაცები ჭირის სუფრაზე ასეთ მაგალითებს იგონებდნენ, დედაკაცები კვლავაც თმების გლეჯით ტიროდნენ.

გვარის გვართან შერიგების შემდეგ მიცვალებულს რომ სახლიდან გამოასვენებდნენ, კუბოს წინ მიუძღვებოდნენ რჯულის კაცები, ორივე გვარის უფროსები და ხნიერი მეზობლები. მათ უკან მიყვებოდნენ კაცები უფროს-უმცროსობის რიგით და ბოლოში დედაკაცები. გასვენებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სოფლის ახალგაზრდები. სასაფლაოსთან მისვლამდე დროული კაცები ქალებს შუა გზიდან დააბრუნებდნენ. მიცვალებულის დამარხვამდე საფლავთან რჩებოდნენ კაცები, ხოლო შემდეგ ყველანი ჭირისუფლის ოჯახში მიბრუნდებოდნენ.

სუფრის თავში განლაგდებოდნენ მოკლულის გვარის უფროსი კაცები. კარებიდან მარჯვენა მხარეს ადგილს მიუჩენდნენ თემის კაცებს, ხოლო მათ მოპირდაპირე მხარეს სხვა უფროს კაცებს. თამადობდა უფროსი რჯულის კაცი, ხოლო სუფრას ემსახურებოდნენ ახალგაზრდები. ორივე მხარის დედაკაცებს ცალკე დასვამდნენ. სუფრასთან ჯდომა გრძელდებოდა დაახლოვებით სამი საათი. ამ ხნის განმავლობაში უმთავრესად იგონებდნენ გარდაცვლილებს ჭირისუფლის ჩამომავლობა-ჩამოდენებიდან. სუფრის დამთავრების ჟამს მკვლელის უფროსი კაცები თამადის ნებართვით მომავალი სიკეთისა და ნორმალური ურთიერთობის სურვილს გამოხატავდნენ. ჭირისუფლის ოჯახში სუფრის დამთავრების შემდეგ ყველა მონაწილეს თავის ოჯახში მიიწვევდა მკვლელის ძმა ან ალალი ბიძაშვილი. ჩვეულებისამებრ აქაც სუფრა მოხეური წესით ეწყობოდა. სჯა-ბაასის დროს უფროსები ახალგაზრდებს ურჩევდნენ, რომ მორიდებოდნენ

მოკლულის ახლობლებს განსაკუთრებით სასმლიანობაში.

ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოკლულის გვართან ნათესაობით დაკავშირებული პიროვნება მკვლელს უმძრახად დაადგებოდა, რითაც ის მოკლულის მხარის მიმართ თანდაგომას გამოხატავდა. ეს უმძრახობა მკვლელის შემორიგებამდე გრძელდებოდა. მოხევეების განმარტებით, ამგვარი საქციელი მოკლულის ახლობლების მოლბობის ერთგვარი გამოხატულება იყო.

გვარის გვართან შერიგების შემდეგ რჯულის კაცები ურთულესი ამოცანის წინაშე დგებოდნენ მკვლელისა და მოკლულის ოჯახების შერიგებასთან დაკავშირებით. ისინი შერიგების გაადვილებას იმედოვნებდნენ განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოკლულსა და მკვლელს ნათესაობა ან მოკეთეობა აკავშირებდათ. ყველა ვითარებაში მათ უპირველეს ამოცანას შეადგენდა დანაშაულის ხარისხის დადგენა. იგულისხმებოდა მკვლელობის ორგვარი შემთხვევა — განზრახ მკვლელობა და უნებური ანუ შემთხვევითი მკვლელობა. ამის შესაბამისად განისაზღვრებოდა დანაშაულის ორი განსხვავებული ვარიანტი — მძიმე დანაშაული და შედარებით მსუბუქი დანაშაული. აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით შერიგებას ამარტივებდა უნებური მკვლელობის ფაქტი, ხოლო ართულებდა განზრახ ჩადენილი დანაშაული.

მკვლელის მხარის მიერ შერჩეული რჯულის კაცები პირველ რიგში მიდიოდნენ მკვლელის ოჯახში და ჩაატარებდნენ სათანადო გამოკითხვას. ისინი რაკი სიტუაციას ფაქტობრივი მონაცემებით გაეცნობოდნენ, შეეცდებოდნენ მოკლულის ოჯახისა და გვარის უფროსებთან მოლაპარაკებას, მაგრამ შეხვედრის სურვილს წინ ეღობებოდა მოკლულის ოჯახის პროტესტი. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ჭირისუფალთან შეხვედრის მცდელობა საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ზოგიერთი ფაქტის მიხედვით მოკლულის ოჯახი და გვარი აუღებელ ციხესავით დგებოდა. ამიტომ, რჯულის კაცები ან მათი სოფლის სიახლოვეს დგებოდნენ, ანდა მოკლულის საფლავთან ჩერდებოდნენ. მოხევეები ისეთ შემთხვევასაც ასახელებენ, როდესაც ზამთრის სუსხიან ამინდში რჯულის კაცები ცეცხლს ანთებდნენ, ხოლო საჭმელ-სასმელით მათ ამარაგებდნენ მოკლულის ახლობლები თუ მეზობლები. ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როდესაც საფლავთან მდგომ რჯულის კაცებს მოკლულის რომელიმე ახლობელი, უმთავრესად უფროსი კაცი ან მეზობელი სახლში დაიწვევდა, გაათბობდა და გაუმასპინძლდებოდა. რჯულის კაცები შექმნილ მდგომარეობას უძლებდნენ და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ მანამდე, ვიდრე ჭირისუფალი არ მოტყდებოდა. ბოლოს და ბოლოს რჯულის კაცების წინაშე დაირცხვენდნენ და შეხვედრაზე თანხმობას განაცხადებდნენ. რაკი ეს მოხდებოდა, რჯულის კაცები მათ წინაშე წარსდგებოდნენ შერიგების საჭიროების თხოვნით.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ჭირისუფალთან თემის ბჭეებთან მოლაპარაკებამდე სხვა გვარებში ჩადენილი იქნებოდა ორმხრივი მკვლელობა, ე.ი. როდესაც მოკლულის ძმა ან ბიძაშვილი მკვლელს მოკლავდა, "თავი თავს გაიტანდა" და მოსისხლეთა "დათავსწორება" მოხდებოდა, დანაშაულიც თანაბრდებოდა და შერიგებაც მარტივდებოდა. მათი შერიგება უმთავრესად ისევ რჯულის კაცების

ჩარევით ხორციელდებოდა დღეობაში ან ვისიმე ქორწილში. ზოგჯერ ეს ხდებოდა ისეთ ვითარებაში, როდესაც რჯულის კაცების მოვალეობას შეადგენდა ოჯახების შერიგება ერთი მკვლელობის შემთხვევაში. ამ რთული ამოცანის შესრულებამდე რჯულის კაცები სარგებლობდნენ თავიანთი უფლებამოსილებით და პირველ რიგში "დათავსწორებული" მოსისხლეების შერიგებაზე ირჯებოდნენ.

რჯულის კაცების რეკომენდაციით შერიგების ინიციატივა ევალებოდა მკვლელის მკვლელს. მისი თხოვნით რჯულის კაცები მივიდოდნენ პირველი მოკლულის ოჯახში და პატიებას სთხოვდნენ. რაკი თანხმობას მიაღწევდნენ, საურავის გადახდა გამორიცხული იყო მკვლელობის გათანაბრების მოტივით. საკმარისად ითვლებოდა მხოლოდ ორივე მხრიდან საშემრიგებლო ხარჯის გამოღება და ერთობლივი სამხდოს გადახდა დამოყვრებისა და ნათელ-მირონის დამყარებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ რჯულის კაცების შემადგენლობას მკაცრად აკონტროლებდა მოკლულის ოჯახი და გვარი. ადათის გათვალისწინებით ისინი გამორიცხავდნენ რჯულის კაცებში მკვლელის ან მოკლულის ნათესავის გარევას. რაც შეეხება მტრულად დაპირისპირებულ მხარეებს, თავიანთი დამოკიდებულების გამოხატვის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ მოგვარეები შვიდი თაობის ფარგლებში. ეს იმიტომ, რომ მოგვარეები შვიდი თაობის ზევით ბიძაშვილებად აღარ ითვლებოდნენ. მით უფრო, რომ მათ სისხლის აღებაც აღარ ევალებოდათ. სისხლის აღება ასევე ეკრძალებოდათ დისწულ-დისწულიშვილებს, როგორც სრულიად სხვა გვარების წარმომადგენლებს. საურავის გადახდაში მათი მონაწილეობა გამორიცხული იყო.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ ერთიმეორის პირისპირ დგებოდნენ რჯულის კაცები და მოკლულის მხარე. მათი რამდენიმე შეხვედრისა და შეთანხმების შემდეგ სრულდებოდა შერიგების პროცესი.

მრავალწლიანი ეთნოგრაფიული დაკვირვებით ხევში ფიქსირებული მაქვს როგორც მკვლელობის, ისე შერიგების ამსახველი ფაქტობრივი მონაცემები. ამჯერად მკვლელობის კონკრეტული შემთხვევების აღწერას შეგნებულად ვარიდებ თავს იმის გათვალისწინებით, რომ ახალ თაობაში ზოგიერთ ჭირვეულ ადამიანს შურისძიების გრძნობა არ გაუჩნდეს. ამიტომ თვით შერიგების პროცესის აღწერაშიც კონკრეტული მოვლენების დაუმოწმებლად ვარჩიე მეჩვენებინა შერიგების ტრადიცია მისთვის დამახასიათებელი კომპონენტების წარმოჩენით.

შერიგების პროცესის მსვლელობაში რჯულის კაცები განსაკუთრებული გულმოდგინებით იხსენიებდნენ ცალკეული პირების სამაგალითო ქმედებას. ამგვარი ფაქტების გახსენებით რჯულის კაცები ცდილობდნენ მოკლულის მხარის მოლბობას და გონიერ წინდახედულებას. სამაგალითო ქმედებათა მონაწილეებად იხსენიებდნენ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს.

მოხევეების ცნობით, შერიგებაზე მოლაპარაკების პროცესში რჯულის კაცები სამაგალითოდ იხსენიებდნენ ბიბო ყაზბეგის გადაწყვეტილებას. როგორც

მათ მითხრეს, 100 წელზე მეტი ხნის წინათ უსამართლობით გულმოსულმა მოჯამაგირემ მოკლა ბიბოს ძმა გაბო. როდესაც ბიბომ ეს შეიტყო და ეზოში მოკლული ძმა იხილა, მკვლელის ვინაობა იკითხა. კაცებმა აცნობეს, რომ მკვლელი დაპატიმრებულია. ბიბომ იქვე დაგმო ეს გადაწყვეტილება და მკვლელის განთავისუფლება მოითხოვა. მის გადაწყვეტილებას პოლიცია წინ აღუდგა, მაგრამ ბიბომ უბრძანა — მოკლული ჩემი ძმაა და მკვლელის დასჯას არ მოვითხოვ იმ მოტივით, რომ მისადმი ჩემი ძმის დამოკიდებულება გაუმართლებელი იყო. გადაწყვეტილება ბიბოს ბრძანებით აღსრულდა.

წინდახედულობისა და სულგრძელობის ერთ-ერთ მაგალითად მოხევეებმა დამისახელეს ლადარიანთ ლევანას (კობიაშვილის) ნამოქმედარი. მთხრობელი გიორგი თამასხანოვი (დაბადებული 1847 წელს) 25 წლისა ყოფილა, როდესაც სოფელ სტეფანწმინდაში ჩეკიეთ (გიგაური) იობას ქორწილი მიმდინარეობდა. იობამ ცოლად შეირთო ტორნისელი ჩეჩიეთ ქალი (ავსაჯანიშვილი).

დამთავრდა შესაწევარი. სტუმრების უმრავლესობა წავიდა. სახლში დარჩნენ უმთავრესად ნათესავები და მოკეთეები. მათთან ერთად დარჩა ლადარიანთ ვანაიც, როგორც ჩეკიეთ დისწულიშვილი. გაგრძელდა ტაშ-ფანდურა. პატარძლის ძმა ჩეჩიეთ გუგუა ცეკვავდა ფანშეტელ ელგუჯა საბაურის ქალთან. გუგუამ დამბაჩა ამოიღო და ჭერში სროლა დააპირა. ტყვია არ გავარდა, მაგრამ გუგუა დამბაჩის ჩხაკუნს განაგრძობდა. იქვე იჯდა ხნიერი კაცი ანდრია ბაზალი (ლადარიანთ ლევანას ნათესავი). სიმთვრალეში მოსალოდნელი ხიფათის შიშით ანდრიამ გუგუას დამბაჩა ჩამოართვა. უფროსი კაცისადმი პატივისცემის ნიშნად გუგუამ იარაღი ანდრიას ჩააბარა. სულ მალე გუგუას ცეკვაში ჩაენაცვლა ლადარიანთ ვანა. ამ დროს ანდრია ბაზალს დამბაჩა ბარკლებს შუა ჩაედო ისე, რომ იარაღის ტუჩი საცეკვაო წრისკენ იყო მიშვერილი. ვანამ ერთხელ კი შემოუარა საცეკვაო წრეს, მაგრამ ამასობაში მოულოდნელად გავარდა ტყვია, მოცეკვავეს თვალში მოხვდა და იქვე გაათავა.

შეიქმნა განგაში და გამოძიება. ცდილობდნენ დამნაშავის მხილებას, მაგრამ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. როგორც კი ყანობლებმა ეს უბედურება შეიტყვეს, მოკლულის მამა ლევანა რამდენიმე ყანობელის თანხლებით სტეფანწმინდაში ჩავიდა. მისვლისთანავე ის ჩეკიეთ ბანზე ავიდა. შეწუხებულმა ხალხმა მიუსამძიმრა, მაგრამ ლევანა მათ მიუბრუნდა და უთხრა: "ხალხნო! რაი ამბოვია, მე ჩემს დედისძმათას კორწილჩი ჩამოვე და თქვენ ეგრე დამხვდითო?" ხალხმა უპასუხა: "ლევანავ! ნეტაი ჩვენ კი არა, ჩვენს მამა-პაპათაც არ ენახათ კორწილი, თუ კი ეგრე დაიღუპებოდიო." ლევანამ უთხრა: "თუ ჩემს შვილს კორწილჩი წამასვლა უნდოდა, ეგ ხომ მოსალოდნელი იყო. განა ცხო დროს არ მამკდარა სასმლიანობაჩი უბედურება. განა ანდრიას ჩემი შვილის სიკვდილი უნდოდა? — ანდრიაი ნათესავია ჩემი. ტყვია გაუვარდა თუ არ გაუვარდა, ანდრიას თავი გაანებეთ, არ დაჩაგრათ. შვილი ჩემი მოკვდა და ჩემივე საქმეაო."

მოხევეების შეხედულებით, ლადარიანთ ლევანას საქციელი სანათქმელოდ დარჩა ხევში, თემის ბჭეები ამ მაგალითს არასოდეს არ ივიწყებდნენ და მისი გახსენებით რთულ მდგომარეობასაც ამსუბუქებდნენ.

შერიგების პროცესში გარკვეული როლის შესრულება დედაკაცებასაც ეკისრებოდა. დაზარალებული მხარის ქალებს რომ მდგომარეობა არ გაემწვავებინათ, მათ შუაკაცებად უგზავნიდნენ თემში რჩეულ დედაკაცებს. მოსისხლეთა დაშოშმინებაში უფროსი დედაკაცებიც რომ აქტიურად მონაწილეობდნენ, ეს მოწმდება ხევში მომხდარი რამდენიმე შემთხვევით. შერიგების პროცესში ბჭეები მხარეებს მოაგონებდნენ დედაკაცების საქციელს და ფაქტების გამჟღავნებით ცდილობდნენ გართულებული მდგომარეობის შემსუბუქებას. შემთხვევითი არ არის, რომ ხევში რამოდენიმე ასეთი მაგალითი შემორჩა მოსახლეობის მეხსიერებას. მე წილად მხვდა სამი ასეთი მაგალითის ფიქსაცია:

1. ყარაჯეთ ნინოს (ღუდუშაურის) მაგალითი

ნინო იყო ყარაჯეთ მარტიაჲს დაჲ და დავითაშვილი ბიჭიკოს ცოლი. მათ შვილს ერეკლეს ცოლად ჰყავდა გარბანელი ბეჟუეთ (გელაძე) ქალი.

ერთ დღეს ერეკლე ცოლეურთ ესტუმრა. ქეიფში ის ჩხუბს შეესწრო და გამშველებლის როლში ჩაერია. ამასობაში მას შემთხვევით მოხვდა რომელიღაც მოჩხუბარის დანა თუ ხანჯალი და ჭრილობას გადაყვა.

მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების მიზნით თემის კაცებმა შერიგება გადაწყვიტეს. ვინაიდან უნებური მკვლელობა ბეჟუეთ უბანში მოხდა და მკვლელობაც ამ უბნის კაცს ბრალდებოდა, გელაძეებმა თემის კაცებს დავითაშვილებთან შერიგება სთხოვეს. თემის კაცების თხოვნა არ შეიწყნარა მოკლულის ძმამ კოტიამ. ის ძმის სისხლის აღებას საჭიროებდა და შერიგებაზე უარობდა. ასევე ჯიუტობდნენ მისი ბიძაშვილებიც.

მოკლულის დედამ ნინომ როდესაც დიდი საშიშროება დაინახა, თემის კაცების თანდასწრებით თავის შვილს კოტიას მიმართა: "თუ ერეკლე შენი ძმა იყო, ჩემი შვილი იყოო. ცხრა თვე მუცლით ვატარე და სამი წელიწადი ძუძუ ვაწოვე." ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ თემის კაცებს უთხრა: "მიპატიებია ჩემი შვილის მკვლელისათვის და ეხლა როგორც გინდათ, ისე მოიქეცით."

დედის წინაშე ყველამ ქედი მოიხარა და შერიგებაც მოხდა. ეს ტრაგიკული შემთხვევა და დედის ამგვარი მოქმედება მოხდა მაშინ, როდესაც 1847 წელს დაბადებული ჩემი მთხრობელი გიორგი თამასხანოვი 40 წლის ასაკში იმყოფებოდა. ამგვარი მოქმედების გამო ნინოს სახელი ხევში სანათქმელოდ დარჩა და თემის კაცებიც ქალის კეთილშობილ საქციელს ყოველთვის შეახსენებდნენ ხოლმე დაპირისპირებულ ადამიანებს, ოჯახებს თუ გვარებს.

2. სამქანეთ ქალის (სამქანაშვილის) ანაჲს მაგალითი

მაშინ, როდესაც 1847 დაბადებული მთხრობელი გიორგი თამასხანოვი 7-8 წლის ბალღი იყო, ფანშეტელი ანა სამქანაშვილის სამი შვილი, გვარად ხულელიძეები — ივარდანაჲ, ვანაჲ და სვიმანაჲ სოფელ გაიბოტენში გაუყრელად ცხოვრობდნენ. სვიმანა მეცხვარე იყო და ჰყავდა ძმობილი მთიული მარტიას სახით. ხევ-მთიულეთისაკენ მომდინარ ცხვარს ისინი ღამ-ღამობით მორიგეობით ყარაულობდნენ. პირველ ღამეს უყარაულნია თოფით შეიარაღებულ სვიმანას, ხოლო მეორე ღამეს-მარტიას. თენების ჟამს სვიმანა გორაკზე მიწოლილა და ჩასძინებია. ცხვარი ერთბაშად დაფრთხა. მარტიამ თოფი აღმა გაისროლა და

შემთხვევით ტყვია თავში მოხვდა გორაკზე მწოლიარე სვიმანას. ეს უბედურება მთიულმა მხოლოდ გათენებისას გაიგო, როდესაც მიადგა ნაბადში გამოხვეულსა და სისხლის გუბეში მწოლიარე მეგობარს.

შეკრებილან ახლომახლო მყოფი მწყემსები. მარტიამ მათ აუწყა თავისი უნებური შეცდომა. სვიმანას ცხედარი სოფელ გარბანში გადაასვენეს. თავზარდაცემული მარტია კი მთიულეთში გადავიდა, შეჰყარა თემის კითხული კაცები მთიულეთსა და ხევში და მათ შერიგება სთხოვა. როგორც უნებურად მკვლელს განსაკუთრებით დაეხმარნენ მოხევეები. მოლაპარაკება-ბჭობის შემდეგ მთიული თემის კაცები ხევში კუთვნილი პატივისცემით გადმოვიდნენ და ხევის თავკაცებს შეუერთდნენ. ხულელიძეებმა თემის კაცებს მიღებაზე უარი შეუთვალეს. ხევ-მთიულეთის ბჭეები მარტიასთან ერთად სოფელ არშის ორდირიან ხიდთან გაჩერდნენ ხულელიძეების მხრიდან თანხმობის მოლოდინში.

ხულელიძეების გაჯიუტება რომ მოკლული სვიმანას დედამ დაინახა, აიღო ყავარჯენი და გაბრაზებულმა მიმართა თავის მაზლებს: "მაშ მე დედაკაცი და თქვენ კაცები, აბა ჯელი გაძარითო". თემის კაცებს ანა ხიდთან ჩამოეგება და მათთან ერთად თავისთან იხმო იქ დამსწრე ხალხიც და თვით მარტიაც. მოკლულის დედამ შვილის მკვლელს ხელი მოჰკიდა, მიიყვანა შვილის საფლავთან "ძუძუ მოაწოვა" პატიების ნიშნად და გაუშვა. იქვე თქვა: "თუ სვიმანაჲ მამიკალ, ეხლა შენ იქნები ჩემი სვიმანაჲ". ხალხიც დაშოშმინდა. დედის ნებას წინ ვერავინ აღუდგა და შერიგებაც მოხდა. ამგვარი ქმედების გამო ანას საქციელიც ხევ-მთიულეთში სანათქმელოდ დარჩა და მის გახსენებას ხალხურ ბჭობაში არ ივიწყებდნენ.

3. ზალიეთ ქალი სონა ჩოფიკაშვილი (იგივე სალონკაჲ) ცხოვრობდა ქ. ვლადიკავკაზში. მისი ქმარი იყო ყანობელი გლახა ვარდიშვილი. ამ საკმაოდ შეძლებულ ოჯახთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა გერგეტელი ხელოსანი ვასილა ქისტაური (პეტიეთი), რომელიც სონას ავეჯს უკეთებდა.

ვასილას უნებურად გაუვარდა თოფი და შემოაკვდა სონას და გლახას შვილი. მკვლელი სონამ სტეფანწმინდაში დააპატიმრებინა.

შეწუხებულმა ქისტაურებმა ხატობა დღეს შველა სთხოვეს გერგეტელ მოხუცებს. ისინი 15 კაცის შემადგენლობით სტეფანწმინდაში ჩამოვიდნენ. სონა ამ დროს მამისსახლში, ზალიეთთან იმყოფებოდა. გერგეტელი მოხუცები ორსართულიან ადმინისტრაციულ შენობასთან — ე.წ. "სტანციასთან" გაჩერდნენ და დაელოდნენ სონას მოსვლას, რათა მისთვის პატიება და შერიგება ეთხოვნათ. ვინაიდან დიდხანს ლოდინის შემდეგაც სონა მათთან არ გამოვიდა, ერთ-ერთმა რჯულის კაცმა გიორგი თამასხანოვმა ზალიეთთან მისასვლელად შეარჩია ჩოფიკაშვილების (გუგუეთ) დისწულები იაკობიანთ საბრალაჲ (სუჯაშვილი) და ეგუეთ შუაჲ (წიკლაური). მათთან ერთად წავიდა თვით გიორგი თამასხანოვი. საქმის გაადვილების მიზნით თან გაიყოლიეს აგრეთვე გუგუეთ ნიკალაჲ და ლადიმერაჲ.

შეხვედრა შესდგა, მაგრამ სონამ შერიგებაზე კატეგორიული უარი უთხრა. შემდეგ გიორგი თამასხანოვმა იქ მისულ შუაკაცებს უთხრა - "თქვენ აქ იყავით,

ეგ დედაკაცი არსად გაუშვათ და დანარჩენ რჯულის კაცებსაც აქ ამოვრეკო". ეს ასეც მოხდა. თემის კაცები გიორგიმ ზალიეთ სახლის კედელთან გააჩერა და დაარიგა - "როგორც კი სონაᲘ გამოვა, ქუდები მაიკადეთ და მუკლისკვერაᲘთ შეეხვეწენითო". ამ შუაკაცებთან ერთად გარეთ გამოიყვანა აგრეთვე წინასწარ მიგზავნილი საბრალაᲘ და შუაᲘც.

როდესაც გიორგიმ შუაკაცებს გარეთ მოუყარა თავი, სახლში შევიდა და სონას სთხოვა — "ადე და შენც გარეთ გამოდი ცოტახანსო". ამის შემდეგ გიორგი დაბლა ჩამოვიდა და სხვებთან ერთად დადგა. გადმოიხედა სალონკამ და დაინახა თუ არა დაჩოქილი და ქუდმოხდილი ხალხი, სულ "დაიძრა", გაფითრდა. შემდეგ გადმოსძახა: "გივარგი! ეხლაღა მაგაგონდათ პეტიეთ სასიკვდილე ვასილაᲘ. ემ ჩემს მამებსა და ძმებს (თქვა შუაკაცებზე) კი ვერავის ვიცნობ და შენ გეუბნები." ამის შემდეგ გიორგიმ შეუძახა: "ეხლა მაგაგონდა როცა გოგოცან თავი, დღემდე ჩვენ არც კი ვიცოდით შენ შვილი გყვანდა თუ არა".

სონა აღარ გაჯიუტდა და უპასუხა — მართალიაო. შემდეგ განაგრძო: "ჯერ მიპატიებია წმინდის სამებისათვის და მამრე ჩემს წილად თქვენთვისაც ხალხნო". შემდეგ რჯულის კაცებმა უთხრეს: "თუ შენი წყალობა იქნება, გორიც მარჯვეაო" (ე.ი. თუ კი შენ აპატიებ სისხლს პეტიეთ, გვარების შერიგებაც გაადვილდებაო).

ამის შემდეგ სონა დაბლა ჩამოიყვანეს და მან ყველა შუაკაცს ხელი ჩამოართვა. იქვე ყველას უთხრა - "გვართან თქვენ იცოდეთო", ე.ი. საქმე ეხებოდა ვარდიშვილების გვართან შერიგებას, მათ დაყაბულებას. იმავე დღეს ყანობში წავიდა სამი კაცი: გიორგი თამასხანოვი, გახა სუჯაშვილი (სეხნიეთი) და შუა წიკლაური (ეგუეთი).

დაიწყო ვარდიშვილებთან მოლაპარაკება. მათი ნახვა გაძნელდა, ვინაიდან ზოგი ვლადიკავკაზში ცხოვრობდა. რჯულის კაცებმა დიდი დრო მოანდომეს მათთან შეხვედრას. განსაკუთრებით გაჯიუტდა ვლადიკავკაზში მცხოვრები გიგოლა ვარდიშვილი — მოკლულის ბიძა. მასზე გავლენა მოახდინა სონამ, რომელიც რჯულის კაცებს მხარში ამოუდგა და საქმის მოწესრიგებას დიდად შეუწყო ხელი.

ვლადიკავკაზში ყორბოულობა ღამეს შეკრებილან ვარდიშვილების წარმომადგენლები და რჯულის კაცები. იქ დაუდგენიათ სისხლის ფასი — 12 მილიონი მანეთი, როდესაც ფულის კურსი დავარდნილი იყო; 12 მილიონი უთანაბრდებოდა მხოლოდ ორი-სამი ურემი სიმინდის ღირებულებას. სონამ თავის მხრივ კიდევ 4 მილიონი დაუკლო. მცირედი თანხით იმიტომ დაკმაყოფილდნენ, რომ მკვლელობა უნებურად მოხდა. ამავე მოტივით იშუამდგომლეს სტეფანწმინდის მილიციასთანაც და მკვლელი გამოაშვებინეს.

ზალიეთ ქალისა და ბოთოშეთ რძლის სონას მაგალითი სანათქმელოდ დარჩა ხევში და მოსისხლეთა შერიგების პროცესში რჯულის კაცები ამ სამაგალითო ქმედებასაც იხსენიებდნენ.

ზემოთ განხილული მონაცემების მიხედვით თვალნათლივ გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი ნდობით სარგებლობდნენ რჯულის კაცები, როგორ საფუძვლიანად

იცნობდნენ ისინი მოხეურ ტრადიციებს და როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ნებისმიერი დანაშაულის განსჯას. ისინი განსაკუთრებით რთული ამოცანის წინაშე დგებოდნენ მკვლელისა და მოკლულის ოჯახების შერიგებაში. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ შეურიგებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო შურისძიება და სისხლის აღება. ამ საშიში მოვლენის აღკვეთის რეალურ საშუალებას წარმოადგენდა ოჯახების შერიგება, რაც გვარების შერიგების შემდეგ უნდა მომხდარიყო.

რჯულის კაცების უპირველეს ამოცანას შეადგენდა წინასწარი მოლაპარაკება მოკლულის მხარესთან. ისინი როდესაც მოსალაპარაკებლად მიღების თანხმობას მიაღწევდნენ, თავს მოვალედ თვლიდნენ რეგულარულად ხლებოდნენ მიცვალებულის საფლავს. ისინი მოთმინებით ელოდებოდნენ ჭირისუფლის პასუხს. მოკლულის ოჯახისა და გვარის მხრიდან თანხმობა ჭიანურდებოდა, მაგრამ რჯულის კაცები მიცვალებულის საფლავთან დგომას კვლავაც დაჟინებით განაგრძობდნენ. ჭირისუფლის უარი გარკვეულ უკმაყოფილებას ბადებდა თვით მათი გვარის უფროსებს შორის. დაყოვნებით შექმნილ ვითარებას პირველ რიგში უხერხულობდა გვარის უფროსი. მდგომარეობის შერბილების მიზნით ის რჯულის კაცებს სახლში ეპატიჟებოდა და გაჯიუტებულ ოჯახს ანდერძად მიღწეული მაგალითების შეხსენებით შთააგონებდა შერიგების საჭიროებას. რჯულის კაცებისა და მოკლულის გვარის უფროსის ამგვარი ქმედების შედეგად აღწევდნენ შერიგებაზე თანხმობას. ამის შემდეგ დათქვამდნენ ორივე გვარის შეხვედრას. რჯულის კაცების პირით ჭირისუფლის მხარე მკვლელის მხარეს შეუთვლიდა, რომ მთელი გვარი მიცვალებულის საფლავთან მისულიყო. საფლავთან მათ უხვდებოდნენ რჯულის კაცები. დედაკაცები კვლავ ტირილს აგრძელებდნენ, ხოლო კაცები სვამდნენ და მიცვალებულის შესანდობარს ამბობდნენ. ამასობაში მათ გამოეცხადებოდა მოკლულის გვარის უფროსი. მის დანახვაზე მკვლელის გვარის ყველა მამაკაცი თავდახრილი და ქუდმოხდილი იჩოქებდა, ხოლო დედაკაცები თმების გლეჯით ტირილს უმატებდნენ. რჯულის კაცების მითითებით მკვლელი მიცვალებულის საფლავზე პირქვე წვებოდა. ამის შემდეგ მოკლულის გვარის უფროსი ხალხს თვალს გადაავლებდა და უხმოდ გაბრუნდებოდა. მკვლელის გვარის კაცები ფეხზე წამოდგებოდნენ, მაგრამ როგორც კი მოკლულის გვარის ხალხი გვარის უფროსის წინამძღოლობით იქ მივიდოდა, მკვლელის ხალხი კვლავ იჩოქებდა და დედაკაცების ტირილიც გაგრძელდებოდა. გვარის უფროსი მივიდოდა საფლავზე დაწოლილ მკვლელთან, ხელს ართმევდა და ეტყოდა: "შენი დანაშაული ჩვენი მთის სალოცავებმა გაპატიას და ჩვენც გვიპატიებია. დღეის შემდეგ შენ, ისევე როგორც ჩვენი მკვდარი, ჩვენი შვილი და ძმა იქნები. თავისუფალი ხარ." მკვლელი გაჩუმებული იყო. მოკლულის გვარის უფროსი მკვლელის გვარის ყველა მამაკაცს პატიების ნიშნად ხელს ჩამოართმევდა. ამ დროს მოკლულის გვარის მამაკაცები ერთ რიგში დგებოდნენ, ხოლო დედაკაცები მეორე რიგში. ორივე რიგში მდგომი მამაკაცებიც და დედაკაცებიც პირქვე დამხობილ მკვლელს ხელს ართმევდნენ მიძახებით — გვიპატიებიაო. მკვლელის გვარის დაჩოქილი მამაკაცები თავდახრილები უწვდიდნენ ხელს.

აღნიშნული პროცედურის დამთავრების შემდეგ მოკლულის გვარის უფროსი დაჩოქილებს მიმართავდა — ადექით, გვიპატიებიაო. დაჩოქილ ქალებს ასევე მიმართავდა უხუცესი დედაკაცი მოკლულის მხრიდან. "ᲩᲛᲐᲒᲐᲒᲓᲔᲑᲘᲗ" ტირილს აგრძელებდნენ ქალები მკვლელის მხრიდან. მათთან ერთად ტიროდნენ ყველა სოფლიდან მოსული დედაკაცებიც.

მთელი ამ პროცესის დამთავრებამდე მკვლელი საფლავზე იწვა. მოკლულის ოჯახი საფლავთან კლავდა ორ ჭედილას, ხოლო მკვლელის მხარე ერთ ხარს.

შერიგების რიტუალის შესრულების შემდეგ ხალხი საფლავთან რჩებოდა, რათა მიცვალებულისთვის შენდობა ეთქვათ. მაგრამ თუ ეს ზამთრის გაუსაძლის სიცივეში მოხდებოდა, მოკლულის გვარის უფროსი ხალხს სახლში მიიპატიჟებდა. სასაფლაოდან სახლისაკენ მიმავალ კაცებს წინ მიუძღვებოდნენ უფროსი კაცები, ხოლო ბოლოს სოფლისა და თემის ხალხი, ნათესავები და მოკეთეები. სუფრის თავში ჯდებოდნენ მასპინძელი გვარის უფროსი და რჯულის კაცები, შემდეგ უფროს-უმცროსობით ჩამორიგდებოდნენ მოკლულის გვარის უფროსი კაცები და მკვლელის გვარის უფროსი კაცები. მკვლელს საფლავიდან წამოაყენებდნენ რჯულის კაცები და სუფრასთან ადგილს მიუჩენდნენ მისი გვარის უფროსი კაცების ბოლოში.

სუფრაზე პირველ სადღეგრძელოს წარმოსთქვამდა რჯულის კაცების უფროსი. იგი ადღეგრძელებდა მოკლულის გვარს სისხლის პატიებისა და რჯულის კაცებისადმი პატივისცემისათვის. ამ სადღეგრძელოს ყველა უხმოდ შესვამდა. მეორე სადღეგრძელო ეძღვნებოდა მკვლელის გვარს, რასაც ამ გვარის უფროსი მადლიერებით და მონანიებით ეხმიანებოდა. იგივე პიროვნება ადრინდელი რჯულის კაცების "განასაჯობასაც" ქებით და შენდობით აღნიშნავდა. მესამე სადღეგრძელო საკუთრივ თემის კაცებს ეძღვნებოდა, რასაც მკვლელის გვარის უფროსი წარმოსთქვამდა. იგი უმადლიერებდა რჯულის კაცებს სასიკეთო საქმის გარჯისათვის. რიგით მეოთხე სადღეგრძელო განკუთვნილი იყო მოკლულის გვარის ახალგაზრდებისათვის იმის შთაგონებით, რომ ისინი შურისძიებაზე აღარ იფიქრებდნენ. სადღეგრძელოების წარმოთქმისას თვით მკვლელი ჩუმად იჯდა. მას ფეხზე ადგომის უფლება არ ეძლეოდა ისეთ ვითარებაში, როდესაც უფროსების მიერ სადღეგრძელოების წარმოთქმისას ყველა დამსწრე ფეხზე დგებოდა.

როგორც სტეფანწმინდელმა ვანია ეფხოშვილმა მითხრა, ასეთ ვითარებაში თამადას არ ირჩევდნენ. ტრადიციულად დაწესებული რიგის მიხედვით ყველამ იცოდა ვის ეკუთვნოდა სადღეგრძელოს თქმა.

სუფრა ცალკე იშლებოდა დედაკაცებისათვის. ისინი ერთიმეორეს კეთილი სურვილებით "ალბობდნენ" და ხანდახან შესტირებდნენ ხოლმე.

სუფრასთან ჯდომა მალე მთავრდებოდა. ხალხი რომ სუფრიდან აიშლებოდა, რჯულის კაცების უფროსი მათ განუცხადებდა, რომ ყველანი უკლებლივ გადასულიყვნენ მკვლელის გვარის უფროსის ოჯახში. სუფრისათვის განკუთვნილი ხარჯები იფარებოდა მკვლელის გვარისა და ნათესავების მიერ.

აქტიურად ეხმარებოდნენ მეზობლებიც. მათ სუფრაზე მიწვეულ ხალხს წინ

მიუძღვებოდნენ მკვლელის გვარის უფროსები. სუფრაზე წინა სუფრის ანალოგიური წეს-რიგი ხორციელდებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ შერიგებული ოჯახებისა და გვარების მშვიდობიანი ურთიერთობა რომ განმტკიცებულიყო, ერთიმეორეს ნათელ-მირონით უკავშირდებოდნენ.

ხევში დადასტურდა შერიგების ისეთი შემთხვევაც, როდესაც ორი მოსისხლე გვარი დიდიხნის შეურიგებელი იყო. შეურიგებლობის მიზეზი იყო დაუდევრობა. მაგრამ ისინი მაინც შერიგების საჭიროებას ხედავდნენ და საამისოდ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებაზე ფიქრობდნენ. მათ საუკეთესო გამოსავალი ნახეს ორი გვარის შერიგების მომენტში. მოამზადეს რჯულის კაცები და მიუგზავნეს შერიგებაში მონაწილე იმ გვარს, რომელთანაც უნდა შერიგებულიყვნენ. ბოლოს და ბოლოს რჯულის კაცებმა შერიგებას მიაღწიეს სათანადო ხარჯების ვალდებულებით. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მოხდა სამი გვარის ერთდროულად შერიგება, რაც გამონაკლისად ითვლება მოხევეთა სამართალწარმოებაში.

თავმოყვარე ოჯახი, მითუმეტეს შეძლებული ოჯახი სასისხლო საურავის მიღებას უკადრისობდა. ამიტომ, რჯულის კაცების ხელით მიღებულ ფულს გვარის უფროსი ოჯახის წევრების თანხმობით გადაანაწილებდა. ის განაცხადებდა: თანხის ნაწილი გვიპატიებია მკვლელის შვილებისათვის, ნაწილი კი აგვიღია ამორჩეული რჯულის კაცების სასარგებლოდ.

მაგრამ მოხევეები იმასაც გვაუწყებენ, რომ რჯულის კაცებისთვის საზღაურის გამოყოფა ფაქტიურად პირობითი ხასიათისა იყო. ამითი თითქოს რჯულის კაცების გარჯას აფასებდნენ, მაგრამ თვით რჯულის კაცები მხოლოდ მადლობის თქმით კმაყოფილდებოდნენ და გარჯის ასანაზღაურებელი თანხის მიღებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. ის კი დასაშვებად ითვლებოდა, რომ შორიდან მოსულთათვის საგზაო ხარჯები დაეფარათ: თემის ადათით განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოეჩინათ მოკლულის გვარის ქვრივ-ობლებისათვის. როგორც წესი მათ უწილადებდნენ საურავში მიღებული თანხის ნაწილს.

თავმოყვარე გვარი ცხვრების ან მამულის მიღებაზედაც უარობდა. ზოგიერთ შემთხვევაში მკვლელის ოჯახის მიერ მიყვანილი ხარის მიღებაზედაც უარს ამბობდნენ, მაგრამ რჯულის კაცები დაჟინებით მოითხოვდნენ მიყვანილი ხარის დაკვლას სტუმრიანობის მოტივით. ისეთ შემთხვევაში კი თუ მკვლელის ხართან ერთად მეორე ხარსაც მიიყვანდა მკვლელის ბიძა ან ბიძაშვილი, რჯულის კაცები ამას კრძალავდნენ, ხარს უკან უბრუნებდნენ. მათი შეხედულებით, ორი ხარის დაკვლის მაგალითი არ უნდა მიეცათ მომავალი თაობისათვის. ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საურავის მიღება გამართლებული იყო უმთავრესად იმ შემთხვევაში, თუ მოკლულის ოჯახი სიღარიბეს განიცდიდა.

ხალხური დღეობები და მნათეობა

მოხევეთა ცხოვრებაში საკმაო სისრულით შემოინახა ხალხური დღეობები და მნათეობა. ეს ორი მოვლენა ერთიმეორეს ორგანულად უკავშირდებოდა და ამიტომ ვამჯობინე მათი ერთად აღწერა ხევის სოფლების მიხედვით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიცია შენარჩუნებულ იქნა თერგის ხეობაში სოფელ ყანობიდან სოფელ ცდომდე, ხოლო სნოს ხეობიდან სოფელ სნოში, სოფელ ახალციხეში, სოფელ სოფელ ქოსელში და სოფელ კარკუჩაში. მოგვიანო პერიოდში ხევის ასეთი ლოკალიზაცია უკავშირდება დემოგრაფიულ პროცესებს (თრუსოს ხეობაში ოსების დასახლება, სოფელ გველეთში ქისტების ჩამოსახლება XIX საუკუნეში, ხოლო სნოს ხეობაში ხევსურთა სოფლების გაჩენა ართხმოსა და ჯუთის სახით).

სოფელი ყანობი

სოფელ ყანობის მთავარი სალოცავები იყო: 1. თარანგელოზის (მთავარანგელოზის) ხატი მთა ქაბარჯინას ძირას; 2. არყონის წმინდა გივარგი, მდებარე ე.წ. ჰევაის წყალგაღმა; 3. კვირე (კვირეღვთიშვილი) გოგორეთ (კურკუბულების) სახლთან ახლოს მდებარე გორაკზე, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქვის მშრალი წყობით აშენებული მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევი. სოფლის მთავარი დღეობებიც ამ სალოცავებში სრულდებოდა, მაგრამ სანთლების დანთება და ლოცვა-ვედრება საეკლესიო კალენდარით ცნობილ ყოველ დღეობაზე აღინიშნებოდა.

სადღეობო რიტუალის პირველ დღეს ერქვა ყორბოულობა, რაც ძველი სტილით 24 დეკემბერს დგებოდა, ხოლო მისი მეორე დღის მომდევნო ხსნილი — წინასაახალწლო რიტუალი. ყორბოული ერქვა საახალწლო ჯვრიან პურს, რომლის სახელწოდება იყო "საკვლევი". ეს იმიტომ, რომ პირველ იანვარს, დღე და ღამე რომ გაიყრებოდა, ოჯახის უფროსი კარებიდან კერისაკენ მას შემოაგორებდა. თუ პურის დავარდნისას ჯვარი ზემოდან მოექცეოდა, ეს სიკეთის მომასწავებელი იყო. პურს ახალწელზე გატეხდნენ და ღმერთს ოჯახის მომავალ ბედნიერებას შესთხოვდნენ. ტკბილეულით ოჯახის მილოცვის შემდეგ ოჯახის უფროსი ბოსელში ჩავიდოდა და ქერს მიმოაპნევდა ლოცვით — საქონელი ასე გამრავლდესო. კერაზე ცეცხლს ოჯახის უფროსი გააჩაღებდა. შემდეგ ოჯახს ტკბილეულით შეულოცავდა კარგი კვალის მქონე მეკვლე, რომელსაც ასევე ტკბილეულით გაუმასპინძლდებოდნენ. ცეცხლის შებერვას ერიდებოდნენ, რომ ქარიანი წელიწადი არ დამსნოდათ (არ დაკვებებოდათ), რძის დაღვრა რომ არ დამსნოდათ, წყლის დაქცევასაც ერიდებოდნენ. შეშა წინასწარ დაჩეხილი უნდა ჰქონოდათ, იმის შიშით, რომ ახალწელზე შეშის დაჩეხვის მიზეზით ოჯახს ჯამ-ჭურჭლისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების მტვრევა არ დამსნოდათ.

წყალკურთხევის (6 იანვარი) წინა ღამეს, ხუთ იანვარს ინთებოდა კოცონი, რასაც ამპარიობა ერქვა, ვინაიდან კოცონს ამპარიაი ერქვა. საამისოდ ხალხი მოაგროვებდა ჩალას, ბანთუკენ (კალოსპირაში) ახალგაზრდები დადგამდნენ ჩალის ზვინს. კარგი კვალის მქონე რომელიმე კურკუმული ცეცხლმოკიდებული ჩალის პატარა კონით, ლოცვით წაღმი შემოუვლიდა ჩალის ზვინს და დაილოცებოდა: დიდებულმა ღმერთმა ბარაქიანი მოასავალი მოგვცას, მეზობელი მეზობლის გონჯს ნუ გაიგონებს და ა.შ. შემდეგ ჩალის ზვინს ირგვლივ ცეცხლს მოუკიდებდა და ისიც ხალხთან დადგებოდა.

როდესაც ცეცხლი იმ ზომამდე მინელდებოდა, რომ კოცონზე გადახტომა შესაძლებელი გამხდარიყო, იწყებდნენ მასზე გადახტომას. ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხოლო მოხუცები სიმბოლურად ცეცხლის ნაპირს გადააბიჯებდნენ. როდესაც ალი დაიკლებდა, ახალგაზრდები ჩალას ორთითით აჩეჩდნენ, რომ ალი კვლავაც მაღლა ასულიყო.

ხალხის რწმენით, სოფლის მიერ დანთებული კოცონით მიცვალებულები თბებოდნენ. ამიტომაც ჩალის ყოველი მომტანი მას თავიანთი მიცვალებულის წილად მიიჩნევდა. განსაკუთრებული ენთუზიაზმით მოჰქონდათ ჩალა ბავშვებს. წესად იყო ცეცხლმოდებული ჩალის მოტაცება და საფლავებზე დაყრა ისევ და ისევ მიცვალებულების გათბობის გუმანით.

მეორე დღის ცისკარზე, ექვს იანვარს ყანობის გვერდზე ჩამომდინარე მდინარიდან მოტანილ წყალს მიცვალებულების საფლავებზე ღვრიდნენ. ამავე დროს მღვდელი ხატებს წყალში ამოავლებდა. იქვე ახსენებდნენ უმოწყალოებს, ე.ი. იმათ ვისაც შენდობის მთქმელი — ე.წ. დამრჩო (მემკვიდრე) არ ჰყავდათ.

წყალკურთხევას მოსდევდა ბოსლობა თებერვლის ხუთშაბათიდან კვირამდე. თებერვლის დამდეგს დგებოდა ყველიერი, ხოლო შემდეგ აღება ანუ პირის დაჭერა — მარხვა. მარხვა ერქვა ნაცრით გატენილ პარკს ქათმის შვიდი ფრთით. მასვე უკეთებდნენ ისარს ბავშვების დაოკების მიზნით, რომ ყველი არ მოეთხოვათ. შვიდი კვირის განმავლობაში ყოველი ერთი კვირის თავზე მარხვას ქათმის ფრთას გამოაძრობდნენ, ხოლო როდესაც ბოლო ფრთასაც გამოგლეჯდნენ, ბავშვები მარხვას ჯოხის ცემით გაიტაცებდნენ და წყალში ჩააგდებდნენ. ამას ერქვა მარხვის გაბერტყვა (ცემა), შემდეგ ერთიმეორეს მოყვებოდა ხარებობა (25 მარტი), ბზობა (აღდგომის წინა კვირას), აღდგომის კვირა — დიდი ხუთშაბათი, წითელი პარასკევი, აღდგომის მეორე დღე — ორშაბათი, მიცვალებულთა სუფრები, აღდგომის სწორი — დიდი დღე კვირას.

თევდორობას იხდიდნენ მარხვის შუაში, თევდორე მღვდლის მოსახსენებლად იმის გამო, რომ მტრის ჯარი მან უგზო-უკვლოდ ატარა და საქართველოს შეენირა.

აღდგომიდან ორი კვირის შემდეგ დგებოდა გაზაფხულის გივარგობა, რასაც ხურთისელებთან ერთად აღნიშნავდნენ. საკადრისი მასპინძლობისათვის სოფელი ყანობი გამოყოფდა სამ-ოთხ ოჯახს, რომელთაც ევალებოდათ კურატის ყიდვა. ყანობის სალოცავიდან, რომ ხატს გამოაბრძანებდნენ, მას ჯერ ხურთისში მიაბრძანებდნენ, შემდეგ აქედან კვლავ ყანობში მობრუნდებოდნენ. თავის მხრივ ხურთისელი მლოცველები ყანობისაკენ გამოემართებოდნენ, რომელთაც ყანობლები ხვდებოდნენ კურატით, რომელსაც ყელზე ზარი ჰქონდა შებმული. ორივე სოფლის მკვიდრნი ხატს მიაბრძანებდნენ კობში, სადაც მათ სახნავი მამული ჰქონდათ. კობში იქაური ოსები უმასპინძლებდნენ, ხოლო ყანობში დაბრუნებისას კვირეს ხატში კურატს კლავდნენ. ღამისთევა ეწყობოდა აიდარაშვილების სახლში. დღეობა სამ-ოთხ დღემდე გრძელდებოდა.

გაზაფხულის გივარგობას მოყვებოდა ხალარჯობა. ამ დროს იცოდნენ საკლავების დაკვლა და მიცვალებულებისთვის სუფრების გაშლა.

ყანობში ამაღლების სახელზე ხატი არ იყო. ამიტომ ღუდის ყველაწმინდაში მიდიოდნენ და ხატს შვილიერებას შესთხოვდნენ. მიდიოდნენ ისინი, რომელთაც შეთქმული ჰქონდა. უმრავლესობა კი ყანობში რჩებოდა და თავიანთ სახლებში დააყენებდნენ წესს. ზოგიერთი ოჯახი წინასწარ დასულდგმულებულ ბატკანსაც კლავდა. ყანობში ამაღლება თიბათვეში ერთი დღით აღინიშნებოდა, ხოლო ვინც ღუდაში მიდიოდა, იქ სამ დღემდე რჩებოდა.

პეტრე-პავლობა სოფელ ხურთისის მთავარი დღეობა იყო. ყანობლებიც, ვისაც დათქმული ჰქონდა, ხურთისელებთან მიდიოდნენ.

ყანობის ერთ-ერთი მთავარი დღეობა იყო თარანგელოზობა (მთავარანგელოზობა). ყანობში ეკლესიის აშენებამდე მხოლოდ იმ ხატში გადიოდნენ, რომელიც მთა ქაბარჯინას მისადგომებთან იდგა. ამას დღემდე ეწოდება გაღმაის თარანგელოზობა, ვინაიდან ხატი მდინარე თერგის გაღმა იდგა. იქ სალოცავად თიბათვის 20-ში გადიოდნენ. იმის შემდეგ კი, რაც ხევის ბლაღოჩინის გიორ-

გი ითონიშვილის თაოსნობით სოფელში ეკლესია აშენდა, გაღმაის თარანგელოზობის პარალელურად დაწესდა სოფლის თარანგელოზობა (თიბათვის 13). ეკლესიის აშენების მიუხედავად ხალხი უფრო მეტი რწმენით გაღმაის თარანგელოზობაზე მიდიოდა. სოფლის თარანგელოზობისათვის ბლაღოჩინს თიბათვის 13 დაუწესებია. ამიტომაა თარიღებით სხვაობა გაღმისა და ეკლესიის თარანგელოზობას შორის.

20 აგვისტოს ძველი სტილით დგებოდა ელიობა, მაგრამ ამ დღეს ხატობა არ იმართებოდა. ელიობაზე აღინიშნებოდა თიბისთავი. საამისოდ გამოიყენებოდა მთის წვერების გაქირავებით აღებული ცხვარი — 20-25 სული. აქედან თიბისთავის სამხდოსთვის კლავდნენ სამ ჭედილას, ხოლო დანარჩენი ცხვრების ღირებულებით ფარავდნენ სასოფლო ხარჯებს (გადასახადები, გზებისა და ხიდების შეკეთება).

სთვლის გივარგობაზე (10 ნოემბერი ძვ. სტილით) სოფელი სამ საუბნო მნათედ იყო დაყოფილი: 1. ზემო უბანი (ჭიალაშვილი, ითონიშვილი, ტატიშვილი, კობიაშვილების ეფრიეთ მამიშვილობა); 2. შუა უბანი (კობიაშვილი ეფრიეთ გამოკლებით, ვარდიშვილი, კურკუმული); 3. ქვემო უბანი (კურკუმული, აიდარაშვილი). გვარების მიხედვით კი იყო 5 მნათე: 1. კობიაშვილი; 2. კურკუმული და ზილინაშვილი; 3. ვარდიშვილი და ჭიალაშვილი; 4. აიდარაშვილი; 5. ტატიშვილი, ითონიშვილი და ბაბაშვილი. ერთი საუბნო მნათისათვის კლავდნენ ორ ფუთამდე წონის ყოჩს. დაკლებულ წონას ერბოს დააწონიდნენ. არაყიც მხოლოდ ხარისხიანი მიიღებოდა. ყველა სხვა ხარჯიც მნათისა იყო. საგვარო მნათეს ევალებოდა 1 ჭედილა და ყველა სხვა ხარჯი. თუ სასმელი დააკლდებოდათ, დამატებით კომლობრივ აგროვებდნენ.

მნათეობა მორიგეობით იმართებოდა. მასპინძლობდა ის, ვინც ხატის ყანებს ხნავდა, მაგრამ ყანები ხატის სახელზე ჰქონდა მხოლოდ ოთხ გვარს: კობიაშვილებს, კურკუმულებს, ვარდიშვილებს და აიდარაშვილებს. მცირერიცხოვან გვარებს: ტატიშვილებს, ზილინაშვილებს, ითონიშვილებს ხატის ყანები არ ჰქონიათ, რისთვისაც ისინი მრავალრიცხოვან გვარებთან იყვნენ დაზიარებულნი. იმის გამო, რომ კობიაშვილი მრავალსულიანი გვარი იყო, ის გვარის შემადგენელი ნაწილების — მამიშვილობათა მიხედვით სამ საუბნო მნათედ იყოფოდა. პირველ მნათეში შედიოდნენ: ლადარიანნი და თემურენი; მეორეში შარმენი და ხუტიანნი, ხოლო მესამეში გოგნენი და ეფრიენი.

როგორც გვარის, ისე სოფლის სახატო მამული ხატისადმი შენირული იყო ოჯახის ან ერთი პიროვნების მიერ. შემწირავი იყო ან დიდი მამულის პატრონი, ან უშვილო კაცი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ღვთის მორწმუნე კაცს ყანა უყიდია და ის ხატისთვის შეუწირავს. მაგალითად აიდარაშვილების რძალმა დიდინამ, უშვილო ქალმა, ქმრის გვარს მამული უყიდა, რათა გარდაცვლილი ქმრისთვის შენდობა ეთქვათ.

ყველა საგვარო და სამამისძმო (სამეზობლო) მნათე სამხდოს იხდიდა ახალწელზე და აღდგომაზე. მისგან განსხვავებით, ბოსლობისთვის განკუთვნილი ხატის ყანების მომხნავი მნათე სამხდოს იხდიდა ახალწელზე და ბოსლობაზე

(ყველიერის კვირას). მნათეს დამატებით ერთ ჭედილას სწირავდა ის ოჯახი, რომელსაც იმ წელიწადს ვაჟი შეეძინებოდა. იმავე ბოსლობაზე მამის სახლში სტუმრად მოსულ გათხოვილ ქალს ქმრეულთ სახელით მოყავდა ე.წ. "ხატის ცხორი". როგორც ყანობელი კაცის მიერ ბოსლობაზე შეწირულ საკლავს, ისე ქალის მიერ მოყვანილ "ხატის ცხორს" ერქვა საწულე.

მნათეობის შესწავლასთან დაკავშირებით გამოვლინდა ერთი საყურადღებო მოვლენაც. ყანობში და ხურთისში ფიქსირებული მონაცემების მიხედვით, ამ ორ სოფელს საადგილმამულო ურთიერთობა აკავშირებდათ ოსებით დასახლებულ სოფლებთან. მათი უფლებამოსილება ვრცელდებოდა მნაში, შავარდენსა და კობში. ასეთი ვითარება სუფევდა მაშინ, როდესაც ეს სოფლები ხელუხლებელი იყო ჯერ ღუდუშაურების, ხოლო შემდეგ ყაზბეგების მიერ. მაგრამ ამ ორი გვარის უფლებამოსილების შეზღუდვის ან მოსპობის შემდეგაც მოხევეთა ზემოაღნიშნული სოფლები, პირველყოვლისა ყანობი, სადღეობო ორგანიზაციის დონეზე ინარჩუნებდნენ გარკვეული სახის პრეროგატივას ოსებით დასახლებულ სოფლებში. ეს კი იმითი იყო განპირობებული, რომ მოხევეთა გვარები: კობიაშვილები, ითონიშვილები, ბადაშვილები, ბაბაშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები... თავდაპირველად თრუსოს ხეობის სოფლებში ცხოვრობდნენ. მათი იქ ცხოვრების რეალობა იმ პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონმა (XVIII ს.) თრუსოში აღრიცხა ოსებით დასახლებული მხოლოდ რვა სოფელი. ვახუშტის ეპოქის შემდეგ ოსებმა თანდათანობით მდინარე თერგის დინების მიმართულებით დაღმი ჩამოინაცვლეს და მნიდან კობამდე თუ უხათამდე დასახლდნენ. მაგრამ თრუსოს ხეობაში (რომელიც ხევთან ერთად ისტორიული წანარეთის შემადგენლობაში შედიოდა) ვიდრე ამგვარი დემოგრაფიული ცვლილება მოხდებოდა, მოხევეებმა, უფრო ზუსტად რომ ითქვას — გამოხევებულმა დვალებმა (წინაპრების სამოსახლოში დვალებიც რომ დასახლდნენ, ესეც ხომ ისტორიული რეალობაა) თრუსოს ხეობიდან ხევის სოფლებში — ყანობში, ხურთისში თუ სიონში გადმოინაცვლეს. მათ ყოფილ სამოსახლოებს ოსები დაეუფლნენ, მაგრამ დავიწყებას არ მისცემია ცოდნა იმის შესახებ, რომ დვალების სამოსახლო სივრცეში ოსების დასახლება გვიანდელი მოვლენაა. ეს იციან არა მარტო დვალყოფილმა მოხევეებმა, არამედ თვით ოსებმაც. ოსი მთხრობლების ინფორმაცია პირადად მეც მოვისმინე, რომ თრუსოს ხეობის სოფლებში მოხევეებიც ცხოვრობდნენ და სხვა გაოსებული ქართველებიც. 1958 წლის 24 ივლისს სოფელ მნაში მცხოვრებმა ალექსი გრიგოლის ძე ქასაევმა (დაბად. 1890 წ.) მაცნობა, რომ ქართული წარმომავლობის სუხიევების (ჭოპორტიდან მოსული სუხიშვილების), აგრეთვე ბაზალეთიდან მოსული კარიაულების შთამომავალი ქასაევებისა და ოსი ცაბულოვების მნაში დასახლებამდე კობიაშვილები და ითონიშვილები ცხოვრობდნენ. ოსმა მთხრობელმა ამის საბუთად გაიხსენა ჩემი პაპის გიორგი ითონიშვილის ნათქვამი კობიაშვილების და ითონიშვილების მნაში ცხოვრების შესახებ. ალექსი ქასაევისაგან ამ ცნობის მეორე დღეს, 1958 წლის 25 ივლისს თავის მხრივ არტემ ისაკის ძე კობიაშვილმა

დაადასტურა, რომ მნაში შემორჩენილია კობიაშვილების საფლავებიც ქართული წარწერებით. მისივე ცნობით, კობიაშვილებს მნაში წისქვილიც ჰქონიათ, რასაც შემდეგ იქ დასახლებული ოსები ხმარობდნენ და კობიაშვილებს კულუხს უხდიდნენ მინდის სახით. დამოწმებულ ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად ისიც ცნობილია, რომ კობიაშვილები და ითონიშვილები ცხვარს მნის მთებში აბალახებდნენ, ცხვრის წველის სეზონში ძველ მამაპაპურ სახლებში ცხოვრობდნენ და რძის პროდუქტებსაც იქვე ამზადებდნენ.

ყოველივე ამის შედეგად ჩამოყალიბდა ურთიერთობის მერმინდელი წესი, რაც მოხევეების წინაშე ოსების ვალდებულებას ითვალისწინებდა. ოსური დასახლების ზონიდან მოხევეების წამოსვლის შემდეგ მათი მამულებით ოსები სარგებლობდნენ, მაგრამ სათანადო ვალდებულების შესრულების პირობით. მოხევეები როდესაც მნის ყველაწმინდაში ბალღებს და პატარძლებს ალოცებდნენ (ავედრებდნენ), შესაწირავად მიჰყავდათ ერთი ბატკანი და მიჰქონდათ ერთი ბოთლი ღვინო — ე.წ. ზედაშე. ოსები თავის მხრივ უმასპინძლდებოდნენ საკლავით, არაყით, სუფრით. ოსები ასევე ორი დღით უმასპინძლდებოდნენ, როდესაც მოხევეები ხატის დამიზეზებით სავედრებლად მნის სალოცავს მიაკითხავდნენ. მასპინძლობით ვალდებულებას ერქვა კულუხი.

ყანობლებს მამული ჰქონიათ სოფელ კობშიც, რითაც ოსი მისოსტოვები (ბურნაჩენი) სარგებლობდნენ. ამ მამულით სარგებლობის სანაცვლოდ კობელი ოსები ყანობლებსა და ხურთისელებს კურატითა და სუფრით ხვდებოდნენ.

გარდა სახნავებისა ოსები კულუხის გადახდის პირობით ყანობლების სათიბ-საძოვრებითაც სარგებლობდნენ. კულუხად გაწყობილ სუფრაზე ყველა ყანობელი საპატიო სტუმრად ითვლებოდა.

საყურადღებოა ის წესიც, რომ ყანობში მარიამობა და ბოსლობა იმართებოდა მნის ყველაწმინდის სახელზე, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ თრუსოს ხეობის სოფელი მნა ადრე დვალყოფილი მოხევეებით იყო დასახლებული. განმეორებით აღვნიშნავ, რომ ეთნონიმიკური შინაარსის გადმოცემებთან ერთად შემოინახა ცნობები საადგილმამულო ურთიერთობათა შესახებ, სახელდობრ ვალდებულებაში, რაც ოსებს ეკისრებოდათ თრუსოს ხეობის ზოგიერთი სოფლის ადრინდელ მკვიდრთა მიმართ.

ხურთისი

სოფელ ხურთისს სოფელ ყანობისგან მიჯნავს ღრმა ხევი მცირედი ღელეთი, რომელსაც ლიშიაი ეწოდება. სოფელი მდებარეობდა ხურთისის ციხედ წოდებული ხუთსართულიანი ზურგიანი კოშკის ქვემოთ. ამ ისტორიულ სოფელში მხოლოდ ბანიანი ორ-სამ სართულიანი სახლები მჭიდროდ და ტერასულად იყო განლაგებული. საბჭოურ პერიოდში ხურთისელებმა შედარებით გაშლილი ახალშენი შექმნეს თუნუქით ან კრამიტით გადახურული სახლებით, ხოლო ძველმა ხურთისმა საცხოვრებლის ფუნქცია ფაქტობრივად დაკარგა.

სოფელ ხურთისში ფუნქციონირებდა კოშკთან მდგარი მცირედი ზომის ეკლესია და სხვადასხვა ადგილას მდებარე ხატები: 1. ძლევის წმინდა გივარგი, 2. კვირეღვთიშვილი, 3. ქაშეთის ხატი ანუ ბალღების ხატი. ხურთისელებს თავისივე ხატად მიაჩნია კობის წმინდა გივარგი, რომელიც სოფელ კობში მდებარეობს, ვინაიდან ამ სალოცავთან კავშირი ხორციელდებოდა კობელთა განსაკუთრებული ვალდებულების შესრულებით (ამის შესახებ ქვემოთ).

როგორც ხურთისელმა უფროსმა კაცებმა გაიხსენეს, ხურთისის ეკლესიაში მხოლოდ ერთხელ მომხდარა ჯვრისწერა. ჯვარი დაუწერია ქალაქიდან გადმოსულ ერთ-ერთ ხურთისელ დისწულს, რომლის წინაპარი რომელიღაც ტუჩაშვილთან დაძმობით გაფიცული ყოფილა. ხურთისის ეკლესიაში ჯვრისწერის სხვა შემთხვევები ალბათ იმიტომ მიეცა დავიწყებას, რომ სოფელ ყანობში ხევის ბლალოჩინის გიორგი ითონიშვილის თაოსნობით მთავარანგელოზის ეკლესიის აშენების შემდეგ ამ ეკლესიაში იწერდნენ ჯვარს ყანობლებიც და ხურთისელებიც.

ჩემი ჩანაწერების მიხედვით ხურთისის მოსახლეობა ხევის ყველა დღეობას მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ასრულებდა, მაგრამ საკუთრივ ხურთისის გამორჩეული დღეობები იყო გივარგობა, კვირესძლობა და პეტრე-პავლობა.

გაზაფხულის გივარგობა ხურთის-ყანობის ერთობლივი მონაწილეობით 15 აპრილს (ძვ. სტილით) სრულდებოდა. ამ დღეობისთვის კომლობრივ იკრიბებოდა არაყი (6 ლიტრა ერთი ოჯახიდან), ქადები (თითოეული ქადა საჭიროებდა 4 კგ. ერბოს) და სხვა სანოვაგე. შაბათ დღეს ყანობის ეკლესიიდან (მის აშენებამდე კი კვირედან) გამოაბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატს და მიაბრძანებდნენ ხურთისის ციხესთან მდებარე პატარა ეკლესიაში. ხალხის დამწყალობნების შემდეგ დიდებაის სიმღერით ყანობისაკენ გაემართებოდნენ. როგორც ყანობის მასალებითაც გამოჩნდა, ლიშიას ხევის გადავლის შემდეგ ხურთისელებს ყანობლები სოფლის მიერ ნაყიდი კურატით მიეგებებოდნენ. ხურთისელები ყანობლებს დაამწყალობნებდნენ და ყელზე ზარშესხმულ კურატს კვირეში მიიყვანდნენ. მის დაკვლამდე იცოდნენ ღამისთევა. მეორე დილას ხატს სოფელ კობში მიაბრძანებდნენ, სადაც მთელი თრუსოს მოსახლეობა დახვდებოდა. მოდიოდნენ ხევის სხვა სოფლებიდანაც. ესოდენ დიდი თავყრილობა იმითი იყო გამოწვეული, რომ წმინდა გიორგის დიდ საბრძანისად კობი ითვლებოდა და ამიტომ დღეობაც სათემო ხასიათისა იყო. კურატის დაკვლის შემდეგ სამხდო იმართებოდა. ამის პარალერულად ხურთისელები ციხესთან მდგარ ეკლესიასთან კლავდნენ შეთქმულ საკლავებს და საწულეებს. ვინც ბალღს აქ ალოცებდა, პეტრე-პავლობაზე ამის საჭიროება აღარ არსებობდა.

სოფელ კობში წმინდა გიორგის სახელზე ხურთისს ჰქონდა ორი დღიური სახნავი მინა. შემდეგ ხურთისელებმა ყანა გადასცეს კობელებს კულუხის გადახდის პირობით. ამის შესაბამისად, როდესაც ხურთისელები კობში ღამისთევით გადიოდნენ, კობელები მათ კომლობრივი მორიგეობით მასპინძლობდნენ. მასპინძლის სახლი მთლიანად ხურთისელებისათვის იცლებოდა. ასე გრძელდებოდა 1890 წლამდე, მაგრამ როდესაც რიგი მოუწია ბურნაჩეთ (მისოსტოვებს), მათ ეს ვალდებულება აღარ შეასრულეს. მანამდე კი, ვიდრე გამასპინძლება დაწესდებოდა, კობელები ხურთისელებს უხდიდნენ კომლზე ერთ ჭედილას და 60 ლიტრა არაყს.

კვირესძლობა იმართებოდა კვირეღვთიშვილის ხატში. საკლავს კლავდა ის, ვისაც ეს დათქმული ჰქონდა. უმთავრესად კი პატარძლებს ალოცებდნენ. კვირესძლობაზე, ისევე როგორც გივარგობაზე, აცხობდნენ დიდ ქადას 10 გირვანქა (4 კგ) ერბოთი. ვინც ასეთ ქადას არ გამოაცხობდა, იხდიდა 1 მანეთს. ოჯახის სულადობას ყურადღება არ ექცეოდა. ეს კომლობრივი ვალდებულება იყო. კვირესძლობაზე სოფელი ქეიფს სამ დღემდე აგრძელებდა. გარდა დათქმული საკლავისა და საწულეებისა, ყოველ კომლს საერთო სუფრისთვის მიჰქონდა ზედაშე — თითო თუნგი არაყი და ხაბიზგინები. ეს სალოცავი ბალღების, პატარძლებისა და სნეულების მფარველად ითვლებოდა. სამხდო ჯერ ხატში იმართებოდა, ხოლო შემდეგ ოჯახებში. ვისაც ხატი დაამიზეზებდა, მისი დედა ან ბებია სოფელში ფეხშიშველი ჩამოვიდოდა. კომლზე თითო ბაკან (ჯამს) ფქვილს მოაგროვებდა და ცხრეულებს გამოაცხობდა. კვირესძლობაზე ამ ცხრეულებს დეკანოზი ბალღებს გადმოუყრიდა და დალოცავდა.

კვირეღვთიშვილის ხატი ჩოჩოშვილებს ჰკუთვნებია. მათ ადრე უცხოვრიათ ქუაკეს, სადაც ამჟამად ხატი და სასაფლაოა. შემდეგ მათ საცხოვრებელი ადგილი გამოუცვლიათ. ამ ხატში ზარი შეუწირავს ტუჩაშვილების ნათლულს გრიგოლ ჯაფარიძეს. შემდეგ ეს ზარი დაკარგულა. იმავე ხატში თუნგი შეუწირავს დავით ჩოჩოშვილს. თუნგი, რომელიც იტევდა სამ ლიტრზე მეტს, იყო ყურიანი. მით არაყი კომლობრივ იკრიბებოდა.

ხურთისის ყველაზე დიდი დღეობა იყო პეტრე-პავლობა, რაც მკათათვის 29-ში (ძვ. სტ) დგებოდა. ხურთისის წვერის საბრძანისში არის ძლევის წმინდა გიორგის ხატი. ხალხი ადრე იქ მიდიოდა, საკლავებსაც იქ ხოცავდნენ და დღეობასაც იქ მართავდნენ. დეკანოზი ხალხს იქვე ამწყალობნებდა. ზოგი ღამის თევით მიდიოდა, ზოგიც მეორე დღეს. აქედან დაბრუნებული ხალხი ეკლესიაში იკრიბებოდა. შემდეგ ეს ეკლესია, რომლის ადგილსამყოფელს ზემო ჯორი ერქვა, ბოლშევიკებმა დაანგრიეს და მისი ქვით სოფლის სკოლა ააშენეს. შემდეგ ამ ნაეკლესიარზე ძლევის წმინდა გიორგის ნიში დადგეს. აქ ზოგჯერ ხურთის-ყანობის 100-120 სული ყოჩი, ჭედილა და ბატკანი იკვლებოდა. ამას ემატებოდა 3-5 კურატიც. საკლავებს კლავდნენ ხურთისიდან სხვაგან წასულებიც, რომელბიც როგორც წილდებულები, მამაპაპურ სალოცავს აკითხავდნენ. ყველა საკლავი შეხვეწილი ხალხისა იყო. სამხდოს წვერთ სოფელი იხდიდა. უფრო დიდი სამხდო იმართებოდა ძლევის წმინდა გიორგის საბრძანისში. თანაც მისი მინდორი ხელს უწყობდა ფეჯისაის და აბარბარეს (ცეკვების) გამართვას. პეტრე-პავლობა თითქმის ერთ კვირამდე გრძელდებოდა. ადრე დეკანოზობა მორიგეობით იყო. შემდეგ ტუჩაშვილები გამხდარან დეკანოზები. ამიტომ ამ გვარის ერთ-ერთ

მამიშვილობას დეკანოზიანთ ეძახიან. პეტრე-პავლობის დეკანოზები წმინდობდნენ, 7 დღემდე რძეში ბანაობდნენ. მათი წმინდობა იწყებოდა მაშინ, როდესაც გივარგობაზე ყანობიდან წმინდა გიორგის ხატს გამოაბრძანებდნენ. ადრე წმინდა გიორგის ხატი ბრძანდებოდა ხურთისის ციხეში. შემდეგ ეს ხატი (ოქროს ყოჩი) აქედან დაკარგულა. ყანობის ეკლესიის აშენებამდე ხატების გამობრძანება ხდებოდა ხურთისის ციხესთან მდგარი პატარა ეკლესიიდან. აქედან ხდებოდა ყანობლების დამწყალობნებაც, იმის შემდეგ კი, რაც ყანობში ეკლესია აშენდა, ხატების გამობრძანება დაწესდა ყანობის ეკლესიიდან.

დღეობების აღწერისას სოფელ ხურთისში ჩავიწერე გადმოცემა სალოცავების ყოვლიშემძლეობის შესახებ. ნიკოლოზ და არტემ ტუჩაშვილების ცნობით, წმინდა სამების ძალით ხევში გავრცელებულა სნეულება — 35 წლის წელს ქვემოთ კაცი თუ ქალი გონებას კარგავდა. კაცებს აკანკალებდა, ხოლო ქალებს აძახებდა, გულყრა ემართებოდათ. ეს სნეულება სამ თვემდე გაგრძელებულა. შემდეგ, მკითხავის რჩევით სოფლის ირგვლივ გუთანი შემოუტარებიათ და სნეულებაც გამქრალა. ეს მომხდარა იმ დედაკაცის რჩევით, რომელსაც ანგელოზი გამოსცხადებია. გუთანში შეუბიათ უცოლო ბიჭები, ხოლო მეხრეებად გასათხოვარი ქალები დაუყენებიათ. გუთანს წინ გასძღოლია ჩემი მთხრობელი ნიკოლოზ ტუჩაშვილი, რომელიც მაშინ 10 წლისა ყოფილა. ის თეთრად შეუმოსავთ. თანაც ხატის რჩევით წინამძღოლი ბავშვი დეკანოზის შვილი უნდა ყოფილიყო. ბავშვს ხელში დააჭერინეს წმინდა გიორგის ხატი, ხოლო შესაწირავად მომზადებულ ხარს რქებზე ანთებული სანთლები მიამაგრეს. გუთნეულის გავლისას ყველა უსუფთაო ადგილზე ხარს თავი გაუქნევია და სანთლები ჩაუქრია. გუთნეულის სამჯერ შემოვლა საღამოხანს შეუსრულებიათ. მეორე დილით გაემართნენ ძლევის წმინდა გიორგის ხატისკენ. გზადაგზა ხალხი რომ ისვენებდა, დასაკლავ ხარსაც ასვენებდნენ. ხატში რომ ავიდნენ, ხალხს ხარიც ხატის ირგვლივ შემოუტარებიათ. ხატთან მისვლისას ხარი თავად დაწოლილა და მისი დაკვლის შემდეგ სნეულებაც გამქრალა.

დღეობებთან ერთად ხურთისში რეგულარულად სრულდებოდა მნათეობაც. მნათის მოვალეობა ეკისრებოდა იმ პირებს, რომლებიც ხატისადმი შეწირულ ყანებს ხნავდნენ. ყანები შეწირული იყო ცალკეული ოჯახების ან ხელმარტო პირების მიერ. ყანები შეწირული იყო უმთავრესად წმინდა გიორგისა და პეტრე-პავლეს სახელზე. ხურთისის მოსახლეობიდან ხატის ყანები ჰქონიათ მხოლოდ ტუჩაშვილებს. წმინდა გიორგის სახელზე შეწირულ ყანებს მორიგეობით ხნავდა ორ-ორი კომლი. ამათგან ერთი კომლი მნათეობას იხდიდა ახალწელზე, მეორე კი აღდგომაზე. მნათეს ევალებოდა საკლავი, სასმელი და სუფრისთვის საჭირო სხვა სანოვაგე.

სხვა გვარებს — ჩოჩოშვილებს, ბადაშვილებს, ქემაშვილებს, ელიაძეებს, წიკლაურებს, გოგიშვილებს და ჩქარეულებს ხატის ყანები არ ჰქონდათ, მაგრამ მნათეობას იხდიდნენ ერთობლივი ხარჯებით.

ფხელშე-გორისციხე

იყო დრო, როდესაც ფხელშე, გორისციხე და ტყარშეტი ერთობლივ საადგილ-მამულო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და დღეობებსა და მნათეობასაც ერთად იხდიდნენ. მათი ერთობლივი სალოცავი იყო მამაწმინდის ხატი, რომელთაგან დღემდეა შემონახული სალოცავის სამი სახელწოდება: წვერის მამაწმინდა, ანუ საბზანისი, რუხეს მამაწმინდა და მოარული. მოარულის ნიში დგას შუაგულ გორისციხეში, ციხის ნანგრევთან. აქედან ხდებოდა წვერზე მისი აბრძანება და უკანვე ჩამობრძანება. ამიტომ შეარქვეს მას მოარული. წვერის მამაწმინდას კი იმიტომ ეწოდა საბზანისი, რომ სწორედ იქ იცოდნენ მოარულის აბრძანება.

წვერის მამაწმინდის ხატთან შემორჩენილია თლილი ქვით აგებული პატარა საყდარი და სადგომები ხატის მსახურთათვის. ხალხის რწმენით უფრო ძლიერია რუხეს მამაწმინდა. რუხე ეწოდება საძოვარ მთას. მთის სახელწოდებიდანაა წარმოებული ხატის სახელწოდებაც. ეს ხატი მდებარეობს მყინვარწვერის ქვემო კალთაზე, მდინარე ქესიას გაღმა, სოფელ ხურთისის მხარეს. მის ძლიერებას ხალხი იმითი ხსნის, რომ უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე წვერის მამაწმინდა და ამიტომ უფრო სუფთა საბრძანისშია. სიპებით მოზღუდულ საბრძანისში მდებარე რუხეს მამაწმინდა წარმოადგენს ქვისაგან გამოქანდაკებულ ყოჩს, რასაც ციხისმცავი ეწოდება. ხალხს მიაჩნია, რომ ის არის თავი მამაწმინდა, რომლის მეორე სახელწოდებაა უმრავი, ვინაიდან მას მხოლოდ შვიდ წელიწადში ერთხელ გამოაბრძანებდნენ. ძლიერებით განსხვავებას ხალხი იმაშიც ხედავდა, რომ დედაკაცებს წვერის მამაწმინდაში ასვლა შეეძლოთ, მაგრამ რუხეში ეკრძალებოდათ. ხალხს სჯეროდა, რომ რუხეში დედაკაცების ასვლას შეიძლება სეტყვა მოჰყოლოდა.

მამაწმინდობა დგებოდა 18 ივლისს, მაგრამ მანამდე, შვიდ წელიწადში ერთხელ, ორი კვირით ადრე რუხეში დეკანოზები წმინდობდნენ. დღეობაზე თავს იყრიდა ფხელშის, გორისციხის და ტყარშეტის მოსახლეობა, რომლებიც ერთ საზიარო ხარს კლავდნენ. აქვე ხარით, ჭედილებით და სანოვაგით მოდიოდნენ გორისციხიდან წასული ჩქარეულების შთამომავლები, რომლებიც მოხევიშვილის გვარით ცხოვრობენ საგურამოში და სართიჭალაში. 1962 წლის 16 აგვისტოს გორისციხეში ჩემთან საუბრისას გრიშა ილიკოს ძე ჩქარეულმა (დაბად. 1905 წ.) გაიხსენა, რომ მოხევიშვილების მიერ საწირად მოყვანილი ერთი ხარი და რვა ჭედილა დაკლა მაშინ დეკანოზად მყოფმა ვასილა ჩქარეულმა. მან ხარი დაკლა გორისციხის ნაციხვართან მდგარ მამაწმინდის ნიშთან, ხოლო ჭედილები წვერის მამაწმინდაში. სამხდოს გადახდის მეორე დღეს სტუმრები თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. მამაპაპური სალოცავისადმი თაყვანისცემას სხვაგან წასულებთან ერთად ბეჯითად ინარჩუნებდნენ თვით ხევის სოფლებს შორის ჩასახლებული ერთი გვარის წარმომადგენლებიც. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ჩქარეულების მამიშვილობა ლალიტენი, რომლებიც გორისციხიდან ხურთისში გადასახლების შემდეგაც მამაწმინდობაზე კვლავ გორისციხელებთან მონაწილეობდნენ. თვით ხურთისში კი ლალიტენი პეტრე-პავლობის წილდებულები ვერ გახდნენ იმ მიზეზით, რომ ეს მათი მამაპაპური დღეობა არ იყო. მამაპაპური სალოცავისა და დღეობის მონაწილენი იყვნენ აგრეთვე

გორისციხიდან ფხელშეში საცხოვრებლად გადასული ჩქარეულების ერთ-ერთი მამიშვილობაც — ბუზუნენი.

სამი სოფლის ერთობლივი დღესასწაული მოიშალა საადგილმამულო დავის გამო. ტყარშეტის ბატონის ყარანგოზიშვილის შემწეობით საბატონო მთა ბოყოვინა ტყარშეტელებმა დაინებეს. ამის შემდეგ ტყარშეტმა სალოცავი მოიწყო ბოყოვინაში მამაწმინდის ნიშის სახით, ხოლო მამაწმინდის ძირითადი სალოცავები ფხელშე-გორისციხის საკუთრებაში დარჩა. ზოგიერთი მხვეწარი, ვინც მაღლა ვერ ავიდოდა, ღამისთევით მიდიოდა ნიშში, რომლის სახელია სახლნი შემორჩენილი ნასახლარების გამო.

ლოცვა-კურთხევას აღასრულებდნენ სხვა სალოცავებშიც. ერთ-ერთი ასეთი სალოცავი იყო ფხელშე-გორისციხის ახლოს მდგარი ღვთისმშობლის პატარა საყდარი — ხატად წოდებული, სადაც მარიამობას იხდიდნენ. ავსაჯანიშვილების საგვარო ხატი იყო კვირიკე, რომელიც მდებარეობს ე.წ. ყინვარწყაროს. გადადიოდნენ საკლავით, მაგრამ ბოლოს საკლავი მოშალეს და მხოლოდ გასტეხელი (ქადა) მიაქვთ. ავსაჯანიშვილებსა და ჩქარეულებს ქალების ხატიც ჰქონიათ. აქ ქალები თიბათვის პირველი კვირის ჩამოვლის შემდეგ გადიოდნენ. ყოველ გვარს თავისი ქალების ხატი ჰქონიათ. ქალებს ბავშვებიც მიჰყავდათ შესავედრებლად.

ტყარშეტის ჩამოცილების შემდეგ ხარს ფხელშელები და გორისციხელები კლავდნენ. ვისაც შეთქმული ჰქონდა, მას ყოჩი ან ჭედილა მიყავდა მამაწმინდის ხატის უკან — ფერდობზე ან ტაფობზე, რომელთა სახელებია არეულნი და იფქლის ხოვი.

ფხელშე-გორისციხეში დეკანოზობა მორიგეობით არ ხდებოდა. დეკანოზობა აქ არჩევითი ყოფილა ხევისბერობის მსგავსად.

თუ მამაწმინდა ადრე სამივე სოფლის სალოცავი იყო, საკუთრივ ფხელშის სალოცავს წარმოადგენდა კვირეღვთისშვილი. ამ ხატში, რომელიც ძველი ფხელშის ანუ ზემო ფხელშის ტერიტორიაზეა აღმართული, ადრე მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ. შემდეგ კი ის ქალების ხატად აქციეს. ამიტომ საკლავის ნაცვლად ქალებს ტკბილეული მიჰქონდათ.

კაცების მეორე სალოცავია წმინდა გიორგის ხატი, რომლის მაგივრად შემდეგ ააშენეს წმინდა გიორგის პატარა საყდარი. იქვე ალოცებდნენ (ავედრებდნენ) ბავშვებს, პატარაძლებს, ქალ-დისწულს. აქ აღდგომას ერთობლივად იხდიდნენ ფხელშელები და გორისციხელები. შაბათ საღამოს გამოაბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატს. კვირა დილას ხატში ავლისას დახოცავდნენ საკლავებს. იქ მოწყობილი ჰქონდათ ქვის ყადეები დასაჯდომად, ხოლო სუფრისათვის ჭაჭით (ფიქალით) გაწყობილი მაგიდები. ამჟამად შემორჩენილია ყადეების მხოლოდ ნაწილი. როგორც მითხრეს, ყადეების ქვები გახა ელოშვილს სახლის მშენებლობაში გამოუყენებია, რის მიზეზით ოჯახსაც ვეღარ უხეირნია.

ფხელშეში ხატის ყანები ჰქონიათ ელოშვილებსა და ჩქარეულებს. ფხელშეში მცხოვრები ჩქარეულები მნათეობით ფხელშელ ელოშვილებთან იყვნენ მიმაგრებულნი. ელოშვილების ხატის ყანები შეწირული იყო წმინდა გიორგისა და ლომისის სახელზე. ლომისის სახელზე შეწირვას იმითი ხსნიდნენ, რომ ელოშვილები ლომისის წილდებულებად ითვლებოდნენ, მაგრამ რატომ, ამაზე

განმარტებას ვერ იძლევიან. ფხელშელ ჩქარეულებს ხატის ყანები ჰქონდათ წმინდა გიორგის სახელზე.

სოფელ გორისციხეში ხატის ყანები შეწირული იყო ღვთისმშობლისა და მამაწმინდის სახელზე. ეს ნავაჭრი მამულები ხატისთვის შეუწირავს ვინმე გოლიაურს. მასვე 20 მარხილისუბის ორი ყანა ხურთისისთვისაც უჩუქებია. ამ ყანების სახელებია შარაი და ხატისძირი. გოლიაურის შენაწირავ ყანებს გორისციხეში ხმარობდნენ ჩქარეულები და ავსაჯანიშვილები. გოლიაურის ნაქონი ყანებით სარგებლობასთან ერთად გორისციხელი ჩქარეულები და ავსაჯანიშვილები იყენებდნენ საგვარო ხატის მიწებსაც. ჩქარეულებს ჰქონიათ აგრეთვე ე.წ. სახუთშაბათო ყანა, რომლის მომხნავი მნათე გვარს სამხდოს უმართავდა. ჩქარეულებისა იყო სხვა სახატო მამულებიც: ბართლომაჲ (შემწირველი ყოფილა ვინმე ბართლომე), შუკუნაჲ, ცახურიაჲ, რიყე. ავსაჯანიშვილებს საკუთარი ყანა-სათიბი ჰქონიათ კვირიკეს სახელზე (კვირიკე=კვირა დღის სალოცავი, ვერცხლის ხატი). ვინც ერთ ბატკანს დაკლავდა გვარისათვის და ერთნახევარ ვედრო ღვინოს მიიტანდა, კვირიკეს სათიბს ის გასთიბდა.

ხევის სხვა სოფლების ანალოგიურად ფხელშე-გორისციხეში მნათეობაც რეგულარულად სრულდებოდა. ტყაარშეტის გამოყოფამდე მნათეობაში სამივე სოფელი მორიგეობდა, მაგრამ მომხდარი ცვლილების შემდეგ მნათეობა გაგრძელდა ფხელშე-გორისციხის ფარგლებში. ამ სოფლების გვარები — ჩქარეულები, ავსაჯანიშვილები და ელოშვილები მნათეობას ერთდროულად, მაგრამ ცალ-ცალკე იხდიდნენ. ერთ დროს ფუნქციონირებდა სამი მნათე და მნათეობას ასრულებდნენ წელიწადში სამჯერ — ახალწელზე, აღდგომაზე და მარიამობაზე. ყოველი დღეობისთვის გვარიდან გამოიყოფოდა სამი მნათე. შემდეგ მნათეობის გრაფიკიდან მარიამობა ამოაგდეს და დარჩა ახალწელი და აღდგომა. ასეთ ვითარებაში კი მხოლოდ თითო ოჯახი გამოიყოფოდა მნათედ. მნათეობას ირიგებდნენ ჩქარეულები, ავსაჯანიშვილები და ელოშვილები. ჩქარეულებთან მიმაგრებულნი ყოფილან სომხიშვილები.

ახალწელზე იმართებოდა ორი სამხდო — ერთი საკლავით და მეორე უსაკლავოდ. უსაკლავოდ საღამოზე შეიკრიბებოდა გვარი და შენდობას ეტყოდნენ ხატისადმი ყანების შემწირველთ. მეორე დღეს კი მნათე ჭედილას დაკლავდა. ამის შესაბამისად, უსაკლავო შეკრება იყო მარხვისა, ხოლო საკლავიანი ხსნილისა.

ქეიფი აღდგომაზეც ორად იყოფოდა: მარხვისა უსაკლავოდ (თევზით, ლობიოთი...) და სხნილისა საკლავით.

საგვარო ხატის ყანებთან ერთად ფხელშე-გორისციხეს ჰქონდა საზიარო ხატის ყანებიც. ვინც მას მოხნავდა, ის იყო სოფლის მნათეც. ადრე მას ევალებოდა ხარის დაკვლა, მაგრამ შემდეგ დააწესეს ან ყოჩის ან სახარე ხბოს დაკვლა. სახარე ხბოს შეწირვით ხარის დაკვლას განასახიერებდნენ.

ტყარშეტი

ტყარშეტში ჩემი ყოფნის დროს (1962 წ.) სოფელში ცხოვრობდა ხუთი გვარი: მაისურაძე, ნარიმანიძე, ავსაჯანიშვილი, წიკლაური, ყამარაული. გადმოცემის მიხედვით მაისურაძე რაჭიდანაა, ნარიმანიძე მთიულეთიდან, ავსაჯანიშვილი გორისციხიდან გადმოვიდა ორი თაობის წინ. წიკლაური (გუგუტენი) ნელადხანსაა მოსული სოფელ ცდოდან. ასევე ნელადხანს კარკუჩიდან მოსულან ყამარაულები გოგოლენი. დაფიქსირდა უკუპროცესიც. ავსაჯანიშვილების ორი კომლი საცხოვრებლად გადავიდა ახლად დაარსებულ სოფელ ტორნისაში, ხოლო ავსაჯანიშვილების განაყოფი დათურენი დასახლდნენ სოფელ არშაში.

ტყარშეტის სალოცავები იყო: ეკლესიის ნანგრევი ე.წ. ხატის ციხე — მამაწმინდის სალოცავი. იმის ბოლოზეა კვირე, სადაც კვირესძლობა იმართებოდა. სოფლის ბოლოზეა ბერი წმინდა გივარგი, სადაც ყველიერში დიდ ხუთშაბათს მიდიოდნენ. უმთავრესი დღეობები იყო შობა-ახალი წელი, აღდგომა, კვირესძლობა, ამაღლება, მამაწმინდობა. საგვარო დღეობები არ არსებობდა.

დღეობაზე დეკანოზობდა ან ხატის მიერ ამორჩეული დეკანოზი, ან მოწმინდარი მნათე. მნათე ამ მოვალეობას ასრულებდა დროებით, მხოლოდ თავისი მნათეობის პერიოდში. მისგან განსხვავებით, ხატის მიერ ამორჩეული დეკანოზი მთელი სიცოცხლის განმავლობაში დეკანოზობდა. ხატის მიერ დეკანოზის ამორჩევა კი ხდებოდა ქადაგობის გზით. თუ ვინმე დაეცემოდა ან აძახებდა, თითქოს ხატი ალაპარაკდა, ძალას ატანდა რომ ედეკანოზა, მას აღიარებდნენ დეკანოზად. დეკანოზის შესახებ ლეგენდაც კი იქმნებოდა. მაგალითად დამისახელეს გუგუტეთ (მაისურაძე) სვიმანაჲ, რომელიც გადმოცემის ჩაწერის დროისათვის 130-140 წლისა უნდა ყოფილიყო, მამაწმინდის ნიშთან კლდეზე გადავარდნილა და დაცემულა მდელოზე კვირეცხოველის ნიშთან. ის უჭირველი ასულა თავის აშენებულ ქოხში, სადაც წმინდობდა. ის თურმე ხალხს არწმუნებდა, რომ ხატმა დაიფარა.

შობა-ახალწელს ხატში არ გადიოდნენ და დღეობას ჩვეულებრივი მოხეური წესით იხდიდნენ, მაგრამ მნათეობის სავალდებულო წესის შესრულებით. მამაწმინდის ხატში გასვლა, საკლავების შეწირვა წესად იყო აღდგომაზე. ამავე დღეობაზე ალოცებდნენ (ავედრებდნენ) მონათლულ ბავშვებს და პატარძლებს. თუ ბავშვს რაიმე მიზეზი გამოუვიდოდა, დეკანოზის რჩევით იმ ხატში მიიყვანდნენ, რომლის მიზეზიც იყო საფიქრებელი. ამგვარი რჩევის მიცემა შეეძლო მხოლოდ ხატის მიერ არჩეულ დეკანოზს და არა დეკანოზობის დროებით შემსრულებელ მნათეს. დეკანოზის მკითხაობით ხატი ბავშვის პატრონს მოსთხოვდა სანთელს, საკლავს ან ღამისთევას. როდესაც ქალ-დისწული მოვიდოდა და ბავშვებსაც მოიყვანდნენ, საწულედ თეთრი ბატკანი ან ზორა (სახარე ხბო) მოყავდათ. მოჰქონდათ საოფლისათვის საკმარისი თევზიც, რათა შაბათ საღამოს ეჭამათ, ვინაიდან შაბათ საღამოს ხსნილი არ იჭმეოდა.

აღდგომაზე კლავდნენ როგორც მნათის, ისე მლოცველთა მიერ შეთქმულ-შეწრულ საკლავებს. შეთქმული საკლავის ხორცი იქვე იხარშებოდა, ხოლო მნათის საკლავის ხორცი საერთო-სასოფლო სამხდოს ხმარდებოდა, რომლის საფუძველზედაც კომლობრივად მოტანილი ქადა-ხაბიზგინა იდებოდა. აღდგომისაგან განსხვავებით, რაც სასოფლო სამხდოთი აღინიშნებოდა, საახალწლო სამხდოს მნათეები ცალ-ცალკე აწყობდნენ.

კვირესძლობა მოდიოდა აღდგომიდან მესამე კვირას. ადგილს, სადაც კვირეს ნიში დგას (მამაწმინდის ნიშის ქვემოთ, სოფლის სათავეში), ეწოდება ველაჲ. დეკანოზობდა ან ხატისაგან მუდმივად ამორჩეული დეკანოზი ან დეკანოზობის მოვალეობის შემსრულებელი მნათის მასპინძელი. საკლავს კლავდა რომელიმე შეხვეწილი. სოფელმა ასევე დაადგინა, რომ ორ მნათეს ერთი საკლავი (ბატკანი ან ხბო) დაეკლათ იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი იყო მხვეწარს შეთქმული საკლავი მიეყვანა. ამის საჭიროებას ხედავდნენ იმისათვის, რომ დღეობა არ ჩაშლილიყო. თუ ვინმე დასულდგმულებულ საკლავს მიიყვანდა, ყველა საკლავის ხორცი ხატშივე იხარშებოდა და ქეიფი საღამომდე გრძელდებოდა.

ამაღლება დგებოდა კვირესძლობიდან მესამე კვირას. ამ დღეს მაისურაძეები მიდიოდნენ სოფელ კარკუჩაში, ყანანაზის წმინდა გიორგის ხატში. კარკუჩის ნაპირად ეხლაც არის ნიში ჯიხვისა და ირმის თეთრად შეკირული რქებით. ყანანაზის წმინდა გიორგი ბრძანებულა ნადარბაზევში, სადაც ადრე რაჭიდან გადმოსულ მაისურაძეებს უცხოვრიათ. კარგა ხნის შემდეგ კარკუჩა, ნადარბაზევი, ქოსელი და ახალციხე დაუბეგრიათ ხევსურ მეკობრეებს. ისინი ყოველ შემოდგომაზე გადმოდიოდნენ და ყალანის სახით კრეფდნენ ტყავებს, პურს, საქონელს. მათ მასპინძლობას ყველა დაბეგრილი გვარი ირიგებდა. მათი ერთ-ერთი გადმოსვლისას, კალოობის დროს მასპინძლობა გაუწევიათ მაისურაძეებს. ხევსურები რომ სახლში შეიპატიჟეს, მასპინძელ მაისურაძეებს გალეწილი პური ხვავად აუხვევიათ და ყარაულად უმცროსი პატარძალი დაუყენებიათ. ხევსურთა ჯორაკები თურმე ინიხლებოდნენ. პატარძალი ორთითით ცდილა ერთმანეთისაგან მათ დაშორებას. ამასობაში ორთითის ქნევით ერთ-ერთი ჯორაკისათვის თვალი გამოუთხრია. ჯორის ყროყინზე ერთ-ერთი ხევსური გამოსულა და პატარძლისთვის გაურტყამს. ეს დაუნახავს პატარძლის ქმარსაც. განგაშის გარეშე ხევსურებისთვის სასმელი დაუძალებიათ და თავად კი შეიარაღებულნი ჩასაფრებიან ხევსურთა სავალ გზაზე. საფარს მიახლოებული ხევსურები მაისურაძეებს ამოუწყვეტიათ. ხევსურები შურის საძიებლად გადმოსულან, რათა ტყარშეტში გახიზნული მაისურაძეები დაეხოცათ. ხევსურებს ღუდუშაურებისთვის უთხოვიათ სოფელ სნოზე გავლის უფლება. ღუდუშაურებს თანხმობა არ მიუციათ. რაკი ხევსურებმა საწადელი ვერ აღისრულეს, მეკობრეობაზედაც ხელი აიღეს, ხოლო მაისურაძეები ტყარშეტში დამკვიდრდნენ. ამის შემდეგ მაისურაძეებმა განაგრძეს კარკუჩას სიარული ამაღლებაზე, როგორც ნადარბა-

ზევის ძველმა მკვიდრებმა და ყანანაზის წმინდა გიორგის ხატის წილდებულებმა.

მაისურაძეებთან ერთად კარკუჩაში მიდიოდნენ ჩაბაკაურებიც, როგორც ყანანაზის ხატის წილდებულები. კარკუჩელები ჩაბაკაურებსა და მაისურაძეებს თავიანთ სახლიკაცებად მიიჩნევენ. ისინი ერთი ხატის ყმებად იწოდებოდნენ, მაგრამ ვერ დავადგინეთ, თუ ჩაბაკაურები რამ დააკავშირა კარკუჩასთან. ყანანაზის ხატში მიდიოდნენ საკლავით ან მხოლოდ სანთელ-გასტეხელით (ქადით). დეკანოზობას ირიგებდნენ კარკუჩელები, მაისურაძეები და ჩაბაკაურები.

დეკანოზი ხატს ნადარბაზევიდან გამოაბრძანებდა და დააბრძანებდა ხატის საბრძანისში. თუ ქადაგის პირით ხატი დეკანოზად მაისურაძეს ან ჩაბაკაურს ამოირჩევდა, ის თავის სოფელში იწმინდებდა და მხოლოდ ამის შემდეგ იდეკანოზებდა კარკუჩაში. იმ შემთხვევაში კი, თუ ხატი არ ამოირჩევდა დეკანოზს, მაშინ დეკანოზობის მსურველი თავისი ინიციატივით იწმინდებდა და ხალხს დეკანოზობის სურვილით წარუდგებოდა. ყოფილა ასეთი წესიც: დეკანოზი თავის შვილს ან სხვის ბალღს ხელს დაადებდა და ხალხს მიმართავდა: "ეს ბალღი წმინდად შეინახეთ, არ აჭმიათ უწმინდურობა — ქათამი ან კვერცხი, ვინაიდან მომავალში ეს იქნება დეკანოზი". ასეთი წესის მიხედვით 20 წლის ჭაბუკი შეიძლება დეკანოზი გამხდარიყო.

მაისურაძეები და ჩაბაკაურები ღამისთევით მიდიოდნენ. ღამეს ათევდნენ კარკუჩის საყდარში. დილით რომ ეკლესიის ზარი დაირეკებოდა, გადიოდნენ ხატში და საკლავებს დახოცავდნენ. სამხდოს ერთობლივად მართავდნენ სოფლის მკვიდრნი და სტუმრები. საერთო სამხდო საღამომდე გრძელდებოდა, საღამოს კი კარკუჩელები მაისურაძეებს და ჩაბაკაურებს თავიანთ სახლებში მიიპატიჟებდნენ. მეორე დღეს სტუმრები თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ, ხოლო კარკუჩელები ქეიფს ზოგჯერ ერთ კვირამდეც კი აგრძელებდნენ.

მამაწმინდობას და მნათეობას ადრე თუ სამი სოფელი ერთობლივად ასრულებდა, შემდეგ წარმოქმნილი საადგილმამულო დავის შედეგად, ყარანგოზიშვილის მხარდაჭერით რომ ტყარშეტელებმა მთა ბოყოვინა დაინებეს, ერთობაც მოიშალა. მთხრობლებმა გაიხსენეს ერთი ეპიზოდიც. შემოდგომაზე თერგი რომ შემცირდა, ხიდის გასადებად სამივე სოფლის კაცები შეიყარნენ. მათ საბალახეში აღებული საკლავი დაკლეს, მაგრამ ტყარშეტელები სუფრაზე არ მიიწვიეს. ესეც გახდა მათი გაყრის მიზეზი. როდესაც სამი სოფელი ერთად იხდიდა დღეობას, წვერზე ასულები საერთო ფულით ნაყიდ ხარს კლავდნენ. იქიდან ჩამობრუნებული ფხელშელ-გორისციხელები მიდიოდნენ მამაწმინდის ნიშში, ხოლო ტყარშეტელები მთა ბოყოვინაზე დაეშვებოდნენ და თავიანთ ნიშში კიდევ კლავდნენ საკლავებს. წვერზე კი საკლავებს ისინიც კლავდნენ, ვისაც შეთქმული ჰქონდა. ტყარშეტში ხატს გამოაბრძანებდნენ მამაწმინდის საყდრიდან. საკლავს კლავდა მხოლოდ შეხვეწილი. სასმელი გროვდებოდა თუნგით დედაკაცების მიერ მიტანილ ზედაშესთან ერთად. ერთობლივი სასოფლო სუფრი-

სათვის მოხარშავდნენ ერთი სამხდოსთვის საკმრის ხორცს. დანარჩენი ხორცი კომლობრივ ნაწილდებოდა იმის მიუხედავად ოჯახი საკლავს დაკლავდა თუ არა.

ფხელშე-გორისციხიდან გამოყოფის შემდეგ ტყარშეტის მოსახლეობა მნათეობას გვარების მიხედვით ირიგებდა. ერთ მნათეში შედიოდნენ მაისურაძეები და წიკლაურები, ხოლო მეორეში ნარიმანიძეები და ავსაჯანიშვილები. თითოეულ მნათეს ერთი მნათე მასპინძელი ყავდა. ის ხატის ყანასაც ხნავდა და ხატის სათიბსაც თიბდა. მნათეს ეკისრებოდა ერთი ჭედილა, სასმელი და სანოვაგე. მნათეობას იხდიდნენ ახალწელზე და აღდგომაზე. ახალწელზე ხატში არ გადიოდნენ. ეს სავალდებულო იყო მხოლოდ აღდგომაზე. საყდრიდან გამოაბრძანებდნენ მამაწმინდის ხატს, დააბრძანებდნენ სოფლის სათავეში მდგარ მამაწმინდის ნიშში და იქ ხალხს დაამწყალობნებდნენ. ამ პროცედურას ასრულებდა ან ხალხის მიერ ამორჩეული დეკანოზი, ან მნათე, ოღონდ ერთი განსხვავებით. მნათეს მიერ დამწყალობნება მხოლოდ ერთჯერადი იყო, ხოლო დეკანოზი ყველა ვითარებაში დეკანოზობდა. აღდგომაზე კლავდნენ როგორც მნათის საკლავს, ისე შეთქმულსაც. შეთქმული საკლავის ხორცი იქვე იხარშებოდა, ხოლო მნათის საკლავის ხორცი სამნათეო სამხდოს ხმარდებოდა. ამას ემატებოდა კომლობრივ მიტანილი სანოვაგეც. სამხდოზე გაიხსენებდნენ "უმოწყალოთაც", რომლებმაც ხატს მამული შესწირეს.

სიონი

სოფელ სიონის სალოცავები იყო: ღვთისმშობელი, სამება, კვირე და მინდვრის წმინა გივარგი.

დღეობებიდან თანმიმდევრობით სრულდებოდა: ახალი წელი, წყალკურთხევა, აღდგომა, კვირესძლობა, ათენგენობა, ფერისცვალება, მარიამობა, ჯორთამაღლება, ივანობა, სთვლის გივარგობა.

დღეობათა შესრულების ორგანიზაცია ევალებოდა მნათეებს, რომლებიც აერთიანებდნენ ოჯახებს გვარების მიხედვით ან სამეზობლო ურთიერთობით. სოფელი 10 მნათედ იყო დაყოფილი. ესენი იყვნენ 1. ოდიშვილები, 2. ღუდუშაურები (ყარაჯენი), 3. კვირჭიშვილები, 4. წამალაიძეები, 5. ფაჯიშვილები, 6. კობაიძეები, 7. სეთურიძეები, 8. დავითაშვილები (სოსენი), 9. დავითაშვილები (ატენი), 10. ოთხი გვარი ერთად: სისაურიძეები, არჯინაშვილები, ბაბაშვილები (ადიენი) და წიკლაურები (გოთიენი).

ყოველწლიურად დაწყებული მორიგეობის შესაბამისად ერთი მნათე ლუდს უდუღებდა ათივე მნათეს, ე.ი. მთელ სოფელს. მნათეებს შორის ლუდის გაყოფამდე ლუდის მდუღები მნათე გამოიტანდა არაყსა და პურ-მარილს და სალუდე კასრების გახსნამდე დაილოცებოდნენ: ადიდებდნენ ჯერ ღმერთს, შემდეგ იმ დღეს (აღდგომას), შემდეგ ლუდის მდუღებ მნათეს და ბოლოს ამ შემთხვევის მასპინძელს. ამ წესის დამთავრების შემდეგ კასრებს თავს მოხდიდა მნათეს უფროსი კაცი და იწყებდოა ლუდის თანაბრად განაწილება მნათეებს შორის. ლუდის განაწილების შემდეგ სალუდე ქვაბს გადასცემდნენ მორიგე მნათეს, რომელსაც მომავალ წელს უნევდა ლუდის დუღება.

სამხდოზე შეკრების დღემდე, პარასკევს ან შაბათს, ე.ი. აღდგომამდე ორი დღით ადრე მოითხოვდნენ მნათეს წევრების ფულით ნაყიდ ზორას (სახარე ხბოს). სუფრისთვის კომლობრივ მიიტანდნენ პურს, ყველს, ქადას, ხაბიზგინებს და მსმელის თავზე თითო თუნგ არაყს. სამხდოს თამადობდა მნათეს უფროსი კაცი. ადიდებდნენ აღდგომას და ბუნებას ბარაქიან მოსავალს შესთხოვდნენ. სუფრას მხოლოდ ერთი მნათეს წევრები ესწრებოდნენ. მნათე მეორე მნათესთან სუფრაზე არ მივიდოდა. ის კი წესად ჰქონიათ, რომ მნათეები სამხდოს ერთადაც იხდიდნენ. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ორ მნათედ ფორმირებული დავითაშვილები (სოსენი და ატენი). ასევე ერთად იხდიდნენ სამხდოს ფაჯიშვილები და კობაიძეები თავისი ლუდითა და პურმარილით. არჯინაშვილები უერთდებოდნენ კვარჭიშვილებს, სისაურები ღუდუშაურებს (ყარაჯეთ). წიკლაურები ოდიშვილებს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც სისაურების გვარი გაიზარდა, მნათეობასაც დამოუკიდებლად მართავდნენ. ამგვარი ურთიერთობის საფუძველი იყო შედარებით ნაკლები ხარჯის გაწევის სურვილი, მაგრამ ეს არ ცვლიდა მნათეობის არსს. სიონში ახლო წარსულამდე იყო დაცული ლუდის დუღების რიგი 10 მნათის ფუნქციონირების პირობებში. რიგის მოშლა დანაშაულად ითვლებოდა. 1930-იან წლებში ლუდი აღარ უდუღებიათ ღუდუშაურებს (ყარაჯეთ). ამიტომ ამ გვარს კაცთაით ზარალი განუცდია. ამით შეშინებულმა 1945 წელს მათვე განაახლეს ლუდის დურების წესი, რაც დღემდეა შენარჩუნებული.

მნათეობისთვის გამოსახდელ სალუდე ქერს აგროვებდნენ მნათეში შემავალი კომლები. თუ მნათე დიდი იყო, ყოველ კომლს ევალებოდა 1 ფუთი ქერი, ხოლო პატარა მნათეში შემავალ ყოველ კომლს 2 ფუთი. შეგროვილი ქერით 50 ვედრო ლუდი მზადდებოდა და ის, როგორც ზემოთ ითქვა, მნათეებზე ნაწილდებოდა. მნათეები ხატის ყანა-სათიბსაც დააზიარებდნენ და მისი მოსავალით სარგებლობდენ.

სამნათეო სამხდოებს იხდიდნენ წელიწადში ორჯერ — ახალ წელზე და აღდგომაზე, მაგრამ ერთი განსხვავებით. ახალწელზე ლუდის დუღება არ იცოდნენ. ლუდის დუღების გარეშე ყველა სხვა ხარჯი მორიგე მნათეს ევალებოდა. სიონლები ახალწელზე არც ხატში გადიოდნენ. საახალწლო სუფრა ყოველ ოჯახში იმართებოდა, ხოლო სამნათეო სამხდოზე უმოწყალოთაც (ვინც ხატს მამული შესწირა) გაიხსენებდნენ.

ლუდის დუღება მიღებული იყო მხოლოდ სააღდგომოდ. ამ დროს დეკანოზობდა ლუდის მდუღები მორიგე მნათე. მისი უფროსი სოფელში დეკანოზობდა მთელი წლის განმავლობაში ახალწლის გამოკლებით. სოფლის საკლავსაც ის კლავდა, ტყავებსაც ის იღებდა და მხვეწარსაც ის ამწყალობნებდა. აღდგომა დღეს გადიოდნენ ღვთისმშობლის ეკლესიაში, საკლავებიც იქ იხოცებოდა, ხორციც იქვე იხარშებოდა და სამხდოც იქ იმართებოდა მნათეების მიხედვით.

ღვთისმშობლის ეკლესიაში აღდგომაზე პატარებსაც ალოცებდნენ. ეს წესი სრულდებოდა ღამის თევის შემდეგ როცა წირვა გამოვიდოდა და მღვდელი ხორცს აკურთხებდა. მანმადე კი მნათე-დეკანოზი ეკლესიის გალავანში დაკლავდა პატარძლების სახელზე მიყვანილ ბატკნებს და პატარძლებს შუბლზე ჯვარედინად სისხლს წაუსვამდნენ. ეკლესიის კარებში დგებოდა ორი კაცი, დაიდგამდნენ მოხარშული ხორცით სავსე ქვაბს და ეკლესიიდან გამოსულ ყოველ მხვეწარს ხსნილის გახსნის მიზნით თითო ნაჭერ ხორცს უწილადებდნენ.

წყალკურთხევაზე ორი მნათე მორიგეობდა. ერთი მნათე ერთ სუფრას დაუდგამდა უმოწყალოთ, ხოლო მეორე მნათე მეორე სუფრას. უმოწყალონი ერქვათ ხატისადმი ყანის შემწირველებს, მაგრამ ყანაც რომ არ ჰქონოდათ შეწირული და ისე გატიალებულიყვნენ, ისინიც უმოწყალოდ ითვლებოდნენ. ამის გათვალისწინებით ყველა უმოწყალოს სოფელი სუფრებს უდგამდა და შენდობით მოიხსენიებდნენ. სუფრის მნათეს ევალებოდა 1 საკლავი, არაყი და სხვა სახის ხარჯი. სიონში მოქმედი ეს წესი სხვა სოფლებში არ სრულდებოდა.

ამპარიობა (ჭიაკოკონობა) ადრე ეწყობოდა სიონის ძველ დასახლებაში. მაშინ ერთი ამპარია საკმარისად ითვლებოდა მჭიდროდ დასახლებული სოფლისათვის. როდესაც ქვემოთ, კალოვანის ტერიტორიაზედაც დასახლდნენ, მეორე ამპარია იქ ენთებოდა. მოგვიანებით კი, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა ქვემოთ გაშლით დასახლდა, ამპარიობა უბნობრივ იმართებოდა.

გივარგობას დღესასწაულობდნენ აღდგომიდან მესამე კვირას, განსხვავებით გარბნისა და კობ-ყანობის გივარგობისაგან, სადაც გივარგობა აღდგომიდან მეორე კვირას დგებოდა.

სიონში გივარგობას იხდიდნენ წმინდა გივარგის ხატში, რომელიც მდებარე-

ობს მინდვრებზე სოფლის სათავეში, რისთვისაც ამ სალოცავს ეწოდა მინდვრის წმინდა გივარგი. ღამისთევა იცოდნენ ხუთშაბათს ან კვირას, სადაც შემორჩენილი იყო ძველი ეკლესიის ნანგრევი. ღამისთევამდე, ლუდის მდუღები დეკანოზი საღამოხანს ღვთისმშობლის ეკლესიიდან გამოაბრძანებდა წმინდა გივარგის ხატს და დააბრძანებდა მინდვრის წმინდა გივარგის ხატში. დეკანოზები ამ სალოცავში რჩებოდნენ, ხოლო ხალხი სოფელში ბრუნდებოდა. ღამისთევისთვის კი ისევ ხატში ავიდოდნენ. მინდვრის წმინდა გივარგის სალოცავში ასვლამდე დეკანოზს ხალხის დამწყალობნება ორჯერ უწევდა — ჯერ ღვთისმშობლის ეკლესიაში, ხოლო მეორედ სოფლის პირდაპირ, ე.ნ. შარიგორასთან.

ღამისთევის შემდეგ ყველა მხვეწარი იქ მიიყვანდა საკლავს — დასულდგმულებულ კურატს ან ყოჩს. თან მიჰქონდათ გასტეხელი (ქადა) და სანთლები. აქ ალოცებდნენ იმ წელიწადს დაბადებულ ბავშვებს. მავედრებელი ოჯახის დიასახლისი ამ დროისათვის გამოაცხობდა ე.წ. გასაზდლის ქადას 1- გირვანქა ერბოთი. ღუმელში გამომცხვარ ამ ქადას ხატში დეკანოზი დაჭრიდა და ყველა დამსწრეს, ასაკის მიუხედავად, უწილადებდა. რაც გადაურჩებოდათ, სხვა ხორაგთან ერთად, იქვე ურიგებდნენ იმ წელს ამორჩეულ მენახირეს, მეჯოგეს და მეველეს.

სიონიდან გათხოვილი ქალი თუ სალოცავად ბალღს მიიყვანდა, საკლავთან ერთად მიჰქონდა სანთელი, სასმელი და ქადა. ქალს თან მოყვებოდნენ დედამთილი და მამამთილი. გასაზდლის ქადა მათ არ ევალებოდათ. სხვა რომელიმე სოფლიდან მისი მოტანა არ ხდებოდა. გასაზდლის ქადა სიონელს სხვა სოფელში კი შეეძლო წაეღო.

გივარგობა ხატში დაღამებამდე გრძელდებოდა და ერთი დღე-ღამის თავზე დეკანოზის დამწყალობნებით თავდებოდა. ხატში მთელი სოფელი ერთად ქეიფობდა. კაცები და დედაკაცები თავთავადად ჯდებოდნენ. ქალები ხატთანაც ვერ მიდიოდნენ. ისინი დეკანოზს სანთლებს გადასცემდნენ, ხოლო ხატთან შორიახლო დგებოდნენ. დეკანოზი სანთლებს აანთებდა და სანთლების მიმტანს დაამწყალობნებდა. იქვე სცოდნიათ სოფლის მოღალატის დარისხებაც.

გივარგობიდან მეორე-მესამე დღეს კვირესძლობა სრულდებოდა კვირეს ხატში, რომელიც მდებარეობს სიონის ტყეში, კვირეს ქედზე, ზენგორის ქოხების ასწვრივ. აქაც ლუდის მდუღებელი მნათე დეკანოზობდა.

ვისაც თვალის ტკივილი აწუხებდა, მისი პატრონი კლავდა თიკანს და კვირის წინა დღეს, შაბათს აცხობდა ცხრეულებს (მომცრო კვერებს). ცხრეულებს ბალღებს გადმოუყრიდნენ. იქვე მიჰქონდათ თეთრი დროშა — ჯოხზე მიმაგრებული 1 არშინი მიტკალი. თიკანს კლავდა დეკანოზი, რომელსაც უტოვებდნენ თავს, ხოლო ტყავი პატრონისა იყო. ზენგორის ქოხებში მიჰქონდათ ქვაბი, შეშა და წყალი. ყველას მიერ მიყვანილი თიკნების ხორცს ერთად ხარშავდნენ. ესწრებოდნენ სოფლელებიც, რომელთაც ზედაშე (სასმელი) მიჰქონდათ.

მარიამობა (15 აგვისტოს ძვ. სტილით) სრულდებოდა სამების ხატის საბრძანისში, ხატის ტყეში. აქაც ლუდის მდუღებელი მნათე დეკანოზობდა. სამების ხატს ეკლესიიდან ხატის საბრძანისში გადმოაბრძანებდნენ. დამწყალობნების

შემდეგ ხალხი სოფელში ბრუნდებოდა, ხოლო დეკანოზები ხატში რჩებოდნენ. ღამისთევისათვის ხალხი ისევ ხატში მიდიოდა. ღამისთევის შემდეგ დილით ხატში შესაწირად მიყავდათ დაახლოვებით სამ-სამი წლის დოლისთავები. ყოველი დასულდგმულებული დოლისთავი შეთქმის მიხედვით მხოლოდ სამების ხატს ეკუთვნოდა. სხვა ხატის სახელზე დასულდგმულება მიუღებელი ყოფილა. დეკანოზის მიერ დაკლული დოლისათვის ხორცი სოფლისთვის ერთად იხარშებოდა. ორდღიანი ქეიფის შემდეგ წმინდა სამების ხატებს ისევ ეკლესიაში გადააბრძანებდნენ და დღეობაც ამითი მთავრდებოდა.

8 ენკენისთვეს ღვთისმშობლის ეკლესიაში ხატობა იმართებოდა. ეკლესიის გალავანში შეწირული საკლავების ხორცს ყველა თავის სახლში ხარშავდა, ვინაიდან ქეიფი კომლობრივ იმართებოდა. ამ დღეს ერქვა ღვთისმშობლობა. თავები დეკანოზებს ეძლეოდათ, ხოლო ტყავები პატრონებს რჩებოდათ. ღვთისმშობლობაზე თემის სტუმარიც მოდიოდა.

ხატობის ანუ ღვთისმშობლობის შემდეგ მოდიოდა ჯორთამაღლება (14 ენკენისთვეს). ხატში გასვლა არ იცოდნენ. ამას მოყვებოდა დიდი უქმი.

მომდევნო დღეები იყო სთვლის გივარგობა (10 სექტემბერს ძვ. სტილით) და ივანობა (29 სექტემბერს ძვ. სტილით). ორივე დღეობა სათემო იყო და ვისაც სურვილი ჰქონდა ორივე დღეობას ესწრებოდა. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ის საკლავსაც კლავდა.

დეკანოზის უფლებამოსილების გამომხატველი იყო ისიც, რომ საბალახეში აღებული ფული მას ბარდებოდა. საბალახეს იხდიდნენ ბევრი ცხვრის პატრონები. 100 სულ ცხვარზე იხდიდა 4 მანეთს. საბალახეში აღებულ ფულს იყენებდნენ როგორც დღეობებში, ისე სასოფლო საქმეებზედაც.

გარბანი

სოფელი გარბანი დღესასწაულობდა როგორც სოფლის, ისე თემის დღეობებს. სხვა სოფლების ანალოგიურად გარბანში ერთიმეორეს მოყვებოდა შობა, ახალი წელი, წყალკურთხევა, დიდი ხუთშაბათი ყველიერი, ხორციელი შაბათი (მიცვალებულების დღე), აღდგომა, გაზაფხულის გივარგობა (აღდგომიდან მეორე კვირას), კვირესძლობა (გიორგობიდან მეორე კვირას), ათენგენობა (კვირესძლობიდან მეორე თვეს), თარანგელოზობა (თიბათვეში პეტრე-პავლობის დროს), სთვლის გივარგობა ანუ თავი გივარგობა (გივარგობის თვის ათში).

საკუთრივ გარბანში თანმიმდევრობით სრულდებოდა შემდეგი დღეობები:

შობის წინა საღამოს ერქვა ყორბოულობა. ცხვებოდა ჯვრიანი ყორბოული, რასაც ახალწელზე სახლის უფროსი შემოაგორებდა. აქაც სწამდათ, რომ დაცემისას ჯვრის ზემოდან მოქცევა ოჯახის მომავალი ბედნიერების მომასწავებელი იყო. ბედის კვერებიც შობაზე ცხვებოდა. ახალწელზე სახლის უფროსი მეკვლეობდა. ის კარებს უმძრახი გაიხურავდა, ის ჯერ საკვლევს (ყორბოულს) შემოაგორებდა, შემდეგ გადმოყრიდა ცხრეულებს (კვერებს) სიტყვებით: "ესრემც თეთრად დამიბერდებითო". შემდეგ ოჯახის წევრებს შაქარს ჩამოურიგებდა სიტყვებით: "ესრემც ტკბილად დამიბერდებითო". ამის შემდეგ გარეშე მეკვლე შემოვიდოდა. ის თან მოიტანდა თავის სახლში გამომცხვარ საკვლევს, ტკბილეულს, ოჯახს ახალწელს მიულოცავდა და იმასაც დაატკბობდნენ.

გაზაფხულის გივარგობისთვის კომლობრივ აგროვებდნენ თითო თუნგ ხარისხიან არაყს, ყველს, გასტეხლებს (ქადებს), ხაბიზგინებს.

გივარგობის წინა კვირას იცოდნენ ღამისთევა. ერთი კვირის თავზე ხატებს გამოაბრძანებდნენ. ხარს ყიდულობდნენ შეგროვილი ფულით და კლავდნენ წმინდა გივარგის ეკლესიის გალავანში. იქვე კლავდნენ მხვეწარის მიერ მიყვანილ მოზვრებს და ყოჩებს, უმთავრესად ამ დღეობისათვის წინასწარ დასულდგმულებულ ზვარაკებს. საკლავების დაკვლა და დღეობის ორგანიზაცია ევალდებოდათ მნათეს მასპინძლებს, რომლებიც მორიგეობით დეკანოზობდნენ.

კვირესძლობის ხატები ებზანა მდ. ტერხენასთან მდგარ ციხეში. ხატებს გადმოაბზანებდნენ ამ ციხიდან, მოიტანდნენ ნიშთან და შემდეგ ისევ ციხეში შეინახავდნენ. სამხდოს ციხესთან მართავდნენ. საკლავებს კლავდნენ კვირეს ნიშთან. აქედან ხორცი მიჰქონდათ ციხესთან და იქ ხარშავდნენ. სამხდოც იქ იმართებოდა. საკლავები ძირითადად ბალღების შემხვეწლებისა იყო. მაშინ იცოდნენ აგრეთვე ცხრეულების გადმოყრა იმის მიერ, ვინც შეხვეწილი იყო. ბალღები დაიტაცებდნენ. სასმელი სოფლის მიერ შეკრებილი იყო.

აღდგომაზე იცოდნენ ორი ხატის — ბალღების და ქალების ხატის გამობზანება. ბალღები და ქალები ამ ხატებს დაატარებდნენ სახლებთან. ბალღები გაიძახოდნენ: კვირეო, კვირეო, შენ გაუმარჯვე ამათ ჯარს, ამათ გუთანს, შინ მშვიდობა მიეცი, კარს გამარჯვება, მარეკე ცხორ-წყემსი მშვიდობითა.

ქალები იტყოდნენ: ვაჟისამც დედა იქნება ჩვენი მასპინძელი. ოჯახები აძლევდნენ ფქვილს, ერბოს, კვერცხს, ყველს. შემდეგ ბიჭებიც და ქალებიც ცალ-ცალკე მართავდნენ სუფრას.

ათენგენობა იმართებოდა 2 დღით. სემღისაის საბზანისი არის გარბნის

მთაზე. ალოცებდნენ პატარძლებს, მიჰყავდათ თეთრი ბატკანი. დილით ავიდოდნენ და საღამოს ჩამოდიოდნენ. ხატში ემსახურებოდნენ წინასწარ იქ ასული დეკანოზები. ისინი საკლავებს კლავდნენ და პატარძლებს შუბლზე სისხლს წაუსვამდნენ.

თუ ვისმე მიზეზი გამოუვიდოდა, ისიც საკლავით მიდიოდა. იქვე ხორცს მოხარშავდნენ და სამხდოს გამართავდნენ. ყველას მიერ მოყვანილი საკლავის ხორცი ერთად იხარშებოდა და საერთო სამხდოს ხმარდებოდა.

გარბანში მთავარ დღეობად ითვლებოდა შემოდგომის გივარგობა, ანუ თავი გივარგობა. თავისთავად ეს დღეობა სათემო იყო გარბანლების მასპინძლობით. ამ დროს ხევის სხვა სოფლებიდან უამრავი მხვეწარი მონაწილეობდა. ვიდრე გარბნის ეკლესიას მთიდან დაქანებული თოვლის ზვავი დაანგრევდა, ხატებიც იქ ებრძანა. ეკლესიის დანგრევის შემდეგ კი ხატები სიონის ეკლესიაში გადააბრძანეს, მაგრამ შემდეგ დაიკარგა. თავი გივარგობა ეკლესიის გალავანში იმართებოდა. საამისოდ გაკეთებული იყო თლილი ქვის სკამები და ჭაჭის (ფიქალის) მაგიდები. ამ დღეობაზე არსებობდა ჯიხვის რქის ორი ყანწი — ე.წ. გამახარე და გამაგორე. სტუმართაგან ვინც გამახარეს გამოცლიდა, ის კარგ გუნებაზე დადგებოდა ე.ი. გაიხარებდა. პრობლემა იყო მეორე ყანწის — გამაგორეს გამოცლა. მისი დამლევი შეიძლება წაქცეულიყო, რისთვისაც მას გამაგორე შეარქვეს. ვინც გამახარეს დალევის შემდეგ გამაგორეზე უარს იტყოდა, გარბანელი ზეზამდგმურები მას ჯოხს დაარტყამდნენ. თვით გარბანლები კი ორივე ყანწზე უარს ამბობდნენ, ვინაიდან მათ როგორც მასპინძლებს, ფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა ევალებოდათ. როგორც წესი, ეკლესიის გალავანში შესვლამდე იარაღს ყველა შემოიხსნიდა და ზეზამდგმურებს ჩააბარებდა, რომ სიმთვრალეში მოსალოდნელი ხიფათი თავიდან აცილებული ყოფილიყო. სამხდოზე ოთხ პირად სხდებოდნენ და გარბანლები ზეზამდგმურობდნენ. დღეობა თითქმის ორ კვირამდე გრძელდებოდა. ზეზამდგმურები გზად გამვლელთაც უმასპინძლდებოდნენ.

დღეობებთან ერთად გარბანში არსებობდა მნათეობის წესიც. აქ იყო ორი მნათე — ერთი გელაძეების გვარის, ხოლო მეორე დანარჩენი გვარებისა (გუჯარაიძე, ქუქიშვილი, ხეთაგური, ქოჯური). ორივე მნათეს ხატის ყანები ჰქონდათ წმ. გიორგის სახელზე. გელაძეების ხატის ყანები ცალკე იყო, ხოლო დანარჩენი გვარებისა ერთად. როგორც ხევის სხვა სოფლებში, აქაც მნათეობა არჩევითი იყო. გელაძეები ირჩევდნენ ორ მნათეს. ორივე მნათეს სულ 4 სამხდო უნდა გადაეხადა (ახალი წელი, აღდგომა, სთვლის გივარგობა, დიდი ხუთშაბათი). ორი მნათე-მასპინძლიდან თითოეული ორ დღეობას იხდიდა. დიდ ხუთშაბათსა და სთვლის გივარგობაზე კლავდნენ ორფუთიან ყოჩს. მისგან განსხვავებით აღდგომაზე და ახალწელზე საკლავი არ იწონებოდა. ჩვეულებისამებრ კლავდნენ ერთ ჭედილას ან ზორას. საკლავს კლავდნენ არა ხატში, არამედ მნათის სახლში. თითოეული მასპინძელი ერთი დღეობისათვის გამოხდიდა 10 თუნქ არაყს.

აღნიშნული სოფლების მონაცემების ერთად განხილვის საფუძველია მათი ახლო მეზობლობა, საადგილმამულო ურთიერთობა და რიტუალების შესრულების წესი.

არშა ხევის ერთ-ერთი უძველესი სოფელი იყო თავისი ძლიერი ციხით. ამ სოფელში ცხოვრობდა ოთხი გვარი: ბაზალი, გოგბაიძე, სულიაური და ავსაჯანიშვილი. იმ დროიდან, რაც ანდეზიტის ქვის დამუშავება დაიწყო და კლდეში წარმოებული აფეთქებების გამო მოსახლეობას საფრთხე დაემუქრა, მოსახლეობა გამოხიზნეს თანამედროვე არშის ტერიტორიაზე. მანამდე აქ დასახლებულან სოფელ კარკუჩიდან გადმოსული მარსაგიშვილები (ტროპენი) და სოფელ აჩხოტიდან ამოსული ბედოევები (ჩერიმენი). იქვე ააშენეს ტურბაზის შენობები. ანდეზიტის დამუშავების დროიდან კი თანამედროვე არშის ტერიტორიაზე ისტორიული არშისა და გაიბოტენის მცხოვრებლებთან ერთად აქ სახლები აიშენეს ხევის სხვა სოფლებიდან მოსულებმაც. შერეული მოსახლეობის დამკვიდრებამდე არშის სამეურნეო ტერიტორიით სარგებლობდნენ გაიბოტნელები, სნოვლები და სტეფანწმინდელები. ისინი ამ ტერიტორიას მხოლოდ მამულად იყენებდნენ.

ესოდენ დიდი ცვლილებების განხორციელებამდე დღეობებსა და მნათეობას ასრულებდნენ გაიბოტენში, თოთში და მოსახლეობის აყრამდე არშაში. ძველ არშაში და გაიბოტენში მიწები სხვადასხვა ადგილას შეწირული იყო წმინდა გიორგის სახელზე. არშაში წესად ჰქონიათ სახატო მიწების მორიგეობით მოხვნის წესი სოფლისთვის ან გვარისთვის სამხდოს გადახდის პირობით. სცოდნიათ ხატის ყანებისა და ხატის სათიბების გაქირავებაც.

არშისგან განსხვავებით, სადაც ყანა-სათიბის გაქირავების წესიც არსებობდა, სოფელ გაიბოტენში გაქირავება არ ხდებოდა. ხევის სხვა სოფლების ანალოგიურად ხატის ყანებს მორიგეობით ხნავდა ორი მნათე, რომელთა მოვალეობას შეადგენდა სოფლისათვის ქეიფის გადახდა ახალწელზე და აღდგომაზე. კლავდნენ ორ ჭედილას და ორ ხბოს. ყველა სხვა სახის ხარჯიც ორივე მნათისა ერთობლივი იყო. მნათეები გაიბოტნელებს უმასპინძლდებოდნენ ჯერ კვირეს ხატში, ხოლო შემდეგ თავიანთ სახლებში. ამ ჩვეულებას ასრულებდა ორი გვარი — ხულელიძე და ჩაბაკაური. ამ გვარების საერთო სალოცავი კვირესთან ერთად იყო თარანგელოზის ხატი და ქალების ხატი. სასოფლო დღესასწაულად ითვლებოდა კვირესძლობა, თარანგელოზობა და ქალების ხატობა. ამასთან ერთად გაიბოტნელები საეკლესიო კალენდარის შეასაბამისად ყველა სხვა დღეობაზე უქმობდნენ და ლოცვასაც ჩვეულებრივი მოხეური წესით აღასრულებდნენ.

დღეობების შესრულების წესი რამდენადმე შეიცვალა ახალი სოფლის — თოთის წარმოქმნის დროიდან. ეს ტერიტორია ღუდუშაურების საკუთრება იყო. მათ აქ ყალანის გადახდის პირობით დაასახლეს ოსები — სალბიევები და მირაქოვე-

ბი. შემდეგ ამ სოფელს ყაზბეგები დაეპატრონნენ. ყმებად დასახლებულ ოსებთან ერთად აქ ნებაყოფლობით დამკვიდრდნენ გაიბოტნელი ხულელიძეები, სნოველი ღუდუშაურები (ჯაბანენი), ცდოველი წიკლაურები და გორისციხელი ავსაჯანიშვილები. ადგილობრივთა ინფორმაციით, XIX საუკუნის ბოლოსათვის გარდა ოსებისა, თოთში ცხოვრობდა მოხევეთა 8 კომლი. მათი ოჯახების გაყრის შედეგად XX საუკუნისათვის ირიცხებოდა 21 კომლი ხულელიძე, 7 კომლი ღუდუშაური, 2 კომლი წიკლაური და 1 კომლი ავსაჯანიშვილი. ოსები კვლავ ოსეთშივე გადასახლდნენ.

ხულელიძეების ერთი ნაწილის სოფელ თოთში დასახლების შემდეგ მათი ოჯახები კვლავ გაიბოტენის ტრადიციულ დღეობებში მონაწილეობდნენ.

საკუთრივ თოთის სალოცავი იყო ვაცილა, რასაც ეთაყვანებოდნენ თოთში დასახლებული სალბიევები და მირაქოვები. უაცილა (ვაცილა) თხის ოსური სახელწოდებაა. ამ სახელწოდების მქონე სალოცავში თოთში დასახლებული ოსები თხას ან თიკანს უკლავდნენ. ოსები ამას იმითი ხსნიდნენ, რომ თხის შეწირვით მამაპაპურ ტრადიციას იცავდნენ. მაგრამ ამისგან განსხვავებით თრუსოს ხეობის სოფელ ჯიმარაში, რაც თოთში გადმოსახლებამდე ოსების სამშობლო იყო, სხვა სურათი გამოჩნდა. როგორც ჯიმარელმა ოსებმა მითხრეს, სოფელს ორი სალოცავი ჰქონდა: ვასტირჯი (წმინდა გიორგი) და ვაცილა. წმინდა გიორგის ხატში ისინი 21 ივლისს ათენგენობას იხდიდნენ. ხატის სახელზე შეწირული ფულით ამ დღეობისთვის დასაკლავად ყიდულობდნენ ხარს ან ჭედილებს. ათენგენობას წინ უსწრებდა დღეობა 22 ივნისს ვაცილას სახელზე. ამ ხატშიც ოსები საწირად იყენებდნენ ხარს, მოზვერს, ყოჩს, ჭედილას, ბატკანს. ხატში თხის დაკვლა მიუღებელი ყოფილა იმ მოტივით, რომ ხატი თხას არ შეინირავდა. ამიტომ თხებს მხოლოდ ოჯახებში კლავდნენ. აღნიშნული ვითარებისგან განსხვავებით, თოთში დასახლებული ოსები დღეობაზე მხოლოდ თხას კლავდნენ. რწმენაში ასეთი ტრანსფორმაცია აუხსნელია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ოსების ერთ-ერთი სალოცავი იყო ვაცილა, ხოლო დღეობას ერქვა ვაცილობა. მოხეური დიალექტით კი ოსურ ვაცილობას ჩაენაცვლა ვაჩილობა. ოსები ვაცილას შესთხოვდნენ უამინდობისაგან (სეტყვა, გვალვა) დაცვას.

თოთში ხატის ყანები შეწირული იყო არშის წმინდა გიორგის სახელზე. ამ ყანებით სარგებლობდნენ თოთში დასახლებული ხულელიძეები, ღუდუშაურები (ჯაბანენი) და სალბიევები. იმის გამო, რომ ხატი, რომლის სახელზედაც იყო შეწირული ეს ყანები, ეკუთვნოდა არშას. ამიტომ, არშავლები თოთლებს ხატის ყანებით სარგებლობის გამო ახდევინებდნენ ყალანს — კომლზე ერთ ბატკანს და ორ თუნგ არაყს. არშის წმინდა გიორგის ხატში (არშის ციხეში) 8 კომლს უნდა მიეტანა 16 თუნგი არაყი და მიეყვანათ 8 ბატკანი. სამხდო იმართებოდა აპრილში. დეკანოზობდნენ არშავლები (ბაზალნი და გოგბანი). თავის საკლავს არშავლები არ კლავდნენ, ეს არ ევალებოდათ. საკუთარ საკლავს მხოლოდ ის არშაველი დაკლავდა, ვისაც ეს შეთქმული ჰქონდა. შეხვეწილი კლავდა უნიშნო

(მთლად თეთრ) ბატკანს. ხატში ისინი ღამის თევით გადიოდნენ. სამხდო საერთოდ ერთდღიანი იყო. შემდეგ სოფელში ბრუნდებოდნენ და ქეიფს სახლებში აგრძელებდნენ.

იმის გამო, რომ ვაცილა ოსური სალოცავი იყო, ვაცილობას ანუ ვაჩილობას იხდიდნენ სალბიევები. თავის მხრივ ამ დღეობაში ხულელიძეების მდიდარი ოჯახიც მონაწილეობდა. ისინი ვაჩილობაზე სოფელს საჩუქრად აძლევდნენ ორ ჭედილას. ამ დღეობაზე მთელი სოფელი მონაწილეობდა და ხარჯსაც ყოველი ოჯახი ეწეოდა. თემის სტუმარსაც კომლობრივ ინაწილებდნენ და ქეიფს თითქმის ერთ კვირამდე აგრძელებდნენ.

გარდა ვაჩილობისა, სოფელი ზეიმობდა ახალწელზე და აღდგომაზეც. ამ დღეობებზე სოფელს უმასპინძლდებოდა მნათე. ყოველ წელს ორი კომლი მნათეობდა. ერთი კომლი სოფელს უმასპინძლდებოდა ახალწელზე, ხოლო მეორე კომლი აღდგომაზე. სასოფლო ხატის ყანებს ისინი ხნავდნენ და მოსავალს შუაზე იყოფდნენ. მნათეებსვე სოფელი გასათიბად აძლევდა 40 ძირი თივის სასოფლო ადგილს — ყაზბეგიანთ ნაქონ ფერდობს.

ამგვარად, ხატის ყანებით მოსარგებლე მნათეები ვალდებული იყვნენ სოფლის წინაშე, ხოლო სოფელი თავის მხრივ ვალდებული იყო არშაველთა წინაშე.

ფანშეტი

ხელმისაწვდომი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სოფელ ფანშეტის მოსახლენია საბაურები, სამქანაშვილები და ჩონიაშვილები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფანშეტში ამ გვარების დამკვიდრებამდე წინამორბედი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათი ვინაობა ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ ცნობილია, რომ საბაურები თავიანთ წარმომავლობას უკავშირებენ ცაბაურთა თემს ფშავში. სამქანაშვილები, ისევე როგორც ფხელშელი ელოშვილები, ქართლის სოფელ კავთისხევიდან მოსულან, ხოლო ჩონიაშვილები — სამქანაშვილების დისწულები — სოფელ ქობიდან გადმოსახლებულან. ამიტომ, არსებული მონაცემების გათვალისწინებით მხოლოდ იმის შესაძლებლობა არსებობს, რომ ზემოხსენებული გვარების სალოცავებსა და დღეობებს გავეცნოთ.

მკითხველს თავიდანვე უნდა ვაუწყო, რომ ფანშეტის მოსახლეობას საერთო-სასოფლო სალოცავი არ ჰქონია. ყოველ გვარს თავისი ხატი ჰქონდა და ამის შესაბამისად დღეობებიც გვარების მიხედვით სრულდებოდა.

იმის გამო, რომ საბაურებს ადრე უცხოვრია სადღეისოდ ნასოფლარად ქცეული "ძველ ფანშეტაის" ტერიტორიაზე, ყველაწმინდის ხატიც მათ სალოცავად დღემდე ფუნქციონირებს. ძველ სამოსახლოზე სალოცავის მოუშლელად შენარჩუნება წინაპართადმი თაყვანისცემით აიხსნება. ძველ ფანშეტში შემორჩენილია მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევიც, სადაც ორი წმინდანი ბერი მდგარა. ამიტომ დეკანოზები მათ ყოველ დღეობაზე ამწყალობნებდნენ.

სოფელ ფანშეტში ხატის ყანები მხოლოდ საბაურებს ჰქონიათ. ეს მამული შეწირული ყოფილა ყველაწმინდის სახელზე. კომლობრივი მორიგეობით ამ მიწას მნათეები ამუშავებდნენ და დღესასწაულებზედაც ისინივე დეკანოზობდნენ. ყველაწმინდის სალოცავში საბაურები დღესასწაულობდნენ ახალწელზე და აღდგომაზე. ხალხს ახსოვს, როდესაც საბაურების დღეობაზე ძველი ფანშეტის ყველაწმინდაში, ფშავიდან სტუმრად მოსული ცაბაურნიც მონაწილეობდნენ. ამ სალოცავში ღამისთევით მიდიოდნენ არა მარტო საბაურები და მათი ფშაველი მოგვარეები, არამედ დანარჩენი ფანშეტლებიც და ქალ-დისწულნიც. ფანშეტიდან გათხოვილი ქალები თავიანთ მამისახლში ბავშვებსაც ალოცებდნენ, რაც ბატკნის შეწირვით აღინიშნებოდა.

საბაურების თაოსნობით ფანშეტში თითქმის მთელი თემის სტუმარი მოდიოდა, ვინაიდან მთავარი სათემო აღდგომა ფანშეტის ყველაწმინდაში სრულდებოდა. საკლავით მხოლოდ ისინი მოდიოდნენ, ვისაც ეს დათქმული ჰქონდათ. ღამისთევის მეორე დღეს იმართებოდა სამხდო. სამხდოები ზოგჯერ მთელი კვირა გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ფანშეტლები, როგორც მასპინძლები, თემიდან მოსულ სტუმრებს კომლობრივ ინაწილებდნენ. ყველაწმინდის ხატობაზე იმართებოდა ფერხული მასპინძლებისა და სტუმრების მონაწილეობით. ძველი ფანშეტიდან გორაზე გადასახლების შემდეგ, სადაც სამქანაშვილებისა და ჩონიაშვილების კოშკებია აღმართული, დღესასწაულების შესრულების წესი რამდენადმე შეიცვალა. ღამისთევით მიდიოდნენ ძველი ფანშეტის სალოცავში, ხოლო საწულეებს კლავდნენ ციხეების მიდამოებში. ასეთი რეჟიმით დღესასწაულობდნენ სამებობაზე. სამქანაშვილების ციხის ახლოს სამებობა ორშაბათ-სამშაბათს იმართებოდა. ამ საერთო ნადიმის შემდეგ სამხდოს ყოველი ოჯახი იხდიდა.

საბაურებისადმი თემის განსაკუთრებული პატივისცემა შემთხვევითი არ ყოფილა. თითქმის ყველა მოხევემ იცის, რომ საბაურებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს წმინდა სამების აშენებაში. მათვე მიეწერება ტაძრისთვის სანცაოს (ხალხის სადგომის) კარების შებმა. ამიტომ დღესაც მას საბაურთ სანცაოს უწოდებენ და დეკანოზები ამ გვარსაც ამიტომ ამწყალობნებენ.

სამქანაშვილები და ფხელშელი ელოშვილები რაკი კავთისხევიდან მოვიდნენ, მათ თან მოიტანეს კავთის წმინდა გიორგის ხატიც. ამ გვარებმა, როგორც სახლისკაცებმა, ეს ერთობლივი სალოცავი ზენგორის ქოხებში დააბრძანეს, რაც სოფელ სიონისა და სოფელ ტორნისის შუაში მდებარეობს. რაღაც მიზეზის გამო მათ შორის ჩხუბი მომხდარა და ხატი სამქანაშვილებს დაუნებებიათ. ამჟამად ეს ხატი სამქანაშვილების ციხეშია დაცული. სამქანაშვილები აქ კავთობას იხდიდნენ, რაც მოდიოდა ლომისობის მეორე კვირის ბოლოს. კავთობას საბაურებიც ესწრებოდნენ. კავთის წმინდა გიორგის სალოცავში უმთავრესად მაშინ მიდიოდნენ, როდესაც ხატის მიზეზი გამოუვიდოდათ. ასეთ შემთხვევაში მიღებული ყოფილა ნითელი ფერის ბატკნის შეწირვა.

ყანობლების ანალოგიურად ფანშეტლები თარანგელოზობასაც (მთავარანგელოზობა) დღესასწაულებდნენ. ივლისის თვეში ამ დღეობას მხოლოდ საბაურები იხდიდნენ. თემიდან მოსული სტუმრების მიღებაც მათ ვალდებულებას შეადგენდა. მთავარანგელოზის სახელზე ფანშეტში დაცული იყო ხატის ტყე, რომლის მოჭრაც იკრძალებოდა. როგორც მე იქაურმა დროულმა კაცებმა მითხრეს, ბოლო დროისათვის შემორჩენილი ყოფილა მხოლოდ შვიდი სქელტანიანი ხე. იქ ხის მოჭრა შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ მდინარეზე გადებული დირეებისათვის.

ჩონიაშვილებს ფანშეტში თავისი სალოცავი არ ჰქონიათ. ისინი კვლავაც თავიანთ პირვანდელ სამოსახლოში მიდიოდნენ სალოცავად. როგორც მაცნობეს, ბოლო ხანებში ისინი საცხოვრებლად გადასულან ჯარიახის (ინგუშეთის) ხეობაში და ჩრდილო ოსეთის სოფელ სანიბაში. ამის შედეგად ქობში სიარულიც მოიშალა.

სოფელი გერგეტი

ხევის ყველა სხვა სოფლის ანალოგიურად გერგეტშიც ქრისტიანული დღეობები შესაბამისი თანმიმდევრობით უკლებლივ სრულდებოდა. ჩვეულებისამებრ ეს იწყებოდა იანვრის პირველიდან და ყოველ ოჯახში აღინიშნებოდა. ამის პარალერულად საახალწლო დღეობა გვარის და სოფლის ფარგლებსაც მოიცავდა, ხოლო თავისი ტრადიციულობით გამოირჩეოდა სათემო ახალწლობა. სათემო დღეობა იმართებოდა სოფელ გერგეტში, როგორც XIV საუკუნიდან თემის მმართველობის ცენტრში.

საგვარო დღეობების ანუ მნათეობის მოწყობა ევალებოდა სოფლიდან გამოყოფილ მნათე-დეკანოზს, ხოლო სათემო დღეობების ორგანიზატორები იყვნენ თემის დეკანოზები. როგორც საახალწლო დღეობისათვის, ისე სხვა სათემო დღეობებისათვის (ფერისცვალება, მარიამობა) დეკანოზების მოვალეობას შეადგენდა სამების ტყიდან შეშის მოტანა და ქვევრებში წყაროს წყლის ჩასხმა. ქვევრები იდგა სენაში (საკუჭნაოში) საკურთხევლის მარჯვენა მხარეს. ამგვარ მოვალეობათა შესრულება სავალდებულო იყო ახალი წლიდან მომდევნო ახალწლამდე.

31 დეკემბერს, საღამოს დამახვილება ღამე იყო. ყოველი კომლი ბოსელში ჩაიტანდა ეკალს მავნე სულებისაგან საქონლის დაცვის მიზნით. დამახვილება საღამოს მწყალობელი დეკანოზი (იგივე ხევისბერი) აიღებდა ხატს — ბოროყს, დროშის თავს, რაც ინახებოდა კარის ყველაწმინდის ეკლესიაში (მარკოზ მღვდლის ბაზილიკაში) და სოფლის სათავეში ავიდოდა სოფლის მხვეწართან ერთად. დეკანოზი იქიდან ხალხს დაამწყალობნებდა: "გილოცავთ ხვალინდელ დღესა, დღესა გახარებისასა, სუყველანი მშვიდობიანად დაესწარით. ღმერთმა და წმინდა სამების მადლმა ნუ მაგაკლასთ ცორ-ნამი, დედამიწის მასავალი, საქონლით მადლი და ბარაქა. კელი მეემართას ყველა გარეთ გასულსა, გაჭირვებულსა და დაჩაგრულსა. ემ წელს კეთილად შაუცვალას, აცოცხლას თემის გამასადეგი და კლდეზემდაც გადაასხოვას ხალხის გამჯარვე და ავის ჩამდენი. მრავალს ახალწელს დეესწარით და ერთი დღე მაქცასთ ერთი ასადა".

დამწყალობნების დროს იჩოქებდნენ ცალკე კაცები და ცალკე ბალღები. დედაკაცები იქ არ ესწრებოდნენ.

დამწყალობნების შემდეგ დეკანოზები ცხრეულებს (ბედის კვერებს) გადმოყრიდნენ და ხალხი დაიტაცებდა, დამახვილება ღამეს ხარებსაც შეაჭმევდნენ. ცხრეულების ნაწილს ხარებობა დღისთვის შეინახავდნენ, რათა ხვნის დაწყებამდე ყანაში "ჯორედინი კოლის" გავლებისას უღელზე გადაეტეხათ და ხარებისათვის შეეჭმიათ. შეჭამდნენ გუთნის დედა და მეხრეც.

დეკანოზსვე მიუტანდნენ საკვლევ პურს საახალწლოდ. ამას აცხობდნენ მნათეები და ერქვა საღამოს საკვლევი, რომელსაც მწყალობელი დეკანოზი გამოაგორებდა. საკვლევი უნდა აეღო კარგი კვალის მქონე ჩიბაშვილების გვარს, რომელიც სოფლის მეკვლედ ითვლებოდა. ჩიბაშვილების გვარის უფროსი საკვლევს სახლში წაიღებდა. ამის შემდეგ მლოცველები დაიშლებოდნენ და თავ-თავიანთ სახლებში წავიდოდნენ.

იმ ღამეს ყოველი მნათის ოჯახში იმართებოდა სამნათეო სამხდო. ყოველ მნათეში დაიკლებოდა ერთი ჭედილა. ერთი მნათეს კაცი მეორე მნათეში ვერ

მივიდოდა. მხოლოდ ის მივიდოდა მეორე მნათეში, რომელსაც ხახანის ჯამ-თასის მიტანა დაევალებოდა. (ხახან ხეთაგურის ამ ჯამ-თასის შესახებ ქვემოთ). მნათეობაში წესად ყოფილა ხახანის ჯამ-თასის ჩამოტარება მნათეებს შორის. ერთ წელს რომ ეს ჯამ-თასი ერთ მნათეში მოხვდებოდა, შემდეგ რიგის მიხედვით სხვა მნათეში გადაინაცვლებდა. როგორც წესი, ერთი მნათე მეორე მნათეს არაყით სავსე ჯამ-თასს გაუგზავნიდა. მას მიიღებდა მორიგე მნათეს უფროსი. ის დაილოცებოდა, ცოტას მოსვამდა, ხოლო შემდეგ მორიგეობით ყველა ცოტ-ცოტას შესვამდა. ჯამ-თასის მიმტანი იმ მნათეში სტუმრად დარჩებოდა და ყველა ერთად შენდობას ეტყოდა ხეთაგეთ ხახანს.

იმ საღამოს მწყალობელი დეკანოზი იმ ადგილიდან, საიდანაც საკვლევი გამოაგორეს, წმინდა სამებაში გაისტუმრებდა სამ დეკანოზს და მათ ხუთ დამხმარეს. წაიყვანდნენ მნათეების საზიარო ერთ საკლავს. სასმელს გაატანდნენ მნათეების მეკოდეები, თან წაიღებდნენ საღამისთევო ნაბდებს და ქურქებს. ღამით ცეცხლს დაანთებდნენ, საკლავს დაკლავდნენ, ხორცს მოხარშავდნენ და ცოტახნით დაიძინებდნენ. გათენებამდე ერთი საათით ადრე ეკლესიიდან გამოაბრძანებდნენ ხუთ ხატს. დაკეტდნენ ეკლესიას, სამრეკვლოს და ციისკარზე ჩამოაბრძანებდნენ არაბულების გრძელ ბანზე. ამ ხატებიდან ორი იყო წმინდა ნინოს ქერობინი და ორიც დროშის თავი (ბოროყინი). ქერობინი ერქვა დიდ ჯვარს, ხოლო ბოროყინის მეორე სახელწოდება იყო დროშის ტარი. დროშის ტარს ზემო ნაწილზე ეკიდა წვრილი ზარები და მერდინები. მესამე დროშის თავი საკვლევის გამოგორების დროს საბრძანისზე იდო. ადრე ამ ხატებს ინახავდნენ მარკოზ სუჯაშვილის საყდარში. იმის შემდეგ კი, რაც ამ ეკლესიას მთიდან დაგორებული ვირი დასცემია და სახურავი ჩაუნგრევია, ბაზილიკა გაუწმინდურებლად ცნეს და აღარ აკურთხეს. ამიტომ ხატებს სამებაში ინახავდნენ, ხოლო იქიდან გამობრძანების შემდეგ დებდნენ სამების საბრძანისის ქვაზე, რაც იდო საბრალა არაბულის ბანის კუთხეში. დროშის ტარებს ააყუდებდნენ ბანის უკანა კედელზე. ამ კედელს ერქვა ბანის საკისური.

გერგეტელმა მთხრობლებმა ისიც განმიმარტეს, რომ დროშა და ბაირაღი სხვადასხვა იყო. ბაირახი დიდი ზომისა ყოფილა. ამ სამხედრო დროშის ტარება ერთ კაცს უჭირდა მისი სიმძიმის გამო. დროშას ამშვენებდა ამხედრებული წმინდა გიორგის სურათი. ის თეთრი ფერისა ყოფილა. ხალხური გადმოცემით ბაირაღი რომელიღაც მეფეს შემოუწირია წმინდა სამებისათვის. მისგან განსხვავებით დროშა უფრო პატარა იყო. მას ტარზე შემოხვეული ჰქონია ღვინისფერი ფარჩა ყოველგვარი გამოსახულების გარეშე.

ყველა ამ ბანზე იკრიბებოდა საჭმელ-სასმელით და ტკბილეულით. ტკბილეულს ბავშვებს ურიგებდნენ. ქეიფის შემდეგ ხალხი სახლებში ბრუნდებოდა. იქ რჩებოდნენ მხოლოდ დეკანოზები, გარდა მწყალობელი დეკანოზისა.

ოჯახები იახალწლებდნენ, ყველა ოჯახის უფროსი საოჯახოდ გამომცხვარ საკვლევ პურს შემოაგორებდა და ოჯახს ახალწელს მიულოცავდა. მნათე-დეკანოზები კი თავისი ვალდებულების შესრულებას განაგრძობდნენ. ბანზე ავიდოდა მწყალობელი დეკანოზი, რომელსაც შეხვდებოდა იქ დარჩენილი სამი დეკანოზი და ხალხის ნაწილი. მწყალობელი დეკანოზი მათ ახალწელს მიულოცავდა თითო ყანწის გამოცლით. შემდეგ დეკანოზები ყანწებს სოფლის სათავეში აიტანდნენ და იქიდან დაამწყალობნებდნენ მუხლებზე დაჩოქილ კაცებ-

სა და ბალღებს. ქალები კი ბანებზე გაიშლებოდნენ. მწყალობელი დეკანოზი ხალხს მოუთხრობდა თუ როგორ აშენდა წმინდა სამება და ვინ ისახელა თავი.

ამგვარი სამზადისის შემდგომ ეტაპად ითვლებოდა სამების დეკანოზების წვევა სტეფანწმინდელ ხეთაგურებთან, მაგრამ მანამდე ახალწლის დილას სამებიდან რომ ხატებს გამოაბრძანებდნენ, ჩონიაშვილები კლავდნენ მეცხრე ჭედილას თემის დეკანოზების მიერ უკვე დაკლული რვა ჭედილის შემდეგ. ხალხი ამ ქმედებას იმით ხსნიდა, რომ ჩონიაშვილები ადრე ცხოვრობდნენ საეკლესიო მამულზე სოფელ ქობში და გერგეტლები მათგან ყალანს ღებულობდნენ. ყალანი იყო ერთი დიდი სამხდო — ე.წ. აღაპობა, რაც შემოდგომაზე იმართებოდა. სასმელად გამოიყენებოდა მხოლოდ ლუდი და კაპარი. აღაპობა გრძელდებოდა ჩონიაშვილების ფანშეტში გადმოსახლების შემდეგაც. გერგეტის მთელი მოსახლეობა ჩონიაშვილებს ფანშეტში ეწვეოდა. გერგეტში მეთვალყურედ რჩებოდა მხოლოდ ერთი რომელიმე დიასახლისი. სამხდოს დამთავრების შემდეგ ჩონიაშვილები გერგეტლებს საგზალსაც გამოატანდნენ. ეს ტრადიცია გრძელდებოდა 1920 წლამდე. შემდეგ კი ფანშეტში ქეიფს ჩაენაცვლა სამებისათვის კომლზე თითო საკლავი. სამების დღესასწაულზე გერგეტს 2-3 შუახნის ფანშეტელი ესტუმრებოდა და სამ დღემდე რჩებოდა. სამებისადმი ჩონიაშვილების ამგვარი დამოკიდებულება განაპირობებდა მეცხრე საკლავის შეწირვას.

თემის საახალწლო რიტუალში განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სამების დეკანოზებისა და სტეფანწმინდელი ხეთაგურების შეხვედრის პროცესი. ეს იწყებოდა ახალი წლის დილას, როდესაც გერგეტელი დეკანოზები რამდენიმე მამაკაცის თანხლებით სტეფანწმინდისაკენ გაემართებოდნენ. გერგეტიდან დაღმი ისინი ჩამოივლიდნენ სოფლის მარჯვენა მხარეს ჩამომდინარე წყლის — ე.წ. რუვის პირზე. სამების მისიას წინ მიუძღვებოდა მწყალობელი დეკანოზი ხელში აიაზმით. მას კვალში მიყვებოდნენ დანარჩენი დეკანოზები და ხნიერი გერგეტელები. დანიშნულ ადგილას მათ საკლავებს დაახვედრებდნენ გერგეტელივე კაცები. სამების მისია ჩერდებოდა ყანაში, რომლის სახელწოდებაა კალოვანი. იქვე დახოცავდნენ საკლავებს და ამწყალობნებდნენ ქალ-რძალს, იმათ რომლებიც გრძელ ბანზე შეხვედრას ვერ ესწრებოდნენ. აქ იმღერებდნენ გერგეტულას და როდესაც ამ სიმღერით ე.წ. დიდ ქვასთან (ლოდთან) შეჩერდებოდნენ, მთავარი დეკანოზი კიდევ ერთხელ დაამწყალობნებდა ხალხს და დღეობის მშვიდობიანად ჩატარებას ურჩევდა. დიდ ქვასთან შეჩერებული მისია სიმღერას წყვეტდა. დეკანოზები განცალკევდებოდნენ, ხოლო ხალხი გერგეტში ბრუნდებოდა. აღნიშნული პროცედურის განმავლობაში ხალხი მხოლოდ ლოცვა-ვედრებით იყო დაკავებული. ამ დროს საქონელიც კი უპატრონოდ იყო მიტოვებული.

დეკანოზები რომ დიდ ლოდთან შეჩერდებოდნენ, გერგეტში დაბრუნებული მამაკაცები ოჯახებში მისვლამდე თავ-თავიანთ მეკვლეს ირჩევდნენ.

ყოველ ოჯახში შესვლისთანავე ოჯახის უფროსი მეკვლეს აძლევდა საკვლევ პურს, ე.წ. ყორბოულს ზედ გამოსახული ჯვრით. მეკვლე ოჯახს ახალწელს მიულოცავდა და საკვლევ პურს კარებიდან სამყოფოში, ოჯახის მთავარ საცხოვრებელში, შემოაგორებდა. ყორბოულს (ქრისტეს პურს ანუ წმინდა სამების პურს) ოჯახი აცხობდა 25 დეკემბერს ძველი სტილით. ამავე დროს ხარშავდნენ თევზს, რომ მეორე დღეს მიცვალებულებისთვის შენდობა ეთქვათ. ყორბოული

თუ ნაღმა დავარდებოდა და ჯვრიანი მხარე ზემოდან მოექცეოდა, ეს ოჯახის ბედნიერების მომასწავებლად ითვლებოდა. ქეიფის დამთავრების შემდეგ მთელი სოფელი ისევ გარეთ გამოვიდოდა, რათა სტეფანწმინდიდან მობრუნებულ მისიას დახვედროდნენ. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, სამების დეკანოზები სტეფანწმინდელებთან შეხვედრისთვის ემზადებოდნენ. დიდ ლოდთან შეჩერებისა და გერგეტელი კაცების უკან დაბრუნების შემდეგ ოთხი გერგეტელი დეკანოზი და მათი მხლებელი 10 მამაკაცი სტეფანწმინდისაკენ გაემართებოდნენ. შეხვედრამდე სტეფანწმინდელები სოფლიდან გამოდიოდნენ და გზისთავ ჩერდებოდნენ. ხეთაგურებიც მდინარე თერგის პირას მიდიოდნენ. წყალგამოღმა გერგეტელები ჩერდებოდნენ და იქიდან ამწყალობნებდნენ ხეთაგურების გვარს. როდესაც სამების დეკანოზები სტეფანწმინდისაკენ გაემართებოდნენ. სტეფანწმინდა-გერგეტის დამაკავშირებელ ხიდთან, მათ შემოეგებებოდა ხეთაგურების დეკანოზი რამდენიმე უფროსი კაცის თანხლებით. სამების მისიას ხელთ ჰქონდათ საკვლევი პური, რაც ხეთაგურების საახალწლო მილოცვისათვის იყო განკუთვნილი. შეხვედრისას გერგეტელები და სტეფანწმინდელები ახალწელს ერთიმეორეს მიულოცავდნენ. სამების მთავარი დეკანოზი ხალხს აქაც დაამწყალობნებდა, ხოლო ხეთაგურები სამების ხატებს ეამბორებოდნენ. სტეფანწმინდელები 100 საჟენის ზევით დგებოდნენ. შემდეგ ორივე მხარე გაემართებოდა ხეთაგურების უბნისაკენ და წმინდა სამების ნიშთან ხატებსაც მიაბრძანებდნენ. აქ სამების მწყალობელი დეკანოზი ხეთაგურებს დაამწყალობნებდა და ახალწელს მიულოცავდა. ხეთაგურების გვარის უფროსის სახლში გერგეტელი დეკანოზები საკვლევ პურსაც შეაგორებდნენ იმ მოტივით, რომ ხეთაგურების მეკვლე მხოლოდ სამების დეკანოზი უნდა ყოფილიყო. ხეთაგურებისთვის განკუთვნილ საკვლევ პურს და ჯვრიან კვერებს (ბასილებს) სამების დეკანოზები 25 დეკემბრის შაბათს აცხობდნენ.

საახალწლო მილოცვის შემდეგ სამების მთავარი დეკანოზი ხალხს აცნობდა იასე თექთურმანიძის "განასაჯობას" (დამსახურებას). დამწყალობნებაში იასე თექთურმანიძის ხეთაგურად მოხსენიება შემთხვევითი არ არის. დეკანოზებმა კარგად იცოდნენ, რომ გვარის სახელწოდება ხეთაგური მომდინარეობს ხეთაგ თექთურმანიძის საკუთარი სახელიდან. გვარის სახელწოდებაში მომხდარ ცვლილებამდე თექთურმანიძე იხსენიება ამ გვარის დამსახურების მაუწყებელ დოკუმენტებშიც. ამის გათვალისწინებით მწყალობელი დეკანოზი ხალხს მოუთხრობდა პირველ ყოვლისა ხეთაგურად სახელდებული იასე თექთურმანიძის დამსახურების შესახებ.

გადმოცემის ერთი ვარიანტით, ვახტანგ VI-ის ჯარში იასე თექთურმანიძე განთქმული მეომარი ყოფილა. მას სროლაც ემარჯვებოდა და გზიანი სიტყვა-პასუხიც მოუდიოდა. ერთხელ საქართველოსა და სპარსეთის ჯარები პირისპირ მდგარან. ჯარების შებრძოლება მოუხერხებელი ყოფილა არახელსაყრელი პოზიციების გამო. სპარსეთის სარდალს შემოუთვლია — სროლაში თითო კაცი შევაჯიბროთ და მათ შორის გამარჯვებულის მხარეს მიეკუთვნოს გამარჯვებაო. ნიშნად დანა პირაღმა დაუყენებიათ. პირობის თანახმად ის მსროლელი გამოცხადდებოდა გამარჯვებულად, ვის ნასროლ ტყვიასაც დანა ორ თანაბარ ნაწილად გაჭრიდა. შეჯიბრში გამოუყვანიათ იასე თექთურმანიძე, რომელსაც გამარჯვება მოუპოვებია. ამის შემდეგ ქართველ მეფეს ბრძოლა

მოუგია, მაგრამ ომი აღარ გაგრძელებულა. ვახტანგ მეექვსეს იასესთვის ჯილდოდ შეუთავაზებია ორი სოფელი — სიონი და გარბანი იქ მცხოვრებთა ყმობის პირობით და სოფელ თოთის მთა-ბარი. იასე არ დათანხმებულა. სამაგიეროდ მას უთხოვია, რომ გერგეტის დეკანოზებს მათ უბანში წმინდა სამების ხატი მიებრძანებინათ და გვარისთვის ახალი წელი მიელოცათ. მეფეს ამ თხოვნის შესრულება გასძნელებია იმის ფიქრით, თუ მოხევეები როგორ შეხედავდნენ ასეთ გადაწყვეტილებას. ბოლოს მეფემ თხოვნის შესრულების პირობა მისცა იასეს და მათ უბანში წმინდა სამების ნიშიც დადგეს. ამ დროიდან დაწესდა სათემო საახალწლო რიტუალიც, რაც თექთურმანიძეების (მერმინდელი ხეთაგურების) დამწყალობნებით აღინიშნებოდა.

დეკანოზის მონათხრობის მიხედვით იასე მეფის წინაშე დამსახურებული პიროვნება იყო. ის დარიალის ხეობაში მეფის ამალის გამცილებელი ყოფილა. მოხუცებულობის ჟამს იასეს ხევში დაბრუნების სურვილი გასჩენია. მეფეს სამეფო კარზე დარჩენა ურჩევია, მაგრამ იასეს აზრი არ შეუცვლია. მეფე რაკი დარწმუნებულა, რომ იასე თავის გადაწყვეტილებას არ შეიცვლიდა, იასესთვის საბატონოდ კვლავ შეუთავაზებია სიონ-გარბანი და თოთის მთა-ბარი. როგორც ზემოთ ითქვა, იასეს განმეორებით უთხოვია სამების დეკანოზების მის უბანში ხლება. ბოლოს, ვეზირების რჩევით მეფეს იასესთვის თანხმობა მიუცია და დანაპირები ხბოს ტყავზე დაწერილი სიგელით განუმტკიცებია.

დამოწმებულ ხალხურ გადმოცემაში აირეკლა ისტორიული სინამდვილე. საისტორიო წყაროებით დასტურდება სამეფო ხელისუფლების წინაშე თექთურმანიძეების დამსახურების რეალობაც და ისიც, რომ ვახტანგ მეექვსემ 1732 წლის 9 თებერვალს გაცემული სიგელით თექთურმანიძეებს (კურდღელას, იასეს, პაპას, ბერს, ივანეს, ანგვიშტუყოს) უწყალობა ყოველწლიური ჯამაგირი 33 მარჩილის სახით.

სამეფო კარის წინაშე თექთურმანიძეების დამსახურების მაუწყებელია ორი წლის შემდეგ ბაქარ მეფის მიერ იასე და პაპა თექთურმანიძეების სახელზე გაცემული სიგელიც. ამ სიგელით დაკონკრეტებულია, რომ მეფემ მათ განუახლა ნაქონი სოფლების — სიონისა და გარბნის პატრონობა და თუ ააშენებდნენ თოთისაც. "ნაქონი" აქ იმის მაჩვენებელია, რომ ეს სოფლები ამ სიგელის გაცემამდეც თექთურმანიძეებს ეკუთვნოდათ. ამის გათვალისწინებით, გაუმართლებელია მთხრობელთა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს თექთურმანიძეებმა სოფელი ხელისუფლების წყალობაზე უარი თქვეს და მხოლოდ გერგეტელი დეკანოზების მიერ ხეთაგურების დამწყალობნებას დაჯერდნენ. როგორც ჩანს, თექთურმანიძეებმა სამეფო ხელისუფლების წყალობაც მიიღეს და დეკანოზების მიერ დამწყალობნების უფლებაც აღისრულეს. იმის შესახებ კი თუ როგორ წარიმართა თექთურმანიძეების ცხოვრება და რა პრეროგატივით სარგებლობდნენ ისინი, დეტალურად ნაჩვენებია სპეციალურ გამოკვლევაში (იხ. ვახტანგ ითონიშვილი, ნარკვევები არაგველთა ისტორიიდან, თბილისი, 2006, გვ. 94-109).

იასესთან ერთად დაუვიწყარი ყოფილა მისი შვილის თუ შვილიშვილის ხახანის სახელი. ხალხური გადმოცემით, ხახანი დიდი ოჯახის და საქონლის პატრონი ყოფილა. იგი თურმე უმასპინძლდებოდა გერგეტელ საყდრიონთ და სტეფანწმინდელებს. ხახანი სტუმრებსაც თავად ღებულობდა. მასთან 7 თუ 8

წლით მოჯამაგირედ მდგარა ხევსური. როდესაც ხევსურს ყავლი გასვლია, ხახანს მისთვის კუთვნილი საქონელი მიუცია და გაუსტუმრებია. ახალწლის დილას ხახანი ხატობაზე წასულა და სახლში შვილი დაუტოვებია. შვილი ვერაგი კაცი ყოფილა, ხევსურს წყალათ ხიდთან დასწევია და ზედმეტ ჯამაგირს შესდავებია. ჩხუბის დროს ხევსურს ხახანის შვილი შემოჰკვდომია. ხევსური საგონებელში ჩავარდნილა. მიუტოვებია ჯამაგირში მიღებული საქონელი და უფიქრია წმინდა სამებაში შეეფარებინა თავი. ტაძრისაკენ წასულს გზად შემოჰყრია ხეთაგურებისკენ მიმავალი საყდრიონი. ხევსური მათ მიჰკედლებია. დეკანოზებს მისი თხოვნა შეუცხადებიათ, ვინაიდან ახალწელ დღეს გერგეტში სხვაგნელი კაცის მისვლა მიუღებელი ყოფილა. ამასობაში ხეთაგურები გერგეტის დეკანოზებს ელოდებოდნენ, მაგრამ ხევსური ხახანის შვილის ცხედარის მოსვენების მოწმე გამხდარა. ხევსური გერგეტში დამალულა, მაგრამ მის მოსაკლავად წასულა თვით ხახანი. გერგეტის წყალთან მას ცხენი გასჩერებია. ამ ადგილს ეწოდება ფიცარნი. რაკი მხედარს ცხენი ადგილიდან ვერ დაუძრია, უფიქრია, რომ ეს ალბათ წმინდა სამების ძალით უნდა მომხდარიყო. მაშინ ხახანს უთქვამს — წმინდაო სამებაო, შენთვის მიპატიებია ჩემი შვილის სიკვდილი. ხახანი უკან დაბრუნებულა და დეკანოზებისთვის უთხოვია — მომიყვანეთ მკვლელი, ვაპატიებ და შევირიგებო. დეკანოზებმა შეიწყნარეს ხახანის თხოვნა. ხახანმა ხევსური შეირიგა და შვილადაც კი აიყვანა. მომხდარი შემთხვევის აღსანიშნავად ხეთაგურები ყოველ მარიამობაზე სამხდოს იხდიდნენ. თვით ხახანმა მოგონების ნიშნად წმინდა სამებას სპილენძის ჯამ-თასი შესწირა, რისთვისაც ამ სასმისს დღემდე ხახანის ჯამ-თასი ეწოდება. ამის შემდეგ ხეთაგურები ყოველ მარიამობაზე სამხდოს მართავენ ფიცართ. გერგეტის დეკანოზები საღამომდე ხეთაგურების გვარში რჩებოდნენ. ქეიფის დამთავრების შემდეგ დეკანოზები გერგეტისაკენ გამოემართებოდნენ. მათთან ერთად წამოვიდოდნენ კაცები ხეთაგურების საგვარეულოდან. დიდ ლოდთან მათ გერგეტლები დახვდებოდნენ. აქ იმართებოდა კაცების ფეკისა (ფერხული), გაყრა-გამაყრაი და სიმღერები. ზეზამდგმურები ანუ თავსმდგომარეები მეფერხულეებს წრეში სასმელით უმასპინძლდებოდნენ. დეკანოზები კიდევ ერთხელ დაამწყალობნებდნენ ხალხს და მადლიერებას გამოხატავდნენ ხეთაგურების მიმართ გულითადი მასპინძლობისათვის.

როდესაც ცეკვები და სიმღერები მოთავდებოდა, დეკანოზები ახლა სოფელს აღმი აუვლიდნენ კართზედაზე, მდინარე ჩხეროს მხრიდან. ე.ი. გერგეტის წყალზე დაღმი ჩამოვლით და უკან მდინარე ჩხეროს მხრიდან მაღლა ავლით გერგეტი სრულ დამწყალობნებას ღებულობდა. დეკანოზების მისიას ხვდებოდა გერგეტის მთელი მოსახლეობა, მაგრამ კაცები და ქალები ცალ-ცალკე დგებოდნენ. სათემო საახალწლო დღეობა რომ დამთავრდებოდა, ეწყობოდა ე.წ. "ხატების გატაცება". ხუთი მუხლმაგარი ახალგაზრდა მოიტაცებდა ხუთ ხატს და სამებამდე სირბილით აიტანდნენ. ახალგაზრდებს შორის ამაზე ცილებაც კი ყოფილა. ბოლო დროისათვის ამ მხრივ თავი უსახელებია სუჯაშვილების სიძეს და სოფლის მასწავლებელს ყანობელ ისიდორე ტატიშვილს. ხატების გატაცება მხოლოდ გერგეტელების პრეროგატივა ყოფილა, მაგრამ ყანობელი კაცის მონაწილეობა დასაშვებად მიიჩნიეს გერგეტში მასწავლებლობისა და ამ სოფლის სიძეობის მოტივით. პირველობისათვის რამე ჯილდო არ არსებობდა. ჯილდოდ სახელიც საკმარისად ითვლებოდა. ის კი წესად არსებულა, რომ ეკლესიაში

ხატების შებრძანების შემდეგ ხუთ ახალგაზრდას სამებაში სანოვაგეს დაახვედრებდნენ, ხოლო მეკოდეები ხატის ყოველ გამტაცებელს აძლევდა ერთ თუნგ არაყს. ამ სასმელ-საჭმელით ხატის გამტაცებლები გერგეტში დაბრუნებისას სუფრას აწყობდნენ.

* * *

ხევის ყოველი სხვა სოფლის ანალოგიურად გერგეტშიც იმართებოდა მნათეობა. სოფლიდან გამოყოფილი ოთხი მნათედან ორ მნათედ იყვნენ სუჯაშვილები, როგორც დიდი გვარი. მეორე მნათეს შეადგენდა ხუციშვილებისა და ჩიბაშვილების ერთობა, ხოლო მეოთხე მნათეში გაერთიანებულნი იყვნენ ნიკლაურები და არაბულები. ყოველი მნათე სარგებლობდა რომელიმე სალოცავის სახელზე შეწირული 20-25 მარხილისუბის ყანით. ამ მამულით სარგებლობის სანაცვლოდ მასპინძლის როლში მყოფი ორი ოჯახი მნათის წევრებს უმასპინძლდებოდნენ ერთი საკლავით და სამი ვედრო არაყით. ქადა-ხაბიზგინის მიტანა კომლეურად ხდებოდა. ყოველი ოჯახი ამას ჩააბარებდა მნათის მეკოდეს (მზარეულს). გამასპინძლება სავალდებულო იყო წელიწადში ორჯერ — ჯერ აღდგომაზე, ხოლო შემდეგ დიდ ხუთშაბათს — მარტში ან აპრილში. სამნათეო შეკრება დამოკიდებული იყო აღებაზე, ვინაიდან დამარხვების შემდეგ დგებოდა ხსნილი.

მნათეობაზე ადიდებდნენ წმინდა სამებას და შენდობას ეტყოდნენ იმათ სულებს, რომლებმაც ხატს მამულები შესწირეს. იმავდროულად ქებით გაიხსენებდნენ თემში დამსახურებულ პირებსაც. სამნათეოდ განკუთვნილ სუფრაზე მნათე-მასპინძელი და მეკოდე არ ჯდებოდნენ. ჩვეულებისამებრ მნათეობაზედაც, ისევე როგორც ყველა სხვა სახის სუფრის თავში ადგილებს მიუჩენდნენ უფროსებს, ხოლო ბოლოში უმცროსებს.

კაცებთან ერთად დედაკაცების სუფრასთან დაჯდომა ამ შემთხვევაშიც მიუღებელი იყო. მათ ცალკე სუფრა ჰქონიათ განკუთვნილი. თამადობა უხუცეს მამაკაცს უწევდა, რომლის წინაც სუფრაზე საკლავის თავ-დუმა იდებოდა. გამოყენებოდა მახუხით მოზელილი ქერის პური — ე.წ. კმიადი, რაც ერთ კილოგრამს იწონიდა. საოჯახო ან საუბნო ღომელში ცხვებოდა 5-10 ხმიადი, მაგრამ სუჯაშვილები და ხუციშვილები ღომლის კეცზევე აცხობდნენ დიდ ქადას 4 კგ. ერბოთი. სანახევროდ გამომცხვარ ქადას გაიტანდნენ წყალპირთ მარიამობის ხატთან. ამ ქადას მნათე-დეკანოზი დაანაწილებდა მნათეში შემავალი კომლისთვის კუთვნილ ნაჭრებად. მიღებულ ნაჭერს ოჯახის დიასახლისი დაშლიდა. გულისაგან აკეთებდა ქადას, ხოლო ქერქი ატრიას მოსახარშავად გამოიყენებოდა. სამნათეოდ განკუთვნილი ქადის გამოცხობას ერქვა დიდქადობა. მნათეობის პარალერულად საშემოდგომო სამუშაოების მოთავების შემდეგ გერგეტში იცოდნენ ერთი მამიშვილობისა და ერთი უბნის უჯახების შეკრება. მაგალითად, სუჯაშვილების დანაყოფები (იაკობიანნი, ძაიანნი, სეხნიენი, ბერენი, ნახუცვარენი, მარკოზიანნი, ყურეშენი, ნადუენი...) ერთად გადიოდნენ მინდორზე წყლის

(რუს) პირად და ქეიფს მართავდნენ. ყოველწლიური რიგის დაცვით, საკლავით და საჭმელ-სასმელით მასპინძლობდა ერთი ოჯახი ერთი მამიშვილობიდან. ვისაც იქ გასვლა არ შეეძლო, მას პატივისცემას სახლში უგზავნიდნენ. გერგეტში ამ ჩვეულებას ერქვა ჯალაბ-ჯორობა, ე.ი. ჯალაბების (ოჯახების) ჯვარობა.

აღდგომიდან მეორე აღდგომამდე რომელ ოჯახშიც ბიჭი დაიბადებოდა, ის ოჯახი მნათეობისაგან დამოუკიდებლად დაკლავდა ერთ ჭედილას ან სახარე ხბოს, რასაც საწულე ერქვა. ზვარაკის ხორცს გამოიტანდნენ გრძელ ბანზე და ხორცს ოთხ მნათეზე თანაბრად გაანაწილებდნენ.

მნათე ცალკე იყო არა მარტო სამნათეო დღეობაზე, არამედ ქელეხებზედაც. როგორც წესი, მოსაწყენად (მისასამძიმრებლად) ჭირისუფალთან მიდიოდა ყველა, ხოლო ქელეხზე დასწრება ეკუთვნოდა იმ მნათის წევრებს, რომელი მნათის წევრიც ჭირისუფალი იყო. დღიასწლების (მიცვალებულის მოსახსენებელი სუფრების) გაშლის დროს კი სოფელში რამდენი სამკვდრო სუფრაც იმართებოდა, სოფელი იმდენ ნაწილად გაიყოფოდა. გრძელ ბანზე შეკრებილთ დაითვლიდნენ და იმდენ ნაწილად დაყოფდნენ, რამდენი სუფრაც უნდა მომზადებულიყო. ჭირისუფალი თავის წილხვედრ სტუმრებს ღებულობდა. თუ რომელიმეს მასპინძელი ჭირისუფალი შეეშლებოდა, ასეთ პიროვნებას ის მასპინძელი სუფრიდან ააყენებდა და თავისთან წაიყვანდა.

გარდა საკუთრივ გერგეტის სალოცავებისა, ზოგიერთ გვარს ხატის მამული ჰქონიათ სოფელ (ამჟამად ნასოფლარ) ქობშიც. ეს მამული ეკუთვნოდათ ქობში მცხოვრებ ჩიბაშვილებსა და ჩონიაშვილებს. სახატო მიწები აქ შეწირული ყოფილა კვირიკეს სახელზე. კვირიკეს ხატი მდებარეობს ქობის ბეთლემის ქედზე.

მნათეობა ქობში ისეთივე წესით სრულდებოდა, როგორც ხევის ყველა სოფელში. მორიგე მნათე კლავდა ერთ ჭედილას ან ყოჩს. გასტეხელი (ქადა) და ხმიადები მიჰქონდათ მნათეს წევრებს. ქობში დიდქადობასაც აწყობდნენ ისეთივე მოხმარების წესით, როგორც ეს სრულდებოდა სუჯაშვილების მნათეობასთან დაკავშირებით.

დიდ ქადას ანუ ქობობს მნათე-დეკანოზი ხატში დაჭრიდა. ქობობის ნახევარს დეკანოზი იტოვებდა, ხოლო ნახევარი მის გამომცხობელს უბრუნდებოდა.

აღდგომის მესამე დღესაც, როდესაც სამებობას იხდიდნენ, მასპინძლობა კვლავაც მორიგე მნათეს ევალებოდა.

ქობის ბეთლემში აღდგომას ახლო წარსულშიც იხდიდნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კლავდნენ შეგროვილი ფულით ნაყიდ ჭედილას. ყოველ ოჯახს მიჰქონდა სამი ლიტრა არაყი. რაც შეეხება ქობობს, მისი გამოცხობის ვალდებულება გაუქმებულა ესტატე ჩიბაშვილის თაოსნობით, როდესაც ის მნათე-მასპინძლის მოვალოებას ასრულებდა. აღდგომა დღეს ესტატეს უთქვამს: "ქობის ბეთლემი რისხავდეს, ვინც ისეთი ქადა გამოაცხოს, რომ სტუმარს შიოდეს და ვერ ჭამდესო". ეს მომხდარა 1924 წელს. ამის შემდეგ დაუწესებიათ ჩვეულებრივი ზომის ქადის გამოცხობა. ასეთი ქადა შუაზე იჭრებოდა და ნახევარ-ნახევარი იდებოდა მამაკაცებისა და დედაკაცების სუფრაზე.

მთა კოლტეშნი მხოლოდ ჩონიაშვილებს ეკუთვნოდათ. იმის შემდეგ კი, რაც ჩონიაშვილები ფანშეტში გადასახლდნენ, ხოლო ჩიბაშვილები გერგეტში გამოვიდნენ, ჩონიაშვილებმა ეს მთა აჩუქეს თავიანთ დისწულებს — ხეთაგურებს, ხოლო ხეთაგურებმა დაუსაკუთრეს გერგეტლებს. მოსახლეობისაგან მიტოვე-

ბული ქობის ტერიტორიის მისაკუთრებას. ყაზბეგები ცდილან. ამ მთის საკუთრებაში დაკანონების განზრახვით მათ ყმობის სტატუსით ოსები დაუსახლებიათ. გერგეტლები წინ აღსდგომიან ყაზბეგიანთ ამ გადაწყვეტილებას. შეთანხმებულან, რომ ოსები იქიდან გაეძევებინათ ხვნა-თესვის დროს. ოსებთან ბრძოლის მოგების მიზნით საშაროდ მეალმე მიუგზავნიათ, ხოლო საბრძოლველად მომზადებული ვაჟკაცები ქობის სიახლოვეს ჩასაფრებულან. როგორც კი ოსებს გერგეტელ მეალმეზე ხელი აღუმართავთ, გერგეტლები ოსებს დასევიან და მათი ხარ-გუთანი საკეცეთს (კლდე საკეცეთი ანდეზიტის ქვის საბადოებით) გადაუყრიათ. ყაზბეგები კვლავაც ცდილან კოლტეშის მისაკუთრებისას, მაგრამ გერგეტლებმა ეს მთა საჩივრით დაინებეს. ამ დროისათვის ჩიბაშვილები კოლტეშშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ საბოლოოდ სოფელ გერგეტში დამკვიდრდნენ.

ხევში დავაფიქსირე გერგეტლების ოსებთან დაპირისპირების მეორე ვარიანტიც. 1875 წელს დაბადებული სება სვიმონიძე ხუციშვილის ცნობით, ელარდი ხუციშვილი 100 წლისა ყოფილა, მომაკვდავი ლოგინში წოლილა, როდესაც გერგეტლები თავისთან მოუხმია და უთქვამს: მე ეხლა ხანი მაქვს სიკვდილისა, ჩიბეთ და ჩონიეთ ცოდვას ნუ გამაყვალებთ, ეგენი ჩემი სიცოცხლითვე დააბინავეთო. მისი ანდერძის თანახმად, ჩიბენი დაასახლეს გერგეტში, ხოლო ჩონიენი ფანშეტში წაიყვანეს მათმა დედისძმებმა — სამქანაშვილებმა. ჩიბენი ელარდს ახლაც შენდობით იხსენიებენ.

ყაზბეგებს ოსები დაუსახლებია არა ძველ ქობში, სადაც ჩიბაშვილები და ჩონიაშვილები ცხოვრობდნენ, არამედ ქობთ ვაკეზე. აქვე უხვნიათ და ბარაქიანადაც უცხოვრიათ. თანაც ქობის მკვიდრნი ძალიან შეუვიწროვებიათ. გერგეტლები დალაპარაკებიან ერთ ახალგაზრდას, რომელსაც ქობელი ოსი დედა ჰყოლია. შენი დედისძმანი ძალიან გათამამდნენ და გვავიწროვებენო. ბიჭმა დახმარება აღუთქვა. შეთანხმდნენ, რომ ხვნის დაწყებისას ეს ბიჭი თავის დედისძმებთან მივიდოდა. ასედაც მომხდარა, მისულა და მისალმებია. მანამდე კი გერგეტლები გაუფრთხილებია — როგორც კი ოსები შეისვენებენ და პურის საჭმელად დაჯდებიან, მე წამოვდგები, ეს იყოს ნიშანი, რომლის მიხედვითაც ძველ ქობში ჩასაფრებული გერგეტლები თავს დასხმიან ოსებს და ისინი თავის ხარ-გუთნიანად საკეცეთში გადაყარეს. ქობთ ვაკეზე ოსებს ისე შეძლებულად უცხოვრიათ, რომ გერგეტლებს მათი ყველა სახლიდან გავა-დუმები გამოუტანიათ.

ყაზბეგებს დუშეთში უჩივლიათ, მაგრამ ვერაფერს გამხდარან. ქობი კვლავ გერგეტლებმა დაინებეს.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს გავაცნო ხევში ფიქსირებული სხვა სახის მონაცემებიც სოფელ ქობის შესახებ. როგორც 1961 წლის 30 ივლისს გერგეტელმა ვანია ბიძიას ძე ხუციშვილმა მაცნობა, მას თავად ჰქონია წაკითხული ხბოს ტყავზე დაწერილი სიგელი, რომ სოფელი ქობი საეკლესიო იყო. ეს საბუთი აღმოუჩენია სიონელ სვიმა კვირჭიშვილს, დიაკვანს, ხუციშვილების სიძეს. ეს მაშინ მომხდარა, როდესაც მთხრობლის პაპა სვიმანაი ცოცხალი იყო. ტყავზე დაწერილი სიგელი სხვა საბუთებთან ერთად დიაკვან სვიმა კვირჭიშვილს შეუნახია. შემდეგ ეს საბუთები სამებაში შეუტანია მღვდელ მარკოზ სუჯაშვილს, მაგრამ დროთა ვითარებაში დაკარგულა.

სხვათა შორის მთხრობელმა ისიც მაუწყა, რომ საეკლესიო მამულების მით-

ვისებით დაინტერესებულან სხვაგნელი ბერები. ვანია ხუციშვილმა გაიხსენა ბერების მოსვლისა და ალექსი ალიბეგაშვილის სახლში ქირით დაბინავების ამბავი. სამების გარემონტების საბაბით ბერებს თან მოუტანიათ სახელოსნო იარაღებიც. სინამდვილეში მათი განაზრახი იყო სამებაში დამკვიდრება და მის სახელზე არსებული ადგილ-მამულის მითვისება. ბერებს სამების ეკლესიის მიმდებარე "ხატის მინდორის" დამუშავებაც განუზრახავთ. მოხევეები ამ განზრახვას წინ აღუდგნენ. იფიქრეს, რომ საეკლესიო საკუთრების სტატუსით ქობის ტერიტორიასაც ისინი დაეუფლებოდნენ. ამ დროისათვის ქვემო ხევის მამასახლისი იყო სიმონ შადური, რომლის დაჲ ცოლად ყავდა იაკობიანთ ვანისეს (სუჯაშვილს). სიძის მეშვეობით სიმონ შადურმა გერგეტლებს ყასითად უთხრა, რომ ბერები სამებაში დააყენეთო. სინამდვილეში სიმონ შადურმა ბერებს ჩუმად ხალხი აუმხედრა. ეს ამბავი რომ გაუგია ბერების მოძულე პოეტ ნიკიფორე ღუდუშაურს (მისი ფსევდონიმი იყო ღილა მოხევე), ეკლესიის სარკმლიდან ნასროლი ტყვიით ერთ-ერთი ბერი, სახელად სერაფიმ, სათესლე ჯირკვლებში დაუჭრია. ის სიკვდილს გადარჩენია და ბოლოს შეშინებული ბერები ხევიდან გადახვეწილან.

* * *

ახალწლის შემდეგ, 6 იანვარს ძველი სტილით მოდიოდა წყალკურთხევა ანუ ნათლისღება. თენების ჟამს ყველა მოსახლე წყლისპირზე გავიდოდა, წყალში ამოავლებდნენ იორდანეს ჯვარს და წყალს მიცვალებულთა საფლავებზე დაღვრიდნენ. წყალს, რომელშიაც იორდანეს ჯვარს ამოავლებდნენ, ერქვა აიაზმა. ხალხის რწმენით, ეს აიაზმა ასუფთავებდა ყველაფერს, რაც კი უწმინდურად ითვლებოდა. აიაზმას ყოველი ოჯახი ახალწლიდან მეორე ახალწლამდე ინახავდა. რაკი ეს მიცვალებულთა დღე იყო, ჭირისუფალი საერობოზე სუფრას გაშლიდა პურ-მარილითა და არაყით. პირველ ყოვლისა, ამას აკეთებდა ახალი მიცვალებულის პატრონი. ამასვე უკავშირდებოდა ამპარიობა (ჭიაკოკონობა). გერგეტში და სტეფანწმინდაში ამპარიობა, როგორც მიცვალებულთა დღე, იმართებოდა ხუთ იანვარს. ზემო ხევის სოფლებში ამპარიობა იცოდნენ იანვრის ბოლო რიცხვებში, რასაც იანვრის კუდის მოწვა ერქვა. ხაბიზგინებს რომ გამოაცხობდნენ, მასთან ერთად რძეს გარეთ გაიტანდნენ და სანთელსაც აანთებდნენ, ამას ერქვა ჩიტა-ფაფობა. ბავშვებს ხელზე რძეს დააწვეთებდნენ და ხაბიზგინას რძესთან ერთად შეაჭმევდნენ.

მარხვის დაწყებამდე, წინა კვირას დგებოდა ყველიერი. იმ კვირას ხორცი არ იჭმეოდა. ყველიერის ორშაბათს კი, ვისაც შეთქმული ჰქონდა, ბავშვს ივანე ნათლისმცემლის ხატში გაიყვანდა. საღამოხანს, ვარსკვლავები რომ გამოჩნდებოდა, ბავშვები შეძახილით ეგებებოდნენ: "მასკვლევ-მასკვლევ გამოდი, დედაი კუტაპს გაგვიკეთებს." გამოაცხობდნენ კუტაპს და ხაბიზგინებს, კუტაპს წყალზე გაიტანდნენ, თავს წააგლეჯდნენ და წყალში ჩააგდებდნენ. ნაწილს კი შეჭამდნენ. ეს იყო თაგვების გარეკვის რიტუალი. საღამოს, დიდმარხვის დამ-

დეგს იმართებოდა პირისდაჭერა. იკრიბებოდნენ დიდი ოჯახის განაყრები და კარის მეზობლები. ისინი ერთობლივი ხარჯით ეთხოვებოდნენ ყველიერს.

ყველიერის შემდეგ დგებოდა შვიდკვირიანი მარხვა. კვირის შემდეგ კი მთელი ჭურჭელი ცხელი წყლით ირეცხებოდა, რომ ხსნილის გემო არ შეჰყოლოდა. დარჩენილი პურ-მარილით გველეთელ ქისტებს უმასპინძლდებოდნენ. ეს დაწესდა გველეთში ქისტების დასახლების დროიდან, ე.ი. XIX საუკუნიდან. პურ-მარილი თავად ქისტებსაც მოჰქონდა. სუფრის გაზიარება იმის მაჩვენებელი იყო, რომ გამაჰმადიანებულ ქისტებს შემორჩენილი ჰქონდა მათში არსებული ქრისტიანული რწმენის კვალი.

მარხვა დროში ცვალებადი იყო, მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლიდა. როგორც წესი, 18 წლის ასაკიდან ყველას ხუთი დღე უნდა ელოცა ეკლესიაში. პარასკევს ხდებოდა აღსარება და შაბათს ზიარება. ამ წესის შესრულება შეეძლოთ ნებისმიერ დროს, მაგრამ 7 კვირის განმავლობაში ყველას ევალებოდა მისი აღსრულება.

25 მარტს დგებოდა ხარებობა. ეს იმიტომ სრულდებოდა, რომ მთავარანგელოზი გამოეცხადა მარიამს, ახარა ქრისტეს დაბადება და აუწყა, რომ მას იასო დაარქვა. ხარებობა დღე ითვლებოდა გაზაფხულის წინამორბედად. ყველა მეკომური გამოხდიდა კაპარს (სხვა სასმელი არ შეიძლებოდა). მწყალობელი დეკანოზი გამოაბრძანებდა კარის ყველაწმინდის ხატს და საერობოში ყველას გაზაფხულს მიულოცავდა. დეკანოზი ახალგაზრდებს მოაყვანინებდა ხარებს და გააწყობდნენ ხარ-გუთანს. თვით დეკანოზი ხატით (ბოროყინით) წინ გაუძღვებოდა. მეხრის როლს ასრულებდა სოფლის უფროსი კაცი. ხატის ყანაში, რომელსაც ეწოდება ბოსლის კარი, ჯვარედინად კვალს გაავლებდნენ და დალევდნენ კაპარს. ამავე დროს გუთნის დედას და ხარებს კისერზე კაპარს დაასხამდნენ მოსავლის ბარაქიანობის ნიშნად. ეს პროცესი გრძელდებოდა 3-4 საათს. იმავე დღეს გერგეტში ხარებს და ძროხებს შუბლს გაუკრეჭდნენ. ასევე ირჩევდნენ მენახირეს, მეჯოგეს, მეხრეს, მეველეს და ა.შ.

საეკლესიო დღე ბზობა მოდიოდა აღდგომის წინა კვირას. ეკლესიაში წირვა-ლოცვა სრულდებოდა, უქმობდნენ და სვამდნენ კაპარს.

ეკლესიაშივე, აღდგომის კვირას — დიდ ხუთშაბათს წირვა მიმდინარეობდა, კითხულობდნენ სახარებას.

შაბათს მარხვა თავდებოდა და ხდებოდა მარხვის გაბერტყვა (ცემა). მარხვა ერქვა ნაცრით გატენილ ქუნთას მასში გაჩხერილი ქათმის შვიდი ფრთით. ბავშვებს აშინებდნენ, რომ მარხვა ისარს ესროდა, თუ ისინი ცხიმიან საჭმელს მოითხოვდნენ. ყოველი განვლილი კვირის თავზე რომ თითო ფრთას გამოაძრობდნენ, ბავშვებს ეს ანუგეშებდა. როცა ფრთები გამოილეოდა და მარხვის პერიოდი დასრულდებოდა, ბავშვები მარხვას მოიტაცებდნენ და ცემა-ტყეპით გაათრევდნენ წყალში გადასაგდებად. წითელ პარასკევს კვერცხებს ღებავდნენ და შაბათიდან ქეიფს შეუდგებოდნენ.

კვირა დღეს ყველა მნათე იხდიდა სამნათეო სამხდოს არსებულ ვალდებულებათა შესრულებით. შუადღის შემდეგ იმ წელს დაბადებული ბავშვების ოჯახები კლავდნენ საწულეს — ბიჭა ბატკანს ან სახარე ხბოს. საწულედ განკუთვნილი ხორცი გამოჰქონდათ სუჯაშვილების გრძელ ბანზე და ოთხ მნათეზე თანაბრად ანაწილებდნენ. აქვე ხევში იმ წელს დაბადებულ ყველა ბავშვს დაამწყალობებდნენ.

აღდგომის მეორე დღეს (ორშაბათს) იმართებოდა მიცვალებულის სუფრები. სუფრას მართავდა ის ოჯახი, რომელსაც იმ დროს ვინმე გარდაეცვალა. დღესასწაული კვირამდე გრძელდებოდა. კვირას კი იყო დიდი დღე — აღდგომის სწორი. ოთხშაბათიდან სამუშაო დღეები იწყებოდა.

აღდგომის მესამე დღეს იმართებოდა სამებობის სამხდო. იხდიდნენ წიკლაურები მათი წინაპრების — გაგის და ბერის გასახსენებლად. წიკლაურებს (ეგუეთ) მოყავდათ დოლის თავი (ბიჭა ბატკანი), კლავდნენ და იქვე ხარშავდნენ. წიკლაურები სხვებსაც პატიჟებდნენ. წიკლაურები იმიტომ ასრულებდნენ ამ წესს, რომ ეს გაგის და ბერის მიერ ყოფილა დათქმული.

აღდგომას მოსდევდა კვირესძლობა სოფელ ცდოში; გივარგობა არშაში, გარბანში და სიონში; ამაღლება (სულიწმინდის მოფენა) კარკუჩაში და სტეფანწმინდელ ქუშაშვილებში; მამაწმინდობა ფხელშეში, გორისციხეში და ტყარშეტში; სპარანგელოზობა სტეფანწმინდაში და სნოში.

აღდგომის შემდეგ გერგეტში სრულდებოდა თემის ამაღლება და ქალების ხატობა. თემის ამაღლება დგებოდა კვირა დღეს, აღდგომიდან 43-ე დღეს. ამ დროს ყოველი მნათე სამხდოს იხდიდა. დილით 4 დეკანოზი აიღებდა დროშის თავს, თითოს თითო. მოივლიდნენ სნოს წყალს (ხეობას) და ხევის ყველა სხვა სოფელს. ისინი გაზაფხულს მიულოცავდნენ და დაამწყალობებდნენ ხალხს. საღამოსთვის უკან დაბრუნდებოდნენ, ხატებს საბრძანისში მიიტანდნენ.

იმავე დღეს ირჯაულთ ნასოფლარში — ე.წ. ზემო სოფელში, სადაც ირჯაულთ ციხე და ყველაწმინდის ხატია, იმართებოდა ხატობა. იკრიბებოდნენ და დეკანოზობდნენ მხოლოდ დანიშნული ქალები. ერთი ქალი დეკანოზობდა ზემო უბნიდან, ხოლო მეორე ქვემო უბნიდან. ქერობინს პირველი ის ქალი აიტანდა და დააბრძანებდა ზემო სოფლის ყველაწმინდის ხატში, რომელსაც სხვებზე ადრე უწევდა ქმრის ოჯახში მისვლა. სხვა ხატებს დანარჩენი ქალები აიტანდნენ იმ რიგის მიხედვით, თუ რომელს როდის უწევდა ქმარ-ყოფაში მისვლა. დანიშნულ ქალებს იმიტომ აყენებდნენ დეკანოზებად, რომ ქმართან დაწოლის შემდეგ კარგავდნენ ქალების ხატობაში მონაწილეობის უფლებას. ამის გათვალისწინებით დანიშნულ ქალებთან ერთად ქალების ხატში მისვლის უფლებით მხოლოდ გაუთხოვარი ქალები სარგებლობდნენ. რძლები ამ რიტუალში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც სოფელში დანიშნული ქალები არ იმყოფებოდნენ, ქალების ხატში ხნიერი ქალები დეკანოზობდნენ.

ქალებს ხატში მიყავდათ ერთი ხნიერი კაციც, რომ მას ერთობლივად ნაყიდი საკლავი დაეკლა. საკლავთან ერთად ქალები აგროვებდნენ საჭმელ-სასმელს. სურვილის მიხედვით საწირიც მიჰქონდათ (ვერცხლის ჯვარი, სანთელი, ფული, დაგრეხილი ვერცხლის ყელსაბამი, უღელი). იმოსებოდნენ თეთრი კაბებითა და თავსაბურავებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ხატის მიზეზი გამოუვიდოდათ. მაგრამ თუ რომელიმე მათგანს ე.წ. სარტყლის მიზეზი გამოუვიდოდა, ირჯაულთ ციხეს ირგვლივ შემოავლებდა ბამბის ძაფს. ქალები ხატში ვახშმობამდე იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ კი სოფელში დაბრუნდებოდნენ და დროებით გატანილ ხატებს თავის ადგილ-სამყოფელშივე დააბრძანებდნენ.

გერგეტში თიბვა გრძელდებოდა პირველ აგვისტომდე ძველი სტილით. პირველი აგვისტოდან კი იწყებოდა მარიამობის მარხვა 14 დღით.

გერგეტლები შემდეგ მოემზადებოდნენ ფერისცვალებისთვის. ამ დღისთ-

ვის ყოველი ოჯახი მოიტანდა თევზს და მარიამობისთვის გამოხდიდნენ არაყს. ფერისცვალება სათემო დღეობა იყო და თემის მასპინძლადაც გერგეტლები ითვლებოდნენ. სხვა სოფლებიდან მოსული სტუმრები გერგეტში ხუთ აგვისტოს იკრიბებოდნენ. გერგეტლებთან სტუმრების შეხვედრას ერქვა გამყოფელთ ღამე. ეს იმას ნიშნავდა, რომ თემის სტუმარი შეიკრიბებოდა სუჯაშვილების გრძელ ბანზე. აქ მიდიოდნენ დეკანოზები და სტუმრებს კომლობრივ გაანაწილებდნენ. გაყოფაში მნიშვნელობა არ ენიჭებოდა მოკეთეობას. მასპინძლობა არ ევალებოდათ მხოლოდ მარკოზიანთ (სუჯაშვილებს) და თადიეთ (არაბულებს) იმ მოტივით, რომ მათ ისედაც ბევრი სტუმრები ჰყავდათ ქალ-დისწულთა სახით. ოჯახებში ქეიფი გასტანდა 3-4 დღე. შემდეგ ადიოდნენ წმინდა სამებაში და მიჰქონდათ მხოლოდ სამარხვო, ვინაიდან ამ დროს საკლავი მიუღებელი იყო. საღამომდე სამებაში რჩებოდნენ, ხოლო შემდეგ სოფელში ბრუნდებოდნენ.

სამებაში ასულ მხვეწარს ხვდებოდა ოთხი დეკანოზი. მათ მიერ შეშასთან ერთად მოტანილი წყალი ქვევრებში იყო ჩასხმული, რასაც დეკანოზები ყველა მწყურვალს ჯამ_თასით სთავაზობდნენ. ღამით სრულდებოდა წირვა. იმ ღამეს არ მარხულობდნენ და შეუზღუდავად სარგებლობდნენ ჭამა-სმის უფლებით. მარხვა დილით იწყებოდა. გამოაბრძანებდნენ ხატებს და მიაბრძანებდნენ წმინდა ნინოს ნიშში. ადრე კი დენილან ბეთლემში, მაგრამ მისი სიშორის გამო გასვლა დაწესდა ნინოს ჯვარში. ხალხს აქ ამწყალობნებდა დეკანოზი. ნინოს ნიში ეკუთვნოდათ სუჯაშვილებს და ხუციშვილებს. ამიტომ დეკანოზობას ეს ორი გვარი ირიგებდა. აქვე ალოცებდნენ პატარძალს და ქალ-რძალს. საკლავების დაკვლა და ქადების გაჭრა დეკანოზს ევალებოდა. საკლავს პატრონი ატყავებდა. საკლავის ნახევარი დეკანოზს ეძლეოდა, ხოლო ნახევარი საერთო ფონდში ინახებოდა. ის დეკანოზს ებარა და იქ არ იხარშებოდა. ნინოწმინდაში მხოლოდ მწვადებს შეწვავდნენ. დეკანოზი იქ რჩებოდა, ხოლო ხალხი ისევ წმინდა სამებაში მიბრუნდებოდა და ხატებსაც იქვე მიაბრძანებდნენ. ვინც სამებაში სამხდოს იხდიდა, ის იქ უფრო დიდხანს ჩერდებოდა. სამხდოს გადამხდელი დეკანოზს საკლავის ერთ მხარს უტოვებდა, ხოლო დანარჩენი ხორცი სამხდოს ხმარდებოდა. საკლავის ნახევარი, თავი და ტყავი დეკანოზს იმ შემთხვევაში ეძლეოდა, თუ საკლავის პატრონი ხორცს სახლში წამოიღებდა.

სამების სამხდოში ერთიმეორეს ეპატიჟებოდნენ. იქვე ყველას ურიგებდნენ ღვინოს, რაც ჭავჭავაძეებს ერთი კვირით ადრე მოჰქონდათ და ქვევრებში ასხამდნენ. წმინდა სამებისადმი თაყვანისცემის ნიშნად ღვინის მოტანა ჭავჭავაძეებს დათქმული ჰქონიათ. ამიტომ შეერქვა მას საყალნე ქვევრები, ანუ ჭავჭავარიანთ ქვევრები. ჭავჭავარიანთ ორი ქვევრი დაფლული ყოფილა სამების ეკლესიის იატაკქვეშ, საკურთხევლის წინ. ჩემმა მთხრობელმა სანდრო სუჯაშვილმა გაიხსენა, რომ დეკანოზად მყოფმა მისმა მამამ საბრალა სუჯაშვილმა შვილს აცნობა, რომ სამების ეკლესიაში ჭაჭის (ფიქალის) იატაკის შეცვლისას ჭავჭავარიანთ ორი ქვევრი აღმოჩენილა.

სამებაში სამხდოების დამთავრების შემდეგ ნინოწმინდის დეკანოზი (სუჯაშვილი ან ხუციშვილი) საკლავების ხორცს ცხენით წამოიღებდა. ამას ემატებოდა თვით დეკანოზის მიერ დაკლული ჭედილა. ახლა უკვე სამხდო იმართებოდა გაღმა-წყლის პირას, რასაც ერქვა ნინოწმინდის სამხდო. სამებიდან წამოღებულ ხორცთან და დეკანოზის საკლავთან ერთად ქვაბებში იხარშებოდა ქალ-დისწულის საწულეც.

მარიამობის წინა დღეს სუჯაშვილები და ხუციშვილები ერთობლივად აცხობდნენ დიდ ქადას — ე.წ. ქობობს. მას აცხობდნენ დიდ საუბნო ღომელში. მას ახმარდნენ 10 გირვანქა ერბოს. ვინაიდან ეს ქადა დიდი ზომისა იყო, ღუმელიდან გამოჰქონდათ ყდედით (გუთნეულის ღვედით). სანახევროდ გამომცხვარ ქობობს დაჭრიდნენ და და ყველას უნაწილებდნენ. შემდეგ ყოველი ოჯახის დიასახლისი მისი გულისაგან აცხობდა ქადას, ხოლო ქერქისას ატრიას მოხარშავდა. ამ ჩვეულებას ერქვა დიდქადობა, რაც 1850 წლამდე სრულდებოდა. შემდეგ შემოიღეს პატარა ქადების ცხობა.

მარიამობა სამ დღემდე გრძელდებოდა. ამჟამად სამებაში ეს დღეობა ერთ დღეში თავდება. ეს სათემო დღეობა განსაკუთრებული მასშტაბურობით აღინიშნებოდა და აღინიშნება დღესაც. დარიალის ხეობაში რუსების მიერ საზღვრის ჩაკეტვამდე სამებაში უამრავი მლოცველი მოდიოდა ჩრდილო კავკასიიდან. მათ უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხატის დამიზეზების შიშით გერგეტში სასტიკად იკრძალებოდა ღორის ყოლა და მისი ხორცის ჭამა. ამის საფუძვლად მიჩნეული იყო გერგეტის წმინდა ადგილად აღიარება. ამ მოტივით სოფელი დაუპირისპირდა ერთ-ერთ მეზობელს, რომელსაც ღორი გაუჩენია. სოფელს მისთვის რაიკომშიც კი უჩივლია, მაგრამ რაიკომი ამ საქმეში არ ჩარეულა. ბრალდებულს კი განუცხადებია — ხატი რატომ არ ამიზეზებს აქ სალოცავად მოსულ რუსებს, რომლებსაც საგზლად ღორის ძეხვი მოაქვთო.

სოფელი სტეფანწმინდა

გარდა იმისა, რომ საახალწლოდ განკუთვნილ სათემო დღეობებში გერგეტლებთან ერთად სტეფანწმინდელებიც მონაწილეობდნენ, საკუთრივ სტეფანწმინდაში ახალი წლის დღესასწაული ისეთივე წესით სრულდებოდა, როგორც ხევის სხვა სოფლებში. ამასთან ერთად მთხრობლებმა გვაუწყეს, რომ ახალწელზე, წმინდა სამების გამობრძანების დღეს, ნაჩხუბრები აუცილებლად უნდა შერიგებულიყვნენ და ერთიმეორისთვის მიელოცათ ახალი წელი. ასეთ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდათ მოსისხლეებს. ისინი ერთმანეთთან შეხვედრას უნდა მორიდებოდნენ. მათი შერიგებისათვის საკმარისი პირობა არ იყო ახალწელზე შეხვედრისათვის საჭირო სიფრთხილის დაცვა. მათ განსაკუთრებით იმაზე უნდა ეფიქრათ სხვა დროსაც, განსაკუთრებით დღეობაში, ვინაიდან ხატთან ახლოს მყოფთა ბრძოლა რჯულით იგმობოდა. ამიტომ მკაცრად იკრძალებოდა იარაღით ხატთან მისვლა. ხატთან მიახლოვებისას სავალდებულოდ ითვლებოდა ქამარ-ხანჯლის შემოხსნა და შორიახლოს დადება. მოხევის რწმენით და შეგნებით, შეიარაღებული კაცის ხატთან მიახლოვება იმის მომასწავებელი იყო, რომ მლოცველი მას ედიდგულებოდა. იარაღით აღჭურვილ მლოცველს ხატი არ მიიღებდა, მის ვედრებას არ შეისმენდა.

ჩვეულებისამებრ, მოხევის ყოველ ოჯახში სადგურ ანუ სამყოფო სახლის (მთავარი საცხოვრებელი განყოფილების) აღმოსავლეთ კუთხეში — ე.წ. წმინდა კუთხეში, როგორც ახალწელზე, ისე სხვა ბედნიერ დღეებში ოჯახებს აუცილებლად გვარის უფროსი ჩამოუვლიდა და ის აუნთებდა იმდენ სანთელს, რამდენსაც ჯალაბობის (ოჯახის) უფროსი კაცი ისურვებდა. ჩვეულებისამებრ იმდენი სანთელი ინთებოდა, რამდენ ხატსაც ოჯახი ევედრებოდა. ოჯახის დალოცვაში ასევე მონაწილეობდა მისი უფროსიც. როგორც გვარის, ისე ოჯახის უფროსიც პირველ რიგში ვედრებას შესთხოვდნენ მაღლა (ზეცაში) ღმერთს და დაბლა დედამინას სიტყვებით: "ზაით ღთის მადლსა და დაბლა დედამინისაო". დედამინა მასაზრდოებლად იყო მიჩნეული. ამის შემდეგ ვედრებას შესთხოვდნენ სალოცავებს მინდვრის წმინდა გიორგის ხატიდან მცხეთამდე. ეს არ იყო შემთხვევითი. მინდვრის წმინდა გიორგი ოსეთის სოფელ ჩიმის ბოლოში კლდეზე ნაგები ხატია. ეს ხატი მწყემსებისა და მგზავრების მფარველად ითვლებოდა იმ დროიდან, რაც სოფელი ჩიმი საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარმა კვლავ დარიალის ხეობაში გადმოინაცვლა და ჩიმი ოსეთის ფარგლებში მოექცა, მოხევეების რწმენა და ჩიმის წმინდა გიორგის სალოცავისადმი ვედრება არ შეცვლილა. დარიალის ხეობაში კი აღმართულია ბახტრის ციხე (კოშკი), რომელიც სალოცავად იქნა გადაკეთებული სახელწოდებით — ბახტრის წმინდა გივარგი. მოხევეებში დღემდე დაცულია რწმენა, რომ ბახტრის წმინდა გივარგი ჯარის მფარველი და ომში გამარჯვების მედროშე იყო.

ხევის სხვა სოფლების ანალოგიურად სტეფანწმინდაშიც, ოჯახის უფროსი როგორც მეკვლე, გათენებისას კარს გაიხურავდა და შემოიტანდა საკვლევს — პურის ზედაპირზე გამოსახული ჯვრით. კარებში შეყოვნების შემდეგ ის ოჯახს მიულოცავდა სიტყვებით: "შამოვდგი ფეკი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეკი ჩემი, კოლი ანგელოზისა". შემდეგ ის კერის მიმართულებით პურს ისეთი დახრილობით შემოაგორებდა, რომ პურის დავარდნისას ჯვარი ზემოდან მოქცეულიყო. პურის ამგვარად დაცემა იმ წელს ოჯახის ბედნიერების მომასწავებელი იყო.

* * *

ახალწელზე თუ სხვა დღეობებში დაცული უნდა ყოფილიყო ტაბუ, ისეთი აკრძალვები, რომელთა შეუსრულებლობა ოჯახის ზარალთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, მოხევეები თვლიდნენ, რომ კერისთავ ქვაბის საკიდელი ჯაჭვის გაქანება საქონლის ზარალის მომასწავებელი იყო. სტეფანწმინდელმა ივანე ეფხოშვილმა გაიხსენა ერთი ასეთი ეპიზოდი. 8 წლის ბავშვს საკიდელი გაუქანებია და მისი ბიძა ხუტუა გასჯავრებია — საკიდელის გაქანებით საქონელი დაგვიზარალდებაო. ბავშვს ეს შეუჩივლებია მეორე ბიძის ცოლისთვის, მაგრამ ამ დედაკაცსაც განუმარტავს, რომ საკიდელის გაქანების შემთხვევაში ან ცხენი გადმოგვივარდება ან სხვა რაიმე საქონელი დაგვიზარალდებაო. ასევე იკრძალებოდა ცხელი საჭმლისადმი დაბერვა, ვინაიდან ეს იწვევდა ბარაქის გამოლევას და საოჯახო დოვლათის განიავებას. საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა საქონლის უსაფრთხოებას. პარასკევს მიუღებელი იყო ძაფის დართვა, ვინაიდან ეს ცხვრის მატყლიანობას შეამცირებდა. ამიტომ პარასკევი დღე ცხვრის უქმედ იყო სახელდებული. საქონელი რომ არ დაზარალებულიყო, ახსოვდათ "შაბათ შამომავალი". ამ დღეს მზე რომ მისწვერდებოდა (მწვერვალს მიუახლოვდებოდა ჩასასვენებლად), ხალხიც დაიუქმებდა. მოხევეები ზრუნავდნენ თაგვებისაგან ჭირნახულის დაცვაზედაც, რისთვისაც "თაგვების გარეკვის" რიტუალი სრულდებოდა. ეს ხდებოდა ყველიერის შაბათს. ბავშვები ჯოხით მოივლიდნენ სახლის კუთხეებს სიტყვებით: "თაგვნო, თაგვნო კართა, ანგელოზნო შინა". შემდეგ ჯოხებს გადააგდებდნენ. უფროსების ნებართვით ბავშვებსვე დააჭრევინებდნენ ქადას. ისინი ქადის ნაჭრებს გადაუგდებდნენ ბაყაყს, გველს, მგელს, თაგვებს. ამითი მათ ათვინიერებდნენ, რომ ოჯახისთვის ზიანი არ მიეყენებინათ.

მოხევეების რწმენით, ოჯახს ზარალი "დაემსნებოდა" (დაეკვებებოდა) იმ შემთხვევაშიც, თუ შაბათ საღამოს, მზის ჩასვენებისას ოჯახი მეზობელს ნაღვერდალს მისცემდა კერის გასაღვივებლად. სჯეროდათ, რომ ამას მოყვებოდა უბარაქობა, ზარალი და შფოთი. სხვა დღეებში მეზობლისთვის ნაღვერდალის მიცემის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ ოჯახის დიასახლისი. შაბათ საღამოს ასევე მიუღებელი იყო საცერის თხოვება იმის შიშით, რომ თხელი, უბარაქო მოსავალი არ მოსულიყო.

სათანადო რწმენა არსებობდა მარილთან დაკავშირებითაც. მარილი ხევში მიჩნეული იყო პურმარილიანობისა და ურთიერთნდობის სიმბოლოდ. ამის გათვალისწინებით, შეძლებული ოჯახი კარაქის შედღვების შემდეგ ღარიბ ოჯახს რომ ნადუღს გაატანდა, ზედ ბლომად მარილს მოუყრიდა იმის რწმენით, რომ ოჯახს ეფიქრა — დაუნდობლობა და უმადურობა მათ აზნევდათ (ცუდად გადახდებოდათ).

ოჯახი განსაკუთრებით უფრთხილდებოდა სახლის ანგელოზის გაღიზიანებას. მისი გულისწყრომა რომ არ გამოეწვია, შაბათ საღამოს ნაცარს არ გადაყრიდნენ იმის რწმენით, რომ ყოველ შაბათ საღამოს ანგელოზი ოჯახს აკითხავდა. უდროოდროს გადაყრილი ნაცარი შეიძლება სახლის ანგელოზს შებნეოდა, რაც მის გულისწყრომას და ოჯახის უბარაქობას გამოიწვევდა.

საზიანო ქმედებათა რწმენის პარალელურად მოხევეთა ცხოვრებაში ოჯახ-

ის მფარველ საშუალებათა გამოყენებაც ხდებოდა. მათი ღრმა რწმენით, მავნეს და ეშმაკს აშინებდა რკინა, რითაც მახვილი იჭედებოდა. ამ რწმენის მიხედვით სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა რკინის ნალს, რასაც სახლის და ციხის კარებზე აკრავდნენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარებს რკინის საკეტი ჰქონდა, ან ის რკინის ფირფიტებით იყო დასალტული, ის ოჯახის უსაფრთხოების გარანტიას ქმნიდა და ნალის მიკვრასაც აღარ საჭიროებდნენ. მაგრამ თუ ასეთი საშუალებებით არ იყო სახლი დაცული, ნალს კარებზე უსათუოდ აკრავდნენ. სახლის ამგვარად დაცვის შემთხვევაში მხიბლავის (თუნდაც მავნე კაცის) ჩუფ-ჩუფი (ჩუმი წყევლა) ოჯახს ზიანს ვეღარ მიაყენებდა.

კუმეტისაგან ოჯახის დაცვის ერთ-ერთ საშუალებად გამოიყენებოდა სახლის სარკმლებისა და ბოსლის დამახვილება იმ რწმენით, რომ კუმეტს (მავნე სულს) ეკლის ჩხვლეტა აშინებდა. ოჯახის მცველის ძალა მიეწერებოდა კერაზე ჩამდგარ შეშის ნახშირსაც, რასაც მავნე სულების შესაშინებლად საპურე გოდორში დებდნენ. სენაში კი (პროდუქტების საკუჭნაოში) დიასახლისი ბამბაში შეხვეულ პატარა მრგვალ კენჭს ინახავდა, რასაც "გველის თოლი" ერქვა. ეს თავის მხრივ დაკავშირებული ჩანს რწმენასთან, რომ ე.წ. "ალალი გველი" (უშხამო) ანუ სახლის გველი ოჯახის ბარაქისა და დოვლათის მცველად იყო მიჩნეული (იხ. ვალერიან ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა — საცხოვრებელი ნაგებობანი, თბილისი, 1967). ბარაქიანობა მიეწერებოდა აგრეთვე თითბერის ჯვარს, რასაც ყველით სავსე კასრში დებდნენ.

ყოველივე ამასთან ერთად მავნე სული ღორის ტუჩსაც გაურბოდა, რისთვისაც მას ბოსლის კარზე კიდებდნენ. მას ცხენსაც ჩამოკიდებდნენ ხოლმე კისერზე თუ ის საცხენიდან მავნე სულისგან შეწუხებული და გაოფლიანებული გამოვიდოდა. ამგვარი რწმენის შესაბამისად დიდმარხვის მესამე შაბათს იცოდნენ ე.წ. "მოვნეების უქმი". მასზე ადრე, დიდმარხვის პირველ შაბათს, სრულდებოდა "მგლის უქმი" ანუ "მგლის პირის შეკვრა", რათა მას გარეთ დარჩენილი საქონელი არ დაეზარალებინა. მეორე შაბათს დგებოდა "ზოვის უქმი", რათა სოფელი, საქონელი თუ მგზავრი ზვავის მსხვერპლი არ შექმნილიყო. უქმის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა აგრეთვე "უჟამოს უქმი", რათა საღამოჟამს ადამიანი სურავანდისაგან დაცული ყოფილიყო. ხალხის შეხედულებით ადამიანი გზისპირად წამოწოლას და ჩაძინებასაც უნდა მორიდებოდა. სჯეროდათ, რომ მძინარ კაცს ავი თვალი მისწვდებოდა. საცხოვრებელი სახლის, ციხე-კოშკის თუ საკულტო ნაგებობის დამცავ საშუალებად მიჩნეული იყო ბროლიც, რის გამო მას დებდნენ სახლის ბანის ოთხსავ კუთხეში, კოშკის თავის ოთხსავ კუთხეში და სალოცავის კედელზე. ხალხის რწმენით, ბროლი ნაგებობას მეხისგან იცავდა. როგორც ჩანს, ბროლის სითეთრე სიკეთესთან იყო ასოცირებული.

ხევში განსაკუთრებული ყურადღებით იყენებდნენ ბავშვის დამცავ საშუალებებს. აკვანში მწოლიარე ბავშვს აკვნის კამარაზე უკიდებდნენ ღვინჭილებს, ღორის ტუჩსა და კბილს, რომ მავნე სული არ მიჰკარებიყო. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს დროებით მარტოდ დატოვებდნენ, მავნე სულის ზემოქმედების აღსაკვეთად ბალიშის ქვეშ დაუდებდნენ მაკრატელს ან დანას იმის რწმენით, რომ ლითონის ნივთებს მავნე სული ვერ მიეკარებოდა. ამულეტები გამოიყენებოდა შელოცვის შემდეგაც. ბავშვს ყელზე შეაბამდნენ სხვადასხვა სახის სამ მძივს: 1) ქარვისას, რომ სურავანდი არ გასჩენოდა; 2) ღვინჭილას,

რომ მავნე სული არ მიჰკარებიყო; 3) შავ-თეთრით ჭრელ მძივს იმის რწმენით, რომ ავ თვალს მისი სიჭრელე მიიპყრობდა და ბავშვს თვალი აღარ ეცემოდა; 4) ე.წ. "ყოვილის ზოკოს" — ხის გულიდან გამოღებულ და მეშში შეხვეულ წიდას უჟამოს ასაცილებლად.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის პატრონს ხატი ბამბას გამოსთხოვდა, ოჯახი ხატს შეუთქვამდა: "შენმა მადლმა, მოვალ შენს გორზე, მოვიტან ბამბის სარტყელს და შემოგავლებ. დროშასაც მოვიტან შენს გორზე, საკლავსაც მოვიყვან, შენმა მადლმა, ოღონდ კარგა გომყოფე". შეპირების აღსასრულებლად წაიღებდნენ შინ დართული ბამბის ძაფს და ხატს სამ სარტყელად შემოავლებდნენ. თეთრი მიტკლის ნაჭერს ჯოხზე მიამაგრებდნენ და ამ დროშას ხატში ჩაამაგრებდნენ. თუ ოჯახს ხატი თეთრ სამოსს გამოსთხოვდა, ჩაცმულ ბავშვს ზემოდან თეთრ ტანსაცმელსაც გადააცმევდნენ. შელოცვის დამთავრების შემდეგ კი ბავშვს გადაცმულ თეთრ სამოსს გახდიდნენ და ხატში დატოვებდნენ. ბამბის სარტყელის შემოვლებისას დიდებას მღეროდნენ. იქვე დაკლავდნენ თეთრ ბატკანს (სხვა ფერის საკლავს ხატი არ მიიღებდა) და ბავშვს შუბლზე ჯვარედინად სისხლს წააცხებდნენ. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ის თავზე ქვას დაიდებდა და სალოცავს სამჯერ შემოუვლიდა. შემდეგ კი ქვას ხატთან დადებდა. იქვე გაშლიდნენ სუფრას. წამოსვლის წინ დაიჩოქებდნენ და დეკანოზი დაამწყალობნებდა.

ხევში არსებობდა ბავშვისადმი შემწეობის კიდევ ერთი წესიც, რასაც "ბერად შაყენება" ერქვა. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ბავშვს ხატის მიზეზი გამოუვიდოდა. ბერად შესაყენებელი ბავშვი უსათუოდ მონათლული უნდა ყოფილიყო. ბერად შეყენება დასაშვები იყო 15 წლის ასაკამდე, ვინაიდან ამის შემდეგ ბავშვი კაცობაში გადადიოდა. ბერად შეყენება ხდებოდა 3 წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში მისი დედა ღორის ხორცს არ გაეკარებოდა. 3 წლის შემდეგ დედა ბავშვს თმას მცირედ შეაჭრიდა და კიდობანში შეინახავდა. თმის შეჭრა სამი წლის განმავლობაში ნელ-ნელა ხდებოდა. სამი წლისთავზე ბავშვს ხატში მიიყვანდნენ თეთრი ბატკნით, გასტეხელით, ზედაშეთი (ერთი ბოთლი ღვინო) და სანთლებით. საკლავის შეწირვა შეიძლებოდა ყველა დღეში, გარდა ორშაბათისა და ოთხშაბათის. ხატში მიყვანილ ბავშვს დეკანოზი დედის მიერ მიტანილი მაკრატელით თმას გადაკრეჭდა. დედა მიიტანდა სამი წლის განმავლობაში ნელ-ნელა შეჭრილ თმასაც, მთელ განაკრეჭს დეკანოზი შეინახავდა და შედებდა ხატის კედელში, რათა ვისიმე ხელი და ფეხი არ მისულიყო.

ხატის დამიზეზების შემთხვევაში იცოდნენ აგრეთვე სხვა წესის შეთქმით შესრულებაც. ბავშვს ხატში რომ მიიყვანდნენ, დეკანოზი მას თავისი ჩოხის კალთებქვეშ შეაგორებდა და დამჯდარი ბავშვს დაამწყალობნებდა.

ყოველივე ამასთან ერთად მიცვალებულსაც არ ივიწყებდნენ. მისდამი ყურადღება ვლინდებოდა დასაფლავების დღესვე, როდესაც ვახშმობის დროს ოჯახის უფროსი საფლავზე თოფის წამალს უფეთქებდა, რათა საფლავს მავნე და ნადირი არ მიჰკარებოდა.

* * *

დღეობათა კალენდარის მიხედვით ხევის სხვა სოფლების ანალოგიურად სტეფანწმინდაშიც ახალწელს წინ უძღოდა შობა (25 დეკემბერი ძვ. სტილით), რაც ამ სოფლისათვის დამახასიათებელი რაიმე ორიგინალობით არ ხასიათდებოდა. ასევე ხევის სხვა სოფლების ანალოგიურად სრულდებოდა მიცვალებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი წყალკურთხევა. ყველიერს მოსდევდა აღება ღამე. ამ ღამეს მამაპაპურ ძველ სახლში იკრიბებოდნენ დიდი ოჯახის განაყრები და იქ სრულდებოდა პირის დაჭერა. ვინაიდან ამის შემდეგ დიდი მარხვა დგებოდა და შვიდ კვირამდე შეუძლებელი იყო მარხვის გატეხვა, ამიტომ ხდებოდა განაყრების ერთად შეყრა თავ-თავიანთი საჭმელ-სასმელით. ყველიერის წინა კვირას, ხორციელ შაბათს ხორცის ჭამის შემდეგ აღდგომამდე საკლავი აღარ დაიკვლებოდა. ძველ სადგურ (სამყოფო) სახლში აღება ღამეს შეყრის შემდეგ განაყრები იშლებოდნენ და ყველა მათგანი თავის ოჯახში ასრულებდა შვიდკვირიან მარხულობას.

კვირა რომ დაღამდებოდა და ხსნილიც იჭმეოდა, ორშაბათიდან კი სახსნილო საჭმელი იკრძალებოდა და დგებოდა შვიდკვირიანი დიდი მარხვა. ეს რეჟიმი განსაკუთრებით უსიამოვნო გუნებაზე აყენებდა ბავშვებს, რომლებსაც ისევე ეკრძალებოდათ სახსნილო საჭმელებით კვება, როგორც უფროსებს. ბავშვებს განსაკუთრებით არ მოსწონდათ დედაკაცების მიერ ნაცრით გატენილი მარხვის ქუნთას შეკერვა მასში გაყრილი ქათმის შვიდი ფრთით. თუ რომელიმე ბავშვი ყველს მოითხოვდა, ოჯახის უფროსი დედაკაცი ჩამოკიდებულ მარხვას ჯოხით შეანჯღრევდა, რათა მარხვას გულისწყრომა გამოეხატა ბავშვის მიმართ. თანაც დიასახლისი უჩუმრად ბავშვს თავში ესროდა ნახშირის ნამცეცს, რომ ბავშვისთვის მარხვის გაბრაზება ეჩვენებინა. ამის შემხედვარი ბავშვებიც ჩერდებოდნენ და მოთმინებით ელოდებოდნენ მარხვის განიარაღებას. ყოველ შაბათს მარხვიდან ფრთის გამოძრობა მათ ნუგეშს აძლევდა. 7 კვირის თავზე ბოლო ფრთას რომ გამოაძრობდნენ და მარხვას ჭერიდან ჩამოხსნიდნენ, გახარებული ბავშვები მას ხელს სტაცებდნენ, ჯოხის ცემით გააცილებდნენ და ყუროს წყალში ჩააგდებდნენ. ამ პროცედურის დასასრულამდე კი მთელი 7 კვირის განმავლობაში იჭმეოდა თევზი, ლობიო ზეთით, ბრინჯის შეჭამადი, მოხარშული კარტოფილი, ზუთუ, ნივრის ხინკალი, ნივრის მარილწყალი, ნივრით შეზავებული წყლიანი ფუშრუკი, ზეთის ქადა, კარტოფილის "შამაკრულაი" ზეთით. თვით თევზეულიდან მიღებული იყო ე.წ. სელიოტკა. ახალი თევზის ჭამა აკრძალული იყო. ახალი თევზი იჭმეოდა მხოლოდ ხარებობა დღეს 25 მარტში.

ხარებობა მოყვებოდა დიდმარხვის დასასრულს. ამ დღეს ხარებს შუბლს უკრეჭდნენ. ბიჭებს თმას კრეჭდნენ კაცები, ხოლო დედაკაცები ქალებს თმას ცოტათი მოაჭრიდნენ.

აღდგომის წინა კვირას, ჯერ კიდევ დიდმარხვა რომ არ იყო გათავებული, დგებოდა ბზობა. ბზობისთვის ყველა ოჯახს კაპარი უნდა ჰქონოდა გამოხდილი, ვინაიდან ბზობაზე მხოლოდ მისი დალევა იყო ნებადართული. ბზობა ჩვეულებრივი საეკლესიო წესით აღინიშნებოდა. მღვდელი ბზის ტოტებს აკურთხებდა, დიაკონს გადასცემდა, ხოლო დიაკონი ხალხს გაუნაწილებდა.

კვირა დღეს აღდგომა იხსნებოდა. ამ დღეს დილით ხალხი ეკლესიაში

ლიტანიობას ესწრებოდა, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ყველა თავის ოჯახში ქეიფობდა. კვირას მოყვებოდა ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი, ხოლო შემდეგ დიდი ხუთშაბათი დგებოდა. ამ დიდ უქმე დღეს კაპარს თუ დალევდნენ. იგლოვდნენ ჯვარცმულ ქრისტეს. გლოვა პარასკევსაც გრძელდებოდა. ნემსის ხელში აღება სასტიკად იკრძალებოდა და წითელ პარასკევს კვერცხებიც იღებებოდა. საწულეებს ხოცავდნენ შუა დღისთვის, როდესაც მზე კარგად მოივლიდა. სამნათეო საკლავებს კი შუა დღის შემდეგ კლავდნენ. საწულედ მიღებული იყო სახარე ხბო, რაც შეიწირებოდა ხატში საალდგომოდ დაბადებული ვაჟის სახელზე. ამ დროს ბავშვს ხატში გაიყვანდნენ, ალოცებდნენ და შუბლზე სისხლის ჯვარს გამოუსახავდნენ.

აღდგომის მეორე დღეს ერქვა მკვდართ დღე. ყველა ოჯახი თავის მიცვალებულს იხსენიებდა. თუ იმ დროისთვის ვინმე მოკვდებოდა, მაგრამ დიდთოვლობის პირობებში საფლავის გათხრა ბრკოლდებოდა, მიცვალებულს დროებით, საფლავის გაჭრამდე სასაფლაოზე მდებარე პატარა საყდარში დაასვენებდნენ. ასეთ საყდარს ერქვა სამკვდრო ეკლესია. ასეთი დანიშნულების პატარა საყდარი დღემდეა შემორჩენილი სოფელ გაიბოტენში.

ასეთივე "ძველი საყდარი" მდგარა სოფელ სტეფანწმინდაში, რაც შემდეგ დაუშლიათ და მისი ქვით სასაფლაოსთვის გალავანი შემოუვლიათ.

აღდგომის მესამე დღეს დგებოდა სამებობა. ამ დღეს აგრძელებდნენ მიცვალებულთა მოგონებას (შენდობის თქმას) და ღმერთს ადიდებდნენ.

აღდგომის სწორ უქმეს, ეწოდებოდა დიდი დღე და ყველა ოჯახი თავის სახლში ქეიფობდა. თუ ვისმე რომელიმე ხატის მიზეზი გამოუვიდოდა, სალოცავში საკლავ-გასტეხელით წავიდოდა. ასეთი ოჯახი ნათესავებსა და მეზობლებსაც პატიჟებდა.

აღდგომიდან ერთი თვის თავზე დგებოდა ამაღლება, რასაც ერთობლივად იხდიდა მხოლოდ ორი გვარი — ქუშაშვილი და ჩოფიკაშვილი. მათი საერთო სალოცავი იყო წმინდა გივარგის ხატი. ისინი ყოველ წელიწადს კლავდნენ ერთ საზიარო ხარს. ზოგჯერ საკლავად უმატებდნენ ყოჩს, ბატკანს ან ხბოს. შემდეგ ეს რეჟიმი შეუცვლიათ. დაუწესებიათ ხარის დაკვლა მხოლოდ შვიდ წელიწადში ერთხელ, ხოლო წვრილფეხი საკლავი კი ყოველწლიურად იკვლებოდა. წმინდა გივარგის ხატი თავიდანვე ქუშაშვილების კუთვნილება ყოფილა. შემდეგ ამ გვარს ჩოფიკაშვილებიც შეუზიარებიათ. როგორც ქუშაშვილების უფროსმა კაცებმა მითხრეს, ეს ხატი წარმოადგენდა ვერცხლის ყოჩს, რაც ქოსლელთ მოუპარიათ. ქუშაშვილებმა რომ ნაქურდალს მიაგნეს, ქოსლელებთან დიდი სისხლი მომხდარა. ქუშაშვილებმა გამარჯვებას მიაღწიეს და ეს ხატი დაიბრუნეს.

ამაღლებას მოსდევდა პეტრე-პავლობა, რასაც სტეფანწმინდის ყველა გვარი დღესასწაულობდა. ამ დღეობაზე მთელი სოფელი ერთ საზიარო ხარს კლავდა ყუროს რიყეზე, სადაც სამანი ყოფილა ჩადგმული და ელიას და ზაქარიას კარგ ამინდს შესთხოვდნენ. დაკლული ხარის ტყავს უბრუნებდნენ ხარის გამყიდველს. იმ შემთხვევაში კი, თუ ხარს ყიდულობდნენ არა თემში, არამედ სხვაგან, ტყავს სტეფანწმინდის ორ მეველეს შუაზე უჭრიდნენ. დაკვლის წინ დეკანოზი სწირავდა, ხოლო სამანზე დადებულ თავს ახალგაზრდები მოაჭრიდნენ. ხარის გარდა გვარი და გვარი ელიას და ზაქარიას წვრილფეხ საკლავსაც სწირავდნენ.

დეკანოზობას ირიგებდნენ სოფლის უფროსი კაცები. საკლავის ხორცს ინაწილებდნენ მნათეები და ყოველი მნათე სამხდოს იხდიდა მასპინძელი მნათეს სახლში. სამხდოსთვის თუნგობრივ მოაგროვებდნენ არაყს, ხოლო მნათეში შემავალი ყოველი კომლის მოვალეობას შეადგენდა ქადა-ხაბიზგინების მოტანა. ყოველნაირ ხარჯში მნათის მასპინძელი ისეთივე მონაწილე იყო, როგორც მნათეში შემავალი ყოველი ოჯახი. იმ შემთხვევაში კი, თუ მნათეს რომელიმე წევრს ხატის მიზეზი გამოუვიდოდა, ის დამატებით საკლავსაც კლავდა. ხარის დაკვლის შემდეგ გორაის ტბასთან (ჩაღრმავებულ ადგილთან) ახალგაზრდები ელიას და ზაქარიას სწირავდნენ ვაცს იმ მოტივით, რომ ეს ღვთაებები ახალგაზრდები ყოფილან ზეცაში გაფრენისას და მათდამი თაყვანისცემაც ახალგაზრდების წილხვედრად ითვლებოდა. ახალგაზრდები ვაცის ხორცს იქვე ხარშავდნენ და იქვე ქეიფობდნენ. მათთან ბალღებიც მიდიოდნენ, რომ ხორცის ნაჭერი შეხვედროდათ.

პეტრე-პავლობა ღამისთევის გარეშე ორ დღემდე გრძელდებოდა, ღამისთევითა და ხანგრძლივი ქეიფით პეტრე-პავლობა სოფელ ხურთისში სრულდებოდა.

სტეფანწმინდაში მთელ ამ დღეობას ერქვა ელიობა ან კედენიშობა, ვინაიდან სალოცავს ეწოდება კედენიშის წმინდა გივარგი.

აღნიშნული სალოცავის შესახებ ხევში შემორჩენილია ასეთი ლეგენდა: ერთ რომელიღაც კედენიშობაზე (ელიობაზე) ეს ადგილი უგუნურ დედაკაცს ბალღისგან გაუუწინდურებია და დასვრილი სხეული პურის ნაჭრით მოუწმენდია. გამწყრალი კედენიშის წმინდა გივარგი დედაკაცს გამოჰკიდებია და ყუროს წყლის გაღმა, ბებერას რომ ეძახიან, დედა-შვილი ქვად უქცევია. შემდეგ ეს ქვა ჩამოგორებულა, ხოლო თვით კედენიშის წმინდა გივარგი ხალხს დამალვია და მიწაში ჩასულა. ამის შემდეგ აღარც პური თოვდა და აღარც ღვინო წვიმდა. მისი საბრძანისი ხალხს გადაუთხრია. როდესაც ფართო ორმო ღრმად ამოუღიათ, ორმოდან სმენიათ ღვთაების ხმა — რამდენ თოხსაც დამკრავთ, მით უფრო ღრმად ჩავიმარხები, ხოლო რამდენ საკლავსაც დაკლავთ, ზევით ამოვალო. ამის შემდეგ ხალხი ორმოს თხრას შეშვებია და ხარის დაკვლა ყუროს რიყეზე დაუწესებიათ. ის სამანი, რომელზედაც დასაკლავ ხარს თავს დაუდებდნენ, იმ დედაკაცის საწყევარი ყოფილა. როცა აქ ხარს თავს ჭრიდნენ, კედენიშის წმინდა გივარგის ვედრებით მიმართავდნენ: შენს სახელზე იმ უგუნური დედაკაცის სამანს სისხლში ვბანთ და ეხლა მაინც მოგვხედეო. მაგრამ შემომწყრალი ხატი მიწიდან აღარ ამოსულა. მომხდარის შემდეგ იმ ამოთხრილ ორმოს ხალხმა შეარქვა გორაის (ელიას) ტბა. კედენიშის წმინდა გივარგის საბრძანისის მოშორებით ხალხს შემდეგ დაუდგამთ ელიას და ზაქარიას ხატები და ვაცსაც იმას უკლავდნენ.

ამგვარად, ორი დღეობა — კედენიშობა და ელიობა ერთიმეორეს შეენაცვლა. თუ თავდაპირველად კედენიშობა ხარის შეწირვით აღინიშნებოდა, კედენიშის წმინდა გივარგის შემოწყრომის შემდეგ ვაცის შეწირვა ხდებოდა ელიას და ზაქარიას სახელზე. მაგრამ იმის გამო, რომ ზოგჯერ კედენიშობა და ელიობა ერთდროულადაც სრულდებოდა, ხალხიც ამ დღეობას ხან კედენიშობას უწოდებენ და ხან ელიობას. უგუნური და ქვადქცეული დედაკაცის საქციელის მიზეზით დედაკაცებს ამ სალოცავში აღარ მიესვლებოდათ. რომელიმე დედაკაცს რომ

რაიმე სახის მიზეზი გამოსვლოდა, ხატში იმის სახვეწარს კაცები მიიტანდნენ, გასტეხელსაც ისინი გაჭრიდნენ და სანთლებსაც ისინი აანთებდნენ. დედაკაცები ამ დროს შორიახლო დგებოდნენ. დამიზეზებას კი ფითილანის დახვევით გებულობდნენ. რომელი ხატის ხსენებაზედაც ფითილანი გადმოვარდებოდა, იმ ხატს ეხვეწებოდნენ.

შედარებით მოგვიანებით კედენიშობას და ელიობას ჩაენაცვლა პეტრე-პავლობა იმის გამო, რომ ეს დღეობები ერთდროულად დგებოდა. ადრე მოქმედი "კედენიშის ჯორობა" პეტრე-პავლობით შეიცვალა.

მომდევნო დიდი დღეობა იყო ათენგენობა ანუ სპარსანგელოზობა. სპარსანგელოზად სახელდებული სალოცავი მდებარეობს სტეფანწმინდისა და სნოს გამმიჯნავი მთის სიმაღლეზე — ე.წ. წვერთ. სალოცავად განკუთვნილი იყო ძველი საყდარი ხატების საბრძანისით და ლუდის სადღეთ. ამ საყდრისა და მასზე მიშენებული ლუდის სადღეის წინ დგას უფრო დიდი ზომის საყდარი მხოლოდ სპარსანგელოზის ხატისა და ოთხი ზარებიანი დროშის საბრძანისით. საყდართან მდგარ პატარა კედელს ერქვა სამწყალობნო, საიდანაც დეკანოზები ხალხს ამწყალობნებდნენ. სპარსანგელოზის სალოცავი სავსე ყოფილა შეწირული ზარებით და მონადირეების მიერ მირთმეული ჯიხვის რქებით.

მოხეური ხალხური ეტიმოლოგიით სალოცავის სახელწოდება სპარსანგელოზი უკავშირდება ლეგენდა-გადმოცემებს, რომელთა რამდენიმე ვარიანტის მიხედვით ეს ხატი და დროშები საქართველოში შემოსულ სპარსელებს მოუტანიათ, ხოლო შემდეგ მოხევეებს უკანვე დაუბრუნებიათ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით ეს ხატი წმინდა გიორგის შემწეობით სპარსეთიდან ხევში მოიტანა სპარსელების მიერ დატყვევებულმა ქალმა სეენჯა გოდერძიშვილმა (იხ. ვალერიან ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბილისი, 1971, გვ. 153). მეორე ვერსიის თანახმად, ხატი და 4 დროშა მოიტაცეს საქართველოში შემოსულმა სპარსელებმა. მოხევეები ამაოდ ეძებდნენ დაკარგულის კვალს. მეორე ომის დროს ქართული ლაშქარი სპარსეთში შეიჭრა და ომში მონაწილე სამმა მოხევემ მიაგნო იმ ციხეს, სადაც მოტაცებული ხატი და დროშები ინახებოდა. სამი მოხევიდან ერთი ყოფილა ღუდუშაური, ერთი გოდერძიშვილი და ერთიც კაზალიკაშვილი. მათ დაიბრუნეს მოტაცებული ხატი და დროშები და თემისგან ჯილდოებიც დაიმსახურეს. დახსნილი ხატი და დროშები გაუწმენდიათ და კვლავ თავის ადგილსამყოფელში დაუბრძანებიათ. მაშინ მთელ ხევს გაუღია საკლავი და საწირი, ხოლო დეკანოზებს მთელი თემი კვლავაც დაუმწყალობნებია.

დღეობამდე ერთი თვით ადრე დეკანოზები წმინდობდნენ. ხატში ასვლის წინა დღეს ისეთ წყალში ბანაობდნენ, რაც კაცის ფეხით შელახული არ იყო. ორი სტეფანწმინდელი და ორი სნოველი დეკანოზი სპარსანგელოზის ხატში ღამისთევით ადიოდნენ და მსუბუქად დანაყრდებოდნენ. ღამისთევით ადიოდნენ შეხვეწილი მლოცავებიც. სტეფანწმინდელების საღამისთევოდ განკუთვნილი იყო ჩაღრმავებული მყუდრო ადგილი არეშისთავში, სადაც დგას სპარსანგელოზის ნიშიც. მის გასწვრივ კი წყარო გადმოჩუხჩუხებს. არეშისთავის საბრძანისისაკენ ღამისმთევლები კვირას ღამიან გაემართებოდნენ, რომ სნოვლებზე ადრე ასულიყვნენ. ადრე ასვლის მიზანი იყო ადგილის დაკავება ხატთან ახლოს. სნოველი ღამისმთევლები დარყის წმინდა გივარგის ხატთან ჩერდებოდნენ.

კვირას ცისკარზე ასვლას იწყებდა მხვეწარი. მათ თან მიჰყავდათ შესაწირი

კურატები, ყოჩები და ბატკნები. მიჰქონდათ სასმელ-საჭმელიც. ხორცის მოსახარშად განკუთვნილი იყო დიდი ქვაბები. სტეფანწმინდელების საკლავებს კლავდნენ სტეფანწმინდელი დეკანოზები, ხოლო სნოველთა საკლავებს სნოველი დეკანოზები.

დეკანოზებს ეხმარებოდნენ მეკოდეები (მზარეულები), რომლებიც ასევე წინასწარ წმინდობდნენ. დეკანოზებიდან ერთი ქადაგებდა, ხოლო დანარჩენები ზარებიან დროშებს აჟღარუნებდნენ. დეკანოზის ქადაგებას მუხლებზე დაჩოქილი მხვეწარი ამინს შესძახებდა. ხატთან მიახლოვებისას ყოველ მამაკაცს ევალებოდა ქამარ-ხანჯლის მოხსნა და შორიახლო დადება, ვინაიდან, ხალხის შეხედულებით, სალოცავთან იარაღით მისული კაცი ხატს ედიდგულებოდა.

დეკანოზები ხეთაგურებსაც ამწყალობნებდნენ, ვინაიდან ბურახული ტყე, საიდანაც ხატობისთვის ხეებს ჭრიდნენ, სპარსანგელოზისთვის ხეთაგურებს შეუწირავთ.

წვერის სპარსანგელოზში სტეფანწმინდელებისა და სნოვლების ერთობლივი სამხდო იმართებოდა. დარჩენილ საჭმელებსა და ლუდს ადგილზევე ტოვებდნენ აქ მოხვედრილი მწყემსებისა და მონადირეებისათვის.

დამწყალობნების დროს დედაკაცები შორიახლო დგებოდნენ, რომ დეკანოზის ქადაგება მოესმინათ. კვირას საღამოს ხალხი გამობრუნდებოდა, ღამეს საღამისთევოში გაატარებდნენ, ხოლო ორშაბათ დილას თავიანთ ოჯახებს უბრუნდებოდნენ.

ისინი, რომლებიც წვერის სპარსანგელოზში წირვას და ორივე სოფლის გაერთიანებულ სამხდოს ვერ ესწრებოდნენ, სპარსანგელოზის საბრძანისებში გადიოდნენ. სტეფანწმინდაში ასეთი საბრძანისი ნიში იდგა ჩოფიკაშვილის სათიბში, ხოლო სნოს საბრძანისი ჰქონდათ კლდის ძირში. ვინც საბრძანისში კლავდა საკლავს, იქვე აწყობდა სამხდოსაც. როგორც წვერზე, ისე საბრძანისებში საკლავების შეწირვა ერთდროულად ხდებოდა. წვერზე და საბრძანისებში სამხდოების მოთავების შემდეგ ერთ კვირამდე გრძელდებოდა ქეიფი გვარების მიხედვით.

ათენგენობას ანუ სპარსანგელოზობას მოსდევდა სამი სათემო დღეობა — ფერისცვალება, მარიამობა და ივანობა.

ფერისცვალებას და მარიამობას აქ აღარ შევეხები, ვინაიდან გერგეტლებთან სტეფანწმინდელების მონაწილეობას გერგეტის დღეობების აღწერილობასთან დაკავშირებით გავეცანით. რაც შეეხება ივანობას, მის შესრულებაში პრიორიტეტით სარგებლობდა სტეფანწმინდა, ვინაიდან ივანე ნათლისმცემლის ხატი დგას სტეფანწმინდის ადგილზე. მას დღემდე ნათლისმცემლის ნიში ეწოდება. ხალხის გადმოცემით, აქ ყუროს წყლით ინათლებოდნენ. წყალი მოჰქონდათ ვერცხლის თასით და მოსანათლავს იმითი ბანდნენ პირს.

როგორც გადმოცემა გვაუწყებს ერთ-ერთი მძიმე შემთხვევის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ხევში ჩემს მიერ ჩანერილი გადმოცემის მიხედვით, ერთ დროს სოფელ ცდოს ძირებში ტყე ყოფილა, სადაც ზღმარტლისა და პანტის მოსაკრეფად მიდიოდნენ. ამ საქმეში ქალ-რძალიც მონაწილეობდა. მათი ერთ-ერთი ასეთი გასვლის დროს გიგა და თევდორე ეფხოშვილებს ქოქობანთ — ივანწმინდის თავში ჯიხვები მოეკლათ. მათ ნანადირევი დაუდიათ ლოდზე, რაზედაც შემდეგ თემმა ახალი სალოცავი მოაწყო.

ქალ-რძალს ქისტები დასცემიან და ტყვედ წაუყვანიათ. მონადირეებს ქალების წივილ-კივილის ხმა შემოსმენიათ. ერთ-ერთი პატარძალი დამალულა. მონადირეებმა მისგან ეს რომ გაიგეს, ქისტებს გამოეკიდნენ. თევდორეს უმცროსი ძმისთვის უთქვამს — ეს ქალი ციხემდე მიაცილე (ციხე მდგარა კლდისფეჯთ), მდევარს შეატყობინებს და შენ კი მე მომეშველეო. გიგამ ქალი ციხემდე მიაცილა და იმ დროს მივიდა თევდორესთან, როდესაც ქისტებს გველეთის დირე ხიდზე ქალები გადაყავდათ. ნახევარი უკვე გადაყვანილი ყავდათ, როდესაც თევდორემ ქისტებს ესროლა იმის შემდეგ, რაც ქალი გადაიყვანა. ქისტი თერგში ჩავარდა. თანაც, რომ შეექმნა აზრი, თითქოს ბევრი მდევარია, თევდორეს დაუწყია ყვირილი — აქეთკენ წამოდითო. ამასობაში გიგას თოფიც გავარდა და მეორე დაჭრილი ქისტიც თერგში ჩავარდა. გალმა გაყვანილი ქალებიც უკან გადმოიყვანეს ქისტების გაქცევის შემდეგ. ამასობაში სტეფანწმინდის მდევარიც მოვიდა. შეიყარნენ ივანწმინდის დიდ რუვთან, რომელსაც სიმშვიდის მოპოვების ნიშნად სამშვილდის (სიმშვიდის) რუვი შეარქვეს.

სტეფანწმინდაში რომ ამოვიდნენ, ამ დროს წმინდა სამების საბჭეოში კაცები ბჭობდნენ. ხალხთან ერთად ამ ბჭეებმაც გაიგეს ეფხვეთ ვაუკაცების გმირობა და ჯილდო ამორჩევით შესთავაზეს, მათ შორის კარგი ადგილები სიონ-გარბნის ტერიტორიიდან: გმირებმა ყველაფერზე უარი თქვეს და თემის კაცებს მხოლოდ ის სთხოვეს, რომ ივანე ნათლისმცემლის ხატი აქედან გადააბრძანეთ და იქ დააბრძანეთ, სადაც ნანადირევი გვეწყოო. ამისი ხარჯი კი ჩვენი იქნებაო, ე.ი. სამხდოს გამართვა.

თემის კაცებმა ჰკითხეს ამ ხატის დეკანოზებს — მირიანაშვილებს, ხახლიშვილებსა და ურჯუკაშვილებს. მათ ნება დართეს იმ პირობით, რომ თემი დეკანოზებად ისევ მათ დატოვებდა.

შეიკრიბა თემი. დაკლეს 9 ქორაი ხარი, მათ შორის ორი ეფხვეთი. დააკლეს ჭედილებიც. გაიმართა სათემო ნადიმი.

ეფხოშვილების მოთხოვნით ივანწმინდის ნიში იმ ლოდზე დადგეს, სადაც ნანადირევი იდო. ააგეს ციხე თავისი გალავანით. იქვე არის ბუნებრივი გამოქვაბულები. დეკანოზებად კვლავ ზემოხსენებული სამი გვარი დარჩა, რომლებიც სავალდებულო წმინდობის წესს ასრულებდნენ. ივანწმინდა სათემო სალოცავად იქნა აღიარებული, ხოლო ივანობა ასევე სათემო დღეობად. ეს ხატი ბავშვების მფარველად ითვლება. ამიტომ ხევის სოფლებიდან იქ ღამისთევით და საკლავ-საწირით უმთავრესად ბავშვების ლოცების მიზნით მიდიოდნენ. ხალხს შეშით ამარაგებდნენ მენახირეები, რისთვისაც მათ აძლევდნენ საკლავების თავებს და ტყავებს. ვისაც შეთქმული ჰქონდა, უმთავრესად ცხენ-ურმით და ღამის სათევი ბაჭკოთი (ქურქი, ნაბადი) მიდიოდა და 2-3 დღე რჩებოდა. ხალხის რწმენით, ივანობა დღეს, 11 სექტემბერს დანის ხმარება იკრძალებოდა (იმ მოტივით, რომ იმ დღეს ივანე ნათლისმცემელს მახვილით თავი მოჰკვეთეს.) ამ დღეს იმართებოდა ხმელი სუფრა. მეორე დღეს კი საკლავებს კლავდნენ და გასტეხელებსაც ჭრიდნენ. დღეობას ემსახურებოდა სამი დეკანოზი. ერთი მათგანი საკლავებს კლავდა, მეორე გასტეხლებს ჭრიდა, ხოლო მესამე ხალხისაგან მიტანილ სასმელს იბარებდა. ხალხს ამწყალობნებდა მირიანთ დეკანოზი, ხოლო ხახლიანთ და ურჯუკეთ დეკანოზები ზარებიან დროშებს აჟღარუნებდნენ. დამწყალობნებასთან ერთად არისხებდნენ იმათ, ვინც თემის წინაშე რაიმე დანაშაუ-

ლი ჩაიდინა. ბალღებს რომ ალოცებდნენ, დეკანოზი მათ შუბლზე ჯვარედინად სისხლს წასცხებდა. ჭამა-სმასთან ერთად იმართებოდა ტაშ-ფანდურა კაცებისა და ქალების მონაწილეობით. იმავდროულად ცალ-ცალკე ეწყობოდა კაცების და ქალების ფეკისაი. იცოდნენ აგრეთვე დათუაის ამორჩევა. შემსრულებელი იყო ან კაცი, ან თამამი დედაკაცი. ის ხალხის დაკვეთას ასრულებდა (ქალის ამორჩევა, სახლის დაგვის იმიტაცია, კოვზ-ბაკანის დარეცხვის იმიტაცია...).

ხანგრძლივი ქეიფისა და გართობის შემდეგ დეკანოზი კიდევ ერთხელ დაამწყალობნებდა ხალხს, დაარისხებდა თემის მოღალატეებს, ხოლო შემდეგ ქადაგი გადმოდგებოდა და ხალხს შეახსენებდა: "ეფხვეთ თევდორეს და გიგას ეს განასაჯობა აქვს, ქალ-რძალი ქიშტებს დააყრევინეს, იმათ სულს შეუნდოს ღმერთმა, იმათ დამრჩოს სწყალობდეს" მხვეწარის მხრიდან გაისმოდა — ამინ!

ფაქტიურად ივანობით მთავრდებოდა სათემო დღეობები და თვით სტეფანწმინდელთა დღეობებიც, მაგრამ ივანობამდე სალოცავად გამოყენებული იყო გვარებისა და მამისძმობათა მიერ დაყოფილი ხატებიც. ამის შესაბამისად, წმინდა გიორგის ხატი იყო ქუშაშვილების, ქავთარაშვილების და ქავთარაშვილების გვარიდან გამოყოფილი შადურების სალოცავი. მათი ერთობის საფუძველს ისიც ქმნიდა, რომ ქუშაშვილებისა და ქავთარაშვილების საცხოვრებელი სახლები ერთ მჭიდრო უბნად იყო გადაბმული. ძველი სახლების ნაკარლები გვიანობამდე იყო შემორჩენილი. ესოდენ მჭიდროდ დასახლებული გვარები არა მარტო ერთი ხატის ყმანი იყვნენ, არამედ ისინი მოსალოდნელ საშიშროებაშიც ერთობლივად მონაწილეობდნენ. სოფელ თარგმანის ზემოთ მდებარე ოქროს ბურთუსოვანი იყო კაზალიკაშვილების, ქირიკაშვილების და ჩოფიკაშვილების სალოცავი. ხეთაგურების სალოცავი იყო მათ უბანში მდგარი წმინდა სამების ნიში. უმთავრესად ივანწმინდის ნიშში ლოცულობდნენ და დეკანოზობდნენ მირიანაშვილები, ხახლიშვილები და ურჯუკაშვილები. წვერის სპარანგელოზის ნიშში სალოცავად მიდიოდნენ ალიბეგაშვილები, გიგაურები და გომიაშვილები.

ერთ-ერთი სალოცავი იყო სემღისაი — მთა ყუროდან ჩამოგორებულ ვეებერთელა ლოდზე დაშენებული პატარა ეკლესია. მის აშენებას ჩემულობენ ფიცხელაურები (თოლიკენი და გოჩიანნი), რის გამო მას მიიჩნევენ საგვარო ხატად. მაგრამ ფაქტიურად ის იყო საერთო სალოცავი, ვინაიდან მას ლოცულობენ სხვა გვარებიც, სახელდობრ ღუდუშაურები (ყაზიენი, ტუხვენი), ეფხოშვილები (ღუდუშაურები ძირად), შავხალაშვილები (შემდეგ მიიღეს ფიცხელაურის გვარი), ხაიკაშვილები, წიკლაურები (ხურმუშკენი). ერთი ხატის ყმობით გაერთიანებულ ამ გვარებს აკავშირებდათ სამამისძმო ურთიერთობა — ჭირში და ლხინში თანადგომა. მაგრამ ერთი ხატის ყმობის მიუხედავად სემღისაი მაინც ფიცხელაურების საკუთრებად ითვლებოდა. შემდეგ პერიოდში, როდესაც სნოდან სტეფანწმინდაში ღუდუშაურები ჩამოსახლდნენ, ფიცხელაურებმა ხატში წილი მისცეს ღუდუშაურებს. ფიცხელაურებმა სემღისაის მონახევრედ გაიხადეს მხოლოდ ღუდუშაურების ერთი მამიშვილობა — ყაზიენი. ამ დღიდან სემღისაის სამხრეთი მხარე იყო ფიცხელაურების, ხოლო ჩრდილოეთი მხარე ყაზიეთი. დანარჩენ ღუდუშაურებს (ეფხვეთ, ტუხვეთ) სემღისაში წილი არ ჰქონიათ.

ამგვარად, სტეფანწმინდელები არა მარტო სასოფლო და საგვარო დღეობებს ასრულებდნენ, არამედ ფართოდ მონაწილეობდნენ სათემო დღეობებშიც.

* * *

ისევე როგორც ხევის სხვა სოფლებში, სტეფანწმინდაშიც დღეობებთან უშუალო კავშირში იყო მნათეობა, რაც რეგულარულად აღინიშნებოდა. ჩვეულებისამებრ ამ სოფელში სრულდებოდა როგორც გვარობრივი, ისე სამამისძმო გვარების გაერთიანებული მნათეობა. მამისძმობაში შედიოდნენ მეზობლობით შეკავშირებული სხვადასხვა გვარები. მამისძმობის ერთობის საფუძველი იყო არა სისხლით ნათესაობა, არამედ უბნური კავშირი.

უმთავრეს შემთხვევაში სტეფანწმინდა საგვარო მნათეებად იყო დაყოფილი. მოსახლეობის სიმრავლით გამოყოფილი მნათეები ახალწელზე და ამაღლებაზე ორ სამხდოს იხდიდნენ. ამას გვიჩვენებს სახელდობრ მნათეობა ქუშაშვილების გვარში, რომლის ორ მნათეს ევალებოდა 6 ვედრო არაყი, საკლავად ერთი ნაყოჩარი და პურ-მარილი. ვინაიდან ქუშაშვილების სალოცავი იყო წმინდა გიორგის ხატი — მდებარე ქუშეთ უბნიდან 300 მეტრით დაშორებულ ყანაში, წმინდა გიორგის მოედანზე, ქუშაშვილები გამოაბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატს ოქროს ყოჩის სახით. როგორც მითხრეს, ეს ხატი ქუშაშვილებს შესწირა მათმა დისწულმა ფადიაურმა. ქუშაშვილები კლავდნენ ერთ ხარს, ხოლო მათ მნათეში შემავალი ყოველი ოჯახი სამხდოსთვის ერთ ჭედილას მაინც შეაწევდა. კომლობრივ სავალდებულო ყოფილა აგრეთვე თითო ვედრო არაყის მიტანა. სამხდოსვე ხმარდებოდა მორიგე მნათის მიერ გამოხდილი 40-50 ვედრო ლუდი. დიდი ხარჯის საფუძველი იყო თემიდან მრავალი სტუმრის მიღება.

როგორც უფროსი თაობის ქუშაშვილებმა მითხრეს, ყანა-სათიბი განაყარ ოჯახებზე წილისყრით ნაწილდებოდა, მაგრამ განუყოფელი რჩებოდა ხატის ყანები, რასაც მორიგეობით ხნავდნენ გვარიდან გამოყოფილი მნათეები. ცხადია, გვარის გამასპინძლებაც მათ მოვალეობას შეადგენდა.

წმინდა გიორგის ხატში აღდგომაზე ქუშაშვილებთან ერთად ლოცულობდნენ შადურები, ქავთარაშვილები, შავხალაშვილები (შემდეგ მიიღეს ფიცხელაურის გვარი), ხეთაგურები, ხაიკაშვილები და ჩოფიკაშვილები. შემდეგ ქუშაშვილები და ჩოფიკაშვილები იმავე ხატის მლოცველებად დარჩნენ, ხოლო შადურებმა და ქავთარაშვილებმა ცალკე დადგეს წმინდა გიორგის ნიში.

ქუშაშვილების მნათეობაში ჯერ საწულეებს დაკლავდნენ ის პირნი, რომელთაც საკლავების მიყვანა ჰქონდათ დათქმული. ეს წესი სრულდებოდა იმ ხატში, რომელსაც ბავშვის პატრონი შეარჩევდა. ამავე დროს ხდებოდა იმ წელს პატარძლების ლოცებაც.

ფიცხელაურებს (თოლიკეთ და გოჩიანთ) სახნავ-სათიბი ნაკვეთები (სადევიაი — სახნავ-სათიბი, ჩალაის ველი — სახნავი, ტელ ჯოი — სახნავი, მაჯარის კარი — სახნავი) ჰქონდათ სემღისაის სახელზე. ფიცხელაურებთან ერთად მიკედლებული მამისძმანიც სემღისაში ლოცულობდნენ, მაგრამ ფიცხელაურების ხატის მიწებში წილი არ ჰქონიათ.

ხატის მამულებს ყოველწლიურად ხნავდა ფიცხელაურების გვარიდან გამოყოფილი ორი მნათე. ორივე მნათე ვალდებული იყო გვარის უფროსისა და გვარიდან გამოყოფილი ორი სანდო კაცისთვის ჩაებარებინა ერთი კარგი საკლავი, ხარისხიანი სასმელი (არაყი, ლუდი, კაპარი), გამომცხვარი პური და ყველი. აღდგომა საღამოს მნათე უმასპინძლდებოდა მთელ გვარს. მათთან სტუმრად მიდიოდნენ ნაძმობი გვარებიც, თუმცა დაუპატიჟებლად მისულ სტუმრებსაც უმასპინძლდებოდნენ. სამხდოს დამთავრების შემდეგ გვარის უფროსი დაასახელებდა მომავალი წლის მნათეს. სამომავლოდ დასახელებულ მნათეს გვარის უფროსი გადააბარებდა ხატის ჭურჭელს (სპილენძის ქვაბებს და შვიდ თასს). ყველაზე დიდი თასი კვარტიანი ყოფილა, დანარჩენები საშუალო სიდიდისა და მომცროც. დიდი თასებით სვამდნენ ლუდსა და კაპარს, ხოლო პატარებით არაყს. როდესაც მე ზურაბ ფიცხელაურს შევხვდი, მის ოჯახში ინახებოდა შემორჩენილი სამი თასი.

ფიცხელაურებთან ერთად სემღისაში ლოცულობდნენ სამამისძმოში შემავალი ეფხოშვილები (ძირად ღუდუშაურები), ღუდუშაურები (ყაზიენი და ტუხვენი), ხახლიშვილები, აბაზურები. ხახლიშვილები და აბაზურები შეფარებულნი იყვნენ ფიცხელაურ-ღუდუშაურების სამამისძმოში.

აღდგომაზე ოქროს ბურთუსოვანში ლოცულობდნენ ჩოფიკაშვილები, კაზალიკაშვილები, გომიაშვილები, ქირიკაშვილები, გიგაურები და წიკლაურები (ხურმუშკენი).

აღდგომაზე ივანე ნათლისმცემლის საბრძანისში ლოცულობდნენ მირიანაშვილები, ხახლიშვილები, ურჯუკაშვილები. მირიანაშვილებსა და ხახლიშვილებს ერთად ჰქონიათ ხატის ყანები ნათლისმცემლის სახელზე.

შადურებსა და ქავთარაშვილებს ერთად უხნიათ წმინდა გიორგის სახელზე შეწირული სამამისძმო ყანები და ისინი სამხდოსაც ერთად იხდიდნენ.

გიგაურები ერთ მნათედ იყვნენ და ერთად ხნავდნენ ხატის ყანას ოქროს ბურთუსოვანის სახელზე.

ოქროს ბურთუსოვანის სახელზე ხატის მამული ჰქონიათ ჩოფიკაშვილებსა და კაზალიკაშვილებსაც.

ოქროს ბურთუსოვანის სახელზე ერთად ჰქონიათ ყანები გომიაშვილებს, ქირიკაშვილებს და კაზალიკაშვილებს. შემდეგ კაზალიკაშვილები გამოჰყოფიან და დამოუკიდებელი მნათე შეუქმნიათ.

დიდი მამული ჰქონიათ ურჯუკაშვილებს, მათ შორის ხატის ყანებიც ნათლისმცემლის სახელზე.

ალიბეგაშვილებს ხატის ყანები ჰქონიათ, მაგრამ გაერთიანებული ყოფილან იმ სამამისძმოში, რომელშიაც შედიოდნენ გომიაშვილები, ქირიკაშვილები და კაზალიკაშვილები. ახლო წარსულამდე ეს ოთხი გვარი ერთ მნათეს შეადგენდა და ყანებიც საერთო-სამამისძმო ჰქონიათ. შემდეგ ალიბეგაშვილები და კაზალიკაშვილები ცალ-ცალკე მნათეებად გამოეყვნენ, ხოლო გომიაშვილები და

ქირიკაშვილები ერთ მნათედვე დარჩნენ. ე.ი. ერთი მნათე სამ მნათედ დაიყო. ხატის ყანები ჰქონიათ ოქროს ბურთუსოვანის სახელზე.

წიკლაურებს (ხურმუშკეთ) და ვალიშვილებს ხატის ყანები არ ჰქონიათ. თუ რომელიმე მნათე მიიპატიჟებდა, მიიღებდნენ მონაწილეობას სხვა გვარის ან სამამისძმო მნათეში. როგორც ჩანს, დაპატიჟებული გვარი პატივისცემასაც გაიმეტებდა.

დამოუკიდებელი მნათე იყო ხეთაგურების გვარი. მათ ხატის ყანები ჰქონიათ ოქროს ბურთუსოვანის სახელზე. ხეთაგურები მნათეობას ირიგებდნენ ხაიკაშვილებთან და ფიცხელაურებთან. ხატისა ყოფილა სახნავიც და სათიბიც. ისინი ყანა-სათიბს მორიგეობით ხმარობდნენ სამხდოს გადახდის პირობით.

განმეორებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სათემო სალოცავი იყო ივანე ნათლისმცემლის ხატი, რომელიც სტეფანწმინდის ტერიტორიაზე — ნაკერეთს მდებარეობდა და ივანობა სტეფანწმინდელების პრეროგატივით სრულდებოდა 11 სექტემბერს. ამ სათემო სალოცავში, რომელიც ბავშვების მფარველად ითვლებოდა, ხევის ყველა სოფლის მოსახლეობა საკლავ-საწირით მიდიოდა, ღამის თევით დგებოდა და სამხდოებს მართავდა.

სოფელი ცდო

სოფელში ცხოვრობს ორი გვარი — წიკლაური და ზაგაშვილი. წინაპართადმი პატივისცემის მიზნით წიკლაურები გუდამაყარში ახოობზე დადიოდნენ, ვინაიდან გუდამაყრის წარმომავლებად თვლიდნენ თავს.

საკუთრივ ცდოში წიკლაურების სალოცავებია წმინდა გივარგი და კვირეღვთიშვილი. წმინდა გივარგის ხატი დგას ნიშთანას ქედზე, მზვარეზე, საურმე გზის მარცხნივ ცდოდან გამომგზავრებისას. აქ იცოდნენ კურატების დაკვლა მარიამობაზე. როდესაც სოფელ ცდოდან პატარძალს გაისტუმრებდნენ, მაყრები ამ ხატთან ჩერდებოდნენ, ქადას გაჭრიდნენ, დაილოცებოდნენ, ქალი მშობლიურ სოფელს დაემშვიდობებოდა და გაემართებოდნენ. ამ ხატთან მგზავრები ჩერდებოდნენ და პირჯვარს იწერდნენ, ვინაიდან ეს სალოცავი ყველა მგზავრის მფარველად ითვლებოდა. არსებული წესით, გამვლელ-გამომვლელი ვალდებული ყოფილა წმინდა გივარგის ხატთან სამი კენჭი (ქვა) დაეგდო. ამიტომ ეს სალოცავი ძველად წვრილი ქვებით სავსე ყოფილა.

ცდოში წიკლაურების ყველაზე ძლიერ ხატად მიჩნეულია კვირეღვთიშვილი. ეს სალოცავი შემორჩენილია გრანიტისგან გამოქანდაკებული ყოჩის სახით, რომელიც აღმართულია ძველ ნასოფლარში. მას პირი მიქცეული აქვს მდინარე თერგისაკენ და გადაჰყურებს ივანე ნათლისმცემლის სალოცავს. აქ წელინადში ერთხელ იმართებოდა კვირესძლობა. ეს დღეობა დგება აღდგომის მესამე კვირას, მაისის შუა რიცხვებში, როდესაც ჩრდილო კავკასიის ზამთრის საძოვრებიდან ცხვარი ხევში მოვიდოდა. უამინდობის შემთხვევაში კი თუ ცხვარი გზაში შეყოვნდებოდა, დღეობა ცხვრის მოსვლამდე გაიმართებოდა. ამ დღეობაზე კლავდნენ თეთრ ბატკნებს და ალოცებდნენ ბალღებს. შაბათ საღამოს ცდოში მხვეწარი ხევის სხვა სოფლებიდანაც მოდიოდა. პირველ რიგში საკლავით მოდიოდა ის, ვისაც ამ ხატის მიზეზი გამოუვიდოდა, ამ ხატში მოსვლა შეთქმული ჰქონდა. მოჰქონდათ აგრეთვე სასმელი და საჭმელები. საკლავებს კლავდა დეკანოზი. დღეობაზე მოდიოდნენ და ბალღებს ალოცებდნენ აქედან გათხოვილი ქალებიც.

იმის გამო, რომ ზაგაშვილებს ადრე, ქისტების დასახლებამდე, გველეთში უცხოვრიათ, მათი მამაპაპური სალოცავი სემღისაი გველეთში იყო. ზაგაშვილები ვიდრე სემღისაში სალოცავად გველეთში არ ჩავიდოდნენ, მანამდე მარხვა არ აიხსნებოდა. ისინი გველეთში ჩადიოდნენ მხოლოდ აღდგომაზე.

წიკლაურებს და ზაგაშვილებს თავ-თავიანთი სალოცავები ჰქონდათ, მაგრამ ორივე გვარის საერთო სასოფლო სალოცავი იყო ყველაწმინდა. ეს ხატი დგას სოფელ გველეთთან ახლოს. მისი დღეობა ყველაწმინდობა დგება ადრე გაზაფხულზე როდესაც კი ბალახი ამწვანდება. ამ ხატში იმართებოდა ბალღების და პატარძლების ლოცება. პატარძლის ლოცება წესად იყო მისი გათხოვებიდან ერთი წლისთავზე. პატარძლის მამის სახლი აუცილებლად გამოუგზავნიდა თიკანს, რასაც პატარძლის ქმრეულნი ყველაწმინდობაზე დაკლავდნენ. ყველაწმინდის ხატში ლოცავდნენ აგრეთვე მამისახლში სტუმრად მოსულ ქალ-დისწულს და გასათხოვარ ქალებს.

ბავშვის ლოცებასთან დაკავშირებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბედის ვარსკვლავსაც. ხალხური რწმენით, არსებობს შვიდი მთავარი ვარსკვლავი აღ-

მოსავლეთისკენ რომ ტრიალებენ და მეტ-ნაკლებად კაშკაშებენ. მათ იმდენი სახელი აქვთ, რამდენიც დღეა ერთ კვირაში. ბავშვი რომელ დღესაც დაიბადებოდა, იმ დღის სახელობის ვარსკვლავი დაებედებოდა. მომავალი ბედნიერება იმ ბავშვს დაებედებოდა, რომელსაც წილად ხვდებოდა ბრჭყვიალა ვარსკვლავი. ამიტომაც ასეთ ვარსკვლავს შეღაღადებენ მშობლები ბავშვის ლოცების დროს.

ასეთი იყო სოფელ ცდოს სალოცავები და დღეობების ორგანიზაცია, რასაც ასრულებდნენ წიკლაურების გვარის დანაყოფების (დიდი ჩოფანენი ანუ სასებენი, სურხავენი, დუდარენი, ბუჩუნენი) და ზაგაშვილები. მათ მიერვე იყო ორგანიზებული მნათეობაც.

როგორც ხევის სხვა სოფლებში, ცდოშიც არსებობდა ხატის ყანები და იმართებოდა მნათეობაც. თავდაპირველად ხატის ყანები ჭევისთავი და წყალტარაჲ მხოლოდ წიკლაურების სალოცავის — კვირეღვთიშვილის სახელზე იყო. შემდეგ ზაგაშვილებმა შესწირეს ყანა ამ ხატს და წიკლაურების მოზიარენი გახდნენ. ამის შემდეგ ფაქტიურად წიკლაურების მთავარი სალოცავი სასოფლო სალოცავად იქცა. როდესაც სოფელი მცირერიცხოვანი იყო, მაშინ წელიწადში ერთ მნათეს ირჩევდნენ. როგორც წესი, მნათედ გამოყოფილი ოჯახი სარგებლობდა ხატის ყანა-სათიბით. მოსახლეობის მომატების შემდეგ კი სოფელი სამ მნათედ გაიყო. აქედან ორი მნათე იყო წიკლაურებისა და ერთიც ზაგაშვილებისა. მნათეები მასპინძლობდნენ ახალწელზე და აღდგომაზე. საკლავებს კლავდნენ კვირეღვთიშვილის სახელზე. ყველა სხვა ხარჯიც, მათ შორის 0,5 ფუთიანი ერბოს ქადა, რასაც დაჭრიდნენ და მნათეს წევრებს ურიგებდნენ, მნათისა იყო. ხატის განძ-ჭურჭელიც მნათესთან ინახებოდა. ბოლო ხანებში წიკლაურებთან მნათეობა მოუწია სანდრო წიკლაურს და თასებიც მასთან ინახებოდა. როგორც ცდოში მითხრეს, ერთხელ სოფელ დგნალში მკითხავთან წასულან ელიჩკა და ნატო წიკლაურები. მათ მკითხავის პირით გაუგიათ კვირეღვთიშვილის გულისწყრომა — სად არის ჩემი ჯამ-თასიო. ამის შემდეგ მხოლოდ წიკლაურები გავიდნენ კვირეს ხატში და დაკლეს საკლავი. 12 კომლმა შეაგროვა თითო მანეთი და ხატისთვის იყიდეს ალუმინის ჭურჭელი და ორი ვერცხლის სასმისი. ამ ჭურჭელთან ერთად ხატს შესწირეს სამ-სამი შაურიც. ბოლოს, როდესაც მნათეობა მხოლოდ სასებეთ შეინარჩუნეს, 1930-იანი წლებიდან, მნათეობის მოშლის შემდეგაც, ხატის განძსაც სანდრო წიკლაური ინახავდა.

სოფელი სნო

სნოს ხეობაში ანუ სნოს წყალზე განლაგებული სოფლებია: აჩხოტი, სნო, ახალციხე, ქოსელი, კარკუჩა, ჯუთა. გაუკაცრიელდა და ნასოფლარებად იქცნენ: მიგუდა, ართხმო, მთრეხი. ამის შესაბამისად ხალხური დღეობები და მნათეობა დაფიქსირდა საცხოვრებლად შემონახულ სოფლებში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჩხოტი ახალი დიდი დასახლებაა, რომლის მკვიდრნიც არიან სხვადასხვა სოფლების, უმთავრესად კი სნოს ხეობიდან გამოსული ოჯახები. ახლო წარსულამდე აჩხოტში ცხოვრობდნენ ოსები, რომლებიც ღუდუშაურებმა ყმობის პირობით დაასახლეს. შემდეგ კი ეს პრეროგატივა ყაზბეგების ხელში გადავიდა. ართხმოში ცხოვრობდნენ ხევსურეთიდან გადმოსახლებული არაბულები, წიკლაურები და ნაროზაულები. ჯუთაში კი მხოლოდ არაბულები იმყოფებიან. ხევსურებით დასახლებული ართხმო იხსენიება XV საუკუნეში შედგენილ "გერგეტის სულთა მატიანეში". მიგუდაში ცხოვრობდნენ ჩაბაიძეები, ხევსურეთის სოფელ ქმოსტიდან ჩამოსახლებული და შემდეგში გამოხევებული როსტომაულები და ბურდულები. ჯუთის მეზობლად არსებობდა აგრეთვე სოფელი მთრეხი, რაც ჯერ კიდეც იმ დროისათვის სოფლობდა, როდესაც ვინაობით მთრეხელად სახელდებულმა ხევსურმა, დედით მოხევემ, XVII საუკუნეში მოკლა არაგვის ერისთავების მოურავი შიოლა ღუდუშაური.

აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით მოხეური დღეობების აღწერაში არ შემიტანია ჯუთა, სადაც ხევსურული დღეობები სრულდებოდა და დღესაც სრულდება. რაც შეეხება ზემოხსენებულ ნასოფლარებს, იქ დღეობებისა და მნათეობის აღწერის შესაძლებლობა გამორიცხული იყო მოსახლეობისაგან მათი დაცარიელების გამო. ამიტომ, დღეობებისა და მნათეობის აღწერაში მოხვდნენ სნო, ახალციხე, ქოსელი და კარკუჩა.

სნოს მთავარი სალოცავებია დარყის წმინდა გივარგი, რაც ღუდუშაურებს და მათთან წილდებულ გელაშვილებს ეკუთვნის. სპარსანგელოზის ხატში დეკანოზობდნენ გოდერძიშვილები, ვინაიდან გადმოცემის მიხედვით ის სპარსეთიდან მოიტანა იქ ტყვედ ნამყოფმა სეენჯა გოდერძიშვილმა. ამიტომ ამ სალოცავში პირველ საკლავსაც გოდერძიშვილები კლავდნენ. ღამის თევის შემდეგ გოდერძიშვილები სიმღერით წამოვიდოდნენ ღამისთევით მყოფ სხვა მლოცველებთან ერთად. მათ გზაში ხვდებოდნენ ის მლოცველებიც, რომლებიც ღამისთევით კი არ მიდიოდნენ, არამედ ხატში ლოცვის შემდეგ სოფელშივე ბრუნდებოდნენ. ღამისთევიდან მობრუნებულნი და ხატში მიმავალნი ჭალას შეიყრებოდნენ და გოდერძიშვილები იქ დაკლავდნენ საკლავს. ხორცი სახლში მოჰქონდათ. შემდეგ გადიოდნენ ნიშთმინდორსა, იქ წესს დააყენებდნენ, ილოცებდნენ, იქეიფებდნენ და სოფელში დაბრუნდებოდნენ. ისინი ხევის სხვა სოფლებიდან მოსულ სტუმრებს დაანაწილებდნენ და მათ მასპინძლობდნენ. ყველაფერი ეს კვირა დღეს სრულდებოდა.

იმის გამო, რომ სპარსანგელოზის ხატში სნოველთა მხრიდან დეკანოზობდ-

ნენ გოდერძიშვილები, ამ ხატს ისინი თავისად მიიჩნევენ. მაგრამ არსებითად ეს ხატი იყო სათემო, ყოველ შემთხვევაში ორი სოფლის — სტეფანწმინდისა და სნოს საერთო სალოცავი, როგორც ეს გამოჩნდა ორივე სოფლის დღეობის აღწერილობაში სტეფანწმინდაში ფიქსირებული მასალების განხილვის საფუძველზე.

ერთ-ერთი სალოცავი იყო სამარავნის ხატი. ეს ხატი მდებარეობს ნიშთმინდორში. სამარავნის ხატის ძირს არის ნიშიც. როგორც სნოში მითხრეს, ეს ხატი ეკუთვნოდათ ღუდუშაურების გვარიდან გამოყოფილ ორ გვარს — პაპიაშვილებს და ჯანუყაშვილებს. შემდეგ მათ ამანათად შეიკედლეს ხართიშვილებიც. რაკი ეს ხატი საზიარო გახდა, სამხდოს მორიგეობით იხდიდნენ პაპიაშვილები, ჯანუყაშვილები და ხართიშვილები. მთავარი დღეობა იყო სამარავნობა, რაც შაბათს მოდიოდა. კვირას სტეფანწმინდელები და სნოვლები იხდიდნენ სპარსანგელოზობას, ხოლო ორშაბათს დგებოდა დარყეობა. დარყეობაში დეკანოზობდა მორიგეობით არჩეული კაცი, თუმცა ტრადიციულად ეს ხატი ღუდუშაურებს ეკუთვნოდა.

აღდგომის მესამე კვირას მოდიოდა კვირესძლობა. ვინც შეხვეწილი იყო, ის კლავდა საკლავს და ალოცებდნენ ბალღებსა და პატარძლებს.

სნოში აღინიშნებოდა სთვლის გიორგობაც იმ დროს, როგორც გარბანში და კობში. წმინდა გიორგის ხატი ინახებოდა ნადარბაზევის ნიშში. ხატს ამ ნიშიდან გამოაბრძანებდნენ და მიაბრძანებდნენ ყანანაზს (ნასოფლარში). ხარებს კლავდნენ ნადარბაზევში, ხატების საბრძანის ნიშთან. იკვლებოდა როგორც სულდგმულები, ე.ი. დათქმული კერძო პირთა მიერ, ისე ყველა გვარისთვის სავალდებული შესაწირი.

დღეობებთან ერთად სნოში სრულდებოდა მნათეობაც. სოფელს ან გვარს უმასპინძლდებოდნენ ის მნათეები, რომლებიც ან სასოფლო ხატის ყანებით სარგებლობდნენ, ან გვარის სახატო მამულებით. სასოფლო ხატის ყანებად სნოში დამისახელეს ჯოფაჲ, კვირესუკენაჲ, ჩემშაჲ, ნაროვანი, ნაღორევი. გოდერძიშვილებს ხატის ყანა ჰქონიათ წვერის სპარსანგელოზის სახელზე.

სნოში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა იმის შემდეგ, რაც სასოფლო ეკლესიის აშენება გადაუწყვეტიათ. 1890 წელს აქ მოუწვევიათ ბერძენი ოსტატები. მათთვის გასამრჯელოს გადახდისა და მშენებლობის ხარჯების დაფარვის მიზნით სასოფლო ხატის მამულები გაუყიდიათ. ამის შემდეგ მნათეობის მორიგეობით შესრულების წესიც მოიშალა. ხატის ყანების გაყიდვის შემდეგ სოფელი ოთხ უბნად დაიყო. სამხდოს უბნობრივად მართავდნენ დღეობებზე და ხვნა-თესვის დამთავრების შემდეგ. თითოეული უბანი კლავდა ერთ ჭედილას, ხოლო სასმელ-საჭმელს კრებდნენ უბნის წევრები. ყველა უბანს უნაწილდებოდა საბალახეში მიღებული შემოსავალი.

ახალციხე და ქოსელი

ახალციხეში და ქოსელში, რომელთაც სნოს წყალი შუაზე ყოფს, სახატო დღესასწაულები უმთავრესად ერთობლივი მონაწილეობით სრულდებოდა. მათი საერთო სალოცავი იყო ახალციხის ეკლესია (IX-X ს.ს.) და სნოს წყლის მარჯვენა მხარეს მდებარე კვირეს ხატი. ორივე სოფელი ერთად დღესასწაულობდა ყველაწმინდობას ახალციხის ხატში. ერთობლივად იხდიდნენ აღდგომასაც. ყიდულობდნენ საკლავს და დღეობას მართავდნენ ახალციხის ეკლესიის ეზოში. კვირესძლობიდან ერთი კვირის შემდეგ მოდიოდა პეტრე-პავლობა. საკლავების დაკვლა ხდებოდა სახლებში, მაგრამ ქოსელ-ახალციხის საერთო სამხდო იმართებოდა საბალახეში აღებული საკლავებით. კვირესძლობიდან მეექვსე-მეშვიდე კვირაზე მოდიოდა ამაღლება (კარკუჩელთა დღეობა). ამაღლებას მოყვებოდა ღალანგურობა, რაშიაც მონაწილეობდნენ ახალციხელები, ქოსლელები, კარკუჩლები, ჯუთელები, ართხმოვლები. ღალანგურობის შემდეგ დგებოდა მარიამობა, რასაც ქოსლელები და ახალციხელები დღესასწაულობდნენ ახალციხის ღვთისმშობლის ეკლესიაში. საკლავები იხოცებოდა ეკლესიის ეზოში მდგარ ნიშთან. ხორცი სახლებში მიჰქონდათ, ვინაიდან ხარჯი ინდივიდუალური იყო. საერთო სამხდო არ იმართებოდა. სხვა სოფლებიდან მოსულ სტუმრებს კომლობრივ ინაწილებდნენ.

ათენგენობის წინა დღეს მოდიოდა შადამაგობა, რაც ძირითადად ართხმოში სრულდებოდა, მაგრამ სნოს ხეობის სოფლებიც წილდებულად ითვლებოდა. ამიტომ ამ ძლიერ დღეობას მრავალი მხვეწარი ესწრებოდა. ადგილის სახელია ხეთანაჲ _ ხეთენაჲ, ხოლო შადამაგს ეძახიან ხეთანასკენ მიმავალ გზის პირს. შადამაგი ახალციხესთანაა. მისი ძველი სახელია კლდის ფეკაი. შადამაგობაში პრიორიტეტს თვით ქერაშვილებიც ჩემულობენ, რასაც შემდეგი მიზეზით ხსნიან: ქერაშვილებს რძლად ჰყოლიათ ხევსური ქალი (ბაკალთ ქალი) სოფელ ჩირდილიდან. როდესაც ხევსური დეკანოზები ღალანგურობაზე ჯუთიდან ართხმოსკენ დროშებით გამოემართებოდნენ და ახალციხეს გაუვლიდნენ, ქერეთ რძალი თავს ვალდებულად თვლიდა პატივი ეცა ხევსურებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ ნაწმინდარ დეკანოზებს სახლში არ შეესვლებოდათ, ქერეთ რძალი მათ პურმარილს დაახვედრებდა სოფლის ნაპირზე — ე.წ. კლდის ფეკაზე. რაკი ერთხელ შესრულდა ეს წესი და ხევსურმა დეკანოზებმაც ეს გვარი დაამწყალობნეს, ამის შემდეგ ქერაშვილებმა ეს წესი ყოველწლიურ ჩვეულებად აქციეს. ქერაშვილები ყოველ ღალანგურობაზე ასე უხვდებოდნენ ხევსურებს და ხევსური დროშიონნიც ღამისთევით დგებოდნენ კლდის ფეკას ანუ შადამაგას. ამიტომ ამ ჩვეულებას შეარქვეს შადამაგობა. ქერაშვილები ერთ საკლავს დაუკლავდნენ ხევსურ დროშიონთ დაბლა (შადამაგას), ხოლო მეორეს უკვე ართხმოში. დროშიონნი კი ქერაშვილებს ამწყალობნებდნენ.

ახალციხელთა ცნობით, თავიანთი დღეობები ცალ-ცალკე ჰქონიათ გასათხოვარ ქალებს და უცოლო ბიჭებს. ქალების დღეობად ითვლებოდა ელიობა,

ხოლო ვაჟების დღეობას ერქვა კოპალიობა. პირველ დღეობაზე ქალებს საწირად მიჰქონდათ დროშაზე ასხმული მძივები. დასაკლავად მიყავდათ შეკრებილი ფულით ნაყიდი თიკანი. იმ შემთხვევაში კი, თუ იმ დროს რომელიმე ოჯახს ვაჟი შეეძინებოდა, თიკანს მას შეაწერდნენ. დეკანოზობდა გასათხოვარი ქალი, მაგრამ თიკანს დააკვლევინებდნენ რომელიმე თანასოფლელ კაცს.

ვაჟების დღეობაზე დეკანოზობდა რომელიმე ბიჭი. თიკანის ნაცვლად ვაჟები ყიდულობდნენ ბატკანს. როგორც ბალღების (ბიჭების) ხატი კოპალიაჲ, ისე ქალების ხატი ელიაჲ ინახებოდა ახალციხის ეკლესიაში. აქედან ბალღები კოპალიას, ხოლო ქალები ელიას ააბრძანებდნენ სოფლის ზემოთ მდებარე საბრძანისებში. მაგარი სასმელი სასტიკად იკრძალებოდა. ახალციხეში ჩემს მიერ ჩანაწერის ერთი ვერსიით ამ სოფლის ერთ-ერთ ხატს ეწოდება კოპალიაჲ, რასაც ერთდროულად ლოცულობენ ქალებიც და ვაჟებიც. აგვისტოს დასაწყისში ხატში მიჰქონდათ სანთლები და ქადები. ქალი დეკანოზობდა ქალების ჯგუფში, ხოლო ვაჟი ვაჟების ჯგუფში. საკლავი სავალდებულო არ ყოფილა. როგორც ჩანს ქალებისა და ვაჟების ერთობლივი მონაწილეობა მხოლოდ კოპალიობაზე და არა ცალ-ცალკე ელიობაზე და კოპალიობაზე, მოგვიანებით დაწესებული ჩვეულება უნდა იყოს.

მოხევეები, მათ შორის სნოს ხეობის სოფლების მკვიდრნიც, ადგილობრივ ხატებთან ერთად მეზობელი კუთხეების სალოცავებსაც აკითხავდნენ. ერთ-ერთ ასეთ სალოცავს წარმოადგენდა პირიმზე ფუძის ანგელოზი, მდებარე გუდამაყრის ხეობის სოფელ ჩოხში, სადაც ყოველწლიურად მონაწილეობდნენ ქერაშვილები. ქერაშვილები ასევე მონაწილეობდნენ ურთიერთმონაცვლე ხეთანობაში და ღალანგურობაში. ერთ წელს რომ ხეთაგენობა იმართებოდა, მეორე წელს ღალანგურობა სრულდებოდა. ამ დღეობებს სნოს ხეობიდან საკლავ-საწირით ესწრებოდნენ ახალციხელები, ქოსლელები, კარკუჩლები, ართხმოვლები, ჯუთელები, ხოლო სნოს ხეობის ფარგლებს გარეთ მდებარე სოფლებიდან ოდიშვილები, როგორც წილდებულები. მის მოედანზე დოღიც იმართებოდა და გამარჯვებულს აჯილდოვებდნენ.

ერთობლივი ან ერთი სოფლის დღეობებთან ერთად ქოსელ-ახალციხეში დადასტურდა სახატო მამულებით სარგებლობისა და მნათეობის ორგანიზაციის წესი. ერთი სოფლის, ან ორივე სოფლის საერთო დღესასწაულზე მასპინძლობდა ის, ვინც ხატის ყანას მოხნავდა. მასპინძლის მოვალეობაში შედიოდა ერთი ჭედილა და არაყი. სამხდო იმართებოდა ხატში ღამისთევით და მეორე დღის ბოლომდე გრძელდებოდა. გარდა მნათეს (მასპინძლის) საკლავისა, იხოცებოდა იმათი საკლავებიც, რომელთაც ეს შეთქმული ჰქონდათ. აქვე ალოცებდნენ ბალღებსა და პატარძლებს. ხორცი ხატში იხარშებოდა და იქვე მოიხმარებოდა. სახლებში ხორცის წაღება მიუღებელი იყო. ავდარში კი სამხდოს სოფელში იხდიდნენ. თუ ოჯახი მნათეობას მეორე წელსაც ისურვებდა, ხატის ყანებითაც ის ისარგებლებდა.

გარდა ახალციხე-ქოსელის ერთობლივი მნათეობისა, საკუთრივ ახალციხეს

სასოფლო 3-4 დღის სახნავი სასვილე ხატის ყანები ჰქონიათ კარისპირთ, ჭანჭახი და თებეთ რუვი. ყოველ წელს მნათედ გამოყოფილი იყო ორი-სამი კომლი, რომელთა მოვალეობას შეადგენდა სოფლისათვის გამასპინძლება. სამხდოები იმართებოდა (15 მარიამობისთვის ძვ. სტილით), შობაზე (ქრისტეშობისთვის 25-მდე ძვ. სტილით) და ათენგენობაზე (მკათათვის 13 ან 14-ში ძვ. სტილით).

იმის შემდეგ, რაც ახალციხის სახატო მამულები წყალღვარმა ჩამორეცხა, მორიგე მნათე მით ვეღარ სარგებლობდა და წესიც შეიცვალა. მორიგე მნათეს აღარ დაეკისრა თავისი ხარჯით სამხდოს გადახდა. მისი მოვალეობა ყოფილა მხოლოდ სამხდოს გადახდის ორგანიზაცია. მათ მოვალეობად დაწესდა არაყის გამოხდა კომლურად შეგროვებული თითო პინა (40 გირვანქა) ქერით. პურ-მარილიც (ხმიადი, ყველი, გასტეხელი ანუ ქადა და სანთლები) კომლობრივ გროვდებოდა, ხოლო საკლავად გამოიყენებოდა საბალახეში აღებული ჭედილები.

სხვათა შორის, ახალციხე და ქოსელი ერთმანეთთანაც ყოფილან დაპირისპირებულნი ყორას დათავისების მიზნით, სადაც არსებობდა წმინდა გივარგის ნიში, ციხე, ნასახლარები და აკლდამები. საბოლოოდ თემს ეს ადგილი ქოსლების საკუთრებად უცვნიათ იმ მოტივით, რომ ამ ადგილებში იყო მათი პატარა ეკლესია და სასაფლაო.

ადგილების ჩამორეცხვამდე თვით ქოსლელებსაც ჰქონიათ სასოფლო სახნავ-სათიბები, რასაც ადრე ორი მნათე ხმარობდა და სოფელს, რომელიც მხოლოდ ფიცხელაურების გვარით იყო დასახლებული, ერთი საკლავით და არაყით უმასპინძლდებოდა. შემდეგ მნათედ მხოლოდ ერთი ოჯახი გამოიყოფოდა, ხოლო სახნავ-სათიბის ჩამორეცხვის შემდეგ კი ქოსელში მნათეობაც გაუქმდა.

სოფელი კარკუჩა

კარკუჩა მოხევეებით დასახლებული სნოს ბოლო სოფელია, სადაც ყამარაულები და მარსაგიშვილები ცხოვრობენ. ისინი ახალციხის ეკლესიის წილდებულებად ითვლებოდნენ ქოსელ-ახალციხის მცხოვრებლებთან ერთად. ყველა ამ სოფელს ეკლესიაში საწირი შეჰქონდათ. 1890 წელს დაბადებულმა სერგო ყამარაულმა ჩემთან საუბრისას გაიხსენა, რომ ამ სოფლების მცხოვრებლებმა ეკლესიას შანდლები შესწირეს. იმავე მთხრობლის ცნობით, გერგეტლების ანალოგიურად კარკუჩის მკვიდრნი ღორებს არ იშენებდნენ და სახლის სასინათლოდაც ნავთის ლამპის ნაცვლად კვლავ ჩირაღს იყენებდნენ იმ მოტივით, რომ ყანანაზის წმინდა გიორგი მას ვერ იხდენდა სუნიანობის მიზეზით. კარკუჩიდან სხვა სოფლებში გათხოვილი ქალებიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამავე მიზეზით ღორის ჭამას გაურბოდნენ.

სოფელი კარკუჩა ამ გვარების თავდაპირველი საცხოვრებელი არ იყო. როგორც კარკუჩაში მითხრეს, ყამარაულების სამოსახლო ადგილი იყო ყანანაზი (ყანანაზაჲ), რაც სოფლად იხსენიება "გერგეტის სულთა მატიანეში" (XV ს.). ეს ისტორიული ცნობა თუ ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცნობია, სამაგიეროდ მათთვის ცნობილია, რომ ყანანაზის სიძველენი — ნასახლარ-ნაციხვარები თუ სალოცავები მათი თავდაპირველი სოფლის ნაშთებია. ყანანაზის მიტოვების შემდეგ ის წმინდა ადგილად ცნეს და ხატიც დადგეს ყანანაზის წმინდა გიორგის სახელწოდებით. ყამარაულების მეორე სამოსახლო უბანი იყო ყაი, რომლის შემადგენელი ნაწილია ქოჩეხაჲ (ქოჩეხანი). ამის დამადასტურებელია იქ შემონახული ნასახლარები. ასევე ნანგრევებად ქცეულა სოფელ ჯუთის ბოლოში კლდოვან რელიეფზე მდებარე მილო, სადაც მარსაგიშვილებს უცხოვრიათ.

იმის გამო, რომ მარსაგიშვილების ქისტეთიდან მოსვლამდე ყანანაზისა და ყაის მკვიდრნი მხოლოდ ყამარაულები იყვნენ, ადგილ-მამულების უდიდესი ნაწილიც მათ საკუთრებას შეადგენდა. თავდაპირველად მარსაგიშვილები ყამარაულების მთებს ქირაობდნენ საბალახეს გადახდის პირობით. შემდეგ კი მათ შორის მოხდა ადგილ-მამულის განკერძოება. გამიჯვნა განაპირობა მეცხვარეობის განვითარებამ, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. ამ დროისათვის და თვით საქართველოს გასაბჭოებამდე მთა ყაის ფლობდნენ ყამარაულები, ხოლო მთა მილოს მარსაგიშვილები. რაც შეეხება ქვენამთას, ის სასოფლო იყო, მაგრამ შემდეგ მარსაგიშვილებმა დაისაკუთრეს.

როგორც ხევის ყველა სხვა სოფელში, კარკუჩაშიც ჯვარ-სალოცავს ადიდებდნენ და თუ სამხდოს არ გადაიხდიდნენ, სანთლებს მაინც აუნთებდნენ, პირჯვარს დაიწერდნენ, მაგრამ დღეობას მხოლოდ ზოგიერთი ხატის სახელზე იხდიდნენ.

კარკუჩელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეობა იყო კვირესძლობა, რაც კვირეს ხატის სახელზე აღდგომიდან მესამე კვირას სრულდებოდა. კვირეს ხატი ბრძანდებოდა ნასოფლარ ყანანაზის პირდაპირ, კარკუჩის გაღმა უბნის სათავე-

ში. ამ ადგილის სხვა სახელებია პირდაპირაჲ და ვერხვები. ადგილს ვერხვები იმიტომ ეწოდება, რომ იქ ვერხვები მდგარა ხატის ტყის სახელწოდებით. საბჭოურ პერიოდში ეს ვერხვები მოუჭრიათ. კვირეს ხატში ყველა ოჯახი მონაწილეობდა. მათ შორის ვინც შეხვეწილი იყო და ხატისადმი ძღვენი ჰქონდა შეთქმული, ის საკლავად თიკანს მიიყვანდა. როგორც შეხვეწილი, ისე სხვა ოჯახების დედაკაცები დაბლა ჭალაზე თავზე ჭაჭს (ფიქალს) დაიდებდნენ და ხატში ფეხშიშველები ღამისთევით ადიოდნენ. თან აჰქონდათ სანთლები, ქადები და ზედაშენი (1 ბოთლი ღვინო). თიკანს სწირავდა ის, ვისაც თვალის ტკივილის მიზეზი გამოუვიდოდა ან ხატს პატიებას სთხოვდა უქმე დღის გატეხვის გამო. თიკნის გარდა კვირეს ხატში სხვა საკლავის დაკვლა მიუღებელი იყო. ღამისმთეველები იქვე დაჭრიდნენ ქადებს, ხოლო დაკლულ თიკანს სოფლის სასაფლაოსთან ჩამოიტანდნენ, იქ გაატყავებდნენ და იქვე მოხარშავდნენ. სმეულობაც სასაფლაოსთან ახლოს იმართებოდა. ამავე დროს იცოდნენ ბავშვებისთვის ცხრეულების გადმოყრა. კვირეს ხატში მდგარა პატარა კოშკი, რომლის შუკუნაში (სარკმელში) დებდნენ შესაწირავ ფულებს და უღლებს (ყელსაბამებს).

კვირეს ხატში ღამისთევის დამთავრების შემდეგ მლოცველები ჩამოდიოდნენ დაბლა — ჴვედის წმინდა გიორგის ხატში. იქვე თიკნის ხორცსაც მოხარშავდნენ და ამ ხატისადმი შეწირულ საკლავებსაც დაკლავდნენ. არანაკლებ ორი ჭედილისა სასოფლო იყო. დაკვლა და დეკანოზობა ყამარაულების წილხვედრილი იყო, ვინაიდან ისინი ითვლებოდნენ კარკუჩის ძველ მოსახლეებად. მორიგეობით დეკანოზობდა თითო კაცი. ამათგან დამისახელეს ბოლოდროინდელი დეკანოზები: გაგა ბეკურას ძე ყამარაული, ფიდა აბას ძე ყამარაული და კოტია ყამარაული (ტარიელეთი). სამხდო იმართებოდა ჴვედის წმინდა გიორგის მინდორზე. ავდარიც რომ ყოფილიყო, იქ ქეიფობდნენ. იქვე მდგარა პატარა საყდარი, სადაც ინახებოდა დროშები, ხატები და ზარები. ერთდღიანი სამხდოს დამთავრების შემდეგ მლოცველები თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ. კვირესძლობაზე მხოლოდ კარკუჩელები მონაწილეობდნენ. სხვა სოფლები ამ დღეობაში ნილდებულები არ იყვნენ. არც თემის მხვეწარი მოდიოდა, მაგრამ თუ ნათესავი მოვიდოდა ან ვინმე შემთხვევით შეესწრებოდა, მას შესაფერისად უმასპინძლდებოდნენ.

კარკუჩის ერთ-ერთი კალენდარული დღეობა იყო ამაღლება, რასაც იმავე დღეს სტეფანწმინდაში ქუშაშვილებიც ასრულებდნენ. ამაღლება მოსდევს აღებას. ამაღლებას ზუსტი თარიღი არა აქვს — ზოგჯერ თიბათვეში დგება, ზოგჯერ კი დაგვიანებით. ხალხის ანგარიშით კი ამაღლება მოდიოდა კვირესძლობიდან მესამე კვირაზე. ამ დღეობაზე ხდებოდა ბავშვებისა და პატარძლების ლოცება (შევედრება). საამისოდ იმდენი მამალი ბატკანი იკვლებოდა, რამდენი ბავშვი ან პატარძალიც უნდა შეევედრებინათ. როდესაც ბავშვების ლოცება იყო გადაწვეტილი, ხატში გაყვანამდე მათთვის თმების გაკრეჭვა იკრძალებოდა იმ მოტივით, რომ მახვილის (მაკრატელის) ხმარება ხატის გულისწყრომას გამოიწვევდა. ბავშვების შესავედრებლად საკლავებს კლავდნენ მათი მშობლები, ხოლო პატარძლების ლოცებისათვის საკლავი მის მამისახლს ევალებოდა. პა-

ტარძლების ლოცებისათვის წესად იყო მიღებული აგრეთვე ერთფუთიანი ქადის ხატში გატანა და დაჭრა. გარდა ბავშვებისა და პატარძლების შესავედრებლად განკუთვნილი საკლავებისა, საკლავებს სხვებიც კლავდნენ, უმთავრესად კი ისინი ვისაც ეს დათქმული ჰქონდა. ვინც პირველი საკლავს დაკლავდა, ეს სახელი იყო. არსებითად კი ამ პრიორიტეტით ყამარაულები სარგებლობდნენ, ვინაიდან შეწირვა ყანანაზის წმინდა გიორგის ხატში ხდებოდა და ეს სალოცავი ყამარაულის გვარს ეკუთვნოდა.

ღამე დგომით კარკუჩაში თითქმის ყოველ დღეობაზე, პირველ ყოვლისა ამაღლებაზე მოდიოდნენ მაისურაძეები და ჩაბაკაურები, როგორც წილდებულები. ჩაბაკაურები რატომ გახდნენ წილდებულები, ეს გაურკვეველია. რაც შეეხება მაისურაძეებს, როგორც ამის შესახებ ითქვა ტყარშეტის მონაცემების მიმოხილვისას, ისინი რაჭიდან მოსვლის შემდეგ დასახლებულან კარკუჩის ტერიტორიაზე მდებარე ადგილზე — ნადარბაზევში, სადაც ყანანაზის წმინდა გიორგის ხატიც იდგა. აღნიშნულ ვითარებას დაემატა ერთი ფაქტორიც. მაისურაძეებმა სოფელ სიონში კუთვნილი ყანა ყანანაზის წმინდა გიორგის შესწირეს. ამ დროიდან ამ ყანასაც მნათეებად გამოყოფილი ყამარაულები ხმარობდნენ. ყამარაულებს ამ უფლების შენარჩუნება შეეძლოთ, მაგრამ მათ მარსაგიშვილებიც ჩაიზიარეს. ამითი ისარგებლა ახალეთ ადიამ (მარსაგიშვილმა) და ვანა მაისურაძის (დაბად. 1850 წ.) პაპის მიერ შეწირული ყანა მიჰყიდა თავის მოკეთეს სიონელ შიო ოდიშვილს. ადიას დაჲ გათხოვილი იყო შიოს ძმა ვანიაზე. გაყიდვა მოხდა რევოლუციის წინა წლებში. შეიქმნა დავა, ამასობაში რევოლუციამაც მოუსწრო და დავაც შეწყდა.

მაისურაძეებსა და ჩაბაკაურებს ამაღლებაზე მოყავდათ ერთი ხარი და ჭედილები. თავის მხრივ მათ კარკუჩლები მასპინძლობდნენ. ღამისთევის შემდეგ, დილით მაისურაძეები და ჩაბაკაურები ადიოდნენ ყანანაზის წმინდა გიორგის ხატში, დეკანოზს დააკვლევინებდნენ საკლავებს, ხორცს იქვე მოხარშავდნენ და სუფრაზე კარკუჩლებსაც მიინვევდნენ.

ხატში სამხდოს გადახდის შემდეგ კარკუჩლები სოფელში პატიჟებდნენ მაისურაძეებსა და ჩაბაკაურებს და სტუმრად მეორე ღამესაც ტოვებდნენ. მათი გასტუმრების შემდეგ ქეიფი კომლობრივ გრძელდებოდა, რაშიაც ხევის, განსაკუთრებით კი სნოს ხეობის სოფლებიდან მონაწილეობდნენ.

სოფელ კარკუჩისა და სნოს ხეობის სხვა სოფლების (ახალციხე, ქოსელი, მიგუდა, ართხმო, ჯუთა) ერთობლივი დღეობა იყო ღალანგურობა, რაც ივლისში ტარდებოდა. 1956 წელს ეს დღეობა აღინიშნა 14 ივლისს ძველი სტილით.

ღალანგურობისათვის განკუთვნილი სალოცავი იყო სოფელ კარკუჩის პირდაპირ, მთის წვერზე, რომლის სახელწოდებაა სისხლივაკე. აქ დგას ღალანგურის წმინდა გიორგის ხატი და კოშკი. ამ სალოცავში მლოცველები ღამისთევით მიდიოდნენ და საკლავებსაც იქ ხოცავდნენ. მოხევეებში დეკანოზობდა ყამარაულთ გვარის კაცი. იქვე დეკანოზის მოვალეობას ასრულებდა რომელიმე ხევსურიც. ყოფილა შემთხვევა, როდესაც დეკანოზობა ჩანაცვლებით ხდებოდა — მოხევეს საკლავს დაუკლავდა ხევსური დეკანოზი, ან ხევსურის საკლავს

დაკლავდა მოხევე დეკანოზი. მოხევეები და ხევსურები სუფრებს ცალ-ცალკე მართავდნენ, მაგრამ ერთიმეორესაც პატიჟებდნენ.

როგორც კარკუჩაში მითხრეს, ადრე დროშის გამობრძანება კრაკუჩლებმა იცოდნენ. შემდეგ ეს დროშა შეუწირავთ ღალანგურის წმინდა გიორგის ხატისთვის, რაც ფაქტობრივად ართხმოს ეკუთვნოდა, ამიტომ დროშაც ართხმოვლების ხელში გადავიდა. სამაგიეროდ ართხმოვლები ვალდებული ყოფილა ყამარაულებისთვის ღალანგურობაზე მიერთმიათ ერთი ტიკი არაყი. წინააღმდეგ შემთხვევაში ყამარაულები ამ დროშას ართხმოვლებს წაართმევდნენ. დროშა ყოფილა ჭრელი ფერისა, ზარებიან-ზანზალაკებიანი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც პირობის შეუსრულებლობის მიზეზით ყამარაულებს ეს დროშა ართხმოვლებისთვის წაურთმევიათ და მხოლოდ პირობის აღსრულების შემდეგ დაუბრუნებიათ.

არსებული ჩვეულების მიხედვით, დღეობის დაწყებამდე ართხმოველები ჯუთაში ავიდოდნენ, იქიდან გამოაბრძანებდნენ ხატებს და კარკუჩლებს დაამწყალობნებდნენ. თავის მხრივ კარკუჩლები მათ გაშლილი სუფრით ხვდებოდნენ.

სხვათა შორის, ღალანგურობაზე პირიქითელი ხევსურებიც მოდიოდნენ. სიმთვრალეში მათ მოხევეებთან ჩხუბი უხდებოდათ. ამიტომ, მოსალოდნენ უსიამოვნებას მათ თავი აარიდეს დღეობაზე მოსვლას და სხვა წესი შემოიღეს. ისინი ერთი კვირით ადრე აწყობდნენ ღალანგურობას. ისინი ჯუთის გზაზე კლავდნენ საკლავს და შორიდან შეევედრებოდნენ ღალანგურის წმინდა გიორგის. ამის შემდეგ კი პირიქითი ხევსურეთისაკენ გაემგზავრებოდნენ.

კარკუჩაში კიდევ ერთი დღეობა ტარდებოდა ჭერხობის სახელწოდებით. ჭერხობა იცოდნენ მხოლოდ ყამარაულებმა. ამ დღეობას იმიტომ ერქვა ჭერხობა, რომ ყამარაულების სამხდო ჭერხოიან (ლასტიან) სახლში იმართებოდა. ამდენად, თვით ამ დღეობის სახელწოდება გენეტიკურად დაკავშირებულია იმ ნაგებობის სახეობასთან, სადაც ყამარაულები იკრიბებოდნენ. შესაძლებელია, რომ აქ ამგვარი ნაგებობა ადრე არც არსებულიყო. ხალხის გადმოცემით, ჭერხოიანი სახლის აქ არსებობა ხევსურული სახლის ტიპისადმი მიბაძვით აიხსნება. ჭერხოზე ასეთივე აზრისანი არიან სოფელ ფხელშეში ანალოგიური ტიპის სახლის არსებობის შესახებაც. იყო თუ არა ხევის წარსულში ამგვარი ტიპის სახლი თუნდაც ჯუთაში და ართხმოში ხევსურების დასახლებამდე, ძნელი სათქმელია. ამგვარი ტიპის სახლი თუ მოხევეებისათვის, სახელდობრ ყამარაულებისთვის მანამდე ცნობილი არ იყო, ალბათ დღეობასაც სხვა სახელი უნდა რქმეოდა და არა ჭერხობა.

ჭერხობა ათენგენობას ემთხვეოდა. ყამარაულები ლოცულობდნენ თავიანთი საგვარო ხატის — ყანანაზის წმინდა გიორგის სახელზე. ეს სალოცავი მდებარეობს ყამარაულების ნასოფლარ ყანანაზში. ამ ხატს ისინი ჯარ-ლაშქრის წინამძღოლად თვლიდნენ. ამის მაჩვენებელია დალოცვის წესიც: "გაუმარჯოს ყანანაზის წმინდა გივარგისაო, ჯარჩი და ლაშქრჩი მოარულსაო".

ვითარება რამდენამდე შეიცვალა მეცხვარეობის განვითარებასთან დაკავშირებით. მანამდე, როდესაც მთაბარულ მეცხვარეობას იშვიათად თუ ვინმე

მისდევდა და "ბაგის ცხორს" ბაგურ კვებაზე მცირედი რაოდენობით ინახავდნენ, მთა ყაის არ აქირავებდნენ და არც არავის ჭირდებოდა. ყამარაულები ამ მთას თავადვე ხმარობდნენ. იმ დროისათვის ჭერხობას ისინი ათენგენობაზე კომლობრივ მორიგეობით მართავდნენ. მასპინძლად გამოყოფილი მორიგე კომლი ვალდებული იყო გვარისათვის მიეყვანა ორი ჭედილა და მიეტანა სამი ვედრო ხარისხიანი არაყი. რაკი ჭერხო ყამარაულების ბეკურეთ მამიშვილობას ეკუთვნოდა, ჭერხობაც მის პირველ სართულზე იმართებოდა და მორიგე კომლს ევალებოდა საკლავიც და სასმელიც. გარდა ამისა, გვარში შემავალ ყველა ოჯახს ევალებოდა პურის, ქადა-ხაბიზგინის და ყველის მიტანა.

გავიდა დრო და ხევში ცხვარი მომრავლდა. ყამარაულებიდან დიდძალი ცხვარი (5000-მდე სული) მოიმრავლეს ბეკურეთ (ჭერხოს პატრონებმა). მათვე ცხვრის საძოვრად დაჭირდათ ყაი. ბეკურენი თავიანთი გვარიდან ქირაობდნენ ამ მთას და ყოველ ათენგენობაზე ჭერხობის ხარჯებს თავად ფარავდნენ. ყაი იტევდა 3000 ცხვარს. ამიტომ ბეკურენი დანარჩენ ცხვარს სოფელ კობში დაქირავებულ მთებში აბალახებდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ ყამარაულები ყაის სხვა რომელიმე სოფელს მიაქირავებდნენ, ეს სხვა დამქირავებელი ვალდებული იყო ყამარაულებისთვის მიეტანა ზემოხსენებული ძღვენი. იმ შემთხვევაში კი, თუ თვით ყამარაულებსვე დაჭირდებოდათ ეს მთა ბეკურეთ გამოკლებით, ისინი კომლობრივ შეაგროვებდნენ ფულს ცხვრის რაოდენობის შესაბამისად და ჭერხობას საერთო ძალით იხდიდნენ. ე.ი. ცხვრის მომრავლების შედეგად ადრე არსებული მორიგეობის პრინციპი დაირღვა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჭერხობა ფაქტიურად საგვარო მნათეობად იქცა, რაშიაც კარკუჩელი მარსაგიშვილები არ მონაწილეობდნენ. ფაქტობრივად ყამარაულების ჭერხობა და ათენგენობა ერთდროულად ტარდებოდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჭერხობა არსებითად საგვარო მნათეობა იყო და გვარის მდიდარი ოჯახის ხარჯით სრულდებოდა, ხოლო ათენგენობაში კარკუჩლებთან ერთად ხევსურებიც მონაწილეობდნენ.

ათენგენობაზე კარკუჩლები სოფელ ჯუთაში ხატებს ააბრძანებდნენ, ხოლო კვირა საღამოს კარკუჩაშივე ბრუნდებოდნენ. იმ ღამეს ორშაბათს ღამეს ათევდნენ შადამაგს (ადგილის სახელია). იქიდან სოფელ ართხმოში ავიდოდნენ, ართხმოდან კი ხეთანას მთას ავიდოდნენ ღამისთევით. მხვეწარი დილით ბრუნდებოდა და ყველა მოკომური ხატში დეკანოზთან მიიტანდა ქადას და სანთლებს. დეკანოზი მხვეწარს შეავედრებდა ღმერთსა და ღალანგურის წმინდა გიორგის. ვინც შეხვეწილი იყო, საკლავსაც მიიყვანდა. საკლავის ტყავი, თავი, მხარი და ქადის ნახევარი დეკანოზს ეკუთვნოდა.

ქისტური წარმოშობის მარსაგიშვილები წელიწადში ორჯერ — პირველ იანვარს და 28 ივლისს ქოთქიდალეს სალოცავში იხდიდნენ ბოჯლოგინობას — ქისტურ დღეობას. ბოჯლოგინა ერქვა ხის მოჭრელებულ საბეჭდავს — ე.წ. "ქისტურ საჭრეხელას", რითაც ხატში მისატან პურს აჭრელებდნენ. როგორც კარკუჩაში მითხრეს, ბოჯლოგინობას მხოლოდ მარსაგიშვილები ესწრებოდნენ და თანაც ამ დღეობის აღნიშვნას მორიდებით ასრულებდნენ, უხერხულობდნენ

ქისტური დღეობის აღნიშვნას.

დღეობებთან ერთად ყველა კარკუჩელი, დანარჩენ მოხევეებთან ერთად, თავს მოვალედ თვლიდა ყოველი უქმე დღე დაეცვათ იმის რწმენით, რომ ამ წესის დარღვევა გამოიწვევდა მხედველობის დაზიანებას ან ადამიანის თუ ცხოველის სხვა რომელიმე სენით დაავადებას. განკურნების მიზნით კი დოლში პირველად მოგებულ ბიჭა ბატკანს ივანე ნათლისმცემელს სწირავდნენ.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყამარაულები და მარსაგიშვილები საგვარო დღეობებთან ერთად მნათეობასაც ასრულებდნენ, მაგრამ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივად. ჩვეულებისამებრ მნათეობდა ის, ვინც ხატის ყანით სარგებლობდა.

ხატის ყანად სახელდებული ყველა ნაკვეთი (პირდაპირანი — 3 დღიურისა უღელი ხარით, დიდი ყანა — 3-4 დღიურისა და ჩხატის კარაი — 1 დღიურისა) შენირული იყო ყანანაზის წმინდა გიორგის სახელზე. ეს სალოცავი ყამარაულებს ეკუთვნოდა, მაგრამ ორივე გვარი მის სახელზე შენირულ ყანებს მორიგეობით ხნავდა და მნათეობაშიც მორიგეობით მონაწილეობდა. თითოეული გვარიდან მნათედ თითო კომლს ირჩევდნენ. მნათეები ერთობლივად ამუშავებდნენ ხატის ყანებს და მნათეობაშიც მორიგეობას აწესებდნენ, რაც წილისყრით ხდებოდა. ამის შესაბამისად ერთი მნათე სოფელს უმასპინძლდებოდა ახალწელზე, ხოლო მეორე მნათე აღდგომაზე. ყოველ მნათეს ევალებოდა სამხდოს გადახდა თავისი ხარჯით. მისი იყო როგორც საკლავი, ისე სასმელი. ძველად სცოდნიათ ლუდის გამოხდაც, მაგრამ 1890 წელს დაბადებული სერგო ყამარაული ლუდის დაყენების პროცესს ვერ მოსწრებია. ყამარაულებს დიდხანს ჰქონიათ შემონახული სალუდე ქვაბი, მაგრამ ლუდის დუღების შენყვეტის შემდეგ ქვაბი ხევსურეთში გაუყიდიათ.

ხალხური სანახაობანი
(ბერიკაობა და ყეენობა)

ხალხურ სანახაობათა შორის ხევში ყველაზე უფრო კოლორიტული ხასიათის მატარებელი იყო ბერიკობა (ბერიკაობა) და ყეინობა (ყეენობა). პირველი მათგანი ბალღების მიერ სრულდებოდა, ხოლო მეორეში ზრდასრული ადამიანები მონაწილეობდნენ. ბერიკაობა იმართებოდა ყველიერში. ყველიერი კი დამოკიდებული იყო აღდგომაზე.

მოხევის გაგებით ბერიკა მასხარასთან იყო გაიგივებული. ამიტომ ცდილობდნენ, რომ ბერიკას სასაცილო ჩაცმულობა და "ფერუმარილი" ჰქონოდა. ერთ ბერიკას რომ გამობრუნებულ ტყაპუჭს აცმევდნენ, მეორე ბერიკას ნაბდის "მასკარადს" თავზე ჩამოაცმევდნენ ისეთნაირად, რომ მხოლოდ თვალები და ხელოვნურად მიბმული გრძელი ცხვირი გამოსჩენოდა. ერთ-ერთი ბერიკა ნახშირით გამურული უნდა ყოფილიყო. ასეთნაირად გამოწყობილი ბერიკების "შეიარაღებას" შეადგენდა ხისაგან გამოჩორკნილი და ტანსაცმელზე უალაზათოდ ჩამოკიდებული "ხანჯლები", "დამბაჩები" და "თოფები". ხელში ეჭირათ ჯოხები. ბერიკების ჯგუფში იმყოფებოდა მეფანდურე, რომელიც საცეკვაოს უკრავდა და ბერიკებს აცეკვებდა. ერთ-ერთ მოცეკვავეს კაბას აცმევდნენ და წყვილთა ცეკვის დროს მას ქალურად ცეკვას ასრულებინებდნენ.

ბერიკაობა ხევის ყველა სოფელში იმართებოდა. პატარა სოფელში ბერიკების მხოლოდ ერთი ჯგუფი მოქმედებდა. დიდ სოფლებში კი ბერიკაობა უბნობრივ ეწყობოდა; ყოველი უბანი ბერიკაობას მეორე უბნიდან დამოუკიდებლად მართავდა.

ბერიკაობაში მონაწილე ბალღები ერთ რომელიმე სახლში შეიკრიბებოდნენ, რასაც შაყრილობაᲘ ერქვა. აქედან რომ გამოვიდოდნენ, ყველა ოჯახს სიმღერით "შაუძრახავდნენ".

ალათასა, მალათასა, კვერცხი უნდა კალათასა,

ერთი კვერცხი ჩვენც მოგვეცით, ღმერთი მოგცემსთ ბარაქასა.

ამ სიტყვების გახმაურებასთან ერთად ფანდურის ხმაზე ცეკვავდნენ. ასე შეაგროვებდნენ კვერცხს, ერბოს, ყველს, ხორცს, ფქვილს. თუ რომელიმე ოჯახი არაფერს გაიმეტებდა, მას მსუბუქი იუმორით კილავდნენ. ფაქტიურად უარს არავინ ეუბნებოდა. შეგროვილი სურსათით ბერიკებს საჭმელებს მოუმზადებდა იმ ოჯახის დიასახლისი, სადაც ბერიკები იკრიბებოდნენ.

ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც დიდი სოფლის სხვადასხვა უბნის ბერიკებს შორის ბრძოლა იმართებოდა. დამარცხებული გუნდი ივალდებულებდა გამარჯვებულისთვის "ხარკის" გადახდას სურსათის ნაწილის სახით.

* * *

ყველიერშივე — თებერვალში ან მარტში იმართებოდა ყეენობაც. თუ ხორციელი გრძელი იქნებოდა, მისი გათავების შემდეგ ეწყობოდა ყეენობა. ხორციელის ვადა იყო ხან ხუთი კვირა, ხან ცხრა კვირა და ხანაც ორი თვე. ყეენობა ორშაბათ-სამშაბათს შემზადდებოდა და ოთხშაბათს გადმოვიდოდა. პირისდაჭერის დღე რომ დამთავრდებოდა, ყეენობაც თავდებოდა. ორშაბათს მარხვა დგებოდა და სახსნილოც იკრძალებოდა. ეს ტრადიციული სანახაობა იმდენად პოპულარული იყო, რომ ის საბჭოთა პერიოდშიც ფუნქციონირებდა.

ამ მრავალმხრივ საყურადღებო სანახაობას ხევის ყველა სოფელში აწყობდნენ, მაგრამ განსაკუთრებული პომპეზურობით ის სრულდებოდა გერგეტში და სტეფანწმინდაში. სანახაობის მსვლელობაში მონაწილეობდნენ სხვა სოფლების მკვიდრნიც, უმთავრესად სიონლები, მაგრამ პრიორიტეტით სარგებლობდნენ გერგეტლები, როგორც საყდრიშვილები.

სანახაობა ერთ კვირამდე გრძელდებოდა და ამ პროცედურას სხვადასხვა ეპოქაში ნაგულისხმევი პერსონაჟები განასახიერებდნენ. გერგეტელთა თაოსნობით ამ სანახაობის პირველი დღე ლხინით აღინიშნებოდა. რომელიმე სახლის ბანზე იმართებოდა ცეკვები, რიტუალური ქმედებები, სრულდებოდა "დიდებაჲ" და "სმურები".

ცეკვების დაწყებამდე უფროსი კაცები ბანზე გაშლილ სუფრას შემოუსხდებოდნენ და ტრადიციული სადღეგრძელოების ჩამოტარების შემდეგ "დიდებას" სიმღერით სამჯერ შეასრულებდნენ. პირველად შემოსძახებდნენ:

"ოოო დიდება ღმერთსა და წმინდა სამებასა"... მეორედ იტყოდნენ: "დიდია წმინდა სამება, ცისკიდურამდე ელავსო". "დიდებას" მესამეჯერ დაემატებოდა: "დიდება წმინდა გივარგისა, ბეთლემჩი ბზანებულსა".

"დიდებას" მოყვებოდა "სმური":

"ცხენზე ზის წმინდა გივარგი,
სიფიცხით ნიავ-ქარია... და ქარია...
ჴელჩი უჭირავს მათრაჯი
შვიდკეცი, შვიდი მჯარია.
რასაც გადახკრა წვეულებს...
გადასწვდა... მაგის დაკრული მცხარია".

ამასთან ერთად სრულდებოდა "სმურის" მეორე ვარიანტიც:

"დაიძრა დიდი სულთანი, სულ შაძრა მთა და ბარია,
ჩამაკდა რეშის წყაროსა, ადგილო ხპოვნა ბარია,
წყალნი გასწყვიტნა სასმელად, ბალახნი საძოვარია.
თევზნი გასწყვიტა წყურვილმა, ცხენ-ცხორი, ძროხა, ჯორია.
ეს რო მოხსენდა რუსუდანს, გასწყრა ის დედოფალია.
დაჯდა, დასწერა ქაღალდი, შვიდკეცი, შვიდი მჯარია;
_ ეს ქუჯთა ნეფეს მიართვით, სამი სიტყონი ჩემნია;
ან თქვენ იყვენით მამანო, ან ჩვენ შოგომბით ჴმალია".

უფროსი კაცები რომ სუფრას უსხდნენ, ახალგაზრდა ვაჟები და ქალები

ფერხულს ჩააბამდნენ და ნელი ნაბიჯით იწყებდნენ წრიულ მოძრაობას. რიგის ერთ მხარეს დგებოდნენ ხელიხელგადახვეული კაცები, ხოლო მეორე მხარეს ქალები. ფერხულში 60-მდე კაცი და ქალი ებმებოდა.

ფანდურით ან გარმონით საცეკვაოს რომ დაუკრავდნენ, წრეს გამოეყოფოდა და შუაგულში აცეკვდებოდა რომელიმე თავმომწონე ვაჟკაცი. რამოდენიმე საცეკვაო ილეთის შესრულების შემდეგ ის წრიდან გამოითხოვდა რომელიმე მოწონებულ ქალს და გაგრძელდებოდა წყვილთა ცეკვა, რასაც ხევში თამაშობა ერქვა. ზოგჯერ ამ თამაშობაში ერთდროულად ორი წყვილი მონაწილეობდა. საცეკვაო ასპარეზს ქალები უფრო ადრე ტოვებდნენ და მოცეკვავე ვაჟები სხვა ქალებს გამოითხოვდნენ. ცეკვის პროცესში ვაჟები ზოგჯერ მოცეკვავე ქალებს შეიცვლიდნენ, მაგრამ არა ქალების ნებაყოფლობით, არამედ ერთ-ერთი ვაჟის ინიციატივით. შემდეგ მათ სხვა წყვილები ენაცვლებოდნენ, მაგრამ თუ ქალები ფერხულის წრეს დაუბრუნდებოდნენ, უქალებოდ დარჩენილი ვაჟები თავბრუდამხვევი ტემპით ცდილობდნენ ერთიმეორის დაღლას.

წყვილთა ცეკვის დამთავრების შემდეგ იმართებოდა ორსართულიანი წრიული ფერხული ვაჟების მონაწილეობით. ექვსი ღონიერი ვაჟკაცი რომ პირველ წრეს შექმნიდა, მათ მხრებზე შეადგებოდა ხელიხელგადახვეული ექვსი მოცეკვავე. ამგვარ ცეკვას ერქვა აბარბარე-ბარბარე. ქვედა წრე ნელი ნაბიჯით წრიულად მოძრაობდა, ხოლო ზედა წრე წაუმღერებდა: "აბარბარე-ბარბარე, ნუ ჩომოგყრით მალ-მალე". ამ დროს წრის შუაგულში იდგა მეკოდე. მას ედგა ქვაბი ლუდით და ლუდს კათხით აწვდიდა მეფერხულეებს. ქვედა წრე შეუძრახავდა: "თუ ჩამაყრა არ გინდათ, ლუდი გოსონ მალ-მალე". მაგრამ ეს პროცედურა დიდხანს არ გასტანდა. პირველი წრის მოცეკვავეები "დატმუკდებოდნენ", მხრებზე მდგომთ ჩამოყრიდნენ, მაგრამ წრიული ფერხული კვლავაც გრძელდებოდა. შეკრული წრის შიგნით ჯდებოდა ერთი დედაკაცი, რომელიც დადებდა ორ დიდ-პატარა ქვას. დიდი ზომის ქვას მიწაზე დადებდა, ხოლო ზემოდან პატარა ქვას ისე არწევდა, როგორც სადღობელს. ამითი ის ასრულებდა კარაქის დღვების პროცესს. ამის მოქმედ დედაკაცს ერქვა "დათუაჲ", რომელსაც წრეში მდგომი ქალები შეუძახებდნენ: "დათო, დათო, ჩვენო დათო, დონი დროზე შოგვიდღვიბე". ისიც განაგრძობდა დღვების პროცესს. ქალები მას შემდეგ შეუძახებდნენ: "დათო, კოვზ-ბაკანი დოგილაგე, ჩვენო დათუაო". ისიც იწყებდა ქვების დალაგებას. შემდეგ ფერხულის შიგნით შევიდოდა მეორე კაბიანი ქალი, როგორც ვითომც მდღვებავის ქმარი. მასაც სიმღერითვე შეუძრახავდნენ: "დათო, ძუძუები მოუძებნეო". "ქმარიც" მდღვებავს მკერდზე ხელებს წაუფათურებდა. ამის შემდეგ "ქმარს" კვლავ შეუძრახავდნენ: "დათო, ქალს კოჭი მოუძებნეო". ისიც წრეში ხან ერთ ქალს მივარდებოდა, ხან მეორეს ფეხში სტაცებდა ხელს. სიმღერითვე ეტყოდნენ: "დათო, ქალი ამოირჩიეო". ისიც რომელიმე ქალს ხელს სტაცებდა და წრეში შეითრევდა. წრის შიგნით მყოფ "ცოლს" კი გარეთ გამოაგდებდა. "ქმრად" მყოფი დათუა ხუმრობას განაგრძობდა ახლად შემოყვანილთან და ა.შ., ხოლო შემდეგ კი ორივე დათუა ფერხულში დგებოდა.

როდესაც წრიული ფერხული კვლავ ამოძრავდებოდა, წყვილთა ცეკვაც განახლდებოდა. ფერხულიდან წყვილი და წყვილი გადადიოდა საცეკვაოდ. თანაც წრის გარეთ კაცი დგებოდა მათრახით ხელში და ყველას აიძულებდა საცეკვაოდ გადასვლას. მეფერხულეები კი აგრძელებდნენ რითმულ მოძრაობას და სიმ-

ღერას. სასიმღერო რეპერტუარში შედიოდა საგმირო და სახუმარო ლექსები. სიმღერა სრულდებოდა გარკვეული რიგით. სიმღერას რომ კაცები დაიწყებდნენ, ქალები მისძახებდნენ, ანდა პირიქით. იცოდნენ საფერხულო წრის ორად გაყოფაც და შაირობაში შეჯიბრიც.

ყეენობაში მონაწილეობდნენ თვით არაბად წარმოდგენილი ყეენი, მის ცოლად წოდებული "დედუფალი" (დედოფალი), მათი ერთი ან ორი ქალიშვილი და ექიმი. ყეენთან ერთად ფიგურირებდა კიდევ ერთი არაბიც, რის გამო ყეენობის დროს წაუმღერებდნენ: "ყეენს ჰყვანია არაბი, განთქმული ქვეყანაზედა". ყეენს ექვემდებარებოდა რუსებად ნაგულისხმევი ერთი გენერალი, ექვსი ოფიცერი, "ატუტანტი" (ადიუტანტი), "ნაბლიუდატელი" და ჯარი. "ნაბლიუდატელის" ფუნქციას შეადგენდა დაზვერვა ბინოკლით ხელში, რათა მოსალოდნელი მტრისაგან დაეცვა ყეენი და მისი ამალა. ყეენის უფლებამოსილების ემბლემად მიჩნეული იყო ქამარზე ჩამოკიდებული ლახტი. დანარჩენების შეიარაღებაში შედიოდა ნამდვილი ხმლები, ხანჯლები, თოფები და "ზარბაზანი". ლულად გამოიყენებოდა ზომაზე მოჭრილი რკინის მილი. მას ნაცრით ტენიდნენ, ლულაში შეყოფდნენ თოფის წამლით გატენილ "ბერდენკას" ტუჩს და თოფის წამლის ფეთქებით ნაცარს ააბუნგლებდნენ.

ყეენობაში მონაწილე ამგვარი შემადგენლობა გულისხმობდა სხვადასხვა ეპოქის მოძალადეთა ქმედებას. ყეენობის ინსცენირებაში ერთდროულად მოქმედებდნენ ძირითადად არაბები და რუსები, რითაც გაცნობიერებული იყო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ არაბობის და რუსიანობის ხანაში.

ყეენობის პროცესში გამოიყენებოდა როგორც ბაირაღი (ბაირახი), ისე დროშა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ზომით, გამოსახულებით, ფერით და ფუნქციით. ხალხის განმარტებით ბაირაღი იყო "ჯელმწიფური" დროშა. მწვანე ფერის ბაირაღზე გამოსახული ყოფილა ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი. ის იმდენად დიდი ზომისა ყოფილა, რომ ცხენოსანს მისი ტარება უმძიმდა. მოხევეები ფიქრობენ, რომ ის რომელიღაც ქართველმა მეფემ შემოსწირა წმინდა სამებას. ვინაიდან წმინდა სამება სოფელ გერგეტს ეკუთვნოდა, ეს დიდი ბაირაღიც მხოლოდ გერგეტელთა ყეენობაში გამოიყენებოდა. ბაირაღისაგან განსხვავდებოდა მცირე ზომის დროშა შინდისფერი ფარჩის ნაჭრით ყოველგვარი გამოსახულების გარეშე. ყეენობაში ასევე გამოიყენებოდა ჯარისთვის განკუთვნილი სამი მწვანე ფერის დროშა. გასაბჭოების შემდეგ ყეენობაში შემოუღიათ წითელი ფერის დროშაც.

ყეენი იჯდა ეტლში, რომელშიაც შებმული იყო ორი ცხენი ფაფარზე მიბმული წითელ-ყვითელი "ტყლაპებით" (ჩვრებით). ეტლში ყეენის მარჯვნივ იჯდა "ატუტანტი", ხოლო მარცხნივ მისი ცოლ-შვილი. ეტლის კოფოზე იჯდა "კუჩერი". უნაგირით აკაზმულ ცხენებზე ისხდნენ გენერალი, ოფიცრები და ჯარისკაცები. თითოეულ "ვზვოდს" წინ მიუძღოდა ოფიცერი. "ვზვოდები" დაყოფილი იყო უფრო პატარა ქვედანაყოფებად, რომლებსაც მეთაურობდნენ ოფიცრების ხელქვეითები. ოფიცრებს ბრძანებას აძლევდა გენერალი, ხოლო ოფიცრები მის ბრძანებას გადასცემდნენ ჯარს.

ყეენს თავზე ეხურა შაქრის თავივით მოყვანილობის ქაღალდის ფოჩებიანი ქუდი. ტანთ ეცვა შავი ფერის ფარაჯა სარტყლად შემორტყმული წითელი ფერის გრძელი ნაჭრით. ღიპის გამოსაჩენად ფარაჯის შეიგნით ტენიდნენ ჩალას. ფეხ-

ებზე ეცვა წულები ან კარგი "ქალბნები" (ქალამნები). ყეენს რომ ხანდაზმული კაცის იერსახე მისცემოდა, მას უკეთებდნენ თეთრი ან ჭაღარა კაცის დიდ გაფოფრილ წვერ-ულვაშს. ამგვარად შემოსილი ყეენი ხელში ჯოხით, აბოლებდა 50 სმ სიგრძის ყალივანს.

დედუფლად წოდებულ ყეენის ცოლს მოხდენილად აცმევდნენ მოხეურ საუკეთესო "ტარავალს". ყელზე უკეთებდნენ მძივებით დამშვენებულ "ყელსადებს". თავზე ხურავდნენ შალ-მანდილს. მხრებზე წამოასხამდნენ თბილ შალს. მას ხელში ეჭირა კრიალოსანი და მას ათამაშებდა.

ასევე კარგად მორთავდნენ ყეენისა და დედუფლის ქალებს. მათ აცმევდნენ მოხეურ საზეიმო "ტარავალს", ყელზე აბამდნენ მძივებით მორთულ "ყელსადებს". თითებს უმშვენებდნენ ძვირფასი ბეჭდებით. გულ-მკერდზე ამაგრებდნენ ბროშკებს. ხელში იმათაც ეჭირათ კრიალოსანი.

სასაცილოდ მოსავდნენ ყეენის არაბს. ტანზე აცმევდნენ ცხვრის ტყავის გამობრუნებულ ქურქს. ის რომ მოკუზული ყოფილიყო, ქურქის ქვეშ უყენებდნენ ჩალისგან შეკრულ კუზს. ტყაპუჭზე ქამრად არტყამდნენ საბლის ნაგლეჯს. ქამრად შემოკრულ საბელზე ულაზათოდ ჰქონდა გადმოკეცილი ტყაპუჭი ისე, რომ ის მუხლებამდე დასწვდომოდა. ფეხებზე აცმევდნენ მოხეურ "ძირახლებს" (ტყავის ქალამნებს) ან წულა-მეშტს. თავზე ხურავდნენ ცხვრის ტყავის გამობრუნებულ ქუდს. სახეზე უსვამდნენ "ღუჭას" (მურს). მის იარაღს შეადგენდა ლახტი, შუბი, ხანჯალი და თოფი ("ბერდენკაჲ"). ატარებდა ბინოკლსაც.

გენერალის სამოსს შეადგენდა დაახლოებით ისეთივე მუნდირი, როგორსაც ძველად რუსი გენერალი ატარებდა. საამისოდ შოულობდნენ ლურჯ პალტოს, რომლის მხრებზე აკერებდნენ ბრჭყვიალა პაგონებს თავისი ვარსკვლავებით.

ოფიცრებს დაახლოებით ისე მოსავდნენ, როგორც ძველად სცმიათ ყახაზ ოფიცრებს. ასევე ძველებური რუსულის მიბაძვით კაზმავდნენ ჯარისკაცებსაც.

ყეენის ადიუტანტს ეცვა ჩოხა-ახალუხი მხრებზე მიკერებული პაგონებით. ჩოხაზე შემორტყმული ჰქონდა შევერცხლილი სარტყელი მასზე ჩამოკიდებული ხანჯლითა და დამბაჩით. მხარზე გადაგდებული ჰქონდა თოფი. თავზე ეხურა მოხეური პირიანი ქუდი. ფეხებზე ეცვა წულა-მეშტი.

ხევში მასალის ჩანერის პერიოდში (1959 წ.) შემთხვევა მომეცა მომესმინა ყეენობაში მონაწილეთა ნაამბობი. ერთ-ერთი მათგანი იყო შესანიშნავი მთხრობელი ივანე პავლეს ძე ეფხოშვილი, ძირად ღუდუშაური, რომელმაც გაიხსენა ყეენობაში მონაწილე პერსონაჟები თითოეული მათგანის ფუნქციის ჩვენებით. როგორც მან მაცნობა, მისი ბავშვობის პერიოდში სტეფანწმინდაში ყეენის როლს ასრულებდა მისო ჩოფიკაშვილი (მთხრობლის თანატოლის ლევანეთ ვანოს მამა). მისივე ცნობით, მისოს შემდეგ სხვადასხვა დროს ყეენობა ევალებოდათ ბადა ქავთარაშვილს, შიუკა ფიცხელაურს, ფიდო ქუშაშვილს, ვანია ფიცხელაურს, ხოლო ყეენობის შესრულების ბოლო პერიოდში სვიმონ ჩქარეულს. არაბის ფუნქციას ასრულებდნენ: ივასება ღუდუშაური, სვიმონ ფიცხელაური (შავხალეთ სვიმანაჲ) და იაგორ ხაიკაშვილი. ადიუტანტის როლში იმყოფებოდნენ: ზაქრო კაზალიკაშვილი, ვანია ფიცხელაური (თოლიკეთი) და ვანო ჩოფიკაშვილი (ლევანეთი). გენერლობა მინდობილი ჰქონია მიხეილ ალიბეგაშვილს. ოფიცრის მუნდირით იმოსებოდნენ: ილია ჩოფიკაშვილი, ნიკალა ჩოფიკაშვილი, ვანკა გიგაური, იაგორა ჯამარჯაშვილი და ფიდო ჯამარჯაშვილი. "ნაბლიუდატ-

ელის" როლის შესრულება ევალებოდა თვით მთხრობელს ივანე ეფხოშვილს.

ივანე ეფხოშვილი განსაკუთრებული ხალისით მაცნობდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების წესს. როგორც მან მაუწყა, "ნაბლიუდატელად" მისი ყოფნის პერიოდში ყეენობა მოაწყო თოლიკეთ ვანიამ და ყეენობაც მანვე ივალდებულა. სიზუსტისათვის ვიმოწმებ ივანე ეფხოშვილის ნაამბობს თავისი მოვალეობის შესახებ: "დურბინით ვიყურებოდი რო მტერს არ დევეზიანეთ. რო გავიქციკე, ჯღრიალი გაჰქონდა ჯვრებს, რომლებიც გულზე მეკიდა. ჯეშტის ჯვრები გააკეთა თოლიკეთ ვანიამ და ნაირნაირად შაღება. ჭყრიალაჲ პაგონებიც მეკერა. ქელის ხერხი ბურდოდ შაღებილი ტარით ტოლის ბუდეში მქონდა ჩადებული და ისრი ჩამაკიდებული მაუზერის მაგივრად. როგორც ჯვრები, ისე ეს მაუზერი სახალხოდ მაჩუქა ყეენის ატუტანტმა ლევანეთ ვანომ. 50 თუმანი (5 ათთუმნიანი) ნიკალას ფულიც მამცა ჯილდოდ. ეს ჯილდოები რო გადმომცა ატუტანტმა, მდაბლად დამიკრა თავი და სახალხოდ მადლობის ნიშნად მითხრა — კარგა მსახურობო ჩვენი ყეინის მცველოვო. მამრე ჯარს მიუბრუნდა და მოახსენა — ამისგნით არა გაფუჭებულარაო". შემდეგ მან განაგრძო: გასაბჭოებამდე ყეინობაჩი ნამდვილ იარაღს ვიყენებდით. როცა ესენი (ე.ი. ბოლშევიკები — ვ.ი.) შამოვიდეს, მაუზერების მაგივრად ხერხი დავიკიდითკე. ერთხელ დიდი ყეინობა გაიმართა. რაიკომის მდივანმა გვითხრა — რაჲსთჳ აკეთებთო. იმას დახპატიჯა თოლიკეთ ვანიამ. მდივანი გაჯავრდა, მაგრამ ვანიამ განუმარტა და დაამშვიდა: ძველს დროს დავსცინითო. ეს მარტო აქ კი არა, მთელს საქართველოჩი იციანო. მდივანიც გაჩუმდა.

სტეფანწმინდაში ყეენისა და მისი ამალის მორთულობა ინახებოდა ჩოფიკაშვილების (გუგუეთ) კოშკში. ივანე ეფხოშვილის ხსოვნით მისი პატრონობა ევალებოდა გუგუეთ ნიკალას. მორთულობის ნაწილი ნაყიდი იყო, ხოლო ნაწილიც შეწირული ყეენობის მონაწილეთა მიერ.

გუგუეთ ციხესთან მიდგმული სამი სახლის ბანზე ხდებოდა როგორც ყეენის, ისე მისი ამალის მორთვა-შეიარაღებაც. იმის შემდეგ კი, რაც ეს სახლები გადააკეთეს და თუნუქით ან კრამიტით გადახურეს, ყეენობის მოსამზადებლად გადაინაცვლეს ფიცხელაურების (ისმელეთ) საჩალეში. თუ ადრე გუგუეთ სახლებში სამზადისთან ერთად საქეიფოდ სასმელ-საჭმელიც გროვდებოდა, შემდეგში ყოველივე ეს ისმელეთ საჩალეში სრულდებოდა. ყეენობის ყოველი მონაწილის ოჯახს ევალებოდა სამი ლიტრა არაყის და ერთი ქადის, ანდა ქადის ნაცვლად ექვსი ხაბიზგინის მიტანა. მთხრობლის ხსოვნით, მიტანილი სურსათ-სანოვაგით ორი ოთახი ივსებოდა. შეწირულების სახით მიყავდათ საკლავიც (ცხვარი, ხბო, მოზვერი), რომლის რაოდენობა 15-16 სულს აღწევდა. ყოველ ოჯახს უნდა გაეთვალისწინებინა თემის სტუმრის მონაწილეობაც, რისთვისაც განკუთვნილი იყო დამატებით არაყის მიტანა და თოხლის ან ხბოს მიყვანაც. სტუმარს ძღვენის მირთმევა არ ევალებოდა. ყეენობაში მონაწილეებთან ერთად პატივისცემას ივალდებულებდნენ დანარჩენი სტეფანწმინდელებიც. სტუმრის წილ პატივისცემას კისრულობდნენ არა მარტო ყეენობის მონაწილეები, არამედ ყველა ის სტეფანწმინდელიც, რომელიც ყეენობაში არ მონაწილეობდა. ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც სტუმარი ყეენობის მონაწილეთა ქეიფს არ დაესწრებოდა, ყოველი სტეფანწმინდელი სტუმრის წილს აუცილებლად ივალდებულებდა 3 ლი-

ტრა არაყით და ერთი ქადით ან ქადის შემცვლელი 6 ხაბიზგინის სახით. ხორცს ხარშავდნენ საარაყედ განკუთვნილ ფარდულში — ე.წ. "საქობეში". მზარეულებად გამოყოფდნენ კაცებს. მთხრობლის ცნობით ამ მოვალეობას ასრულებდნენ ნიკალა ხეთაგური, მიხელა ფიცხელაური (შავხალეთი) და კოტე ალიბეგაშვილი (ცაცვეთი). მიტანილ პატივისცემას აღნუსხავდნენ წერა-კითხვის მცოდნენი: მთხრობელს ასეთებად ახსოვს ნადიაკვნარი ალექსა ღუდუშაური (ყაზიეთი) და სანდრო ალიბეგაშვილი. სუფრაზე საჭმელების მიტანა ევალებოდა 7-8 ახალგაზრდას. ამასთან ერთად, სტეფანწმინდელ სიძეებს ზურგზე აკიდებდნენ არაყით სავსე ტიკებს, ხოლო ისინი სუფრის წევრებს ყანწებით სთავაზობდნენ არაყს. შეშით მომარაგებაც ახალგაზრდებს ევალებოდათ, ხოლო თულუხებით წყლის მოტანა პატარძლების მოვალეობას შეადგენდა.

როდესაც სასმელ-საჭმელი მომზადდებოდა და ყეენსა და მის ამალასაც შეკაზმავდნენ, გაიშლებოდა სუფრა. მას შემოუსხდებოდნენ უფროსი კაცები, ყეენი, მისი ცოლ-შვილი, ადიუტანტი, ნაბლიუდატელი და გენერალი. სუფრის თავში ჯდებოდნენ უფროსი კაცები. რა სადღეგრძელოებსაც ისინი იტყოდნენ, ყეენიც თანხმობის ნიშნად უჩუმრად დალევდა. ყეენი რაკი თათრის წესზე იყო, გვერდზე უსხდენდნენ ჩადრიან ქალებს. უხუცესი კაცი დალოცავდა მუშა ხალხს, მხვნელ-მთესველს, ცხორ-მეცხორეს, მიწას, ცას და მთელ საქართველოს. როდესაც ღვთისას და უფლისას დალევდნენ, ყველა ფეხზე დგებოდა. ყეენი კი ამ დროს გაუნძრევლად იჯდა, თითქოს ეს ლოცვა-ვედრება არ გაეგონოს. ცალ-ცალკე იშლებოდა პატარ-პატარა სუფრა ოფიცრებისა და ჯარისთვის. საგანგებო ყურადღება ექცეოდა სოფლის სტუმარს. მათ ცალკე უშლიდნენ სუფრას და ემსახურებოდნენ ზეზამდეგები ანუ თავსმდგომარენი. ახალგაზრდა ბიჭები და ქალები სუფრასთან არ ჯდებოდნენ. ისინი ფანდურის ან გარმონის დაკვრით ტაშ-ფანდურას მართავდნენ.

გარკვეული ხნის შემდეგ ყეენს ეახლებოდა ორი ჭაბუკი. ისინი იღლიებში ხელების ამოდებით "გადუყეებულ" (დაღლილ) ყეენს წამოაყენებდნენ და ცოლ-შვილთან ერთად "გაასეირნებდნენ". მათთან ერთად გასეირნებაში მონაწილეობდნენ ადიუტანტი, ნაბლიუდატელი და გენერალი. ყეენს უკან მიყვებოდა ხმალშემართული სამი მცველი. ზოგი მას ლაბარის კონებით უნიავებდნენ ბუზების მოგერიების მიზნით მაშინ, როდესაც თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში ბუზი არ არსებობდა. ყეენის გასეირნებისას ჯარი ორად იყოფოდა, რომ მისთვის გზა გაეხსნათ. წინ გაიჭრებოდა ტყაპუჭიანი არაბი. კივილ-ჭყივილით და მუშტების ქნევით ის მტერს ემუქრებოდა. არაბს უკან მიყვებოდა ნაბლიუდატელი და მალ-მალე ბინოკლით იყურებოდა. ის თუ მტერს შენიშნავდა, ჯარისკაცს მიაგზავნიდა მეზარბაზნესთან და გადასცემდა გენერლის ბრძანებას, რომ მას ზარბაზანი გაესროლა მოსალოდნელი თავდასხმის მიმართულებით. მეზარბაზნეც (მთხრობლის მახსოვრობით, მეზარბაზნედ გამოყოფილი ყოფილა ჯარში მეზარბაზნედ ნამყოფი კოტე ხეთაგური) დავალებას შეასრულებდა. მას ზარბაზნად მომზადებული ჰქონია ურმის ღერძზე და თვლებზე აღმი დამაგრებული წყალსადენი მილი. ზარბაზნის ლულაში ყრიდნენ ნაცარს და დენთს. ლულაში თოფის ტუჩის შეყოფისა და საფანტის გასროლის შედეგად ნაცარი "აბუნგლდებოდა" და ამითი საბრძოლო დავალებაც შესრულდებოდა.

სტეფანწმინდიდან ამალა რომ დაიძრებოდა, მას უფროსი კაცები გზას ულოცავდნენ: "ჩვენმა წვერის სპარსანგელოზმა კარგა გავლიასთ, ,ელი მაგიმართათ, უშაროდ გამგზავრათ, მტერზე გამარჯვებულიმც იქნებით". უფროს-უმცროსობით რამდენიმე სადღეგრძელოს დალევდნენ. ბოლოს წმინდა სამებისაკენ გაიხედავდნენ და ხელების მაღლა აპყრობით უფროსი კაცები კიდევ ერთხელ იტყოდნენ: "ამისმა დავლათმა მშვიდობიანად გავლიასთ". ყეენი სამადლობელს შესვამდა. ამის შემდეგ გზად გაემართებოდნენ. პირველად გაჩერდებოდნენ სოფელ აჩხოტთან, მაშინ იქ მდგომ კაზარმასთან. აჩხოტელები აქ გაშლილ სუფრას დაახვედრებდნენ. ყეენობის მონაწილენი მხოლოდ თითო ყანწს გამოსცლიდნენ. ყეენობის დროს დათრობა იკრძალებოდა. ვინც დათვრებოდა, მას ორი საათით ჩამოკიდებდნენ ერთმანეთზე მავთულით გადაბმულ ძელებზე. ეს იყო ჩამოხრჩობის ინსცენირება. სასჯელის ნორმად ითვლებოდა ფეხშიშველის თოვლზე დაყენებაც. დათრობის ან დაგვიანების შემთხვევაში სცოდნიათ სახლში "ზეკუციის" ჩაყენებაც 15 კაცის შემადგენლობით. ასე დაუსჯიათ თვით ნაბლიუდატელად მყოფი ივანე ეფხოშვილი დაგვიანებით გამოუცხადებლობის მიზეზით. იმ შემთხვევაში კი, თუ დაჯარიმებულის ოჯახი "ზეკუციას" კარგად ვერ გაუმასპინძლდებოდა, ამ ოჯახიდან თვით "ზეკუცია" ბოსლიდან გამოიყვანდა ხბოს ან თოხლს, იქვე დაკლავდნენ, მოხარშავდნენ და შეჭამდნენ.

ყეენობის მონაწილეებს პატივისცემით ხვდებოდა ზემო სოფლებიც. მათ ზოგი პურ-მარილს დაახვედრებდა, ზოგი საკლავს, ხოლო ზოგიც მაყურებლის როლში იმყოფებოდა. სოფელი უმთავრესად ყველა ოჯახის მონაწილეობით უმასპინძლდებოდა. მთხრობელმა გაიხსენა პატივისცემის ზოგიერთი ეპიზოდი. როგორც მან მითხრა, სოფელ ტორნისაში გორისციხელებს 6 ცხვარი დაუხვედრებიათ, მაგრამ ამალას მხოლოდ 3 ცხვარი მიუღია, ხოლო 3 ცხვარი გორისციხელებისთვის უკანვე დაუბრუნებიათ. მეორე ფაქტის მიხედვით, სოფელ სიონის მცხოვრებლებს სიონ-გარბანის დამაკავშირებელი ხიდის მოაჯირზე გამობმული ხარი დაუხვედრებიათ. ამალას სიონელებისთვის მადლობა უთქვამთ, ხარი უკაბვე დაუბრუნებიათ, ხოლო თვით სიონელები თავისთან დაუპატიჟებიათ. პატივისცემის რიგის დაცვის მიზნით, სტეფანწმინდიდან აღმი სვლისას სოფლები პურ-მარილით ხვდებოდნენ, ხოლო ამალის უკან ჩამობრუნებისას საკლავებს ახვედრებდნენ, რასაც ყეენის ხარკი ერქვა.

მთხრობელმა გაიხსენა კიდევ რამდენიმე ფაქტი ყეენობის რეპერტუარიდან: "ერთხელ ყაზბეგიდან დაძრულები გარბანს ავედით. მე როგორც ნაბლიუდატელმა გავიხედე დურბინით და ვითომ დავინახე, რო დოლეთ (გელაძე) დაშლილი წისქვილიდან მტერი გვეპარებოდა. იქვე შევაბრუნე ზარბაზანი ნაწისქვილარის მიმართულებით და გავასროლინე. ერთხელ კიდევ ტყარშეტისაკე გავიცქირე დურბინით. ეხლა იქითკე დავცალეთ ზარბაზანი. მამრე ისრივ ტყარშეტისაკე გავიხედე და ატუტანტს მოვახსენე: ნუღარ ერჩით, დოგნებდნენ, თეთრი ალამი გადმახფინეს მეთქი. იმანაც გაიცქირა დურბინით და დამიდასტურა."

აღწერილი პროცესის დროს ეტლში მჯდომ ყეენს გვერდების ტკივილი მოუმიზეზებია. ადიუტანტს ექიმისთვის მიუმართავს. ექიმის როლის შემსრულებელი ყოფილა ესტატე ხეთაგური. მას გამოუყენებია ივანე ფიცხელაურის ხელით გაკეთებული ხის ჩაქუჩი. ექიმს ყეენისთვის გვერდებში ჩაქუჩის

ცემა დაუწყია, ვითომც სინჯავდა. დაუსკვნია, რომ ყეენი ეტლმა დაფეთქვა. მის შემცვლელად გამოუყვიათ ქვის საზიდად განკუთვნილი ურემი. ის როდესაც ქვა-ღორღიან გზაზე გაუტარებიათ, შვებაც უგრძნია. კმაყოფილების ნიშნად ყეენს დამხმარეთათვის თავი დაუკრავს.

ამალის სვლაგეზი ასეთი იყო: წინ მიდიოდა ჯარი, მათ უკან მცველები და ბოლოში ყეენი. ამალას კვალში მიყვებოდა პურ-მარილით დატვირთული ურმები. აგრეთვე იმათი ურმებიც, რომლებიც ყეენობის ამალაში არ შედიოდნენ, მაგრამ ქეიფში მონაწილეობა ჰქონდათ განზრახული. ყეენი კვლავ ეტლში გადაინაცვლებდა და ცოლ-შვილთან ერთად აგრძელებდა გზას. გენერალი, ოფიცრები და ჯარისკაცები ცხენებზე ისხდნენ.

გზად შემოყრილ ადამიანს ყეენის ამალა აჯარიმებდა, ე.ი. ფულს ახდევინებდა. მთხრობელმა ერთი ისეთი ეპიზოდიც გაიხსენა, როდესაც გზაში ინჟინერი დაიჭირეს და შვიდი მანეთი გადაახდევინეს იმ მოტივით, რომ ეს ყეენობის ჩვეულება იყო. იცოდნენ სოფლებში ფულის შეგროვებაც, როგორც ხარკისა. შეკრებილ ფულს ერთ კაცს ჩააბარებდნენ შესანახად. თვით ჩემი მთხრობელი ივანე ეფხოშვილი ნაბლიუდატელის მოვალეობასთან ერთად მოლარის ფუნქციასაც ასრულებდა. ეს ფული შემდეგ ისევ სასმელში იხარჯებოდა.

თუ ვისმე საჩივარი ჰქონდა, ადიუტანტს მიმართავდა. მომჩივარი დაიჩოქებდა, ქუდს მოიხდიდა და შიშველ თავზე ქაღალდს (საჩივარს) დაიდებდა. ადიუტანტი აიღებდა ამ საჩივარს, "წაიკითხავდა" და ყეენს გადასცემდა. ყეენიც ჩახედავდა ქაღალდს, ვითომც კითხულობდა. სინამდვილეში კი მან როგორც უმეცარმა ბარბაროსმა კითხვა არ იცოდა. დიდხანს ფიქრის შემდეგ ყეენი დასტურის ნიშნად თავს დაუკრავდა, ხოლო უარის შემთხვევაში ხელს გაიქნევდა. ის ყველასთან დალაპარაკებას არ კადრულობდა.

სტეფანწმინდელ ყეენს შემოსაზღვრული ჰქონია თავისი სამფლობელო, რომლის ხელშეუხებლობა ყეენის სამხედრო ძალებით იყო გარანტირებული. გერგეტთან რომელიმე სოფლის, მათ შორის სტეფანწმინდის მეტოქეობა გამორიცხული იყო, ვინაიდან გერგეტელთა საყდრიშვილობის პრიორიტეტს ყველა ცნობდა. ამგვარი დამოკიდებულების პირობებში სტეფანწმინდასა და გერგეტს შორის დავა არასოდეს არ წარმოქმნილა. ამ ორი სოფლის შემდეგ ყეენობის მოწყობის მასშტაბით გამოირჩეოდა სოფელი სიონი. ამიტომაც ერთიმეორესთან მეტოქეობდა სტეფანწმინდა და სიონი. ისიც ცნობილია, რომ ხევის სხვა სოფლებში ყეენობა შედარებით უბრალოდ, ცხენებისა და ტრანსპორტის გამოყენების გარეშე ტარდებოდა. ადგილზე გამოკითხვამ ისიც ცხადყო, რომ სტეფანწმინდელთა და სიონელთა ყეენობაში სხვა სოფლების მკვიდრნიც ჯარისკაცების როლის შესრულებაში ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ.

სტეფანწმინდისა და სიონის დაპირისპირების საფუძველი იყო ტერიტორიული პრეტენზიები. სტეფანწმინდელებს მიაჩნდათ, რომ მათი გავლენის სფერო იყო ტერიტორია სტეფანწმინდიდან ტყარშეტამდე. ვითომც არსებული "საბუთებით" სტეფანწმინდელები გუგუეთ (ჩოფიკაშვილი) კოშკსა და ფანშეტის კოშკებსაც ჩემულობდნენ. ასეთ ვითარებაში სიონელების კუთვნილებად ითვლებოდა მხოლოდ სიონის კოშკი. გავლენის სფეროებისათვის მებრძოლი ყეენები პირისპირ შეხვედრისას ერთმანეთს გზასაც კი არ უთმობდნენ, ვინაიდან გზის დათმობა დამარცხების მომასწავებელი იყო. მთხრობელმა გაიხსენა ერთი

ასეთი შეხვედრის ეპიზოდი. გზის დათმობაზე მხარეებმა არ იფიქრეს. ამიტომ გამოსავალი დაინახეს ტყაპუჭიანი არაბების ორთაბრძოლაში. სტეფანწმინდის არაბი იყო ყაზიეთ (ღუდუშაური) ივასებაჲ, ხოლო სიონისა გიგია სისაური. თავისი ღონით დაიმედებული გიგია გაექანა ივასებას, მაგრამ ივასებამ არ აცალა, საფანტი ესროლა და ქუდი თავიდან მოაგლიჯა. შეშინებული გიგია გაიქცა და ივასებაჲ ხმლით გამოეკიდა. სიონის ყეენი და მისი რაზმი დამარცხდა. ადრე დაკავებული და მამა-პაპითგან "ქაღალდით" გარანტირებული ტერიტორია სტეფანწმინდის ყეენმა სამუდამოდ შემოიმტკიცა. სიონის ყეენს კი ომი თავიდან არ ასცდებოდა, თუ ტყარშეტის ქვემოთ გადმოაბიჯებდა.

შეტაკების დროს გამარჯვებულის მიერ დამარცხებული ყეენის დატყვევების შემთხვევაში უდიერად მოპყრობა აკრძალული იყო. გამარჯვებული ყეენი დატყვევებულს ხელმწიფურ პატივისცემაში ამყოფებდა - "ისევეო, განმარტა მთხრობელმა ივანე ეფხოშვილმა, როგორც შამილი ჰყვანდა რუსთ ჴემწიფესაო". ყეენი ყეენს არ გაამასხარავებდა, ვინაიდან თავის მომავალსაც ითვალისწინებდა — ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში მასაც ხომ გაამასხარავებდნენ. ყეენისათვის პრესტიჟის შენარჩუნების პარალელურად ნამდვილი ტყვის პირობებში ამყოფებდნენ დატყვევებულ ჯარისკაცს _ "ამუშავებდნენ", "აწვალებდნენ", "უხეიროდ აჭმევდნენ".

ყეენის ამალაში იმყოფებოდა ორი მეალმე. ყაზახებად სახელდებული მეალმეები დროშის ტარებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ცხენზე მჯდომ მეალმეს მარცხენა ხელში ეჭირა დროშა, ხოლო მარჯვენაში ამოღებული ხმალი. მარჯვენა ხელშივე ეჭირა ცხენის აღვირიც. მეალმეს დიდი სიფხიზლე მართებდა, რომ ხელიდან ალამი არ წაეგლიჯათ.

პურ-მარილის საწყობის მცველადაც ორი ყაზახი ("ჩახაუზი") იყო გამოყოფილი.

ყეენის მოხელეებს შორის განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა ზემოთ არაერთგზის ხსენებული ადიუტანტი. ზემოხსენებულ ყველა მოვალეობასთან ერთად ის საგარეო საქმეებსაც განაგებდა. ყეენი მას როდესაც "საზღვარგარეთ" აგზავნიდა, ქაღალდსაც ხელში აძლევდა. ადიუტანტი ვალდებული იყო ყეენისათვის პასუხი მოეტანა. თუ მშვიდობიანობა სუფევდა, ადიუტანტი ღიმილით ეახლებოდა ყეენს. არასასურველი სიტუაციის შემთხვევაში კი ყეენი ბრძანებდა — შეემზადენითო.

ყველა ამ შემსრულებლებთან ერთად ყეენს ყავდა პირადი მოსამსახურეც, რომელსაც ევალებოდა ყეენისთვის წყლის დასხმა ხელ-პირისა და ფეხების დაბანის დროს. მას, როგორც ურჯულოს, ემოსა გრძელი და ჭრელი კაბა.

ხევში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამხედრო წვრთნას, პირველ ყოვლისა მიზანში სროლას. შეჯიბრი სრულდებოდა ქორწილში, დღეობებში, მიცვალებულის გახსენების დღეებში და თვით ყეენობაშიც. ყეენობის დროს სროლაში გამარჯვებულებს ასაჩუქრებდნენ ფულით, ჟესტის ჯვრებით და სუფრის გაწყობით. ყეენობის დროს იგმობოდა შარიანობა, ჩხუბი, აყალმაყალი და

დავა ნიშანში მსროლელთა შორის. ამ დროს უმძრახნიც კი უნდა შერიგებულიყვნენ.

ყეენობის დროს გასართობ სცენებსაც აწყობდნენ. ერთ-ერთ ასეთ გასართობად ითვლებოდა კაცების დათვებად შეკაზმვა. ორ კაცს ჩააცმევდნენ გამობრუნებულ ქურქებს და ზურგში ჩალას ჩაუტენიდნენ. მათ ჯაჭვით ყელიყელ გააბამდნენ და დაოთხებულებს ყეენს წარუდგენდნენ. "დათვები" ჯიუტობდნენ. პატრონი ჩალაჩაგებულ ზურგში ჯოხს ურტყამდა. როცა ყეენს ეს გართობა მოსწყინდებოდა, "დათვებს" გაარეკინებდა. "დათვები" როდესაც გარეკვის დროსაც გაჯიქდებოდნენ, პატრონი ისევ და ისევ ჯოხს ურტყამდა ჩალით გაკეთებულ კუზში.

გართობის მეორე საშუალებად მიღებული იყო ტყაპუჭიანი არაბის ვირზე უკუღმა შეჯდომა. დროდადრო ის ვირს კუდსაც დაუჭერდა. ზოგჯერ კი ხაბიზგინას შუბის წვერზე წამოაცმევდა, "გუმბარაში" (ტლაპოში) ჩააწებდა და ისე ჭამდა — ასე უფრო გემრიელიაო. ყეენის გართობის ორგანიზაცია თვით ყეენობის რომელიმე მონაწილის "შემოქმედებითაც" ხდებოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა ივანე ფიცხელაური. ერთხელ მას მოუწყვია ლამაზად ჩაცმული თოჯინების თამაში. ერთი იყო ქალი და მეორე კაცი. ივანემ ისინი მაგიდაზე დააყენა, თვითონ კი მაგიდის ქვეშ დაჯდა და ბრეზენტი ჩამოიფარა. ის თოჯინებს ათამაშებდა მათზე მიბმული ბაწრით. ზოგჯერ აჩხუბებდა, ზოგჯერ კი ერთმანეთს აკოცნინებდა. ქალად შეკაზმული თოჯინა კოცნის გამო ჩხუბობდა. თოჯინები აბრაზებდნენ ტყაპუჭიან არაბსაც. არაბად შეკაზმული იყო ოხუნჯობით ცნობილი გორია ხაიკაშვილი. ის არ წყინულობდა, როდესაც თოჯინების პირით მაგიდის ქვეშიდან ივანე გამოსძახებდა: "გორიაო, გორიაო, საგებელჩი მსკორიაო". ხალხს რომ ეცინა, თვით გორიაც იმეორებდა ამ სიტყვებს. ამ სცენის პარალელურად არაბი ქალებს დასდევდა საარშიყოდ და საკოცნელად. არაბი იმ ქალთან ბედავდა ამგვარ ხუმრობას, რომლის ქმარი, ძმა ან ბიძაშვილი მასთან მეგობრობდა და არ ეწყინებოდა არაბის ასეთი საქციელი.

ყეენობის პერსონაჟები იყვნენ ე.წ. "ჟულიკებიც". მათ ემოსათ მოკლე ხალათები, თავზე ეხურათ მობრუნებული "ფურაშკები". ისინი სოფლებში დადიოდნენ და იპარავდნენ თულუხებს და სხვა ნივთებს. თუ სახლში პატრონი არ დახვდებოდა, გადმოალაგებდნენ საჭმელ-სასმელს და "დალექდებოდნენ" (დათვრებოდნენ). მათ მიერ მოპარული ნივთების დაბრუნება პატრონს შეეძლო ძღვენის _ პურ-მარილის მომზადებით. დაზარალებული ოჯახი იჩივლებდა ყეენთან. ადიუტანტი ყვირილით დაემუქრებოდა — დავაპატიმრებ, დავხოცავო, მაგრამ ყეენი ჟულიკებს ჩუმად ჰპატიობდა და ადიუტანტს გადაულაპარაკებდა — მაშ როგორ უნდა ჭამონ პურიო. ეს იმიტომაო, აღნიშნა მთხრობელმა, რომ ყეენი თავადაც ყაჩაღი იყო — საქართველოში ძარცვა-გლეჯის მიზნით ჩამჯდარი. ცხადია, ის არ წავიდოდა თავისი ჟულიკების მოქმედების წინააღმდეგ. მთხრობელმა გაიხსენა ჟულიკების ქმედებათა ერთი ასეთი ეპიზოდი. ჟულიკები (ლადო ალიბეგაშვილი, საბრალა გომიაშვილი და სხვები) ერთხელ "ჟანდარმებმა" ყეენთან მიიყვანეს სტეფანწმინდაში სახლების გატეხვის ბრალდებით. ჟან-

დარმები გაცხარებული ლაპარაკობდნენ მათი ქურდობის შესახებ. ჟულიკები კი ყეენს მიუჩოჩდნენ და ჯიბეში ხელები ჩაუყვეს. ყეენმა დაიყვირა — მომაცილეთ ქურდები, გარეკეთ და დაიჭირეთო. ადიუტანტმა ისინი დააპატიმრა და "გაამათრახებინა".

აღწერილი ქმედების მიხედვით ჟანდარმებს ევალებოდათ დამნაშავის დაპატიმრება, მოღალატის გაცემა და წესრიგის დამყარება. ამდენად, ჟანდარმიც ყეენის ამალის წევრი იყო. ასეთივე წევრი იყო წითელი კაბით და წითელივე თავსაბურავით შემოსილი "ჯალათი". მას ხელთ ეპყრა საკლავის სისხლით მოსვრილი ცული (ვითომც ადამიანის სისხლით შეღებილი). ჯალათს ჰქონდა კუნძიც. "სასიკვდილოდ" განწირულ დამნაშავეს წააქცევდნენ, თავს კუნძზე დაადებინებდნენ და ჯალათი მოქნეულ ცულს ყუით მიწას დაურტყამდა. ამასობაში დასჯილიც კუნძიდან გადაგორდებოდა, როგორც ვითომც თავმოჭრილი. შემდეგ მას ჯალათის დამხმარე კაცები ასწევდნენ ვითომც გადასაგდებად. ჯალათივე ჩამოახრჩობდა იმას, ვისაც ეს სასჯელი მოუწევდა. ჯალათი მოსამართლის მოვალეობასაც ასრულებდა. მოსამართლე ჯოხს ტალახში ჩააწებდა, ვითომ კალმისტარიაო და გადაწყვეტილებას ქვაზე დაწერდა. ტუსაღებს ფეხებზე ცხენის ბორკილებს ადებდნენ, ხოლო ხელებს თოკით ზურგზე აკრავდნენ.

ყეენობის მონაწილენი განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდნენ ყეენისა და მისი ცოლ-შვილის გართობას. ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, ყეენს ქადა მიართვეს, რაზედაც მიმაგრებული იყო გამომცხვარი გალია მასში გამომწყვდეული ცოცხალი ჩიტით. ნასიამოვნებმა ყეენმა მათ აჩუქა ნიკოლოზის ათთუმნიანი.

ყეენი და მისი ცოლ-შვილი ფერხულის ყურებით ტკბებოდნენ, მაგრამ მათ დროდადრო ფერხულშიც აყენებდნენ.

ფერხულის ჩაბმისას ყეენს და მის ცოლ-შვილს საყურებლად და მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ. ფერხულისაკენ მიმავალი ყეენის ცოლ-შვილს ქალები ეგებებოდნენ და იქვე მდგომ ყეენს აახლებდნენ. ასეთი საქციელისათვის ადიუტანტი ქალებს მადლობას უხდიდა. ყეენი და მისი ცოლ-შვილი ფერხულის ყურებით ტკბებოდნენ. ყეენს საფერხულო წრის შიგნითაც აყენებდნენ და ადიდებდნენ. ის ამაყად იჭერდა თავს და აქეთ-იქით მედიდურად იყურებოდა. ადიუტანტის ინიციატივით ყეენსა და მის ცოლ-შვილს აცეკვებდნენ. ყეენი მხოლოდ ცოლთან ცეკვავდა, ხოლო მისი ქალიშვილები ოფიცრებთან ცეკვაში მონაწილეობდნენ. ყეენის ცეკვის დროს ზარბაზანს ორჯერ გაისროდნენ.

ამალის წევრები ყეენის დასვენებაზეც ფიქრობდნენ. ამ მიზნით ისინი ყეენს სააგარაკოდ აგზავნიდნენ. ამასთან დაკავშირებით ყეენობის მონაწილე ივანე ეფხოშვილმა გაიხსენა ერთი ასეთი იუმორისტული ეპიზოდი: "ყეინად შაკმაზული იყო თარგმანელი კაცი. ყეინს ცოლად ახლდა დედაკაცურად ჩაცმული კაცი. სააგარაკოდ წასვლისას გზაჩი შახვდა ნამდვილი ცოლი. ეს დედაკაცი ყეინს შაეგება რო მიულოცას. ამ დროს ყეინმა ბზანა — მამაცალეთო. რაისთვისო —

ჰკითხა ატუტანტმა. სული (სუნი) უდისო — ბზანა ყეინმა. ცოლმაც არ დააყოვნა და მიაძახა: ეხლაღა მიდის სულიო, გამიქანდი სისხაზეო, მაგის ინაბარას დაგაგდებ ამ ზამთარჩიო, ე.ი. კაცის იმედზე დაგაგდებო."

ყეენობის პროცესში სრულდებოდა სხვა სახის ხუმრობაც, რაც ყეენების სტუმარმასპინძლობის პროცესში ვლინდებოდა. გერგეტსა და სტეფანწმინდასთან შედარებით სხვა სოფლებში ყეენობა დიდი პომპეზურობით არ იმართებოდა, მაგრამ ერთმანეთთან სტუმრობას ეს ფაქტორი ხელს არ უშლიდა. შეხვედრის დროს იუმორიც გამოიყენებოდა. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი დადასტურდა სნოველი და სიონელი ყეენების შეხვედრის პროცესში. თავისი ამალით სიონში სტუმრად მისულა სნოველი ყეენი. ამ დროისათვის სიონში ყეენის როლს განასახიერებდა ცხვირჩაჭყლეტილი ნანე კვირჭიშვილი. იქვე მდგარა რომელიღაც სიონელის ცალყურა ცხენი. სნოველ ყეენს უთქვამს: დიდო ყეენო, შენს სახელმწიფოში თუკი ეგეთი შიმშილობა გქონდათ, როგორ არ შემატყობინეო. უყურო ცხენი და უცხვირო კაცი იმიტომა გყავთ, რომ შიმშილის გამო კაცებს ცხვირებს უჭამთ და ცხენებს ყურებსო. ნანე გაცხარებულა, მაგრამ მალევე შერიგებულან.

იუმორისტული ხასიათის მატარებელი იყო ყეენობაში ქალების მონაწილეობაც. როგორც გერგეტში მითხრეს, გართობის მიზნით ამ სოფელში ყეენობას ქალებიც აწყობდნენ. ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, ერთხელ გერგეტელმა დედაკაცებმა ყველა წესების დაცვით მოაწყვეს ყეენობა და ომი გამოუცხადეს ყეენობაში მონაწილე მამაკაცებს. ჯოხებით ხელმომარჯვებულმა დედაკაცებმა მამაკაცებს გზა შეუკრეს. ადიუტანტმა ყეენს მოახსენა, რომ დედაკაცებს ჩვენთან ომი სწადიათო. ყეენის ბრძანებით მამაკაცებმა მოიმარჯვეს დენთით დატენილი ჩახმახიანი თოფები. თოფებით რომ ვერაფერს გახდნენ, ყეენმა უბრძანა — ახლა "შტიკომო". დედაკაცებს მაინც არ შეშინებიათ, მაგრამ საბოლოოდ ისინი დაუტყვევებიათ. მამაკაცთა ყეენს უკითხავს — ომი რატომ გამოგვიცხადეთო. დედაკაცების ყეენს უპასუხნია — თქვენ წამალი გაქვთ და არ გვეხმარებითო, უწამლობით ჯარი გვეხოცებაო. მამაკაცთა ყეენს უპასუხნია — წამალსაც მოგცემთ და "დოხტურებითაც" დაგეხმარებითო. დარწმუნების მიზნით მამაკაცთა ყეენს მოუყვანია ერთი ბებერი კაცი — ქისტაური, როგორც სნეული, დაუწვენიათ და მოურჩენიათ. "დოხტური" ყოფილა ხეჩო სუჯაშვილი. მას სამასრედან ამოუღია ყარტი, წიწაკით დაუტენია და ცხვირში მიუცია. მამაკაცების წაყრუებით უსარგებლიათ დედაკაცებს და დროშა მოუტაცებიათ. მამაკაცებს 10 ვედრო ღვინო გადაუხდიათ და ერთად უქეიფნიათ.

ზოგიერთ შემთხვევაში მამაკაცებისა და დედაკაცების შეტაკება შერიგებითა და დამოყვრებით მთავრდებოდა. მამაკაცებისა და დედაკაცების ყეენები "დაქორწინდებოდნენ" და ნეფე-დედუფლად ცხადდებოდნენ.

მამაკაცებისა და დედაკაცების დაპირისპირება უმთავრესად ალამის წართმევისათვის ხდებოდა. ინიციატორის როლში დედაკაცები გამოდიოდნენ. დროშის ხელში ჩაგდების მიზნით ისინი იდუმლად უკავშირდებოდნენ ნაბლიუდატელს, რომ მას არ "დაენახა" ალამის მოტაცების შემთხვევა. როგორც

ნაბლიუდატელად ნამყოფმა ივანე ეფხოშვილმა გაიხსენა, მას წინასწარ შეთანხმებია გოგიანთ (ქირიკაშვილი) ნინუა, რომ თითქოს ვერ დაინახავდა მის მოქმედებას. ნაბლიუდატელმაც წაუყრუა, ნინუამ დროშა მოიტაცა და გუგუეთ (ჩოფიკაშვილი) ციხეში აიტანა. ვინც ამ კოშკში შესვლას შეეცდებოდა, ნინუა კოშკში შესასვლელი კარებიდან საბელს ურტყამდა და მოძალადეს მაღლა არ უშვებდა. დროშა მამაკაცებს მხოლოდ ქრთამით (ფულით) დაუხსნიათ.

მიმოხილვის დასასრულს კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ გერგეტლები ყეენობაშიც გამორჩეული პრეროგატივით სარგებლობდნენ, რისი საფუძველიც იყო მათი საყდრიშვილობა. ხალხმა შემოინახა ცნობა იმის შესახებ, რომ ყეენობაში გერგეტლები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ თავიანთი დიდი ბაირაღით, დროშებით და წმინდა სამების ტაძრის სახელით. მათი პრესტიჟის გამომხატველი იყო სხვა სოფლებში გამართული ყეენობისადმი დამოკიდებულება. როგორც წესი, გერგეტელთა ყეენობა გამორიცხავდა სხვა სოფლების მხრიდან მიპატიჟებას. საამისო მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ მათი უარი სიონელთა ყეენის მხრიდან მიწვევაზე. ამის სანაცვლოდ გერგეტლები სოფელ ფანშეტის ვეძასთან გასულან და იქ ტაშ-ფანდურა მოუწვევიათ. ფანშეტლებს რომ ეს დაუნახავთ, პატივისცემის ნიშნად გამოუგზავნიათ ორი ჭედილა და ოთხი ვედრო არაყი. გერგეტლებს უხუმრიათ და პატივისცემის "დაგვიანების" მოტივით ფანშეტლებისათვის ჯარიმის სახით დაუკისრებიათ დამატებით ორი ვედრო არაყი.

დამოწმებული ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ ფანშეტლებისადმი დამოკიდებულება იმდენად ხუმრობა არ იყო, რამდენადაც იმის შეხსენება, რომ გერგეტლებისადმი ვალდებულება მათი საყდრიშვილობით იყო ნაკარნახევი. ამდენად, ყეენობის შესრულების წესშიც განსახიერებული იყო საყდრიშვილობით მოპოვებული პრივილეგია.

ნათესაური ურთიერთობანი

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ხევში ძირითადად სამგვარი ნათესაობის არსებობა მოწმდება — სისხლიერი, მოყვრობითი და ხელოვნური, რომელთაგან პირველი და მესამე თავის მხრივ ნათესაობის რამდენიმე კატეგორიად წარმოგვიდგება.

სისხლითი ნათესაობის სფეროს განეკუთვნებიან აგნატიკური (მამრობითი მოდგმა) და კოგნატიკური (მდედრობითი მოდგმა) ჯგუფები. პირველის ტრადიციული სახელწოდებაა ჩამამავლობა (შთამომავლობა მამის სახით), ხოლო მეორისა ჩამადევნება (დედის ხაზით შექმნილი შთამომავლობა).

აგნატიკური ნათესაობის ანუ "ჩამამავლობის" ყველაზე დიდ სოციალურ ერთობას ეწოდება სახლიკაცობა. დღემდე არსებული მოხეური ცნობიერებით ტერმინი სახლიკაცი სხვადასხვა დონის ურთიერთობას შეესატყვისებოდა. სახლიკაცი ერქვა ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ძმებსა და ბიძაშვილებს, აგრეთვე ცალ-ცალკე მცხოვრებ ალალ ბიძაშვილებს და შედარებით დაშორებულ ბიძაშვილებს შვიდ თაობამდე. ამგვარი კატეგორიის ურთიერთობასთან სახლიკაცი და სახლიკაცობა მოიცავდა ერთი საერთო წინაპრის მოდგმას ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც ერთი წინაპრის შთამომავლები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს და სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებლებს განეკუთვნებიან.

ფართო შინაარსის მქონე სახლიკაცობაზე უფრო მცირე აგნატიკური გაერთიანების სახით წარმოგვიდგება საგორეულო, რომელიც ძირითადად ერთ თემში მოსახლე, არაიშვიათად თემის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ, მაგრამ ეთნიკურად და სარწმუნოებრივად გაუყოფელ ერთეულს წარმოადგენს.

"საგორეულოს" ფარგლებში შედის რამდენიმე გორი (გვარი). ის "ჩამამავლობის" ერთ-ერთი მტკიცე და "სისხლით შადუღაღებულ" ერთეულად ითვლება, მაგრამ გაუყოფადი ორგანიზმი ისიც არ არის და განაყართა რამდენიმე ერთეულს მოიცავს. თვით "განაყრობაც" არ არის ყველაზე მცირე სოციალური უჯრედი და მოხეური აგნატიკური ნათესაობის სეგმენტაციაში ორ გარკვეულ წარმონაქმნადაა წარმოდგენილი: პირველი მათგანია ადრეგანაყარნი, ხოლო მეორე — ნელადგანაყარნი.

"ჩამამავლობის" მიკროერთეულად გვესახება მოკომურობა ან ჯალაბი, რაც მოხეური აგნატიკური ნათესაობის ბოლო მუხლს ქმნის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გვარის სეგმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი ერთეულები ბუნებრივი გამრავლებით იზრდებიან, მაგრამ შემდგომ ეტაპზე ისიც ნაწევრდება. დაყოფა-მატების პროცესი შეუქცევადი იყო.

კოგნატიკური ნათესაობის სისტემაში ასეთი საფეხურებრივი დანაწილება არ შეინიშნება, მაგრამ ნათესაურ ურთიერთობათა დადგენისათვის "ჩამამავლობაზე" ნაკლებად არც "ჩამადევნებას" ექცეოდა ყურადღება და სისხლით მახლობლობა-შორებლობის გამორკვევისას ეს ორი ცნება თითქმის ერთმანეთს უტოლდებოდა.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ნათესაურ ურთიერთობათა მთავარი ღერძის როლს ასრულებდა ჩამამავლობა ანუ მოდგმა მამის ხაზით. ჩვეულებისამებრ გვარის სახელი წარმოქმნილია მისი წინაპარი მამაკაცის საკუთარი სახელიდან, მაგრამ ამის პარალერულად მოწმდება ისეთი შემთხვევები, როდესაც

გვარის სახელწოდება უკავშირდება დედაკაცის სახელს, რასაც ხსნიან ქალის ავტორიტეტით, ოჯახისშვილობით და თავდღიანობით. როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან გამოჩნდა, ზოგიერთ გვარში ეპონიმად ქალის სახელი ფიგურირებს. ერთ შემთხვევაში ქალის სახელი გვარის ეპონიმია, ხოლო მეორე შემთხვევაში მამიშვილობისა, ან მისი ერთი ნაწილისა. მაგალითად, სოფელ კარკუჩაში მცხოვრები ყამარაულების სახელწოდება მომდინარეობს ქალის — ყამარის სახელიდან. სტეფანწმინდაში ფიცხელაურების მამიშვილობის — თოლიკეთ ერთ-ერთ განაყრობას ეწოდებათ მალვენი (სახელიდან მალო), ანდა ძიკიენი (სახელიდან ძიკია). ფხელშელი ელოშვილების თუზარეთ მამიშვილობის ერთი ნაწილის სახელია კატილენი (კატილა იყო ამ ოჯახის რძალი, ყანობელი ციცი ბაბაშვილის ასული).

ზოგიერთ შემთხვევაში გვარის ამა თუ იმ მამიშვილობას ქალის სახელს აკუთვნებდნენ იმის გამო, რომ რძლები მამაკაცის სახელის თქმას ერიდებოდნენ. მაგალითად, ფხელშელი ელოშვილების ერესტეთ მამიშვილობის ერთ ნაწილს ერქვა ნანენი (ნანე კაცის სახელია). ნანეთ იასეს ცოლს ერქვა ათერაჲ (ავსაჯანიშვილი, ბერეთ ქალი). რაკი რძლები კაცის (ნანეს) სახელს ვერ ამბობდნენ, ნანეთ ამ განშტოებას შეარქვეს არა იასიენი, არამედ მისი ცოლის სახელი — ბერეთ ქალიანნი. უფრო ადრე ბერეთ ქალის დედამთილი იყო ტყარშეტელი მაისურაძე ბიაის ქალი (ქუცეთ ქალი). ის იყო ნანეს ცოლი. ამ განშტოებას ეძახდნენ ბიაის ქალიანთ ისევ იმ მიზეზით, რომ რძლები კაცის სახელის თქმას ერიდებოდნენ.

ამავე გვარში დავადასტურეთ გვარის ნაწილის ეპონიმად ქალის კიდევ ერთი სახელი. ელოშვილების ერთ-ერთი რძალი იყო კოტორეთ (გელაძეების) ქალი. ელოშვილი ამბროს ანუ ამოვანის (ამოვანი ამბროს მეორე სახელი იყო) ოჯახში რძლები მის სახელს ვერ ამბობდნენ. ამიტომ ამ ოჯახსა და მის შემდგომ განაყრებს შეარქვეს კოტორეთ ქალიანნი. დღეს ამ განშტოებას შემოკლებით ეწოდება კოტორენი.

გვარად ბაზალის ერთ-ერთ განშტოებას ეწოდება თინენი. ასევე ხულელიძეების ერთ-ერთი ნაწილის ორი სახელწოდებიდან ცნობილია ციცქენი (ციცქა კაცის სახელია) და ათეთ ქალიანნი. ეპონიმად ქალის სახელი გვხვდება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ორი განაყრობის ეპონიმად მამაკაცის ერთი სახელი გვხვდება. მაგალითად, ბაზალის გვარის ორ ნაწილს ერქვა გუგუენი. ამიტომ მეორე გუგუას შთამომავლობას შეარქვეს ძიძიკენი (ძიძიკა იყო გუგუას ცოლი).

ზოგიერთ შემთხვევაში განაყრობის სახელწოდება უკავშირდება ადამიანის საქმიანობას ან გარეგნულ იერსახეს. მაგალითად, სიონელ მალანიებს დღემდე ეწოდებათ მღვდლიანნი, ვინაიდან ამ გვარის კაცი სოფელ სიონის ეკლესიის მღვდელი იყო. ხევის ბლაღოჩინის გიორგი ითონიშვილის მოდგმას შეარქვეს ბლაღოჩინიანნი. სტეფანწმინდელი ღუდუშაურების ყაზიეთ განაყრობის ერთ ნაწილსაც მღვდლიანნი შეარქვეს იმის გამო, რომ ბართლომე ღუდუშაური მღვდელი იყო. მღვდლიანნი უწოდეს არშაველი გოგბაიძეების გუგუეთ ეპონიმს მხოლოდ იმის გამო, რომ გუგუა მღვდელივით მოშვებულ წვერს ატარებდა.

სახელწოდებათა ნომინაციაში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი საკითხიც. ოჯახისა და გვარის წევრების ურთიერთობაში არსებული აკრძალვების შესაბამისად დაცული ქალისადმი მიმართვის ფორმა. რძალი რაკი მამისეული გვარის სახელს ინარჩუნებდა,.ე.ი. მისი გვარის ქალობით იყო ცნობილი, ქმრის

ოჯახის წევრები მას საკუთარი სახელით კი არ მოიხსენიებდნენ და სახელს არც პირადად მას ეტყოდნენ, არამედ მისდამი მიმართვაში ან მის ხსენებაში ფიგურირებდა მისი გვარის სახელი. ამის შესაბამისად მისი ვინაობის აღსანიშნავად ფიქსირდება ისეთი გამონათქვამები, როგორიც იყო, მაგალითად, საბაურთ ქალი, ლომნიეთ ქალი, ფადიაურთ ქალი და ა.შ.

მოხეური ნათესაობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოყვრობით დანათესავებას, რაც დამძახლების გზით ხორციელდებოდა. ერთი გვარის წევრთა შორის დაქორწინება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქრისტიანული წესის დაცვით — შვიდი თაობის შემდეგ. იმ შემთხვევაში კი თუ ეს მოხდებოდა, მექორწინეთა ოჯახები ბიძაშვილობით კი აღარ იქნებოდნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ დამოყვრებით. ნორმირებული იყო ურთიერთობა ერთი გვარიდან წასული და სხვადასხვა სოფელში გათხოვილი ქალების შთამომავალთა შორისაც. მოხევის გაგებით, ისინი ოთხ თაობამდე დათაშვილებად ითვლებოდნენ და ერთიმეორეში არ ქორწინდებოდნენ. თუ დათაშვილობის თაობათა გამოთვლას შვიდ თაობამდე შეძლებდნენ, მაშინ საქორწინო კავშირი შვიდი თაობის ფარგლებში იკრძალებოდა. უფრო მეტიც. ვაჟი ცოლად ვერ შეირთავდა ქალს იმ სოფლიდან, სადაც მხოლოდ მისი დედის მოგვარეები ცხოვრობდნენ. ეს იმიტომ, რომ მონოგენური სოფლის მკვიდრნი — დედის მოგვარეები მის დედისძმებად ითვლებოდნენ. ქალ-დისწული მამის სახლთან და დისწული დედისძმათთან კავშირს ინარჩუნებდა დღეობებშიც. ქალები შვილებს მამის სოფლისა და გვარის ხატში ალოცებდნენ საკლავის შეწირვით და სუფრით.

ნათესაური ურთიერთობის ხასიათი განსაზღვრავდა გვართა შორის მტრობაში მონაწილეობის შესაძლებლობასაც. როგორც წესი, მკვლელობის შემთხვევაში სისხლის აღების უფლებით აღჭურვილი იყო მხოლოდ მოგვარე. ამგვარ ურთიერთობაში გამორიცხული იყო დედით ნათესავების მონაწილეობა. დედისძმანი მკვლელის მხარეს მტრად მიიჩნევდნენ, მაგრამ შურისძიების უფლებით ვერ ისარგებლებდნენ. შურისძიების ფარგლები თემის მიერ შემოფარგლული იყო მხოლოდ "ჩამამავლობაში".

ხევში გარკვეული ადგილი მიეკუთვნებოდა ხელოვნურ ნათესაობას — ე.წ. მოკეთეობას, რომლის წარმოქმნასაც სისხლით არამონათესავე ადამიანთა ურთიერთდაახლოება ედებოდა საფუძვლად. ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა გვარების შეყრა, რაც გულისხმობდა მცირერიცხოვანი გვარის მრავალრიცხოვან გვართან გაერთიანებას. შეყრის ინიციატორი იყო მცირერიცხოვანი გვარი. მრავალრიცხოვანი გვარის თანხმობის შემთხვევაში შესაბამისი რიტუალიც სრულდებოდა. მცირერიცხოვანი გვარი კლავდა ხარს და სამხდოს იხდიდა მრავალრიცხოვანი გვარის სალოცავში. აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ ორ შეზიარებულ გვარს შორის იდებოდა ერთობის ფიცი, რისი აღსრულებაც ითვალისწინებდა მცირერიცხოვანი გვარის მრავალრიცხოვან გვარზე დაწერას და ხატისყმობის მიღებას.

ხევში არსებობდა გვარის მიღების მეორე წესიც, რასაც ამანათობა ერქვა. ამანათად იწოდებოდა სხვაგნიდან მოსული კაცი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო სამშობლოდან გამოიხიზნებოდა და ხევში დასახლებას მოისურვებდა. მისთვის გამოსავალს წარმოადგენდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი გვარის მფარველობა. თუ რომელიმე ასეთი გვარი ამანათის მიღების სურვილს გა-

მოიჩენდა, ამანათს სოფლის ბოლოში დაასახლებდა, რითაც სოფლისადმი მის დაქვემდებარებას გამოხატავდა. ამგვარი შეთანხმება აღინიშნებოდა ამანათის მიერ ხარის დაკვლით და სამხდოს გადახდით. ურთიერთშეთანხმების ფიცით განმტკიცების შემდეგ ამანათი მფარველის გვარს ღებულობდა და მისი ხატი-სყმა ხდებოდა. როგორც თანასოფლელთა შეყრის შემდეგ, ისე მიმღებ გვარსა და ამანათს შორის ნათესაური კავშირი მყარდებოდა და საქორწინო კავშირი იკრძალებოდა. ვინაიდან მათი ერთობის გამომხატველი იყო არა სისხლით ნათესაობა, არამედ გარიგება, გვარების შეყრა და ამანათობა ხელოვნური ნათესაობის კატეგორიას განეკუთვნება.

ხელოვნური ნათესაობის კიდევ ერთ კატეგორიას განეკუთვნება ისეთი მუდმივმოქმედი წესი საქორწინო ურთიერთობაში, როგორიცაა ეჯიფ-ჯელისმამკიდეობა. ეჯიბისა და ნეფის ოჯახებს შორის ხელოვნური ნათესაობა იქმნებოდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეჯიბი ნეფის გვარის კაცი არ იქნებოდა. მათი ნათესაობის აღიარება ხდებოდა საქორწილო რიტუალში. პატარძალს რომ მამის სახლიდან გაისტუმრებდნენ, ხნიერი კაცი ან დედაკაცი ეჯიბს კერასთან მოიხმობდა და დედოფალს ჩააბარებდა სიტყვებით: "შენ ძმა და ეს დაო". ამის შემდეგ ახლო ურთიერთობა გრძელდებოდა ნეფისა და მისი ეჯიბის ოჯახებს შორის. ამ ოჯახებს ნათესავებად მიიჩნევდნენ და მათ მოდგმაში საქორწინო კავშირი ოთხ თაობამდე იკრძალებოდა. ნათესავებად ითვლებოდნენ არა მათი გვარები, არამედ მხოლოდ ეჯიბისა და ნეფის შთამომავლობა.

ხევში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნათელ-მირონით შეკავშირებულ ურთიერთობას. ამ მოვლენისადმი დამოკიდებულება იმდენად იყო ამაღლებული, რომ მათ მოდგმაში ქორწინებას თითქოს 12 თაობამდე დაუშვებლად მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს, ეს სიტყვები მხოლოდ ნათლიობისადმი სათუთი დამოკიდებულების გამომხატველია და არა რეალობის შესატყვისი იმ მარტივი ვითარების გამო, რომ 12 თაობამდე გაანგარიშებას ვერავინ შესძლებდა. ერთი რამე კი ცხადია. ნათლიისა და ნათლულის ოჯახების მოდგმაში ნათესაური კავშირი მყარდებოდა და ქორწინებაც იკრძალებოდა მანამდე, სადამდისაც ნათლობა ახსოვდათ.

მოხევეები ერთმანეთს არაიშვიათად უკავშირდებოდნენ ძმად გაფიცვის, დად გაფიცვის და დობილ-ძმობილობის გზით, რითაც ასევე მოკეთეობის ფერხულში ებმებოდნენ.

ხევში ფუნქციონირებდა ძმად გაფიცვის სამგვარი წესი. პირველი წესის მიხედვით ძმობილობის მსურველნი ჯერ ერთის ოჯახში შეხვდებოდნენ, ხოლო შემდეგ მეორის ოჯახში. ორივე შემთხვევაში ძმადგაფიცვის წესი ერთნაირად სრულდებოდა. კერასთან დადგებოდნენ ძმობილობის მსურველნი და მასპინძლები — ერთ-ერთი მეგობრის მშობლები. ოჯახში მისული ახალგაზრდა მეგობრის დედას ძუძუზე ტუჩებით შეეხებოდა. დედა სამჯერ იტყოდა — შენ შვილი, მე დედა. თავის მხრივ ნაშვილობევიც სამჯერ იტყოდა — შენ დედა, მე შვილი. ასეთი ფიცის შესრულების შემდეგ მეგობრები ყანწში ან თასში ჩაასხამდნენ არაყს ან ღვინოს. მასში ხანჯლით ჩათლიდნენ მოვერცხლილი ქარქაშის ან ვერცხლის კოვზის ანაფხეკს. ამ სასმელს მეორე სასმისშიც გადაასხამდნენ და დაძმობილების ნიშნად ხელიხელგადაჭდობილნი შესვამდნენ. შემდეგ უფროსი კაცი დალოცავდა და დაარიგებდა თუ როგორ უნდა დაეცვათ ძმობა და

მეგობრობა. ასეთივე წესით აღინიშნებოდა მათი შეხვედრა და ძმობაზე გაფიცვა მეორე ძმობილის ოჯახშიც. თუ ვაჟკაცები ერთმანეთს ისეთ ადგილას შეხვდებოდნენ, სადაც მათი მშობლების მონაწილეობა შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ მხოლოდ ვერცხლის ჩათლითა და დალევით კმაყოფილდებოდნენ. ფიცვერცხლით დაძმობილებულები ერთიმეორეს ნიშნად რაიმე ნივთს უსახსოვრებდნენ. ძმობილს რომ ძმობილისთვის ეთხოვა იარაღი, ნაბადი ან სხვა რაიმე ნივთი, უარს ვერ ეტყოდა. იმათი დები და ძმებიც ერთმანეთთან დაძმურ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი ძმობილი რომ მომკვდარიყო, მეორე ძმობილი მას სუფრას დაუდგამდა და მის ოჯახსაც ეხმარებოდა.

მოხევეების შეხედულებით, განსაკუთრებით მტკიცე იყო ძმად გაფიცვა თითების გაჭრით. ჩვეულებისამებრ ხანჯლით მსუბუქად გაიჭრიდნენ საჩვენებელი თითების ზედა ნაწილს, ჭრილობებს ერთიმეორეზე მიადებდნენ და "სისხლს შეაზიარებდნენ".

ძმად გაფიცვის მესამე საშუალებად მიღებული იყო ტყვიების გაცვლა. ამ წესს უმთავრესად ასრულებდნენ მონადირეები ან მებრძოლები, თუ ისინი ერთიმეორეს მოიწონებდნენ. ერთიმეორეში გაცვლილ ტყვიებს ისინი ძმობის ნიშნად ინახავდნენ. როგორც ხევში მითხრეს, ასეთი წესით გაფიცვა ხდებოდა მოხევეებსა და მეზობელ ტომთა წარმომადგენლებს შორისაც.

მარტივად ითვლებოდა დად გაფიცვის წესი. საამისოდ საკმარისად ითვლებოდა რძით სავსე სასმისში ვერცხლის მონეტის ჩადება, რძის შესმა და მეგობრობის ფიცის დადება.

რძით სავსე სასმისში ვერცხლის ჩათლით და ერთიმეორის დედების ძუძუზე პირის შეხებით აღინიშნებოდა დობილ-ძმობილობის ფიციც. დობილი თავის ძმობილს სახსოვრად უქსოვდა ქისას, წინდებს, ყაბალახს. თავის მხრივ ძმობილი დობილს ძმასავით მფარველობდა. სხვათა შორის, ძმობილს სასურველ ბიჭზე დობილის დანიშვნა და ნიშნის აღებაც კი შესძლებია, რასაც საკვეთით დანიშვნა ერქვა (იხ. ვალერიან ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 146-153).

ძმად გაფიცვის, დობილ-ძმობილობის და დად გაფიცვის აქ აღწერილი წესების შესრულების შემდეგ "ფიც-ვერცხლნაჭამნი" ხელოვნური ნათესაობის ანუ მოკეთეობის ახალ ჯგუფს ქმნიდნენ და ურთიერთშორის მკაცრად იცავდნენ საქორწინო აკრძალვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქორწინო აკრძალვებს განაპირობებდა გაფიცვის ხასიათი.

როდესაც გაფიცვა მოხდებოდა ხელის გაჭრით, მაშინ გაფიცვიდან შვიდ თაობამდე დაქორწინება ძმობილთა შთამომავლობაში სასტიკად იკრძალებოდა. ეს იმიტომ, რომ ჭრილობების მიდებით სისხლის შეზიარება სისხლით ნათესაობას უტოლდებოდა. გაფიცვის დანარჩენი წესების შესრულებისას დაქორწინება გაფიცულთა შთამომავლებს შორის გაფიცვიდან მხოლოდ ოთხ თაობამდე იკრძალებოდა იმ მოტივით, რომ გაფიცვა სისხლის შერევით არ აღინიშნებოდა.

ზემოთ აღწერილი წესებით დანათესავებულ ჯგუფებს გარდა ურთიერთშორის ქორწინების ამკრძალავ ერთეულებად ითვლებოდნენ მამისძმანი ანუ მამისძმობა, რომლის შიგნით ქორწინება დაუშვებელი იყო ოთხ თაობამდე. სამამისძმოში გაერთიანება არ გულისხმობდა ერთ რომელიმე გვარზე დაწერას და ეს არც სუსტი გვარის ძლიერთან შეხიზვნის აუცილებლობით იყო გამოწვეული.

სამამისძმოს შექმნა ემყარებოდა ერთი საერთო ხატის ყმობას, რის საფუძველზედაც მათი ერთად ყოფნა ხდებოდა საერთო სალოცავის სახელზე გამართულ დღეობებში.

* * *

ხევში სამივე სახის ნათესაობის გამომხატველი ტერმინოლოგია არსებობს, რაც სისხლით, მოყვრობით თუ ხელოვნური ნათესაობის წევრთა მახლობლობა-შორებლობის მაუწყებელია.

"სახლიკაცობაში" შემავალ უშორეულეს სისხლიერ ნათესავთა აღსანიშნავად იხმარება სიტყვა მანაკიდვარი. სახლიკაცი და მანაკიდვარი არსებითად ერთი ვითარების გამომხატველია და ორივე ტერმინი სისხლით მონათესავე პიროვნების ვინაობას აღნიშნავს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სიტყვა სახლიკაცი უშორეულეს აგნატთან ერთად ძმაზეც ითქმის, ხოლო მანაკიდვარი მხოლოდ უშორეულეს თანამოგვარეზე ვრცელდება.

აგნატიკური ნათესაობის მეორე ტერმინია თოხუმობა. ესეც ერთი წინაპრის შთამომავალთა ჯგუფის სახელწოდებაა, მაგრამ თავისი შინაარსობრივი დატვირთვით მანაკიდვარს ვერ უტოლდება. ის ძირითადად "საგორეულოს" წევრთა წარმომავლობისა და მათი ამ აგნატიკური გაერთიანების კუთვნილების გამომხატველია.

მოხეური "გორის" წევრობის აღსანიშნავად ხმარებაში არის სიტყვა ხონჯრისანი. ამის პარალერულად იხმარება თანაბარმნიშვნელოვანი ტერმინი სისხლ-ჯორცი. "ადრეგანაყართა" წევრები ერთიმეორეს გარებიძაშვილებს უწოდებენ, ხოლო "ნელადგანაყარნი" ერთიმეორის ბიძაშვილებად ითვლებიან.

რაც შეეხება მოკომურობას, ეს უკვე დიდი და პატარა ოჯახების, ე.ი. ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ და ყველაზე მახლობელთა წრეს შეადგენს. ისინი ერთიმეორის სახლიკაცები, იგივე ძმები და ძმათაშვილები, ანუ ალალი ბიძაშვილები არიან. ერთად მცხოვრები ძმები და ბიძაშვილები ოჯახის გაყრის შემდეგაც სახლიკაცობდნენ, მაგრამ ისინი კვლავ ალალ ბიძაშვილებად კი აღარ იწოდებოდნენ, არამედ ბიძაშვილებად. ბიძაშვილობა გრძელდებოდა შვიდ მამამდე (თაობამდე). ამის შემდეგ წრე რომ გაფართოვდებოდა, იქმნებოდა გარებიძაშვილობა.

სათანადო ტერმინოლოგიითაა აღჭურვილი კოგნატიკური ნათესაობაც. როგორც ზემოთ ითქვა, დედის ხაზით გაერთიანებული ნათესაობის გამომხატველ ზოგად ტერმინად გამოიყენებოდა "ჩამადევნება". დედის დის შვილის ძველი მოხეური სახელწოდებაა შინში, რაც ამ ხაზით გაგრძელებული შთამომავლობის რიგ საფეხურზე იხმარება და ნამდვილად არსებულ ნათესაურ ურთიერთობას გამოხატავს. თუ დეიდისშვილი "შინშია", დეიდის შვილის შვილები შინშის შვილები არიან, მათი შემდგომი შთამომავლობა შინშთა შვილის შვილები და ა.შ.

სისხლითი ნათესაობის ორივე ამ კატეგორიის მიმართ თანაბარი მნიშვნელობით იხმარება ზემოთ დასახელებული მანაკიდვარი. ეს ტერმინი არა მარ-

ტო აგნატიკური ნათესაობის უშორეულეს მონათესავე და კვლავ იმავე გვარზე დარჩენილ მამაკაცზე ვრცელდება, არამედ იმ პირზედაც, რომელიც მამის სახლიდან სხვა გვარში გათხოვილი ქალის უშორეულესი შთამომავალია, სხვა გვარს ეკუთვნის, მაგრამ ამ ქალის მამის გვარეულობის დისწულად ითვლება.

ასევე ორივე სახის ნათესაურ ურთიერთობაში გვხვდება ტერმინი თჯსი, რაც თავისიანს ნიშნავს და "მანაკიდვართან" შედარებით ახლო ნათესაობის მაჩვენებელია. "თჯსის" პარალერულად იხმარება ნაფერცხლარი. "მანაკიდვარის" ტოლფასი მნიშვნელობისაა ტერმინი თჯს-ნატამალი, რომელიც მხოლოდ უშორეულესი ნათესაობის არსებობაზე მიუთითებს. ეს ტერმინი ამგვარ შინაარსს იძენს სიტყვა "ნატამალის" მიმატებით, რაც მცირედისა და მინიმალურის აღმნიშვნელია.

მოხეურ მეტყველებაში შედარებით გვიან შემოსული ჩანს გამოთქმა ნაჭრით მამბული ნათესავი. მოხევეები ნაჭერს უწოდებენ სახლში დართულ მატყლის ძაფს. ამიტომ, ეს ალეგორიული გამოთქმა ძალიან დაშორებული და ძაფივით სუსტი გამძლეობის მქონე კავშირს შეესაბამებოდა. სისხლით სუსტად შეკავშირებული ასეთი ნათესაობა თავისი არსით "მანაკიდვარსა" და "თჯს-ნატამალს" უტოლდება.

* * *

სისხლით ნათესაობის ცალკეული ჯგუფების სახელწოდებათა გარდა მოხევეებს შემუშავებული აქვს აგრეთვე მამისა და დედის ხაზით შექმნილი ნათესაური ერთეულების ღირსების მსაზღვრელი ტერმინებიც.

სახელმოხვეჭილსა და საუკეთესო თვისებების მქონე "ჩამამავლობას" ხევში ეწოდება ჯიშიანი, ხოლო უავტორიტეტო "ჩამამავლობას" უჯიშო. თუ უჯიშობა წინაპრის უსახელობითაა გამოწვეული და მისი მოდგმა თავიდანვე უარყოფითად ხასიათდება, მაშინ მასზე უთესლ-უჯიშობა ან თესლ-ჯიშ-გონჯობა ითქმის, ხოლო სახელოვანი წინაპრის "ჩამამავლობა" თესლ-ჯიშიანად და კარგ თესლ-ჯიშისად იწოდება.

ანალოგიური ვითარება შეინიშნება დედით ნათესაობაში, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ "ჩამამავლობისათვის" დამახასიათებელი ტერმინებისაგან განსხვავებით "ჩამადევნებაში" იხმარება ჯილაგი და თესლ-ჯილაგი.

როგორც "ჩამამავლობის", ისე "ჩამადევნების" ღირსების მსაზღვრელი ტერმინები ხევში უფრო ხშირად ერთდროულად იხმარება, რადგანაც ყოველი ადამიანი ორივე სახის ნათესაობის შთამომავალია და მისი შეფასების დროსაც ჯიშსა და ჯილაგს ერთნაირი მნიშვნელობა ენიჭება. მოხევე არც ერთი ადამიანის შეფასებას არ იძლევა ცალმხრივი ნათესაობის ღირსება-ნაკლოვანებების მიხედვით. შეფასებაში ითვალისწინებენ ჯიშსაც და ჯილაგსაც. თუ პიროვნება ორივე ნიშნით დადებითად ფასდება, ის იწოდება ჯიშ-ჯილაგიანად, ანუ თესლ-ჯიშიანად და თესლ-ჯილაგიანად. იმ შემთხვევაში კი როდესაც პიროვნების ღირსებად ითვლება ან მხოლოდ ჯიში ან მხოლოდ

ჯილაგი, მისი შეფასებაც შესაბამისი სახელწოდებით ხდება.

სისხლით ნათესაობის ღირსების გამომხატველ ტერმინებთან ერთად საყურადღებოა დანათესავებისათვის დამახასიათებელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა ოჯახების ან გვარების შეყრის გამომხატველი სახელწოდებანი: შამაყრილი, შაკედლებული, შამაფარებული, შამახიზნული, შაყრილ-შაკედლებული და ამანათი.

სათანადო სახელწოდებებით აღინიშნებოდა სამოყვრო ურთიერთობაც. დამოყვრებით დაკავშირებული ოჯახების მიმართ ხმარებაშია მძახალი=მძახალნი, მოყორე=მოყორენი და არაიშვიათად — მძახალ=მოყორენი.

საყურადღებოა ხელოვნური ნათესაობის შესაბამისი ტერმინოლოგიაც. როგორც ზემოთ ითქვა, ხელოვნურად შექმნილი ნათესაობის ზოგადი მოხეური სახელწოდებაა მოკეთეობა. ძველი ეპოქის მოხევე ამ ტერმინს მხოლოდ არასისხლიერი ნათესავის მიმართ ხმარობდა, მაგრამ დროთა ვითარებაში, როგორც ამ ტერმინმა, ისე რიგმა სხვა სიტყვებმა თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგეს და დღეისათვის მოხევეები სისხლიერი და ხელოვნური ნათესაობის გამომხატველ ცნებებს არაიშვიათად ერთმანეთში ურევენ. სახელდობრ, სიტყვა "მოკეთეობამ" ორმაგი მნიშვნელობა შეიძინა და მას ზოგჯერ სისხლიერი ნათესაობის მიმართაც იყენებენ.

"მოკეთეობის" პარალერულად ხევში გამოიყენება ხელოვნური ნათესაობის გამომხატველი სხვა ტერმინებიც. მაგალითად, მეჯვარეს ეწოდება მეჯორე, ჭელისმამკიდე ან ეჯიბი. მეჯვარის ოჯახის შესატყვისია ეჯიბ ჭელისმამკიდენი, ხოლო ამ გზით ოჯახებს შორის შექმნილ ურთიერთობას ეწოდება ეჯიბ ჭელისმამკიდეობა.

შვილის მომნათლავს ეწოდება ნათლიაი, ნათლულის ოჯახს — ნათლიენი, მონათლულს — ნათლული და მონათლულის ოჯახების ურთიერთობა გამოხატულია სიტყვით — ნათელ-მირვნობა.

ძმად გაფიცულებს ეწოდებათ ძმად ნაფიცნი ან ძმობილები, დად გაფიცულებს — დადნაფიცნი ანუ დობილნი, და-ძმად გაფიცულებს — დობილ-ძმობილნი, ხოლო მთელი ამ ურთიერთობის შედეგად შეკავშირებულთ — ფიცვერ-ცხლნაჭამნი.

ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი წესის გამომხატველია ტერმინი მამისძმობა, რაც გულისხობს რამდენიმე გვარის ურთიერთსიახლოვესა და ერთი საერთო ხატის ყმობას. მამისძმობაში გაერთიანებული გვარები ერთი ხატისყმობის გარდა, რაც მათი შეყრითა და საერთო სამხდოს გამართვით აღინიშნებოდა, ვალდებულნი იყვნენ ჭირსა და ლხინში ერთმანეთს დახმარებოდნენ და სამამისძმოში ქალის თხოვნას მორიდებოდნენ.

დაახლოვებით ასეთნაირად წარმოგვიდგება ნათესაურ ურთიერთობათა ტრადიციული სახეობანი, რაც ხევში დღესაც არ არის დავიწყებული.

მიცვალებულის გლოვის წესი და დასაფლავების რიტუალი

მიცვალებულის გლოვის წესი და დასაფლავების რიტუალი მოხევეთა ყოფა-ცხოვრების ისეთი მოვლენაა, რაც დღემდეც უმთავრესად ტრადიციული ნორმების დაცვით სრულდება. მოხევეები დიდი გულმოდგინებით უვლიდნენ ავადმყოფს და მისი გადარჩენის სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა ბალახებით მკურნალობა და შელოცვები. ასევე მიღებული იყო ხატისადმი შესაწირის დათქმა, ლოცვა, მკითხავის ჩარევა და მიცვალებულის სახელზე საკლავის დაკლვა. დამახასიათებელ თავისებურებად ითვლებოდა აგრეთვე ნათესავების, მოკეთეების თუ მეზობლების მხრიდან ძღვენით მოკითხვისა და ოჯახის დანუგეშების წესი.

ამგვარი საშუალებებით შინაგანი სნეულების განკურნება ფაქტიურად შეუძლებელი იყო და ავადმყოფობა უმეტესწილად სიკვდილით მთავრდებოდა. ამგვარი ვითარებისაგან განსხვავებით შედარებით ოპტიმალური იყო მოტეხილობისა და ჭრილობის მორჩენა, რაშიაც დახელოვნებულნი ყოფილან ხალხური მკურნალობის "დასტაქრები". მოხევეებმა ერთ-ერთ ასეთ მკურნალად დამისახელეს გორისციხელი მიხელა ავსაჯანიშვილი, რომელიც დაოსტატებული ყოფილა გატეხილი ძვლების დალაგება-შეერთებაში და თვით თავის ქალის ტრეპანაციაშიც კი.

იმის შემდეგ, რაც მკურნალობა შედეგს ვერ გამოიღებდა და ადამიანის სიცოცხლე სიკვდილით დამთავრდებოდა, ოჯახისა და მისი სანათესაოს მოვალეობას შეადგენდა მიცვალებულის "გაპატიოსნება", ე.ი. გლოვის რიტუალის შესრულება და პრესტიჟული დასაფლავება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ერთმანეთისაგან რამდენამდე განსხვავებული იყო მამაკაცისა და ქალის გლოვისა და დასაფლავების წესი. ქალის გლოვა აღინიშნებოდა ჩვეულებრივი დატირებით და უცერემონიო დასაფლავებით. ამისაგან განსხვავებით, მამაკაცის გლოვისა და დასაფლავების რიტუალი მრავალფეროვანი იყო. ამის შესაბამისად, მთხრობელთა ინფორმაცია მამაკაცის გლოვისა და დასაფლავების რიტუალს ეხება.

ტრადიციის მიხედვით, გარდაცვლილის "გაპატიოსნება", ე.ი. განბანვა, ჩაცმა, და საიქიო ცხოვრებისათვის მისი მომზადება შინაურებისა და მეზობლების მოვალეობას შეადგენდა. ადამიანი თუ მზის ჩაბრძანების შემდეგ გარდაიცვლებოდა, სამძიმარზე მისვლა მიუღებელი იყო. ამიტომ, მისამძიმრება, რასაც მოხეურად "მოწყენა" ჰქვია, ხდებოდა მეორე დილიდან მზის ჩასვლამდე. ამგვარი აღკვეთა სრულდებოდა სამი დღის განმავლობაში, ე.ი. მიცვალებულის დაკრძალვამდე.

"მოსაწყენად" მიდიოდნენ ყველანი, თვით უმძრახნიც კი (ე.ი. დამდურებულნი), გარდა მოსისხლე მტრისა. სამძიმარზე მისულთ ჭირისუფლის მხრიდან ხვდებოდა გორის (გვარის) უფროსი მის გვერდზე მდგომ ახლობელ მამაკაცებთან ერთად. სამძიმარზე მისულნი რომ მიცვალებულის ეზოში შევიდოდნენ, მათ გვარის უფროსი შეეგებებოდა. მას უკან მიყვებოდნენ ჭირისუფალი მამაკაცებიც. მომწყენთაგან მის წინაშე წარსდგებოდა უხუცესი, რომლის უკან დანარ-

ჩენები უფროს-უმცროსობით რიგში დგებოდნენ. უხუცესი მომწყენი მიცვალებულის გვარის უფროსს ერთი მეტრით რომ მიუახლოვდებოდა, შეჩერდებოდა და მიმართავდა: "ვერ გექნას ჩემი თავი. ვიდრე ჩვენ თქვენს ამ სიწუხილეს გავიგონებდით, მე დაგეტირეთ. ღმერთმა მაგის სული გიცხონასთ, შემდეგ კი მშვიდობა მაქცასთ. რას იზამთ, სიკვდილი ხთის ყალანია. კიდავ კარგი რომ სხვისი ხელით არ არის დაღუპილი. მადლი უფალსა, სიკვდილს ხელს ვინ შეუშვერს?"

მიცვალებულის პატრონი გვარის უფროსი უპასუხებდა: "ღმერთმა მშვიდობა მაქცასთ ჩვენი ამ დატირებისათვის, ჩვენ ჯორნილ-ნათლობაჩი გოდოგოჯდევინას ჩვენი მოხედვისათვის. თქვენი დღე წაიღას — ჩვენი სოფლისა და ჩვენი თემისა. რაი უყოთ, სიკვდილი ხთის ყალანია, სადაც აკვანი ერწება, კუბოც იქ დგება".

სიტყვების ასეთი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოხუცები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ და განზე გადგებოდნენ. შემდეგ გვარის უფროსთან უფროს-უმცროსობით წარსდგებოდნენ დანარჩენები, ეტყოდნენ "მამიწყენიაო" და ხელს ჩამოართმევდნენ. გვარის უფროსი მადლობას გადაუხდიდა სიტყვებით — თქვენი თავი გვიცოცხლოს ღმერთმა. დედაკაცები არ უსამძიმრებდნენ, ისინი მხოლოდ ტიროდნენ.

მისამძიმრების შემდეგ უფროს-უმცროსობის რიგით სახლში შევიდოდნენ და უფროსები სუფრას მიუსხდებოდნენ. გაიხსენებდნენ ოჯახის, სოფლისა და თემის მიცვალებულებს და შესვამდნენ მათ შესანდობარს. შესანდობარს მოაყოლებდნენ ცოცხლების სადღეგრძელოებს. დალოცავდნენ მგზავრს, გარეთ გასულებს, მეცხვარეს, ჯარში მყოფთ. თავჩაღუნული ახალგაზრდები შორიახლო დგებოდნენ. თუ ახალგაზრდას მოიგონებდნენ, იტყოდნენ "მწარედ სატირალიაო". 80 წელს გადაცილებულზე კი იტყოდნენ: "ხანს იყო, მადლი მოუვიდა, ოჯახის ავი დღე წაიღა, მაისვენაო". მოკლე ხნის შემდეგ სუფრიდან ადგებოდნენ და ეზოში გავიდოდნენ. მაგრამ სუფრას არ აშლიდნენ იმ განზრახვით, რომ თემიდან მოსულთაც გამასპინძლებოდნენ. სუფრა სამ დღემდე აუღებელი იყო. სამი ღამის განმავლობაში მიცვალებულს ღამეს უთევდნენ "ღამე მსხდომელები". რამდენიმე ახალგაზრდას სუფრას უშლიდნენ. ისინი ცოტ-ცოტას სვამდნენ და მუსაიფობდნენ. ღამით ტირილი მიუღებელი იყო. მზის ჩასვლისთანავე ხმით მოტირალიც და იქ დამსწრე ქალებიც სახლს ტოვებდნენ.

შესაწევარი ხევში ადრე მიუღებელი იყო. ერთხანს შემოუღიათ ფულადი დახმარება, მაგრამ მისი რაოდენობა თემის დადგენილებით შეამცირეს (იხ. სვიმონ შადური, წერილი ხევიდან, გაზ. "ივერია", 1901 წ. N 134-135). ტრადიციული ვალდებულებით ჭირისუფლის ოჯახში მიჰქონდათ სასმელი, ქადა, ხაბიზგინა, ნაზუქი. გულის მოკეთეს კი (ე.ი. ახლო ნათესავს) მიჰყავდა საკლავიც. ასე შეგროვილი ხორაგი ხმარდებოდა მიცვალებულის სახელზე გაშლილ სუფრებს. კუბოს სოფლის ოსტატს დაამზადებინებდნენ ზედ გადაკრული ძვირფასი ფარჩით. კუბოს შემოღებამდე კი მიცვალებულს კიბით გაასვენებდნენ და სიპებით მოპირკეთებულ სამარეში ჩაასვენებდნენ. მას ზემოდანაც სიპს დააფარებდნენ. კიბის შემდეგ შემოუღიათ ტახტი, რასაც მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ეკლესიაში ინახავდნენ. ამჟამად ფაბრიკული კუბოთი სარგებლობენ.

ხალხის რწმენით, მიცვალებულს საიქიოში ხვდებოდნენ ე.წ. მგებრები (შემგებებელნი) — გარდაცვლილის ახლობლები და იქ ისინი პატრონობდნენ.

მიცვალებულის გლოვის პროცესში აუცილებლად ტარდებოდა ხმით დატირების რიტუალი, რაშიაც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის დედაკაცები, ახალგაზრდა ქალები და რძლები. მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ როგორც შინაურები, ისე ნათესავები, მოკეთეები და მეზობლები. ტრადიციის დაცვით ოჯახში ტირილი გრძელდებოდა სამი დღის განმავლობაში — სიკვდილის დღიდან დასაფლავებამდე. ხმით ტირილის მცოდნე ხნიერი დედაკაცები კუბოსთან დგებოდნენ. მიცვალებული აუცილებლად ქამარ-ხანჯლით ესვენა და გულზე თოფი ედო. ხმით მოტირალს ხელში ამ თოფს მისცემდნენ და ისიც "შეგვანილად" (მოხდენილად), ხმის გაგრძელებით იწყებდა მოთქმას. ყოველი ფრაზის წარმოთქმაზე ის წუთით შეჩერდებოდა, რათა დანარჩენი დედაკაცები გალობის მსგავსი ზარით ხმაშეწყობილად შეხმიანებოდნენ. თმაგაშლილი ახალგაზრდა ქალები კი თავზე ხელის მაგრად ჩამოსმით, ან ახლობლები თმის გლეჯვით, თავზე და ლოყებზე ხელების ცემით ტიროდნენ. ხმით მოტირალი დედაკაცი მოსთქვამდა: "შენ ეგრე სიკვდილი არ გეკუთვნის, უნდა იყო ბრძოლის ველზე და ეგ განიერი ბეჭები სულ ტყვიით გელეწებოდეს მადლიან-ბარაქიანო, შენ ბჭეო-მოსამართლეო, პურად-გულადო, საწყლის გამკითხაო. შინ გიდგანან ღვინის ტბანი, შიგ ცურავენ ოქროს თასნი, სომდეს და არ ილეოდიან". ხმით მოტირალი ამ სიტყვებს მოაყოლებდა გარდაცვლილ სახელოვან ვაჟკაცთა დადებით ხსენებას. იგი ლექსად ხოტბას შეასხამდა ყველა მოხევეს სოფელ ყანობიდან ხევის ბოლო სოფლამდე.

მოხევეთა ხსოვნაში ასეთი სახელგანთქმული ხმით მოტირალი ყოფილა სნოველი ათერა გოდერძიშვილი, ყაზბეგიანთ დისწულიშვილი, რომელსაც ალექსანდრე ყაზბეგი დაუტირებია. XX საუკუნეში სახელი მოიხვეჭა ხმით მოტირალმა თამიკო წიკლაურმა. მის შესახებ "ქართული ხალხური პოეზიის" V ტომის კომენტარებში ვკითხულობთ: "80 წლის თამიკო წიკლაურის მიერ ნათქვამი დატირება 1948 წელს ჩაიწერა ირაკლი ჩქარეულმა სოფელ ხურთისში. ამ სამგლოვიარო ლექსის მთქმელ-შემსრულებელი თამიკო წიკლაური სახელოვანი მოტირალი ყოფილა. მას ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა სოფელში და იმ ტრადიციის გამგრძელებელია, რომლის შესანიშნავ წარმომადგენლებად ღინჯა და ელგუჯა დაგვისახა ალ. ყაზბეგმა თავის მოთხრობებში".

ვაჟკაცზე ნატირალი — ამ სახელწოდებით სამგლოვიარო ლექსი შევიდა "ქართული ხალხური პოეზიის" V ტომში (თბილისი, 1976, გვ. 89-90), რასაც აქვე ვიმოწმებ:

ზაითკე წახოლ, ქორი გინდა,
ქოითკე წახოლ — შავარდენი,
თეთრისა ქორისა ნაშობოო
შავარდენისაგა ნაქნაროო.

თავლაჲ გინდა შაკმაზული,
აცალე თავლავ, პატრონი ომჩი ემზადება,

თავლაჲ გინდა მოჭედილი ოსმანეთის
ნალურსმნითა, ოთხსავ ფეკზე მოჭედილი.
თავლას უნაგირი უნდა

ოქრო-ვერცხლითა ჩაარტნული.
სამკლავ გინდა, საფუკარი,
ჯაჭვი პერანგად დაგმშვენდება.
არაგვს სიმაგრე გასტეხიაო,
ზარბაზნები დამტვრევიაო,
დიდი არგახის ბატონოო,
ჯარჩი ლეკების მკოცავო,
შინ სახელის მიმტანოო.
ეხლა მიბრძანდი ყანობსა,
კურდღელას აქებენ ჭიალაშვილსა,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი გორისციხესა,
ბასა და ლილისა აქებენ
იმ ჩვენის ხევის მკურნალსაო,
შენცო სადარო იმათაო!
ეხლა მიბრძანდი სივანჩი,
სურხანს აქებენ ყარაჯიშვილსაო,
წითლის კარავის დამდგმელიაო,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი აჩხოტსა,
ჩეჩის და გაზას აქებენ
შენცო სადარო იმათაო!
ეხლა მიბრძანდი სნოსაო,
შიოლას აქებენ ღუდუშაურსაო,
გზაჩი ლეკების მკოცალიაო,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი სტეფანწმინდასა,
ყაზბეგიანთ მიხეილს აქებენ,
ხევის ქვრივ-ობოლთ გამკითხავსაო,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი ახალციხესა,
ფადიაურს აქებენ,
მთაჩი ლეკების მკოცალიაო,
შენცო სადარო იმისაო!
მინდორს გიდგანან ღვინის ტბანი,
შიგ გიწყვია ოქროს თასნი,
მიდიოდიან, სომდეს და არ აკლდებოდა,
სულ შენის მამა-პაპის დანახარჯიაო.
ნუ გაიყრებით ქორშევარდენო
ნუ გადმასცვივით ტახტზედითა,
შასვლა დაგიგვიანდებაო,
შენ მიხოლ მინაჩიგა,
პატრონი ცხოს დაგირჩებაო.
ტიალო მცურავო, ტიალო,

როგორი გაუმაძღარი ხარო,
სარქველი მაგრა გააკეთეთო,
რო გველი არ შამაძვრესო,
გველი უნინ მარჯვენა თოლს
დაჰყოფს ჭელსაო.
შვილო, პირი არ გააღა,
დედის კოცება არ გეგონასო!
გულზე რო დაგაწვეს,
პატრონის ხელი არ გეგონასო.
აჩქარდი, ნუ ჰგვიანობ,
მიწა მოგელის მაგარი,
ოჯერი დასაშლელადაო.
შე რო ქოჩორზე ჭელი გადაისო,
ქოჩორი დაიწყებს ჩამაცვინასაო,
გულის პირზე ჩამაცვინასაო.
აჩქარდი, მზით შადი სამუდამო სამყოფელჩიო,
მშვიდობითა შვილო, მინასამც გაუმაგრდები.

ხმით მოტირალი რომ სამგლოვიარო მოთქმას დაამთავრებდა, იქ მონაწილე ქალებიც თავის მოვალეობას შეასრულებდნენ. ისინი ორად გაიყოფოდნენ. უფროსი დედაკაცის მეთაურობით მათი ერთი ნაწილი კუბოსთან დარჩებოდა. უფროსი დედაკაცის წინდგომით ისინი დამწკრივდებოდნენ. იწყებდნენ კუბოს ირგვლივ შემოვლას. უფროსი დედაკაცი თავში ხელების ცემით დაიძახებდა "დადაჲ", რასაც ყველა მონაწილე იმეორებდა. ქალების მეორე ნაწილი სახლიდან გარეთ გავიდოდა. უფროსი დედაკაცი თავზე და ლოყებზე ხელების ცემით სახლში დარჩენილებს შესძახებდა - "დადაჲ". სახლში მყოფთაგან უფროსი დედაკაცი ასევე "დადაჲთ" შეეხმიანებოდა.

ამის შემდეგ გარეთ მყოფნი ერთიმეორის მიყოლებით დამწკრივდებოდნენ და "დადაჲს" ძახილით სახლისკენ დაიძრებოდნენ. სახლში მათი შესვლისთანავე იქ მყოფი ქალები თავზე და ლოყებზე ხელების ცემით იტყოდნენ _ "ადაჲ". სახლში დამხვედრნი და გარედან შესულნი კვლავ დამწკრივდებოდნენ, ნელი ნაბიჯით სამჯერ შემოუვლიდნენ ცხედარს და კვლავ თავ-პირში ხელების ცემით დაიძახებდნენ - "ადაჲ, დადაჲ".

ქალების მიერ ამ წესის შესრულების შემდეგ სამგლოვიარო რიტუალში ვაჟკაცებიც ებმებოდნენ. საგანგებოდ დამზადებული ფარჩუბგასანთლული მათრახებით ისინი სამჯერ შემოუვლიდნენ ცხედარს და ყოველ შემოვლაზე საკინძეჩამოხსნილ კისერზე სისხლის დენამდე ირტყამდნენ მათრახს. ეს იმდენად მიღებული ჩვეულება იყო, რომ მამის ცხედართან ეს წესი 18 წლის ალექსანდრე ყაზბეგსაც კი შეუსრულებია (იმის შემდეგ, თუ ალ. ყაზბეგმა როგორ აღწერა ავადმყოფობისადმი პატივისცემის წესი და სამგლოვიარო რიტუალი, დაწვრილებით იხ. ვალერიან ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები, თბილისი, 2006, გვ. 230-247).

ტირილის მოთავების შემდეგ გამოსვენების დრო რომ დადგებოდა, სამ-

გლოვიაროდ შეკაზმავდნენ მიცვალებულის ცხენს — ე.წ. სულის ცხენს. თუ გარდაცვლილს ცხენი არ დარჩებოდა, მის აკაზმვას ივალდებულებდა ნათესავი, მოკეთე ან მეგობარი. მაგალითად, სოფელ ყანობში გაიოზ კობიაშვილის ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად ცხენი შეკაზმა მისმა მეზობელმა გურამ ჭიალაშვილმა.

იმის მიუხედავად ცხენი მიცვალებულის იყო თუ ნათესავის, მოკეთის ან მეზობლისა, მისი აკაზმვა ჭირისუფლის მიერ იშვიათად ხდებოდა. აკაზმულობას უმთავრესად გაიმეტებდა გულშემატკივარი ბიძაშვილი, დედისძმა, დეიდაშვილი ან მეგობარი.

საუკეთესო საუნაგირე ცხენის აკაზმულობაში შედიოდა კარგი მხედრისათვის შესაფერისი უნაგირი, რომლის მარჯვენა მხარეზე კიდებდნენ მიცვალებულის დანატოვარ თოფს, ვაზნებს და მათრახს, ხოლო მარცხენა მხრიდან უნაგირზე ამაგრებდნენ მიცვალებულის ქამარ-ხანჯალს და ხმალს. ამგვარი აკაზმულობა შეეფერებოდა საომრად მომზადებული მხედრის აღჭურვილობას. ამასთან ერთად, გლოვის ნიშნად ცხენს მკერდზე და კისერზე შემოავლებდნენ წითელი ფერის ფარჩას, ხოლო უნაგირიდან გავამდე გადაუფენდნენ და ამოკერავდნენ შავ ფარჩას.

ცხენის აკაზმვა რომ დამთავრდებოდა, მიცვალებულს სახლიდან გამოასვენებდნენ. ცხენს წინ დაუყენებდნენ ორ მარჯვე ახალგაზრდას. მათ ცხენის აღვირში ხელი ჰქონდათ ჩავლებული იმის გათვალისწინებით, რომ გადაფარებული ფარჩის ქარისგან აფრიალებით ცხენი არ დამფრთხალიყო. გასვენების დროს კუბოს უკან მიაყოლებდნენ აკაზმულ ცხენს, ხოლო პროცესიას წინ მიუძღვებოდნენ ასაკოვანი კაცები. სხვათა შორის, ეს ჩვეულება ხევში დღესაც სრულდება.

სოფელს რომ გასცდებოდნენ, საფლავთან მისვლამდე პროცესია მოედანზე შეჩერდებოდა და მიცვალებულს ხალხის შუაში დაასვენებდნენ. ამასობაში ხალხის წინაშე წარსდგებოდა ხმით მოტირალი დედაკაცი. ეს ცხენთან მივიდოდა და მარცხენა ხელით აღვირს დაიჭერდა, ხოლო უფროსი კაცი მას მარჯვენა ხელში მიცვალებულის თოფს დააჭერინებდა. ხმით მოტირალი აქ კვლავ იმ სამგლოვიარო ლექსს დაატირებდა, რაც შესრულებული ჰქონდა მიცვალებულის სახლში დატირების დროს. ამ შემთხვევაშიც მიცვალებულის ქება ხდებოდა ხევის სახელოვან ადამიანებთან მისი შედარებით. ხმით მოტირალის ყოველ სახოტბო სიტყვას იქ მონაწილე დედაკაცები ზარის თქმით ეხმიანებოდნენ. აღწერილი პროცედურის შემდეგ ხმით მოტირალი დედაკაცი მიცვალებულის მიმართ სამჯერ იტყოდა — მშვიდობით, გამარჯვებითა!

დანარჩენი დედაკაცები, ქალები და რძლები ტირილით დაემშვიდობებოდნენ. უფროსი კაცი ქალებს მადლობას გადაუხდიდა, უკან დააბრუნებდა და ქალეხზე მისვლას შესთავაზებდა. საფლავთან მივიდოდნენ მხოლოდ კაცები. ისინი ცხენს სამარესთან მიიყვანდნენ. მიცვალებულს რომ დაკრძალავდნენ, ცხენს საფლავის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდნენ. ამის შემდეგ ცხენს მთელ აღჭურვილობას ახსნიდნენ და საჩუქრად ნაწილს ხმით მოტირალს გადასცემდნენ.

მამაკაცის დაკრძალვიდან მესამე დღეს ჭირისუფალი დაიწვევდა სოფლის მამაკაცებს, რომელთაც მხედველობა არ ღალატობდა და მიზანში სროლა შეეძლოთ. სოფლის განაპირად მდგარი რომელიმე სახლის ბანზე, დაახლოვე-

ბით 200 მეტრის მანძილზე დააყენებდნენ სამიზნე ფიცარს შუაში შავი წერტილით. მას მიუჩენდნენ მეთვალყურეს ისეთი მანძილით, რომ მას ანასხლეტი ტყვია არ მოხვედროდა. პირველი გასროლა ევალებოდა მიცვალებულის ახლობელს. შემდეგ კი რიგით ყველა მონაწილეობდა. სროლის შედეგებს ამოწმებდა მეთვალყურე. სროლა გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე სამიზნე ფიცარზე 5-6 მონახვედრი მაინც არ გამოისახებოდა. ყოველ მონახვედრს მეთვალყურე შავი წერტილით მონიშნავდა. პირველი ადგილის ამღებ მსროლელს ჯილდოდ ეძლეოდა მიცვალებულის ქამარ-ხანჯალი. მეორე ადგილის მომპოვებელს მიეკუთვნებოდა მიცვალებულის თოფი. მესამე ადგილისათვის გამოყოფილი იყო მიცვალებულის ყაბალახი. მეოთხისათვის მიცვალებულის ჩოხა. მეხუთესათვის მიცვალებულის ახალუხი და ა.შ.

ნიშანში სროლის დამთავრების შემდეგ ჭირისუფალი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გაანყობდა სახელდახელო სუფრას. აღნიშნულ რიტუალს ერქვა თოფის ქმის გატეხვა, რომლის შესრულების შემდეგ თოფის სროლა ყველასთვის ნებადართული იყო. მანამდე კი სანადიროდ წასვლაც გაუმართლებელი იყო. როგორც მოხევეებმა მითხრეს, ცხვრის ფარაში რომ მგელი შემოვარდნილიყო, სროლა მაშინაც კი იკრძალებოდა.

თოფის ქმის გატეხვის წესი სრულდებოდა ფათერაკით სიკვდილის შემთხვევაშიც. ოჯახი საამისოდ გამოყოფდა 12 ჭედილას. აქედან 6 ჭედილას დაკლავდნენ დასაფლავების დღეს, ხოლო დასაფლავებიდან მესამე დღეს, როდესაც თოფის ხმის გატეხვის წესი აღინიშნებოდა, დანარჩენ 6 ჭედილასაც დაკლავდნენ. ფათერაკით გარდაცვლილის ტანსაცმელი, იარაღი, ცხენი და მისი აღკაზმულობა საჩუქრად ეძლეოდათ რიტუალში მონაწილე მარჯვე მსროლელებს.

ფათერაკის ერთ-ერთ სახეობად ითვლებოდა მეხდაკრული კაცის სიკვდილი. ამასთან დაკავშირებით სრულდებოდა შესაბამისი რიტუალი. ცხედარს გადააფარებდნენ შავი ფერის ფარჩას, ახალგაზრდები თეთრი ტანსაცმლით შეიმოსებოდნენ და ტაშ-ფანდურას გამართავდნენ. სწამდათ, რომ მოწყობილი მხიარულებით მეხდაკრულს გააცოცხლებდნენ. ეს რიტუალი XX საუკუნემდე შემონახულა. მთხრობლებმა დამისახელეს სოფელ გორისციხეში მომხდარი ერთი ასეთი შემთხვევა. გიგო ჟულიას ძე ჩქარეული როდესაც მეხმა მოკლა და მიცვალებული მიწას მიაბარეს, უფროსი კაცები უმცროსებს გასწყრომიან აღნიშნული რიტუალის შეუსრულებლობის გამო.

ფათერაკით სიკვდილი შეიძლებოდა გამოეწვია მთიდან ქვის დაგორებასაც. სოფელ სტეფანწმინდაში მთხრობლებმა გაიხსენეს ერთი ასეთი შემთხვევა. ხეთაგურებს ყოდანთ (ადგილის სახელია) სათიბი ჰქონიათ. როდესაც მთიბავები სადილად დამჯდარან, მთიდან დაგორებული ქვა იმათ პურ-მარილს დასცემია, მაგრამ არავინ დაშავებულა. ამის მიუხედავად ხეთაგურებმა ეს სათიბი ხიფათიან ადგილად ჩათვალეს, მიატოვეს და გადარჩენის აღსანიშნავი სამხდოც გადაიხადეს. მათგან მიტოვებულ ადგილს გოჩიანნი (ფიცხელაურები) დაეპატრონნენ, რის შემდეგაც ამ სათიბს გოჩიანთ საუბნო უწოდეს. საუბნო კი იმიტომ შეარქვეს, რომ ამ სათიბს გოჩიანთ უბანი მორიგეობით ხმარობდა.

* * *

მიცვალებულის გლოვის პროცესში რომ ცხენს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა, ეს თვალნათლივ დავინახეთ დასაფლავების რიტუალში. აღნიშნული მშვიდი ქმედებისაგან განსხვავებით ცხენი დღემდე აქტიურად ფიგურირებს მიცვალებულის წლისთავზედაც. საწლისთავო დოღი არა მარტო მიცვალებულის დაფასების საშუალება იყო, არამედ მხედრული შეჯიბრისა და შემართების ნიმუშიც. მხედრის წარმატება დამოკიდებული იყო ცხენის ზნეზე, ღონეზე, სისწრაფესა და მისი წვრთნის რეჟიმზე. გახედვნის წესზე აქ აღარ შევჩერდები, ვინაიდან ზემოთ უკვე გავეცანით ხარის ნაცვლად ცხენის ფართოდ გამოყენების პროცესს მეცხვარეობაში, ტვირთზიდვაში და ისეთ რიტუალურ ქმედებებში, რაც სრულდებოდა ქორწილში თუ დღეობებში. ზემოთ ისიც გამოჩნდა, თუ როგორ ხდებოდა ცხენის გახედვნა საურმედ და მხედრის სატარებლად. ამიტომ აქ აღარ დაუბრუნდები გარდაცვლილი მამაკაცის წლისთავთან დაკავშირებით სადოღედ ცხენის მომზადების პროცესის ილუსტრირებას. ამ შემთხვევაში გავეცნობით თვით წლისთავზე დოღის მოწყობის იმ ტრადიციას, რაც ხევში დღემდეა შემონახული.

როგორც ტრადიციულად, ისე თანამედროვე ცხოვრებაში სხვადასხვა დანიშნულებით მოწყობილი დოღი ხევში არა მარტო სპორტული ცხენოსნობა იყო, არამედ სამგლოვიარო რიტუალის შემადგენელი ნაწილიც. დოღს მიცვალებულის წლისთავზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ეს იყო ვაუკაცის სულის ხსენებისა და დაფასების გამოხატულება.

დოღი წელიწადის ნებისმიერ დროს იმართებოდა, გარდა ზამთრისა, ვინაიდან დათოვლილ და მოყინულ გზებზე ცხენჭენება შეუძლებელი იყო. ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ წლისთავი ზამთარში უწევდა, დოღი მარიამობისთვის გადაიდებოდა.

იმის გამო, რომ დოღის გამართვით მიცვალებულის გასტუმრება ხდებოდა, მისთვის საგანგებოდ ემზადებოდა ჭირისუფალი, სანათესაო და მეზობლობა. დოღში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მხედრები 7-10 მხედრის შემადგენლობით. ტრადიციულად ერთი ცხენი აუცილებლად დისწულისა უნდა ყოფილიყო. ის თუ შორს ცხოვრობდა, წინასწარ ატყობინებდნენ, რომ ცხენი სადოღედ მოემზადებოდა.

ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც დოღში მონაწილეობდნენ ჩრდილოკავკასიელი მხედრებიც, თუ რომელიმე მათგანი თავის დროზე მიცვალებულთან, მის ოჯახთან თუ სანათესაოსთან ყონაღობით (მეგობრობით) ან ნათელ-მირონით იყო დაკავშირებული. დოღი ზოგჯერ საკმაოდ დიდ მანძილზედაც ეწყობოდა, მაგრამ შესვენებების პაუზით. ამის საილუსტრაციოდ მთხრობლებმა გაიხსენეს ერთი ისეთი ეპიზოდი, როდესაც მოხევეებისა და ოსი მხედრების ერთობლივი მონაწილეობით საჯირითო გზა განვლეს ოსეთის ქალაქ არდონიდან ხევის სოფელ კობამდე. მთხრობლებმა ისიც შენიშნეს, რომ ოსთა მინდვრის დიდი ცხენები მოხევეთა მთის ცხენებს ჩამორჩნენ, ხოლო პირველობა აუღია იობა ავსაჯანიშვილს.

დამოწმებული ფაქტი გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სადოღე მანძილი თვით ხევის ფარგლებში განისაზღვრებოდა. ამის საილუსტრაციოდ

შეიძლება გავიხსენოთ ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე 1948 წელს, როდესაც მწერლის უკვდავების ნიშნად და სულის მოსახსენიებლად დოღი გამართეს რვა მხედრის მონაწილეობით. ცხენები გამოაჭენეს სოფელ ახალციხიდან, გადავიდნენ სოფელ არშის ხიდზე, გაუარეს სოფელ ფანშეტს და ჩავიდნენ სოფელ სტეფანწმინდაში.

დოღი რომ დაინიშნებოდა და საჯირითო მარშრუტი განისაზღვრებოდა, სასტარტო მიჯნაზე მიცვალებულის ახლო ბიძაშვილის ოჯახი მხედრებს გაუწყობდა ტაბლას, შეზავებულს საამისოდ დაკლული ჭედილის მოხარშული ხორცით, ხაბიზგინებით და მცირეოდენი სასმელით. სტარტის აღებამდე მხედრები ცხენებს რისით გაარბენინებდნენ _ "მუხლს გააშლევინებდნენ". ამის შემდეგ მათ თავისთან მოიხმობდა მედოღეებზე მიმაგრებული მემათრახე. მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად ის მხედრებს თითო პატარა ყანწით არაყს დაალევინებდა. დათრობა სასტიკად იკრძალებოდა და ნასვამი დოღში არ დაიშვებოდა. ჭირისუფლის ოჯახის უფროსი კაცი მხედრებს გზას დაულოცავდა, ხოლო შემდეგ ერთ ხაზზე მდგომ ცხენოსნებს მემათრახე მათრახებს ჩამოურიგებდა. მემათრახე იმავდროულად მხედრებს გააფრთხილებდა, რომ მხოლოდ მის მიერ მათრახის გადატყლაშუნების შემდეგ დაძრულიყვნენ. მათრახის გატყლაშუნებისთანავე მხედრები "მისცემდნენ ძალას", ე.ი. ცხენებს უზანგებში გაყრილ ფეხებს ფერდებში ჰკრავდნენ, მათრახებს გადაურტყამდნენ და გააჭენებდნენ.

სადოღედ განკუთვნილი მარშრუტის საკონტროლო პუნქტებზე მხედრებს ხვდებოდნენ ცხენებზე ამხედრებული მგებრები (შემგებებელი მსაჯები) მათრახებით ხელში. მათ მოვალეობას შეადგენდა სარბენი მანძილის ზუსტად დაცვა. გზის შემოკლების მიზნით მარშრუტიდან გადახვევა მეგობრებისადმი ღალატად ჩაეთვლებოდათ და მხედართა მწყობრიდან ამოვარდებოდნენ. მგებრები მათრახებს გადაუტყლაშუნებდნენ მორბენალ ცხენებს, აქედან ჭირისუფლის სახლში დაბრუნდებოდნენ და მედოღეებს ყველანი ერთად დალოცავდნენ. დოღში მიღებული წარმატების შესაბამისად უფროსი კაცები მხედრებს დააჯილდოვებდნენ. საამისოდ განკუთვნილი ყოფილა მიცვალებულის ცხენი, უნაგირი, იარაღი, ქამარ-ხანჯალი, ქუდი, ყაბალახი, წუღა-მესტი, ნაბადი, ჩოხა-ახალუხი. ზოგიერთ შემთხვევაში ჯილდოდ გამოყოფდნენ ცხვარსაც. მაგალითად, დოღში გამარჯვებულ ვანისე ფაჯიშვილს მიცვალებულის სამოსთან და ქამარ-ხანჯალთან ერთად მისცეს 40 სული ცხვარი.

საყურადღებოა, რომ მიცვალებულის სახელის უკვდავყოფისა და სულის მოსახსენებლად დოღის გამართვა ხევში დღესაც ტრადიციული წესით სრულდება. შეიცვალა მხოლოდ საჩუქრების ფასეულობა. ისიც აღსანიშნავია, რომ ნაადრევად გარდაცვლილს დოღს უმართავდნენ მისი თანატოლები. მაგალითად, 1959 წლის 8 აგვისტოს როლანდ შიოლაშვილის წლისთავზე დოღი მოაწყვეს მისმა მეგობრებმა 15 მხედრის მონაწილეობით და მათვე ითავეს ცხენოსნების დასაჩუქრებაც.

* * *

ზოგიერთ შემთხვევაში დოღის ნაცვლად წლისთავზე ნიშანში სროლა იმართებოდა. მოხევეებმა გადმოცემით იციან, რომ თოფის შემოღებამდე შვილდ-ისარი გამოიყენებოდა. წინაპართა ნაამბობის თანახმად, ჩვეულებისამებრ რამდენიმე სამიზნე ნიშანს შერჩეულ ადგილზე დააყენებდნენ და ისარს გაჭენებული ცხენიდან ისროდნენ. მხედარი რომელ ნიშანსაც ჩამოაგდებდა, ჯილდოს ამის შესაბამისად ღებულობდა. ჯილდოები ნაწილდებოდა მიღწეული წარმატების შესაბამისად.

მოხევეებმა ისიც მაცნობეს, რომ ცეცხლმსროლელი იარაღის გავრცელების დროიდან ნიშანში სროლა თოფით ხდებოდა, რასაც თოფის ნიშანი ერქვა. მაგალითად, სოფელ ყანობის მკვიდრთ ახსოვთ, რომ სამიზნე ნიშანს დგამდნენ სოფლის პირდაპირ მდებარე კართანაში. აქ სამიზნედ დაყენებულ მონიშნულ ფიცარს შეჯიბრში მონაწილენი თოფს სოფლიდან ესროდნენ. სროლის შედეგს ამონმებდა შორიახლოს მდგომი კაცი. მისი ჩვენების საფუძველზე მსაჯები უპირატესობას ანიჭებდნენ იმ პირს, ვისი ნასროლი ტყვიაც პირველობის აღმნიშვნელ ნიშანს მოხვდებოდა. მეორე მსროლელს რომ ტყვია იქვე მოერტყა, ის მეორე ადგილს დასჯერდებოდა. ნიშანში მსროლელთა რაოდენობა შეზღუდული არ იყო. სროლის შედეგების კვალობაზე ჭირისუფლის ოჯახიდან გამოყოფილი უფროსი კაცი სროლაში მონაწილეებს საჩუქრად აძლევდა მიცვალებულის ძროხას, ჭედილას, უნაგირს, ნაბადს, ჩოხა-ახალუხს, ქამარ-ხანჯალს, ქუდს, წუღებს.

აღწერილი რიტუალების შესრულების პროცედურა მთავრდებოდა საწლისთავო სუფრით, რომელშიაც მონაწილეობდნენ ნათესავები, მოკეთეები, მეზობლები და თემიდან მოსული გულშემატკივრები. ეს იყო უკანასკნელი სავალდებულო სუფრა, რაც მოხეური "დიდებაᲘს" (წამღერების) თქმით მთავრდებოდა. ეს სამომავლო ლხინისა და კეთილდღეობის სურვილის გამომხატველი ქმედება იყო. წლისთავს "მიცვალებულის გასტუმრება" ერქვა და ამითი გლოვის პროცედურაც არსებითად მთავრდებოდა. მანამდე კი მიცვალებულის ხსოვნას რამდენიმე სამგლოვიარო სუფრა ეძღვნებოდა, რომელთაგან სავალდებულოდ ითვლებოდა 15 დღისთავი, ორმოცი, წყალკურთხევა და მარიამობა. მიცვალებულის მოხსენიების ამგვარი წესი ხევში დღესაც სრულდება.

ხალხური მკურნალობა და შელოცვები

მოხევეთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის მნიშვნელობა ენიჭება ხალხური მკურნალობის რაციონალურ თუ ირაციონალურ საშუალებებსაც. რაციონალურ საშუალებათა სფეროს განეკუთვნებოდა მკურნალობის ხალხური მეთოდები, სახელდობრ ავადმყოფობის შესაბამისად მიჩნეული ბალახეულის გამოყენების პრაქტიკა.

ამის გათვალისწინებით, გაცივებულის წამლად ითვლებოდა მოხარშული კვერცხის გულის, მარილის და არაყის ნაზავი, აგრეთვე არაყის დალევა და არაყითვე ტანის დაზელვა. არაყი და ნიორი წყლისყვავილის განკურნების საშუალებადაც ითვლებოდა.

კუჭის აშლილობის სალიკვიდაციოდ გამოიყენებოდა საზამთროდ გამხმარი მინდვრის პიტნის ნაყენი, ხოლო გულისრევისა და კუჭის განაწყენების წინააღმდეგ სარგებლობდნენ ყაფლანას ნახარშით. წყლით ნაწყენს შველოდნენ შაბისა და ნიორის ნახარშით.

დედაკაცები ორსულობის თავიდან ასაცილებლად ხმარობდნენ თითა ბალახის ნაყენს, ხოლო მუცლის მოსაწყვეტად იყენებდნენ ბალბას და აბზინდას.

მოხევეები განსაკუთრებული ნდობით იყვნენ განწყობილნი ცხრაძარღუას მიმართ. მათი რწმენით, ცხრაძარღუას ჩაი ხველებისა და ჭლექის წამალი იყო. იგივე ითვლებოდა წნევის წამლად იმ შემთხვევაში, თუ ორ-სამ კილოგრამ ცხრაძარღუას ხორცის საკეპ მანქანაში გაატარებდნენ და ამ გზით მიღებულ ერთ ჭიქა წვენს ავადმყოფს შეასმევდნენ. მოუხარშავი ცხრაძარღუას ფოთლებს ინფექციისა და დაჩირქების სალიკვიდაციოდ ჭრილობაზედაც ადებდნენ.

სამკურნალო პროცესში მანამდე იას ჩართავდნენ. საზამთროდ გამხმარ იას ხარშავდნენ წითელი ფერის ფურის რძეში. შემდეგ მოადუღებდნენ ხორბლის თეთრ ფქვილს. ცომს შემოაკრავდნენ ქათმის ჩიგოს (ტყავს). გოგრის გულის და შელოცვილი ღალის (ნაღების) ნარევს. ამ მასას წაუსმევდნენ მუავის ტყლაპზე და დაადებდნენ "ჯარის ყოვილის" ან "ბედრიანის" (ბედნიერის) ჩირქოვან იარაზე. იარაში ჩადებდნენ ბამბის ვიწროდ გრეხილ პატრუქს (სანახავს) და მას რომ ამოაძრობდნენ, ჩირქიც გამოიკაფებოდა. ხალხურ მკურნალობაში ისიც იყო გათვალისწინებული, რომ მახვილის (დანის) მიკარება ადამიანს კლავდა. მოხევეების განმარტებით, "ჯარის ყოვილი" სახიფათო დაავადება იყო. თუ ინფექციის საშიშროება დროულად არ იქნებოდა ლიკვიდირებული, მას ეწირებოდა როგორც ადამიანი, ისე საქონელი. სამბო განსაკუთრებით სახიფათო ყოფილა თვალის ან ყურის სიახლოვეს. მისი გავლენით შესაძლებელი ყოფილა თვალის ან ყურთასმენის დაკარგვა.

სამბოდან ჩირქის გამოსაკაფავად სასარგებლოდ ითვლებოდა შემწვარი ხახვიც, მაგრამ უფრო ეფექტურ საშუალებად გამოიყენებოდა საწურავაჲ — მიწაზე გაჯაჯღული ფოთლოვანი მცენარე. როგორც ჩანს, ყოველ სამკურნალო ბალახს თავისი ფუნქცია გააჩნდა. ია რომ სამბოს მოამწიფებდა და მუავე ტყლაპის დადებით იარა "ჰპირავდა", ე.ი. პირს გახსნიდა, ცხრაძარღუა და საწურავაჲ ჩირქს გამოკაფავდა.

მეორე სახიფათო მუწუკად მიჩნეული იყო ე.წ. "ბედრიანი" (ბედნიერი), რაც

ადამიანს სარტყლის ზემოთ შეიძლება გასჩენოდა. სიტყვა ბედნიერი ამ შემთხვევაში ნახმარია შიშის სიმბოლოდ. მისი გაავებით ადამიანი რომ საფრთხეში არ ჩავარდნილიყო, მას ეფერებოდნენ სიტყვებით:

ამოვალის ბედრიანიო,
თოლად-ტანად მშვენიერიო.
ამოვალი ვერცხლივითა,
დავბზანდები ცეცხლივითა.
მინდორს წავალ გავგორდები,
მინდორს ურმის თოლივითა.

ურმის ბორბალი აქ შედარებითი მნიშვნელობითაა ნახმარი იმის გათვალისწინებით, რომ სამბო მრგვალი იყო და "გაგორებაც" შეეძლო.

"ბედრიანის" მკურნალობა "ჯარის ყოვილის" მკურნალობის ანალოგიური იყო. ორივე მათგანისათვის ისიც საერთო იყო, რომ ჩირქის განდევნის შემდეგ იარაში ჩადებდნენ სანახავს _ თაფლში ამოვლებულ კანაფს, რათა ჩირქის დენა არ შეჩერებულიყო. სანახავის ამოღების შემდეგ კი იარას ფაფუკი ქისით დაბანდნენ და შეუხვევდნენ, რაც იარის შეხორცებამდე გრძელდებოდა.

ჭრილობის გამთელების წამლად გამოიყენებოდა "მკერვალაჲ" _ მოგრძო ბალახი წვრილი ფოთლით, რაც ჭრილობას ორ დღეში ახორცებდა. მეორე ბალახი პატარა მწვანე ფოთლებით ჭრილობას სამ დღეში ამთელებდა. იგივე დანიშნულება ჰქონია პირში დაღეჭილ სამყურასაც.

ერთ-ერთ სამკურნალო ბალახად მოხევეებმა დამისახელეს ბუარაჲ, ჭეკარივით ბრტყელფოთლოვანი ბალახი, რომელიც სიმწვანეს ინარჩუნებდა წლის ყველა დროში. ჭრილობის გამთელების მიზნით მას მჟავე დოში ან ხურხაში (შრატში) ამოავლებდნენ და ჭრილობაზე დააკრავდნენ. ბუარა არა მარტო ჩირქოვან სამბოს პირავდა და დააცხრობდა, არამედ სიცხესაც შეამცირებდა.

წითელი ქარის დროს გამოიყენებოდა ზღვის ნაირფეროვანი კენჭები. წამლად ითვლებოდა აგრეთვე ირმის რქისა და ურძნის ნაჭრები. სამკურნალოდ გამოყენების მიზნით წყლით სავსე ჯამში ზღვის კენჭებს რიყის ქვაზე ხეხავდენ. ამ ქვებს ერქვა ხუთავები. მასთან ერთად წყლიან ჯამში ჩაყრიდნენ ირმის რქისა და ურძნის ნაჭრებს. ამ ნაზავს შეულოცავდა შელოცვის მცოდნე 9 კაცი. ასე შერეული წყლით ავადმყოფს ზემოდან ქვემო მიმართულებით სხეულს დაუზელდნენ. ფეხებიდან ზემოთ ზელვა არ შეიძლებოდა. ზემოდან ქვემოთ კი ხელს შემლოცველი ჩამოუსმევდა. ზღვის კენჭების ხეხვა ხდებოდა დღეში სამჯერ და გრძელდებოდა სამ დღემდე, ე.ი. სულ ცხრაჯერ. ეს შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ იმ დღეებში, რომლებსაც სიტყვა შაბათი ურევია (ორშაბათი, სამშაბათი და ა.შ) ამგვარი რეჟიმით შელოცვის რიტუალის შესრულება პარასკევსა და კვირას გამორიცხული იყო. ტანის ზელა რაკი ზემოდან ქვემო მიმართულებით ხდებოდა, ლექსშიც ეს აღინიშნა:

ზემოთ ნუ უქნევ ნიჩაბსა,
ქომოთკე დაუნიავეო.

ასე იტყოდა ზემოხსენებული წესის შემსრულებელი შემლოცველი _ კაცი ან დედაკაცი. წითელი ქარის სხვა სახის წამალს არ ხმარობდნენ.

მტკივანი თვალების მოსარჩენად ხდებოდა მათი გამობანვა "ნაგალი" ანუ "დაღლილი" წყლით. ასეთ რბილ წყლად მიჩნეული იყო ვათის ჯევაჲ სოფელ ყანობში, ლიშიაჲ ხურთის-ყანობში, გორისციხული ჯევაჲ და ყურო სოფელ სტეფანწმინდაში.

თუ ადამიანს ყურის ტკივილი შეაწუხებდა, ყურში თბილ ერბოს ჩაასხამდნენ ან დაგრეხილ ლურჯ ქაღალდს ცეცხლს ნაუკიდებდნენ და ყურში ბოლს შეუშვებდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს დაჟეჟილი ქუსლი დაუჩირქდებოდა, დაადებდნენ ჩვილი ბავშვის განავალს, რის შედეგადაც ჩირქი ერთ ადგილას მოიყრიდა თავს. ამავე მიზნით მტკივნეულ ქუსლზე ადებდნენ ძველ დუმასაც, მაგრამ ყველა საშუალებათა შორის უპირატესობა მაინც ცხრაძარღუას და საწურავას ენიჭებოდა. სიმსივნის სალიკვიდაციოდ კი გამოიყენებოდა ხურხაში ჩამბალი "ჩხამაის" ფოთლების საფენი.

ნარის ან მკვდარი გველის ფეხში ძვლის შერჭობის შემთხვევაში იცოდნენ ფეხის ჩადგმა ცხელ წყალში, რათა საწამლავი მასში განეიტრალებულიყო. უფრო მეტი გულისყურით უვლიდნენ გველის ნაკბენს. შხამის ლოკალიზაციის მიზნით პირველყოვლისა ფეხზე თასმას შემოუჭერდნენ, ხოლო შხამის გამოდევნისათვის ცეცხლმოკიდებულ აბედს ნაკბენზე დაადებდნენ. ამასთან ერთად, ფეხს ცხელ წყალში ჩააყოფინებდნენ და ნაკბენზე ახალ-ახალ ხსენის ქერქსაც ადებდნენ.

ხევში ადამიანს მორიელი იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ ის თუ ვინმეს უკბენდა, ეს დიდად სახიფათო იყო. ხალხს ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ხმით მოტირალი იტყოდა: "მორიელისა ნაკბენსა, წამალი არ ეწამლებაო". ხმით მოტირალი ამითი სინანულს გამოხატავდა უმთავრესად მოულოდნელად გარდაცვლილი ადამიანის მიმართ. ამ სიტყვების მიხედვით მოულოდნელი სიკვდილი მორიელის ნაკბენთან იყო ასოცირებული. ესოდენ დიდი ხიფათის თავიდან ასაცილებელ საშუალებად მიჩნეული იყო ნაკბენზე მორიელისავე დადება, მაგრამ ამის შესაძლებლობას ხალხი გამორიცხავდა იმ მოტივით, რომ მკვდარი მორიელის მოძებნა შეუძლებელი იყო.

ხალხი იცნობდა კანის დაავადების მკურნალობის სხვა საშუალებებსაც. დახავრებულ ადგილზე ხურხაში ჩადებული ქატოს და ღორის ქონის ნაზავის დადება ხდებოდა. ე.წ. "ძირძიტა" მუწუკის სალიკვიდაციოდ გამოიყენებოდა შენაზავი სხვადასხვა მასალით (დანაყილი ია და წყლის მცენარე ჩაღანდარი, მის ნარევზე დამატებული შაქარი და არაჟანი). ქაღალდზე წაცხებულ ამ ნარევს მუწუკზე ადებდნენ. მუწუკის მოშორების მეორე საშუალება იყო შეფიცხებული ნიგვზის, კარაქის, გოგირდის და ღუჭის (მურის) ნარევის გამოყენება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მკურნალობაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ურძენსაც. როგორც ჩანს, ამას განაპირობებდა ამ ხის გამძლეობა და სიმაგრე, რომლის ჩარევა მკურნალობაში ადამიანის ჯანმრთელობას განამტკიცებდა. მისი გამოყენება ხდებოდა როგორც ადამიანის, ისე ცხოველის მიმართ. მაგალითად, ადამიანს რომ თვალი ასტკივდებოდა, ტანსაცმლის შიგნით კისერზე ჩამოკიდებდნენ მეშში გამოკერილ ურძნის პატარა ნაჭერს. ტანსაცმლის გარეთ

კი ყელზე კიდებდნენ ქარვის მძივს, რომ ავი თვალი არ მოხვედროდა.

გათვალვისგან დაცვის მიზნით ცხენსაც და ძროხასაც კუდზე მეშში გამოკერილი ურძნის ნაჭერს კიდებდნენ. ავი თვალისაგან დაცვის მიზნით ცხენს ასევე ყელზე აბამდნენ მტაცებელი ცხოველის კლანჭებს, ხოლო ძროხას კუდზე კიდებდნენ ნითელი ფერის ნაჭერს. ამგვარ პრაქტიკულ ქმედებებთან ერთად ურძენი როგორც წმინდა ხე თვალნაკრავი საქონლის შელოცვის პროცესშიც გამოიყენებოდა.

ურძენი როგორც სიწმინდისა და სიმაგრის სიმბოლო, სხვა ვითარებაშიც გამოიყენებოდა. მშენებლობის დროს სახლის სიმკვდრისა და გათვალვისაგან მისი დაცვის მიზნით წესად იყო საძირკველში მისი ჩაყოლება. როგორც კი სახლის უფროსი საძირკველში სამ ქვას ჩადებდა სიტყვებით _ "სამება შეეწიას ამ ფუძესო", მისივე მითითებით ოთხივე კუთხეში ბავშვს ჩაადებინებდნენ შელოცვილი ურძნის ნაჭრებს და ოთხ ათშაურიანს. ეს პროცესი იდუმლად სრულდებოდა იმის შიშით, რომ ავი თვალის კაცს არ დაენახა და არ შეეხიბლა მშენებარე სახლი. ამ წესს ბავშვს იმ მოტივით ასრულებინებდნენ, რომ ის უმწიკვლოდ ითვლებოდა. ამ საქმეს სრულწლოვანს არ ანდობდნენ იმის ფიქრით, რომ შესაძლოა ის ჯადოიანი ყოფილიყო.

ხალხური მკურნალობის აღწერილ საშუალებებთან ერთად ზოგიერთი მოხევე ძვლის ტრამვასაც შველოდა. მოტეხილობის ცნობილი ოსტატები ყოფილან იობა და ლილი (ილია) ავსაჯანიშვილები. ხალხის ხსოვნით, მათ არა მარტო მოხევეები ჰყოლიათ "პაციენტებად", არამედ ხევსურები და ქისტებიც. მათ თავის ქალის ტრეპანაციაც შესძლებიათ. როგორც მოხევეებმა მითხრეს, მათ თავის ქალის ტრაპანაცია ჩაუტარეს ერთ-ერთ ჩეჩენს, რომელსაც გასამრჯელოს სახით მათთვის შეკაზმული ცხენი მიუყვანია. ეს მომხდარა თვით ჩეჩენის ინიციატივით. იობა და ლილი გასამრჯელოს თავად არ თხოულობდნენ. მათი გარჯის საზღაურს "პაციენტები" თავიანთი სურვილით განსაზღვრავდნენ. შემდეგ მათ მოტეხილობის მკურნალობის ხელოვნება უსწავლებიათ ფხელშელი მიხელა ელოშვილისათვის. ამ ათეთ მიხელამაც ხევში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

* * *

მკურნალობის იმ წესებთან ერთად, რაც პრაქტიკული ქმედებით ხორციელდებოდა, მოხევეები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რწმენით ნაკარნახევ საშუალებებსაც. ეს ეხებოდა როგორც ადამიანის დამიზეზების გამოცნობის, ისე თავდაცვისათვის განკუთვნილი რიტუალების _ ე.წ. შელოცვების შესრულების წესებს. ამ წესების შესრულებამდე ცდილობდნენ იმის გარკვევას, თუ რითი იყო გამოწვეული შექმნილი განსაცდელი, ე.ი. რამ განაპირობა ადამიანის დამიზეზება.

დაავადების დადგენის მიზნით სრულდებოდა ე.წ. ფითილანის დახვევა. ხის კოვზზე სამ ადგილას გადაახვევდნენ გაჩეჩილ მატყლს. დაასახელებდნენ აუცილებლად სახლის ანგელოზს და ნებისმიერ ორ ხატსაც. კოვზის ტარზე ორ-

ჯერად დახვეული ფითილანის ხელახლა გახსნას იწყებდნენ. გახსნის დროს თუ ცალპირად გადმოვარდებოდა მატყლი, იფიქრებდნენ, რომ ავადმყოფობა იმ ხატის მიზეზით იყო, რომელი ხატის სახელზედაც ფითილანის ერთი ნაწილი იყო დახვეული. თუ გახსნის დროს ფითილანი კოვზის ტარიდან არ ჩამოვარდებოდა, გამოჩნდებოდა, რომ იმ ხატის მიზეზი არ ყოფილა, რომლის სახელზედაც ფითილანი დაახვიეს. ხალხის რწმენით, სამი ფითილანიდან ერთ-ერთი მაინც ჩამოვარდებოდა გახსნის დროს. ამიტომ სწორედ იმ ხატს შეუთქვამდნენ საკლავს. იმ შემთხვევაში კი, თუ ფითილანი ორპირად ჩამოკიდებული დარჩებოდა, იფიქრებდნენ, რომ ხატი არ დაუტკბა.

მოხევეთა რწმენით არსებობდა ე.წ. ჯადოც, რომლის მომზადება რომელიმე ოჯახის წინააღმდეგ ბოროტ ადამიანს, უმთავრესად კი დედაკაცს მიეწერებოდა. ამოჩემებული ოჯახისთვის ზიანის მიყენების მიზნით ის ჩვარში გამოახვევდა ძონძებს, ნახშირს, ნაცარს, ქვას, ქერს, მძივებს, წაუსვამდა ქათმის სისხლს და სახლის კედელში ან რომელიმე კუნჭულში შეტენიდა.

თუ დაჯადოვებულ ოჯახს საქმე ცუდად წაუვიდოდა, მკითხავს მიმართავდნენ. მკითხავი განუმარტავდა, რომ მიზეზი იყო სახლის დაჯადოვება. ჯადოს რომ ძალა დაკარგვოდა, მკითხავი ურჩევდა ხელუკუღმა დაეკლათ შავი ქათამი და მისი სისხლი ჯადოსთვის მოეცხოთ.

მკითხავის რჩევით ოჯახს ბუმბული მდინარე წყლისთვის უნდა გაეტანებინა, ხოლო ხორცი კი არ უნდა ეჭამათ, არამედ ცდილიყვნენ, რომ მით ვარაუდით ცნობილ ჯადოქარს გამასპინძლებოდნენ. ცხადია, ჯადოქარი არ უნდა მიმხვდარიყო გამასპინძლების მიზეზს. ოჯახს ჯადო უნდა შეენახათ ჯადოსანი დედაკაცის სიკვდილამდე, ხოლო როდესაც ეს დედაკაცი მოკვდებოდა, უნდა ცდილიყვნენ, რომ ჯადო მისთვის სამარეში ჩაეყოლებინათ.

ფითილანთან და ჯადოსთან ერთად ხევში სხვადასხვა სახისა და მნიშვნელობის შელოცვებიც სრულდებოდა. ტექსტები, რომლებიც 1932 წელს ჩაუწერიათ ვანო შადურს და ქეთო ალიბეგაშვილს, ინახება ყაზბეგის მუზეუმში. ქვემოთ მათ თანმიმდევრობით გავეცნობით.

შათოლილის (თვალნაკრავის) შელოცვა

პირველი ვარიანტი
ჩვნ ვიყვნით სამნი ძმანი
მათე, მარკოზ და ივანე.
მთას წავედით ნადირობა.
კოლი ვერ ვპოვეთ ნადირისა,
კოლი ვიპოვნეთ ქალ-ქაჯეთისა,
მახე დავუდგით, შიგ დავამბით.
თოლნი ხქონდეს ცეცხლისანი,
თმანი ხქონდეს ალვისანი,
წუვნი უკულმართ ჯიქისანი.
ნურც თმას მაშჭრით ალისასა,
ნურც თოლთ დასთხრით ცეცხლისასა,
ნურც წუვს დაამტვრევთ უკულმართის ჭიქისასა.
თორო ვეცემი მომავალს, თორო ვეცემი მომავალს.
ქალს ფეროვანს ფერს წავართომ,
ხარს ძალოვანს ძალას წავართომ,
მეწვლს ფურს ძუძუს გაუკორძებ.
თუ ემასაც არ ვიქ,
ჩაუხტები ქრისტეს დედა მარიამსა.
ტანს დაუძრავ ალვისასა,
თმას მოვაცლი ბროწეულისასა,
ჭურჭელს ნაუქცევ ოქროსასა,
წყალს დაუღვრი ვარდისასა.
დაჯდა ქრისტეს დედა მარიამი...

აქ წყდება... ჩაიწერა ვანო შადურმა

შათოლილის ლოცვა (მეორე ვარიანტი)

შათოლილის ანუ თვალნაკრავის შელოცვის მეორე ვარიანტის მიხედვით, თვალნაკრავს სამჯერ დალოცავდნენ სიტყვებით: "ღმერთმა და წმინდა გივარგიმ დაგწერას ჯორი (ჯვარი)". ამას მიაყოლებდნენ შელოცვას:

ჩვნ ვიყვენით სამნი ძმანი,
სამებისა ძალისანი.
მთას ვიყვენით ნადირობა,
კოლს ვეძებდით ნადირისასა.
კოლს შევეყარეთ ქალ-ქაჯისასა.
ყურთ ნუ დამჭრით ვირისასა
ცხჯრს ნუ მამჭრით იმ მგლისასა,
ფეკთ ნუ დამჭრით უკუღმართისასა.
თორო ჩამოვივლი თქვენსა კარსა.
ქალსა თოლად მშვენიერსა,
ტანს დავუშლი ალვისასა,
თმას ჩამოვაყრევინებ ბროწეულისასა,
კოკას გავუტეხ ვერცხლისასა,
წყალს დაუღვრი ვარდისასა.
ფურსა ძუძუ ტაგანასა,
გაუშეშებ ძუძუ-მკერდსა.
ცხენს ძალოვანს ძალს წავართომ,
ჯარ ფალავანს ძალს წავართომ,
კაცსა თეთრსა, ფეროვანსა.
მუკლს მოვსჭრი და ძირს მოუგებ.
შენ წმინდა გივარგიმ ჯორი დაგწერას,
ეს ეშმაკის ნათქომი იყო.
შემდეგ გრძელდება:
ტიროდა დედა მარიამი,
იჯდა ჯოროდინს გზაჩი.
გამაიარა ავმა კაცმა (შემთოლველმა),
დამნატრა სანატრელო.
გადაიქცა ალვის ხე,
ტოლი დამინყვიტა ოქროსი,
შკამი გამიტეხა ვერცხლისა,
ტანი დამიშალა ალვისა,
თმა ჩამამაყრევინა ბროწეულისა,
კოკა გამიტეხა ვერცხლისა,
წყალი დამიღორა ვარდისა.
გამაიარა ქრისტე ღმერთმა.
- რაჲ არის დედა მარიამო, რაჲ გატირებს?
- რაჲ მატირებს?
ვიჯე ჯოროდინს გზაჩი და ოქროს შკამჩი.

გამაიარა ავმა კაცმა,
დამნატრა სანატრელი.
გადაიქცა ალვის ხე,
ტოლი დამიწყვიტა ოქროსი,
შკამი გამიტეხა ვერცხლისა,
ტანი დამიშალა ალვისა,
თმა ჩამამაყრევინა ბრონეულისა,
კოკა გამიტეხა ვერცხლისა,
წყალი დამიღორა ვარდისა.
ქრისტემ უთხრა: ჰე! დედა მარიამ, მაგაზე რაი გატირებს?
მაიტანე დილის წყალი,
შაბათისა და ხუთშაბათისა
ჩაუყარე თოლის წყალი (ე.ი. შეალოცვინეო)
გასქდეს იმისი თოლი, იმისი გული.
ნაცარი და ლახვარი იმის თოლსა, იმის გულსა.
გულს ლახვარი, თოლს ეკალი,
მასკდეს გულის ალაგასა.
და შენ წმინდა გივარგიმ ჯორი დაგწერას.

ჩაიწერა ვანო შადურმა

შათოლილის შელოცვა (მესამე ვარიანტი):

კაცსა ლამაზსა
ფერს ვართომ, ფეკზე ვაკმობ.
ქალსა ფეროვანს ფერს ვაკარგვინებ.
ძროხასა მეწველს ცურ-ძუძუს ვუკმობ,
ჯარსა უღელჩი ვასიერებ.
ცხენსა ძალუმსა ძალას ვართომ.
დავთხარეთ თოლნი ცეცხლისანი,
დავამტვრიეთ ფეკნი უკულმართ ჭიქისანი.
ჩავყარეთ შავსა წყალსა.
შიგ ჩავყავით შავტარა დანა,
ამოვიღეთ შავი კელი,
გადავკიდეთ ღობეზედა.
შენს თოლის მამხვედრებმა,
თოლჩი ეკალი, გულჩი ლახორი.
სულამც ამააგდებს წმინდა გივარგი ძანანეთისა,
დედა მარიამი ზის, ტირის, ჩივის.
ჩამაიარა იესო ქრისტემა.
-რაჲ გატირებს დედაო მარიამო?

რაჲ გაჩივლებს?
- როგორ რაჲ მატირებს?
ჩამაიარა ქალმა ქაჯეთისამა,
თოლნი ჰქონდა ცეცხლისანი,
ფეკნი უკულმართ ჭიქისანი.
დამწყია, დამკრულა.
ტანი დამიძრა ალვისი,
თმა ჩამამიყარა ბრაწეულთი,
ტოლი დამიძრა ძეძუსი,
ჭურჭელი წამიქცია ოქროსი,
წყალი დამიღორა ვარდისი.
- მაგისთვი რაჲ გატირებს?
მაგისთვი რაჲ გაჩივლებს?
სამი სამშაბათი, სამი შაბათი,
სამი ხუთშაბათი.
სამჯერ ჩაშრიტე, ამაშრიტე,
ტანზე გადაისხი.
ტანი აგიდგება ალვისი,
თმა აგესხმება ბრაწვეულთი,
ჭურჭელი აღდგება ოქროსი,
წყალი ჩადგება ვარდისი.
შენს თოლის მამხვედრებს
თოლჩი ეკალი, გულჩი ლახორი,
ბანით მეხი, კარით ცეცხლი.
სულამც ამააგდებს წმინდა გივარგი.
ეგრე გერგის ჩემი ლოცვა,
როგორც შენი დედის ძუძუ.

ჩაიწერა ვანო შადურმა

შათოლილის შელოცვა (მეოთხე ვარიანტი):

ჩვენ ვიყვენით სამნი ძმანი:
მათე, მარკოზ და იოვანე.
მთას წავედით ნადირობა,
კოლი ვერ ვჰპოვეთ ნადირისა.
კოლი ვჰპოვეთ ქალისა, ქალ-ქაჯისა.
- მოდი დედავ მარიამო
თოლები დავსთხარათ ცეცხლისანი.
თმანი დავსჭრათ ალისანი.
წუვები დავამტვრივათ უკულმართის ჭიქისანი.

- ვერც თოლებს დავსთხრით ცეცხლისასა,
ვერც თმას მამჭრით ალისასა,
ვერც წუვებს დამიმტვრევთ უკუღმართის ჭიქისასა.
- ორბი ვარ ორბად ნაქნარი, ორბულად დავიარები.
მიმავალს ვეცემი, მომავალს ვეცემი.
ფეროვანს ქალსა ფერს წავართომ,
ჯარსა მეძალუმესა ძალას წავართომ,
ფურსა მეწველსა ცურს გავუკორძებ.
თუ იმასაც არ ვიზამ,
ქრისტეს დედა მარიამი ზის სამოთხის კარზე.
ჩავეხუტები იმასა:
ტანს დავუძრავ ალვისასა,
თმას ჩამოვაყრევინებ ბროწეულისასა,
ქსელს დავუწყვეტ ძოწეულისასა,
კოკას გაუტეხ ოქროსასა,
წყალს დავუღვრი ვარდისასა.

ზის დედა მარიამი სამოთხის კარზე და ტირის. ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა და ჰკითხა: რაჲ გატირებს დედაო მარიამო? _ ის მატირებს ქრისტე ღმერთო, რო ჩამოიარეს ქეთერიშელთა, ქუთურიშელთა, თოლინჯლიანთა, კუდბალნიანთა, დამწყიეს, დამთრთვილეს. ტანი დამიძრეს ალვისა, თმანი ჩამამაყრევინეს ბროწეულისა, ქსელი დამიწყვიტეს ძოწეულისა, კოკა გამიტეხეს, ვარდის წყალი დამიღორეს.

_ მაგისთვის რაჲ გატირებს, დედაო მარიამო. სამს ორშაბათს, სამს ხუთშაბათს, სამს შაბათსა, სამი უსმელი, სამი უშრეტი დარიფანს დადგი. ტანი აგიდგება ალვისა, თმა ეგესხმება ბროწეულისა, ქსელი გაგემართება ძოწეულისა, ოქროს კოკა აღგიდგება, ვარდის წყალი ჩაგიდება.

ჩაიწერა ქეთო ვალიშვილმა.

ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ადამიანს კანი სამბოთი გაუმიზეზდებოდა და მის მოსაშორებლად იყენებდნენ მზვარის ბალახს, ქათმის ტყავს, წითელი ფურის რძეს თუ დიკის ფქვილს, ასრულებდნენ შელოცვის წესსაც, რასაც ერქვა "ბედრიანის ლოცვა":

მე ვარ ბედი ბედრიანი,
თოლად-ტანად მშვენიერი.
ამოვქროლდი ქარებულას,
ამოვყვირდი ჯარებულას.
ამოვარდი ცეცხლივითა,
დავბზანდები ვერცხლივითა.
მინდორს გავალ, გავგორდები,
როგორც ურმის თოლივითა.

ნულარ გამაჯავრებ თორო,
მეგედები ცეცხლივითა.

ჩაიწერა ქეთო ვალიშვილმა

შელოცვის ერთ-ერთ სახეობად ითვლებოდა "ჯარის ყოვილის ლოცვა", ე.ი. შელოცვა ხარის ყვავილისაგან განკურნების მიზნით, რაც შემდეგნაირად სრულდებოდა:

ბედო, ბედო, ბედრიანო,
სახელ ტურფავ, მშვენიერო.
მოხქრიხარ ქარებურასა,
მოღნამავ ნამებურასა,
მეეფინები ვერცხლებურასა.
- აჰა უფალო სახელი შენი,
ვიმალებოდე ვაჟის ქოჩორჩი,
ქალის ძუძუჩი,
ჯარისა მკერდჩი.
- გამოდი თორო გამაგიყვან.
მამა ძემა,
სულმა წმინდამა,
დანაჲთა ტარშავაჲთა,
ზღვა ჩქეფით გამოვიარე.
ვერა ჯორციელმა ვერ მიცნა.
თუ შენ არ მიცან
ქრისტემა ღმერთმა,
ჩჯნ საჲთ გიცნათ ჯორციელთა?
ჯევსა შევალ,
ჯევსა ღრიმესა,
ვერ გავიგონებ მამლის ყივილსა,
ჯარის ყვირილსა.
ჯელჩი დავიჭერ არგანსა,
ფეჯზე ჩავიცომ რკინის ქალბანსა,
სულ შამოვივლი მთასა და ბარსა.
წამალს ვიკითხავ,
რო წამლად გერგას უცეცხლო თაფლი,
გოგრისა ყელი,
ქილა შაქარი,
ბალახი მთისა,
ყელი მამლისა,
დიკისა ფქჯილი, დანისა მწკილი.
ეგრე გერგის ჩემი ლოცვა,
როგორც დედიშენის ძუძუ.

ეგრე გერგის ჩემი ლოცვა,
როგორც ფურის ძუძუ კბოსა.
ეგრე გასჭრას ჩემმა ლოცვამ,
როგორც გალესილმა ცელმა.
ღმერთო შენ არ მენახე,
ანთავისუფლე ამ სნეულებისაგან.

ჩაიწერა ქეთო ვალიშვილმა

შელოცვა სრულდებოდა შეშინებული ბავშვის გაჯანსაღების მიზნითაც. დედა ბავშვს კალთაში ჩაისვამდა. შემლოცველი დედაკაცი მარჯვენა ხელში დაიჭერდა შავტარიან დანას, ხოლო მარცხენა ხელში ნახშირს. ის ბავშვს შუბლიდან ნიკაპამდე და ლოყიდან მეორე ლოყამდე ამ ნახშირით ჯვარს გამოუსახავდა. ამის შემდეგ შავი ფერის თავსაკრავს ერთი მტკაველის სიგრძეზე გამონასკვავდა და გარდიგარდმო ნემსს გაუყრიდა. ის თავსაკრავს დაკუნჭავდა, დანის ნაცვლად მას მარჯვენა ხელში დაიჭერდა და იწყებდა ლოცვას _ ე.წ. "გულის შაზომვას".

ახალ სახელო ხთისაო, სახელთა ხარ ხთისგნითა.
სახელი უფლისა, სახელი ყოლაწმინდისა.
შიო (სახელი ავადმყოფისა) ნათელღებას მონათლულო,
სოლომონის ბეჭედით დაბეჭდილო.
ეჰ, ბიჭო! რამ შაგაშინა,
დედამ შაგაშინა, თუ მამამ შაგაშინა,
მყივანმა შაგაშინა, ჲთუ მყვირალმა შაგაშინა,
ჰე, ბიჭო! რამ შაგაშინა?
მიმავალმა შაგაშინა თუ მომავალმა შაგაშინა?
გულო გულის ალაგასა, გულო დადეგ ალაგასა.
რაი იყო ბიჭო! რამ შაგაშინა?
ცის ქუხილმა შაგაშინა, წყლის ხუილმა შაგაშინა?
დილაზე შაშინდი, საღამოზე შაშინდი?
ზემო ნიავმა დაგიქროლა, ქომო ნიავმა დაგიქროლა?
რაჲ იყო, რამ შაგაშინა?
გულო გულის ალაგასა, გულო დადეგ ალაგასა.
ბიჭო ეგრე გერგას ჩემი ლოცვა,
როგორც თავის დედის ძუძუ.
ეგრე გერგას ჩემი ლოცვა,
როგორც ბატკანს თავის ძუძუ.
ლოცვა ჩემი, რგება ხთისა;
წმინდა გივარგიმ შენ ჯორი დაგწერას

შელოცვას რომ დაამთავრებდა, შემლოცველი ნასკვიდან ნემსამდე თავ-

საკრავს გაზომავდა. ნემსი თითქოს განზე გაიწევდა. შემდეგ კიდევ სამჯერ გაზომავდა. ნემსს სამჯერვე თავის ადგილას გაუყრიდა, მაგრამ სჯეროდათ, რომ ნემსი სამჯერვე განზე გადაიწევდა. ამ წესის შესრულების შემდეგ თითქოს ნემსი ნასკვიდან ერთ მტკაველზე დადგებოდა და გულიც საგულეს დადგებოდა.

ჩაიწერა ქეთო ვალიშვილმა

ხევში მავნე სულთაგან თავდაცვის მნიშვნელობა ენიჭებოდა ხატში ბავშვის შელოცვასაც. ეს მშობლების მოვალეობას შეადგენდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დედა მამისახლში ბავშვის მიყვანისას მის შელოცვას თან წაყვანილი საკლავით არ აღასრულებდა, ხატში ბატკნის დაკვლას და შელოცვას ქალის მამისახლი ივალდებულებდა.

გათვალვისაგან თავდაცვის მიზნით გამოიყენებოდა სამკაულიც. როგორც წესი, ახალგაზრდა ქალები ატარებდნენ მოყვითალო ფერის მსხვილ მძივებს, ხოლო დედაკაცები შავი ფერის წვრილ მძივებს. ამასთან ერთად, შეთქმის შესაბამისად, ორ წლამდე ან მეტხანს, ყელზე იდებდნენ დაგრეხილ მავთულს - ე.წ. უღელს, რასაც საბოლოოდ კვირეღვთიშვილს სწირავდნენ.

მოხევეთა ყოფა-ცხოვრების კომპლექსური კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა ის მრავალფეროვნება, რაც დამახასიათებელი იყო ხევის მკვიდრთა ხალხური ტრადიციებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი რაიმე ხარვეზს შეამჩნევს, შეუძლია დამატებითი ინფორმაციით შეავსოს და სიახლე მკითხველს აუწყოს.